K 229 820
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპრიელ ლამიშვილი

გიორგის ჯვრის კავალერის მოგონებები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ რამიშვილი

გიორგის ჯვრის კავალერის მოგონებები

რუსთაველის საზოგადოება
თბილისი
1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოგონებების ავტორი უშუალო თვითმხილველია მონაწილეა ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ისტორიული კატაკლიზმებისა. წიგნი ფეიცაგს საკმაოდ ფრცელ პერიოდს, პირველი იმპერიალისტური ომიდან –სამოქალაქო წლებამდე. ჩვენი ისტორიის ეს მონაკვეთი, ისტორიული წყაროებსა და მოგონებებში იმ დროისათვის დამახასიათებელი ცენზურისა და პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, უმეტესწილად ასახულია ტენდენციურად და გაყალბებულად. ამ მხრივ გასაკუთრებით საყურადღებოა წინამდებარე მოგონებათა წიგნის გამოცემა, რომელიც ერთგვარი მოკრძალებული ცდაა ამ ხარვეზის შესავსებად. რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. იგი დოკუმენტური სიზუსტით გვაცნობს ჩვენი ისტორიის უახლოეს წარსულს. 1914 წლის იმპერიალისტური ომი – 1917 წლის პირველი და მეორე რევოლუცია – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მერე მისი კრახი – 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და შემდეგდროინდელი საბჭოთა პერიოდი. წიგნის უდაფო ღირსებაა, რომ მასში იგრძნობა გარდასული ეპოქის სურნელი. თითქოს გახუნებულფოტოებიან ძველ ალბომს ფფურცლავდეთ, თვალწინ წარმოგვიდგება ოციანი წლების ქართული სოფელი, იმდროინდელი სოციალური ეფფა და სხვა.

გაბრიელი რამიშვილი – როგორც გეორგის ჯვრის კავალერი, სამხედრო და საინჟინრო სპეციალისტი – მრავალ ვამოხენილ მოღვაწეს იცნობდა, მოგონებებში მათთან ურთიერთობის ეპიზოდებიც ანის ნაჩვენები.

ვფიქრობ, წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო აღნიშნული პერიოდის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებისა და მომავალი თაობისათვის.

რედაქტორისაგან

სპეგ-2000
შეკოწმებულია

რედაქტორი: დავით ტაკიძე

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲐ ᲜᲘᲜᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲡ.

K 229.820

ჩემი სოფელი სურები მდებარეობს გურიის აღმოსავლეთით, მდინარე სუფსის ნაპირებზე. რელიეფი სუფსიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით მთაგორიანია, აქა-იქ ღელეებით დასერილი. მდინარის ორივე მხარეს აუარებელი ნაკალულები მოჩხრიალებენ, რომლებიც აქაფებულ რძეს მოგვაგონებენ.

ბედმა მარგუხა, რომ მეცხოვრა და მემოღვაწა ჩვენი ისტორიისათვის მეტად მძიმე 1921-26 წლებში. სოფელში უმრავლესობას რამიშვილები შეადგენდნენ. მახსოვს მამაჩემი იკონებდა, რომ ცხენოსანი ჩალანდრების ქარავანი დატვირთული თხილით, კაკლით, გაცხავებული ღომით, კეცა თუთუნით და ბევრი სხვა რამეებით ახალციხეში მიემგზავრებოდა და იქედან მოჰქონდათ მარილი, მატყლი, ხელსაწყო-იარაღები, რკინა-კავები და სხვა. ძველად ჩვენი მხარე ვაჭრების დაინტერესების საგანი ყოფილა. ისინი აქეთ მოერეკებოდნენ გასაყიდ ცხენებს, თხებს, ძროხებს და ცხვრებს. სოფელი ხუთ კუთხედ იყო გაყოფილი: დობირო, გალმავანი, ტურისტქე, ყვითელაური და ბერე. როდის სტუმრებია ჩვენი წინაპარი პირველად დობირის? გადმოცემით, იქ ყოფილა ერთი ოჯახი: ქმარი, ცოლი და სამი ვაჟი. მამაჩემი, გიგილო, ცხოვრობდა 1845 წელს. იგი ასახელებდა თავის წინ შემდეგ თაობას:

მამაჩემის (გიგილოს) მამა – ივანე, მლკდელი; ივანეს მამა – ვაბრიელი; გაბრიელის მამა – სეხნია; სეხნიას მამა – მამუკა; მამუკას მამა – კაცია (რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი); კაციას მამა – დიდი სეხნია; სეხნია დიდის მამა – გიორგი რამიძე, ჩვენი გვარის ფუძემდებელი.

გიორგი რამიძე, რომლის სახელი ცნობილა ყოფილა, როგორც წმინდა გიორგის ხატის მომჭედი, უდავოა, რომ ერთ-ერთი ჩვენი წინაპარია. სხვა ვინმე ხატს, რომელიც დობიროში, ჩვენი საგვარეულოს სალოცავ საყდარში ესვენა, არ დააწერდა: „ეს ხატი მომიჭედია მე, გიორგი რამიძეს, ღვთის სადიდებლად, სულისა ჩემის წინაპარია და შთამომავალთა საცხოვრებლად“.

მამაჩემის დაბადებისას მამაჩემის მამა, ივანე ყოფილა 30 წლის. თაობებს შორის თუ ღავუშვებთ დაახლოებით 25-30 წელს, მაშინ ჩემი ვარაუდით რამიშვილების საგვარეულო სამლოცველო, ანუ ეკლესია აშენდებოდა დაახლოებით XVII საუკუნის შუა წლებში. ხოლო ჩვენი წინაპრები ეკლესიის მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებას შესძლებდნენ დაახლოებით დობერის დაფუძნების 80-100 წლის შემდეგ.

ამრიგად, პირველი ჩვენი წინაპარი დობიროს სტუმრებია XVI საუკუნის შუა წლების შემდეგ. ამ დროისათვის, 1575 წელს იმერეთში მეფობდა გიორგი ბაგრატის ძე, დედოფალი რუსუდანი და მათი პირმშო ბაგრატი, ქართლში – დავით XI, ანუ დაუთ-ხანი. ამ პერიოდში მესხეთი, ქართლი და იმერეთიც აფორიაქებული ყოფილა. სპარსეთს და ოსმალეთს კავშირი შეუკრავთ და საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას აპირებდნენ, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად ეს ვერ მოუხერხებიათ.

ალბათ, ველარ გაუძლო მესხეთში ჩვენმა წინაპრებმა, გამუდმებულ თავდასხმებს და აწიოკებას, აიკიდა გუდა-ნაბადი და გაუდგა აბასთუმნის ბილიკს; იარა მთით, გადაიარა შვაგორა და სუფსის ხევით თავი დობიროში ამოჰყო...

სოფლის პატარა საყდარმა (ეკლესიამ) მოაღწია ჩვენ დრომდე. მახსოვს, რომ იქ წირავდა ბიძაჩემი ლუკა, მის შემდეგ კი მისი შვილი ანდრია. ეკლესიის ირგვლივ, ღობეშემოვლებულ დიდ ეზოში რამიშვილების საერთო სასაფლაო იყო. დაახლოებით 1900 წლამდე მიცვალებულნი გურისტყიდან დობიროში აჰქონდათ და იქ ასაფლავებდნენ „ნაკურთხ მიწაში“.

გასაბჭოების შემდეგ საყდარი დობიროელებმა დაანგრიეს და ოდესლაც ჩვენი წინაპრების ხელშენახები თლილი ქვები სადღაც მიყარ-მოყარეს. ასეთივე ბედი ეწია საყდარში მყოფ ნიკოებს და მათ შორის ხსენებულ „მოჭედილ ხატსაც“, რაც ჩვენი სოფლის ახალი მესვეურების „კარგი ბიჭობის“ შედეგია. 1924 წლის აჯანყებისას, ეკლესიის შენობა სატუსაღოდ იქნა გამოყენებული. მაშასადამე, ამ დრომდე მოაღწია ეკლესიის შენობამ. მიგა მოწყობილობა უფრო ადრე იქნა დატაცებული.

„რამიძე“, „რამიძიშვილი“, „რამიშვილი“, ასეთი ევოლუცია განუცდია ჩვენს გვარს დროთა განმავლობაში. ბოლოს რამიშვილები ძალზედ გამრავლებულან, გალმა ვანშიც დასახლებულან, შემდეგ კი ახლო-მახლო კუთხეებში მდინარე სუფსის გასწვრივ.

იმ პერიოდში, როცა საქართველოში ბატონყმობა არსებობდა, ჩვენი წინაპრები, ამ უდაბურ ალაგას მოქცეულნი, თურმე არავითარ ბატონს არ სცნობდნენ, არავის ემორჩილებოდნენ და არავითარ ბეგარას არავის უხდიდნენ. ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზეპირგადმოცემები სწორედ ამას გვიდასტურებენ.

ალბათ, იმათ იცავდა უდაბური ტყე და მათი არსებობა უცნობი იყო ყველასათვის დიდი ხნის მანძილზე. თავისუფალნი ყოველგვარი ძალადობისაგან, ისინი ლაღად გრძნობდნენ თავს ამ უდაბურ ტყეში.

პირველი შიკრიკი, ანუ მაცნე იმისა, რომ სადღაც ზევით, ულრან ტყეში ვილაც ცხოვრობს, ყოფილა ჩვენივე სუფსა და მისი შენაკადი ვანისწყალი. მათ მოუსვენარ დინებას წამოუღია ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაფოტი და ახლანდელ ბუკისციხესა და სოფელ იანაულს შორის მდებარე „გურისტბაზე“ გაუჩერებია. როცა ნაფოტის წამოღება დინების მიერ რამდენჯერმე განმეორდა, შეამჩნიეს კარიჭაკებმა და ერისთავისათვის მოუხსენებიათ ეს ამბავი.

კუდუნეთის მთის მწვერვალიდან შეუმჩნევიათ აგრეთვე სადღაც შორს ადენილი კვამლიც. დაუწყიათ სუფსის განწვრივ ჩვენსკენ ბილიკის კაფვა და რამდენიმე წელიწადში ვანისწყლამდე მისულან.

ამის შესახებ შეუტყვიათ დობიროელებსაც; ერისთავის ხალხს თავს დასხმიან და თავპირდამტვრეულნი უკან გამოურეკიათ. ამით მრავალი წლით შეუჩერებიათ, ერისთავის ყურადღება მათ მიმართ.

დობიროში დასახლებულნი იმერეთიდან ან აჭარიდან რომ ყოფილიყვნენ გადმოსულნი, ამას ერისთავი უეჭველად ადრე გაიგებდა და ეს ამბავი ეცოდინებოდა მანამდე, ვიდრე დასახლებულნი მომძლავრებოდნენ იმდენად, რომ მისი ხალხისთვის ასეთი უშიშარი წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდნენ. იმ დროს გურიასა და იმერეთს შორის ყმების ყიდვა-გაყიდვა არსებულა.

უფრო გვიან პერიოდში ერისთავის შთამომავალთ ძაინც მოუხერხებიათ ხალხის გაგზავნა დობიროელების და გალმავანელების დასარბევად (სხვა ღასახლებული კუთხე იმჟამად არ არსებობდა) და ნადავლით დატვირთულნი დაბრუნებულან უკან. ნადაკლში ყოფილა ჭოკებზე წამოგებული ფეხებგაკრული ქათმები, ბატები, იხვები, ციკნები, გოჭები, ჩაფებით ღვინო და სხვა.

დარბევა მომხდარა იმ დროს, როდესაც შინ იმყოფებოდნენ მარტო ქალები, ბავშვები და მოხუცი მამაკაცები სანადირიოდ თუ სხვა სამუშაოზე ყოფილან წასულნი. როცა შინ დაბრუნებულან დარბევის შესახებ გაუგიათ – ერისთავის ხალხს დასდევნებიან, თავს დასხმიან, ბევრი მათგანი აზვირთებულ სუფსაში გადაუყრიათ, ხოლო რამდენიმეს გაქცევით უშველია თავისთვის. ნადავლი ისევ უკან წამოუღიათ დობიროელებს.

კიდევ მრავალი წლით აღუკვეთიათ ერისთავისათვის მადა. ამრიგად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენს წინაპრთა მოდგმას, სუფსისა და ვანისწყლის ნაპირებზე დასახლებულთ მართლაც არ ღვმიათ ყმობის უღელი.

ეს უღელი დიდიხნის შემდეგ დადგმია სურებლებს, იმის შემდეგ, როდესაც სხვა გვარებიც დასახლებულან სუფსის ჩეობაში, კერძოდ შუა და ზემო სურებში.

მე მახსოვს ღრმა მოხუცი ნინიკა რამიშვილი, რომლის შესახებ მამაჩემი იტყოდა: „ნინიკა ახალგაზრდობიდანვე ერისთავთან იზრდებოდა და მისი საუკეთესო მზარეული იყო, მაგრამ ყმა კი არ იყო, არამედ წელიწადში თითო ოქროს იღებდაო“.

ძართლაც, ნინიკას ერისთავთან მოზრდილი თანხა დაუგროვებია და სახლში დაბრუნების შემდეგ მევაჭშეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწოდა. ეს უკვე გასული საუკუნის შუა (ოცდაათიან) წლებში ხდებოდა. თანდათანობით სხვა რამიშვილებიც ჰყოლიათ ყმად ერისთავებს, მაგრამ ეს უკვე მოგვიანებით.

ჩვენი წინაპრები თავისუფლები ყოფილან, მათ მოკაფულ ადგილებში მოჰყავდათ: სიმინდი, ღომი, ქერი, ლობიო, თამბაქო; რგავდნენ ხეხილს: ვაშლს, მსხალს, ნიგოზს, თხილს; მოშენებული ჰქონდათ მაღლარი ვაზი „ადესა“, ჰყავდათ შინაური ცხოველები, ფრინველები და თავს არხეინად გრძნობდნენ.

ოხოვა-გათხოვების საკითხში ადრიდანვე დაკავშირებიან ქედის გაღაღმა სამხრეთის სოფლებს: ნაბეღლავს, ხევს; ჩრდილოეთით – ზემოხეთს, სერს, ტიბანიერს და იმერეთის სხვა განაპირა სოფლებს; აგრეთვე სუფსის ხეობაში ახლად მოსულ შუა და ზემო სურების ხალხს; იმავე მესხეთის მოსახლეობას და სხვა.

სახელწოდება „სურები“ წარმომდგარია სიტყვისაგან „სულ ურები“ (გაუვალი ან ჯერ არ გავლილი ადგილი). ეს სახელწოდება შერქმეული ყოფილა ერისთავის მიერ.

მახსოვს, მამაჩემის მონათხრობში ნახსენები ადგილები: ნაჩხუბარა, ნაჟამოური, მოიდანახე, პირქცეულა, ნატევარი, ნაწისქვილევი, საწაბლია, კოკოცა, ნაერწმალა, ხუნდაძისეული, სასირე და სხვა. ყველა ეს ადგილები დობიროს ჩრდილოეთით მდებარე რამიშვილების სამფლობელო ადგილებია, რომელთაც თავის დროზე ისტორიული მნიშვნელობა ჰქონიათ. ზოგიერთს დღემდე შემორჩენიათ ეს სახელწოდებანი.

სამხრეთ მხარეს ქვევიდან მოყოლებით ეწოდებოდა: კუდუნეთი, ესესქედი, ნაჯოგვარი, ცივი, ყორნალი, კარბათა, ნაბეღლავის ქედი, ბერიშვილების, ანუ აზნაური მთა და სხვა.

დობიროში რამიშვილებს შორის ვიღაც ხუნდაძეც მდგარა, მაგრამ მისი შთამომავალი გურისტყისკენ გადმობარგულა და დაუკავებია მაღლა ფერდობი. ხუნდაძეების ნასახლარ ადგილზე დარჩენილა მხოლოდ სახელწოდება „ხუნდაძისეული“. პაპა გაბრიელსაც დაუტოვებია დობირო.

შესანიშნავ გარემოს, ძვირფას ხედს, მოხერხებულ განლაგებას, ირგვლივ ცივ წყაროებს, საწისქვილე და საჩამურე ღელეებს, კალმახით და სხვა თევზებით სავსე სუფსას იმ პერიოდში უკვე არსებულ შარაგზის სიახლოვეს, ეტყობა, მოუხიბლავს პაპა გაბრიელი და ეს ადგილი შეურჩევია სამოსახლოდ.

დობიროს და გაღმა ვანსაც იშვიათი ლამაზი ძდებარეობა აქვთ, მაგრამ ეს ადგილები ღარიბია წყლებით, მოშორებულია ცენტრალურ გზას და მდინარე სუფსის ნაპირებს.

იმ ჩვენს ადგილებს „ნაჯოგვარს“ ვეძახით იმიტომ, რომ აქ მეგრელების მწყემსებს ზამთრობით თხების და ძროხების ჯოგი ჰყოლია დაყენებული, რისთვისაც სათანადო გადასახადს იხდიდნენ თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

გარკვეულ დრომდე ყველა რამიშვილის აკვანი დობირო ყოფილა. ამ ხანას ეკუთვნის მამაჩემის თხრობა „თათრების“, ანუ ოსმალოების თარეშის შესახებ ჩვენში.

„ისინი მუდამ მოხერხებულ დროს ეძებდნენ, რომ თავს დასხმოდნენ ჩვენს წინაპრებს და გაეტაცნათ ვაჟი ან ქალი, რომლებსაც დიდ ფასებში ჰყიდდნენ თურმე, -- მოგვითხრობდა მამაჩემი, – საამისოდ მათ ჰყოლებიათ ჩვენში ნიშნის მიმცემნი. მაგრამ ჩვენებსაც ჰყოლიათ შიკრიკები სამხრეთის სოფლებში (ქვაბლა, ზოტი, ნაბეღლავი, ხევი), რომლებიც დაუყონებლივ აცნობებდნენ ჩვენებს თათრებისგან მოსალოდნელ საშიშროებას. რჩეულნი მაშინათვე იარაღს აისხამდნენ და დასახვედრად გამზადებულნი, თავიანთ ადგილებს იკავებდნენ.

დანარჩენ მოსახლეობას – მოხუცებს, ქალებს, ბავშვებიან აკვნებს, მოზარდ თაობას, პირუტყვს – ხიზნავდნენ საწაბლიაში, ან სხვა ადგილებში“.

რჩეულთაგან მამაჩემი კაცია რამიშვილს ასახელებდა, რომელიც თურმე, როგორც გადმოცემით მოუსმენია, ბევრჯერ შებმია თავდამსხმელებს და მათთვის მზე დაუბნელებია. მაგრამ ისინიც ახერხებდნენ ვინმეს გატაცებას, ზემოხსენებულ მოსყიდულთა საშუალებით და ნადავლით სამშვიდობოს გასვლას.

თავდასხმები ზაფხულობით ან შემოდგომობით ხდებოდა. ზამთრის მოსვლას და თოვლის დადებას მოსახლეობა დიდი სიხარულით ხვდებოდა, რადგანაც მტერი მთებზე ველარ გადმოვიდოდა და თუ ამას გაბედავდა, მათი კვალით მოძებნა ადვილად შეიძლებოდა და მაშინ ვაი მათი გაჩენის დღეს!

ერთი ასეთი შემთხვევა მამაჩემმა მოგვითხრო კაციასა და მისი დაგეშილი შავი ძაღლის მონაწილეობით.

სამხრეთის რომელიღაც სოფლიდან შიკრიკს უცნობებია, რომ მოსალოდნელია „თათრების“ თავდასხმა. მოზრდილი რაზმით. შემოდგომის ტეხა-კრეფაზ ყოფილა.

მაშინვე ვაჟკაცებს იარაღი აუსხამთ და, კაციას განკარგულებით, სამხრეთიდან მომავალი ბილიკები შეუკრავთ. მოსახლეობა მთლიანად საწაბლიაში გაუხიზნავთ, სადაც ასეთი შემთხვევისათვის, წინასწარ მომზადებული ჰქონიათ ფაცხები და ნალიები.

ადგილზე მარტო კაცია დარჩებოდა თავისი დაგეშილი დიდი შავი ძაღლით. ეს ძაღლი კაციას მკლავზე ჰყოლია გამობმული, რომ მას მომხდური არ დაეფრთხო დროზე ადრე და ყეფა არ აეტეხა.

ერთ მთვარიან ღამეს ძაღლი აცქმუტებულა, დაბლა, ვანისწყლისაკენ ძიიწევდა თურმე. ცოტა ხნის შემდეგ კაციას შეუნიშნავს, რომ ვილაც ოთხი კაცის ლანდი ოხილნარში, დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფრთხილით ზევით დასახლებისაკენ მოიწევდა; გარეგანი მანძილამდე მიუშვია. შემდეგ ერთ-ერთისთვის მისი კაჟიანი თოფი დაუხლია და იქვე გაუცივებია; ძაღლი აუშვია, რომელიც მაშინვე მეორეს დაძგერებია, ყელში სცემია და გაუგუდავს; მესამეს ვეღარ მოუსწრია ვერც იარაღის მომარჯვება და ვერც გაქცევა. კაციას სატევრით თავგაჩეხილი თხილის ბუჩქზე გადაკიდულა; მეოთხეს დაუპირებია გაქცევით თავის შველა, მაგრამ ძაღლი დაწევია, კანჭში სცემია და გაუკავებია. ამასობაში ძაღლს კაციაც მიშველებია და მსხვერპლი დაუმორჩილებიათ. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მომხდარა.

კაციას მისთვის ხელ-ფეხი შეუკრავს იმ თოკით, რომელიც მომხდურს ჰქონია მოთოკილი და ღლიამხრა გადაკიდული, ალბათ მოსატაცებელი მსხვერპლის შესაკრავად.

კაციას, გათოკილი ეს მეოთხე თავდამსხმელი იქვე, ვანისწყალის ნაპირას დაუგდია და ისევ მაღლა, დასახლებაში ავარდნილა. მიურბენ-მოურბენია – კიდევ ხომ არავინ შემოპარულაო – და რა დარწმუნებულა, რომ სხვა არავინაა, ისევ გათოკილთან ჩასულა, ფეხები გაუხსნია, ორივე ყური დაუჭრია და „გეთ“ – წადიო, უთქვამს ხელებგაკრულისათვის.

ყურებდაჭრილი ოსმალო, თავისივე თოკით უკან ხელებგაკრული, როგორ ან რომელი გზით წასულა, ამაზე კაციას აღარ უნაღვლია.

ერთხელ მოუხერხებიათ თავდამსხმელ ოსმალებს ქალის გატაცება. კაციას და მის ბიჭებს გვიან გაუგიათ ეს ამბავი. დასდევნებიან. მდევართა ერთი ჯგუფი ესესქედის გადასასვლელით წაუყვანია კვალს; კაცია და მისი ძაღლი ნაბეღლავის გადასასვლელს მიჰყოლია. გაქცეულ ძაღლს შორს აუტეხია ყეფა. კაცია მის ხმაზე გაქცეულა. ვეებერთელა წიფლებს შორის დაუნახავს ორი ოსმალო, რომლებიც ძაღლს დასდევდნენ და თოფებს მოსაკლავად უმიზნებდნენ, ამასობაში კაციას გაუსვრია და ერთი უსულოდ გაუგორებია. მეორეს, რომელსაც ძაღლი ფეხზე ექაჩებოდა, სროლა ვერ მოუხერხებია და უზარმაზარი წიფელას ამოფარებია.

ოსმალო და კაცია უზარმაზარ წიფელს გარშემო ურბენდნენ და ხელსაყრელ დროს ეძებდნენ ერთმანეთის დასამარცხებლად. კაცია ამოღებული კაკუბაშით (ხმალისებური მოღუნული მახვილით) დაწინაურებულა წიფლის ირგვლივ რბენაში და ოსმალოს ზურგიდან დასწევია; ოსმალო მისკენ შემოტრიალებულა, მაგრამ ამ დროს კაციას კაკუბაშს გაუელვებია და ოსმალოს კისერი წიფლის ვეებერთელა მერქანზე მიუჩეხია; თავი მიწაზე გაგორებულა.

მდევართა მეორე ჯგუფი ხელცარიელი დაბრუნებულა. ქალი ოსმალოების მეორე ჯგუფს გაუტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

1966 წელში ახლანდელ დიდვანში, ანუ უწინდელ ქვემო სურებში, რამიშვილებს გვქონდა საერთო თავშეყრა და ზეიმი ჩვენი სკოლის დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

აი რა მოგვითხრეს სტუმრად მოსულმა ქაქუთელმა რამიშვილებმა ზეიმის დღეს: „უხსოვარ დროს, ამ სოფლიდან (ეხლანდელ დიდივანიდან) „თათრებს“ გაუტაცნიათ ქალი; ჩოლოქის გალმა გაუყვანიათ და ვიღაც ბეგისთვის, გვარად ზოიძისთვის მიუყიდიათ. ქალი თურმე რამდენიმე თვის ორსული იყო. მას ვაჟი შესძენია და ქალი ცოტა ხნის შემდეგ გარდაცვლილა... ვაჟი ბეგს გაუზრდია. როცა ბიჭი წლოვანი გამხდარა, ბეგს უთქვამს: „დედაშენისაგან ვიცი, რომ შენ ხარ სურებელი რამიშვილი; შენს წილ ქონებას მოგცემ და დასახლდი იქ, სადაც შენ გსურდესო – გინდა აქ, ჩოლოქის გამოღმა და გინდა გალმა, გურიის მხარესო“. ბიჭს აურჩევია სოფელი ქაქუთი, ოზურგეთის მაზრაში შემავალი და იქ დასახლებულა. იქაური ქალი შეურთავს და გამრავლებულა“. ვინ იცის, იქნებ მამაჩემის მიერ მონაყოლი გატაცებული ქალი და ქაქუთელი ბიჭის დედა ერთი და იგივე იყოს...

თანამედროვე სურების ხეობა იყოფა სამ ნაწილად: ქვემო, შუა და ზემო სურები. შუა სურები დასახლებულია სხვადასხვა გვარებით: ბერიშვილები, ტრაპაიძეები, შათირიშვილები და სხვები.

ზემო სურებიც ასევე: ლომინეშვილები, ბარამიძეები, კიკვაძეები, სანიკიძეები და სხვები.

როგორც ვხედავთ, ქვემო სურები დასახლებულია მხოლოდ ერთი გვარით – რამიშვილებით მაშინ, როდესაც შუა და ზემო სურებში სხვადასხვა გვარებს ვხვდებით. შესაძლებელია, მოხდა ისე, რომ რამიშვილების მაგალითს მიჰბაძა ამ გვარეულებათა წინაპრებმა და თანდათანობით მოჰყვნენ მათ. მაგრამ ეს მოხდებოდა შედარებით უფრო გვიან პერიოდში. მაშინ, როდესაც დარწმუნდებოდნენ იმაში, რომ სუფსის ხეობაში, ისინიც თავისუფლად იგრძნობდნენ თავს.

ის აზრი, რომ ჩვენ გვარს დიდხანს არ განუცდია ბატონყმობის უღელი, აუცილებლად უნდა გავრცელდეს მოლიანი სურების მოსახლეობაზე, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნის მანძილზე სუფსის ხეობაში მოსვლის შემდეგ, ვიდრე ერისთავები დაიმორჩილებდნენ მათ.

სიმკვირცხლე, ნიჭი, სიამაყე, სტუმართმოყვარეობა, გარეგნული ახოვნება, ცოტაოდენი სიტლანქე, გამბედაობა, შეუპოვრობა, პირდაპირობა – ერთნაირად ახასიათებს ყველა სურებელს.

სიტყვის წარმოთქმა და კილო განსხვავებული აქვთ. ხმა ბოხი და ოდნავ წაგრძელებული წარმოთქმა სიტყვის – შედარებით დასავლეთ გურულებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღ ბუნებაში აღზრდილებს და მუდამ თავისუფლებას, თანდათანობით გამოუმუშავდათ ზემოთჩამოთვლილი თვისებები. მათ უჭირთ კანონებით შებოჭილ მგდომარეობაში ცხოვრება ნებისმიერი მთავრობის ხელში. ხალხი საკუთარი სინდისიერებით სჯის მრუდსა და მართალს. რუსეთის მეფის მთავრობას და მის კანონებს განსაკუთრებით ვერ იტანდნენ სურებლები. ამიტომაც საუკეთესო შვილები ჯერ კიდევ მაშინ გამოეცალათ მთავრობის ძალმომრეობის შედეგად.

სურებლების შეუპოვრობის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ შემთხვევას: ერთხელ მე და მამაჩემი სოფლის დუქნის ეზოში ვიდექით. მე ბათუმის სასწავლებლიდან არდადეგებზე ვიყავი მოსული. ზაფხული იყო. ალბათ, 1911-12 წელი იქნებოდა.

დუქნის ეზოში, შარაგზაზე მომავალმა ღრმა მოხუცმა ამოიარა და შეუჩერებლივ ზემო სურებისაკენ წავიდა. მოხუცს, წელში მოკაკულს, თავი თითქმის მიწამდე ჰქონდა დატანილი. არაჩვეულებრივად გრძელი თეთრი წვერი გეგონებოდა თითქოს მიწას ეხებოდა; ასეთივე გრძელი, გაშლილი თეთრი თმა ბეჭებზე ეყარა; ტანზე მოლურჯო ფერის გახუნებული, ანაფორის მსგავსი სამოსი ეცვა, რომლის კალთების ყურები ქამარში ამოეკაპიწებინა; თავზე ჯახური ქუდის მსგავსი ჰაწაწინა ქუდი ეხურა; მარცხენა ხელით ჰატარა ჩანთას თითქმის მიწაზე მიათრევდა; მარჯვენაში – უბრალო, კანშემოცლილი ჯოხი ეჭირა, მაჯაშებრუნებით ისე, რომ ცერი ქვევით იყო და ნეკი ზევით.

მოხუცმა აიარა ისე, რომ არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია. დუქნის ეზოში მდგარმა ხალხმა მას თვალი გააყოლა.

-- ვინ არის ის მოხუცი? – ვკითხე მამას.

– ალმასხანე ბედინეშვილია, ზემო სურებში მიდის თავისიანებთან, -- მითხრა მან და მომიყვა:

– ალმასხანე ბედინეშვილი ახლა ასი წლის იქნება თუ მეტის არა. თავის დროზე საჟენის სიმაღლე და მოუდრეკილი, გაბედული ვაჟკაცი იყო. მისი მაჯა აი ამის სიფართე ყოფილა – და თავის მაჯას ორი დატოლებული თითი მიადო – მას ამ ასი წლიდან დაახლოებით ოთხმოცამდე წელი „გავარდნილად“ გაუტარებია ზოგი სურების ტყეში, ზოგი სათაურეთში და ზოგიც სადღაც ლეკეთში. დიდი ხანი არაა, რაც სოფელს დაუბრუნდა. უდაბნოში ბერად შედგა ცოდვების მოსანანიებლად და ლოცვებში ატარებს დარჩენილ სიცოცხლეს. ეხლაც, ალბათ, უდაბნოდან მოდის.

– რა დააშავა ისეთი, რომ თავისი სიცოცხლე „გავარდნილად“ გაუტარებია? – ვკითხე მე.

– თავისი ბატონი ზურაბ ერისთავი მოჰკლა, მანამდე კიდევ ერისთავის მოურავი და ეს იყო მიზეზი მისი „გავარდნის“. შემდეგშიც მრავალი აბრაგი და ავაზაკი ჰყავს ჩაძაღლებული ალმასხანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რას ერჩოდა მათ, ან როგორ იყო ეს საქმე, თუ იცი?

– აი როგორ იყო: ალმასხანეს მამა თურმე ბატონთან მსახურობდა. ითვლებოდა „შინაყმად“ (მოსამსახურედ) და არა „მოჯალაბედ“. „მოჯალაბე“ ითვლებოდა უკანასკნელ საფეხურად ბატონთან სამსახურისა, რასაც ბედინეშვილები თაკილობდნენ, თურმე. როცა მამა მოხუცებულა და სამსახური აღარ შეძლებია, ბატონს ალმასხანე მოუთხოვია მის შემცვლელად. ალმასხანეს დაუწყია სამსახური, მაგრამ რატომღაც ბატონს ის შეუძულებია – მიუხედავად ერთგული სამსახურისა, ის მუდამ წყრომას, ლანძღვას და დამცირებას იღებდა, თურმე.

ალმასხანეს ამაყი ბუნება ამას ვერ ურიგდებოდა და ზოგი დამბეზღებელთაგანი და მათ შორის ერთი მოურავიც შემოლახვია კიდეც.

ერთხელ ალმასხანეს დიდი ვაივაგლახით ორიოდე კვირის თავისუფლება გამოუთხოვია ერისთავისაგან; სახლში (ზემო სურებში) წასულა და წამოწყებული სახლის შენება განუახლებია.

ალმასხანეს სამაგიეროდ ერისთავს მისი (ალმასხანეს) უმცროსი და გამოუთხოვია და ის „ჯალაბებში“ ჩარიცხვით ბატების სამწყემსავად გაუმწესებია. ალმასხანეს ეს გაუგია და ერთი კვირის შემდეგ ერისთავის უკითხავად სახლში წამოუყვანია.

როცა ამის შესახებ ერისთავს გაუგია, ორი მოურავი ზემოსურებში გაუგზავნია დავალებით: „ალმასხანე გათოკილი აქ მომგვარეთო“. მოურავები ადგილზე გამოცხადებულან და ბრძანების შესრულებას შესდგომიან, მაგრამ ალმასხანეს სატევარი უძვრია და ერთი მოურავი თავგაჩეხილი ძირს დაუგდია. გაჰკიდებია მეორესაც, მაგრამ მას გაქცევით უშველია თავისთვის. ერისთავს გამოცხადებია და მომხდარი უამბია.

ზურაბ ერისთავს მეორე მრისხანე ბრძანება გაუცია: „ალმასხანე გათოკილი მომგვარეთ; ცოლ-შვილი წამოასხით, სახლ-კარი გადაწვით, კარ-მიდამო ააოხრეთო“.

გაგზავნილებს ორ-სამ დღეში, გარდა ალმასხანეს შეპყრობის და გათოკვისა, ყველაფერი შეუსრულებიათ და წამოსულან. ალმასხანეს ცოლ-შვილი ზურაბს დაუყონებლივ იმერეთში გაუყიდია. დარჩენილა მარტოდმარტო გაუბედურებული და გამწარებული ალმასხანე – ისიც ტყეში.

იმის შემდეგ, რა გაუგია, რომ ცოლ-შვილი უკვე გაყიდულია იმერეთში, მას გადაუწყვეტია ერისთავზე შურისძიება და საამისო მზადებას შესდგომია. სოფლიდან რამდენიმე დღის საგზალი ზურგის ქეჩხოში ჩაულაგებია და ალესილი სატევრით შეიარაღებული წამოსულა. ტყეში დამალულა. ხანგრძლივი თვალთვალის შემდეგ ერისთავის სახლის ყველა კარი კარგად დაუზვერავს და შეუსწავლია.

ერთხელ, ნაშუადღევს, მის დერეფანს მისდგომია. მრისხანეთ აღსავსე ალმასხანეს, წინასწარ შეგულებულ ერისთავის საწოლ ოთახში დინჯად შეუბიჯებია. ერისთავს სიბნელეში ალმასხანეს აჩრდილი შეუმჩნევია, კედელზე მიკიდულ ხმალს წატანებია, ქარქაშიდან ამოულია და ალმასხანესათვის მოუქნევია. ალმასხანეს ხელით, ადლის სიგრძე სატევარი აუკრავს და ხმალი ბზრიალით გვერდზე გადაგარდნილა.

– წუწკო ძაღლო! ხომ არ გეგონა დაუსჯელი გადამირჩებოდი? ახლა ალმასხანეს დარტყმაც გასინჯე! – და მოქნეული სატევრით მარჯვენა მკლავი ძირში მიუსხეპია. სისხლმა ითქრიალა...

– როგორია? ხომ არ გემწარა? – შეუბრალებელი ხმით მიუმართავს ალმასხანეს. სატევარი კიდევ მოუქნევია და მეორე მკლავიც მიუსხეპია.

ერისთავი საწოლიდან უხმოდ გადმოვარდნილა.

– წუნკალო ძაღლო! არ გერჩია, ამქვეყნად დავტეულიყავით შენც და მეც? ახლა? ახლა სად წამიხვალ? ესეც იგემე... – და მიწურ იატაკზე გართხმული მსხვერპლისათვის სატევარი მუცელში დაუტრიალებია.

როცა სახლს კარგა მანძილით მოშორებია, იქიდან ქალების წივილ-კივილი და ხალხის ყვირილი შემოსმია... აქედან ის ისევ უგზო-უკვლოდ წამოსულა და სურების ტყეს შეფარებია.

ეს მომხდარა 1854 წლის ზაფხულზე. ალმასხანე მაშინ ყოფილა 23-24 წლის. სურების უღრან ტყეში გაუტარებია მას თითქმის ორმოცი წელი. თავის მხრივ, ის დიდად გულკეთილი ადამიანი ყოფილა. ნადირობა უყვარდა. ნანადირევი მუდამ ხან ერთისას ხან მეორისას მიჰქონდა. მოსახლეობაც მას პატივს სცემდა. ის მუდამ საპატიო სტუმარი ყოფილა ყველა სურებელის ოჯახში.

მაგრამ მთავარი მისი დამსახურება სხვა რამეში გამოიხატებოდა. იმ პერიოდშიც თურმე, გადმოპარული ოსმალოები განაგრძობდნენ ყაჩაღობას ადამიანების გატაცების მიზნით.

ალმასხანეს მიზნად დაუსახავს მათ წინააღმდეგ ბრძოლა და მრავალი შემოპარული ოსმალო სიცოცხლეს გამოუსალმებია. ალმასხანეს უძლეველობის სახელი შორს გავარდნილა და მისი შიშით ოსმალოების თარეში და თავდასხმებიც თანდათან შეწყვეტილა.

– აი ასეთია ალმასხანე ბედინეშვილის ამბავი, – დააბოლოვა მამამ.

მე სულგანაბული ვისმენდი მის თხრობას და მოხუცი, დღეს რომ წელში მოკაკული დავინახე, წარსულში დიდ გოლიათად დამესახა. იგი სურებლების ტიპიური წარმომადგენელი იყო. ალმასხანე ბედინეშვილის მაგალითის გარდა, სურებლების გაბედულობის და ვაჟკაცობის მაგალითი აუარებელია ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, არაყის გამოხდა სასტიკად აკძალული იყო სოფლებში. ცხრაას ხუთი წლით გათამამებულ რამიშვილებს დაავიწყდათ ეს აკძალვა და აშკარად ეწეოდნენ ამ საქმიანობას. 1906 თუ 1907 წელი იქნებოდა, რომ ლოქაფთას ღელის პირზე მცხოვრებ გირგოლას – შარის პირას არყის სახდელი მოეწყო და არხეინად საქმიანობდა ქვაბთან. ამ დროს, საიდან-სადაო, ჩოხატაურიდან ამოსული შვიდი „აქციზი" თავს წაადგა და იწყეს გირგოლას დარბევა.

ეს ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ სოფელს. ატყდა განგაში. ხალხი დუქნებისაკენ დაიძრა დიდიან-პატარიანა. ზოგი საჩიტე თოფებით იყო შეიარაღებული. დუქნებთან (ეს საერთოდ, ხალხის შესაყარ პუნქტად ითვლებოდა) შეგროვდნენ და გირგოლას ეზოსაკენ დაიძრნენ საშინელი ყვირილით, სტვენით, ყიჟინით და ჰაერში თოფის ცემით.

„აქციზებმა" დაინახეს, საქმე ცუდად არისო, იქაურობა მიატოვეს, სასწრაფოდ ცხენებს მოახტნენ და, შიშით გულგახეთქილნი, ჩოხატაურისაკენ გაიქცნენ. გაქცეულებს ერთ კილომეტრზე მისდია წივილ-კივილით და თოფების ცემით ხალხმა და შემდეგ თავი მიანება..

ამ შემთხვევის შემდეგ სურებში „აქციზები" არავის უნახავს.

„ლომისკარელი"

მეფის დროს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, შუასურებში არსებობდა ხის დიდი ეკლესია, სადაც ესვენა ხატი „ლომისკარელი". ეკლესიაში სწირავდნენ მღვდლები ტრაპაიძეების სამღვდელო დინასტიიდან: გრიგოლ, სამსონ, ნესტორ, ლუკა, კაპიტო – უფრო უწინდელები მე არ მახსოვს.

„ლომისკარელი" განთქმული იყო თავის გავლენით და შიშის ზარს სცემდა აღმოსავლეთ გურიასა და იმერეთს. მას სასწაულმოქმედებას მიაწერდა მოსახლეობა და აუარებელი გამოგონილი ცრუმორწმუნეობის ტყვეობაში იყო. ხატს სპეციალურად შერჩეული ეკლესიის მსახური ატარებდა გურიის და იმერეთის სხვადასხვა კუთხეებში, სოფლებში და ოჯახებში, კრებდნენ შეწირულობას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ეკლისიის არც შემოსავალში და არც გასავალში. ხალხი იმდენად იყო დაშინებული ხატის გავლენით, რომ როცა მას გზაზე ჩაატარებდნენ, შემხვედრი დაიჩოქებდა და თაყვანს სცემდა.

მთელი მოსახლეობა „ლომისკარელს" ჰყავდა ჰიპნოზირებული. მისი მავნე გავლენა საკმარისად ცნობილი და აღწერილია.

გადაუწყვეტიათ მისი ეკლესიიდან გატაცება და მოსპობა ჩემი სიყრმის დროს შეასრულეს კიდეც ეს საქმე და, მახსოვს, რომ ძის

შესასრულებლად ასახელებდნენ სურებლებს: გრიგოლ რამიშვილი, სიპიტო რამიშვილს, ალფეზ ლომინაშვილს, კაპიტო სანიკიძეს. იმათ, ეკლესიის მაგრად დაკეტილი კარი, იქვე დაგდებული წაბლის საძირკვლის შუბლით შეუნგრევიათ და „ლომისკარელი“ გამოუტანიათ. დამტვრევის შემდეგ აღმოჩენილა, რომ „ლომისკარელი“ ყოფილა დაფუტურუებული, დაჭიანებული ჯვარედინი ხე, გარედან საღებავით და ლაქით დაფარული.

საყვავის ტყის გზა

ჩოხატაურიდან სურებში მიმავალი გზა მუდამ სარემონტო იყო. სოფელ ბუკისციხის ზევით ეს გზა მიჰყვება სუფსის კლაკნილებს და მისი ტრასის შეცვლა არ შეიძლება და არც არის სასურველი. ბუკისციხემდე კი, ანუ საყვავის ტყის მიდამოებში, ეს გზა უხეირო აღმართებს და ორღობეებს გაივლიდა და სავალად შორი და აშკარად უვარგისი იყო.

უკეთესი ტრასის შერჩევა შეიძლებოდა, მაგრამ ეს მოითხოვდა ზოგი მოსახლის საყანე ფართობის ჩამოჭრას, ღობეების მოშლას და სხვას. გზის უმეტესი ნაწილი ჯაყელების და მარების კუთვნილ ნაკვეთებში უნდა გატარებულიყო ნალევის ღელის მიდამოებში. არ ვიცი ეს საკითხი შეთანხმებული ჰქონდა სურებლებს ადგილების მფლობელებთან თუ არა, მაგრამ მახსოვს შემდეგი ფაქტი: რევოლუციამდე 4-5 წლით ადრე, ზემოსურებლები, ასზე მეტი ვაჟკაცი, დარაზმული მაკარი კიკვაძის ხელმძღვანელობის ქვეშ, შეიარაღებულნი თოხებით, ბარებით, წერაქვებით, წალდებით გათენებისას გამოცხადდნენ იქ, სადაც უნდა დაეწყოთ გზის სამუშაოები. სწრაფად, ჯგუფებად განაწილდნენ დასამუშავებელი ტრასის მანძილზე. ასევე ჯგუფურად სჭექეს მხიარული ყანური, შვიდკაცა, ალიფაშა; მთელი დაბალციხე გააყრუეს კრიმანჭულით, სამუშაოს მგლებივით გლეჯდნენ და საღამოს, რ. შარაშიძის სახლის ქვემოთ, ბუკისციხის მთავარ გზაზე ახალ გზას გამოაყოფინეს თავი.

გზის ეს მონაკვეთი საუკეთესო გამოდგა და ახლაც არსებობს. ვისაც ეს ამბავი ახსოვს, გზის ამ მონაკვეთს უწოდებს „მაკარიე კიკნაძის გზას“, თუმცა ის დიდიხანია, რაც იმსხვერპლა 1937-ის შავბნელმა წელმა.

***

ბორჯომ-ახალციხე-ვალეს რკინისგზის მშენებლობაში 1940-1946 წლებში ვმონაწილეობდი.

ტრასა გატარებულია ადგილებში: ბორჯომი, სოფ. ფაფა, პეტრესციხე, ლარები, ჭობისხევი, მოქცევი, აწყური, წნისი, ახალციხე, სუფლისი, ვალე. ყველა ამ ადგილებში მინახავს ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ძეგლები, რომელთაც ადგილობრივი, გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობა თამარის პერიოდს მიაწერდა, მაგრამ სინამდვილეში ბევრი თამარის ეპოქის წინანდელი ნაგებობაა, ზოგი თამარის დროინდელი და ზოგიც თამარის შემდეგი დროის.

საოცარია მესხეთ-ჯავახეთის ძველისძველი ნაგებობანი და მათი სიმრავლე, სამლოცველოები ყოფილან ისინი თუ საომარი მნიშვნელობის. მიწის სამუშაოთა წარმოებისას, აუარებელ ძველ ნაშთებს ვპოულობდით მიწის ზედაპირიდან დიდ სიღრმეზე; სოფ. ფაფაში ქვევრები და თონეები ვნახეთ სამი მეტრის სიღრმეზე; დვირში ქვის ფილებით მოწყობილი საფლავები ოთხი-ხუთი მეტრის სიღრმეზე; ჭობისხევის გვირაბის მისასვლელ პორტალის დამუშავების დროს, ცემენტის დულაბივით შეკრული ნიადაგი ავაფეთქეთ ოცდახუთიოდე მეტრის სიღრმეზე და ზედაპირიდან 10-12 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ნიადაგში გართხმული თითო მეტრის დიამეტრის ფიჭვის მერქნები, რომლებიც ჰაერზე გამოჩენის გამო ადვილად იფშვნებოდნენ.

ეტყობა, ოდესღაც მცენარეები მეწყერს მოჰყოლია და აქ დამარხულა.

ჩემთან მუშაობდნენ: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონებიდან. მართალია, კაცი კაცს მიემსგავსება, მაგრამ ბევრი მსგავსება შეიძლება გამოინახოს ხასიათით იქაურებსა და სურებლებს შორის. ეს ხალხი გამაჰმადიანებულნი იყვნენ, მაგრამ ძველის-ძველ ქართულ გვარებს ატარებდნენ.

***

მამაჩემის ბავშვობის პერიოდში რამიშვილებს სკოლა არ ჰქონიათ, მაგრამ წერა-კითხვისადმი მიდრეკილება დიდი ყოფილა.

როდესაც ბაბუა ივანე-მღვდელს გადაუწყვეტია, რომ მის შემდეგ ლუკა ეკურთხებინა მღვდლად, ძმები – ლუკა და მამაჩემი ორი წლით მიუვლინებია უდაბნოში; უდაბნო ყოფილა ნიგოეთის მთაზე „იოანე ნათლისმცემლის“ მონასტერში, სადაც ამზადებდნენ: ლუკას მღვდლად და მამაჩემის დაიკვნად.

ორივე ძმებს, ლუკას და გიგილოს, უდაბნოში შეუსწავლია ხუცური კითხვა, ლოცვები და წირვის წესები. რაკი ხუცური კითხვა უსწავლიათ, სახარების კითხვას გაუტაცნიათ და დაუზარალებლად დასწაფებიან მას. მამაჩემი იტყოდა: „რადგანაც ღამე ჭრაქის ან თაფლის სანთელის ანთების უფლებას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაძლევდნენ, დღისით ფიჩხს მოვიმარაგებდით და ამ ფიჩხის სინათლეზე ვკითხულობდითო“.

ამ პერიოდში, დაახლოებით XIX საუკუნის 70-იან წლებში, რამიშვილები სწავლა-განათლების საშუალებათა ძიებაში ყოფილან. ძირითადად ახალგაზრდების სწავლება ოჯახებში ხდებოდა.

სწორედ ამ დროს ჩვენს სოფელს მოვლინებია სემინარიადამთავრებული ახალგაზრდა, ჩვენივე გვარის მოჭირნახულე – ისიდორე რამიშვილი.

ის დატრიალებულა თავისებური ენერგიით. სოფლის რამდენიმე თავკაცი მიუმხრია, შეუდგენიათ სკოლის შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, შეუგროვებიათ საჭირო თანხა და შეურჩევიათ მშვენიერი, ლამაზი – სოფლის ცენტრალური ადგილი.

მამაჩემის გადმოცემით ვიცი, რომ ყველაფერი ასე მშვიდად და წყნარად არ ჩატარებულა; ბევრი ნერვების წეწვა შეხვედრია თავკაცების უმეტესობას; ბევრი შეგროვებულ თანხებსაც წაპოტინებია და მითვისებაც მოუხერხებია, მაგრამ ისიდორეს ყოველივე დაბრკოლება და წინააღმდეგობა გადაულახავს და მიზნისთვის მიუღწევია.

მშენებლობასთან პარალელურად სწავლაც მიმდინარეობდა, მაგრამ ძლიერ შევიწროებულ პირობებში; ბავშვებთან ერთად მთელი სოფლის მოსახლეობა ჩაბმულა „ღამის სკოლაში“ და ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარი არავინ დარჩენილა. მამაჩემსაც მაშინ შეუსწავლია წერა-კითხვა (ხუცური მან უკვე იცოდა).

ყოველივე ამის სათავეში მღგომი და მამოძრავებელი იყო ისიდორე. მას იქამდე მიუღწევია, რომ განსხვავებით სხვა სამრევლო ერთკლასიან სკოლებთან შედარებით, რომელთაც უწოდებდნენ „*церковно-приходская школа*“-ს, 1890 წელს ჩვენს სკოლას დარქმევია „ქვემო სურების ორკლასიანი სასწავლებელი“, რომლის მსგავსი იმჟამად აღმოსავლეთ გურიაში არ მოიპოვებოდა.

თანამედროვე რამიშვილების ბავშვებმაც კი იციან, რას წარმოადგენდა ისიდორე ჩვენი სოფლის და სკოლისათვის, რომ არაფერი ვთქვა მის საქვეყნო მოღვაწეობაზე. სამწუხაროდ ის სრულიად უდანაშაულო 1937 წელს დახვრიტეს.

ამავე პერიოდში ჩვენში დაარსდა ბიბლიოთეკა, კოოპერატივი, დამხმარე სალარო, რომელსაც „ბანკს“ უწოდებდნენ. ამ დაწესებულებებში მომუშავეთა შერჩევისათვის შემოღებული იქნა „ფარული კენჭის ყრა“; ბიბლიოთეკა იწერდა ჟურნალ-გაზეთებს, იძენდა კლასიკოსების წიგნებს; ამ წიგნების და გაზეთების კითხვას დაეწაფა მოსახლეობა; საერთო კრებებზე, რომლებიც ხშირად იმართებოდა, დადგენილ იქნა, რომ მიცვალებულის დასაფლავებისას აკრძალულიყო „ქელეხები“ და „წაბურვები“, აკრძალულიყო „დრამის“88 გადასახადი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებულების დასაფლავებას რამიშვილების მთლიანი მოსახლეობა ესწრებოდა, მაგრამ ქელეხზე, აკრძალვის თანახმად, ვერ დასხდებოდნენ. ხარჯი კეთდებოდა მხოლოდ გარეშე სოფლებიდან მოსულთათვის. ამის შესახებ მაშინდელ პრესაშიც იწერებოდა.

სწავლა-განათლების საქმე ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ ჩემი სკოლაში შესვლისას, ანუ 1901 წელს, უკვე სემინარიადამთავრებული მასწავლებლები გვასწავლიდნენ.

ჩვენი სკოლის ეზო მშვენიერი, სუფთა, მოყვითალო ფერის ზღვის სილის ფენისაგან შესდგება. ცხადია, აქ ოდესღაც ზღვის ძირი, ან სუფსის კალაპოტი იქნებოდა.

1946 წლის ზამთარში, მიუტევებელი უყურადღებობის შედეგად, ქარიან ღამეში, ბუხრიდან გადმოვარდნილ მუგუზლით ხანძარი გაჩნდა და სოფლის სკოლის შენობა გადაიბუგა.

ამ ამბით თავი არავის შეუწუხებია. პასუხი არავისთვის უგებინებიათ და ისე შეუმჩნეველად ჩააფუჩეჩეს ეს ამბავი, ჩვენი სოფლის მაშინდელმა ახალმა მესვეურებმა, როგორც სკოლის აგების მოთავე და აგების მონაწილე ხალხი გააუჩინარეს – ისე შენობაც მათ მიაყოლეს...

შემდეგ, მთავრობის ხარჯზე სოფელმა ახალი შენობა ააგო, მაგრამ საკმაოდ უშნო.

ჩვენი სოფელი, დიდივანი, თუ წინად გამოირჩეოდა შესანიშნავი ვაჟკაცებით, საქმიანი, მოწინავე თავკაცებით, აზრით, გონებით აღსავსე მოსახლეობით – ამჟამად ეს სოფელი რიცხობრივად შემცირებული და დაკნინებულია. ამის მიზეზი სამგვარია:

პირველი – მოსახლეობამ დაინახა რა, რომ დაბლობ ადგილებში შრომის პირობები გაცილებით უკეთესი იყო, თანდათან გადასახლება იწყო მისთვის ხელსაყრელ ადგილებში;

მეორე – გასაბჭოებულმა ხელისუფლებამ შეიძულა ჩვენი გვარი. მას ბრალად დასდეს „მენშევიკობა“, თითქოს ეს საშინელი ჭირი ყოფილიყოს კაცობრიობისათვის და მრავალი ჯანსაღი, გონიერი, ნიჭიერი სიცოცხლე გამოასალმეს წუთისოფელს;

მესამე – 1941-45 წლის საშამულო ომმა შეიწირა მრავალი ჩვენი სოფლის ახალგაზრდა.

ოხშინჯოგა და გართოგანი

ფილმების ჩვენება და თეატრალური წარმოდგენები ძველად სოფელში არ იმართებოდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოდიოდნენ შეკრებილობაში, ხალხს ართობდნენ და

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხიარულებდნენ. მათი როლები უმეტესად კომიკური იყო. ისინი ლექსებსაც თხზავდნენ და მეზობლის რომელიმე უარყოფით და დასაგმობ მხარეს საჯაროდ დასცინოდნენ. ასეთები ყოფილან ფირანა და თახო რამიშვილები. კოსანდილეს სერგია ვეებერთელა ვაჟკაცი იყო, მაგრამ სმენა სანახევროდ აკლდა. როცა რამეს შეეკითხებოდნენ, სულ სხვა რამეს უპასუხებდა. ფილიპე ხშირად აჯავრებდა მას.

1905 წელში რევოლუციის ხანა იყო და ყველას პირზე ეკერა სიტყვა „სოციალისტები". ფილიპეს განმარტებით სერგიას „ცოციალები" რაღაც გარეულ ცხოველებად წარმოედგინა და მან სერგიას ასე ათქმევინა: „ ჩოხატაურიდან მივდიოდი, დაე... გზაში დამაღამდა... გურგენიძეების ღელეში დამესია ცოციალები, დაე... რომ მარჯვედ არ დავხვედროდი, ნამდვილად ღელეში გადამითრევდნენ, დაე...თითო მხარი კუდები ჰქონდათ იმ შეჩვენებულებს..."

მე ძლიერ მიყვარდა ჩემი სოფელი და თავისი ბუნებით, აღმართ-დაღმართებით, უღრანი ტყეებით, თევზებიანი სუფსით, მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზებით, თავისი ხუთი კუთხით, აქ მცხოვრები შესანიშნავი ვაჟკაცებით, ხალხით, ჩემი ამხანაგებით, ჩვენი მასწავლებლებით, დიდითა და პატარათი. ვფიქრობ, რომ ამ სიყვარულის მთავარი მიზეზი იყო ჩემი მომავალი მეუღლის, ნინასადმი ჩემი სიყვარული. იმჟამად ბავშვური, გულუბრყვილო, გულწრფელი.

მიყვარდა ჩემი სკოლა, მისი ეზო, იქ დარგული მცენარეები... სკოლაში თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეს იმართებოდა კრებები, მოხსენებები, ლექციები. კრებები იმართებოდა დიდმნიშვნელოვანი საკითხების გასარჩევად; მოხსენებები ეხებოდა ხალხისთვის საჭირო აღმზრდელობით და კულტურულ გათვითცნობიერებას, ლექციები იკითხებოდა სხვადასხვა პროგრესული მიმდინარეობის ხალხის გაცნობის მიზნით.

ხალხის განკარგულებაში იყო მდიდარი ბიბლიოთეკა, თავისი უნიკალური წიგნებით.

ლექციები მუდამ უფასო იყო. სურების ხაზის ელექტროფიცირება მოხდა ჩემი უშუალო დახმარებით.

ჩემს ბავშვობამდე, როგორც გადმოცემით ვიცი, ლექციებს კითხულობდნენ ისიდორე და ნოე რამიშვილები.

ერთხელ მამაჩემმა დოქი გამატანა და გამაგზავნა იულოსას ღვინისთვის, მე მივადექი უზარმაზარ, ახლად გაკეთებულ წაბლის ჭიშკარს, რომელიც თავის ჩარჩოებში იდგა, მაგრამ თურმე შეკიდული არ ყოფილა. ეს მე არ შემიმჩნევია და ჭიშკარი მაგრად მოვწიე. ის ჩარჩოს მოსცილდა და თავზე უნდა გადმომხობოდა, აუცილებლად გამსრესდა, მაგრამ რაღაცამ გვერდზე მიმაგდო, შემომაბრუნა და პირით ჭიშკრის გვერდისაკენ გამაჩერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიელი დოქი მუცლის სიმაღლეზე ხელში მეჭირა. ჭიშკარი წამოიქცა, თითის დადებაზე ჩამიარა, დოქს დაეცა, დაამსხვრია და ხელში მხოლოდ დოქის სახელური შემრჩა. ჭიშკარმა ზღართანი მოადინა ძირს...

რა ძალამ შემატრიალა ჭიშკრის წამოქცევის მომენტში და გადამარჩინა გასრესას?..

მსგავსი მომენტები ბევრი იყო ბავშვობისას, მაგრამ ყველა აღარ მახსოვს. იმპერიალისტური ომის დროს-კი მახსოვს შემდეგი: ჩვენი 85 ვიბორგის პოლკი სტოხოდის პლაცდარმზე მიყვანისას , ტყეში დაგვაბინავეს – წინა ხაზიდან 1-2 კილომეტრის დაშორებით. სახელდახელოდ პატარ-პატარა თხრილები გაათხრევინეს მესანგრე ჯარისკაცებს სიღრმით 1-1,5 მეტრი; ზემოდან მოჭრილი ხის მორგვები დაალაგეს და მიწით დაფარეს.

ერთ-ერთ მიწურში შევძვერით მე და ჩემი ამხანაგი უსტინოვი. შიგნით, მხოლოდ წოლა შეიძლებოდა; დგომას ან ჯდომას მიწურის სიმაღლე არ გვანებებდა. ის ღამე ამ მდგომარეობაში გავატარეთ და მოქანცულებს, მკვდარივით გვეძინა თიკაზე. მტრის ყუმბარები ბანაკში აქა-იქ სკდებოდა.

როცა გათენდა, გავიღვიძეთ და გარეთ გამოვძვერით, უსტინოვი ამიტყდა:

ეს ბლინდაჟი გამოვცვალოთ და უფრო ღრმა გავაკეთებინოთ ჯარისკაცებს, ისეთი, რომ შიგ დგომა შეიძლებოდეს.

– ბიკტორ ჩემო! – ვუთხარი მე, – რად გვინდა სხვა ბლინდაჟი? სულ ერთია სადაცაა შეტევაზე გადავალთ და იმასაც მივატოვებინებენ–მეთქი. მაგრამ მან არ დაიჯერა და 3-4 საათის შემდეგ ახლად გაკეთებულ ბლინდაჟში გადავბარგდით ორივე. ამ ახალ „ბინაში“ ორი დღე-ღამე გავატარეთ. საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა და ჩვენს ბანაკში წამდაუწუმ ყუმბარებს გვახეთქებდნენ გერმანელები.

ახალ ბლინდაჟში პირველი ღამის გათევის შემდეგ, ბანაკში ბორიალისას, წინანდელი ჩვენი ბლინდაჟი მოვინახულეთ და ვნახეთ, რომ მას ყუმბარა დასცემოდა და სახურავად განლაგებული მორგვები ჩალეწილი და ჩანგრეული იყო...

– შეხედე! – მითხრა უსტინოვმა, – მე რომ შენთვის დამეჯერებია, ახლა რა ვიქნებოდით მე და შენ?

– მართალი ხარ, ჩემო ძამიკო, – ვუპასუხე მე, – ქედს ვიხრი შენი ინტუიციის წინაშე! – და მაგრად გადავკოცნეთ ერთმანეთი.

რა ძალამ ჩააგონა უსტინოვს ბლინდაჟის შეცვლა?..

სტოხოდის უკანასკნელ ხაზს ტყე-ტყე, უგზოდ ვუახლოვდებოდით ჩვენი ჯარისკაცებით. ერთ პატარა ველზე გამოვედით მე და პოდპორუჩიკი კაზანოცკი. ის ცალ მუხლზე იყო დაჩოქილი და მის გვერდით გაჩერებული ვიყავი მე. ვთათბირობდით, რომელი მიმართულება აგვერჩია, რომ დანიშნულ პუნქტზე მტრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუმჩნევლად მივსულიყავით ჯარისკაცებიანად. გაცხარებულ საარტილერიო ბრძოლა მიმდინარეობდა. ხმაურში ლაპარაკს ძლივს ვაგონებდით ერთმანეთს.

ერთბაშად ჩემს გვერდით ცეცხლმა გაიელვა (ყუმბარამ დაიგრიალა). მე ჰაერის ტალღამ გვერდზე გამტყორცნა და მიწა ბლომად გადმომაყარა. როცა წამოვდექი, მივიხედე და... სადღაა ჩემი კაზანოტსკი... მისი ჩექმიანი ცალი ფეხი იქვე, ჩემს ახლოს ეგდო. მეტი მისგან არაფერი დარჩენილა.

მე რაღამ გადამარჩინა?..

ერთხელ, დივიზიის ღრმა ზურგში დაბანაკებისას, ჩვენი პოლკი მანევრებს და ტაქტიკურ მეცადინეობას გადიოდა.

მიბრძანეს ჩემი 12-ე გუნდით მთავარ გზატკეცილზე გავსულიყავი, გზატკეცილზე მარჯვნივ მევლო. დანიშნულ პუნქტზე მივსულიყავ, შემობრუნებულს გუნდი გამეშალა, ჩავსაფრებულიყავ და ჩემს უკან მომავალ პოლკისთვის „მტერი“ წარმედგინა.

პოლკის გამოსვლის წინ ერთი საათით ადრე ბანაკიდან გზატკეცილზე გამოვედი, მაგრამ მარჯვნივ მობრუნების ნაცვლად, მარცხნივ მივაბრუნე ჩემი ნაწილი და წავედი საწინააღმდეგო მიმართულებით...

პოლკი, ბატალიონების კოლონებით გამოვიდა გზატკეცილზე, მარჯვნივ მიბრუნდა, სადაც მე, „მტერი“, ვეგულებოდი და, რამდენიმე ეშელონად გაშლილი, სამხედრო სვლის წესით „მტერზე“ წავიდა...

ამრიგად პოლკი ერთ მხერეს მიდიოდა და მე – მეორე მხარეს. ერთი ალთას, მეორე – ბალთას. ერთმანეთთან შეხვედრის ნაცვლად, ერთმანეთს ვშორდებოდით...

მე რომ ჩემი შეცდომა აღმოვაჩინე, პოლკიდან საგძნობი მანძილით ვიყავი დაშორებული... უხეში შეცდომის აღმოჩენით ციებ-ცხელება ამიტყდა და სიმწრის ოთლმა დამასხა.

წარმოვიდგინე „ამოცანის“ გარჩევის დროს ჩემი გასამართლება და სირცხვილი პოლკის ოფიცრების წინაშე...

მაგრამ განგებამ შთამაგონა: გუნდი სწრაფად გავაჩერე და შემოვაბრუნე. ორ ნაწილად გავყავი. ერთი – ოფიცერ სერგეევის მეთაურობით და მეორე – ოფიცერ როვანის მეთაურობით; მე ერთი ოცეული დავიტოვე და ყველანი პოლკის მოძრაობის მიმართულებით სირბილით წამოვედით.

ასეთი სწრაფი მარშით პოლკის უკანა ეშელონს წამოვეწიეთ; სერგეევს მარცხნიდან შემოვლა და როვანს – მარჯვნიდან შემოვლა ვუბრძანე. ოცეულით პოლკის ზურგს დავედევნე და ჰაერში სროლა ავტეხე. ჰაერში სროლა ასტეხა სერგეევმა და როვანმაც.

შეშფოთებული და დაბნეული პოლკის ნაწილები შემობრუნდნენ წინააღმდეგობის გასაწევად, მაგრამ ოცეულით შუაგულში შევიჭერი და პოლკის უფროსის შემცვლელი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანევრს ხელმძღვანელობდა, კაპიტანი ფიოდოროვი „დავატყვევე“...

სურათი და შთაბეჭდილება გრანდიოზული შეიქმნა და ამოცანის ტაქტიკურად გარჩევისას, არც პოლკის მეთაურებს და არც ჩემი გუნდის წევრებს არ შეუმჩნევიათ ჩემი უხეში შეცდომა. პოლკის უფროსმა – პოლკოვნიკმა რიაბინინმა – შემაქო და ჩემს მოქმედებას დაარქვა *"Кавказский прием"*.

ჩამოთვლილის მსგავსი ბედისწერის მფარველობა ბევრი შემხვედრია ცხოვრებაში, მაგრამ იმავე ბედისწერისაგან ისიც მაქვს დაბედებული, რომ ჩემი კეთილგანწყობილების და კეთილი მოქმედების ნაცვლად, ხშირად უმადურობა და უსამართლობა შემხვედრია.

წითელ-ბატონები

ჯერ სკოლაში შესული არ ვიყავი, რომ ავად გავხდი „წითელათი“. დედას, დიდ მორწმუნე ქალს, ამ სენის მკურნალობა სწამდა ლოცვებით; კაშკაშა სინათლის შეზღუდვით და ავადმყოფის გამხიარულებით. მინდორში დაკრეფილ იას ბლომად ხმარობდა, როგორც სურნელად, ისე გამოხდილ მალამოდ.

მახსოვს, სიცხიანმა თვალები ძლივს გავახილე და ოთახში დავინახე ნატალო ბიცოლა და პატარა გოგონები – ანიჩქა და ნინა. მათ, ალბათ ეს სენი მოხდილი ექნებოდათ და მოსული იყვნენ ჩემს გასართობად.

გოგონები დასაჭერად დასდევდნენ ორ თეთრ ციკანს, რომლებიც საწოლებზე კუნტრუშობდნენ; ვერ იჭერდნენ და ეს მახარებდა მე. დედას ისინი საგანგებოდ ჰყავდა მოყვანილი და წითელი ბაფთებით მორთულნი, ციკნების კუნტრუშთან ერთად მახალისებდა გოგონების ზარივით მრეკავი კისკისიც.

ოკინკალა

იმჟამად ჩვენს კუთხეში ბლომად იყვნენ ჩემი ტოლა მოზარდები. ჩვენ შორის ყველაზე უფროსი ზაქარია, ლუკას ვაჟი იყო, რომელსაც ვემორჩილებოდით. მუდამ ჟრიამული გვქონდა, რა თამაში გინდათ, რომ არ გამოგვეგონებინა! ბიძაჩემ ლუკას აუარებელი ძაღლები ჰყავდა. ერთხელ ზაქარიამ გვითხრა: „ბიჭებო, მოდით ძაღლებს გავუკეთოთ „ოკინკალა“! ჩვენ დავინტერესდით.. მან ძაღლები სამზარეულოში შეამწყვდია – მურდია, თოლია, ბაკურა, ყურშავა, ქვაცია, მერცხალა, მურა, პარახელა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზარეულოს გვერდით კარებთან ორი ბიჭი გაგვაჩერა და ხელში გრძელი კეტი მოგვცა. კეტის ერთი თავი ერთს ეჭირა, მეორე – მეორეს. კეტი კარების მაღალი ერდოს სიმაღლეზე გვეჭირა.

თვითონ შიგნით, ძაღლებთან შევიდა. კარს ისე შეაღებდა, რომ ძაღლი კრთის მეტი ვერ გამოტეულიყო და უშვებდა მორიგეობით. გამოსვლისას, ძაღლს კეტს ამოვკრავდით. ასე ვიყავით დარიგებული „უფროსისგან“.

დარეტიანებულმა ძაღლმა არ იცოდა რა მოუვიდა და თავზარდაცემული, ყეფით გარბოდა დაბლა შარაზე. მას მეორე მიჰყვებოდა, შემდეგ მესამე, მეოთხე და ცხრავე დაფეთებულნი, ყეფით გარბოდნენ ზოგი ზევით, ზოგი ქვევით. ამას ერქვა ძაღლების ოკინკალა.

აქამდე თუ სამზარეულოში ქალებს ამოდენა ძაღლებით თავი მობეზრებული ჰქონდათ, ამის შემდეგ იქ ძაღლების ჭაჭანება აღარ იყო.

1900-1905 წლები. პოლიტიკური სიტუაცია

რევოლუციური მოძრაობა კარგად მოძღიერებული იყო. ჩვენი სოფლის ვაჟკაცები შეიარაღებულნი მზადყოფნაში იყვნენ რევოლუციურ მოქმედებაში ჩაბმისათვის. მათ უწოდებდნენ მფარველ რაზმს.

რაზმის ხელმძღვანელები დაკავშირებულნი იყვნენ გურიის კომიტეტთან.

გურიის მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობაში ჩვენი სოფლიდან შედიოდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები ისიდორე და ნოე რამიშვილები, რომელთა მითითებას და კარნახს იზიარებდა არა მარტო ჩვენი სოფელი, არამედ მთელი გურია და საქართველო, სხვა მოღვაწეებთან ერთად: ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, გეგეჭკორი, ხომერიკი, ჩხენკელი, ჩიხლაძე, ჯიბლაძე, ჩხიკვიშვილი და სხვები.

ამ პერიოდში ჩვენს სოფელში უცხობი იყო სიტყვები: „ბენშევიკი“ და „ბოლშევიკი“. ყველა ერთსაირი ენთუზიაზმით იყო გამსჭვალული და აზრთა სხვაობა ამ ორ მიმდინარეობას შორის არ არსებობდა.

იყვნენ ცალკეული პირები, რომელნიც არ იზიარებდნენ საერთოდ ხალხის მიერ სიხარულით და აღტაცებით მიღებულ ახალს, რევოლუციურ იდეებს და თვლიდნენ მათ ხალხის საზიანოდ და დამღუპველად. ასეთი იყო ნინას მამა ნიკო რამიშვილი. ის აშკარად აღიარებდა თავის აზრს და წააგავდა თავის კერპობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთ ადამიანს, რომელსაც თითქოს გადაეწყვიტოს აბობოქრებულ და გაგიჟებულ სუფსაში შესვლა და აღმა სვლით, მისი უკუქცევა.

საოცარი იყო – ნუთუ ნასწავლი, სემინარიადამთავრებული ადამიანი ვერ ამჩნევდა აბობოქრებულ, რევოლუციისათვის წამდგარ მასებს, რომ როგორც გაგიჟებული სუფსის უკუსაქცევად არ შეიძლებოდა ბუნებაში გამოინახოს არავითარი ძალა, ასევე შეუძლებელია ამ აღმდგარი მასების უკუქცევა?!..

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფარულად ემხრობდნენ ახალი იდეების მქადაგებელთ და პოლიციასა და მეფის დამქაშებთან აბეზღებდნენ მათ. ისინი ხალხს მონაოლული ჰყავდათ ჯაშუშებად.

ხალხი ამ ჯაშუშებს სდევნიდა. ერთ-ერთ მათგანს გოჯასპი ტრაპაიძეს, ჩოხატაურიდან ცხენით სახლში მომავალს, ლუკაიეს ღელეში დახვდნენ და ბერდანას ტყვიით განგმირული, ცხენიდან უსულოდ გადმოაგდეს.

ნიკოსაც დაუმკვიდრდა ჯაშუშის სახელწოდება. მთელი მისი ახლობლები, ძმები, ბიძები ცდილობდნენ ნიკოსთვის ჩამოეცილებინათ ეს საშინელი სახელი და ურჩევდნენ მას ხალხთან ახლო ყოფნას და ლმობიერებას, მაგრამ ნიკო ისეთი კაცი არ იყო, რომ თავის რწმენა უარეყო, შედრეკილიყო და ქედი მოეხარა. ჩოხატაურის ბოქაულთან შეთანხმებით, მან გაიჩინა შეიარაღებული დაცვა. ყოველღამ რამდენიმე შეიარაღებულნი მისი სახლის ირგვლივ დარაჯობდა მას.

ღამენათევი გუშაგები გათენებისას ნახულობდნენ იმ ღამით ჩამოგდებულ გამაფრთხილებელ მუქარის ბარათს, სადაც ნიკოს ურჩევდნენ შეეწყვიტა ხალხის მტრობა, ჩამოსცილებოდა მეფის დამქაშებს და დაკავშირებოდა ხალხს. მაგრამ ასეთი ბარათები მასთან არ სჭრიდა. იმავე გაფრთხილების მიზნით, ერთხელ მას სახლის ზემოთ აშენებული სასიმინდე დაუწვეს; მეორედ ახალი თავნაყარი სიმინდის ყანა მოუცელეს; მესამედ ვეებერთელა ხეებზე ასული, მსხმოიარე ვენახი ძირში მოუხერხეს.

დიდად შეშფოთებული მახსოვს ბავშვობისას ნიკოს საქციელის გამო მთელი ჩვენი კუთხე. და აჰა! 1903 წლის გაზაფხულზე, იმის შემდეგ, როდესაც არ გასჭრა არავითარმა ზომამ, მოხდა უბედურებაც – ნიკო მოკლეს.

ნიკო ჯაშუშად იყო მოხათლული, მაგრამ, ჩემი აზრით, ის ჯაშუში არ იყო. ის აშკარად, ავადმყოფური სიმკაცრით უმტკიცებდა ყველას, რომ სოციალიზმის გავრცელება, ახალი თაობის ქადაგება -ქვეყანას ეაღუპავსო. ის დიდი თავგამოდებით და აშკარად ემუქრებოდა მეფის მოხელეებს: ჩოხატაურის ბოქაულს, ოზურგეთის მაზრის უფროსს, ქუთაისის გუბერნატორს, რომ თუ ისინი სოციალისტების წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს არ მიიღებენ, ის მათ ვორონცოვთან (მეფის ნაცვალთან) უჩივლებს და ყველას დედას უტირებს. ამიტომაც მათ, მისი სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგონებით, ალბათ, შვებით ამოისუნთქეს. ხოლო გარეგნულად მაინც ფახაფუხობდნენ მკვლელების წინააღმდეგ. ამას მათ ავალებდა ის გარემოება, რომ ნიკო საკმაოდ დიდი თანამდებობის – გურია-სამეგრელოს ეპარქიის „ბლაღოჩინი“ და აღმოსავლეთ გურიის სამღვდელოების უფროსი – პირი იყო.

მკვლელობის დეტალები

ათი დღით მივლინებაში ყოფნის შემდეგ, ნიკო ქუთაისიდან სახლში ბრუნდებოდა. ერკეთში მას, უსმა კობიძის ოჯახში, ჰყავდა მონათლული გირგოლა კობიძე, 14-15 წლის ბიჭი. ის წამოიყვანა და წამოვიდა.

საღამო ყოფილა, როცა ჩოხატაურიდან გამოსულან. ნიკო თავის თეთრ ჯორზე მჯდარა. ჯორი, ალბათ, კობიძისას ჰყავდა დატოვებული ქუთაისში ყოფნის დროს. ბიჭი უკან ჰყოლია შემოჯენილი.

გზაზე დამგზავრებია ერთი ცინცაძის ახალგაზრდა, რომელსაც დავალებული ჰქონია ნიკოს მოკვლა. ამ ბიჭს დამგზავრებისას უთქვამს, რომ ის მიდის სურების მთაზე საქონელთან. მთელ გზაზე ცინცაძეს სროლა ვერ მოუხერხებია იმის შიშით, რომ უკან შემომჯდარი ბიჭიც, გირგოლა კობიძეც არ მოეკლა. ათიოდე კილომეტრი გზა თავის მისახვევ-მოსახვევებით გამოუვლიათ ლაპარაკ-ლაპარაკით.

სახლს რომ მოახლოვებიან, ნიკოს ცინცაძისთვის უთქვამს:: „ბიძია! უკვე ღამეა, აწი სადღა უნდა წახვიდე. ამაღამ ჩემსას დარჩი და დილაზე განაგრძე გზაო“.

ბიჭს რაღაც მიზეზით უარი უთქვამს. ამასობაში ეზოს შესახვევთან მოსულან კიდეც. გირგოლა ჯორიდან გადმომხტარა და ჭიშკრის გასაღებად წინ წასულა. ნიკო ჯორით შესასვლელისკენ მარცხნივ მიბრუნებულა და ცინცაძის ბიჭი ზურგში მოქცევია.

ბიჭს რევოლვერი ნიკოსთვის ზურგზე მიუდვია, უსვრია და ისევ ჩოხატაურისაკენ გაქცეულა. გირგოლა კობიძე შიშისაგან ღობეზე ამხტარა და იქვე საცეხველის კასრში ჩამძვრალა.

გასროლის ხმაზე სახლში მყოფნი დაფეთებულან და ჭიშკრისაკენ გამოქცეულან. „ყველაზე წინ მე მივირბინე, – მიამბობდა ნინა დიდი ხნის შემდეგ, – მთვარის შუქზე მამა მიწაზე გაშხლართული დავინახე, წივილ-კივილი ავტეხე და კისერზე მოვეხვიეო“.

ხალხს სასიკვდილოდ დაჭრილი ნიკო სახლში შეუყვანიათ, მაგრამ თქმა ვერაფრის მოუსწრია ისე გარდაიცვალა. იმ სროლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა მეც გავიგონე. ჩვენ უკვე ნავახშმი და დაწოლილნი ვიყავით. ბებერ ძილის წინა ბურუსში, ის-ისაა უნდა ჩამძინებოდა, რომ იარაღის ჭექება გავიგონე. თვალი გავახილე და დავინახე, რომ მამა ლოგინიდან გადმოხტა, სასწრაფოდ ჩაიცვა და გარეთ გამოვარდა. მას დედაც მიჰყვა. მე ჩაუცმელი ეზოში გამოვარდი, კაშკაშა მთვარეში დავინახე, რომ დედა ცდილობდა მამას დასწეოდა. მეორე დღეს დედაჩემის ნათქვამი კარგად მახსოვს: „მარტო მივრბოდი. შესახვევთან რომ მივედი, დავინახე იქვე გაჩერებული ჯორი. მთვარის სინათლეზე იდგა, მაგრამ ეს ჯორი მომეჩვენა რაღაც საშინელება და მკერდში მტივნეულად რაღაცა გატყდაო. წაქცევისაგან თავი ძლივს შევიმაგრეო“ – დედა ძლიერ მოშიში იყო. ელვის, ქუხილის, ქარის სასტიკად ეშინოდა.

ნინა გულამომჯდარი ტიროდა და ცრემლებს ღაპაღუპით ჰღვრიდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. მივუახლოვდი და მის გვერდით გავჩერდი. ძლიერ შემეცოდა, კინაღამ მეც ავტირდი. თავი შევიმაგრე და ჩუმად ვუთხარი: „გო! ნუ ტირი მასე!“ – მაშინ მე 9 წლის ვიყავი, ნინა – 7 წლის. მან ხელი ხელზე მომკიდა და ცრემლებით ავსებული თვალებით შემხედა. უზომო სიბრალურმა გული ამიჩუყა და ჩამწყვიტა. ამასობაში ვიღაცამ ფანჯარას მოგვაშორა. ჩვენ ისევ ხელიხელ ჩაკიდებულნი, გავძვერ-გამოვძვერით და ხალხით გატენილ დარბაზში შევძვერით, მაგრამ არც აქ გაგვაჩერეს; აქედანაც გარეთ გამოგვაძევეს, ისევ დერეფანში.

ნინა ძლიერ მეცოდებოდა და ვცდილობდი როგორმე მენუგეშებია და გამერთო. ბიძია ლუკას ეზოში შეკრებილ ბავშვებთან მივიყვანე. აქ ნელნელა დამშვიდდა და თანდათან თამაშში ჩაება. შემდეგ მუდამ ყურადღებით ვიყავი მასთან და ვცდილობდი გამერთო ისე, რომ მის თვალებში ცრემლები აღარ დამენახა.

ნარიობის გარდაცვალება

ნიკო დაასაფლავეს. მკვლელი – ზემო ფარცხმელი ბესო ცინცაძე – დაიჭირეს, გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს. ორი თვეც არ იყო გასული, რომ ნინას დედა, ნარიობი გარდაიცვალა და ღვთის ანაბრად დატოვა ობლები.

ამბობდნენ, რომ ნარიობის თავი მოწამლაო. ეს თუ მართალი იყო, მან დიდი დანაშაული ჩაიდინა. საცოდავ სანახაობას წარმოადგენდნენ იმჟამად ეს უსუსური ობოლი გოგონები, რომლებიც თითქმის ფუფუნებაში იზრდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემის გარდაცვალება 1903 წ.

ოქტომბრის ბოლო საღამო მიიწურა. ნაწვიმარი იყო. მამა, დედა და უფროსი ძმები ყანის სატეხში იყვნენ ესესქედში. მე სკოლიდან მოსული ვიყავი და გაკვეთილები მომზადებული მქონდა. უფროსი და, სოფორა ვახშამს ამზადებდა.

ყანიდან დაბრუნდნენ. ტანზე და ფეხზე გამოიცვალეს, ხელ-პირი დაიბანეს, ვივახშმეთ, ცოტა წაისაუბრეს და დავწექით. ცოტა ხნის შემდეგ დედამ უჩვეულო ხრიტინი დაიწყო. მამა ლოგინიდან წამოიჭრა და დედას ნჯღრევა დაეწყო, მაგრამ გონებადაკარგული დედა გონს არ მოდიოდა.

მამამ ჩემი ძმა ესე ბიძია ლუკასთან აფრინა. ლუკა მაშინვე გამოვიდა, პაწაწინა კოვზით, ალბათ, სიკვდილის წინ აზიარა კიდეც. მთელი ოჯახი თავზარდაცემული შევცქეროდით დედას და...

– რა ამბავია? რა მოხდა, ლუკა-ბატონო, რაზე შეწუხებულხართ? – სრულებით გონს მოსულმა, თქვა დედამ.

– როგორ, რა მოხდა? – ლუკას მაგიერ მამამ უპასუხა, – შიშით დაგვხოცე! როგორ ხარ?

დედამ გაოცებული მზერა იქ მყოფთ მიმოავლო. შემდეგ ემცროსი შვილი რუთია გულში ჩაიკრა და...

– მე არაფერი მტკივა! – თქვა.

თანდათან დავწყნარდით. ბიძია ლუკა ესემ სახლში გააცილა და ყველა თავიანთ ალაგას დაწვა.

დილას ჩვეულებრივ ავდექით. გარდა დედასი. მამა სხვებს ეხმარებოდა სიმინდის სატეხში. სოფორამ ყველა გვასაუზმა და თავის საქმეზე წავიდა. დედამ ამ დღეს სკოლაში არ გამიშვა და მითხრა:

სასთუმალთან დამიჯექი, წიგნი ხმამაღლა იკითხე და მე დამეძინება.

პანია და რუთია ეზოში თამაშობდნენ. მე ბუნების კარის კითხვა დავიწყე, მაგრამ უცებ თავზარი დამეცა. როგორც წუხელ, დედამ ისეთივე ხროტინი დაიწყო. მე მას ვეცი „დედა, დედა!“-ს ძახილით, მაგრამ ვერაფერს ვასმენდი. ეზოში გამოვარდი და წივილ-კივილი ავტეხე. ეს ბიძია ლუკამ გაიგონა, გამოიქცა, მოვარდა, მაგრამ დედა უკვე მკვდარი დახვდა.

ჩვენი ბავშვობა

ნინას მშობლების და დედაჩემის გარდაცვალებისას, ჩვენ შესული ვიყავით ორკლასიან სკოლაში. ჩვენი პირველი მასწავლებელი იყო მირიან რამიშვილი. სწავლაში სხვებს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვრჩებოდი. ტანად პატარა ვიყავი, მაგრამ მორგივით მკვრივი. სირბილში, ხტომაში, სისწრაფეში ტოლებიდან ჩემი მჯობნი არავინ იყო.

ჩვენი სკოლა, თავის სილამაზით, სუფთა ეზოთი და ნარგავებით ყველას გვიყვარდა. მე რომ პირველ კლასში შემიყვანეს, ნინა შესული იყო სკოლაში, მაგრამ მან კითხვა უკვე იცოდა.

გაკვეთილებზე ერთხელ მირიანმა დამავალა წამეკითხა „თითი". მე გამიჭირდა. ოფლმა დამასხა. ნინა ჩემს წინა მერხზე იჯდა. შემობრუნდა ზურგით მირიანისაკენ და თავისთვის უკულმა თითის ტარებით, წაკითხვაში მშველოდა.

ნინას ძლიერ უყვარდა ტალახის ზელა და მისგან ხაჭაპურების კეთება, როგორც ეს ყველა გოგოებს უყვართ. ლოქაფთას ღელეები, ფეხზე გახდილი შეტყაპუნდებოდა და იქ თავკომბალებს იჭერდა...

დაობლების შემდეგ ნინა და მისი და ეპრაქსია საჭამიასერზე, მამიდასთან გაგზავნეს და სკოლაში იქ მიაბარეს.

ჩვენი ოჯლოგა

სასტიკი სუსხით ვიგრძენით უდედობა. მოიშალა დედის მოალერსების მოლოდინი და სიტკბო, წაყვან-წამოყვანის ხალისი, სწავლაში წარმატების მიხარების სურვილი და მრავალი სხვა...

დედის გარდაცვალებისას, ჩვენი ოჯახი შესდგებოდა რვა სულისაგან: მამა, სიმონ, ესე, ნოე, სოფორა, პანია, რუთია და მე. ისეთი დღე იშვიათი იყო, რომ ჩვენ ოჯახში სტუმარი არ ყოფილიყო. ჩემი და სოფორე გასათხოვი იყო და ჭრა-კერვას სწავლობდა. ამიტომ პატარა რუთია უნდა სახლში ყოფილიყო. შემდეგ სიმონი (უფროსი-ძმა) ცოლს მოიყვანდა და, ოჯახი „დამაგრდებოდა". მამას ასე ჰქონდა დაგეგმილი. ასეც მოხდა, მაგრამ ვაი უბედურებას, რძალი გამოდგა უსინდისო, უქნარა ადამიანი. პირველი დღიდანვე აგვითვალწუნა ყველა.

ბავშვები ვიყავით ყოველგვარი შავი სამუშაოს შემსრულებელნი; ვუვლიდით საქონელს, ფრინველს, ვასუფთავებდით მათ სადგომს, ვეზიდებოდით შეშას, წყალს, საფქვავს და უსიტყვოდ ვასრულებდით ყველაფერს, რის დასაქმებასაც მოისურვებდნენ უფროსები. ამასთანავე ხშირად გვერდებში ჯოხის ცემაც გვიწევდა, რაიმე საქმის მოუსწრებლობის შემთხვევაში. ეს იყო ჩვენს მიმართ აღმაშფოთებელი მოპყრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, ისეთ დროს, რომ არც სადილი, არც ვახშამ გასაკეთებელი არ იყო და ცეცხლის პირი თავისუფალი იყო, შუ ცეცხლი გავაჩაღე და ზედ სატკეჩე მასალას ვთოშავდი.

რძალი კერას მეორე მხრიდან მოადგა და გაჩაღებული ცეცხლი დაძინგრია.

– რად შვები ამას? რატომ მინგრევ ცეცხლს? – საყვედური ვუთხარი მე.

მან ამოახრინწა და დუჟი სახეში მომაფურთხა. ბრაზისაგან გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი, ის მიწაზე ეგდო გულწასული. თურმე, სატკეჩე ამიღია და თავში მითხლეშია მისთვის. როცა მომხდარში გავერკვიე, გარეთ გამოვვარდი და ხიდთან გავჩნდი, გასაქცევად მომზადებული. მაგრამ ერთბაშად მომაგონდა, რომ რუთია და პანია სახლში დავტოვე. თუ ეს მოსულიერდა, ჩემს ჯავრს იმათზე იყრის-მეთქი და ეზოს მეორე მხრიდან ისევ სახლში ავედი.

ეზოში ასვლისას დავინახე, რომ წინა კარებიდან პინია შურდულივით გამოვარდა და მის უკან მამაჩემის დიდი ცული გამობზრიალდა. ცული ტარით მიწაზე დაესო, ყირაზე გადატრიალდა, პირით ისევ პანიასკენ წავიდა და სულ ცოტათი აცდა, რომ ბიჭი შუაზე არ გააპო.

ორიოდე ნახტომით ცულს ხელი დავტაცე და ეზოს ზევით ავისროლე, მაგრამ ახლა რუთიას წივილი მომესმა გარეთ სახლის გვერდიდან. გაცოფებული იქეთ გავექანე. ეს ჯოჯო თმებში სცემია პატარა რუთიას, როგორც ქორი წიწილას. ამ სურათის ატანა ჩემთვის შეუძლებელი იყო! იმჟამად არც მე ვიყავი დიდი ვაჟკაცი, მაგრამ მთელი არსებით ვეკვეთე ამ საზიზღარ ადამიანს და რუთია ხელიდან გავაგდებინე. თავის აწევის საშუალება არ მივეცი, თანდათან დაბლა დავითრიე... ამასობაში ლუკა ბიძიამ და მისმა ვაჟმა პეტრემ მომისწრეს და ეს ვერაგი ხელიდან გამომტაცეს. თავისი უსინდისო მეუღლის წყალობით, სიმონიც უსამართლოდ გვექცეოდა. მახსოვს, მამა ხშირად უჯავრდებოდა სიმონს.

ესე და ნოეც ანნჩხლები იყვნენ, მაგრამ მათგან უმცროსების მიმართ, უსამართლო მოქცევა მე იშვიათად მახსოვს.

ჩემი სწავლის გაგრძელება სოფლის ორკლასიანის შემდეგ, ნოემ იკისრა და ითავა; ესე ძლიერ ხელმოკლედ გრძნობდა თავს, მაგრამ ისიც მეხმარებოდა მისი შესაძლებლობის მიხედვით.

ასეთი იყო ჩვენი ბავშვობა, რომელიც უფრო ძონობას წააგავდა, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ჩვენც ბედს შევეჩვიეთ. ყოველივე ის, რაც ჩვენს თავზე გადადიოდა – ნორმალური და მიზანშეწონილი გვეგონა, რადგანაც... გამკითხავი, შემბრალებელი, დამცავი თითქმის არავინ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულობით ბებია ევგენიასთან მივდიოდი. მახსოვს, მან „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე თავი ზეპირად თქვა. მაშინ მე წარმოდგენაც არ მქონდა „ვეფხისტყაოსანზე“ და რუსთაველზე.

ნინას ზაფხულზე სახლში მოსვლა ჩემთვის დღესასწაული იყო. ამ შემთხვევას მუდამ სიხარულით მოველოდი.

ბოსტანში თოხით ვსაქმიანობდი, რომ ცივის ყანიდან მომავალი ნინა, მკლავზე წამოკიდულ პატარა კალათით ღობეს მოადგა. მე მუდამ ცალკე მქონდა საკუთრივ ჩემთვის პატარა ყანა სიმინდით, პატარა ბოსტანი კიტრებით, ხაპებით და სხვა ნათესებით. მე ვიცოდი, რომ ნინამ სადილი აუტანა ბაბუა ხუტუას ცივის გორაზე ყანაში და იქედან ბრუნდებოდა უკან

– ყანის მუშას გაუმარჯოს! – მითხრა მან.

– ბაბუს მესადილეს გაუმარჯოს! – ვუპასუხე.

– რას აკეთებ, ბიჭო?

– ვერ ხედავ? ყანას ვმარგლი.

– მერე შენ რა იცი გამარგლა? – და ყორის ღობეზე გადმოხტა. თეთრი წელს ზედა ეცვა და ლურჯი, მუხლებამდე კაბა. ფეხზე ფერადი ენებიანი ლეკური წულები.

– ყანის მარგლას რა ცოდნა უნდა, გოგო?

– ბაბუას რომ სადილი ავუტანე, – ოჰ, რა გემრიელია, შენი მოტანილი სადილიო, – მითხრა. მერე მე მოგიმარგლი ყანას-მეთქი, მაგრამ მან „აბდუ-ბდუ-ბდუ-“ ო მითხრა და მე ვერაფერი გავიგე. (ხუტუას კბილები დაცვენილი ჰქონდა და მის ლაპარაკს ძნელად გაიგებდა კაცი).

– ჯერ ერთი, ბაბუას რატომ დასცინი, მერე სადილის მიტანაზე რომ მადლობა გითხრა, ის თუ გაიგე, მარგლაზე უარი რატომ ვერ გაიგე! და მერე შენ მართლა რა იცი ყანის მომარგლა? შენ ვერც კი ზიდავ თოხს.

– აბა, თუ არ ვზიდავ! – და თოხი წამართვა. მიდგა და რამდენიმე ძირი სიმინდი მოყოლებით გააგორა ძირს. თოხი წავართვი.

– შე, სულელო! ესაა მარგლა, რომ ამდენი სიმინდი მოსჭერი?

– უნდა წავიდე, ბებია მიცდის. არტისტო, წარმოდგენაზე დამპატიჟეთ მომავალ ზაფხულზე, – მითხრა სიცილით.

– მანამდე ორასჯერ ვნახავთ ერთმანეთს, – ვუთხარი მე. ის წავიდა. შუა ხიდზე შემობრუნდა, გამიცინა და ხელი დამიქნია. შარაზე მიმავალს დიდხანს გაშტერებული ვუცქერდი

მე ვფიქრობ, ამ მომენტიდან დაიწყო ჩემი და ნინას სიყვარულის ციებ-ცხელება.

ჩვენი დემონსტრაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი იდგა. რევოლუციური მოძრაობა მოსდებოდა მთელ გურიას. ყველგან მარსელიოზა, ახალი სიმღერები, ხალისი და სიხარული... მე და ჩემი ამხანაგები მეოთხე განყოფილებაში ვიყავით. ჩვენც მოვინდომეთ რევოლუციონერობა გამოგვეჩინა და გადავწყვიტეთ მოგვეწყო „დემონსტრაცია". მეხუთე განყოფილებაში ჩვენზე უფროსებიც იყვნენ, მაგრამ ეს საქმე მაინც ჩვენ ვითავეთ.

იმ დროს ჩვენი მასწავლებლები იყვნენ: ხარიტონ მანთიძე და კირილე სვანიძე. ორივე კარგი პედაგოგი.

დემონსტრაციის მიზანი იყო: ხალხის წინ ჩამოგვეტარებინა წითელი დროშა, ნიკოლოზის სურათით თავუკულმა; სკოლაში დაკიდული მეფის დიდი სურათი დაგვეხია; კლასებში მოთავსებული ორი ხატი დაგვემტრია; იმ დღეს სამეცადინო კლასებში არ შევსულიყავით და მარსელიოზას და სხვა სიმღერებით გვევლო შარა-შარა ჩოხატაურის მიმართულებით. ეს ვისი იდეა იყო, არ ვიცი, მაგრამ ერთ-ერთი აქტიური შემსრულებელი მეც ვიყავი.

დროშა დავამზადეთ ჩვენი ხიდის ქვემოთ, საბანაო აუზთან, სადაც შარის პირას იყო ვეებერთელა წყავები. მახსოვს, ბავშვები დიდი საიდუმლოებით ვასრულებდით ჩვენს სამუშაოს და დანიშნულ დილას, დანიშნულ ალაგას მივიტანეთ დროშა.

დანიშნული ადგილი გვქონდა სკოლის ზევით, ხუნდაძის საციეთან. საცივთან შეგროვილ მოწაფეებში ავაფრიალეთ დროშა შეძახილებით: „ძირს ნიკოლოზა!" და სიმღერით სკოლისაკენ დავეშვით. დროშა მომქონდა მე. მაგრამ სკოლასთან მასწავლებელი მანთიძე მწვდა დროშის ტარში. მე კინაღამ დავუთმე დროშა, მაგრამ ამასობაში მეხუთე განყოფილებიდან ადეიშვილმა დროშას ხელი სტაცა და „ძირს ნიკოლოზას!" ძახილით წაიღო ის.

რადგანაც მასწავლებლები კარებში გადაგვიდგნენ და კლასებში აღარ შეგვიშვენ, იქ მოთავსებული მეფის სურათი და ორი ხატი გადარჩა დახევა-დამტრევას.

შარაზე ჩამოვედით და სიმღერებით გავემართეთ ქვევით. ეს საკითხი დიდებთან შეთანხმებული არ გვქონდა. ამას შეეძლო გამოეწვია პროვოკაცია და ამიტომ დემონსტრაციის ჩაშლის მიზნით მასწავლებლებმა დროშა წაგვართვეს, დაგვიმტრიეს და უკანვე მობრუნებული, სკოლაში აგვრეკეს.

უფროსები, პროვოკაციის გამჟღავნების შიშით, ამ საქმეს მალავდნენ. იმ დღის შემდეგ მეფის სურათი და სალოცავი ხატები აღარ გვინახავს. არც სწავლების წინ და არც სწავლის დამთავრების შემდეგ, ლოცვას არც სიტყვიერად და არც გალობით აღარ გვათქმევინებდნენ. ჩემი მეხსიერების მიხედვით, ამავე წელს მომზადდა და მოხდა ნასაკირალში პლასტუნებზე (კაზაკები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდასხმა და მათი ნაწილის ამოხოცვა. ნასაკირალი არის გურიაში ჩოხატაურ-ოზურგეთის გზაზე. კარგად მახსოვს, როგორ გაფაციცებით იარაღდებოდა ჩვენი სოფლის „მფრინავი“ რაზმი ნასაკირალზე წასასვლელად. რაღაცა ახალი სისტემის იარაღი ჰქონდათ მიღებული. ამ იარაღს სინჯავდნენ, ცდიდნენ, წმენდნენ, ამოწმებდნენ. ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ რომელიმე რაზმელი რამეს დამავალებდა.

თანამედროვე მოძღვრება „ნასაკირალის“ ამბავს მხოლოდ ბოლშევიკებს მიაწერეს, თითქოს მაშინ არ არსებულიყვნენ : ნ. ჟორდანია, ი. და ნ. რამიშვილები, ს. ჯიბლაძე, ნ. ხომერიკი და მრავალი სხვა სოციალ-დემოკრატი.

1906 წელი. ეგზეკუცია ჩვენ სოფელში

სურებლები – მათი გამოცდილი წინამძღოლებით, ისიდორე და ნოე რამიშვილებით, ძუდამ მოწინავეები იყვნენ გურიის რევოლუციურ მოძრაობაში. ამიტომ ნასაკირალის და სხვა მრავალმა მეფის საწინააღმდეგო მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს სოფელში მეფის მთვრობამ ჩააყენა შეიარაღებული ნაწილი – კაზაკები. ისინი იდგნენ ქვემო სურების (დიდივანის) ორკლასიანი სკოლის შენობაში და იყვნენ: ჯარისკაცები 100 კაცი, 6 ოფიცერი, 3 სამთო ქვემეხი. ეს იყო „ეგზეკუცია“. ჰყავდათ ცხენები და დამხმარე პერსონალი.

მთელი ხალხი გახიზნული იყო მთებში და მეზობელ სოფლებში: ნაბეღლავში, ხევში ან საჭამიასერზე. საქონელი – ტყეში. მამამ გოჭებიან ღორს ყანაშავაში გაუკეთა ბუნაგი და იქ ინახავდა. ძროხებს – ნაჯოგვარზე. ორი დიდი სკივრი, ნივთებით დატენილი, მიწაში ჩაფლა. ფრინველები ღვთის ანაბარად იყვნენ დარჩენილნი. მე სახლში ვიყავი მარტოდმარტო.

კაზაკები ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ სოფელში და აგროვებდნენ ქათმებს, იხვევს, ბატებს, ინდაურებს. ეს ნადავლი საერთო ბეგარაში არ შედიოდა. ბეგარა სხვა იყო, რაც შეწერილი იყო მოსახლეობაზე და არჩეული პირები სიით აბარებდნენ მათ მეკუჭნავეს: ხორცი, პური, ღვინო, არაყი, ყველი, კვერცხი, რძე და სხვა მრავალი... თამბაქოც კი.

ჯარისკაცები თვითნებურად დახეტიალობდნენ, დაიჭერდნენ ფრინველს, თავზე ფეხს დაადგამდნენ, ფეხებით მოსწევდნენ, თავს წააგლეჯდნენ, ტომარაში ჩაყრიდნენ და მიჰქონდათ. მიჰქონდათ ყველაფერი, რაც მათ მოეწონებოდათ: ჭურჭელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, რამე ნივთი. თუ ღვინიან ჭურს მიაგნებდნენ, თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდიდნენ, ფეხზე ნაცვამ ჩექმას ჭურში ჩაჰყოფდნენ და ამცვარად ამოღებულ ღვინოს სვამდნენ.

დუქნებთან ცხოვრობდა იაგორა რამიშვილი. რატომღაც იმდენი სცემეს ამ საწყალს თოფის კონდახით, რომ რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ის ძაღლივით ჩუმად ჩააგდეს მიწაში. ხმა არავის ამოაღებინეს. ამაზე კინაღამ შეტაკება მოხდა. ჩვენმა რაზმელებმა იმათი მოხეტიალე ხუთკაციანი ჯგუფი ხელთ იგდეს და ლოქაფთას ღელეში უპირებდნენ ამოხოცვას, მაგრამ სოფლის თავკაცმა გერასიმემ მიუსწრო და რაზმელებს ხელიდან გააგდებინა ისინი. ეს აქტი რომ შესრულებულიყო ეგზეკუციის რაზმი ემსხვერპლებოდა ამ აქტს; მათგან სურების ხევიდან ვერც ერთი ვერ გავიდოდა ცოცხალი, მაგრამ შემდეგ?.. ეს იქნებოდა უზარმაზარი პოლიტიკური პროვოკაცია და ამიტომ სოფელმა საწყალი იაგორა შესწირა სოფლის აოხრების საშიშროებას.

ხალხი მაინც შეუდრეკელი იყო. შეიარაღებული რაზმი ამ დროს იდუმლად თავს დასტრიალებდა სოფელს. საზარელ სურათს წარმოადგენდა თითოეულის ოჯახი ამ ხროვათა ჯგუფის ჩამოვლის შემდეგ. ყველაფერი დახეული, დაჩეხილი, დალეწილი. რის წაღებასაც ვერ მოასწრებდნენ, ის ძირს ეყარა და ითელებოდა. ჩამოვლა რამდენჯერმე მეორდებოდა. ჩვენს ოჯახში სამჯერ იყვნენ.. ეს ჩამოვლები გზის გასწვრივ ხდებოდა. შორს წასვლა ეშინოდათ.

„ქუჩა-ქუჩა თოფიანნი
დაძრწიან ვით ცოფიანნი;
თუ უბრძანეს „პლი!“-ო
მკვდრებს ვერ დაითვლიო“.

ასე ამკობდა დამსჯელ რუს-კაზაკებს საქართველოს პრესა იმ სავალალო დროს, როგორც მახსოვს, ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“.

სოფლის განადგურების შემდეგ, როგორც იქნა, ეს დარბევაც დასრულდა და ჯარი უკან დაიძრა, ჩოხატაურისაკენ. თან მიჰქონდათ ურმებზე დატვირთული ნადავლი.

ეს „ეგზეკუცია“ იყო მთავრობის „წყალობა“ ხალხის ასაწიოკებლად. მისი ბუნება მოსახლეობისათვის გასაგები იყო. მაგრამ 1921 წელში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელს, მე კიდევ ვნახე სურების და მათ შორის ჩვენი სოფლის ეგზეკუციით დასჯა ტალახაძის მეთაურობით.

ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაცია

სოფლის ეგზეკუციით დასჯის პერიოდში სწავლა შეწყდა, რადგანაც სკოლის შენობა ჯარმა დაიკავა. სკოლის ინვენტარი დალეწილი აღმოჩნდა, მაგრამ სწავლა მაინც განახლდა. მიხიზნულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხიზნული ხალხი დაბრუნდა, მილაგდ-მოლაგდა და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგა

ამ პერიოდში ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდებს ჩამოყალიბებული გვქონდა „წრე“ და დიდების მიბაძვით ისეთი ორგანიზაცია გვქონდა შექმნილი, რომ სკოლის მოწაფეებიდან ვერავინ გაბედავდა გაკვეთილების მოუმზადებლობას, მეზობლის ეზოში ჩაპარვას და უნებართვოდ ხილის დაკრეფას, სხვისი ბოსტანიდან კიტრის ან სხვა ბოსტნეულის მითვისებას, ან სხვა ცუდი საქციელის ჩადენას.

შეუძლებელი იყო, რომ ვეებერთელა სოფელში რომელიმე ბავშვს რამე დაეშავებია და ის ჩვენ არ გვცოდნოდა. ახალი იდეები თითქოს ჰაერში მოჟონავდა და მოწინავენი, ჩვენ მას ვიჭერდით და ცხოვრებაში ვატარებდით.

ზემოქმედებისათვის გამომუშავებული გვქონდა სასჯელიც: თუ დანიშნული გამოძიება დაადგენდა ბავშვის დანაშაულს, მას პირველად მიეცემოდა ახსნა-განმარტების შემდეგ „გაფრთხილება“; მეორე დანაშაულისათვის – „საყვედური“; შემდეგ – „სასტიკი საყვედური“ ან „ბოიკოტი“ სხვადასხვა ვადით ერთიდან სამ დღემდე ჩათვლით. უკანასკნელი სასჯელის ყველას ეშინოდა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელს ირჩევდა საერთო კრება. ორგანიზაცია სანიმუშოდ გვქონდა ჩამოყალიბებული. ყველა კუთხეში უჯრედები გვყავდა: გურისტყეში, დობიროში, გაღმავაში, ყვითელაურში და მერეში. უჯრედებსაც არჩეული პირები ხელმძღვანელობდნენ. ვიწერდით მაშინდელ საბავშვო ლიტერატურას, გაზეთებსა და განსაკუთრებით ჟურნალ „ჯეჯილს“.

ეს ლიტერატურა მორიგეობით გადადიოდა უჯრედიდან უჯრედში და მთელ სოფელს შემოივლიდა ძალიან სწრაფად. დაწესებული გვქონდა საწევრო გადასახადი – თვეში ორი კაპიკი; გამოყოფილი იყო მოლარე, ჟურნალ-გაზეთებზე პასუხისმგებელი და სხვა.

ჩვენს ორგანიზაციაში შემოდიოდა მრავალი საჩივარი, მაგალითად:

1. ამა და ამ ბიჭმა ამის და ამის ყანაში მოტეხა სამი ტარო სიმინდი, ეს მე დავინახე; განმცხადებლის ხელის წერა. (ანონიმურ განცხადებას არ ვიხილავდით. გამოყოფილი კომისია აწარმოებდა ძიებას. ბრალდებული აუარებელი ახსნა-განმარტების და ჩაგონების შემდეგ იძულებული იყო დანაშაული ეღიარებინა. ღია კრებაზე მსჯელობა. დადგენილება: ამან და ამან, თავის ეზოდან წაიღოს სამი ტარო სიმინდი და მიაბას იმ ჩალას, რომელზეც მოტეხილია სიმინდი. იგივე კომისია ამოწმებს შესრულებას და აცნობებს კრებას, რომ განაჩენი მოყვანილია სისრულეში;

2. ის გოგო შევიდა მეზობლის ოთახში. გამოაღო კარადა, გამოიტანა ხაჭაპური. მეც მაჭამა – აცხადებს მნახველი. კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევა. გამოძიება. აღიარება. სასჯელი: ყველაფრის გულანდერვა. აღიარება დაზარალებულ მეზობელზე. შემოწმება. შესრულება;

3. ამ გოგომ ენა მიუტანა იმ მეზობელს, რომ ამან შენზე „ესა და ეს“ თქვაო. შედეგად იმ მეზობელმა ეს მეზობელი გალანძღა უშვერი სიტყვებით და მეზობლები ერთმანეთს დაემდურენ. გამოძიება. აღიარება. სასჯელი: ბოიკოტი სამი დღით (ბრალდებულს სამ დღეს ვერავინ ვერ დაელაპარაკებოდა);

4. ესა და ეს ბიჭი ამპარტავნობს, ცხვირს მაღლა იწევს და მოაშლევინეთო. გამოვიძახებდით საერთო კრებაზე და დავსჯიდით.

ამ წესმა გასტანა მანამ, სანამ ჩვენმა ნაკადმა არ დაამთავრა ორკლასიანი სასწავლებელი.

ჩვენი წარმოდგენები

ჟურნალ „ჯეჯილში“ ხშირად იბეჭდებოდა საბავშვო პიესები. ერთ-ერთ ჟურნალში იყო პიესა „პეტრიკა მოიწამლა“, მოგვეწონა და გადავწყიტეთ მისი გათამაშება. შინაარსი ასეთი იყო: პეტრიკას დედამ ალუბლის მურაბა მოხარშა და ქილაში ჩაასხა. პეტრიკამ ჩუმად ქილას თავი მოხადა და რამდენიმე მარცვალი ალუბალი შეჭამა. ეს დაინახა უფროსმა დამ და მოინდომა პეტრიკას ტყუილში და ქურდობაში გამოტეხა, რადგანაც მან უარი თქვა ყველაფერზე. დამ უთხრა, რომ მურაბა თურმე მოწამლული არის და თუ მართლა მან ის შეჭამა, უსათუოდ მოკვდება. პეტრიკა დარდისაგან ავად გახდა. გამოუძახეს ექიმს, რომელსაც გაანდეს საიდუმლოება. საქმეში მშობლებიც ჩაერივნენ და ერთი ალიაქოთი ატყდა. ბოლოს პეტრიკა „მოარჩინეს“, მაგრამ მურაბას აღარ ეკარებოდა.

მე ვასრულებდი პეტრიკას როლს, თემიქა – დედის, ნინა – უფროსი დის, ფილიპე – ექიმის, ლავრენტი – მამის და ა.შ. როლები მშვენივრად შევასრულეთ. პიესას მივაყოლეთ გურული სცენები, ლექსები, სიმღერები და ისეთი წარმოდგენა გამოვიდა, რომ დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები წავიდა სახლში. შემდეგ კარგა ხანს მე პეტრიკას მეძახდნენ სოფელში.

პიესის დადგმას ყველამ დიდი მონდომებით მოვკიდეთ ხელი. წარმოდგენის დადგმა ძნელი არ იყო. აქ ხშირად მასწავლებლებიც გვშველოდნენ, მაგრამ სკოლის შენობაში სცენის მოწყობა, მისი მართვა და რაც მთავარია, ნებართვა მთავრობიდან წარმოდგენის გამართვისათვის, აუტანელი სასჯელი გახდა ჩვენთვის.

მაგრამ ისე ვიყავით შედუღებული ერთი სურვილით და მონდომებით, რომ ყველაფერი გადავლახეთ და მიზანს მაინც მივაღწიეთ. სკოლის ერთი დარბაზი დავცალეთ. მერხები და დაფები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილზე დავალაგეთ. სცენის მოსაწყობად საჭირო იყო სკამის სიმაღლის ხის ტუმბები.

სასაფლაოს ბოლოზე ეყარა თხმელის ჯირკვები. მივდექით ბირდაბირით და საჭირო რაოდენობის სკამის სიმაღლის ბოძგინტები (ტუმბები) გამოვხერხეთ და სკოლაში ავზიდეთ.

სუფსის გაღმა ვიღაცის გრძელი, წაბლის საძირკვლები ეწყო, ყორნალის ტყიდან ჩამოტანილი. გავზომეთ და დავრწმუნდით, რომ გამოგვადგებოდა. ჭიანჭველებივით შევესიეთ და რამდენიმე ცალი (მგონი ექვსი) ეს მძიმე საძირკველი სკოლაში ავზიდეთ, დაყენებულ ბოძგინტებზე განვალაგეთ. ეხლა ჯერი მიდგა ფიცრებზე.

აქეთ-იქეთ უქმად ვიარეთ, მაგრამ ფიცრები ვერ ვიშოვეთ. შერმანდის ილიკომ გვითხრა, რომ ფიცრები აქვს ვანოს, მაგრამ სხვენზე აქვს შეწყობილი და დედამისი, რისიმე გამოტანას არ დაგვანებებსო.

ეს ის ჩვენი საყვარელი „რისიმეს ვანო“ იყო, რომელიც სკოლის დარაჯად მუშაობდა. ის ჩვენზე გაცილებით უფროსი იყო, კარგი ბუნების და ყველაფერ საქმეში ჩვენი დამხმარე.

შემოვესიეთ ვანოს. ის სულ ახლოს ცხოვრობდა სკოლასთან. შევურჩიეთ ისეთი დრო, როდესაც დედამისი სახლში არ იყო. დავითანხმეთ და ერთ საათში გამჭვარტლული დიდი სხვენი ჩამოვიღეთ. სკოლაში მივზიდეთ, მჭვარტლისაგან გავცოცხეთ, გავასუფთავეთ და გაწყობილ საძირკვლებზე დავალაგეთ. სცენა მზად იყო, მაგრამ ჩვენ ისე ვიყავით მჭვარტლით გამურულები, რომ ორი საათი ვირეცხეთ სუფსაში. საოცარია, რომ საძირკვლების პატრონისაგან ჩვენ საყვედური არ შეგვხვედრია.

შემდეგ მთელ სოფელში დავძრწოდით და ვაგროვებდით ნოხებს, ფარდაგებს, ზეწრებს ფარდებისათვის, ლამპებს, შანდლებს, ძველ იარაღებს, ტანსაცმელებს, ქალების ჩიხტიკოპებს და სხვა ასეთებს.

ერთ მეზობელს – გაბილე ძველაიას ჰქონდა ერთი ძველისძველი დაჟანგული ხმალი. ჩვენ ეს ვიცოდით. ვიცოდით ისიც, რომ გაბილე ძლიერ ძუნწი და „კრიჟანგი“ კაცი იყო და ამიტომ იმ ხმლის გამორთმევა გაბილესაგან ძლივს მოვახერხეთ. ეს შესძლო ჩვენმა მეგობარმა ფილიპემ მამის საშუალებით. ხმალი მივიღეთ, მაგრამ სინჯვა-სინჯვაში ხელში ჩაგვატყდა და ჩავვარდით გაბილეს პირში! ჩვენ ასანაზღაურებელი ფული სად გვქონდა! ფილიპე ორჯერ გაილახა ხმლის წამოღებისათვის: ერთი გაბილეს და მეორე მამამის ხელით, მაგრამ საწყალ ფილიპეს მამას მაინც გადაახდევინა ოცი მანეთი დაჟანგულ სანაგვეზე გადასაგდებ ხმალში.

სოფელში რეკვიზიტების შეგროვებაზე ბევრი უარს გვეუბნებოდა დაკარგვის ან გაფუჭების შიშით, მაგრამ უმეტესობა გვაძლევდა, რა თქმა უნდა, დიდი აღთქმის შემდეგ, რომ ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი და უვნებელი დაუბრუნდებოდათ. დაპირებებში გულუხვნი ვიყავით!

ახლა ნებართვა! ჩვენს სოფელს, რამიშვილებით დასახლებულს, პოლიტიკურად მეფის მთავრობის თვალში გატეხილი ჰქონდა სახელი, როგორც რევოლუციისათვის მებრძოლ ხალხს.

ამიტომ თავისუფლად თავის შეყრის საშუალებას არ იძლეოდნენ. მანამდე თუ მამასახლისს ხალხი ირჩევდა – ახლა მთავრობამ დაქირავებული მამასახლისი ჩააყენა სათავეში, რომელსაც ხელფასს უხდიდა ხალხი და ის იყო პასუხისმგებელი მთავრობის წინაშე ხალხის მოქმედებაზე.

ამგვარად იყო დასჯილი ჩვენი სოფელი და ჩვენი გვარი მეფისა და თვითმპყრობელობის მიერ. მაინც ჩვენი გვარი მუდამ მოუდრეკელი იყო თვითმპყრობელობის ყოველივე რეაქციონერული გამოვლინების წინაშე. ეს კარგად იცოდნენ გურიაში მეფის დამქაშებმა და ჩვენს გვარს განსაკუთრებით სჯიდნენ...

მაგრამ... გასაოცარი სხვა რამეა! კაცობრიობა და მათ შორის ჩვენი გვარიც მოესწრო თვითმპყრობელობის დამარცხებას 1917 წლის თებერვალში; ხალხი ახალი ცხოვრების მოწყობას შეუდგა. სამი წლის განმავლობაში სჭედდა ეს ხალხი თავის ბედს, დარწმუნებული იმაში, რომ ის საბოლოოდ გამოსჭედდა მას...

მაგრამ... თავს სხვაგვარი მეწყერი და უბედურება დაატყდა... გასაბჭოების პირველივე წლიდან (1921) ეს ხალხი (საქართველო) შეიმუსრა! მას ბრალად წარედგინა „მენშევიკობა“, თითქოს ეს მიმდინარეობა ყოფილიყოს შავი ჭირი ან კეთრი და ასე დაფლითეს ეს ოდესღაც მძლავრი, ნიჭიერი, მაღალი გონების მქონე, გამჭრიახი ჩვენი ხალხი.

ამრიგად, არც ჩვენ, სკოლის მოწაფეებს გვაძლევდნენ თავისუფლად თავშეყრის ნებას და ჩვენს წარმოდგენასაც მამასახლისის ნებართვა სჭირდებოდა. ეს საქმე ვითავეთ მე და ფილიპემ.

ნებართვის საძებრად დაიწყო ჩვენი აღმა-დაღმა სიარული. მამასახლისის რეზიდენცია იყო შუა სურებში. იქ მამასახლისი არ დაგვხდა და გვითხრეს – ჩოხატაურში არის წასულიო. წავედით ჩოხატაურში, მაგრამ იქაც ვერ აღმოვაჩინეთ. მივმართეთ „პრისტავს“ ჩვენი თხოვნით. „ეს რა ჩემი საქმეა, – გვითხრა მან, – წადით ოზურგეთში და მიმართეთ მაზრის უფროსს“. წავედით ოზურგეთში. იქ გვითხრეს: „თქვენ სადაური წარმოდგენის დამდგმელები ხართო“. ოზურგეთში ვიღაცამ გვირჩია: „აი, ის შავთმიანი პატარა კაცი, ეგერ რომ მიდის, არის ალიოშა წუწუნავა – ცნობილი არტისტი და, აბა ერთი, თქვენი საქმის შესახებ მას ჰკითხეთო“. ქუჩაში დავეწიეთ და გავაჩერეთ.

– ბატონო წუწუნავა! ჩვენ სურებელი მოწაფეები ვართ, წარმოდგენის დადგმა გვინდა და ნებას არ გვაძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სადღაც სურების ტყეში სკოლის ბავშვები საღამოს აწყობენ. მაგას რა ნება უნდა? თქვენ მამასახლისს გამოუცხადეთ და საკმარისია, – გვითხრა ალექსანდრე წუწუნავამ.

დიდი ხნის შემდეგ, 1926 წელს მე ვმუშაობდი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ალიოშას ძმა – სამსონ წუწუნავასთან ერთად. სამსონი და მე კარგი მეგობრები ვიყავით. ერთხელ სამსონმა ოჯახში მიმიპატიჟა სადილზე. იქ დამხვდა სამსონის ძმა – ცნობილი რეჟისორი ალიოშა წუწუნავა და მისი და , ცნობილი მსახიობი ცეცილია წუწუნავა. ალიოშას მოვაგონე ჩემი და ფილიპეს მასთან შეხვედრა ოზურგეთში, რაზეც მან ბევრი იცინა.

ოზურგეთიდან მე და ფილიპე გაწბილებულნი უკან დავბრუნდით. სახლამდე ძლივს მივაღწიეთ, სასტიკად დაღლილებმა და მშივრებმა. ამ უნაყოფო ხეტიალს ერთი კვირა მოვუნდით და ხვალ, ე.ი. შაბათს წარმოდგენა უკვე დანიშნული გვქონდა. ყველაფერი მზად იყო, გარდა ნებართვისა.

დავინახეთ მამასახლისი საყდართან შეგროვილ ხალხს რაღაცას ელაპარაკებოდა. მე და ფილიპემ იქეთკენ გავიქეცით. ეკლესიაზე ავედით. ვნახეთ, ეზოში ხალხის შუა ზის მამასახლისი და რაღაცაზე ბაასობს. ჩვენ მასთან მივიჭერით. ფილიპემ დაიწყო (რიგს და უფროსებს აღარ მოვერიდეთ):

– ბატონო! თუ საჭიროა, დავიჩოქებთ და ჩვენ თხოვნას ისე გადმოგცემთ!

– რა გინდათ, ბიჭებო? – გაღიმებით გვითხრა მამასახლისმა.

– ბატონო! დღეს წარმოდგენა გვაქვს. გთხოვთ მობრძანდეთ სკოლაში 'და თქვენც დაგვესწროთ. ბილეთს უფასოდ მოგართმევთ, – ასეთი დიპლომატობა ვიხმარეთ მამასახლისთან. ნებართვა სულ არ ვახსენეთ. ეს გზაში მოვილაპარაკეთ აქეთობისას.

– სხვას რა ფასებში აძლევთ ბილეთებს?

– ათი კაპიკიდან ორ აბაზამდე ღირს ბილეთები.

– მერე, შეგროვილ ფულს რა უნდა უქნათ?

– ბიბლიოთეკას უნდა შევწიროთ და ჟურნალები გამოვიწეროთ, ბატონო, – მოვახსენე მე.

მამასახლისმა უბის ჯიბიდან უშველებელი საათი ამოიღო და დახედა.

– წადით, ბიჭებო, თუ დრო დამრჩა, მეც მოვალ.

ჩვენ თავპირღლეტით წამოვედით, სიხარულისაგან ერთმანეთს ვჩქმეტდით, მუჯლუგუნებს ვცემდით და ხან ერთმანეთს ვიხუტებდით. ის მამასახლისი მგონი აჭარელი იყო. წარმოდგენაზე არ მოვიდა.

როგორც ზემოდ ვთქვი, წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა. შევაგროვეთ რვა მანეთი. ერთი მანეთის პური და სულგუნი ვიყიდეთ ჩვენს დუქნებზე და წარმოდგენის ყველა მონაწილემ

ერთად ვიქეიფეთ ხუნდაძის ცივი წყაროთი. ღვინის დაგემოვნა ჩვენგან შეიძლებოდა, იმ ხანად, ვერ წარმოგვედგინა.

შვიდი მანეთი ჩავაბარეთ ბიბლიოთეკის გამგეს უხელწერილოდ. თუ ვინმე ბოროტებას ჩაიდენდა თანხის მითვისებაში, ჩვენს აზრში არ გაუვლია და მართლაც ბიბლიოთეკა ჩვენთვის კეთილსინდისიერად იწერდა ჟურნალებს და გაზეთებს რამდენიმე წლის განმავლობაში.

შემდეგში წარმოდგენებს ხშირად ვდგამდით და ისე დავხელოვნდით ამ საქმეში, რომ შევბედეთ გუნიას „დამას", ნინოშვილის „ქრისტინეს", „გოგია უიშვილს" და სხვას.

***

მეხუთე განყოფილებაში მასწავლებელი ისევ შეგვეცვალა და ეხლა გვასწავლიდა კორნელი ბახტაძე. ნინა და ეპრაქსია ამ წელს სახლში იყვნენ და კორნელი მასწავლებელთან კერძოდ მეცადინეობდნენ. ჩვენ რომ სკოლიდან სახლში მივდიოდით, ისინი შემდეგ იწყებდნენ სწავლას. ძლიერ მოწყენილები იყვნენ ორივენი ამ წელიწადს, მაგრამ მიზეზი მგონი ის იყო, რომ ისინი ცალკე იყვნენ და ჩვენს საერთო ჟრიამულში არ მონაწილეობდნენ. ეს მეც ძლიერ მაწუხებდა.

მე ვცდილობდი ნინაზე არ მეფიქრა ან ნაკლებად მეფიქრა, მაგრამ ეს არ გამომდიოდა. ჩემდა უნებურად მას ვადარებდი სხვებს, მაგრამ არა და არა! ის ვარსვკლავივით ბრწყინავდა ყოველგან და ყველასთან შედარებით, რა გარემოცვაშიც უნდა ყოფილიყო სილამაზით, სინაზით, თავდაჭერით, აუჩქარებლობით, თავმდაბლობით და, რაც მთავარია – ნიჭით. ვამჩნევდი თავს, რომ მუდამ მასთან მინდოდა ყოფნა, თამაში, ლაპარაკი, მუსაიფი... ისიც ამასვე ცდილობდა, ჩემს მიმართ და დაშორების ნაცვლად ერთმანეთისკენ ვილტვოდით სრულებით ჩვენდა უნებურად!

სადღაც ვიყავი და ეზოში ეს-ესაა შემოვედი. ნინა შუა ეზოში დგას და ამოკალთავებულ კაბის კალთაში ატმები აქვს ჩალაგებული, რომელსაც გემრიელად იკბიჩება. შორიდანვე დამანახა და მანიშნა: გასინჯე, რა კარგიაო! დანახვის უმალ ატმები ვიცანი. მე მქონდა შეგულებული ერთი პატარა ძირი ატამი, რომელსაც არაჩვეულებრივად ესხა. მას ვუვლიდი და დამწიფებამდე ვინახავდი, რომ ნინასთვის ჩამებარებინა და ამით ის გამეხარებინა. მივხვდი, რომ მას უჩემოდ მიუგნია ჩემი ატმისათვის, გავიქეცი და ვნახე, რომ ერთი ტოტი გაკრეფილია. ძლიერ გამეხარდა ყოველივე, მაგრამ დაბრუნებისას მაინც თითქოს გავბრაზდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა მოხდა, ბიჭო! თუ ასე ბრაზობ, სულ გადავყრი ამ ატმებს, – თქვა ნინამ და დააპირა კალთის ჩამოხსნა, რასაც ატმების დაცვენა მოჰყვებოდა. მაშინვე მივაძახე:

– არ გაბედო ატმების გადაყრა! მიირთვი, ხვალ კიდევ დაკრიფე. ის ატმები შენია! მას შენ გინახავდი დამწიფებამდე.

მის თვალებში გაღიზიანება გაჰქრა, მადლიერად შემხედა და ორიოდე ატამი გამომიწოდა.

1905/06 სასწავლო წელი მიმდინარეობდა. სირბილში ჩემი მჯობნი ჩვენს სკოლაში არავინ იყო.

გაზაფხულის მზით გამშრალ სკოლის ეზოში ვთამაშობდით. რაღაცამ ამიტაცა და შევუჩნდი ოქროპირის ელისას. იმდენი ვუჩხიკინე, რომ მოთმინებიდან გამოვიყვანე და გამომიდგა. ხელში რომ ჩავეგდე, მცემდა, მაგრამ მე გავრბოდი. ერთ-ორჯერ შემოვატარე ბავშვებით სავსე ეზო და შემდეგ გავეშურე სუფსის მხარეს ბიჭიას ეზოსკენ. ელისე დარწმუნებული იყო, რომ მე გადავხტებოდი ყორეს გადაღმა ფერდობში და ალბათ მანაც გადასწვიტა იქ გადმოყოლა და ჩემი საბოლოოდ იქ დასჯა, მაგრამ მოტყუვდა და მეც სწორედ ეს მქონდა გუმანში. მივუახლოვდი ყორის პირა ეზოს კიდურს თუ არა, ერთბაშად მარცხნივ შევტრიალდი და ვუგანე. მან თავი ვეღარ შეიკავა, ვერ დამუხრუჭდა და თავკისრით გაუდგა ბიჭიას ფერდობში. ორ-სამჯერ ყირაზე გადაბრუნდა და უცებ ქვემოთ რაღაც ჯირკმა შეაჩერა, თორემ კიდევ განაგრძობდა ყირაზე კოტრიალს! როცა წამოდგა, გაცოფებულის სახე ჰქონდა. მე ზემოდან დავყურებდი ასკინკილის ხტუნვით! სანამ ზევით ამოვიდოდა, ზარიც დაირეკა და სკოლაში რაღას მიზამდა! ელისე ჩემზე დიდი იყო ტანად. უწყინარი, მშვიდი ბიჭი იყო, მაგრამ გაბრაზებულს სჯობდა მტერი ჩავარდნოდა ხელში! საწყალი ელისე პირველ იმპერიალისტურ ომში დაჭრილი გარდაიცვალა თბილისის ჰოსპიტალში.

უფრო დაბალ განყოფილებაში ვიყავით. ერთხელ ზარი დაირეკა. ჩემს პირდაპირ ჩაკუზულმა სილავანამ ერთი ტორი სილა სახეში მომაყარა და ამით დაამთავრა თამაში. მე დავბრმავდი... როცა თვალები გავახილე, დავინახე, რომ მოწაფეების „კუდი“ უკვე სკოლის შენობაში შედიოდა და ჩემი „მოსისხლე“, დუქნების მხარეს, ყორეზე ცალფეხზე ხტოდა, ჩემს სკოლაში შესვლას ელოდებოდა. იცოდა არ შევარჩენდი სილის შემოყრას.

მე იქვე ერთ მოზრდილ კენჭს ხელი დავსტაცე და ისეთი სიზუსტით გავუშვი მისკენ, როგორც თოფიდან გასროლილი ტყვია. ქვა-კენჭი შუბლში მოხვდა და სილავანი, მოცელილივით ყორის გადაღმა გადავარდა.ძლიერ კმაყოფილი იმით, რომ ნიშანს არ ავაცდინე, მოვბრუნდი და პირიდან სილის ფურთხებით სკოლისკენ წამოვედი სირბილით.

შუა გაკვეთილზე, ძირიან მასწავლებელმა შემოიყვანა ჩემი კლასში თავგატეხილი და დაბინტული სილავანი და მოძადგა მე (ის მაშინ სკოლის გამგე იყო). უხმოდ მერხიდან ჩემი ჩანთა გამოიღო, იღლიაში ამომიდო და მითხრა:

– ეხლავე აქედან დაიკარგე და მამაშენის გარეშე ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს.

შემდეგ როგორღაც ისე მიიჩქმალა ეს საქმე, რომ არც მამაჩემს გაუგია ის და არც სკოლას დავკლებილვარ. მეორე დღიდანვე მე და სილავანი ისეთივე მეგობრები ვიყავით, როგორც მანამდე.

მე არასოდეს არც ქვეითი ჯარის წყობა მინახავს (ჩვენს სოფელში „ეგზეკუციის“ ჯარის გარდა) და არც ცხენოსანის. ჩემი ფანტაზიით შევადგინე მოწაფეებიდან ქვეითი ჯარიც და შემდეგ ცხენოსანიც.

ჯერ მოწაფეები გავყავი ორ ნაწილად და ერთმანეთს ვებრძოდით ჯოხის თოფებით. ეს ადვილი იყო. უფრო რთული იყო ცხენოსანი ჯარის შედგენა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიე. უპირველეს ყოვლისა, იმის შემდეგ, რაც ჩემს აზრში ყველაფერი მზად იყო, ცხენებიც გამონახული და მხედრებიც, დავაინტერესე ბიჭები. ეს იყო მთავარი!

შემდეგ სკოლის დერეფანთან ეზოში გავაჩერე შერჩეული 7-8 ბიჭი. ესენი იყვნენ ცხენები. მერე აივნიდან გადმოვიყვანე ამდენივე და ქვემოთ გაჩერებულების მხრებზე ფეხებით გავაჩერე. თუ ვინმე ჩამოვარდებოდა, ის მაშინვე გარიცხული იყო თამაშიდან. ეს იყო პირველი ცხენოსანი რაზმი. შემდეგ ასეთივე მეორე მოწინააღმდეგე რაზმი შევადგინე და იწყებოდა კავალერიის ბრძოლა.

ერთი მხარე ერთი მხრიდან მოდიოდა, მეორე – მეორედან. მე ვინმეს მხრებზე შესკუპული, ბრძოლას ვხელმძღვანელობდი... „ცხენებს“ ზევითების ფეხები მაგრად ეჭირათ ორივე ხელებით თავკისერზე მიჭერილი ორივე მხრიდან. ზევითები თავს მყარ ნიადაგზე გრძნობდნენ და ხელებს თავისუფლად აფათურებდნენ. საჭირო იყო მხოლოდ წონასწორობის დაცვა მკაცრად და მხრებზე ბალანსირება.

ვარჯიშის შემდეგ ისე შეეჩვია ჩემი „კავალერია“ გაბედულად მოძრაობას, რომ შეეძლო სირბილი ეზოში. ორივე მხარე ერთმანეთისაკენ ჩემი მითითებით მიიწევდა, ხან შემობრუნებული უკან იხევდნენ და მთელი რიგი მანევრების შემდეგ, ბოლოს შეიბმოდნენ. ფინალი ისეთი საინტერესო იყო, რომ ხშირად მასწავლებლები გაკვეთილის დროს გვითმობდნენ. „ცხენები“ ჭიხვინებდნენ, მხედრები ერთმანეთს თმებს წიწკნიდნენ...

ასეთი იყო ჩემს მიერ გამოგონილი ცხენოსანი რაზმი, ანუ „კავალერი“. გოგოებს, რა თქმა უნდა, აქ მონაწილეობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეძლოთ, მაგრამ გაბრწყინებული თვალებით უყურებდნენ სანახაობას.

მე თავს გმირად ვგრძნობდი და დასასრულს გამარჯვებულს ან დამარცხებულს საჯაროდ ვაღიარებდი. აგრეთვე იმათაც, ვინც მარჯვედ და ხეირიანად იქცეოდა „ცხენებსა“ და „მხედრებს“ შორის.

არც ციხესიმაგრე, მისი მშენებლობა, მისი სახეობა, ყუმბარების დაშენა, მისი აღება მე არსად არ მინახავს, რადგანაც ჩვენს სოფელს ჯერ არ გავცილებივარ, მაგრამ ფანტაზიამ შემდეგი გამაკეთებინა: იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. სკოლის სახურავზე კაცის სიმაღლე თოვლი იყო. ახლო მცხოვრებნი, ნიჩბებით შეიარაღებულნი სახურავზე ავიდნენ და სკოლა გადათოვლეს. სკოლის ირგვლივ აუარებელი თოვლი დაიდო, მაგრად დატკეპნილი. ამას გარდა ეზოში მეტრის სიმაღლე ფიფქი თოვლი იყო. ამოდენა თოვლი ჯერ მე არ მენახა. მთელი ღამე არ მეძინა და სულ ამ თოვლის გროვაზე ვფიქრობდი... მეორე დღეს გადავწყვიტე „ციხის“ აშენება და მოვიწვიე ჩემი ამხანაგები. ნიჩბები სახლებიდან მოვიტანეთ. სახურავიდან გადმოთოვილი თოვლიდან ფილები ამოვჭერით და შერჩეულ ადგილზე დავალაგეთ ერთი მეორეზე.

შემდეგ ეზოს დაუტკეპნავი თოვლის ერთი ბურთულა ვაგორავეთ მანამ, სანამ გაკეთდა დიდი გორა. ესეც შუა ალაგას მივაგორეთ, და შეკოწიწებულ ნაჭრების ზემოთ ავაგორეთ. ამას მეორე, მესამე დაემატა და შუა ეზოში შეიქნა ძალიან დიდი თოვლის გროვა, სიმაღლით ორ-სამ მეტრამდე. შუა ტანი მეორე მხრიდან გამოვჭერით და იქ ყუმბარების საწყობი მოვათავსეთ.

ყუმბარები – თოვლაბურთები იყო და ასეთები აუარებელი რაოდენობა დავაგროვეთ „საწყობებში“ და მაღლა ბაქანზეც.

ეზო თითქმის გასუფთავებული იყო თოვლისაგან, მაგრამ აქა-იქ პატარ-პატარა სათავსოები გავაკეთეთ ყუმბარისათვის. ჩემი აზრით, ასეთი უნდა ყოფილიყო ციხე.

როცა ყველაფერი მზად იყო, ციხის დამცველად დავნიშნე მეოთხე და მეხუთე განყოფილების მოწაფეები, ე.ი. ჩემი ამქრები; დანარჩენებს, შემოსეულებს ყველა მხრიდან, ბრძოლით უნდა აეღოთ და წაერთმიათ ეს ციხე; ჩვენ-კი მტერი უნდა მოგვეგერებინა, უკუგვექცია და ციხე დაგვეცვა.

სამი დღე ვაშენეთ ეს ციხე. ბრძოლა დანიშნული იყო მეოთხე დღეს დიდი შესვენების დროს. ყველა მოუთმენლად მოელოდა ამ მომენტს. მასწავლებლებმა, ჩვენი მეტის-მეტი გატაცება რომ დაინახეს, თითქმის მიგვანებეს თავი და ისინიც დიდი ინტერესით უყურებდნენ ჩვენს ფუსფუსს.

დადგა სანატრელი მომენტიც. მე -- სარდალმა, ციხის მაღალი ბაქანი დავიკავე. ჩემი მოადგილე ლავრენტი იყო. მოიერიშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმებს მეთაურობდნენ: ერთ მხარეს – იულონ გურგენიძე, მეორეს – ილიკო. სანიტარული განყოფილება ფილიპეს ებარა(მგონი აქედანვე აირჩია მან ექიმის პროფესია).

მცველები ციხის ირგვლივ განლაგდნენ. საწყობებიდან ყუმბარების მომწოდებლებიც თავიანთ ალაგას დადგნენ.

მოიერიშენიც ეზოს კიდურებში განლაგდნენ, შეიარაღებულნი ყუმბარებით. თითოს ათ-ათი ყუმბარა (თოვლბურთა) ჰქონდა ხელში, ან ჯიბეში. ბრძოლის დაწყების ნიშანი იყო ზარის ერთხელ მაგრად ჩამორეკა, როცა მე ვანიშნებდი. ზართან იდგა თებოქა და მის ირგვლივ სხვა გოგონები.

ყველაფერი რიგზეა. ეზოს ტერიტორიაზე სამარისებული სიწყნარე და სიჩუმეა! და, აჰა, გაისმის ჩემი განკარგულება: „ზარი!“

ჩამოჰკრეს ზარი და ეზოც ამოძრავდა... მოიერიშენი ნელი ნაბიჯით მივიდნენ დანიშნულ რკალთან, სადაც „ყუმბარების“ მარაგი ჰქონდათ და ციხისაკენ წამოვიდა „ყუმბარების“ სეტყვა, მაგრამ ციხიდანაც ასეთივე სეტყვა წავიდა მათკენ. კარგა ხანს სროლა მიმდინარეობდა ორივე მხრიდან, მაგრამ მალე შეიქმნა ხელჩართული ბრძოლა და საშინელი ყვირილით ვინ ვის ათრევდა ფეხით, ვერ გაიგებდი.

მეც ფეხით ჩამომათრიეს ციხის ბაქნიდან. ციხე დაინგრა და მე სანახევროდ მის ნანგრევებში მოვექეცი. როგორც იქნა მასწავლებლებმა დაგვაშოშმინეს და მეც ნანგრევებიდან ამომათრიეს...

ბრძოლის შედეგად რამდენიმე თავგატეხილი აღმოჩნდა და რამდენიმე დალურჯებული „ყუმბარებისაგან“. ტანსაცმელი ყველას სველი გვქონდა. სანიტარული განყოფილება სწრაფად მოქმედებდა, თავის სანიტრებით და მოწყალე დებით. მაგრამ მათი გამგე, ფილიპე, თავგატეხილი აღმოჩნდა!

მეორე დღეს დანგრეული ციხის ნაშთი ბიჭიას მხარეს ყორის გადალმა გადავყარეთ და სკოლის ეზო მალე გაშრა ჩვენს სათამაშოდ.

ყველაფრის მოგონება და აღწერა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი სკოლაში ყოფნის პერიოდის ერთი მოგონებაც მინდა მოვიყვანო.

მასწავლებელმა კორნელი ბახტაძემ, უსასყიდლოდ, პროგრამის გარეშე გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შემოიღო ევროპული ცეკვების სწავლება გამოსაშვებ მეხუთე განყოფილებაში. შემოდგომის მოკლე დღეებში, სახლში ვახშმობის დროს მივდიოდით.

გიტარაზე ან ჩონგურზე დამკვრელი ჩვენ არავინ გვყავდა. ასე მშრალი ცეკვისგან არაფერი გამოვიდა და მალე ეს განზრახვა ჩაიშალა.

ძლიერ სასაცილონი კი ვიყავით, როცა დაწყვილებულნი ბიჭები – ზოგი „დამა“ ვიყავით და ზოგი „კავალერი“. გოგონებიც იყვნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენთან „დამობა“ არ ინებეს და ისინიც ცალკე ზოგი „ბოლშევიკი“ და ზოგი „კავალერი“ იყვნენ.

ნინა ამ ცეკვაში არ მონაწილეობდა.

კორნელი მასწავლებლის კეთილი განზრახვის ჩაშლა ჩვენთვის, მოსწავლეებისათვის, ძლიერ საწყენი იყო.

ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრება. 1906 წ.

სახელწოდება „მენშევიკი“ და „ბოლშევიკი“ პირველად 1905 წელს გაისმა ჩვენს სოფელში.

„მასწავლებელი კორნელი ბახტაძე, თურმე ბოლშევიკი ყოფილაო“– ამბობდნენ და თითქოს რაღაცა ჭირი შეყრიაო ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა ჩემში.

ეს კორნელი ბახტაძე დიდი ხნის შემდეგ, ანუ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დიდ თანამდებობაზე მუშაობდა თბილისში ბოლშევიკურ პარტიაში. ერთხელ შემხვდა კავშირების სახლის კიბეზე. მიცნო და დიდი სიამოვნებით ერთმანეთი გადავკოცნეთ. შემდეგ რაღაც „უკლონისტობა“ დასწამეს, დაიჭირეს და ასე დალუპეს ნიჭიერი და ენერგიული კაცი.

1906 წლის გაზაფხულზე გამოსაშვებ გამოცდებისათვის დავიწყეთ მზადება.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ჩვენი ბიჭები და გოგონები სხაპა-სხუპით ვპასუხობდით ყველა შეკითხვაზე.

მაშინ პირველი განყოფილების ზევით ყველაფერს რუსულად გვასწავლიდნენ. ქართული ენა თანდათან იდევნებოდა. ეს იყო „რუსიფიკაციის“ ცნობილი პოლიტიკა.

გამოცდები დამთავრდა და ჩვენც ორკლასიანი სკოლა დავამთავრეთ. უმეტესობამ ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ განვაგრძობდით სწავლას სხვადასხვა დარგზე. მე გულში მქონდა ამოკვეთილი ინჟინრობა.

ნინამაც დაასრულა კორნელი მასწავლებელთან კერძოდ მეცადინეობა ეპრაქსიასთან ერთად და სათბილისოდ ემზადებოდა. ამან ციებ-ცხელება ამიტეხა.

მე არ მქონდა საქმე ისე, რომ იმავე წელს წავეყვანე ვინმეს სადმე. „ის წავა, ბიჭებიც წავლენ და შენ რაღა გეშველება?“ – ვეკითხებოდი თავს...

„მერე და ნუ ნახავ! წავიდეს! რა შენი საქმეა!“ – მეჩურჩულებოდა ვიღაცა.

„ათასი პირობა რომ დასდო, შენ მაინც უმისობას ვერ დასთმობ. თავს იტყუებ“– მეუბნება სხვა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუთუ ასეა საქმე? ეს რა უბედურება შემეყარა?“ – ვიფიქრეთ შეშინებული ვფიქრობ ჩემთვის – „ერთი ამ წუთში მანახა და მერე თუ უნდა ქვეყანაც დაინგრეს“... ადგილიდან მოვწყდი და გავიქეცი. ვიცოდი, რომ ის ანიჩქასთან იყო, ილარიონისას. იქ მივვარდი.

– რას აკეთებ? – ბრაზით ვთქვი რატომღაც.

– ვერ ხედავ? მურაბის ხარშვას ვუყურებთ, – მიპასუხა ანიჩქამ.

– შენ რა დაფეთებული სახე გაქვს? – მკითხა ნინამ.

– რამ დამაფეთა?

– მე რა ვიცი, რამ დაგაფეთა! გინდა შეგილოცო?

ერთი მუჭა ნაცარი აიღო. თავის ირგვლივ შემომიტარა და ნაცარი გადაყარა.

– აწი, არაფერი გიჭირს! – თქვა ნინამ.

რამდენიმე დღე ისევ სახლში იყო. მუდამ ერთად ვიყავით. ხან ძროხების მოსარეკად წამყვებოდა სხვა ბავშვებთან ერთად და ამით ბედნიერებას ვგძნობდი.

ვლაპარაკობდით წაკითხულ წიგნებზე, მომავალ სწავლაზე, ხან ამოცანებს ვიყვანდით ერთად და ამოცანის გამოანგარიშების ირგვლივ ვკინკლაობდით. რა რთული ამოცანა არ უნდა ყოფილიყო, ის ამოუხსნელს არ დატოვებდა. მე მოთმინება არ მეყოფოდა და მივატოვებდი.ძლიერ უყვარდა აბუნდული ძაფის გამოხსნა.

არც ერთი სიტყვით მისთვის არ გამიმხელია, რა უბედურება ტრიალებდა ჩემს გულში. მე ბედნიერი ვიყავი მასთან ახლოს ყოფნით.

– ხვალ მივდივართ მამიდასთან, – მითხრა ნინამ ერთ საღამოს. იგულისხმებოდა, რომ მოდიოდნენ ის და ეპრაქსია საჭამიასერზე.

– ვინ მიგყვებათ? – რეტდასხმულმა ვკითხე.

– მგონი, ბიძია თომა, – მითხრა, – თბილისიდან წერილს მოგწერ და შენც მიპასუხე. თუ იქაურ სკოლაში მიგვიღეს, გაისამდე იქ დავრჩებით და მომავალ წელს ზაფხულზე ისევ ჩამოვალ, – თითქოს სანუგეშოდ მითხრა მან.

– კი, მიგიღებენ, ცა! შენ ხომ ყველაფერი იცი! წერილი რომ მითხარი, არ დაივიწყო. ატმებს და მსხლებს ბევრს დაგახვედრებ. გაისამდე, იცი, რა დიდი ხანია?..

– ნახვამდის, – მითხა და მისი ფაფუკი, რბილი, მშვენიერი ხელი გამომიწოდა. ერთბაშად მივბრუნდი და სახლიდან გავიქეცი...

ის ღამე თეთრად გავათენე. ვფიქრობდი – ადრე ავდგები და თბილისში წასვლის წინ ერთხელ კიდევ ვნახავ-მეთქი, მაგრამ გათენებისას ჩამძინებოდა. როცა გავიღვიძე, გავიქეცი, მაგრამ ის უკვე წასული იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახური თათბირი ჩემს შესახებ

1906 წლის ზაფხულის დარჩენილი ნაწილი და შემოდგომაც უსაქმობაში გავატარე. უსაქმობაში სწავლის მხრივ, თორემ სახლში აუარებელ საქმეს ვაკეთებდი: ზამთრის შეშის დამზადება, ყანის სამუშაოებში მიხმარება, საქონლის მოვლა და მრავალი სხვა; კუთხის ბიჭებთან ერთად ღამ-ღამობით მაჩვებზე ნადირობა ძაღლებით და სხვა ასეთები.

სადაც მივდიოდი, ყველგან ნინა მელანდებოდა. ძლიერ მენატრებოდა და უმისობით ვდარდობდი. შემოდგომა რომ დადგა, ნინამ მომწერა, რომ ორივე დები, ის და ეპრაქსია, მიღებულნი არიან ეპარქიალურ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე და ცხოვრობენ სასწავლებლის პანსიონატში.

მისახელებდა მის ახალ ამხანაგებს და ეტყობოდა, რომ მდგომარეობით კმაყოფილი იყო. მე ძლიერ მახარებდა ის მდგომარეობა, რომ ნინა კმაყოფილი და დამშვიდებული იყო.

ნიადაგ იმაზე ვფიქრობდი, რა მემოქმედა ისეთი, რომ თავი დამეღწია სიღარიბისთვის და როგორმე სასწავლებელში შესვლის საშუალება მომეპოვებინა. ბევრს ვფიქრობდი ამაზე და უცებ ეს საშუალებაც გაჩნდა, მხოლოდ არა ერთბაშად და ისიც ხვეული გზებით!

ჩემი უფროსი ძმა, ნოე ხარაზი იყო და მუშაობდა ნაბეღლავში. იქ კერავდა წაღებს. ერთხელ ის სახლში მოვიდა. ბავშვებს, მე, პანიას და რუთიას ახალ-ახალი წაღები მოგვიტანა. მამამ საკითხი დააყენა ჩემი სწავლის გაგრძელების შესახებ. ნოემ მსჯელობაში დიდი აქტივობა გამოიჩინა. იმსჯელეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს ასე: წელს მე ისევ შევბრუნდები სკოლაში, რომ გავლილი მასალა არ დავივიწყო. ზაფხულზე კიდევ მოვემზადები ცალკე მასწავლებელთან და მომავალი სასწავლო წლიდან შევალ ბაქოს ტექნიკურ სასწავლებელში, ვინაიდან მე ეს დარგი მაქვს არჩეული და მსურს გამოვიდე ინჟინერი.

ნოე კისრულობს მომზადების და ბაქოში წაყვანის ხარჯებს. ბაქოში ვიცხოვრებ მასწავლებელ მელიტონ რამიშვილის ოჯახში, ან იორდანე რამიშვილთან. ჩემი შენახვის ხარჯებს იკისრებს ჩვენი ოჯახი საერთო ძალით.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და მაშინვე ყველაფერი ვაცნობე ნინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წელი. სიხარულის ზაფხული

არდადეგებს მოუთმენლად მოველოდი, რადგანაც ნინა უნდა ჩამოსულიყო. ესეც აღსრულდა. ის და ეპრაქსია თბილისიდან მოიყვანეს. მასთან შეხვედრის პირველად მეშინოდა, მრცხვენოდა. ამ განცდის წუთები უაღრესად ბედნიერი იყო და თანაც მძიმე. ქრისტიფორეს ეზოში მივიპარე და იქედან დავიწყე თვალიერება. ხუტუეს ეზოში ბავშვები ირეოდნენ და მათ შორის ნინაც. ტანზე წითელი ფერის შალის კაბა ეცვა თეთრი გულსაფარით. ამ ერთი წლის განმავლობაში ის კიდევ გამშვენიერებულიყო. მის ოქროსფერ თმას და ცისფერ თვალებს საოცრად უხდებოდა ფორმაც და მისი ფერიც. ასეთივე ფორმა ეცვა ეპრაქსიასაც.

ჯერ კიდევ დამალულმა დიდხანს ვუცქირე მის საოცარ სილამაზეს. რამდენჯერმე ახლოს გამირბინა ბავშვებთან თამაშისა და სირბილის დროს.

„ნინა, ვინ უნდა გახდეს შენი ღირსი! წყეული იყოს ჩემი გაჩენა, თუ შენ ვინმეს ხელი შეგეხო და მე ცოცხალი ვიქენი“ – აღთქმასავით გამიელვა თავში.

იქვე იყვნენ ჩვენი კუთხის გოგონებიც. მე შეუმჩნევლად საფარს მოვშორდი და ბიჭებს შევუერთდი... თითქოს მას სრულებით არ ვამჩნევდი... ნინამ დამინახა და მომვარდა ხელის ჩამოსართმევად გაბრწყინებული თვალებით:

– გაბრიელა, ბიჭო! გამარჯობა შენი, – მითხრა მან.

– მე „გაბრიელა“ რომ არ მქვია, შენ არ იცი? – მკვახედ მივახალე მე. ძლიერ ნაწყენმა ნინამ ერთბაშად უკან დაიხია.

– ბოდიში, „ბატონო“ გაბრიელ, დიდო „ბატონო“! – წყენით მითხრა მან. მე ტუჩებზე მწარედ ვიკბინე...

– მართლა... არ გეწყინოს, ცა! რაც, გინდა ის დამიძახე! როდის მოდი?.. შენი წერილი მივიღე... მეც მოგწერე. ხომ მიიღე? – ნინამ წარბების ქვეშიდან გამომხედა...

– კი, მივიღე და სიცილით კინაღამ დავიხოცეთ მეც და ამხანაგებიც იმის წაკითხვაზე.

– რა იყო სასაცილო იმ წერილში, გო? – ეხლა სხვებიც მოგროვდნენ ჩვენთან.

მე არ მახსოვდა მიწერილის შესახებ, ან თუ ისე სასაცილო იქნებოდა ჩემს მიერ მიწერილი ამბავი, რომელიც შემემთხვა გასულ შემოდგომაზე.

საქმე ასე იყო: ჩვენი სოფლის სკოლაში, მესამე განყოფილებამდე სწავლობდა ჩემი უფროსი ძმის, სიმონის ცოლის ძმა – ვანო ცინცაძე. ძალიან გულკეთილი, მაგრამ სწავლაში სუსტი ბიჭი. ის იყო ბუკისციხელი და სწავლის დროს ჩვენსას იდგა ბინად. მას სახლში ჰყავდა ვირი.

ერთხელ ჩავედი ბუკისციხეს და მის მამას, სპირიდონას, ეთხოვა კვირის ვადით, ეს ვირი ვთხოვე. მან მათხოვა და ვირი დიდის ამბით სახლში ამოვიყვანე. შეშა მოვზიდე და ვადის გასვლისას, ისევ წავიყვანე. ბუკისციხემდე მაყარივით მივიმღეროდი კურტნიან ვირზე ამხედრებული, მაგრამ სოფელში შესასვლელთან 4-5 იმ სოფლელი ბიჭები შემხვდნენ. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ წალდებით და მიდიოდნენ ჩვენი სოფლისკენ, ალბათ შეშისთვის. ისინიც ჩემოდენები იყვნენ.

– ბიჭებო! ვიროსანი მოდის! – შორიდანვე დაიძახა ერთმა მათგანმა.

– არ გაუშვათ ვიროსანი! – დასძახეს სხვებმაც. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ხსნა თავდამსხმელებისაგან არსაიდან ჩანდა. მომცვივდნენ და ჩამომათრიეს ძირს ვირიდან.

– რა გინდათ ჩემგან? გამიშვით ჩემს გზაზე!

– გზას მოგცემ მე შენ, შე ლაწირაკო! ვინ მოგცა ვირი? - შემიბღვირა ყველაზე უფროსმა ბიჭმა და მაგარი სილა გამაწნა.

– ბიჭო, რას მერჩი, რა დაგიშავე?

ამასობაში სხვები ვირს დაეპატრონენ, ყველა ერთად შესხდა და არბენინებდნენ შარაზე, თან უწყალოდ ცემდნენ.

ამ ყოფაში ვიყავი კარგა ხანს და თითქოს ჯინაზე არავინ გამვლელი არ გამოჩნდა, რომ შველა მეთხოვა მისთვის.

ბოლოს გალახულს, შეურაცხყოფილსა და დამცირებულს, ვირი მომიგდეს და თავი დამანებეს. მე გზა განვაგრძე, მაგრამ რაღად მინდოდა ჩემი შეურაცხყოფილი და გალახული თავი!..

შეურაცხყოფა დაკმაყოფილებას ითხოვდა, როგორმე... ვანოსას მივედი. ვირი და კურტანი ჩავაბარე. მე და ვანომ ერთ ხანს ეზოში ვისაუბრეთ. ჩემი ამბის გამჟღავნება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო ვინმესთან!.. მასზე ფიქრს მხოლოდ ჩემი გონება განაგრძობდა ჯერ ბუნდოვნად... „ერთი ხუთის წინააღმდეგ," ვფიქრობდი, რომ ღობის ძირში ორი მხარის სიგრძე დაჟანგული მავთული შევნიშნე და ეს მოვლენა ღვთის წყალობად მივიჩნიე. მოვკეცე, შევგრიხე და მათრახის სიგრძეზე დავაყენე... ისინი ზევით, ჩვენი სოფლისკენ წავიდნენ... შეუძლებელია, რომ მე მათ სადმე არ გადავეყარო... მერე რა! რას გავხდები... ყოველ შემთხვევაში ხელცარიელი არ ვარ!.. რკინის მათრახი მაქვს.

ასე გაფაციცებით მოქმედებდა ჩემი შეგრძნება რაღაცის მოლოდინში... წამოვედი და ეს ძვირფასი ნადავლი – ოთხკეცა რკინის მათრახი, თან წამოვიღე. გურგენიძეების დასახლებას მივუახლოვდი, პატარა ღელის გამოღმა, კლდის ზემოთ წალდების ჩახა-ჩუხი გავიგონე. მივხვდი, რომ ეს ჩემი დილანდელი მტრები იყვნენ. მე შემეძლო, თუ ვისურვებდი, გზის მოსახვევს ამოფარებით გამოვპარულიყავი შეუმჩნევლად, მაგრამ ეს მე არ მინდოდა. მე მსურდა წავსულიყავი ისე, რომ მათთვის დამემჩნია რაიმე დაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი მქონდა მუხლების სიმარდის და იმ მათრახის, რომელიც ხელში მეჭირა. ამიტომ დასანახ ადგილას გზაზე გამოვჩნდი და შევძახე:

– ტახიშვილებო! თქვენი დედა... (ვიცოდი, რომ ის ბიჭები სიხარულიძეები იყვნენ).

– ბიჭებო! დილანდელი ვიროსანი გვაგინებს! – შეჰყვირა უფროსმა ბიჭმა და კისრის ტეხვით წამოვიდა დაბლა შარისაკენ. მას სხვებიც მოჰყვნენ. მე მოხერხებულად დავდექი შარაზე, ზურგით ჩვენი სოფლისაკენ. მოაწია კლდის კიდურთან თუ არა, ის ბიჭი შარაზე გადმოხტა, მაგრამ მიწაზე დახტომის უმალ რკინის მათრახი ბეჭებში მოხვდა, რაც გამაჩნდა იმ ძალით. „ვაიო“– დაიძახა, წალდი გზაზე გააგდო და იქვე გადახტა... წალდს ხელი დავსტაცე. ერთი ის მათრახი კიდევ „ვაჩუქე“. ამასობაში სხვებიც თაგვებივით გადმოხტენ გზაზე. მე მოთქრიალე სისხლი დავინახე და წალდიანად მოვუსვი...

ყველა გამომიდგა გალახულის გარდა, მაგრამ ჩემი დამწევი ისინი არ იყვნენ. ორ კილომეტრამდე მდიეს და რა დაინახეს, რომ თანდათან ჩამომრჩებიან, მომაძახეს:

– შე მამაძაღლო, წალდი დატოვე და წადიო...

ამ დროს მე ლუკაიას ღელე უკვე გავლილი მქონდა. რაც გამაჩნდა იმ ძალით წალდი სუფსის უფსკრულში გადავისროლე და Წირბილი განვაგრძე. იმ წალდს ვერავინ, ვერასოდეს ვეღარ ნახავდა...

აი ეს ჩემი გალახვის და შემდეგ შებრძოლების ამბავი მქონდა მოკლედ მიწერილი ნინასათვის.

– შენი დაპირებული ატმები და მსხლები სად არის, ბატონო გაბრიელ?

– მასე უკმეხად ნუ მელაპარაკები. წამოდი და მიირთვი რამდენიც გინდა, – გულთბილად ვუთხარი მე. მანაც ღიმილით თქვა:

– იცი, რამდენი ამბები მაქვს შენთვის მოსაყოლი!

თავი ძლივს შევიკავე, რომ გულში არ ჩამეკრა.

– ნინა, თქვენს სკოლაში ყველას ასეთი კაბები აცვია?

– ხო. არ მოგწონს?

– ძალიან მომწონს. შენ სულ გხატავს, მე კი ასეთი „ფორმა“ მაქვს, – ჩემს დახეულ ტანსაცმელზე მივუთითე.

– დაიცადე და შენზე ულამაზესი „ფორმა“ არავის ექნება ჩვენს ნაცნობებში. შენ რომ ბაქოს ტექნიკურ სასწავლებელზე მომწერე, იმის შემდეგ სულ ვათვალიერებდი და ვეძებდი იმათ და ვიღაცას თბილისში დავუნახე კიდეც. ძალიან ლამაზი ფორმაა. შავი მაუდის პიჯაკი და მხრებზე ყვითელი ოქროს ფერი ჩინები აბნევიათ, ქუდებზე აქვთ ჯვარედინი ჩაქუჩები.

– მართლა? – მადლიერებით შევხედე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებმა ზაფხული ერთად გავატარეთ. წარმოდგენა წასვლისა არ დაგვიდგამს. მე მზადებით ვიყავი გართული და არ მეცალა. ნინა ამოცანების ამოხსნაში მშველოდა. მეთაკილებოდა, რომ გოგო მჯობნიდა ამოცანების ამოხსნაში.

ბაქოსთვის ვემზადებოდი, როგორც ზემოთ ვთქვი, მაგრამ მამაჩემს შეხვედროდა მირიან მასწავლებელი და ეთქვა:

– კაცო, ტექნიკური სასწავლებელი აგერ არის ბათუმში და რაღა ბაქოში აგზავნი ბავშვს?

ამ თქმამ დავთარი ამირია და დამაბნია მეც და შინაურებიც ბაქო ბათუმზე შემიცვალეს. ამ გარემოებამ მე დიდად შემაფერხა ცხოვრებაში! თუ არა ეს გარემოება, მე სამი წლით ადრე მივაღწევდი ჩემს მიზანს სწავლაში, ვიდრე ეს მოხდა სინამდვილეში.

საღი მოსაზრება მეც მეუბნებოდა, რომ სიახლოვით ბაქოს ბათუმი სჯობდა, მაგრამ უბედურება თურმე სხვა რამეში იმარხებოდა. ეს გავიგე მაშინ, როცა მომხდარი ფაქტის წინ აღმოვჩნდი და გასაქანი აღარ მქონდა...

ბათუმში მიდიოდა ფილიპეც გიმნაზიაში შესასვლელად. ხეირიანად და მტკიცედ გარკვეული არც ვიყავი, სად მივდიოდი. ოღონდ კი შევსულიყავი რომელიმე სასწავლებელში და რომელში შევიდოდი – ეს სულ ერთი იყო ჩემთვის იმჟამად. უფროსები ამ საკითს ვერ ჩაწვდნენ.

ზაფხული მიიწურა და ყველა წასასვლელად მოვემზადეთ. ნინა მოგვიანებით უნდა წამოსულიყო, რადგანაც მას შესასვლელი გამოცდები არ აწუხებდა. მე დანაღვლიანებული ვიყავი...

– შენ ისე დარდობ, თითქოს აქედან წასვლა არ გინდოდეს, – ერთ საღამოს მითხრა ნინამ.

– წასვლა როგორ არ მინდა! ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ აქ რაღაცას ვტოვებ, – ვუპასუხე მე.

– მაინც რას? – ეშმაკური გამოხედვით შემეკითხა ის, – სისულელის ლაპარაკს თავი დაანებე და შენს საქმეზე იფიქრე, – თითქოს დიდი გამოცდილების მქონე ყოფილიყოს, ისეთი სერიოზულობით მითხრა მან.

– ნინა! წერილს ხომ მომწერ?

– ჯერ შენ უნდა მომწერო. შენ იცი ჩემი მისამართი და შენი მე – არა.

– ნეტავი მოვეწყო და წერილს მეორე დღესვე მოგწერ.

– გაბრიე-ე-ელ! – ვიღაცამ დამიძახა სახლიდან.

– მეძახიან, მშვიდობით, ნინა!

– კარგად იყავი, „ბატონო გაბრიელ!" დილას კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

მოვბრუნდი და შინისკენ წამოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი. 1907-1908 წ.წ.

მე და ჩვენი სოფლელი მეზობელი კალისტრატე ჯანელიძე ბათუმში ერთად მივყავდით ჩემ ძმას, ნოეს. ჯერ არც ერთი და არც მეორე ჩოხატაურს არ ვიყავით გაცილებული და ქვეყანაზე არაფერი ნანახი არ გვქონდა. არც ფაეტონში ვმჯდარვართ არასოდეს. მგზავრობა მაშინ მხოლოდ ფაეტონით შეიძლებოდა ჩოხატაურიდან საჯავახომდე. დიდის გადაყვანა ღირდა ერთი მანეთი, ხოლო მოწაფეების – ათი შაური. ფაეტონი იტევდა I მგზავრს, მაგრამ ზოგჯერ 10 და მეტიც გადაჰყავდათ. ფაეტონში შებმული იყო 3-4 ცხენი. ორ საათში საჯავახოს სადგურში ვიყავით.

მატარებლის ლოდინში, რომელიც არასოდეს არ გვენახა, მე და კალისტრატემ დავიწყეთ სადგურის დათვალიერება. ვეძებდით რკინისგზას. ჩვენ გვეგონა რკინისგზა მთლიანი რკინაა, გაფენილი მიწაზე და ზედ დაგორავს ის, რასაც ეწოდება მატარებელი. აქ კი რამდენიმე რკინის ძაფებია გაბმული. ამ ძაფების პარალელურობას ვერ ვამჩნევდით. დიდი ბჭობის შემდეგ რაღაცა დავადგინეთ და იმაზე შევჩერდით გაურკვეველნი.

ნოემ ბილეთები იყიდა. დაღამდა, მაგრამ ბოძებზე საოცარი ფანრები აანთეს. ხალხი ირევა და ფუსფუსებს. ნოე გვაფრთხილებს: „მატარებელი რომ მოვა, თქვენ არ შეშინდეთო“. ეს გაფრთხილება უარესად გვაფრთხობს. „ალბათ დიდი უბედურებაა მოსალოდნელი, თორემ ეს ხალხიც არ აირეოდა ასე“, – ვფიქრობდი.

ბარგი ხელში გვეჭირა და ორივენი ნოეს ვყავდით დაჭერილი ხელებით. ამ დროს, სიბნელეში, რაღაცამ საზარლად დაიღრიალა და სავსე მთვარის ოდენა თვალი გააღო! დავაპირეთ ნოეს ხელიდან დასხლტომა და უკან, მინდვრისკენ გაქცევა, მაგრამ ნოეს მაგრად ვეჭირეთ და ეს ვერ შევძელით.

საშინელი ხრიალის, შრიალის და დიდი ხმაურის შემდეგ, რაღაცა უზარმაზარი, შავი გაჩერდა ჩვენს წინ. შევნიშნე, რომ პატარ-პატარა სახლებია ერთმანეთზე გადაბმული. ხალხი ამ სახლებს მიაწყდა და კისრის ტეხით კიბეზე ადის. ნოემ ჩვენც აგვათრია. დიდი ხმაურისა და განცდებისაგან მოსაზრება წართმეული გვქონდა, გალენჩებული ვიყავით...

ისევ ის საზარელი დაღრიალება და ისეთი ჯახების შეგრძნება, თითქოს ფეხების ქვეშ ყველაფერი გამოგვაცალესო. წინ მდგომთ მივეჯახეთ, მაგრამ ისევ ფეხზე დავდექით.

ამ დროს გუგუნი და რაკა-რუკი მოგვესმა. ნოემ ფანჯარაში გამახედა, მაგრამ ვაი ამ გახედვას! ჩვენ ადგილზე ვდგევართ და გარეთ ყველაფერი ლაწალუწით უკან გარბის. გარბიან ხეები, მინდვრები, სახლები და ყველაფერი, რაც ოთახის გარეთ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი-კი ადგილზეა გაჩერებული. კიდევ გავიხედე – ისევ სურათია, შიგნით შემოვიხედე – ვდგევართ. გული ამერია...

ხალხი მილაგდ-მოლაგდა. ჩვენ დავჯექით და გაშტერებისაგან ხმას ვერ ვიღებდით. ნოემ ხელი მომკიდა და შემოსასვლელისაკენ წამიყვანა. კარი გააღო და მითხრა:

– თუ რამე მოგინდეს, აქ უნდა შეხვიდეო. სუნზე მივხვდი, რა „მონდომებაზე" იყო ლაპარაკი. შემდეგ კარი გააღო. მე ქვევით ჩავიხედე და კინაღამ გული შემიღონდა. მიწა ისეთი სისწრაფით გარბოდა უკან და ისეთი გლაჯა-გლუჯით ეხეთქებოდნენ ბორბლები მიწაზე გაბმულ რკინის ძაფებს, რომ ვიფიქრე, სადაცაა კისრებს მოვიტეხთ-მეთქი...

მაგრამ კისერი არ მოვიტეხეთ. გონს მოვედით. ეს სახლი ყოფილა ვაგონი, ვაგონები ერთმანეთზეა გადაბმული და რკინისგზის ლიანდაგზე მიჰყავს ორთქლმავალს.

ჩავედით ბათუმში. მეორე დღეს რაფიელ გიორგის ძის ხელმძღვანელობით მივედით ჩვენს სასწავლებელში.

"*Батумское ремесленное училище*" ეწერა შენობას. მივხვდი განსხვავება "*Техническое*"-სა და "*Ремесленное*"-ს შორის, მაგრამ ახლა რაღა უნდა მექნა! ბრაზით ავივსე მირიანის მიმართ, მაგრამ ახლა ყველაფერი გვიანი იყო, განცხადების და საბუთების ჩაბარების შემდეგ, გამოცდებზე დაგვიბარეს.

სასწავლებელმა გარეგნობით დიდი არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ყველაფერი უცხო, რუსული, არა მშობლიური; მოწაფეების უმრავლესობა, მასწავლებლებიც – რუსები, ერთადერთი ქართველი – ზაქარია იოსების ძე უზნაძე იყო. სულისკვეთება, ელფერი, რეჟიმი – სულ უცხო, რუსული...

სასწავლებელს ჰქონდა საერთო საცხოვრებელი – პანსიონი, უღარიბესებს იღებდნენ სახელმწიფო ხარჯზე.

გამოცდებზე უგულოდ გავედი. ძალაუნებურად ვწერდი თუ ვპასუხობდი. მიმიღეს, მაგრამ ჩამრიცხეს მეაბრეშუმეობის განყოფილებაში. ეს კი მე სრულებით არ მინდოდა. აბრეშუმის ჭია სოფელშიაც მეზიზღებოდა.

მობრუნება სოფელში

სასწავლებელში ერთ კვირამდე დავყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მეტი აღარ შემეძლო. ნოეც იქ იყო და რალაც საკუთარ საქმეს აგვარებდა. თეორიული მეცადინეობის დროს მასწავლებლები ძაღლებივით ღრენდნენ. სახელოსნოში დაზგებზე ცხელ წყალში ჩაყრილი იყო აბრეშუმის პარკი და ვიღებდით ძაფს. სუნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობა და ირგვლივ ყველაფერი ჩემთვის საზიზღარი ხდებოდა. დღეს ნოეს გამოვუცხადე:

– მე ამ სკოლაში არ ვისწავლი.

– რატომ, კაცო?

– არ მინდა მე მეაბრეშუმეობა და აყროლებულ სახელოსნოში ყოფნა.

– აბა, სად გინდა, ბიჭო?

– მე ტექნიკურ სასწავლებელში მინდოდა, ბაქოში. ეს მამას მირიანა ჩხიკვაძემ ურჩია და გზაკვალი ამირია.

– აბა, რა ვქნათ ახლა?

– წამიყვანე ისევ სახლში, თორემ შენ რომ წახვალ, გავიპარები. სულერთია ბინა მაინც ვერ ვიშოვეთ და პანსიონში ხომ არ მღებულობენ!

– წამოდი, აბა. წელს კიდევ იმეცადინე და გაისად წავიდეთ ბაქოში.

სიხარულისაგან კისერზე მოვეხვიე. წამოვედით ისევ სოფელში.

საჯავახოდან ის წავიდა ქუთაისში ტყავების საყიდლად და მე სახლში გამომიშვა. ფაეტონს არ დავუცადე და ფეხით დავადექი ჩოხატაურის გზატკეცილს. ბერძნისწყაროს რომ გავცდი და ალმართს შევუდექი, ატყდა ჭექა-ქუხილი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. სრულებით დავსველდი, მაგრამ არსად გადავიყუდრე. ფეხზე გავიხადე, ფეხსაცმელი წიგნებთან ჩანთაში ჩავაწყვე და ფეხშიშველი მივტოპავდი. წვიმა მალე შეწყდა, მაგრამ გზაზე დიდი ლაფი დადგა.

ერთ ალაგას ცხენიანი მღვდელი შემხვდა. გამარჯობა ვუთხარი და გავცილდი. ერთ კილომეტრამდე რომ გავიარე, გზაზე ცალი ფეხის ახალი კალოში ვნახე ლაფში დაგდებული. მივხვდი, რომ ეს უთუოდ მღვდლის კალოშია; ხელი დავტაცე, ისევ უკან მოვბრუნდი და გამოვუდექი ცხენოსან მღვდელს. ვირბინე, ვირბინე და ერთი მოხვეულიდან ცხენოსანი დავინახე. მივაძახე:

– ცხენიანო, გაჩერდი! ცხენიანო, გაჩერდი! – კალოში დავანახე, -ეს თქვენია? – ვკითხე.

მან ფეხზე დაიხედა და ნახა, რომ ცალ ფეხზე კალოში არ აქვს.

– შენ გაგზარდა ღმერთმა – რა გვარი ხარ, ბიძია?

– რამიშვილი.

– სიკეთე მოგცა ღმერთმა, – და ფეხი გამომიშვირა.

მე კალოში ჩავაცვი. მან ჯიბეებს ხელები მიმოავლო, შაურიანი ამოიღო და ტალახში ტყეპა მოადენია.

– შენ გაიზარდე, – კიდევ მითხრა და მიბრუნდა.

– მე ეს ფულითვის არ გამიკეთებია, – მივაძახე, მაგრამ ის უკვე გაცილებული იყო იქაურობას კარგა მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაურიანისთვის არც მიმიხედავს, წამოვედი ისევ თავის გზით და ფიქრით...

საღამოზე სახლში ვიყავი. სოფელში აღარც ნინა, აღარც არავინ ბიჭებთაგანი. ყველა გაკრეფილიყვნენ სოფლიდან...

„სასოწარკვეთილებიდან“ გამოსავალი

ბოლმამ ამიტანა. ორი საუკეთესო წელი ჩემი სწავლის პერიოდიდან, 1907 – ორკლასიანის დამთავრების შემდგომი, უსასხრობის გამო უმოქმედობაში გავლილი – და 1908 – ბათუმიდან მობრუნება – უკვე ამოირიცხა ჩემი სწავლის ხანგრძლივობიდან. გაბოროტებული დევეხეტებოდი. „რაღაცა იღონე“, ვეუბნებოდი ჩემს თავს, მაგრამ, რა?

„გარუსების“ პოლიტიკა ორი წელია, რაც შემოსული იყო საქართველოს სკოლებში. ქართული სკოლების ინსპექტორად დანიშნული იყო ს.გ. მაჭავარიანი. მისი რეზიდენცია იყო ქუთაისში. მის მოლოდინში ჩვენ გვაზეპირებინებდნენ მის სახელს, მამის სახელს, გვარს, ჩვენი სკოლის სახელწოდებას და სხვას. აღთქმული დღე დადგა ჩვენთვის. „ღმერთის ტოლა ინსპექტორი მაჭავარიანი“ გვესტუმრა. ჩვენი III განყოფილების შემოწმების დროს მე მახსოვს ასეთი სურათი: მოწაფეები განურჩევლად სქესისა, ყველა შეკითხვაზე პასუხობდნენ უშეცდომოდ.

ამ მეცადინეობაში გაიარა 1908 წლის შემოდგომამ, 1909 წლის ზამთარმა და გაზაფხულმა.

მაგრამ ამასობაში ბათუმიდან მოსული რაფიელ მასწავლებელი ენახა მამას და ჩემზე ჩამოეგდო ლაპარაკი. რაფიელს ისეთ ფერებში დაეხატა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი და ისე შეექო ის, რომ გაცილებით მაღლა დაეყენებია, ვიდრე ბაქოს ტექნიკუმი.

ამიტომ მე ისევ ბათუმში მომიწია წასვლა. მოახლოვდა ის პერიოდი, როდესაც წასული ამხანაგები უნდა მოსულიყვნენ სოფელში. მე გულის ფანცქალით მოველოდი ნინას მოსვლას. „ნეტავი როგორი იქნება, ისურვებს თუ არა ჩემთან ლაპარაკს? – ვფიქრობდი მე. შეპირებული წერილი არ მიმიწერია და ამ წელმა ისე გაიარა, რომ ერთმანეთის არაფერი ვიცოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი სიხარული

ერთ დღეს, სახლში, გრძელ საწოლზე ჩამომჯდარი, ძლიერ დაფიქრებული ვიყავი. სახლში არავინ იყო. უცებ ღია კარებში ნინა მერცხალივით შემოფრინდა და ჩემთან მოიჭრა.

– შე, უსინდისო! რატომ არაფერი მომწერე, თუ მთელი წელიწადი სახლში იყავი? – მე ზეზე წამოვვარდი, გავწითლდი, დავიბენი.

– ნინა! როდის ჩამოდი? მე არაფერი გამიგია! როგორ ხარ? ხომ გადადი შემდეგ კლასში? ეპრაქსია როგორ არის? – მივაყარე ზედიზედ კითხვები.

– შენ სიტყვას ბანზე ნუ აგდებ. რატომ არაფერი მომწერე?

– რა მომეწერა, ცა? სასწავლებლიდან სახლში წამოვედი და ისევ ვემზადები.

„მაშ, არც გაბრაზებულია (ხანგრძლივი გაბუტვა მას არ შეეძლო), ჩემთან ისევ ისეა, როგორც ყოველთვის იყო განწყობილი და არ თაკილობს ჩემთან ყოფნას“, – ვფიქრობდი მე.

ამ ზაფხულს, ნინასთან გატარებულს, ბედნიერ ზაფხულად ვთვლიდი. ენაზე კბილი მაგრად მქონდა დაჭერილი და არასდროს არაფერი მიგრძნობინებია მისთვის, რომ მე ის განუზომლად მიყვარდა. არც სხვა ამხანაგებს ჰქონიათ ამის შესახებ ეჭვი...

ნინას ხანდახან ვეკინკლავებოდი და ვუბრაზდებოდი, ვითომ ჩემი ჭკუით ვებრძოდი ჩემსა და მას შორის შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ:

– რომ არ გამოგდის ეს გაბრაზება, რატომ იწუხებ თავს, – გულუბრყვილოდ მეტყოდა ის და მაშინვე ფარ-ხმალს დამაყრევინებდა...

ისევ სახელოსნო სასწავლებელი. 1909 წ.

ბათუმში, ისევ სახელოსნო სასწავლებელში გამოცდებს ვაბარებ. გამოცდები „კავერზული“ დიქტანტით იწყება. პირველ წინადადებაში „იათის“ ხმარებით შეიძლებოდა ოთხი შეცდომის დაშვება რუსულ მართლწერაში, თუ გრამატიკაში მაგრად არ იყავი. დაუშვა კიდეც ბევრმა. შემდეგი გამოცდებისაგან ისინი თავისუფალნი იყვნენ.

გამოცდებზე, გასულ წელთან შედარებით, უფრო ხალისიანად ვიყავი და ჩავაბარე მეორედ. მიმიღეს საზეინკლო განყოფილებაზე და ეს ძლიერ მიხაროდა.

მიღებისთანავე ნინას თბილისში მივწერე ამის შესახებ. მან, დაუყოვნებლივ მოლოცვით მიპასუხა, რასაც იზიარებდნენ ჩემთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებით უცნობი მისი ამხანაგებიც. წერილში ნინასებური იუმორის და ცელქობის ელემენტი იყო ჩაქსოვილი.

ამხანაგებს შორის გამოირჩეოდნენ: მიშა კალატოზიშვილი, ივანე ნაცვალაძე, ნაუმ ჭანკვეტაძე და სხვები. ძლიერ დავახლოვდით მე და მიშა კალატოზიშვილი.

პანსიონში არ მიმიღეს და ვცხოვრობდი გიორგი ბარამიძისას, რომელსაც ცოლად ჰყავდა *Афанасья Павловна Дувакина* – შემდეგში დიდივანის სკოლის მასწავლებელი.

სასწავლებლის პედაგოგები, გარდა ზაქარია იოსების ძე უზნაძისა, იყვნენ რუსები და პირწავარდნილი რუსი შოვინისტები. ისინი განსაკუთრებული უსულგულობით უცქერდნენ ყველაფერს ჩვენსას და შესისხლხორცებული ჰქონდათ რუსული პოლიტიკა საქართველოს გარუსების შესახებ. ეს მდგომარეობა მკაფიოდ იგრძნობოდა სასწავლებელში. რუსი კონტინგენტი პრივილეგიით სარგებლობდა და ადგილობრივი მუდამ მეორე პლანზე იყო დაყენებული.

ეს მდგომარეობა ცხადი იყო საყოველთაოდ და ძლიერ ფრთხილად მასწავლებელი რაფიელი, „ორირამას“ ფსევდონიმით და ხანაც „კაცათკაცის“ გვარის მოწერით წერილებს ათავსებდა გაზეთებში.

საინტერესო და სასაცილოა ერთი ეპიზოდი, რაც მე შემემთხვა ამ სასწავლებლის პირველსავე კურსზე სოფლური გამოუცდელობის გამო!

ჩვენი სკოლის შენობაშივე იყო ეკლესია, რომელშიც ჩვენი მღვდელი ყოველ დღესასწაულზე ასრულებდა წირვას. მოწაფეებიდან შემდგარი იყო, შერჩეული ხმებით, მგალობელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეგენტი ნიკიტინი.

მე ხმების გამოცდას რატომღაც გვერდი აუარე და გუნდში არ ვმონაწილეობდი. ვიღაცამ დამასმინა, რომ მე არ გამივლია ხმების გამოცდა. „ნადზირატელმა“ რიაბცევმა საამისოდ წარმადგინა ნიკიტინთან.

ხმის გამოცდა რანაირად უნდა მომხდარიყო, არ ვიცოდი. მეგონა ამისათვის რაღაცა ხელსაწყოს ხახაში ჩამიყოფდნენ და ამის სასტიკად მეშინოდა. ასეც ვიყავი განზრახინფორმირებული. მომღერალ ბიჭებს ყველას გავლილი აქვს ხმის გამოცდა და ყველა ცოცხლებია, მე რაღა ღმერთი გამიწყრება-მეთქი...

გრძელი დერეფნის ზედა თავში დგას ფისგარმონია და მის ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად დგანან მოწაფე მგალობლები, ხმების მიხედვით: დისკანტები, ალტები, ტენორები და ბასები. თითო ჯგუფში 4-5 მომღერალი. მიმიყვანეს და გამაჩერეს ამ დასაკრავის წინ განწირულივით. დასაკრავი არასოდეს არც მინახავს და არც მისი ხმა მსმენია. მოვიდა რეგენტი ნიკიტინიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– *"Ну-ка, голубчик!"* – მომმართა მე. მე ატანილი ვიყავი ბინოთ. ერთი ხელით მეორეზე პოტიკა რკინა (კამერტონი) დაჭკრა და ყურთან მიიდო. გადავწვიტე, რომ ამ პოტიკა რკინას ის ხახაში ჩამიყოფს. ამასობაში თითი დასაკრავის თეთრ, პრიალა კლავიშს დაადო და საშინლად (ასე მომეჩვენა) დააღრიალა. თავში გამიელვა – „რაღას ვუცადო, სანამ მთლად დამიმორჩილებს?!" მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა. არც ვაციცვე, არც ვაცხელე და ვისკუპე. რეგენტის გვერდით დასაკრავს გადმოვახტი და გაპრიალებულ გრძელ დერეფნის იატაკზე გაგებულ „დაროჟკაზე" გავიქეცი, შიშით შეპყრობილი, რომ არ დამეწიონ და არ შემიპყრონ. სანამ გამოსასვლელ კარებს მივაღწიე, სამხელ დავასკდი გაპრიალებულ იატაკს. უკან სიცილის და ხარხარის ხმა მესმოდა. ეზოში გამოვარდი. იქედან ქუჩაში და რამდენიმე წუთში სახლში გავჩნდი.

გიორგი ბარამიძისას ხშირად დადიოდა ვასასი, შემდეგში პოეტ გიორგი ქუჩიშვილის მეუღლე. მას ვუამბე ყველაფერი, რაც შემემთხვა. მან გიორგის მეუღლეს აუხსნა რუსულად. უკანასკნელი სასწავლებელში მივიდა და ბოლოს რეგენტს აუხსნა, რომ მე ვარ სოფლელი ბიჭი, რომელსაც ჯერ არ უნახავს არც ეს ფისგარმონია და არც სხვა დასაკრავი. დამარწმუნეს, რომ საშიში არაფერი იყო და რეგენტმა ხმის ხელახალი გასინჯვა დამინიშნა. ხმის დისკანტებში ჩამრიცხა და სასწავლებლის ეკლესიაში მამღერებდა.

გალობის გაკვეთილი გვქონდა კვირაში ერთხელ, თითო საათი. სხვა დროს, თეორიული მეცადინეობის შემდეგ დღის მეორე ნახევარში, ორიდან ექვსამდე გავდიოდით პრაქტიკას სახელოსნოში. მე ეს მუშაობა ძლიერ მომწონდა და ტექნიკოსის და „მასტერების" დავალებას გულმოდგინედ ვასრულებდი. განსაკუთრებით მიყვარდა ხაზვა და დიდი მონდომებით ვასრულებდი მას, მაგრამ გულქვა რიაბცევი ჩემ გულმოდგინებას ვერ ხედავდა. სასოებით შესრულებულ ნახაზს წკიპურტის გაკვრით გაუსინჯავად იატაკზე გადმოაგდებდა. ამავე დროს რიაბცევი რუსების ნაკლებად ღირებულ ნახაზს მიიღებდა.

მგალობელთა გუნდში ჩარიცხვას უქმად არ ჩაუვლია ჩემთვის. თანდათან გონს მოვედი. გალობა შემიყვარდა. რეგენტის ხელში „კამერტონი" შევათვალიერე და სახელოსნოში ასეთივე გავაკეთე ჩემთვის. გუმანში მქონდა, სოფელში კულტურა ჩამეტანა, მეგობრებისათვის სიმღერა-გალობა შემესწავლებინა. შევეცადე კიდეც ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანას და მოვუწოდე ჩემ საყვარელ მეგობრებს გალობის შესასწავლად. დათანხმდნენ ჩემს „ლოტბარობას", მაგრამ ვატყობდი – მხოლოდ „ხათრით" ხდებოდა ეს! ყველაზე უსაყვარლეს ამხანაგს – ფილიპეს – სასიმღერო ხმა და სმენა სრულებით არ აღმოაჩნდა და მღერის დროს ფილიპე ცხვარივით ბღაოდა. მე მალე დავრწმუნდი ჩემს ბავშვურ მეტიჩრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლის პანსიონში არ მიმიღეს და ბინიდან დავდიოდი. დანიშნული მქონდა სტიპენდია თვეში სამი მანეთი.

ერთხელ ნინამ წერილი მომწერა: „ჩვენი საყვარელი თებოქა გარდაცვლილა და შენს და ჩემს სახელზე წერილი დაუტოვებია“. წერილს სოფლიდან მწერდა. ამ ცნობამ მე თავზარი დამცა. ვიტირე კიდეც ამის გაგებაზე. თებოქა განსაკუთრებული ბუნების, მოსიყვარულე, ჩემი ტოლა იყო. ნინასა და ჩემთან ძლიერ დაახლოებული. დარდის გავლენით თებოქას სიკვდილის გამო ლექსი დავწერე და გადავწვიტე სოფელში ჩასვლისას ყველა ამხანაგების თავის მოყრა თებოქას საფლავზე და ამ ლექსის წაკითხვა. ასეც მოვიქეცით.

– აი თებოქას წერილი, – მითხრა ნინამ სოფელში ჩასულს და გაყვითლებული რვეულის ფურცელზე ფანქრით დაწერილი თებოქას აკანკალებული ხელით დაწერილი ბარათი გადმომცა. ის ბიცოლა ბაბუსის მიეცა მისთვის. ბარათში ეწერა: „ნინაია გოგო! გაბრიელა ბიჭო! არ დამივიწყოთ! ჩემს საფლავზე ყოველ წელიწადს მოდით! იცეკვეთ და იმღერეთ ყველამ... მშვიდობით... თეოდორა მოსპობილი“.

ამის წაკითხვაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ნინა გულამომჯდარი ქვითინებდა... მარტონი ვისხედით ბიძაჩემ ლუკას ეზოში ურთხმელის ძირში, გრძელ სკამზე.

როგორც იქნა დამშვიდდა. თვალებში ცრემლებით და ლოყაზე ცრემლნადენმა შემხედა. უცნაური იყო ეს შემოხედვა! მისი აღწერა და სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია!

მესიამოვნა, რომ ნინა მთელი ზაფხული სოფელში იქნებოდა. ბიჭები ყველა მოვინახულე. გადავწყვიტეთ, რომ ერთ დღეს თებოქას საფლავს მოვინახულებთ ყველა ერთად. ასეც მოვიქეცით. მე ჩემი ლექსი წავიკითხე. ყველა ცრემლების ღვრით ისმენდა; რაღაცეები სიმგლოვიარო მოგონებები ვთქვით და დავიშალეთ...

რიაბცევის სისასტიკე

ზაფხული გაიპარა. ჩვენც ნელ-ნელა გავიკრიფენით სოფლიდან. ნინას სახე აჩრდილივით ყველგან თან დამყვებოდა. ბათუმში ისევ ის მასწავლებლები და მათი შოვინიზმი, ისევ დედინაცვლის შეუბრალებლობის შეგრძნება მათგან.

„ნადზირატელ“ რიაბცევის საქციელი აუტანელი იყო. მას ნამდვილად ვძულდით ყველა არარუსი. ჩვეულებად ჰქონდა სიარული სასწავლებლის ეზოსა და სათავსოებში საათით ხელში. საათს მტკავლის სიგრძე ძეწკვი ჰქონდა მობმული. მიადგებოდა რომელიმე მოწაფეს რაიმე კითხვით და ძეწკვს ცხვირთან აქეთ-იქით უქანავებდა. მოწაფე თვალებს იცავდა და ამიტომ პასუხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნეულად აძლევდა. ამაზე ის ბრაზდებოდა და სჯიდა მოწაფეს ან საათის ქვეშ გაჩერებით, საერთო დერეფანში ან საპყრობილეში ჩაკეტვით რამდენიმე საათით. საპრყობილედ გამოყენებული ჰქონდა აბანო.

ორჯერ მეც მხვდა ეს ბედნიერება სასტიკ რიაბცევისაგან უმიზეზოდ. პირველად ყოველივე დანაშაულის გარეშე. თითქოს სადღაც ქუჩაში შევხვედრივარ მას და ქუდის მოხდით არ მივსალმებივარ. ასეთ დანაშაულს მე ვერ დავიდებდი ბრალად რიაბცევთან, რადგანაც ყველა უფროსს წესიერად ვაძლევდი სალამს, მაგრამ რიაბცევს ვინ დაარწმუნებდა იმაში, რომ მართალი ვარ.

– კარცერი ორი საათით! – ზიზღის მორევით ისროლა მან ჩემს მიმართ.

იქვე იდგა დარაჯი. მოწაფეები მას ვეძახდით „დერჟიმორდას". ქეჩებზე შემდგარი ის მშვენივრად ცეკვავდა პარკეტის მოპრიალების დროს. მან ხელი დამტაცა, აბანოსთან სირბილით მიმიყვანა, კარი ფეხის კვრით გააღო და შიგნით შემაგდო. კარი გარედან გადარაზა. აბანო შელესილი იყო ცემენტის ხსნარით და უმოქმედობის დროს წარმოადგენდა საყინულეს. თანაც ყარდა. „რატომ? რისთვის? რა დავაშავე?" – ქვითინით ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

ერთი კუნჭულიდან მოზრდილი ლეკვის ოდენა ვირთხა გამოძვრა და დამშვიდებით თვალიერება დამიწყო. თაგვები, ვირთხები, ზღარბები, მაჩვები აუარებელი მინახავს სოფელში, მაგრამ ამოდენა ვირთხა არ მინახავს.

ფეხი დავუბარტყუნე... ის ნელა მიბრუნდა იქეთ, მაგრამ ისევ აქეთ მობრუნდა და განაგრძო ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ასეთივე ვირთხა გამოძვრა იმავე სოროდან. მე თავზარდაცემული მარტოობით და ჩაკეტილობის გრძნობით მაღლა, მერხზე შევდექი და ფეხებს მაგრად ვაბარტყუნებდი...

ვირთხებზე ამდენი ლაპარაკი არ ღირს. ჩემში მოხდა ის, რომ შემძულდა ეს სასწავლებელი თავის პედაგოგებით და საზარელი რეჟიმით.

მეორეჯერაც მომიწია ამ აბანოში ჯდომა, მაგრამ ამდენი შიში აღარ განმიცდია და ჩემთვის ის, ცელქობის გამო, უფრო მართებული იყო, თუმცა რიაბცევი მაინც უსულგულო რიაბცევად რჩებოდა. საქმე შემდეგში იყო: რაკი ტექნიკურ ხაზვას დავეუფლე, ტექნიკოსმა ტიმოშენკომ დავალება მომცა გამომეხაზა გაზი (მარწუხი, *клещи*), თავის ზომებით და შემექმნა სამუშაო ნახაზი, ჯერ ფანქრით და შემდეგ ტუშით.

გაზის ანუ მარწუხის გამოხაზვა, თავის მრავალი სხვადასხვა რადიუსის და ზომის, შეუღლებული მრუდეებით ძნელია და მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუნდი სამი დღე. არავინ არ მაჩქარებდა. სამხაზველოში მარტო ვიყავი და სამუშაოს შესრულების შემდეგ ვნებივრობდი.

იატაკზე ვიპოვნე რაღაც დახვეული ზამბარა, რომელიც კარგად მოერგო ფანქარს. ფანქარზე წამოვაცვი, დავჭიმე და კედელზე მიმჯდარ ბუზს დავუმიზნე. თითი ავუშვი და ზამბარამ ბუზი კედელზე მიაჭყლიტა. ეს ძლიერ მომეწონა. ერთი... მეორე... მეათე ბუზი. არც ერთს არ დასცილდა ზამბარა არც კედელზე და არც ჭერზე. მე გავერთე ბუზებზე ნადირობით და ზამბარას გაფაციცებით ვეძებდი გასროლის შემდეგ.

ამ დროს სამხაზველოს კარები შემოაღო რიაბცევის ცოლმა და შემეკითხა:

– *Ивана Григорьевича не видел?*

– *Видел. Он там гуляет с какой-то женщиной.* – ვუპასუხე მე.

მოწაფეებმა ვიცოდით, რომ ვიღაცა ქალი და რიაბცევი ერთმანეთს ელოლიავებოდნენ. ცოლი ამაზე ეჭვიანობდა და დავიდარაბა ჰქონდა ოჯახში. ცოლის შეკითხვაზე „სამაგიეროს“ გადახდამ გამიელვა თავში.

სასწავლებელი მდებარეობდა ზღვის პირას, ბულვარის ქვედა ბოლოზე, გიმნაზიის მახლობლად. ზღვის მხრიდან, უკაცრიელ ტროტუარზე, სასწავლებლის წინ სეირნობდნენ რიაბცევი და მისი „დულცინეა“ – ვიღაც ცხვირ აპრეხილი, კასრის ფორმის, მუთაქების ოდენა ფეხებიანი რუსის დედაკაცი.

მეულლეს თითით ვაჩვენე იმ ქუჩისკენ და ისინი დავანახე. ის დამდუღრულივით გარეთ გავარდა, შერემეტიევის ქუჩიდან მოუარა და უკანიდან, მოსეირნე მანდილოსანს გაჩეჩილ თმებში წვდა. ამ ალაგას ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. რიაბცევი ცოლს ეცა. ცოლმა, ბრაზით გამწარებულმა, მასაც რამდენიმეჯერ სახეში თხლიშა!

მე ყველაფერს ვხედავდი ფანჯრიდან. ერთი პირი დავაპირე სახელოსნოში გაქცევა, მაგრამ მერე ვიფიქრე: „რა უნდა მიქნას? მე ჩემ საქმეს ვაკეთებ და იმათ თუნდაც ერთმანეთი დაუხოციათ-მეთქი“. განვაგრძე ბუზებზე ნადირობა. გავიდა ერთი საათი. ერთბაშად სამხაზველოში რიაბცევი გრიგალივით შემოვარდა და მრისხანედ დაიღრიალა:

– *Ты что тут делаешь, каналья?*

– *Я делаю чертеж. Только что закончил.*

– *Кто поручил?*

– *Михаил Петрович Тимошенко.*

– *Карцер – два часа! Убирайся вон отсюда!*

იმავე დარაჯმა, იმავე აბანოში შემაგდო, მაგრამ ღმერთი გაუწყრა და კარის გარედან ჩაკეტვა დაავიწყდა. ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოვძვერი და იქვე მდგარ უზარმაზარ თუთის ხეზე ავცოცდი. ერთი საათი ტოტებზე ვიჯექი ფოთლებში მიმალული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ კმაყოფილი რიაბცევის დასჯით. შემდეგ ისევ ჩამოვცილდი, სოხელოსნოდან მეცადინეობადამთავრებულ მოწაფეებს შევუერთდი და სახლში წამოვედი.

ფიზიკას გვასწავლიდა სოლოვიოვი. როგორც სხვა ყველა საგნები, ფიზიკაც მიყვარდა და გულმოდგინედ ვწავლობდი, მაგრამ 3-ის ზევით ნიშანის მიღება არ მოხერხდა. ამ დღეში იყვნენ ყველა ქართველი ბიჭები. გადავწყვიტე ამ წლის ბოლომდე მითრევა და „შემდეგ ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება“-მეთქი. ასეც მოვიქეცი შემდეგში.

ჩემი მატერიალური სივიწროვე

ბათუმში დიდ გაჭირვებაში ვიყავი. ფორმის გარეშე რიაბცევი სკოლაში არ მიშვებდა. სოფელში ჭრელი ჩითის „ბლუზა“ ტანზე შემომეხა. ფეხზე თითქმის გამძვრა, თან შემოდგომის სიცივემ მოატანა და ხსნა არსაიდან ჩანდა. სახლიდან დაპირებულ საბნისა და ლეიბის მიღებას საშველი არ დაადგა და შემოდგომის სიცივეში, დერეფანში შიშველ ტახტზე ვიწექი... მიკვირს როგორ გადავურჩი ანთებას ან სხვა სენს.

ყველას ვეცოდებოდი და ჩემს მდგომარეობაში შედიოდნენ, მაგრამ საკუთარი ქონებრივი სივიწროვის გამო მე ვერაფრით მშველოდნენ.

სასწავლო წლის ბოლოს, სახელოსნოში სასწავლებლის დირექციას განვუცხადე, რომ სწავლას თავს ვანებებ, რადგანაც ვაპირებ ბაქოს ტექნიკურ სასწავლებელში გადასვლას და მოვითხოვე ჩემი საბუთები. დირექციამ უმშობლოდ საბუთები არ მომცა. მე ბიძაშვილ მღვდელ ანდროს მისამართი დავტოვე და ფილიპეს თანხლებით სახლში წამოვედი.

ის ზაფხული სოფელში გავატარე ნინასთან და ამხანაგებთან ერთად. მამაჩემი და უფროსი ძმები ბაქოში გადასვლაზე დავითანხმე. ბათუმიდან საბუთები მივიღე და ბაქოს ტექნიკუმში გავგზავნე. მამას სამგზავრო 50 მანეთი ვასესხებინე და მზად ვიყავი ბაქოში სამგზავროდ.

ნინას ძლიერ მოსწონდა ჩემი გადაწყვეტილება. ჩემი მისდამი დამოკიდებულება უცვლელი იყო. აზრში და გონებაში ის გაღმერთებული მყავდა და ყველაფერს მისი აზრით და თვალებით ვუცქერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1910წ. ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი.

წასვლის დრო მოვიდა. წავედი. წასვლის წინ მიშა კალატოზიშვილს მივწერე ჩხარში, ამა და ამ დღეს სადგურ ყვირილაში დამხვდი-მეთქი. მან იცოდა ჩემი გადაწყვეტილება. ის მეგულებოდა სადგურთან ახლოს და მინდოდა ბაქოში წასვლის წინ მენახა. მე არ ვიცოდი თუ ის 30 კილომეტრამდე სიშორის საკალზე იყო. წამოსულა, მაგრამ უკან გაბრუნებულს შემოღამებია და გზაში ბევრი უწვალია. ეს შემდეგ მიამბო მან.

ბაქოში ჩავედი. დათქმულის თანახმად, მელიტონ-მასწავლებლისას (რამიშვილისას) მივედი, მაგრამ იქ არც დავმჯდარვარ, მელიტონის დის, ნინას თანხლებით, იორდანე რამიშვილისას გამგზავნეს. კარი რუსის გოგომ გაგვიღო. მე მოვიკალათე. ეს გოგო აღმოჩნდა იორდანეს მოსამსახურე. საღამოს იორდანეც მოვიდა. ჩემი დახვედრა არ ეპრიანა, მაგრამ გარეთ სადღა გამომაგდებდა! ის ჩვენი ახლობელი იყო – რკინისგზის ორთქმავლის მემანქანე.

მეორე დღეს სადილად ესტუმრა ვლასა მგელაძე – მომავალში ცნობილი ემიგრანტი. იორდანემ ცოლ-შვილი არ ჰყავდა და ამ გოგოს ანაბარა იყო. იორდანემ გოგოს სადილი რესტორნიდან მოატანინა, ღვინო – სარდაფიდან და ამით ვისადილეთ.

სადილი გათავდა. იორდანე თავის „მარშრუტზე“ წავიდა. წავიდა სტუმარიც. მე საწერ მაგიდას მივუჯექი, წიგნები ამოვალაგე და მეცადინეობას შევუდექი.

„დიასახლისმა“ გოგომ აალაგა, ბოთლებში და ჭიქებში დარჩენილი ღვინო გადაჰკრა... გამხიარულდა და კიდეც წაიმღერა; მომიახლოვდა და ისე მაგრად ჩამეხვია, რომ მე თავბრუ დამესხა. მინდოდა გავშორებოდი, მაგრამ მან ამის საშუალება არ მომცა... ის იყო პირველი ქალი.

სასწავლებელში მივედი. გამოსაცდელების სიაში გვარი ვნახე. გამოცდები მეორე დღეს იწყებოდა. სახლში დავბრუნდი. „დიასახლისი“ ისევ აღგზნებული შემხვდა.

პირველი გამოცდა რუსულ წერაში გვქონდა. შემდეგ მათემატიკაში და ა.შ. გამოცდების დეტალები მშვენივრად მახსოვს, მაგრამ მათი აღწერა მოსაბეზრებელია.

დამთავრდა გამოცდები! 24 კაცი უნდა მიეღოთ და მე აღმოვჩნდი ოცდამეექვსე. ვინმე რომ დამხმარე მყოლოდა – მიშველიდა, მაგრამ არავინ მყავდა. მელიტონთან მივვარდი, სასწავლებელში მიმყვა, მაგრამ ვერაფერი მიშველა. 27 კანდიდატი ჩარიცხეს. მე გამომტოვეს. ამის გადატანა ძნელი იყო.

ისევ მარცხი. ერთადერთი გულშემატკივარი იორდანეს „დიასახლისი“ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თვე გავიდა. იორდანემ ოქროს თუმნიანი გამოძალეთ ჩემი ერთი თვის შენახვისათვის. მისი „დიასახლისი“ ჩუმად ცხარე ცრემლებს ღვრიდა ჩემს წამოსვლაზე. ბილეთი თბილისამდე ავიღე.

თბილისი. 1911 წ.

ადვილი გასაგებია როტომ მაინტერესებდა თბილისი ასეთი დიდი მარცხის შემდეგ. იქ ნინა იყო და, მაშასადამე ჩემი ნუგეშიც. ლავრენტის მისამართი მქონდა და მასთან მივედი. იქ პირველად გავიცანი გიორგი ქუჩიშვილი. ვასასის მომავალი მეუღლე.

ანდრეევის ქუჩაზე მდებარე ეპარქიალური სასწავლებელი მოვძებნე. ნინამ ჩემი წერილიდან უკვე იცოდა, რომ მის სანახავად ვარ თბილისში. ჩემი მარცხიც იცოდა. დანიშნულ საათზე სასწავლებლის საზეიმო კარებთან გამოვცხადდი. შევედი თუ არა, ნინა შემეფეთა.

– რამდენი ხანია გელოდები და ვერ ველირსე შენს მოსვლას.

მაღლა სართულზე ავედით. დიდ დარბაზში მოწაფე გოგონები მტრედებივით ირეოდნენ ერთმანეთში. ფორმებში ჩაცმულნი ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ნინამ მოშორებით მდგარ სკამებთან მიმიყვანა და ჩამოვჯექით.

ეს კვირა დღე, საერთო მიღების დღე იყო იმათ სასწავლებელში.

– ახლა სად უნდა წახვიდე, ისევ სოფელში? – მკითხა ნინამ.

– არა, ისევ ბათუმში.

– მერე?

– ზაფხულზე, არდადეგებზე სოფელში თავს რომ მოვიყრით, მეც ჩარიცხული უნდა ვიქნე რომელიმე სასწავლებელში – ან სულ არ მივალ სოფელში და არავის დავენახები.

ნინამ ხელი ხელზე მომიჭირა.

– ნინა, არ შეგჯავრდე. მარცხი მე თან დამდევს.

– არა, ბიჭო! ერთხელაც იქნება ბედი შემობრუნდება. გული არ გაიტეხო!

სწორედ ამიტომ მინდოდა მე მისი ნახვა, მისი დარიგება, მის ჭკვიან თვალებში ჩახედვა. ეპრაქსიაც მოვიდა და გადამკოცნა. რაღაცეები მკითხა და ვუპასუხე. წასასვლელად ავდექი.

გოგონები სასწავლებლის სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობდნენ. კორნელი კეკელიძე, მომავალში დიდი მეცნიერი იყო ამ სასწავლებლის გამგე.

ბათუმში რაფიელთან მივედი და ვუამბე რაც შემემთხვა. მან უკვე იცოდა, რომ სახელოსნო სასწავლებელი მძაგდა მისი პედაგოგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გიმნაზია რვა კლასიანია. იქ შენი შენახვა მამაშენს გაუჭირდება. თანაც იქ უცხო ენებია საჭირო, რასაც პირველივე კლასებიდან გადიან. პირველი ან მეორე კლასებისთვის შენ უკვე დიდი ხარ. მოდი მოვსინჯოთ სამოქალაქო სასწავლებელი, – მითხრა რაფიელ მასწავლებელმა.

– ბატონო რაფიელ! მე სწორედ ეს მაქვს მხედველობაში და გთხოვთ მათ მასწავლებლებთან მოლაპარაკებას.

წავედით და ვინახულეთ გიორგი ჭყონია. იგი გამესაუბრა და გვითხრა:

– მომავლიდან დავსვათ მეხუთე კლასში, მხოლოდ აქედანვე უნდა იმეცადინოს IV კლასის პროგრამითო, – პროგრამაც მომცა.

მე გახარებული წამოვედი.

ბათუმში ჩამოსვლისას ყოფილი ამხანაგები ვინახულე. კალატოზიშვილი, ნაცვალაძე, იურასოვი, კელეპტარი და ასკურავა ერთად ცხოვრობდნენ ვალოდია ქალეიშვილის ოჯახში. მათი დიასახლისი იყო მაშო, ძლიერ ნერვიული ადამიანი. შალვა ასკურავა სამოქალაქო სასწავლებლის VI კლასის მოწაფე იყო. დანარჩენი სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეები იყვნენ. პირველი ღამე იმათთან გავათიე მაშოს ნებართვით. მეორე დღეს ვასასი შემხვდა. უბინაობა შევჩივლე და მან წამიყვანა „ჭაობში“ ივანე ახალაძისას, სადაც დავბინავდი. ჯერჯერობით ფული მქონდა. მეცადინეობას ენერგიულად მოვკიდე ხელი.

მაისი მიიწურა. გამოცდების დრო დადგა. V კლასში გადასასვლელი გამოცდები ექსტერნად ჩავაბარე. საიმისო ცნობა მივიღე და მგონი კალაპოტში ჩავდექი.

აქ იგრძნობოდა სკოლის ნორმალური, სასიამოვნო ატმოსფერო. პედაგოგები იყვნენ რუსებიც და ქართველებიც, მაგრამ ერთმანეთში ძალიან მეგობრობდნენ.

ინსპექტორი (სასწავლებლის გამგეს მაშინ ასე ერქვა) იყო მოხუცი ნიკანორ კირპიჩი – ძლიერ გულკეთილი კაცი. თუ ვინმეს რამეზე გაუბრაზდებოდა, მისი ლანძღვა იყო: *“Ах, ты, поросенок!”*

ნინა სოფელში

ბათუმში მყოფმა, უკვე ვიცოდი, რომ ნინა ერთი კვირაა რაც სოფელშია ჩასული. ჩემთვის ყველაფერი ნინათი არის გარემოცული. მე თვითონ მისით გაჟღენთილი, ის ჩემშია შეზრდილი და არაფერს აღარ შეუძლია მისი გამოცალკევება. მე ეს მწამს, მაგრამ ის? რა ვუყო მას? ვუთხრა და გავუმჟღავნო ყველაფერი? ვაი, თუ ამით ვაწყენიო და რაც მაქვს: შეხვედრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება, ურთიერთობა, ლაპარაკი, ერთმანეთისადმი – ისიც დავლუპო!.. არა და სანამ ვიყო ამ მდგომარეობაში?!..

ვიღაცა ისევ მეჩურჩულება: „გაჩუმდი, ბიჭო! წერას ნუ აუტანიხარ! ადრეა შენთვის მიჯნურობა! შენი ნესტანი შენ გროშადაც არ გაგდებს!“ „კი, მაგდებს, კი! – ვყვიროდი გულში, – მისი ჭკუის და გონების პატრონი, როგორ ვერ დაინახავდა ამდენ ხანს ჩემს გულს? მან იცის ყველაფერი!“

გადავწყვიტე: როგორც კი ვნახავ, ყველაფერს გულწრფელად ვეტყვი, გავაგებინებ რაც მჭირს...

სოფელში ჩავედი. ჩემი მეგობრები სკოლის ეზოში შეგროვილიყვნენ და მათ შორის ნინაც. მის გაბრწყინებულ თვალებში წავიკითხე, თუ როგორ ესიამოვნა ჩემი მისვლა. მის სახეს ვარდისფერი გადაეკრა. მე მოვერიდე მასთან ახლოს მისვლას. მასაც იგივე შევატყვე, მაგრამ გამოხედვა, მეტყველება, ღიმილი – სულ სხვას ამბობდა, მარტო ჩემთვის გასაგებს.

დავტკბით ერთმანეთის ნახვით და ამბის გაგებით. მოსაღამოვდა. წავედ-წამოვედით. ნინა და მე ერთად მოვდიოდით. უხილავი ხმა ჩამძახოდა: „უთხარი... უთხარი... უთხარი...“ გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა... სუნთქვა შემეგუბა... მისი ხელი ხელში ავიღე და ვთქვი:

– ნინა! ჩემო ნინა! თუ ის, რასაც გეტყვი, შენთვის საწყენი იქნება, მითხარი გულახდილად და ეხლავე მოგშორდები, თუ გინდა ამ კლდეზე გადავარდები ამ წუთში, მაგრამ უნდა აშკარად გითხრა, რომ შენი ფასი მე არავინ მყავს და არც მეყოლება. შენ ხარ ჩემი მომავლის იმედი და ცხოვრების წყაროც...

ის გაიტრუნა. ჩემგან თქმული არ გაკვირვებია, მაგრამ ნელ-ნელა ხელი გაინთავისუფლა ჩემი ხელიდან და თქვა:

– გაბრიელ! მაგ თემაზე ჩვენი ლაპარაკი არ შეიძლება. გევედრები ყველაფერი გულიდან ამოიღე და აწი მასე არ მელაპარაკო!..

მიწა გამხეთქოდა და ჩავეტანე, ჩემთვის იმ წუთში ბედნიერება იქნებოდა. „ახლა ხომ დავიღუპე!“ -ვფიქრობდი მე. „სულელურმა დასკვნებმა აი სანამდე მიმიყვანეს!“ ენა დამება. გავშრი. ტყვიის სიმძიმედ გადავიქეცი.

– აბა, რა ვქნა, გოგო?

– სახლში წავიდეთ, ამაღამ დაიძინე და ხვალ კარგად ადგები.

– შენ ადვილად გაქვს ეს წარმოდგენილი და ყველაფერი არაფრად მიგაჩნია.

– არა, ბიჭო! „არაფრად“ არ მიმაჩნია. მე ვხედავ ყველაფერს, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლება...

– ნინა! შენ ჭკვიანი გოგო ხარ, მაგრამ მე რა მეშველება?

– გეშველება. თავს ძალა დააატანე და გეშველება. ახლა სახლში წამოდი, – სახელოში ხელი მომკიდა და გამწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაკლავ ძროხასავით მივყვებოდი. ხიდთან მივედით.

– წამოდი ჩვენსას, – ვუთხარი მე.

– არა. რაღაც კარგად არ ვარ.

– რა სიხარულით მოვდიოდი და რა დამხვდა! – ვთქვი მე.

– მეც სული მიმდიოდა, სანამ შენ მოხვიდოდი! – ამ სიტყვებით გავშორდით.

იმ ღამეს არ მძინებია. მეორე დილას ნინა ჩვეულებრივად შემოცქრიალდა სახლში და მისებური ჟრიამულით და სიცელქით აავსო იქაურობა. თმაში ხელი ჩამავლო და ქაჩვა დამიწყო.

– ძილის გუდავ, ადექი! ძილის გუდავ, ადექი! – მიძახოდა, თითქოს წუხელ საღამოს არაფერი მომხდარიყოს!

– წამოდი, თხილები დავკრიფოთ, – მითხრა.

– იქით მიბრუნდი და ავდგები.

ის ეზოში გავიდა. ხელდახელ წამოვხტი, ჩავიცვი და ხელპირი დავიბანე. სახლის ზემოთ თხილები გვქონდა. უკვე შემოსული და დაწითლებული იყო. თხილს კბილებით ვამტრევდით და ვჭამდით.

– ყველაზე კარგად, აი, იმ თხილს ასხია, – მითხრა მან.

– შენ რა იცი?

– ჰმ, რა იციო! მე თითქმის გავცალე ის. იცი, ეს ბერძნულაა, ეს შველისყურა, ეს ნემსა, ეს ჩინჩა. მე ყველას მირჩევნია შველისყურა, მაგრამ მაგარი გასატეხია.

წუხანდელი ფილოსოფოსობა სრულებით არ ემჩნეოდა და ისევ ისეთივე „ჩემი“ ნინა იყო, როგორც მუდამ წინად.

„კლეოპატრას“ კითხვა დაამთავრა და წიგნი მე გადმომცა. ამას წინათ კიდევ მისგანვე მოცემული „დამონებული“ წავიკითხე, რომელიც ეკუთვნოდა ჩვენს ბიბლიოთეკას. ნინას ძლიერ უყვარდა კითხვა და ბევრსაც კითხულობდა მუდამ. ამიტომ იყო ის ყველაზე მეტად გათვითცნობიერებული თავის ტოლებში.

ჩვენი ბიბლიოთეკა ძლიერ მდიდარი იყო წიგნებით და ჩვენ ყველა თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდით მას. ზაფხული მიიწურა და ყველა წასასვლელად გავემზადეთ. ვინ – თბილისში, ვინ – ქუთაისში, ვინ – ფოთში და ვინ – ბათუმში.

– წერილი ხშირად მომწერე, თორემ მერე ინანებ, – მითხრა ნინამ.

– ვითომ, რატომ? რატომ ვინანებ? – ვკითხე მე.

– მერე ნახავ! – ამ სიტყვებით იმედის ნაპერწკალი მაინც გამაყოლა თან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1912წ. ისევ ბათუმი

ბათუმში ჩავედი. ჯერ ბინა ნაშოვნი არ მქონდა. ბიძაშვილ გიორგისას მივედი და ვთხოვე: სანამ ბინას მოვძებნიდე, ორი-სამი დღით აქ ღამის გათევის ნება მომეცი-მეთქი.

– შენ აქ ჩარჩები და მე მაგის თავი არ მაქვს, – მიპასუხა გიორგიმ.

წამოვედი, მაგრამ ბარგი დავტოვე. ქუჩის მეორე მხარეს ხნიერი კაცი შემხვდა.

– ყმაწვილო, ბინას ხომ არ ეძებ? – მკითხა.

– კი, ბიძია, – ვუთხარი, გაკვირვებულმა, – საიდან იცით?

– აბა, მოდი, ბიძია, ჩემთან, – და ქუჩის მეორე მხარეს ერთსართულიან, პატარა, კოხტა სახლის ეზოში შევედით.

– ლიზა, აქეთ მოდი!

ლიზა, ალბათ, ცოლი იყო. მას ორი ბიჭუნა გამოყვა.

– ეს ყმაწვილი კარგი ვაჟი სჩანს. ბინას ეძებს. მოდი, ჩვენთან დავაყენოთ და ჩვენ ბიჭებსაც დაეხმარება სწავლაში.

ლიზამ ამხედ-დამხედა.

– რა გვარი ხარ, შვილო? – მკითხა.

– რამიშვილი, დეიდა.

– გიორგის და სალომეს რა ხარ?

– გიორგი – ბიძაშვილია ჩემი.

ლიზა ქმარს მიუბრუნდა:

– აგი, რომ სასიკეთო იყოს, სალომე ვერ დააყენებდა?

შევამჩნიე, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს თვალებს უპაჭუნებდნენ და რაღაცას ანიშნებდნენ.

– დეიდა, გიორგისას ვიყავი, მაგრამ მითხრა, თავისუფალი ადგილი არა მაქვსო.

– თვეში რას მომცემ, დედა?

– აგი, ბიჭები ამეცადინოს და არაფერი გვინდა მაგის, – თქვა კაცმა.

– მიხა! შენ გაჩერდი! – ბრძანა ლიზამ.

– რას ითხოვთ, ქალბატონო? – შევეკითხე.

– ამ ბიჭებს ასწავლე და თვეში თუმანი მომეცი. ჩემი იქნება: ოთახი, დილას ჩაი და პური, სადილი, საღამოს კიდევ ჩაი და პური და საცვლების გარეცხვა.

მე მიხას შევხედე, რომელსაც ჩემი მხარე ეჭირა. მან მანიშნა – „კიო“.

– კარგი, ქალბატონო!

– აბა, წადი და ბარგი მოიტანე.

გიორგის სასიხარულოდ ბარგი წამოვიღე და ხუთ წუთში მიხა სულაქველიძესთან ვიყავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1912-1913წ. ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელი

სასწავლებელმა რბილი, სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. არავითარი კარცერი, არავითარი საპყრობილე და დასჯა. პედაგოგები ადამიანურად და ხალისით ეპყრობოდნენ მოწაფეებს. უფროსი კლასის მოწაფეების უმეტესობას მე უკვე ვიცნობდი. შალვა ასკურავა, აიდარ აბაშიძე, ბურკაძე, თეოფილე კეჭაყმაძე, ვიკილოვი და სხვები იყვნენ ჩემს წინა კლასში.

გოგონები სწავლობდნენ ცალკე: ქალთა გიმნაზიაში და მარიინის ქალთა სასწავლებელში ასეთი იყო მაშინდელი სტრუქტურა. ცალკე იყო აგრეთვე სახელოსნო სასწავლებელი, ვაჟთა გიმნაზია და დაწყებითი ქართული სკოლა.

მეცადინეობა და სწავლება, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა კვირაში ერთი საათი, რომელსაც ატარებდა მასწავლებელი სილიბისტრო სულაძე, მაგრამ არც ეს ერთი საათი არ ტარდებოდა წესიერად. ჩვენ, მოწაფეებმა, ვაიძულეთ მასწავლებელი სულაძე გაგვერჩია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". მე განცვიფრებული დავრჩი მისი სიდიადით და მის შემდეგ მას აღარ მოვშვებივარ დღემდე.

უფროსს კლასებს ასეთ პრივილეგიას გვაძლევდნენ: ჩვენ უფლება გვქონდა შენობაში შევსულიყავით „საპარადო" შესასვლელით, სადაც მეკარე იდგა და საიდანაც მასწავლებლები დადიოდნენ. სხვა ყველა ეზოს შესასვლელით სარგებლობდა.

ერთხელ რამდენიმე მოწაფე შევედით ვესტიბიულში. იქ იდგა იმ დღის მორიგე მასწავლებელი ივანე გაბულოვი – ძლიერ გულკეთილი კაცი. ის დაყრდნობილი იყო საბიჯ ჯოხზე. ამოტრიალებული ცილინდრი ხელში ეჭირა და წესრიგს იცავდა. წინ მიმავალი ჩაკალიდი მიესალმა და ქუდში ორკაპიკიანი ჩაუგდო. მეორეც ასე მოიქცა. მესამეც, მეოთხეც და მეხუთეც. გაბულოვი იღიმებოდა და პოზას არ ცვლიდა. შემდეგ შეგვაჩერა და გვითხრა:

– *Мальчики! Шутки очень хороши, но в ваших грошах я не нуждаюсь.*

ერთ-ერთს ქუდი მოხადა, ცილინდრი გადმოაბრუნა და ქუდში ჩაბერტყა.

– *Идите в класс.*

ზარი უკვე დარეკილი იყო.

ეს რომ სახელოსნო სასწავლებელში ვინმეს გაებედა, რიაბცევი კარცერს მიუსჯიდა აუცილებლად.

ი.კ. გაბულოვი, მსხვილი და გრუზა კაცი, მათემატიკას გვასწავლიდა და მოწაფეების დიდ სიყვარულს იმსახურებდა. სხვა მასწავლებლებიც ერთი-მეორეზე უკეთესი იყვნენ. მშობლიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული და გულთბილობა იგრძნობოდა მასწავლებლებსა და მოწაფეებს შორის.

რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა პედაგოგი არჩილ ჯემარჯიძე. სასწავლო წლის პირველი მეოთხედი მიმდინარეობდა. ახალი ვიყავი სასწავლებელში და მასწავლებლები ვერ მიცნობდნენ როგორც მოწაფეს. ერთმა რუსულმა თემამ ჩემი თავი გააცნო მთელ სკოლას.

პუშკინის ერთ-ერთი ლექსი გავარჩიეთ და ზეპირადაც ვისწავლეთ. ეს ლექსი და საერთოდ პუშკინი მე ძლიერ მიყვარდა. ლექსის გარჩევის შემდეგ მასწავლებელმა დასაწერად მოგვცა თემა. შემდეგ გაკვეთილზე მივიტანე დაწერილი თემა. ზოგიერთ ამხანაგს წავაკითხე, როგორც მე წავიკითხე მათი. ბიჭებმა ჩოჩქოლი ასტეხეს.

– ეს შენ საიდანმე გადმოგიწერია! ეს შენი დაწერილი არ არის!

გაკვეთილზე მასწავლებელს უთხრეს: „ბატონო არჩილ, გაბო რამიშვილს წააკითხეთ მისი თემაო. თუ მისი დაწერილია, საუცხოოდ აქვს დაწერილიო“.

თემის კითხვა მოითხოვდა თანდათან ხმის ამაღლებას, შეიცავდა სხარტულად კავკასიის ბუნების აღწერას და მოთავსებული იყო რვეულის სამ გვერდზე.

წაკითხვის შემდეგ სამარისებული სიჩუმე იდგა კლასში. მასწავლებელი დიდხანს მიცქერდა ფეხზე მდგარს.

– *Дайте тетрадь!* – ბოლოს თქვა მან, გულდასმით წაიკითხა, კიდევ დამაცქერდა.

– *Может быть, списали откуда-нибудь?*

– *Нет, Арчил Сергеевич. Написал сам.* – მტკიცედ განვაცხადე მე.

– *Он и стихи пишет,* – წამოიძახა ვიღაცამ.

– *Да?* – მკითხა მასწავლებელმა.

– რაღაცას ვჯღაბნი, ბატონო არჩილ.

– *Садитесь, тетрадь я верну потом.*

სხვებსაც წააკითხა ნამუშევარი, მაგრამ ჩემსას ვერ შეედრებოდა. გაკვეთილი გათავდა. შესვენებაზე გამოსვლისთანავე, ჩემი თემის ამბავი სწრაფად მოედო ეზოს. ჩემთან მორბოდნენ სხვა კლასელები და მთხოვდნენ, წაგვაკითხეო, მაგრამ ის მასწავლებელთან იყო.

ამ თემას მოჰყვა მეორე – „*Личность Петра Первого*“, პუშკინის *“Петербург”*-ის მიხედვით. ჩემი ვაჟკაცობა ეხლა უნდა გამოჩენილიყო. ბიჭები, ამხანაგები მეუბნებოდნენ: „ გაბო! აბა, შენ იცი, ახლაც თუ გვასახელებო“. შევუდექი წერას. მახსოვს, დიდი მონდომებით ვწერდი. სამი დღის ინტენსიური მუშაობით თემა მზად მქონდა. სამი თავისაგან შედგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილზე მასწავლებელი ჯემარჯიძე შემოვიდა ბიჭებს გამოაცხადა:

– *Задание сдавайте дежурному по классу, а Рамишвили пусть читает свою работу.*

ავდექი. მივიხედ-მოვიხედე. კლასში არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. თემა წავიკითხე ამაღლებული სტილით, როგორც უწინდელი თემა.

მასწავლებელი განაბული უსმენდა. მოწაფეები კმაყოფილების შეძახილებს ისროდნენ. კითხვა დავამთავრე.

– *Дайте тетрадь,* – თქვა მასწავლებელმა.

მივეცი. ეზოში ჟრიამულით გამოვედით.

ამ თემის ხმაც გავარდა. ჩემი კლასელები გაზვიადებულად ავრცელებდნენ მის შესახებ ხმას და ცოტა ხანში გაბო რამიშვილის სახელი გასცდა ჩვენი სასწავლებლის კედლებს.

მარტო რუსულში კი არა, სხვა საგნებშიც მოვწონდი მასწავლებლებს, მაგალითად, ფიზიკაში, მათემატიკაში, გეომეტრიასა და ჰუმანიტარულ საგნებში. ხაზვა-ხატვაში საჩვენებელი მოწაფე ვიყავი მთელ სკოლაში, მაშინ, როდესაც სახელოსნო სასწავლებელში კაცად არ მთვლიდნენ უსულგულო რიაბცევის ხელში! აი, რამოდენა ღირებულება ჰქონია პედაგოგის მიდგომას მოსწავლისადმი!

სამოქალაქო სასწავლებლის პედაგოგებიდან დღემდე დამამახსოვრდა: კარპიჩი ნ.ო., ბელსკი ფ.ი., გაბულოვი ი.ვ., ჭყონია გ.ს., ჯემარჯიძე ა.ს., სულაძე ს.თ., ავაქოვი ა.ი., კალანდაძე ი.ს., ფიდელი, ვასილიევი, პორუჩიკოვი. ამჟამად მარტო ავაქოვია ცოცხალი (1968) და კიდევ ვმეგობრობთ.

გვყავდა კიდევ ერთი მასწავლებელი – ივანიცკი, რომელიც გვასწავლიდა საღვთო სჯულს. ეს მოხუცი მღვდელი არავის არ უყვარდა და ისიც გაბოროტებული იყო ყველაზე. მის საგანში სამის ზევით ნიშანი არავის ღირსებია ჩვენს კლასში, მაგრამ 3-ის ქვევით – რამდენიც გნებავთ. ალბათ, ასე იქნებოდა სხვა კლასებშიც.

იუსტინე კალანდაძის ხელმძღვანელობით, სასწავლებელში შემდგარი იყო მომღერალთა გუნდი და ამ გუნდში ვმღეროდი მეც. იყო აგრეთვე საკუთარი სასულე ორკესტრი. მე აქ არ ვმონაწილეობდი. გვასწავლიდნენ ცეკვებს ევროპულს, ქართულს. ცეკვებში უნიჭო გამოვდექი და მიკვირს, რატომ ძლიერ მომწონდა და გატაცებულიც ვიყავი ჩეხური ვარჯიშით.

მე დამსახურებული მქონდა და საუკეთესო მოსწავლის სახელით ვსარგებლობდი. ნინასთან ხშირი მიწერ-მოწერა მქონდა. ისიც ყველა წერილზე მეხმაურებოდა. კრინტი არ დამიძრავს ჩვენი ურთიერთობის ირგვლივ. ერთხელ მივწერე ასეთი ლექსი:

ნაზი, ვითარცა სურნელოვანი
ია მდელოზე აყვავილდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარ-ნარი, ტურფა, სხივთა მომფენი,
აბა, ამოხსენ, ეს ვინ იქნება?

პასუხში მომწერა: „გაბრიელ! შენი ლექსი ძლიერ მომწონს. გოგოებმაც წაიკითხეს და მოსვენებას არ მაძლევენ – მისწერე და ჩვენც დაგვიწეროსო“. მეც რაღაცეებს ვუწერდი მათ – საოხუნჯოს.

ჩემი მეხუთე კლასში ყოფნის დროს (1912-1913 სასწ.წლები) იხდიდნენ რუსეთის დიდი მწერლის, გოგოლის იუბილეს (1809-1852). ჩვენი სასწავლებელიც ენერგიულად იყო ჩაბმული ამ საქმეში ისე, როგორც ბათუმის ყველა სასწავლებელი. მე გოგოლისადმი მიძღვნილი რუსული ლექსი დავწერე და არჩილ ჯემარჯიძეს ვაჩვენე. მან მოიწონა. ეს ლექსი და პუშკინის *“Петербург”*-ი სასწავლებლის საიუბილეო კომისიამ, საერთო საბავშვო „დილაზე“ შეკრების დროს წამაკითხა ბათუმის შმაევსკის თეატრში.

იმავე დღეს, ჩვენს სასწავლებელში დანიშნული იყო „საღამო“ უფროსი კლასელების (V და VI) და ქალთა სასწავლებლის მონაწილეობით თავიანთი პედაგოგებით. უკრავდა ჩვენი სასულე ორკესტრი და გაჩაღებული იყო ცეკვა. ვალსი ჭირივით მძულდა, რადგანაც ტრიალის დროს თავბრუ მეხვეოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი გავყოლოდი ინსპექტორ კირპიჩის სტუმარ მანდილოსანს, საკმაოდ ხნიერ ადამიანს. მან კირპიჩის რჩევით თვითონ გამომიძახა. დიდი გაჭირვებით ჩამოვატარე მანდილოსანი და რომ არ წავქცეულიყავი, ძალას ვატანდი თავს.

დიდი მხიარულება იყო. გიმნაზიელები – თამარ ჟორჟიკაშვილი და ნინა ნაკაშიძე სტუმრად მოვიდნენ, რომელთაც მე წინათაც ვიცნობდი.

საღამო შესანიშნავ მხიარულებაში მიმდინარეობდა. მე სითამამის აზარტში შევედი, მაღალ სკამზე - შევდექი, დამსწრეთა ყურადღება მივიქციე და ძლიერ სასაცილოდ რუსულად წარმოვადგინე გურული სცენა, რაც ვასო ურუშაძიდან ქართულად მქონდა მოსმენილი თეატრში. ვასო ურუშაძე გურული სცენების კომიკურად თქმის ოსტატი იყო და სიცილით დახოცა აუდიტორია იმის წარმოდგენით, თუ როგორ უპასუხებდნენ მოწაფეები თავის მასწავლებელს გაკვეთილს...

ჩვენ საღამოზე დიდი მხიარულება და სიცილი გამოიწვია ამ სცენის რუსულად წარმოდგენამ. სკამზე შემდგარი ვხედავდი, რომ ჩვენი კირპიჩი, პედაგოგების შუა მდგარი, სიცილისაგან ცრემლებს ღაპა-ღუპით ღვრიდა, თან მოსაუბრეებს ეუბნებოდა: *“Он мой лучший ученик”* და უჩვენებდა ჩემზე.

თამარა ჟორჟიკაშვილი შესანიშნავი ქალიშვილი იყო. მას შეეძლო დაეჭირა ნინას ადგილი, მაგრამ ჩვენი, სამივეს ბედი, თურმე, სხვაგვარად ეწერა ბუნებაში.

ამბობენ, ადამიანს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა უყვარდესო. მე გულახდილად ვამბობ, რომ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში მიყვარდა ორივე: ნინაც და თამარაც. ისინი ბევრ რამეში ჰგავდნენ ერთმანეთს გარეგნობით, ხასიათით, ნიჭით და ბუნებით. ერთი მეორეს ისინი არ იცნობდნენ.

ცოტაოდენი ჩემი ლექსების შესახებ

ჩემი აწეწილი მდგომარეობის მიუხედავად, ძლიერ შემიყვარდა ლექსების კითხვა, სწავლა ზეპირად და მათი დეკლარაცია. ამის მიზეზი იყო პირველად გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“, მიყვარდა გამოთქმები – „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“... „შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სუყველას სმა უნდა“... „სამშობლო ხევსურისა“... და სხვა. ამათ მიჰყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი; მათ კიდევ ქართველი გოლიათები და ასე შემდეგ.

მეხუთე კლასში შესვლის წინ მეც დავიწყე ლექსების წერაში ვარჯიში. ჩემი ლექსების კრებული, პირველი სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ 50-60 ლექსისგან შედგებოდა. ისინი კოხტად ჩაწერილი მქონდა საგანგებო ლამაზ ალბომში, რომელსაც ვინახავდი თვალის ჩინივით.

როცა ამხანაგებმა გაიგეს ჩემი ლექსების წერის ამბავი, მოსვენებას აღარ მაძლევდნენ და მრავალი შეკვეთები მქონდა ამათგან.

მიხაკო სულაქველიძეს, სადაც მე ვბინადრობდი, მშრომელი და პატიოსანი ოჯახი ჰქონდა. მოლაპარაკების თანახმად, თვეში ათი მანეთი უნდა მეძლია, გარდა ბიჭების მომზადებისა. თვეები გადიოდა და სახლიდან ფულს ვერ ვღებულობდი.

დიასახლისი ლიზა, ყოველდღე მაგონებდა ამ ამბავს და შემდეგ თანდათან მუქარაზე იწყო გადასვლა. სკოლიდან მოშიებული რომ მივიდოდი, სადილს მომიტანდა და თან დასძენდა:

– შენი მუცელი გასკდა, აჰა, ჩახეთქე, ნუ გეშინია, არაფერს მაძლევდე! – ამ თქმის შემდეგ რაღა მაჭმევდა სადილს და ერთ ხანს ვითმინე, სხვა გზა არაფერი მქონდა და შიმშილმა ამ საყვედურებსაც შემაჩვია. მისი ორი ბიჭის მეცადინეობას ლიზა არაფერში მითვლიდა.

მიხაკო ძლიერ გულკეთილი კაცი იყო. ის ჩუმად ჩურჩულით მეტყოდა, რომ ლიზას არ გაეგონა:

– შენ ლიზას ყურს ნუ უგდებ. საჭმელი არ დათმო, თორემ მეწყინება. ფული, როცა გექნება, მაშინ მომეცი. ჩემ ბიჭებზე გული არ აიყარო და გულმოდგინედ ამეცადინე.

მეზობლად ერთი ახალგაზრდა, ორი პატარა ქალ-ვაჟის დედა, მოხუცი ქმრის ცოლი მარო ცხოვრობდა. ამ ქალსძლიერ

ვებრალებოდი. მის სახელს ალბათ, ნათელი ადგა... გულკეთილობისათვის...

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე მოსამზადებლად ამეყვანა მოწაფეები. ამ საქმეში ლიზამ ენერგიულობა გამოიჩინა.

თვეში ოთხ-ხუთ თუმანს ვიღებდი და ლიზას ვალიც მალე მოვიშორე. ამის შემდეგ დეიდა ლიზა ძლიერ ყურადღებით იყო ჩემთან.

შემოდგომაზე, ჩემსავით უბინაო მირიან თედორაძე შემომისახლა ლიზამ და ახლა ორი ვცხოვრობდით ერთ ოთახში.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ლიზამ მზადება იწყო ახალი წლისთვის. მიხაკო ბიძიამ მოუზიდა მას ქათმები, ინდაურები, გოჭი, ღვინოები და სხვა სანოვაგე.

ლიზამ შეწვა, მოხარშა, მოხრაკა და შეანელა ყველაფერი. მაგიდა ჩვენს ოთახში უნდა გაეწყო და ამიტომ გვთხოვა ადრე დაწოლა. ჩვენც არ გავაწბილეთ საბნების ქვეშ გასუსულები ვუცქერდით მის ფუსფუსს. ოთახში დამათრობელი შემწვარ-მოხრაკული ხორცის სუნი დატრიალდა. მე ნერწყვს ვყლაპავდი.

მიხაკო მორიგეობდა. გარეთ წვიმდა. საათმა თორმეტი დარეკა. ლიზამ ფუსფუსი მოათავა და თავის ოთახში შევიდა ისე, რომ ჩვენ არაფერი გვაჭამა ამ ახალ წელს. ჩვენ გვესმოდა, როგორ გაიხადა თავის ოთახში, ლოგინში ჩაწვა და სინათლე ჩააქრო.

ცოტა ხნის შემდეგ, საბანმოხურული მირიანი მომადგა:

– გაბო, გძინავს? – სინათლე ოდნავ ბჟუტავდა.

– არა! – რატომღაც გაბრაზებული ვიყავი.

– მოდი, ცოტ-ცოტა მივაპწკვნათ, ვერ შეატყობს.

მეც ავდექი, საბანი მოვიხურე. მაგიდას ვუვლიდით წირვისთვის გამოწყობილ მღვდლებივით და „ვაპწკვნიდით" ხან გოჭს, ხან ქათამს, ხან ინდაურს. შემდეგ ბოთლებს მივადექით და ყველა სასმელი გავსინჯეთ. ჟინი მოკლული გვქონდა, რომ გარედან ხმაური შემოგვესმა.

ჩვენ ლოგინებს მივაშურეთ. აღმოჩნდა რომ მოვიდა მიხაკო. დერეფანში დიდხანს იბორიალა. ჩექმები გაიხადა, ხელპირი დაიბანა და ბოლოს ფრთხილად ჩვენი ოთახის კარები შემოაღო. ლიზას ერიდებოდა. ჩემთან მოვიდა, მე თავი მოვიმძინარე, შემანჯღრია და ჩურჩულით მითხრა:

– გაბრიელ, ადექი და მაგიდასთან მოდი, – შემდეგ მირიანი ააყენა.

ორივე აქეთ-იქით მოგვისვა. ერთი შემწვარი ქათამი გადმოიღო. ხელით დაგლიჯა, დაანაწილა და გვანიშნა – „მიდითო". ჩვენც მივედით და მანაც მიირთვა. შემდეგ სამ ჭიქაში წითელი ღვინო დაასხა. დალია და ჩვენც დაგვალევინა. ეს გაიმეორა და გვანიშნა: ახლა დაწექითო. ძვლები მიასუფთავა, წაიღო და წავიდა.

ცხონება თუ სინამდვილეა, მიხაკო უსათუოდ სამოთხეში იქნება.

სასწავლო წელი მიიწურა. გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ და გეზი სასლებისაკენ ავიღეთ. მასპინძლის ბიჭებიც, სანდრო და ვალოდია, რომლებსაც მე ვამეცადინებდი, ჩვენი სასწავლებლის III კლასში მოვაწყვე, რითაც მათი მშობლები აღტაცებულნი იყვნენ სიხარულით და ჩემი დიდი მადლიერნი იყვნენ. სოფელში მიმიხაროდა, ერთ ვინმესთან განსაკუთრებით.

ნინა უფრო გაზრდილი, დამშვენებული საოცარი სილამაზის გამხდარიყო. თვალებგაფართოებული მივშტერებოდი. ის ჩვეულებრივი ღიმილით მიცქერდა.

– შენ ისე გაშტერებული მიყურებ, თითქოს პირველად მხედავდე, – მითხრა მან.

– კი ვარ გაშტერებული. შენ ახლა ნამდვილი ქალიშვილი ხარ და ძალიან ლამაზი. ალბათ, ბევრს ჰყავხარ შეთვალიერებული და გუმანში აღბეჭდილი.

მან ეშმაკური თვალებით გამომხედა.

– მე რა ვიცი! შენ არავის ჰყავხარ გუმანში? – მკითხა მან.

– მე ვის კუნდივარ, ცა? ჩემთვის ვის ცალია?

საშუალო სკოლაში ყოფნის უკანასკნელი 1913/14 სასწავლო წელი დაიწყო. ჩვენი მოხუცი ნ.ო. კირპიჩი სადღაც გადაეყვანათ და მის მაგივრად დაენიშნათ მიხაილ ბულსკი. ზოგი მასწავლებელიც შეეცვალათ. გიორგი ჭყონია დირექტორად გადაუყვანიათ ხონში.

პუშკინის „პოლტავა“ გავარჩიეთ და მოწინავე მოწაფეებმა ერთ-ერთი, „პოლტავა“-ს გმირი, მარია, გავასამართლეთ. ჩამოვაყალიბეთ სასამართლო. თავმჯდომარედ დავნიშნეთ დირექტორი ბელსკი. მბრალდებლები (პროკურორები) ვიყავით მე და მედემი. შესდგა სასამართლო. მთელი პოლტავა გადავქექეთ და სასამართლომ მარია გაამართლა. ჩვენი პროკურორობა დამარცხდა.

ამავე წელს რომანოვების დინასტიას შეუსრულდა თავისი მეფობის სამასი წელი. მთელ იმპერიაში ყველა სკოლას და უმაღლეს სასწავლებლებსაც საამისოდ ამზადებდნენ.

სასწავლებლის მომწყოს კომისიაში მასწავლებლებთან ერთად არჩეული ვიყავით ჩუთი მოწაფე. ჩვენი სოფლიდან მოკიდებული მე წარმოდგენების დადგმის გამოცდილება მქონდა და მალე ყველა მთავარი საქმე ჩემსა და ხატვის მასწავლებლის ფიდელის ხელში აღმოჩნდა. სასწავლებელში მოწვეული გვყავდა სტუმრები ქალთა სასწავლებლიდან. ლექსები გვქონდა ჩამორიგებული სათქმელად. მე დავალებული მქონდა მეთქვა მერეჟკოვსკიდან თარგმნილი „საკია მუნი“ და რუსულად ნადსონის *„Мать“*. სტუმარ-მასპინძლობას განაგებდა დირექტორის მეუღლე – ქართველი მანდილოსანი.

დანიშნული საათი დადგა. სტუმრები დარბაზში შემობრძანდნენ. ამათში ქალთა გიმნაზიელებიც იყვნენ. ყველა ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეზე ლამაზები სჩანდნენ. იმ დროს ვაჟები და ქალები ცალ-ცალკე ვსწავლობდით.

რომანოვებისადმი მიძღვნილი ზეიმი გახსნა ქუთაისის სასწავლო ოლქის უფროსმა ნიკო ჯაყელმა. რომანოვების „დიდ დამსახურებაზე“ ილაპარაკა დირექტორმა ბელსკიმ. კიდევ რამდენიმე სიტყვა იქნა თქმული. შემდეგ ლექსები, სიმღერები, ორკესტრის გრიალი და სხვა.

სცენაზე დირექტორი ბელსკი გამოვიდა და გამოიძახა VI კლასის მოწაფე რამიშვილი, მომიბრუნდა, სამჯერ აქეთ-იქით გადამკოცნა და პუშკინის სრული კრებული „სიტინის“ ბრწყინვალე გამოცემა ჩამაბარა საჩუქრად სასწავლებლიდან.

სიხარულის ტალღამ ტანში დამიარა. ტაშმა იგრიალა. ვაშას ძახილმა თითქოს კედლები შეანძრია. ნიკო ჯაყელი წინა რიგებიდან სცენას მოუახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

„გაბო! გაბო! გაბო!“ – მესმოდა მოწაფე გოგო-ბიჭების შეძახილები. ამ დროს გმირი მე გავხვდი. ეს წიგნი, პირველი ჩემი ჯილდო, დღიდან ჩუქებისა ჩემს განძეულს წარმოადგენს.

ის დღე ერთ-ერთი ბედნიერი დღეთაგანი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ერთკვირეული ჟურნალის დაარსების სურვილი სასწავლებელში

გამოსაშვები ბოლო კლასის მოწინავე მოწაფეებმა 1913 წლის ოქტომბერში თავი მოვიყარეთ, მოვითათბირეთ და დავადგინეთ, რომ სასწავლებელში დაგვეარსებია ერთკვირეული ქართული ჟურნალი. ჩვენ ეს საქმე ადვილი გვეგონა. თათბირზე მოვიწვიეთ წინა წელს კურსდამთავრებულნი ა. აბაშიძე, შ. ასკურავა, თ. კეჭაყმაძე, რომლებმაც ძლიერ მოიწონეს ჩემი წინადადება, მაგრამ დირექტორმა ბელსკიმ თავი მოიკლა და არ დაგვეთანხმა ჟურნალის დაარსებაზე. მით უმეტეს ქართული ჟურნალის. ამრიგად ჩვენი დიდი ოცნება ვერ განვახორციელეთ.

შალვა და მე ძლიერ დამეგობრებული ვიყავით. იმან ერთი წლით ადრე დაამთავრა სასწავლებელი, მაგრამ მაინც ბათუმში ცხოვრობდა. ხშირად ვიყავით ერთად და ბევრს ვცელქობდით, ვთამაშობდით, ვმასხარაობდით. შობის არდადაგებზე შალვამ თავისთან დამპატიჟა სოფ. ქვიანში, ნიგოეთში. სახლში ჩვენებს ვაცნობე არ მოვდივარ-მეთქი და შალვას წავყევი. მისმა მშობლებმა დიდი სიხარულით და პატივით მიმიღეს. თოვლი იყო და ეზოში ხშირად ვგუნდაობდით. ერთხელ შალვას თოვლის გუნდით გამოვუდექი. სახლის გარშემო დავრბოდით. უცებ სახლზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყუდებულ კიბეს მიაწყდა და სახლის სახურავზე ავიდა. კიბე წავაქციე და ის დიდხანს სახურავზე ვამყოფე. ბოლოს მამამისმა მთხოვა:

– ჩემო ბიძია! მოდი ვაკმაროთ სასჯელი შალვას და ჩემი ხათრით აწი დაბლა ჩამოვუშვათ, თორემ გაიყინება.

– კარგი, ბიძია მოსე! ოღონდ მაგან მოკაკვოს თითი.

შალვამ სახლის სახურავზე თითი მოკაკვა, ბიძია მოსემ კიბე მიადგა და სიცივისგან გათოშილი შალვა დაბლა ჩამოვიდა.

მეორე დღეს მის მოყვარესთან წავედით სოფელ ზომლეთში, ნიგოითის მთაზე გადასვლით. ორიოდე დღე იქ დავრჩით და ისევ ქვიანში დავბრუნდით. ქვიანში რომ მივედით, უკვე ღამე იყო. თურმე ვიღაცა ღელეში არაყს ხდიდა ჭაჭისაგან. არაყის გამოხდა სასტიკად იდევნებოდა. ჩვენ მოვდიოდით სასწავლებლის ფორმაში ჩაცმულნი, შინელისებურად შეკერილი შავი მაუდის პალტოებზე ოქროს ფერის ლითონის ღილები ღამეშიაც ბრჭყვიალებდა. ვლაპარაკობდით რუსულად ხმამაღლა. უცებ სადაც დაბლა ღელეში ჭურჭლის მსხვრევის და ლაწა-ლუწის ხმა მოგვესმა. შეგვეშინდა, ლაპარაკი შევწყვიტეთ და სახლისაკენ გავიქეცით.

მეორე დილას, მოსემ – შალვას მამამ ამბავი მოიტანა და გავიგეთ, რომ ვინც არაყს ხდიდა, ჩვენ „აქციზებად“ მიუღივართ, შეშინებულა და გამოხდილი არაყით სავსე ჩაფები სულ მიუმსხვრევია, რომ „აქციზებს“ არ ენახათ და უდიერი ჯარიმა არ შეეწერათ მისთვის. ამის გაგონებაზე ჩვენ ავიბუძგეთ და იმავე დღეს ბათუმში მოვუსვით.

შალვა შემდეგში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გახდა. ოქტომბრის დღეებში ის ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა და იქ დაიღუპა, ძვირფასი, ერთგული, ნიჭიერი ადამიანი.

ოდესა. 1914 წ.

სასწავლებელში გამოცდები კარგად ჩავაბარეთ; დამთავრების ატესტატები მივიღეთ; დირექტორმა ბელსკიმ დიდი გრძნობით გამოსასალმებელი სიტყვა გვითხრა და თვალებცრემლიანმა დაგვემშვიდობა.

ჟორას და მე დათქმული გვქონდა, რომ ამ ზაფხულზე ერთად ვიმეცადინებდით და სექტემბერში ერთად წავიდოდით თბილისში „ზემლერის“ სასწავლებელში შესასვლელად. ეს საკითხი შეთანხმებული იყო მის მშობლებთან.

ერთ დღეს მან მითხრა:

– მშობლები მეუბნებიან, რამდენიმე დღით ოდესაში გაისეირნე და თან გაბოც წაიყვანეო. შენ რას იტყვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავფიქრდი და უარის თქმა სისულელედ მივიჩნიე.

– დიდი სიამოვნებით, წავიდეთ.

გემის კაპიტანი სამოილენკოს ოჯახის მეგობარი იყო და ოდესიდან დიდი გემით მოსული, ბათუმში იმათთან სტუმრობდა. გემზე ჩვენ დიდი ამბით მიგვიღო, საგანგებო კაიუტაში თვითონ შეგვიყვანა...

სამგზავრო ფული, ჩემი წილი მე მქონდა. მოწაფეების მზადებიდან, ლიზას ვალის გასტუმრების შემდეგ დამრჩა 80 მანეთი.

ოდესაში ჩასვლამდე ყველა სანაპირო ქალაქები დავათვალიერეთ: ფოთი, სოხუმი, ნოვოროსიისკი, ფეოდოსია, იალტა, სევასტოპოლი, ევპატორია და ოდესაში გავედით.

ბინად ვიღაც ნაცნობთან ვიყავით, იქაც დიდად პატივცემულნი – ერთი კვირის განმავლობაში. ოდესა დავათვალიერეთ. ვნახეთ პუშკინის სახლ-მუზეუმი, ოდესის ლამაზი თეატრი, დიდებული ნავსადგური, ლიმანი და მრავალი სხვა. ჩვენს იქ ყოფნაში ცირკში მოჰკლეს უზარმაზარი სპილო, ამბობდნენ, რომ გაცოფდა და თავისი სადგომი დაანგრიაო.

ჩვენ კიდევ ოდესაში ვიყავით, რომ გაზეთით გავიგეთ სარაევოში მომხდარი ჰერცოგის მკვლელობა. ეს ამბავი შემდეგში საბედისწერო აღმოჩნდა. ჩვენ მაშინ პოლიტიკური ვითარების ცოტა რამ გვესმოდა, მაგრამ შევნიშნეთ, რომ ჰაერში რაღაცნაირად ჩამობნელდა.

1914 წლის 10 ივნისს წამოვედით ოდესიდან. ფული ორივეს გაგვითავდა, მაგრამ ჩვენთან ერთად მოდიოდა ბათუმელი მილიონერი საბაშვილი – სამოილენკოების კარგი ნაცნობი. ჟორას თხოვნიხ შემდეგ მან გაგვიმართა ხელი.

მახსოვს – საბაშვილი პატარა, სანახევროდ ბრმა მოხუცი იყო. მე მიკვირდა, ასეთი კაცი მილიონერი როგორ არის-მეთქი. ბათუმში 14 ივნისს, დილით ადრე მივედით და ქუჩებში დიდი ფაცა-ფუცი ვიგრძენით. გაზეთებს დაარბენინებდნენ და ყვიროდნენ: *"Война... Война..."* (1914. 14/VI).

მე და ჟორამ გადავწყვიტეთ ცალ-ცალკე მეცადინეობა პროგრამის მიხედვით: მე – სოფელში, ის – ბათუმში. ერთმანეთს შევხვდებოდით თბილისში გამოცდებზე „ზემლერის" სასწავლებელში. მე სახლში, სოფელში წავედი.

ნინამაც იმ წელს დაამთავრა ეპარქიალური სასწავლებელი და სოფელში დამხვდა. ახლა მას ფორმა არ ეცვა. მე მეცვა მოწაფის ნაცრისფერი ფორმა. შავი შინელისებურად შეკერილი პალტო. თავზე თეთრი ქუდი, ყვითელი კოკარდით. დამინახა თუ არა, ნინა მომვარდა...

– რა ქენი, ბიჭო? ოდესა მოიარე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მოვიარე. ბევრი რამე ვნახე. თუ ძალიან შემეხვეწები, გიამბობ.

– შეუხვეწრადაც მიამბობ, მე ვიცი.

– შენ რა ჰქენი, დაამთავრე?

– დავამთავრე და ჯიხეთის მონასტერში დამნიშნეს მასწავლებლად.

– იმ მონასტერში გასულ წელს, გზად გავიარე. მთაზეა. ლამაზი ადგილია, მაგრამ მიყრუებული, რაღა მონასტერში დაგნიშნეს, გო!

– რა ვიცი. შენ რას აპირებ?

– თბილისში მივდივარ „ზემლერის" სასწავლებელში.

– ახლა მიდიხარ, მე რომ აქეთ წამოვედი?

– აბა რა ვქნა? მეც ხომ მონასტერში ვერ წამოვალ?

ნინამ მისებურად გადაიკისკისა.

ჩვენ საამბობელს თავი მოვუხსენით და ერთმანეთს ვუყვებოდით გასული წლის ამბებს. იყო 1914 წლის ზაფხული.

ბათუმი. 1914 წელი

1914-ში მსოფლიო ომი დაიწყო. მობილიზაცია გამოცხადდა. ჩვენი სოფლიდან ბევრი ახალგაზრდა წაიყვანეს. ვინც გაწვეული იყო და ვადა გაუთავდა, არ გამოუშვეს ჯარიდან.

მე ვმეცადინეობდი. ნინა ამოცანების ამოხსნაში მშველოდა. გავიდა ზაფხულიც. თბილისში წავედი გამოცდებზე. მედემის მშობლების პროტექციის იმედი მქონდა. სწავლის დროსაც მოველოდი მათგან დახმარებას.

ბინა არსად მქონდა. ვიცოდი მიშა კალატოზიშვილი ახლა თბილისში იყო და მონტიორად მუშაობდა. მოვძებნე და მასთან მივედი. სასწავლებლის მისაღებთა სიაში მე ვიყავი, მედემი არა. ეს ძლიერ მეწყინა. მეორე დღეს გამოცდები დაიწყო. მათემატიკაში ჩავიჭერი. ახალგაზრდობა მიაწყდა სამხედრო სასწავლებელს. მეც მივედი, მაგრამ არ მომეწონა და გამოვბრუნდი.

გაბოროტებული დავეხეტებოდი. უეცრად ზემელთან მედემის დედას შევეფეთე.

– *Ну что, мой мальчик, как твои дела?* – მკითხა მან.

– *Срезался. А где Жора?*

– *В связи с войной, Жора изменил курс и хочет поступить в военное училище. Пока он дома. А ты что думаешь теперь?*

– *Я ничего не знаю. Никого у меня нет. Наверное, поеду в деревню.*

ის ცოტა ხანს დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– А знаешь что, голубчик, поезжай со мною в Батум, я устрою тебя на работу. Я еду сегодня. Решено?

– Хорошо, – სახელით და მამის სახელით *мозмаротэ, – поеду. Все равно делать нечего!*

– Тогда вечером приходи на вокзал, найди вагон первого класса и спроси меня.

მას ქმრის სალონ-ვაგონი ჰქონდა დათმობილი სამგზავროდ

ამით დავშორდით ერთმანეთს. საღამოს სადგურში მივედი. ვაგონთან ჟანდარმი შემხვდა, ბარგი ჩამომართვა და ვაგონში შემიყვანა. ეტყობოდა ის გაფრთხილებული იყო. მერე ქალბატონიც მოვიდა, მომიალერსა. დილით ბათუმში ვიყავით.

სადგურში ჟორაც და მისი მამინაცვალიც დაგვხდნენ. მე სამოილენკოს მივესალმე.

– Вот твой Габо! – უთხრა დედამ ჟორას. ჩვენც ერთმანეთი გადავკოცნეთ. ჩემი ბარგი იმავე ჟანდარმს ჟორას ოთახში შეატანინეს და მეც თან წამიყვანეს.

დედა-შვილური მზრუნველობა იყო ამ ქალისგან ჩემს მიმართ.

ფორტი „კაია-ღიბი“.

ბათუმის სამხედრო კომენდანტს ყურები გამოეჩიჩქნა ომის დაწყებასთან დაკავშირებით და ახლა დაეწყო ბათუმის ირგვლივ ყველა ფორტების გამაგრება: გზები, ხიდები, ოკოპები, ფარდულები, გვირაბები და სხვა ნაგებობათა აღდგენა-კეთება.

ამ სამუშაოთა სათავეში იდგა სამხედრო ინჟინერი ფევრალიოვი, სამოილენკოს ოჯახის ახლობელი კაცი. ტელეფონით გამოიძახეს, ჩემი თავი აჩვენეს და გულმოდგინედ დაავალეს – ჩემი სამუშაოზე მოწყობა.

– Табельщиком, – თქვა ფევრალიოვმა, *– оклад 90 рублей в месяц. Утром поднимешься в форт "Кая-Дыб" и найдешь Попова. У него будет приказ о тебе. А это – пропуск в форт.*

დილას წავედი და ფორტზე წვალებით ავედი. მუშები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. პოპოვი უბრალო მესანგრე ჯარისკაცი აღმოჩნდა. მითხრა:

– Ваш участок будет вот на той стороне форта. Там работает пять бригад. Возьмите табель, перепишите их и ведите учет.

მე მისი ნათქვამი ზუსტად შევასრულე. ერთი კვირის შემდეგ მეწვია უფროსი მეტაბელე – ვინმე მასხარაშვილი და ტაბელები გამისინჯა. ძმურად მითხრა:

– ბიჭო, შენ სულელო! ეს „ტირეები“ რომ ჩაგიმკწრივებია, რას ფიქრობ? ეს ფული არაა? – და მასწავლა, – „ტირეს“ ნუ სწერ, ხოლო შენთვის იცოდე, ვინ მუშაობს და ვინ არა. ვინც მუშაობს –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღოს თავისი ნამუშევარი, ვინც არ გამოცხადდა და არ უმუშავია. მომუშავეთა დიდი დენადობის გამო, იმათი ხელფასი – შენ! ა? რას იტყვი?

– კი, მაგრამ ეს მაქინაცია რომ გაიგონ, მერე?

– ე-ე-ე, ჩემო ძმაო! შენ სულელი ხარ, ვიღაცა ხარ. ან ასე გააკეთე, როგორც გეუბნები, ან ხვალიდან შენი „დუხი“ აქ არ იქნება. შენს გამო ჩვენც ჩავცვივით! გესმის?

შემდეგში ამ მასხარაშვილს ხშირად ვაწუხებდი კონსულტაციისათვის.

მოაწია თვის ბოლომ. ტაბელების დახურვაში „კონსულტანტი“ დამეხმარა და წარვადგინეთ. მესამე დღეს ცხრა თუმანი მივიღე (მაშინ ხელფასიდან არავითარი დაქვითვა არ არსებობდა) და თითო ბრიგადირმა მომიტანა კიდევ თხუთმეტ-თხუთმეტი თუმანი. ე.ი. ერთ თვეში მივიღე 840 მანეთი. კინალამ გავგიჟდი! დღეში სამჯერ ვითვლიდი ამ ფულს.

შემდეგ თვეებში ეს თანხა ავიდა 1500 მანეთზე და უფრო მეტზე. ამ თანხიდან კონსულტანტმა 100 მანეთი თვეში მიმაცემინა აფხაზ ინალიპაზე – ინჟინერ ფევრალიოვის ცოლის ძმაზე, რომელიც, ალბათ, აგროვებდა ინჟინრისათვის. 10-12 მეტაბელიდან თვეში კარგი თანხა შედგებოდა. ამნაირად ხელმძღვანელი ინჟინერიც ყოფილა ჩათრეული ამ საქმეში და საერთოდ „ხელი ხელს ბანდა“.

ფულს, ბიძაშვილის გიორგის ცოლს – სალომეს ვაბარებდი, ის ალბად გიორგის ეუბნებოდა და გიორგი მეკითხებოდა:

– საიდან გაქვს, ბიჭო შენ ეს ამდენი ფული? – მე დაწვრილებით ავუხსენი. მოწაფეობისას რომ ღამე არ გამათევინეს, ახლა მათთან ვიყავი, სხვაგან არ გამიშვეს. სალომე ძლიერ დამიახლოვდა, დატკბა და სულ ჩემს პატივისცემაზე ფიქრობდა. საჩუქრებიც მოსწონდა. ფულს საიდუმლოდ და საიმედოდ მინახავდა.

თვე თვეს მიჰყვა და 1914 წლის დეკემბრის ბოლოს მე 5000 მანეთი დამიგროვდა გარდა იმისა, რომ რამდენიმე ხელი ტანსაცმელი შევიძინე ჩემთვის, მამაჩემისთვის და ოჯახის ყველა წევრისათვის. სალომეს – განსაკუთრებული პატივი ვეცი, ჩემი სული მის ხელთ იყო ჯერ-ჯერობით.

სალომეს დედას, დას, ნაშვილებ ქსენიას – თავის შესაფერი საჩუქარი ერგო.

ახლა მტკიცედ გადავწყვიტე დროულად მოვშორებოდი ამ ფულის აკრების ამბებს. ჩემი ბუნება ამას ვერ ურიგდებოდა.

თანაც არმიაში გასაწვევი ასაკიც მიახლოვდებოდა და დღითიდღე მობილიზაციას მოველოდი.

მასხარაშვილი – მთავარი მეტაბელე და ჩემი განმანათლებელი, ძლიერ ოხუნჯი კაცი იყო. თუმცა ინვალიდი, მაგრამ საქმიანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად გაქნილი და მოხერხებული. ფორტზე ჩვენს საქმიანობას მასხარაშვილმა დაარქვა *"Кая-Цыбские дела обороны"*.

„გებენი" და „ბრესლაუ"

ამასობაში ბათუმზე თავდასხმები დაიწყო გერმანიის ორმა ჯავშნოსანმა გემმა „გებენმა" და „ბრესლაუმ". მაღალ კაია-დიბის ფორტიდან მშვენივრად მოსჩანდა მათი პირატული მოქმედება. ისინი გაჩერდებოდნენ ძალიან შორს და იქიდან უშენდნენ ბათუმს. მათ უპასუხებდნენ ფორტები: „კაია-დიბი", „ანარია", „მინგრელსკაია", „ბურუნტაბიო", „სამება", მაგრამ ამათი გასროლილი ყუმბარები მიზანს შუამდე ვერ წვდებოდნენ და ზღვაში წყლის შადრევნებს აყენებდნენ. პირატები გაისვრიდნენ ორ-სამჯერ, მაგალითად ზღვის ნაპირზე, ბულვარში აშენებულ მაღალ გუმბათიან ტაძარზე და შემდეგ იმალებოდნენ ზღვის სივრცეში. ავიაცია იმ დროს მხოლოდ იწყებდა ფრთების შესხმას.

ბათუმის ფორტებისა და გერმანული პირატების შებმის სურათი რამდენჯერმე მინახავს კაია-დიბის მთის მწვერვალიდან. ეს სანახაობა ძლიერ თვალწარმტაცი იყო.

მარცხი არაფერი მოჰყოლია ამ „შებმას", გარდა ტაძრის ერთი კუთხის მონგრევისა, მაგრამ ამან ბათუმის მოსახლეობაში გამოიწვია პანიკა. მოსახლეობა თანდათან ტოვებდა ქალაქს და სხვაგან მიდიოდა. მე სოფელში წასვლა გადავწყვიტე.

ჩოხატაურში რომ ჩავედი, ცხენები ვიქირავე, რადგანაც მე ორი დიდი სავსე ჩემოდანი მიმქონდა. სახლში მისვლისას მომეგებნენ: მამა, ესე, ნოე, პანია, რუთია და სიმონი.

ოთხი თვალი ოდა დაედგათ ნოეს წყალობით. დარბაზში ბუხარი გუგუნებდა. ჩაცმულობაზე შემატყვეს, რომ „კარგად" ვარ ჩამოსული.

ჩემოდნები გავხსენი და ყველას სათითაოდ საჩუქრები მივართვი. მამა ცალკე გავიხმე, 300 მანეთიანი „პაჩკა" მივეცი და ვუთხარი:

– ეს შენ გქონდეს საკუთრად. რაც მოგეპრიანოს, ამით ის გააკეთე. დილისთვის ყველა მევალე დაიბარე თავიანთი ვექსილებით. არავინ გამოგრჩეს-მეთქი. ლაპარაკი ნიკოლოზის ფულის კურსით იყო.

შემდეგ ნოე ვიხმე:

– მე შენთან ვალში ვარ, ნოე!

– რატომ, ბიჭო?

– ჩემი ბათუმში წაყვანა შენ ითავე პირველად. ამის დავიწყება მე არ შემიძლია. ახლა მე ფული მაქვს და ამით მინდა სამაგიეროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაზღაურება. ვიცი, რომ შენი სახარაზო ამ სახლს მოანდომე და ახლა სახელოსნო არ გაქვს. რამდენია საჭირო, რომ ის აღადგინო?

– მაგას თუ იზამ, მე მუდამ მადლიერი ვიქნები შენი, მაგრამ მაგას ბევრი უნდა, ბიჭო!

– მითხარი, რამდენი უნდა?

ოთხასი მანეთი უნდა – მითხრა მან.

– აჰა, ოთხასი მანეთი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– შენ გენაცვალე, ბიჭო! – მითხრა მან და სიამოვნებისაგან გაწითლდა.

ამ ლაპარაკს ესეც წამოესწრო.

– ესე! გახსოვს, სოხუმიდან ბათუმში რომ ჩამოდი და თუმნიანი ოქრო დამიტოვე? აი, შენ სამაგიეროდ ოთხი ოცდახუთმანეთიანი (ოქროს და ქაღალდის ფულს მაშინ ერთი ღირებულება ჰქონდა. ორივე ერთნაირად იყო ხმარებაში). ხვალიდან ჩვენ არც ერთი გროში ვალი აღარ გვექნება და ეს აღვნიშნოთ ერთი კარგი ქეიფით.

– ნოე! შენ უფრო გეხერხება ეს საქმე. აჰა, კიდევ ასი მანეთი და ამ საქმეს მოახმარე. მოიწვიე ყველა ბიძაშვილები.

შემდეგ ორთავემ შემეკითხა, საიდან მაქვს მე ეს ფულები და მეც დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი.

– მცირეოდენს ვიტოვებ ჩემთვის, რადგანაც საცაა ჯარში გამიწვევენ და დამჭირდება.

ვივახშმეთ და ყველა ნასიამოვნები დავწექით.

მამას ყველა მევალეები დაებარებინა და დარბაზში მუსაიფობდნენ. მეც ყველას მივესალმე და შემდეგ მათი ვექსილებიდან, მათივე დახმარებით გადასახდელი თანხა ცალკე ქაღალდზე ამოვიწერე. ამ პროცედურამ დიდი დრო წაიღო, მაგრამ ჩემი სურვილი იყო ერთბაშად გამენადგურებია „ვალი“. ვალი 900 მანეთს აღემატებოდა. ვექსილებს ყველას თავი მოვუყარე და აგუზგუზებულ ბუხარში გავუძახე. ამან შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ მალე დამშვიდდნენ. ჯიბიდან ფული ამოვიღე და სიის მიხედვით ჩამოვურიგე ყველა მევალეს.

– შვილი გავზარდეო, შენ უნდა თქვა, გიგილო! – თქვა მაქსიმენამ.

– მაგას ვენაცვალე. ჩემი თავი სიზმარში მგონია! – უპასუხა მამამ და აცრემლდა.

მე ყველას მადლობა გადავუხადე გაჭირვების დროს ხელის გაწყობისათვის. თხილისა და არაყით შექცევის შემდეგ ერთხანს კიდევ მაქეს და წავიდნენ ყველა კმაყოფილი.

– ბიჭო! რა ანგელოზად გამომეცხადე შენ! – მეუბნებოდა მამაჩემი, რომელიც დარეოდა ქათმებს და გოჭებს, – აბა, მოლხენა ჩვენზე იყოს, შვილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემ არჩილიდან მოზვერი იყიდა და თავი გააგდებინა. ზოგი სახლში იყო და ზოგიც არჩილიდანვე იყიდა ნოემ.

ბიძაშვილები, მეზობლები, ახლობლები ყველა მოგროვდა და გაჩაღდა ქეიფი. მაშინ ღვინის სმა მე არ შემეძლო და ჩემს ამხანაგებში ვერთობოდი. ქეიფმა სამი დღე გასტანა და საგრძნობლად მოგვქანცა ყველა.

ნინასთან ჩოხატაურში

ცხენი ვიქირავე და წავედი ჩოხატაურში. მე ვიცოდი, რომ ნინას არდადეგები ჰქონდა და ყარამანისას იმყოფებოდა.

ჩოხატაურში რომ ვიყავი, იქაური ბიჭების ლაპარაკს ყური მოვკარი. ეს ბიჭები იყვნენ ქუთაისის გიმნაზიელები. ერთმა მეორეს უთხრა:

– შენ იცი? ყარამან რამიშვილისას არის ერთი ქალიშვილი – ქალის უნახავს გაგხდის!

მე სვლა შევანელე და ყურები ვცქვიტე.

– ის ყარამანის ძმისშვილია, შე აბდალავ! – უპასუხა მეორემ, – ნინა ჰქვია. მართლა საკითხავი ქალიშვილია!

ცხენით მიმავალს ეს გაგონილი ამეკვიატა და სულ ამაზე ვფიქრობდი, ისე მივადექი ყარამანის ჭიშკარს.

ნინამ დამინახა, გამოიქცა და ჭიშკართან შემეგება, გაბრწყინებული სახით.

– გაუმარჯოს ცხენოსან რაინდს! – დამასწრო მან.

ცხენიდან გადმოვედი.

– მონასტერის მონაზონს გაუმარჯოს! – ვუპასუხე და ავხედ-დავხედე.

– როგორ ბრძანდები ქალბატონო მასწავლებელო?

– რა მიშავს! წამოდი სახლში.

– სახლში კი წამოვალ და შემდეგ ბაზარში მინდა გავიდე რაღაცის საყიდლად. შენც წამოდი.

– წამოვალ. ულვაშები ამოგსვლია, ბიჭო!

ეზოში შევედით. ყარამანი შინ არ იყო. კატო გამომეგება.

– შენი ჭირიმე, გაბრიელ, მობრძანდი, – გადამკოცნა, – ყარამანი მალე მოვა. ბალნებო, ცხენი ჩამოართვით!

– ცოტა ხნით ბაზარში გავალ და შემდეგ მოვალ. ყარამანი, ალბათ, მაშინ სახლში იქნება, – ვთქვი მე.

– კი, შენი ჭირიმე, – მიპასუხა კატომ.

მე და ნინა წავედით. „აგერ! ისევ ერთად ვართ!“ – ვფიქრობდი მე, – „რა მეშველება? როდემდის ვიყო ამ წამებაში?..“

– ფულიანი კაციაო, შენზე ამბობენ, – მითხრა ნინამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კი, ცავ! მაქვს. რაც ვალები აუღია მამაჩემს, სულ გავისტუმრე.

– ახლა რას აპირებ?

– ახლა ცოტა კიდევ დამრჩა ფული. სადაცაა არმიაში გამომიძახებენ. ვინმეს ვეძებ, რომ ვითხოვო და ჩემს მაგივრად დარჩეს ამ ქვეყნად. ვინმემ ხომ უნდა მახსენოს!

– იცი რა, ასეთი შაბლონური მასხრობა არ მიყვარს! – თქვა ნინამ და გვერდზე მიბრუნდა.

– გამებუტე? გაჯავრდი? ქვეყანა გამიჯავრდეს, ოღონდ შენ არა!

– მე რა ვარ, ვითომ..? რამდენ ხანს დარჩები სახლში? – მკითხა ნინამ.

– სანამ შენი არდადეგები არ გათავდება, წამოდი სურებში.

– წამოვალ, – მტკიცედ თქვა ნინამ.

ამასობაში ბაზარში შევედით.

– ნინა! დიდი სურვილი მაქვს, რომ სამოხსოვროდ რამე ნივთი გიყიდო და მოგიძღვნა. მითხარი, რა გიყიდო – ნივთი, ტანსაცმელი, საკაბე, რაც შენ გესიამოვნება და გაგეხარდება!

– არამც და არამც! – გადაჭრით განაცხადა მან, – შენ იცი, რამდენი ჭორებია ჩვენზე?

– ვინ ჩვენზე?

– ჩემზე და შენზე, – გაბრაზებით მიპასუხა მან.

– მერე და იჭორაონ. სინამდვილეში ხომ არაფერია?

ერთ ხანს ჩუმად მივდიოდით... ნინამ წყენა შემატყო. მკლავში ხელი გამომდო და თითქოს ამით მომეფერა. თავისთვის არაფერი მაყიდინა.

ყარამანი უკვე მოსული დაგვხვდა და თან ვიღაც სტუმარი მოყოლოდა. ყარამანმა ჭიშკარში შესულნი და სახლისაკენ მიმავალნი მე და ნინა შეგვათვალიერა. მის თვალებში და შუბლზე სიამოვნების იერი აღიბეჭდა. მე ვიგრძენი, რომ მან ჩვენ ერთმანეთს შეგვადარა და გულში ნასიამოვნები დარჩა. მთლად ახლოს არ ვიყავი მისული, რომ მან სტუმარს ჩემზე უთხრა:

– ნამდვილად საოფიცრო ბიჭია!

ეს თქმა მეც გავიგონე და ვთქვი:

– ცოტა სიდაბლე მიშლის ხელს, ბატონო ყარამან!

– არა უშავს, ყმაწვილო! – ჩაერია სტუმარი, – სამაგიეროდ მტრის რამდენი ტყვია აგცდებათ თავს ზევით! გეცოდინებათ, ყველა გამოჩენილი სარდალი ტანად მორჩილი იყო.

ნინამ დერეფნიდან სახლში ისკუპა, იქედან მოიხედა და გამიღიმა.. მე ყარამანს და სტუმარს მივესალმე და სახლში შევედით. მაგიდა უკვე გაწყობილი იყო. ბიძაშვილი ზაქარიაც მოვიდა. მაგიდას შემოვუსხედით. ყარამანი თამადობდა. ჩემს მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი სიტყვები ითქვა და მომავალი მიქო. ნინა ეროვნულს ემსახურებოდა. „ოჯალეში“ პირველად მაშინ გავსინჯე.

სადილი გათავდა. ნინას ჩავჩურჩულე:

– ხვალ სურებში ამოდი!

– კი, – მიპასუხა მან.

იქაურებს გამოვემშვიდობეთ. ზაქარია და მე ცხენებით წამოვედით. მე ნინას სახე გულით თან მომქონდა...

შაშვებზე ნადირობა

მეორე დღეს ცალი თვალი ხუტუას ეზოსკენ მქონდა მიპყრობილი, ნინას მოლოდინში. პატარა თოვლი იყო, ცოტას ყინავდა. შუადღისას დავინახე, რომ ეზოში ნინა საქმიანობდა. ათ წუთში მასთან ვიყავი.

– ქალბატონს გამარჯვება!

– გაგიმარჯოს!

– დიდი ხანია მოსული ხარ?

– არა, წეღან მოვედი. დილით გაყინული გზით ვისარგებლე.

– რამდენ ხანს დარჩები?

– მონასტერში წასვლამდე, არდადეგებზე აქ ვიქნები. შევიდეთ სახლში. ბებია საუზმეზე გვეპატიჟება.

შევედით. ანთებულ ბუხართან პატარა მაგიდაზე ბებია ეფენიმ საცივი და გაფიცხებული ღომი მოგვართვა. თვითონაც დაჯდა და „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე თავი გვითხრა. მას ძლიერ ესახელებოდა ეს. თუ მოუსმენდი „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდე, ჩამოგიბულბულებდა.

ესეს საჩიტე ფილთა თოფი მე მქონდა. სახლის ზევით, დიდ ქვებზე გადაზრდილ სუროებსა და კურკანტელებზე მოდიოდნენ შაშვები. მათზე ნადირობას ვაპირებდი, მაგრამ ისეთ სიფრთხილეს იჩენდნენ, რომ ვერც ერთს ვერ მივეპარე. ნინა თან დამდევდა.

მისი წასვლის დროც მოვიდა და წავიდა კიდეც. დღითიდღე არმიაში გაწვევას მოველოდი.

ომი თანდათან მძვინვარებდა. გაზეთებში იუწყებოდნენ: „გერმანიის ქვემეხებმა ცეცხლის ენები გამოჰყვეს და არმიის შემადგენლობას შეუბრალებლად ლოკავენო“.

თბილისში წასვლა მოვიმიზეზე. წავედი, ორიოდე დღე ვიბორიალე. შემდეგ პატარა შვეიცარული საათი ვიყიდე ნინასთვის. მონოგრამა გავაკეთებინე და წამოვედი.

პირდაპირ მონასტერში ავედი ნინასთან. იქ იყვნენ ჯერ პატარები მარო და თეოლინა. ამიერიდან ნინა გახდა მათი პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინასთან მეორე მასწავლებლად მუშაობდა ფოთელი ქალი ზოია. ნინა და ის ძალიან მეგობრობდნენ. ზოიასთან სტუმრად იყო მისული ქალიშვილი, მეგი, ისიც ფოთელი. მისვლის უმალ ამ ქალიშვილს, ეტყობა, მოვეწონე და ძლიერ აშკარად ამჟღავნებდა ჩემდამი მის სურვილებს. მეგი გაფართოებული, აღგზნებული თვალებით ამედევნა. ძლივს-ძლივობით მოვიხელთე რამდენიმე წუთი, რომ ნინასთვის მეთქვა:

– მე ეს საათი მოგიტანე. ჩემგან მიიღე და შემდეგში როგორც გსურდეს ისე მოექეცი მას. აქედან ბათუმში მივდივარ და ჯარში შევდივარ.

საათი გამომართვა, ხელი მოუჭირა და მადლიერი თვალებით შემხედა... იმ მომენტში მე ისე მწადდა ამ მადლიერი თვალების ამოკოცნა და თვალებთან ერთად მთელი სახისაც, მაგრამ ვერაფერი გავბედე და მომავლისთვის გადავიტანე ჩემი ოცნება და სურვილი! დიდი ღელვითა და განცდით მითხრა:

– წადი... სადაც არ უნდა იყო – მე ვიცოდე... თავს გაუფრთხილდი...

– შენ? შენ რას იზამ?

– მეც მოგწერ...

წამოვედი უკან-უკან ცქერით. მეგის თვალების ისრები ეზოშივე დამერჭო. ნინასაგან ნაამბობი, მე სოფელშივე ვიცოდი, რომ მონასტერში ცხოვრობდნენ მონაზვნები. ამიტომ ღამით მონასტერში დარჩენა არ შეიძლებოდა. ყველას გამოვემშვიდობე და სასწრაფოდ დავეშვი მონასტრიდან ნიგოეთისაკენ. უკვე მოსაღამოებული იყო.

უცბად, კარგა მანძილის გავლის შემდეგ უკნიდან ფეხის ხმა შემომესმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. უეცრად მოხვეულიდან მეგი, პატარა ხელჩანთით ხელში, შველივით გამოხტა და აღელვებული ქოშინით მომვარდა.

– ძლივს დაგეწიე... სად გარბი... რატომ გარბი... მე ვგიჟდები. ნამდვილად გავგიჟდები და ტყეს მივცემ თავს...

მე ძლიერ გაოცებული ვიყავი ამ ახალგაზრდა ქალის თავშეუკავებლობით. ვკითხე:

– მეგი! რა გსურს ჩემგან?

– აი, რა: ეხლავე მე და შენ სადმე მყუდროში მარტონი დავრჩეთ.

– აკი, მარტონი ვართ!..

– არა! ასე არა! სრულიად მარტონი... – გამოექანა და ისე ჩამეკრა, რომ სუნთქვა შემეგუბა, მთელი სხეულით მომეკრა.

– მეგი! გონს მოდი! აქ გზაა. გამვლელებია მოსალოდნელი. წავიდეთ წინ.

წავედით და ჩქარა ნიგოეთის სადგურის მახლობლად დასახლებაში შევედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შენი ჭირიმე... შენ გენაცვალე... გეხვეწები... გემუდარები... – მეუბნებოდა მეგი.

პატარა ორსართულიან ხის სახლთან შევჩერდით. სახლს თეთრი ასოებით ეწერა „სასტუმრო გამვლელთათვის“. კარები შევაღე, წინ ხნიერი კაცი მომეგება სიტყვებით:

– მობრძანდი, ბატონო!

– ბიძია! გზაზე ნათესავი ქალი ავად გამიხდა. რამდენიმე საათის შესვენებისთვის ოთახი გექნებათ და მომაქირავეთ! ბათუმის მატარებლამდე.

– კი, ბიძიკო! მოიყვანეთ ავადმყოფი.

მეგი მოვარდა. მეორე სართულზე ავედით და კუთხის ოთახში შევედით. მეგიმ კარები ჩაკეტა და ისევ დამეტაკა... ახლა ხელს არავინ უშლიდა. მე რას ვკარგავდი! ღმერთმა წყალობა მიძღვნა და უნდა მიმეღო.

11 საათზე ბათუმის მატარებელს უნდა ჩამოევლო. გავემზადეთ და ბათუმში ჩავედით. ნავთსადგურის ახლო კარგი სასტუმრო იყო და ამ სასტუმროში მოვისვენეთ...

მეგი

1914 წლის ბოლოს, მეგიმ მრავალგვარი აფორიაქება გამოიწვია ჩემს აზრსა და გონებაში. მაშინ ზუსტად 20 წლის ჭაბუკი ვიყავი, რომლის ძარღვებში სისხლი მაჭარივით ჩუხჩუხებს, მაგრამ ასეთი ასაკისათვის ძალიან თავდაჭერილი ვიყავი.

მეგის ნახვამდე მე, რა თქმა უნდა, მამა აბრამის ბატკანი არ ვიყავი და საკმარისად ვიცოდი რა იყო „ქალი“. ბაქოში, ბათუმში, თბილისში. მაგრამ ყველა შემთხვევა ქალებისგან იყო გამოწვეული. მე მრცხვენოდა, უკან ვიხევდი.

მონასტერში მეგის მოულოდნელმა შეხვედრამ მეც ჩამითრია თავის აბობოქრებულ ტალღებში.

ეს ჩათრევა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა, მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მან მთელი სიგრძე-სიგანით დამანახა ვნებააწყვეტილი ქალი. პირველად ძლიერ შევშინდი და დავიბენი. ამ ურთიერთობის გახმაურების შემეშინდა.

ბათუმის სასტუმროში ღამის გათევის მეორე დღესვე, სასტუმროსთან ანგარიშების გასწორების შემდეგ, მე მისგან გავიქეცი და სამხედრო ნაწილში ჩავეწერე.

მეგი ამით ამოიშალა ჩემი მეხსიერებიდან სამუდამოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სამსახური

ბათუმში იმჟამად იდგა 221-ე სათადარიგო პოლკი. ჩემს ოფიციალურად ჯარში წაყვანამდე, 15 დღით ადრე, ჩავეწერე ამ პოლკის „უჩებნაია კომანდაში". ამიერიდან უკვე სამხედრო სამსახურში ვითვლებოდი. ეს იყო 1915 წლის 22 თებერვალს (25 მარტს ძვ.სტ.), ანუ მაშინ მისრულდებოდა 21 წელი.

ბათუმის ქუჩებში კიდევ ხდებოდა მანიფესტაციები ომის სასარგებლოდ. ამ მანიფესტაციებში მონაწილეობდნენ უმთავრესად მონარქიისა და მეფის მომხრენი. დროშას მიაფრიალებდა სახელოსნო სასწავლებლის ყოფილი მოწაფე, კაზაკი გენერლის შვილი, კვიცანსკი, რომელიც სასწავლებელში ყოფნისას ჭირივით მძულდა. „მატრაკვეცა" ბიჭი იყო და ამ ცინგლიანს მისდევდა აუარებელი ხალხი ქუჩა-ქუჩა. ძირითადი მასა გარინდული იყო. მე კარგად მესმოდა, რომ ხალხი ომს უბედურებად თვლიდა და, რასაკვირველია, მეც ამ ხალხს ვუთანაგრძნობდი.

ჩემისთანა მრავალი ათასი შენაკადივით შეუერთდა ძველი ტრადიციებით გაჟღენთილ არმიას და, სწორედ ამ ახალმა, ცხოველყოფელმა ძალამ, აზრმა და გონებამ შემდეგში ბოლო მოუღო „დამყაყებულ" ტრადიციებს და მის თავგამოდებულ დამცველ მეფის რეჟიმს.

ხალხის ამონაკვნესი ჩაწვეთებული მქონდა ყურში და ინსტინქტით მეც ვგრძნობდი, რომ ამ ომს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მონარქიის დამხობა. ამგვარად აზროვნებდა ყველა ჩემისთანა მთელ' იმპერიაში.

ფრონტებიდან თავიდანვე საზარელი ამბები მოდიოდა. რუსეთის არმია საერთოდ სასტიკ დამარცხებას განიცდიდა ყოველგან. აშკარა ხდებოდა მოწინააღმდეგის უპირატესობა. გამომჟღავნდა რუსეთის არმიის უკიდურესი ჩამორჩენილობა ყველა დარგში და სისუსტე მტრის შეიარაღებასთან შედარებით.

მთავრობაში და სარდლობაში თავი იჩინა ღალატმა. სამხედრო მინისტრი, სუხომლინოვი, გერმანიის აგენტი აღმოჩნდა. მეფის ცოლი, გერმანელი ქალი, გერმანიის სასარგებლოდ მოქმედებდა.

სარბიელზე გამოჩნდა გარყვნილი ვიგინდარა, ვიღაც რასპუტინი– ციმბირიდან მოთრეული მეჯინიბე და თითქმის დაეპატრონა სახელმწიფო ძალაუფლებას. ტახტის ახლო მდგომი ქალთა სქესი – დედოფლის ჩათვლით – გარყვნა. მეფე, რომლის თვალწინ ხდებოდა ეს თავისმომჭრელი ამბები, ამ ვიგინდარას მხარეზე იყო.

ყველაფერი ეს იცოდა არმიამ, ჯარისკაცებმა. ისმებოდა კითხვა: რისთვის უნდა ებრძოლა არმიას? სამშობლოს დასაცავად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ სამშობლოს ხომ გარყვნილი მუქთახორა მთავრობა ჰქონდა სათავეში?..

ასეთი მთავრობის წინააღმდეგ გაბოროტება თანდათან იზრდებოდა არმიასა და მოსახლეობაშიც, ამის ირგვლივ არსებობდა პოლიტიკური დაჯგუფებანიც...

მაგრამ არსებობდა რაღაცნაირი მათრახი, რომელსაც ეწოდებოდა „დისციპლინა“ და ეს მათრახი ყველას მიერეკობოდა ჯარის ნაწილებში.

ცეცხლით ნათლობა პირველად

სამხედრო სამსახურის ულმობელი სუსხი პირველი დღიდანვე ვიგრძენი. დიდად შემზარავი იყო ეს სუსხი. მაგრამ საშველი არსაიდან ჩანდა. დილის 5 საათზე, ყინულიან დილას ადგომა; ეზოში ვარჯიში სანახევროდ გახდილის; ყაზარმის საზიზღარი სუნი; საჭმლის სპეციფიური სუნი და უგემურობა; უვიცი, უხეში ეფრეიტორის თავგასული მოპყრობა – ყოველივე ეს გულის ამრევი იყო.

მაგრამ ადამიანი, თურმე, ყველაფერს ეთვისება. ერთი კვირის შემდეგ გულის რევამ თავი დამანება და ყველაფერი თავის ადგილზე აღმოჩნდა.

ათიოდე დღის შემდეგ ჩვენი განაყოფი გემით არხავეში გაგვაგზავნეს, რომელიღაც ნაწილის შესავსებად. ჩვენს განაყოფს შეადგენდა სამოციოდე „უჩებნაია კომანდაში“ გაერთიანებული, ყველა საშუალო განათლების მქონე „ვოლნოოპრედელიაუშჩები“.

პირველი ცეცხლით ნათლობა არხავეში მივიღეთ ოსმალებთან ბრძოლაში, ზღვის პირას, ბათუმიდან 60 კილომეტრის მანძილზე. მოჰკლეს ერთი ჩვენი ამხანაგი, ცომაია. მისი ცხედარი ბათუმში ჩამოასვენეს მშობლებმა. ბათუმში მაშინვე ხმა გავრცელებულიყო, თითქოს ჩვენ ყველა დახოცილი ვიყავით და ჩვენზე ცრემლებს ღვრიდნენ. 15 დღის შემდეგ ყველანი ისევ ბათუმში მოგვაბრუნეს. მთელმა ბათუმმა იცოდა ოსმალების ფრონტზე ჩვენი ყოფნა და დიდ მეომრებად გვთვლიდნენ.

„ვზვოდის“ უფროსი უნტერი

როგორც გაირკვა, ჩვენ განკუთვნილი ვიყავით სამხედრო სკოლაში გასაგზავნად და ამასთან დაკავშირებით გვწვრთნიდნენ. ყველა ჩვენგანი საშუალო განათლებით ვიყავით. ეს იცოდნენ

ჯარისკაცებმაც „არხავეს“ ფრონტზე. მათი უმეტესობა ქართველები იყო, მათ შორის ბევრი ისეთი, ჩვენ რომ მამად შეგვეფერებოდა.

– ბიჭებო, – გვეტყოდნენ ისინი, – ოფიცრები რომ გახდებით, ცემა-ტყეპას ხომ დაგვიწყებთ?

– არა, ბიძაჩემო, – ვეტყოდით, – ჩვენ მასეთი მეთაურები არ ვიქნებით. პირიქით, თქვენი მდგომარეობის შემსუბუქებაზე ვიფიქრებთ მუდამ.

– თქვენ გენაცვალეთ, აბა, თქვენ იცით! – ასეთი ლაპარაკი ხშირი იყო.

ბათუმში გემით მოვედით. ყაზარმაში დავბანაკდით.

ჩემთან მოვიდა ჩემი სოფლელი, ამბროსი რამიშვილი.

– ბიჭო, შენ აქ რა გინდა? – გადამკოცნა და მითხრა:

– სადაც შენ, მეც იქ!

– კი, მაგრამ შენ ჯერ რომ არ გიწევს?

– მერე რა? ჩათრევას ჩაყოლა მირჩევნია. ახლა ერთად ვიქნებით მე და შენ, მერე ვინ იცის, სად მოვხვდებით...

– ჩვენ მალე გაგვაგზავნიან სკოლაში, თბილისში.

– ჰოდა, მეც წამოვალ. საამისოდ მე უკვე გაფორმებული ვარ.

ჩვენ პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ დღეიდან ერთად ვიქნებოდით.

რაღაცა საწყობის დასაცავად, ჩვენგან ხანდახან საგუშაგოს გამოჰყოფდნენ. ჩვენი უფროსი რუსი იყო და ძლიერ უყვარდა ახალმოსულის გამასხარება. ერთხელ რომელიღაც გუშაგს „პოსტზე“ ჩაეთვლიმა. ის მიჰპარვოდა და „ვინტოვკიდან“ „ზატვორი“ გამოეძრო ისე, რომ გუშაგს არაფერი გაუგია. შემდეგ განგაში ასტეხა და ნამძინარევი გუშაგი აქეთ-იქით რომ აწყდებოდა „უზატვორო“ იარაღით, ის სიცილით კვდებოდა.

ეს რომ არ გახმაურებულიყო, ნამძინარევმა ათი მანეთი ჩაუჯიბა მას და „ზატვორი“ გამოართვა.

ერთ საღამოს გუშაგების უფროსად მან მე დამნიშნა და ცხრა კაცით „პოსტზე“ გამისტუმრა. მე და ერთმა ჩემმა ამხანაგმა, ნიგოეთელმა გერასიმე კალანდარიშვილმა, წინასწარ მოვილაპარაკეთ და დავთქვით: „როგორც ამბობენ, ხვალ თბილისში გვაგზავნიან; თუ ამაღამ გართობა მოისურვა ჩვენმა „უნტერმა“, მაგას დავამოხსოვროთ მისი ცელქობა და ბიჭების ნერვებზე თამაშიო“.

ღამის ორი საათი იქნებოდა. საგუშაგოზე ცვლა მოვახდინე და კალანდარიშვილი დავაყენე. ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ „უნტერი“ ეპარება ვითომ ჩათვლემილ კალანდარიშვილს. კალანდარიშვილი მაღალი იყო. ზურგით მიყრდნობილს, ხიშტიანი შაშხანა წინ ედგა და ჩახუტებული ჰქონდა.

„უნტერი“ დიდი სიფრთხილით მიეპარა კალანდარიშვილს და დაიხარა „ზატვორის“ გამოსაღებად. კალანდარიშვილმა სწრაფად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩექმიანი ფეხი ისეთი სიმძლავრით ჩასცხო „უნტერს“, ტროტუარზე გაგორდა. ამით საქმე არ გათავდა. კალანდარიშვილი მივარდა წაქცეულს, ერთ-ორჯერ ჩექმის წვერი მაგრად შეაზილა გვერდებში, შემდეგ საყელოში ხელი დაავლო, გამოყლონჭილი ააყენა და რამოდენიმეჯერ კედელზე მიახალებინა თავი. „საყარაულო“ ოთახი იქვე იყო. გერასიმემ წიხლის კვრით კარი შემოაღო, ცოცხალ-მკვდარი „უნტერი“ შემოაგდო და განგებ რუსულად (ვითომ არ იცოდა, ვინ შემოაგდო ოთახში) მითხრა:

– Господин караульный начальник! Этот сукин сын,... его мать, напал на пост и хотел обезоружить! – შემოიყვირა მან და თავის ადგილზე გაბრუნდა სასწრაფოდ.

ჩვენ „უნტერს“ შემოვესიეთ და მოვასულიერეთ.

– Попался, господин унтер-офицер? Наш добрый, заботливый начальник?!

– Отпустите, ребята, пошутил.

– Нет, дорогой, сначала гони 20 рублей.

ჩვენ ვიცოდით, რომ მას ფული მუდამ ჰქონდა. ვიცოდით აგრეთვე ისიც, რომ ხვალ მივდივართ და ჩვენ „დუხს“ ვერ ნახავს და საშველი არ მივეცით, სანამ ულტიმატუმი არ დააკმაყოფილა. ეს ის ოცი მანეთია, რომელიც მან მზაკვრობით აართვა ბიჭებს. წელმოტეხილი გარეთ გამოეთრია. ჩვენ ვურჩიეთ:

– Где о себе скажешь, там помяни и нас.

თბილისის პირველი სამხედრო სკოლა

1915 წლის მარტში ბათუმიდან თბილისში ჩამოგვიყვანეს 50 გადარჩეული ბიჭი. სკოლის ეზოში ორი ათასამდე კაცი ირეოდა, რომლებიც სკოლაში მიღებას ელოდებოდა. დირექცია არ ჩქარობდა. მისაღები კონტინგენტი ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილებიდან იყო გამოგზავნილი.

სკოლის დირექტორი იყო გენერალ-მაიორი გუტორი; მისი მოადგილე – პოლკოვნიკი ქართველიშვილი. ყველა პედაგოგის, მოსამსახურის და მომუშავის შტატი დაკომპლექტებული იყო. მე და ამბროსი, ორ-სამ დღეს იქეთ-აქეთ დავყიალებდით უსაქმურნი. ვბინადრობდით სომხების სემინარიის შენობაში, რომელიც დაცლილი იყო ჩვენთვის.

სწორედ ამ დღეებში გარდაიცვალა საქართველოს დიდება, აკაკი წერეთელი. მთაწმინდაზე მისი დაკრძალვა გრანდიოზული იყო.

სკოლაში მისაღები კონტინგენტი გადაარჩიეს. 200 კაცი დაგვტოვეს, სხვა უკან გააბრუნეს თავიანთ ნაწილებში. ახლა სკოლის შენობაში ვცხოვრობდით კუკიაზე ასასვლელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისში. ზედა სართულზე გვეძინა. დაბლა – სამედიცინო-სასადილო დარბაზები გვქონდა. გავდიოდით საგნებს: ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ფორტიფიკაციას, არტილერიას, წესდებებს – საველეს, შინაგან სამსახურს, დისციპლინარულს და სხვა აუარებელს. ნიშნები თორმეტბალიანი გვქონდა.

წესდებათა `გაზეპირებამ საქმე გაგვიჭირვა. ვიღაცამ მოიგონა ოდესღაც ნათქვამი, მგონი პეტრე-დიდის დროს:

"Ложась перед сном грядущим,
Читай устав насущный,
И утром, от сна восстав,
Читай устав".

სადაც არ უნდა გაგვეხედა, ყველას „უსტავები" ეჭირა ხელში და თავგამოდებით „იზუთხავდა". გამონაკლისი მე ვიყავი.

დაძინების წინ საერთო გამოძახება ანუ შემოწმება – სახეზე ყოფნა არ ყოფნის – *"Боже, царя храни!"*-ს გალობით – და ძილი დილის 6 საათზე, პლაცზე, საათით ხელში იდგა „კურსის ოფიცერი" და უთვალთვალებდა თავის მსხვერპლს, ანუ დაგვიანებულს. ნახევარი წამიც საკმარისი იყო დაგვიანება, რომ დამამცირებელი სასჯელი მიეღო იუნკერს: ან ვესტიბიულში თოფით მხარზე, საათის ქვეშ დგომა ორი საათით „სმენაზე", სადაც აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა, ან ეზოს კიდეზე, აგურის ღობეზე გადაჯდომა.

ღობის გასწვრივ ეზოს ნაწილი ქუჩად იყო გამოყენებული და კუკიის მოსახლეობა აქ მოძრაობდა.

სასჯელის ყველას ეშინოდა. ვესტიბიულში ყოველ წუთში შეეძლო გაევლო გენერალ გუტორს, ან პოლკოვნიკ ქართველიშვილს, ან ვინმე ნაცნობს. ღობეზე ჯდომა კიდევ უარესი იყო. აქ გავლისას შეიძლებოდა დაენახე ამ კუთხის მცხოვრებ ვინმე ახლობელს, მით უმეტეს – ქალიშვილს! ასეთი თითქმის ყველა კურსანტს ჰყავდა. მერე რანაირ იდიოტის სიფათს იღებდა ღობეზე გადამჯდარი იუნკერი!

მწყობრი ნაწილის კურსის ოფიცერი, ვინმე ძაღლი მაცნევი, კოლონად დაწყობილს, მარშით გაგვიყვანდა კუკიის სასაფლაოს ზევით, თავისუფალ მოედანზე და აქ იწყებოდა ჩვენი წამება პაპანაქება სიცხეში. მთელი ტერიტორია ძველი კუკიის სასაფლაოს ზევით თავისუფალი იყო.

ნაბიჯების დათვლით გვატარებდა, წაღმა-უკუღმა გვატრიალებდა, გვარბენინებდა. 10, 15, 20 წუთამდე აჰყავდა რბენა. ეს კი აუტანელი ხდებოდა. ბევრი ეცემოდა ძირს. შემდეგ მორიგეობით ჩვენც „ვკამანდრობდით". ძალიან ძნელი იყო გუნდის (როტის) დაწყობა და მისთვის მოქნილობის მიცემა. ეს უკვე ხელოვნება იყო. უკვე დაწყობილს აგვრევ-დაგვრევდა და რომელიმე ჩვენგანს გამოჰყოფდა და უბრძანებდა: „აბა! დააწყვე გუნდი! ჩქარა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

– საათი ხელში ეჭირა. გამოყოფილი განკარგულებებს [illegible] იძლეოდა და გუნდს აყალიბებდა.

მე სხვაზე უფრო ადვილად ავითვისე ეს ტექნიკა და მაინცდამაინც დიდი წყრომა არ შემხვედრია, მაგრამ ზოგიერთებს შავი დღე ადგებოდათ. რამდენ მეტს დაუყვირებდა მაცნევი, იმდენად მეტად იბნეოდა გამოყოფილი „უფროსი“.

ერთ საათში ხუთ წუთს ვისვენებდით.

– *Ружья в козлы! Отдыхай!* – დასვენების გავლისას.

ამ წამში ყველა თავის ადგილზე გავქვავდებოდით და ახლა სხვა ვინმეს უფროსობის ქვეშ ვიყავით. რაც მეტად იბნეოდა ახალი უფროსი, იმდენად მეტად წვალებული ვიყავით ჩვენ.

მეცადინეობაში შედიოდა ტექნიკური და საომარი წესები; მწყობრში გადარბენა, მანევრები, სროლაში ვარჯიში შაშხანებით, რევოლვერებით; ილეთებიანი ვარჯიში იარაღით, ხმლებით და სხვა მრავალი.

თანდათან ყველა შევეჩვიეთ „უფროსობას“ ანუ გუნდით (როტით) ფლობას და კამანდრობას, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად. ტრაბახში არ ჩამომერთვას და მე ბევრს ვჯობნიდი...

ათ საათზე სიმღერით ვბრუნდებოდით სკოლაში. ამ სიმღერებში ხანდახან ისეთი მყრალი და უცენზურო სიტყვები ერია, რომ ყურებში ბამბა უნდა დაეცო კაცს, მაგრამ ამის მიუხედავად, ქუჩის ორივე მხარეს აუარებელი ხალხი მოგვდევდა სიცილ-ხარხარით. მანდილოსნები სახეზე ხელებს იფარებდნენ სირცხვილით. სიმღერები რუსული იყო.

ერთი კუკიელი ქართველი ქალიშვილი, სხვების წაბაძულობით მეც ამეკვიატა და თავისუფალ დროს, ხშირად ერთად ვიყავით. ერქვა ანიკო, ცხოვრობდა სკოლის ახლოს, იყო დედის ერთა, დამთავრებული ჰქონდა რომელიღაც ქალთა საშუალო სასწავლებელი. სახელად გაბოს მაგიერ „გაბუნი“ დამარქვა. კარგი გოგო იყო.

ერთხელ დავისაჯე... ეს ასე მოხდა: საღამოს 9 საათზე სასწავლებლის კარები იკეტებოდა და გარეთ უნებართვოდ არავის უშვებდნენ. ანიკოსთან შეთანხმებული ვიყავი, რომ მასთან მივიდოდი 10 საათზე. ის მაღლა, ხეივანში მელოდებოდა. ჩემს მდგომარეობაში სხვებიც იყვნენ, ამიტომ აჩქარებით მივიღეთ ვიღაცის რჩევა – ჩვენ-ჩვენი ზეწრები ერთმანეთზე გადავაბით და ცალი თავი ფანჯარაში გადავუშვით; მეორე თავი ამხანაგებს დავაჭერინეთ და ამნაირად უნდა გავსულიყავით გარეთ. შემოსვლასაც ამ გზით ვაპირებდით. ერთი-ორი, ფანჯარაში გადაეშვა და სიბნელეში მიიმალა. გადავეშვი მეც მეორე სართულიდან. ის იყო – ფეხებით მიწას შევეხე. რომ ვიღაცამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავში ხელი გამომდო... ავიხედე და დავინახე ჩვენი მოსიარეული ოფიცერი – კაპიტანი კარპენკა,ძლიერ გულკეთილი ადამიანი.

მან უხმოდ წამომიყვანა, იარაღების „კაზლასთან" მიმიყვანა, თოფი ამაღებინა, ვესტიბიულში საათის ქვეშ გამაჩერა და ორი თითი მაჩვენა (ე.ი. ორი საათი იდექიო).

ჩემი ბედნიერება ის იყო, რომ ღამე იყო და ვერც გუტორი და ვერც ქართველიშვილი აქ ვერ შემამჩნევდნენ. მათ რომ დავენახე, ერთ იმდენ სასჯელს კიდევ დამიმატებდნენ. ერთი საათის შემდეგ ისევ მოვიდა და ისევ უხმოდ მანიშნა – „წადიო", თოფი თავის ალაგას დავდგი, მაგრამ ანიკო მოტყუებული დამირჩა.

მეორე დღეს ანიკო ძლიერ გაბუტული შემხვდა, მაგრამ ვუამბე, საქმე როგორ იყო და მაპატია.

გენერალი სამსონოვი

ომი მძვინვარებდა. გერმანია და ავსტრო-უნგრეთი რუსეთის დაგლეჯას და დანაწილებას ლამობდნენ. ამას ოსმალეთიც მიემხრო, კავკასიის მიღების იმედით. რუსეთის არმიები კვლავ მარცხს განიცდიდნენ.

სამსონოვის არმია შესდგებოდა ორი კორპუსისაგან: ერთი მათგანის (XIII კორპუსის) უფროსი იყო გენერალი არტამონოვი, მეორესი – გენერალი მარტოსი. არმიის შტაბის უფროსი – გენერალი პესტიჩი. არმია გარშემოტყმული იქნა გერმანელების მიერ სოლდაუს მიდამოებში და დატყვევებული 10-15 აგვისტოს 1914 წლისა, ე.ი. ომის დაწყებიდან 3 თვის შემდეგ.

არმიის უფროსმა სამსონოვმა თავი მოიკლა.

რასპუტინის ამოტივტივება

რასპუტინი თანდათან გაძლიერდა. მინისტრებს წარამარა აცვლევინებდა მეფეს. სუხომლინოვი გაასამართლეს და დახვრიტეს. პრემიერ-მინისტრად რასპუტინმა მეფეს შტიურმერი დაანიშვნინა – ეს ყოვლად უნიჭო და უავტორიტეტო ადამიანი. ყოველივე ეს დემორალიზაციას იწვევდა არმიაში.

დიდი უცნაური მოვლენა იყო რასპუტინი! მხოლოდ ნიკოლოზის რუსეთს შეეძლო მისი წარმოქმნა და მისი ატანა! როგორც წინათ ვთქვი, უვიცს, წერა-კითხვის უცოდინარს, ხეპრე „მუჟიკს" ხელში ჩაუგდო მეფის მთავრობამ იმპერიის და უზარმაზარი ომის საქმეებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის მთავრობაში, რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთები, რომლებიც ხედავდნენ ამ სამარცხვინო მდგომარეობას და თითქოს ზომებსაც იღებდნენ, მაგრამ მათ არაფერი გასდიოდათ. ფანატიკოსი მეფე დაარწმუნა რასპუტინმა, რომ ის არის ღმერთისგან წარმოგზავნილი მისი ტახტის დასაცავად.

ასევე დაარწმუნა ტახტის ირგვლივ მდგომი დედაკაცები, რომ მისგან გამოსხივდება ღვთიური ძალა და ვისზედაც ის გადავა, ის დაცულია ყოველივე ავისაგან. ამ აზრის გამავრცელებელი და მქადაგებელი ცრუმორწმუნეები ბევრი ჰყავდა მას ფრეილინების სახით (ვირუბოვა და სხვა). ამიტომ იყო, რომ ფანატიკოსი დედაკაცები, დედოფლის ჩათვლით, აუარებელ თანხებს ხარჯავდნენ, რომ ამ ვერაგთან ყოფნის საშუალება მოეპოვებიათ. ვერაგი კი სქესობრივ საკითხში მუდამ გაუმაძღარი იყო.

ასეთად იცნობდა მას არმია. ასეთი პიროვნების ხელში აღმოჩნდა სახელმწიფო... რანაირი იქნებოდა ის მთავრობა, რომელიც არა თუ ითმენდა ხსენებულ მოვლენას, არამედ იცავდა მას და ხელს უწყობდა კიდეც...

შეგნებულ მასას, როგორც არმიაში, ისე მოსახლეობაში, უკვე გაცემული ჰქონდა ამ კითხვაზე პასუხი. საჭირო იყო დრო... მზადდებოდა დიდი რევოლუცია...

ამავე დროს ყველა ნაწილებში ჩათესლილი იყვნენ ჯაშუშები, რომლებიც მტრის სასარგებლოდ მუშაობდნენ და აწვდიდნენ მას ყოველგვარ ცნობებს.

მახსოვს სამხედრო სასწავლებელშიც აღმოაჩინეს ორი ასეთი ტიპი (კურსანტები კრუგლოვი და გერასიმოვი). ისინი დაუყონებლივ სადღაც გააქრეს.

სამხედრო სკოლის გამოშვება

სასწავლებლის კურსი მიიწურა. „გამოშვება“ დანიშნული იყო 15 აგვისტოსათვის. გვატარებდნენ ფორმისთვის ზომების ასაღებად მკერავებთან, მეჩექმეებთან და სხვადასხვა ალაგას.

მაცნევმა, ერთი კურსანტის დახმარებით ითავა ჩვენი საოფიცრო ფორმით შემოსვა და ამ საქმეზე მოგებული კარგა მოზრდილი თანხა ჩაიდეს ჯიბეში ორივემ (სახელმწიფოს თითო კურსანტი უჯდებოდა 2.000 მანეთი, კვების გარდა).

ამ პერიოდში შალვა ასკურავა, ჩემი სკოლის ამხანაგი ბათუმიდან, თბილისში იყო. ერთხელ ის ჩემთან მოვიდა სამხედრო სკოლაში და მითხრა: „გაბო! ჩვენი ორგანიზაცია გთხოვს გამოშვებისას, სანდო ბიჭები შეკრიბო, რამდენსაც შესძლებ, იმდენი თანხა და გადმომცე მე, ჩვენს ორგანიზაციაში შესატანად“. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ვიცოდი, რომ შალვა ეწეოდა პარტიულ მუშაობას. ორგანიზაციაც არ უნდა ყოფილიყო, რაკი ამას შალვა მთხოვდა, მე უნდა გამეკეთებია და მართლაც ამხანაგებში შევაგროვე თანხა 300 მანეთამდე. ჩვენი გამოშვების დღეს ეს თანხა მე შალვას გადავეცი და მის შემდეგ მე ის აღარ მინახავს არასოდეს.

15 აგვისტოს, გამოშვების დილას, მივიღეთ საოფიცრო სამოსელი, როგორც „საპარადო", ისე ყოველდღიური ხმარებისათვის, ხმალი, რევოლვერი და თითოეულმა რვაას-რვაასი მანეთი ოქროს კურსით (მაშინ ოქროს და ქაღალდის ფულის კურსი ერთი და იგივე იყო). მივიღეთ აგრეთვე განკარგულება ყველამ (200 კაცმა), რომ ჩვენ ვიგზავნებით დასავლეთით ქ. მინსკში. მორიგე გენერალ მინუტას განკარგულებაში.

ორ საათზე დანიშნული იყო აღლუმი. გარედან შეხედვით, ალბათ, კარგი სანახავი ვიქნებოდით. ოფიცრის ტანსაცმელში მწყობრში მდგომნი. სასწავლებლის ეზო გაჭედილი იყო ხალხით. ყველა აღტაცებით გვიცქერდა.

"Смир-р-р-но!" – გაისმა გენერალ-მაიორ გუტორის ხმა და ის ხმალამოღებული გაემართა მოსულისაკენ.

მოსული იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი – ვორონცოვ-დაშკოვის შემცვლელი მეფის ნაცვალი ამიერკავკასიაში და ა/კ ფრონტის სარდალი. გუტორმა მას პატაკი გადასცა.

– *Здравствуйте, господа офицеры!* – მოგვმართა მან.

– *Здра-жам-Ваш-Выс!* – იყო პასუხი, რომელმაც ჰაერი შეარხია.

– *Поздравляю вас с производством в офицеры!*

– *Ра-ста-Ваш-Выс!* – პასუხმა ხელმეორედ შეახრია ჰაერი. შემდეგ, მგონი, ისევ ოფიცრობა მოგვილოცა განმეორებით და მანქანით მხლებლებითურთ წავიდა.

გუტორმა გამოგვიცხადა: „ფიცი მიღებული გაქვთ, ბრძანება ჯიბეში გიდევთ, მოვალეობა იცით და ამ წუთიდან გზა მშვიდობისაო". ორკესტრმა შეასრულა "Боже, царя храни!" ყველაფერი დასრულდა. ჩვენ და ხალხი ერთმანეთში ავირიეთ. დაიწყო ეზოს ნელ-ნელა დაცარიელება.

ოცდაათმა ბიჭმა დავთქვით, რომ ათი დღის შემდეგ თბილისის ვაგზალში მოვიყაროთ და ერთად გავემგზავროთ დასავლეთ ფრონტზეო. ახლა-კი დავიშალეთ.

მეორე დღეს მე და ამბროსი გურიაში წავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1915 წელი, სექტემბერი. მგზავრობა დასავლეთ ფრონტისაკენ

თბილისიდან ბაქოს მიმართულებით მივდიოდით. შავი ზღვის ნაპირის რკინისგზა მაშინ არ არსებობდა. გავიარეთ ბაქო, როსტოვი, ტაგანროგი, ხარკოვი, გომელი და მინსკში მივედით.

აქ მორიგე გენერლის, მინუტას განკარგულებაში გამოვცხადდით, როგორც გვქონდა მოწერილობა. რამდენიმე დღე გვალოდინეს და არც ჩვენ ვჩქარობდით მაინცა და მაინც. შემდეგ ყველას, 30 კაცს, პირველ მსროლელ კორპუსში მოგვცეს საგზურები და ერთად გაგვისტუმრეს.

პირველი კორპუსის შტაბი პოლოცკში იდგა და მოლოდეჩნოს გავლით იქ მივედით. სასტუმროში გავჩერდით. მე და ამბროსი ერთად ვიყავით ოთახში.

კორპუსის შტაბმა ყველა ჩვენგანი 22-ე დივიზიაში დაგვნიშნა. პოლოცკში უკვე საგრძნობი სიცივეები იყო და ნაბდებით და ბოხოხებით დავდიოდით. მოსახლეობა გარს გვყავდა შემოხვეული და ცდილობდა გამოერკვია ჩვენი ეროვნება.

პოლოცკიდან ნაწილ-ნაწილად გავედით. მე და ამბროსის რომელიღაც საკომენდანტო პუნქტზე „მარშევაია როტა“ შემოგვაჩეჩეს სამასი კაცის რაოდენობით და ეს „როტა“ მიგვყავდა.

როგორც გვითხრეს, დივიზიის შტაბამდე მანძილი იყო 20 კილომეტრი, მაგრამ მივდიოდით, მივდიოდით და გზის გათავების საშველი არ დგებოდა. რომელიმე გლეხს ვკითხავდით:

– რამდენია კიდევ ამა და ამ სოფლამდე მანძილი?

ის თავის მოქექვით გვიპასუხებდა:

– *Да верст еще 25 с гаком буде.*

ამ „გაკს“ დასასრული არ ჰქონდა. იქაურ გლეხებს წარმოდგენა არ ჰქონდათ სოფელსა და სოფელს შორის მანძილზე. როგორც იქნა, გვიან დაღამებულში დივიზიის შტაბს მივაღწიეთ დაღლილებმა და მშივრებმა. გზაში ჯარისკაცებს გავეცანით, ვესაუბრეთ და დავუახლოვდით. შიგადაშიგ გაგებული, შეგნებული, მცოდნე რუსი ბიჭები ერივნენ. უმეტესობა ხელმეორედ ბრუნდებოდა ფრონტზე, დაჭრისა ან ავადმყოფობის შემდეგ. ჩვენთან სიახლოვით და მასლაათით ისინი კმაყოფილნი იყვნენ.

დივიზიის შტაბთან გუნდი წესრიგში მოვიყვანე; ოთხ ოცეულად ანუ „ვზვოდებად“ დავყავი, ოცეულებს და ათეულებს უფროსები მივუჩინე, ჩვენი გვარი მათ გავაცანი და ამას შემდეგ დავავალე მორიგე ოფიცერს მოეხსენებია დივიზიის უფროსისათვის „მარშევაია როტის“ მოსვლა.

გენერალი მოგვესალმა. „როტის“ ფრონტს ჩამოუარა, შეათვალიერა და თქვა: „აიყვანეთ ამა და ამ სოფელში და იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააბინავეთო“. გამცილებლები მომცეს და ხუთი კილომეტრი კიდევ ვიარეთ. შუა ღამისას მივაღწიეთ დანიშნულ სოფელს. გამზადებულ ბინაზე დავბანაკდით, სადაც ცხელი საჭმელი დაგვხვდა.

იმ ღამეს რამდენიმე საათი მკვდარივით მეძინა. დილით ზარბაზნების გრიალმა გამაღვიძა. ფრონტი ახლოს იყო. ბრძანებაც მივიღე – მოყვანილი როტითურთ 85 ვიბორგის პოლკში ჩარიცხვის შესახებ.

დაბა პოსტავი

პოლკის შტაბი იდგა დაბა პოსტავში. თვით პოლკის ნაწილებს კი სამ კილომეტრზე შტაბიდან ეჭირათ წინა ხაზი ფრონტით ხუთ კილომეტრამდე. ჩვენს 22-ე დივიზიაში შემავალი პოლკები იყვნენ: 85-ე ვიბორგის, 86-ე კილმანსტრანის, 87-ე ნეიშლოტის და 88-ე პეტროვსკის მსროლელი პოლკები. დივიზია – 20.000 კაცს შეიცავდა.

ერკეთისელი ისაკი კობიძე, ლანჩხუთელი სიმონ ლომაძე და პროკოფი ბარამიძე 86-ე პოლკში მოხვდნენ.

ჩვენს 85-ე ვიბორგის პოლკს დროებით მართავდა პოლკოვნიკი რიაბინინი. მან მეც და ამბროსიც მესამე ათასეულში დაგვნიშნა. ამ ათასეულის უფროსი იყო დიმიტრი ვამიოლკინი, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, იყო ლოთი, უვიცი და ტუტუცი ადამიანი,მაგრამ მას ჰყავდა უმცროსი ძმა – ლეონიდი – ნამდვილად პატიოსანი და ნიჭიერი კაცი. უფროსი პოდპოლკოვნიკი იყო; უმცროსი – შტაბს-კაპიტანი.

შემდეგში მათზე ოფიცრები მასხრობდნენ: „როცა პოლკის ისტორია დაიწერება, ამ ისტორიაში ვამიოლკინების შესახებ ასე ეწერებაო: *„Их было два брата:один – умный, а другой – Митя.“*

ჩვენი გამოცხადებისთანავე, მე და ამბროსის, მიტიამ დავალება მოგვცა ყოველივე ახსნა-განმარტებისა და ნაწილების განლაგების რუკაზე ჩვენების გარეშე, უბრალოდ ხელის გაშვერით ფრონტის მიმართულებით, წავსულიყავით და „პლანშეტზე“ გადაგვეღო გერმანელების განლაგება, ჩვენი ნაწილების მოპირდაპირედ. პირველად მოსულებს, ჯერ წარმოდგენა არ გვქონდა არავითარ ორიენტაციაზე და ჯარების დისლოკაციაზე. ჩვენზე მოცემული დავალების შესრულება ნიშნავდა ჩვენს მოსაკლავად გაგზავნას.

ეს გაიგო უმცროსმა ძმამ, ლეონიდმა, ჩვენთან შემოვარდა და შავი დღე დააყენა თავის უფროს ძმას, მიტიას.

– *Ты что? На смерть их посылаешь?*

– *А что, они будут бездельничать?*

– *А ты ознакомил их с позицией хотя бы по карте?*

– *Нет.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

– Эх, голова ты, горе-голова! Идемте со мной, – გვითხრა ლეონიდმა.

წავედით. დიდი სიფრთხილით მივყავდით და მზრუნველობით გვაცნობდა „პოზიციის“ ყოველ ღირსშესანიშნაობას, მაგრამ მაინც დაგვინახეს და სროლა აგვიტეხეს. ამის შემდეგ მიტიას არავითარი ფასი აღარ ჰქონდა ჩემს თვალში, ერთი პამპულა ვინმე იყო.

უმცროსი ძმა, ლეონიდ ვამიოლკინი, გულკეთილი ადამიანი და გამჭრიახი მეთაური იყო. ყველას მიაჩნდა და უყვარდა პოლკში. შემდეგ ის ავიაციაში გადავიდა და იმავე წელს დაიღუპა ავარიის დროს.85-ე ვიბორგის პოლკი ერთ-ერთი უძველესი პოლკი იყო რუსეთის არმიაში. ის დაუარსებია პეტრე დიდს 1700 წელს და მისი მუდმივი სადგომი ყოფილა ნოვგოროდი. მას საკმაოდ დიდი მებრძოლი პოლკის სახელი ჰქონია ძველთაგანვე და შემდეგ იაპონიის ომშიც პორტ-არტურის ოპერაციების დროსაც. მისი შეფი მშვიდობიან დროს, ე.ი. ამ ომის დაწყებამდე ყოფილა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე – კაიზერი. თურმე, წინათ რომ ამ პოლკის ჯარისკაცს შეჰკითხოდი:

– Какого ты полка?

მას უნდა ეპასუხა:

– Его Императорского, королевского Величества, Императора Германии, короля Пруссии, Вильгельма Второго, 85-го пехотного, лейб-выборгского стрелкового полка, Ваш-сок-род!

წარმოიდგინეთ ამის გაზეპირება და დამახსოვრება რომელიმე ქართველის, ან არარუსი ჯარისკაცის მიერ, რომელმაც რუსული არ იცოდა. ასეთები აუარებელი იყო ძველ არმიაში.

ახლა-კი ვილჰელმის ხსენებაც არ იყო. ამჟამად პოლკი წინა ხაზზე იდგა, მაგრამ ბრძოლებს არ აწარმოებდა. ის საკმარისად შეთხელებულა წინა ბრძოლებში და ახლა თანდათან ივსებოდა ოფიცრებით და ჯარისკაცებით.

კარგი ბიჭები მოვიდნენ პოლკში ჩვენი მისვლის დღეებში. მოიყვანეს ჯარისკაცების შევსებაც, მათ შორის კავკასიელებიც: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები. ესენი გამოჰყვეს ცალკე. შეადგინეს მეთორმეტე გუნდი და ჩამაბარეს მე. ამბროსი დამინიშნეს მოადგილედ. ჯარისკაცებს ძლიერ უხაროდათ, რომ მათი მეთაურებიც კავკასიელები ვიყავით...

სუსხიანი ზამთარი იდგა. 1915 წელს ყინვები 35°-მდე აღწევდა. ლოყები ისე გვეყინებოდა, რომ გაცინების და ლაპარაკის საშუალებაც არ გვქონდა. რუსები დაგვცინოდნენ. ფრონტებზე ჯერ სიწყნარე იყო. სურსათით მომარაგებას არა უშავდა, მაგრამ მავნებლური ხელი ადვილი საცნობი იყო. შუა ზამთარში ტანსაცმელ გაცვეთილს და სანახევროდ ფეხშიშველ ჯარს მოაყრიდნენ საზაფხულო ტანსაცმელს და ბრეზენტის ან ტილოს ფეხსაცმელს. ზაფხულში პირიქით – ზამთრისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი შემთხვევა იყო, რომ საომარი მასალა, ყუმბარები ამ ბატარეისათვის საჭირო კალიბრის მიჰქონდათ სადღაც სხვაგან, და იქაური – აქ. სარდლობა თანდათან ჰკარგავდა ავტორიტეტს და ჯარში ყრუდ გაისმოდა უკმაყოფილება.

თებერვლის მეორე ნახევარში დაიწყო შეტევისათვის მზადება, მაგრამ ეს მზადება ისე აშკარად ხდებოდა, რომ ყოველი დეტალი მტერმა კარგად იცოდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენი დივიზიის 88-ე პეტროვსკის პოლკის უფროსი,თურმე, ჯაშუში იყო და სპეციალური კავშირგაბმულობით დაკავშირებული იყო გერმანელებთან.

ჩვენს თვალწინ დაძრწოდა ვიღაც შნეიდერი, სამი ახალგაზრდა ქალით: ანია, ბერტა, ემათი, რომლებსაც თავის ქალიშვილებად ასაღებდა. ის შნეიდერი იყო ნაღდი ჯაშუში, რომელმაც იმსხვერპლა ის საცოდავი გოგონებიც.

ბოლოს, ესენი ყველა „ამოკრიბეს" როგორც ამბობდნენ, ზოგი დახვრიტეს და ზოგი ჩამოახრჩვეს, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი დარჩა კიდევ. ჯაშუშებს გარდა, ჯარის ნაწილებს თან დასდევდნენ მეძავი ქალები, სიფილისით ან სხვა ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულნი. ამის შესახებ ჩვენ სპეციალურად ვიყავით გაფრთხილებულნი.

შეტევისათვის მზადება დაიწყო თუ არა, მე მივლინებით მოსკოვში გამაგზავნეს. ჩემი მოსკოვში წასვლის დღე, ჩემი და ამბროსის ერთად ყოფნის უკანასკნელი დღე იყო. ამის შემდეგ მე ის ცოცხალი აღარ მინახავს. მოსკოვში ორ კვირამდე დავრჩი და ისევ პოლკში დავბრუნდი.

ამბროსის სიკვდილი ფრონტზე და ჩემს მიერ მისი ჩამოსვენება სოფელ დიდვანში

1916 წლის მარტი დაიწყო. ნაფლეთებად ქცეული ჭუჭყიანი თოვლი აქა-იქ ეყარა ჯერ კიდევ მაგრად გაყინულ მიწაზე. მსოფლიო ომი მეორე წელია რაც კაცობრიობის განადგურებას განაგრძობდა. მოსკოვიდან ეხლახან მოსული სანიტარული მატარებელი, რომლითაც მე მოვედი, მივლინებიდან დაბრუნებული, სადგურ ვეროპაევოზე იდგა და მისი პერსონალი ფაციფუცით ელოდა დაჭრილებს.

ამავე სადგურიდან ფრონტის მიმართულებით მიდიოდა ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა, რომელზეც უკვე დატვირთული ვაგონები და პატარა ორთქმავალი მზად იყო წასასვლელად. ძლიერ ადრე დილა იყო. ყინავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლის ტვირთს შეადგენდა სამხედრო საჭურველი, ხოლო შუა ორსა თუ სამ ვაგონზე დაპრესილი თივა ეწყო.

ორივე სადგური, როგორც ფართო ლიანდაგის, ისე ვიწროსი, სავსე იყო სამხედროებით, ჯარისკაცებით და ოფიცრებით, რომლებიც განუწყვეტელ მოძრაობაში იყვნენ თავიანთი გათხუპნულ, ტალახში და სისხლში ამოსვრილ ფარაჯებში გახვეულნი.

შორიდან, დაახლოებით 40-50 კილომეტრის მანძილიდან მოისმოდა ზარბაზნების განუწყვეტილი, გამუდმებული გრგვინვა და ყრუ გუგუნი.

მე პატარა „კუკუშკისაკენ" გავეშურე, რადგანაც ის ჩემი ნაწილისაკენ უნდა წასულიყო. მატარებელს გავხედე და დავინახე, რომ თითქმის ყველა ვაგონზე შეხინხლული მიმავალი სამხედროები დაუსრულებელ ხმაურსა და ჟრიამულში იყვნენ. ერთბაშად თივიან ვაგონზე თვალი მოვკარი განმარტოებით მჯდარ მოწყალების დას, რომელიც დაპრესილ თივის კონაზე იჯდა. გამიკვირდა მისი ასე განმარტოება იმ დროს, როცა სხვა ვაგონები გადატვირთული იყო ხალხით.

დაბლა მდგარმა, ხელით ვანიშნე, შეიძლებოდა თუ არა ჩემი მასთან ასვლა და რაკი თანხმობა მივიღე, მის გვერდით გავჩნდი.

– ბოდიშს მოვიხდი, ქალბატონო, მაგრამ მეც უნდა ვიმგზავრო.

– დაბრძანდით, ადგილი საკმარისია.

– თუ ინებებთ და წამოდგებით, ნაბადს გავშლი და ორივე უფრო მოხერხებულად მოვეწყობით. თანაც მატარებლის სვლის დროს ქარიც ვერაფერს დაგვაკლებს.

– ო, ეს მართლაც კარგი იქნება, – თქვა მან და წამოდგა.

ნაბადი თივაზე გავაფინე და ორივე ზედ დავჯექით.

– გეტყობათ, სამხრეთიდან იქნებით, – თქვა მან.

– დიახ, შორეულ სამხრეთიდან, ქართველი გახლავართ.

– მეც ასე ვიფიქრე.

– ჩვენ სამხრეთის დალი, სიშავე სახეზე გვაზის.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ამით აგებთ რაშეს?

– არა, არ ვფიქრობ, ქალბატონო, მაგრამ ქალიშვილები ქერა გვირჩევნია ჩვენებურ ვაჟებს (მოსაუბრე ქერა იყო).

– ო, ეს მე კარგად ვიცი.

ასეთ მუსაიფში ვიყავით მატარებლის წასვლის მოლოდინში. სადგურზე ჩვეულებრივი ღრიანცელი იდგა. სადაცაა მატარებელიც უნდა დაძრულიყო.

უეცრად ჩემი მზერა შეჩერდა ერთ ნივთზე, რომელსაც კარგა ხანია ვუცქერდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, სადღაც გონების გარეთ მდებარეობდა ის. ეს იყო იმ ორი ყუთთაგანი, რომელიც მე და ამბროსიმ გავაკეთებინეთ პოლკის სახელოსნოში თხელი ფიცრებისაგან, ჩვენი ბარგისათვის. მე – ჩემთვის, ამბროსიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თავისთვის. ასეთი ყუთები ყველა ოფიცერს ჰქონდა პოლკში. ისინი თავის პატრონის გვარის წარწერით ინახებოდა მეორე ხარისხის „ობოზში“.

რუსეთის არმიის ყველა პოლკს ჰქონდა ორი სარეზერვო განყოფილება: I და II ხარისხის სამნეო განყოფილებები. პირველი ხარისხის „ობოზი“, პოლკის უფროსის მითითების თანახმად განლაგდებოდა პოლკიდან დაშორებით ზურგისაკენ 10-15 კილომეტრის დაშორებით; მეორე ხარისხის „ობოზი“ კი, როგორც გაცილებით უფრო მძლავრი ორგანიზაცია, იმავე პოლკის უფროსის ბრძანებით ადგილის ჩვენებით 40-50 კილომეტრის დაშორებით პოლკიდან ზურგის მიმართულებით.

ორივე ეს ორგანიზაცია ამარაგებდა პოლკს სასმელ-საჭმელით, ტან-ფეხით, ფულადი სახსრებით, ცხენებით, ფურაჟით და სხვა მოთხოვნილებით.

ამ მეორე ხარისხის „ობოზში“ ინახებოდა ჩვენი, ოფიცრების, დაახლოებით საშუალო სიდიდის ჩემოდნისოდენა ხის ყუთები. თითო ცალი, რომელშიც ელაგა უმთავრესად საზეიმოდ ჩასაცმელი ტანისამოსი.

დიდი ოპერაციების და რთული ბრძოლების დროს ხდებოდა ხანდახან, რომ მეორე ხარისხის „ობოზი“ მოწყდებოდა პოლკს და იმოდენა მანძილზე დაგვეკარგებოდა, რომ კვირაობით ვეძებდით მას. ერთხელ, მახსოვს, პოლონეთის მიდამოებში, ედვაბნოს მახლობლად მოწყვეტილმა და დაკარგულმა ჩვენმა მარჩენალმა – II ხარისხის „ობოზმა“ უკრაინაში, 200 კილომეტრის მანძილზე ამოჰყო თავი და ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ვეძებდით მას, როგორც გზაში დაკარგულ დედას.

ყუთს თანდათან დავაკვირდი... რაღაც გრძნობამ შორს შერგძნებაში გამიელვა. უცებ ყუთთან მდგარი ჩემი ჯარისკაცი, მაქსიმე დავინახე. გველნაკბენივით ზეზე წამოვვარდი.

– ქალბატონო, მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაბლა ჩავიდე, – ვთქვი და პირდაპირ დაბლა გადმოვხტი.

ორიოდე ნახტომით მაქსიმესთან გავჩნდი. მან ახლა შემნიშნა და წამოიძახა:

– ბატონო! თქვენა ხართ? – და თვალებზე ხელაფარებულმა ტირილი დაიწყო.

– რა მოხდა, მაქსიმე? რა გინდა აქ? როგორ არის ძმა? რა უნდა აქ მის ყუთს? – მივაყარე მე და მხრებით მაგრად ვანჯღრევდი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამბროსიმ მოისურვა პოლკის სიებში გატარებულიყო არა „ამბროსი ქიშვარდისძედ“, არამედ „ამბროსი გიორგისძედ“, როგორც მე „გაბრიელ გიორგის ძე“, რომ ჩვენ ძმებად ბივეჩნიეთ ყველას. ეს მისი სურვილი იყო და მე საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, თუმცა პირველად კი გამიკვირდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ქნა ეს ამბროსიმ? ძმებად გვიცნობდა ყველა: „ძმაო რამიშვილებიო“ – ასე გვეძახდნენ პოლკში.

– ბატონო! თქვენი ძმა აღარ არის! – ზლუკუნ-ზლუკუნით თქვა მაქსიმემ, – მესამე დღეა, რაც ის მოჰკლეს...

მე მომეჩვენა, რომ ერთბაშად ჩამობნელდა და ყოველივე ხმაური ირგვლივ შეწყდა-მეთქი... ამასობაში მატარებელიც დაიძრა. თანამგზავრი „და“ ამდგარიყო, ნაბადი სიგრძეზე მოეკეცა და ჩემს გახედვაზე დაბლა გადმოაგდო. მაქსიმე მაღრაძემ ეს ნაბადი აიტაცა და მოიტანა. მატარებელი წავიდა, მე დავრჩი.

– მაქსიმე! მომიყევი ყველაფერი ღაწვრილებით.

ცოტა არ იყოს, ასეთი უშუალო დამოკიდებულება ოფიცერსა და ჯარისკაცს შორის და თვით ქართულად ლაპარაკიც გაკვირვებას იწვევდა ირგვლივ მყოფ სამხედროებში.

– ერთი კვირის წინ, – მიყვებოდა მაქსიმე, – დაიწყო დიდი ბრძოლები „პოსტავის“ მარჯვნივ, დაახლოებით 10 კილომეტრის დაშორებით, ტყიან ადგილებში. ჩვენი გუნდი, რომელიც თქვენ ძმას დაუტოვეთ, პოლკის უფროსმა პრაპორშჩიკ უსპენსკის გადასცა და თქვენი ძმა მის მოადგილედ დარჩა. აურებელი ჯარის ნაწილები იღებდნენ მონაწილეობას ამ ბრძოლებში. ერთი კვირაა გამუდმებული ღღიან-ღამიანი ბრძოლებია ამ ადგილებში. სანგრები ხელიდან ხელში გადადიან, მაგრამ ვერც ერთი მხარე ვერ იმარჯვებს.

თქვენი ძმა პირველი შეტევიდან მშვიდობით დაბრუნდა. მეორეჯერ უკან დახევისას ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მოხვდა და დაეცა. ასე ამბობენ...

– ვინ იყო მასთან? ვინ გითხრა ეს?

– მისმა „დენშჩიკმა“ გრიგორიმ. მან თქვა: „საჭმელი მივუტანე. ამ დროს გერმანელების კონტრიერიში დაიწყო. უკან დახევა გადასწყვიტეს. დახევისას სეტყვასავით დაგვაყარეს. თქვენი ძმა ერთ ალაგას დაცემულა და იქედან აღარ ამდგარაო“.

– ბარგი საიდან მოგაქვს, ან ვინ მოგცა?

– თქვენმა ამხანაგმა, უსტინოვმა მითხრა: „ობოზიდან მისი ბარგი წაიღე და საქართველოში წადიო“. პოლკის უფროსს მოელაპარაკა, საბუთები დამიწერეს, გზის ფული მომცეს, მისამართიც მოძებნეს და გამომიშვეს ლუკა ბერიტაშვილთან თბილისში.

– ფული გეყოფა?

– კი ბატონო, მეყოფა.

მოსკოვიდან დაბრუნებულს მე არაფერი მქონდა დამემატებია, გარდა სამი მანეთის.

– წადი, ჩემო მაქსიმე, და როგორც დაუბარებიათ, ისე შეასრულე ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ხარისხის „ობოზში“ მივედი. მომისამძიმრეს. უფროსი დაწვრილებით მიამბეს ბრძოლების და დახოცილების ამბები. ცხენი და გამყოლი მომცეს და პოლკისკენ გავეშურე. რაც მეტად ვუახლოვდებოდი ფრონტს, მით მეტი ზრიალი გაჰქონდა ქვემეხებს. დაღამებისას პირველი ხარისხის ობოზში მივედი, ჩემს ამხანაგს გეისმანთან. მიწურში მასთან ღამე გავათიე და დილით, გათენებამდე წავედი, მანაც ცხენი და გზის მცოდნე გამატანა. პოლკის შტაბამდე 10 კილომეტრი მივდიოდი ტყე-ტყე.

ათ საათზე პოლკში მივედი. პოლკოვნიკ შუბერსკის გამოვეცხადე. მან სამძიმრის სახით მითხრა:

– *Ваш брат погиб геройски.*

უსტინოვი ახლა პოლკის შტაბში იყო. მან ყველაფერი დაწვრილებით მიამბო:

– ჩვენი მხრიდან სამი კორპუსი მონაწილეობდა ოპერაციაში: ჩვენი – პირველი არმიის, ფინეთის და ციმბირის კორპუსები. დიდი მარცხი მომხდარა, მაგრამ არავითარი წარმატება! პოლკიდან დარჩენილია სულ 200-მდე ჯარისკაცი და თხუთმეტიოდე ოფიცერი, მაგრამ შეტევები მაინც გრძელდება“, – მიყვებოდა უსტინოვი, – ასეთივე მდგომარეობაა სხვა ნაწილებშიც.

ამბროსის „დენშჩიკი“ – ციმბირელი გრიგორი მოვაყვანინე. მანაც ცრემლებით მიამბო ამბროსის შესახებ. გრიგორი კარგი ვაჟკაცი და მხიარული კაცი იყო. სიცილით გვხოცავდა ერთად ყოფნის დროს.

– ის ადგილი, სადაც თქვენი ძმა დაიღუპა ორი დღის წინ, მე კარგად ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ! – მითხრა მან.

ღამისთვის ამზადებდნენ მორიგ შეტევას, პოლკის ნარჩენებისაგან. პოლკის უფროსი დავითანხმე და ამაღამ იერიშში ვიყავი ჩაბმული. გრიგორის 10 კაცი გამოვუყავი და დავავალე:

– გრიგორი! რაკი შენ ჩემი ძმის დაღუპვის ადგილი კარგად გცოდნია, ჩვენ რომ შეტევისას წინ წავალთ, შენ ის ადგილი მონახე, ჩემი ძმა გამოიტანე და რა მდგომარეობაშიც ნახო, იმნაირარადვე დამახვედრე.

მან ეს 10 კაცი ჩაიბარა და გამშორდა.

ღანიშნულ დროზე იერიშზე გადავედით. ჩემთან ერთად ორი-სამი სხვა ოფიცერიც იყო. ბრძოლის ველი საოცრებას წარმოადგენდა. დახოცილები, ერთი მეორეში გადახლართულები, ალაგ-ალაგ მეტრის სიმაღლეზე ეყარნენ. წინსვლის დროს, მკვდრების გროვას ვეფარებოდით საშინელი ცეცხლისაგან. გადარბენებით მტრის ხაზს მივუახლოვდით და „ურათი“ შეტევაზე დავიძარით. გერმანელებმა სანგრები დასტოვეს და გაიქცნენ ჩვენი მხრიდან არავითარი „რეზერვი“ წარმატების განვითარებისათვის... გერმანელები შეჩერდნენ. მათ ნაცვლად ახალი ნაწილები წამოვიდნენ... წამოვიდნენ და მოგვაწვნენ... მსუბუქი ქვემეხებით ისე

ხშირად ისროდნენ, როგორც ტყვიამფრქვევები და სანადირო გაჟლეტილები უკანვე გამოგვყარეს... ასეთი უუნარო მოქმედების შედეგი იყო იმ უთვალავი დახოცილების გროვა, რომელიც ბრძოლის ველზე დააწყო. გაჭრიახობით ბეცმა არმიის სარდალმა.

იმ ღამეს ცოცხალ-მკვდარი გამოვედით. 50 კაცამდე ტყუილუბრალოდ მივაჟლიტეთ. რატომ, რისთვის?!.. ამის გამკითხავი ვინ იყო? ვინ იყო დაინტერესებული?..

წესრიგში მოსვლის, ცოცხლების გადათვლის, მკვდრების გამორკვევის, დაჭრილების მიხედვის, უგზო-უკვლოდ გამქრალი ხალხის გარკვევის შემდეგ პოლკის უფროსთან წარვდექით მოხსენებით. მოვბრუნდი და სწორედ გრიგორის შევეჯახე. ის მელოდებოდა.

– თქვენი ბრძანება შესრულებულია, თქვენო კეთილშობილებავ!

– სად, სად არის? – გრიგორის კისერზე ხელი მოვხვიე.

მან ერთ ადგილას მიმიყვანა, სადაც ნაძვის ტოტებზე რაღაც ლაფში ამოსვრილი საგანი იდო. ექთანის და სანიტრების დამუშავების შემდეგ ეს საგანი ამბროსი აღმოჩნდა. ფოტოგრაფების „კომანდიდან“ სურათი გადაგვიღეს ამბროსის და მე (ეს სურათი შემდეგ ჩემი ალბომიდან ვიღაცამ მიითვისა). შემდეგ პოლკის უფროსი და სხვა ამხანაგებიც მოვიდნენ. ექთანმა ნატყვიარი გაუსინჯა და თქვა:

– ორივე ჭრილობა სასიკვდილოა. ერთი – მარჯვენა თვალის ქვეშ მოხვედრილი ტყვია, მარცხენა ყურის ძირში იყო გამოსული; მეორე – მარჯვენა ფერდში მოხვედრილი – მარცხენაში გამოსულიყო.

ჩანდა, რომ ამბროსის მიწაზე სული არ დაჰყოლია...

პოლკის უფროსს ვთხოვე ნება მოეცა, ამბროსი გამესვენებია რკინისგზის მახლობელ სადგურამდე და იქ დამეკრძალა, იმ მოსაზრებით, რომ ოდესმე შესაძლო ყოფილიყო მისი ნეშტის სამშობლოში წაღება. ის დამეთანხმა.

გეისმანს, პირველი ხარისხის ობოზში დავურეკე, რომ ხვალ დილისათვის რაიმე საკაცის მსგავსი ყუთი დაეხვედრებია. ჯარისკაცების დახმარებით, ორ ძელზე და ნაძვის ტოტებზე დაკრული ამბროსი წამოვასვენეთ. მზიანი დღე იყო, მაგრამ რუსული მარტის ყინვა მაინც იდგა.

ჩემი და ამბროსის შრომიმრომობა

საქმე შემდეგში მდგომარეობდა. ამბროსი და მე ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ მართლაც ღვიძლ ძმებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვაჩნდა ერთმანეთი. ის ძლიერ კარგი საამხანაგო ბიჭი იყო. ჩვენ
დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ იმდენად თბილი იყო, რომ
არასოდეს ჩვენს შორის საწყენი რამე არ წამოჭრილა. ერთადერთი
ხარვეზი მდგომარეობდა იმაში, რომ მას უყვარდა კარტის თამაში.
ამას მე ვუშლიდი. ხათრით ამას ის თმობდა, მაგრამ ბოლომდე
მაინც ვერა.

მას არა ერთხელ მოუმართავს ჩემთვის და ფიცის ქვეშ პირობა
ჩამომირთმევია. გადამეხვეოდა, გადამკოცნიდა და მეტყოდა:

– გაბრიელი! ძმურად გთხოვ (ამ სიტყვას ის ძლიერ ხშირად
ხმარობდა), ნურც გამიმტყუნებ, ნურც დამცინებ და პირობა მომეცი,
რომ ჩემს თხოვნას შეასრულებ.

– რა იყო, ბიჭო, ასეთი? შენს თხოვნას როგორ არ
შევასრულებ?

– აბა, ყური დამიგდე. დედის ძუძუ არ შეგრგებოდეს, თუ მე
რამე მომივიდა, მომკლეს და შენ აქ დამტოვო. რაც უნდა
მოგივიდეს, სახლში მიმიტანე. მეც ამას შემოგფიცავ: დედაჩემის
ძუძუ არამი იყოს ჩემზე, თუ შენ რამე მოგივიდა და აქ დაგტოვო.
ორივე ერთად ხომ არ დავიხოცებით?

– ბიჭო, რა მატლი შეგძრომია თავში! რა სისულელეზე
მადებინებ პირობას! რატომ არ შეიძლება, რომ ორივენი ერთად
დავიხოცოთ? სად გინახავს და გაგიგონია შენ, რომ მეომრები
წინასწარ ანდერძს უდებდნენ ერთმანეთს – გინდა თუ არა მკვდარს
სახლში მიგიტანო! თუ ძმა ხარ, გამოაგდე თავიდან შავი აზრები!
ან რატომ ფიქრობ სიკვდილზე? ყველამ რომ მასე ვიფიქროთ...
შეიძლება?! ჩემო ამბროსი! ცოტა სიმხდალეს გაუკრავს გულის
არეში, მაგრამ ნუ გეშინია, გაივლის, ძამიკო! – მასხრობაზე
გადავდიოდი მე.

– გაბრიელ! არ იფიქრო, რომ მე მეშინოდეს, მაგრამ
გამორიცხული არაფერი არ არის და მე მინდა წინასწარ ვიყო
დარწმუნებული, რომ მკვდარი მაინც ვეღირსები ჩემს მიწა-წყალს.

ასეთი ლაპარაკი და „ფიცისდება“ შემდეგშიც გვქონდა. ის
ნაძვის ტოტებზე დაკრული მოჰქონდათ ჯარისკაცებს. მე ცხენით
მოვყვებოდი... ბოლმა მახრჩობდა... ჯარისკაცების უკან ვიყავი
მოქცეული, რომ სახეზე არ შეეხედათ.

– ჩემო საცოდავო ძმაო, ამბროსი!... ამის შიში გქონდა,
ძამიკო?.. ბოლო წამს გონებაში, ალბათ, მაინც სურების, დობიროს
გამჭვირვალე, სუფთა ჰაერმა გაგიელვა... მაგრამ... რანაირად? რა
გზით? ვინ მომცემს ამის უფლებას? ვის სცალია ჩვენთვის?... არა,
და შენზე მოცემულ სიტყვას როგორ ვუღალატო, სინდისის ქეჯნა
ხომ არ მომასვენებს მომავალში?!..

ასე ვფიქრობდი პირველი ხარისხის ობოზისაკენ მიმავალი.
ჯარისკაცებს მხრებზე შედებული მოჰქონდათ მძიმე ტვირთი ათი
კილომეტრის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს ხშირად ეცვლებოდნენ. მათი ნუგეში ის იყო, რომ საშუალება მიეცათ დროებით მაინც გასცლოდნენ საშინელებას წინა ხაზზე.

I ხარისხის ობოზი

გეისმანმა საკაცე ყუთი და ორცხენიანი „პოდვ̇ოდი“ (ფურგონი) დამახვედრა. ამბროსი ყუთში ჩავასვენეთ და „პოდვოდზე“ შევდგით, სამი კაცი მხლებელი ვიყოლიე და ცხენზე შემჯდარი, ადრე დილით გამოვწიე მეორე ხარისხის ობოზისაკენ.

გზა საშინელებას წარმოადგენდა. ჩვენი გზის მიმართულებით დაუსრულებელი დინება იყო, ავადმყოფებით და მძიმედ დაჭრილებით დატვირთული ფურგონების. ჩვენს საწინააღმდეგო მიმართულებით-კი ჯარის ახალი ნაწილები მოძრაობდნენ არტილერიით, კავალერიით და მათი მოწყობილობით. დახეთქილი, ატალახებული გზა დატვირთვის ამ რაოდენობას ვერ იტევდა, გვერდის შევლა ჭირდა და ყოველ ნაბიჯზე ისმოდა წყევლა, კრულვა, გინება, ლანძღვა...

– *Куды ты прешь,.. твою мать!*

– *А ты куда лезешь, сукин сын? Не видишь, что подвода полна "тяжелыми"? Ты тоже окажешься среди таких же!*

ხშირი იყო მათრახის ტყლაშა-ტყლუშიც.

– *А это что за гроб болтается еще?* – მესმის ვიღაცის ყვირილი. ცხენით მივიჭრებოდი ასეთ ხმაზე და განგებ გამოვაჩენდი კავკასიურ მოვერცხლილ ხმალს.

– *Ваше благородие! Прикажите принять чуть в сторону,* – მეტყოდა საქციელწამხდარი მყვირალი...

ერთ ალაგას ხიდი დაგვხვდა. მასზე ქრისტეს ტირილი იყო. ჩემი ფურგონის იქ გატარება შეუძლებელი გახდა. მდინარე ჯერ კიდევ ყინულით იყო დაფარული. გადავწყვიტე ყინულზე გადასვლა ხიდიდან ცოტა მოშორებით. წინ მე წავედი ცხენით, უკან მიცვალებულიანი ფურგონი მომყვებოდა.

ყინულზე რომ შევდექი, ცხენის ფეხებს ჭრაჭა-ჭრუჭი გაჰქონდათ. სუნთქვა შემეგუბა, მაგრამ სხვა გამოსავალი სად იყო? ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ყინულის ჩახეთქვა... ცხენიდან ჩავარდნა... ფურგონის ჩავარდნა მიცვალებულიანად... ამასობაში მდინარის მეორე მხარეზე ამოვყავით თავი... ყინულის ჩახეთქვის შიშით სიმწრის ოფლში ვიყავი გაღვრილი.

ასეთი წამებით მივაღწიეთ ობოზს შუაღამისას. ობოზის უფროსი იყო პოლკოვნიკი ბლოფელდი. მან მითხრა, რომ პოლკის უფროსისაგან მიღებულია ტელეფონოგრამა, რომლის თანახმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკი პოზიციიდან მოიხსნა, რეზერვში გამოდის და დილით აქ იქნებაო.

ამ ამბავმა სხვაგვარი გეგმა წარმოსახა ჩემში. მიცვალებულთან მცველი დავაყენე. ღამით პოლკის ნარჩენებიც მოვიდა. დილით შუბერსკის მივმართე:

– ბატონო პოლკოვნიკო! პოლკის შევსებას, ალბათ, დრო დასჭირდება. მანამდე მომეცით ნება და საშუალება, ჩემი ძმა გავასვენო კავკასიაში და იქ დავასაფლავო თავის მიწა-წყალზე.

ცოტა ხანს იფიქრა. ადიუტანს უბრძანა:

– მიხმეთ ბლოფელდი და კაპიტანი რიკოვი!

ისინი მოვიდნენ.

– აი, რა! – მიმართა მათ, – დღესვე საღამოს, პოდპორუჩიკი რამიშვილი გაემგზავრება კავკასიაში და თან წაასვენებს მიცვალებულ ძმას. ამისთვის გამოუწერეთ და ჩააბარეთ კუთვნილი ხელფასი, შვებულების და მივლინების თანხა – წესის მიხედვით, აგრეთვე საჭირო საბუთები. კაპიტანი რიკოვი ახლავე წავიდეს პოლოცკში და მოიტანოს ცინკის კუბო მიცვალებულისათვის. რკინისგზას მოსთხოვეთ საბარგო ვაგონი და რამიშვილის ცხედარი გააცილეთ სამხედრო წესების დაცვით. საღამოს 8 საათზე მომახსენეთ შესრულება!

მე მზად ვიყავი გადავხვეოდი შუბერსკის. ყველაფერი ზუსტად შესრულდა თავის დროზე. ცინკის კუბოში ჩასვენებული ამბროსი ფართო ლაფეტზე დაასვენეს; პოლკის მღვდელმა პანაშვიდი გადაუხადა; გალობას პოლკის ნარჩევი შემადგენლობა ისმენდა, შეიარაღებულმა ნაწილმა სამხედრო ზალპი მისცა. ჩემი საბუთები და ფული ჩავიბარე, სამგლოვიარო სამკილომეტრიანი მარშით რკინისგზის სადგურზე მოვედით.

აქ უკვე იდგა ნაძვის ტოტებით მორთული საბარგო ვაგონი. კუბო შიგ დავდგით და ჩემი დენშჩიკი, ეგორ კნიაზევი, მცველად მივუჩინე მას. ვაგონი მინსკის მიმართულებით მატარებელს მიუბეს და წამოვედით.

მინსკიდან, ჩემს ბიძაშვილს ანდროს – იმჟამად მღვდელს – დეპეშა გავუგზავნე: *"Еду. Везу тело Амвросия. Подготовь родных."*

აუარებელი სიძნელეების გადალახვა დამჭირდა გზაში. ყველა საკვანძო სადგურებზე ქრთამის მიცემას, მუქარას, ლანძღვას ვერ ავცდი. ფულიც ბლომად დავხარჯე, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ამბროსის სურვილს ვახორციელებდი... ბედმა ამბროსის კაცურ-კაცად დაკრძალვა აღირსა!

მე საკლასო ვაგონით მოვდიოდი და მიცვალებულთან ეგორ კნიაზევი იყო. რაც გადამხდა, ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბროსის ჩამოსვენება თბილისში. მაისი 1916 წ.

თბილისში ჩასვლისას დამხვდა ამბროსის უფროსი ძმა – შალვა. ის შვებულებით ჩამოსულიყო დასავლეთ ფრონტიდან.

15 მარტს ჩოხატაურში ჩავედით. იქ მთელი სოფელი დაგვხვდა. აქედან მძიმე კუბო ხელით ატარეს სახლამდე თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე.

სახლში წივილ-კივილი, გოდება, მოთქმა, ტირილი. ამის შემდეგ, ამბროსი ეღირსა მონატრებულ საფლავს.

ზურგიდან თითქოს უზარმაზარი ლოდი ჩამოიღესო... დამშვიდებით ამოვისუნთქვე...

მე და ნინა სოფელში

ამბროსის დასაფლავების შემდეგ რამდენიმე დღე სახლში დავრჩი. ნინაც იყო დასაფლავებაზე და თითქმის სულ ერთად ვიყავით. ერთ საღამოს მე და ნინა ქიშვარდისას ავედით, მეორე დღეს ფრონტზე მივდიოდი და ქიშვარდის დავემშვიდობე. უკვე ბნელოდა. მე ნინას მკლავი მეჭირა და სიფრთხილით მიმყავდა თავქვე, ოღროჩოღრო გზაზე. კარგა ხანს დუმილით ვიარეთ

– ბიჭო! დავუმუნჯდებით ასე, – მითხრა ნინამ და მკლავი უფრო მომანდო.

მოვიზიდე და ჩავიკარი, პირველად ჩემს ცხოვრებაში.

– არ გამიჯავრდე... ჩვენ აწი პატარები არა ვართ... მე შენ მიყვარხარ! ეს ასეა და არც შეიცვლება... მე შენ ვერ დაგთმობ.

– გაბრიელ, ასეთი საუბარი ჩვენ ერთხელ გვქონდა. მე მაშინ შორს დავიჭირე, მაგრამ მივხვდი, რომ ვერ გივიქცევოდი შენგან.

ნინამ კისერზე მკლავები მომხვია და ატირდა.

– ნინა! ნუ ტირი... მე ვიცი, რომ შენც გიყვარვარ... ფრონტზე ვბრუნდები, ვინ იცის, რა მოხდება: მე იმის ბედს ვინ მომცემს, რომ ატეხილ ქარტეხილს გადავურჩე და შენ შეგინარჩუნო. მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს: ვიყო დარწმუნებული, რომ შენს გულში მაქვს ბინა, მეტს არაფერს გთხოვ!

ნინამ უფრო მეტად მომიჭირა კისერზე ხელი.

– როგორც შენ გსურს, ისე იყოს... ამ გულში დიდი ხანია გაქვს ბინა... ხვალ გაგაცილებ. ნახვამდის.

ნინა წავიდა. მეც მოვბრუნდი და ბარბაცით ავედი სახლში. იმ დღეს საბოლოოდ გადაწყდა ჩვენი სამუდამო შეუღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე დაბრუნება

ჩემი დენშჩიკი – ეგორ კნიაზევი – სოფლიდან რამდენიმე დღით ადრე გავუშვი ბარგით. ის როსტოველი იყო და იქ უნდა დამხვედროდა. მეორე დღეს შინაურებს გამოვემშვიდობე და წამოვედი. ხიდის გაღმა ჩემი ბიძაშვილი გოგონები დამხვდნენ, რომელთაც ჩემი გაცილება სურდათ. მათ შორის ჩემი და – რუთია და ნინაც. ნინას ყველა შეამჩნევდა უხალისობას. კარგა მანძილი გავიარეთ უშინაარსო ლაზღანდარობით. ნინა ხმას არ იღებდა და არც ერთხელ არ მომიახლოვდა. ვიცოდი მის გულში რა კორიანტელიც ტრიალებდა.

– ჩემო ძვირფასებო! ახლა დაბრუნდით და მე გამანთავისუფლეთ. უნდა ვიჩქარო. ნელა სიარულს გადაჩვეული ვარ.

ნინა ნელ-ნელა სხვებს ჩამორჩა. მივხვდი რას ნიშნავდა ეს ჩამორჩენა. მის გარდა ყველამ გადამკოცნა და მშვიდობით დაბრუნება მისურვეს. ის ამას სხვების თანდასწრებით ვერ გაბედავდა.

– ნახვამდის, ნინა! – მივაძახე შორს ჩამორჩენილ ნინას, ჩქარა მოვბრუნდი და სირბილით წამოვედი.

როსტოვამდე ვიარე სამი დღე. მარტო ვიყავი და ასე მერჩია. აუარებელი ფიქრი მერეოდა თავში. ნინაზე ფიქრის დროს რაღაც სიამოვნებას და კმაყოფილებას ვგრძნობდი. „ახლა მან ყველაფერი ნათლად და აშკარად იცის“ – ვფიქრობდი მე. „მართალია, ამჟამად მას ეშინია, მაგრამ მივა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილი...

ფიქრი მატარებელში

ჩავჯექი თუ არა მატარებელში, ამბროსიზე ფიქრები მომეძალა. ახლა, ამ ოცნების დროს მომაგონდა ერთი სიზმარი, რომელიც ვნახე სანიტარულ მატარებელში მოსკოვიდან ფრონტზე დაბრუნებისას. ცრუმორწმუნე არ ვარ, არც სიზმრის არაფერი მწამს, მაგრამ რით უნდა აიხსნას ასეთი დასიზმრება?

ვითომ მე და ამბროსი ცხენებზე ვზივართ. მე – ლურჯზე, ის – მუქ წითელზე. ვდგევართ ერთი წოწოლა მთის ძირში. ეს მთა ძალიან ატაცებული იყო და ორივე მის მწვერვალზე უნდა ავსულიყავით. ცხენები დავსხლიტეთ და მივუშვით. ასასვლელი ქანობი სველი იყო. წავიდნენ ცხენები, წავიდნენ და შუა მთას ვერ ასცდნენ – ისევ ოთხივე ფეხებით უკან დაცურდნენ და სადაც ვიდექით წასვლამდე, ისევ იქ დადგნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეჯერ მივუშვით, შუა მთას ავსცდით, მაგრამ ისევ უკან წამოვედით. კიდევ ორჯერ ამაოდ ვსცადეთ ასვლა... საბოლოოდ მაგრად მივაგდეთ ორივემ... წინ, როგორც იქნა, ჩემმა მიაღწია მწვერვალს. მწვერვალზე ცხენი შემოვაბრუნე და ახლა ზემოდან დავყურებ ამბროსის. მოდის მისი ცხენი, მოდის, მაგრამ... მის ცხენს დაუსხლტა ფეხი, წავიდა ისევ უკან... წავიდა, წავიდა, გადატრიალდა ყირაზე, კიდევ, კიდევ და ასეთი ტრიალით უფსკრულში გადაიჩეხა თავის მხედრიანად... გამეღვიძა. გიჟივით წამოვვარდი. ოფლში ვიყავი. მეორე დღე იყო, რომ მისი სიკვდილი გავიგე სადგურ ევროპაეოზე.

რას ნიშნავდა ეს სიზმარი? რამ დამასიზმრა სწორედ იმ ღამეს? მე არც ბრძოლების ატეხა ვიცოდი მანამდე და არც მისი სიკვდილი.

მომაგონდა მისი საყვარელი ლექსი:

"Единый раз вскипает пеной
И рассыпается волна.
Не может сердце жить изменой,
Измены нет – любовь одна."

ეს ლექსი მას ძლიერ უყვარდა და წარამარა იმეორებდა.

ისევ 85-ე ვიბორგის პოლკი

პოლკი ისევ შეივსო ოფიცრებით და ჯარისკაცებით. ოფიცრების ნაკადს სამი გურული ოფიცერი მოჰყვა: გიგინეიშვილი, თავართქილაძე დი იმნაძე. გიგინეიშვილი ხშირად ავადმყოფობდა და უფრო საავადმყოფოში იყო, ვიდრე პოლკში.

ღრმა ზურგიდან პოლკი ფრონტს მიუახლოვეს. მეთორმეტე გუნდის უფროსად, რომელიც მე დავტოვე, დამხვდა არენდსი და მე დამნიშნეს მის თანაშემწედ.

დივიზიამ მდ. სტოხოდზე მიიღო უბანი და მათ შორის ჩვენმა 85-ე პოლკმაც. ჩვენს მარჯვნივ 86-ე ვილმანსტრანის პოლკი ღადგა. 87-ე და 88-ე პოლკები ჩვენს უკან, ტყეში დადგნენ და ჩვენს რეზერვს შეადგენდნენ. დაიწყო მოწინააღმდეგის დაზვერვა, მოსინჯვა, „ენების" მოტაცება და სხვა.

სტოხოდი რუკაზე მდინარედ არის აღნიშნული, მაგრამ სინამდვილეში წარმოადგენს ტყლაპოს, სიგანით 50 მეტრამდე. ტყლაპო უძიროა. ქვეითად ან ცხენით გაუვალია. ტერიტორიას, რომელიც ჩვენ დავიკავეთ, ეწოდებოდა „კოლონია კოროლიოვსკა", მახლობელ სოფელს, რომელიც ახლა გადამწვარი იყო, ეწოდებოდა „ვულკა-პორსკაია".

ჩვენს წინ, სტოხოდის გაღმა, იდგნენ გერმანელების ნაწილები. სწორედ ამ ადგილზე სარდლობის მიერ დანიშნული იყო ფრონტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარღვევა, ოპერაციის განვითარების იმგვარად წარმართვით, რომ ხელთ გვეგდო რკინისგზის საკვანძო პუნქტი – კოველი.

ეს იყო გრანდიოზული ოპერაციის ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი გენერალი ბრუსილოვი.

დიდძალი ჯარი იყო თავმოყრილი ამ ოპერაციის წარმატებით დამთავრებისათვის. მათ შორის ჩვენი პირველი კორპუსი, გენერალ გავრილოვის მეთაურობით. დივიზიის უფროსი იყო გენერალი შიშკინი.

წინახაზის დაკავების წინ, გამუდმებული „დათვალიერება", მარშიროვკები და მანევრები გვქონდა.

ერთხელ, ასეთი დათვალიერების დროს ერთად იდგნენ კორპუსის და დივიზიის უფროსები. თავის წინ მწყობრ ნაწილებს კოლონებით ატარებდნენ მარშით. ისინი ცხენებზე ისხდნენ. ყველაფერი ეს ისეთი ბრახა-ბრუხით და ხმაურით ხდებოდა, რომ გერმანელები ყველაფერს ხედავდნენ და იცოდნენ.

ერთბაშად დივიზიის უფროსის შავი ცხენი შეტრიალდა და ჭიხვინით ორივე წიხლი ისე მაგრად მიაყარა კორპუსის უფროსის ალისფერ ცხენს, რომ ცხენიც და ზედ მჯდომი გენერალი გავრილოვიც კინაღამ მიწაზე გაშხლართა.

მეორე დღეს კორპუსის ბრძანებაში, რომელიც მოთავსდა დივიზიის და პოლკის ბრძანებებშიც, ეწერა: *"Генералу Шишкину озаботиться, чтобы его лошадь не лягала лошадь командира корпуса".*

ეს დეტალი მოვიყვანე იმიტომ, რომ თვალსაჩინო იყოს მაშინდელი სარდლობის ფუქსავატობა და ზერელობა სერიოზულ საკითხებში...

სტოხოდის ბრძოლა

საერთო იერიში დანიშნული იყო 15 ივლისისათვის. იდგა 1916 წელი. როგორც ვხედავთ, ჩვენი სარდლობა საჭიროდ არ თვლიდა შეტევის წინ საიდუმლოების დაცვას და დიდი ხმაურით ემზადებოდა მისთვის. ეს მშვენივრად იცოდა მტერმაც. ამ დღეს სახლშიც მივწერე, რომ ვემზადებოდით დიდი ბრძოლისათვის. ჩემი წერილის მსგავსი წერილები დაგზავნეს პოლკის სხვა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმაც. ამ წერილების გასინჯვა შეეძლო უბრალო ჯაშუშს...

ჩვენი საიდუმლოება გერმანელებმა უკეთ იცოდნენ, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა მეთაურმა. სტოხოდის გაღმა, დიდი ველის ბოლოში მოსჩანდა ხშირი ტყის კიდური. ამ კიდურზე ჯერმანელებმა თავი მოუყარეს მძლავრ სასულე ორკესტრს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის მეორე ნახევარში მარშები ააგრიალეს. ეს განუწყვეტლად ისმოდა მთელ ღამეს და მეორე დღესაც.

ჩვენმა მესანგრეებმა მსუბუქი ხის ხიდები დაამზადეს. ე.ი. სამი-ოთხი გრძელი ფიცრები ერთად შეჭედეს და ღამის სიბნელეში ათიოდე ალაგას (ჩემი გუნდისთვის) სტოხოდის ტყლაპოზე ჯოჯგინებზე გასდეს. პატარა ტომრები მიწით აავსეს, გაღმა გაზიდეს, ერთი მეორეზე დააწყვეს და მრავალი საფარი გაამზადეს. ჩემი გუნდი სულ მარცხენა ფრთაზე იდგა. ღამის 12 საათზე, გადებული ხიდებით, გუნდი სტოხოდის მარჯვენა მხარეს გადავიყვანე და გამზადებულ საფრებში დავანაწილე. ალბათ, ასე მოიქცნენ სხვა გუნდებიც, რომლებიც ჩემს მარჯვნივ იდგნენ.

ჩემი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩემს გზაზე მდებარე მტრის სანგრების სამი ხაზი, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებული იყვნენ ნახევარ-ნახევარი კილომეტრით, გადამელახა და ერთი კილომეტრით კიდევ წინ მდებარე პატარა ბურცობი დამეკავებია და შემენარჩუნებია ჩვენი რეზერვების გადმოსვლამდე. ეს ადვილი სათქმელი იყო, მაგრამ მის შესრულებას აუარებელი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სტოხოდზე გადასვლის წინ, ჩვენი არტილერია დღე-ღამის განმავლობაში მთელი სიძლიერით, განუწყვეტლად სცემდა მტრის სანგრებს. ხანგამოშვებით ცეცხლი გრიგალში გადადიოდა. მტრის არტილერია რატომღაც დუმდა. არავის ჩვენგანს არ ეგონა, რომ გაღმა, მტრის მხარეზე, ცოცხალი არსება კიდევ იქნებოდა დარჩენილი.

იერიშის დაწყება წითელი რაკეტის აფრიალებით უნდა ეცნობებიათ სათვალთვალო პუნქტიდან, სადაც თავმოყრილი იყვნენ კორპუსის, დივიზიის და პოლკის ხელმძღვანელები, თავიანთი ადიუტანტებით.

ლოდინმა გული გადალია. მტრის მხრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ალბათ, ამ დროს სანგრებიდან წინასწარ გახიზნული მტერი ისევ უკან ბრუნდებოდა და ჩვენი არტილერიით დანგრეულ მათ სანგრებს ისევ იკავებდა.

ლოდინში მე ჩავთლიმე კიდეც. ამ დროს ჩემთან ისხდნენ ჩემივე შერჩეული ექვსი ბიჭი, რომელნიც კავშირგაბმულობის და ჩემს დაცვას წარმოადგენდნენ. ჯერ კიდევ ბნელოდა. ერთ-ერთმა ჩემი ბიჭებიდან (კუმისელი თათარაშვილი) ჩათვლემილს მხარზე ხელი დამადო და წამოიძახა ქართულად:

– ბატონო, სიგნალი!

სწრაფად წამოვჯექი და დავინახე წითელი კიაფა შუშხუნა. ის მაღლა ტორტმანებდა... ავდექი. ნაჯდომი და ნაწოლი კუნთები გავმართე, იარაღი მოვიმარჯვე და სიბნელეში ხმამაღლა გავძახე:

– *Вста-а-ть!.. Цепью!.. Вперед!.. Ма-а-рш!..*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წამს მტრის დანგრეული სანგრებიდან ტყვიის წვიმა წამოვიდა.

– *Вперед!.. Вперед!. Ружья на руки!.. Вперед!..* – ვუყვიროდი ჩემს წინ ფაცა-ფუცით მიმავალ გუნდს. გუნდი იყო გაშლილი დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე. სანგრების პირველ ხაზს მივუახლოვდით...

– *Урррра-а!..* – იგრიალა გუნდმა...

ტყვიას წივილ-წივილი გაჰქონდა... აქა-იქ ათიოდე კაცი დაეცა... ხიშტების ჟღრიალი გაისმა და ამ დროს მტრის პირველი ხაზიდან გაქცეულების ზურგები დავინახეთ სიბნელეში...

– *Урррра-а!..* – იგრიალა გუნდმა უკვე მეორე ხაზის წინ. იმდენად მოსინათლდა, რომ კაცი გაირჩეოდა. მეორე ხაზიდანაც ამოცვივდნენ და გაიქცნენ გერმანელები.

მარცხნივ მივიხედე და თვალი მოვკარი „ვზვოდის“ უფროსს სტროგოვს. ის შეტორტმანდა, თოფი მოიქნია, ხელიდან გააგდო, ჩაიჩოქა და წაწვა... მასთან მივვარდი, მაგრამ ის უკვე აღარ ინძრეოდა... ვილაც კიდევ დაეცა წინ, კიდევ, კიდევ და ამასობაში მესამე ხაზს მივუახლოვდით... მთელი ხმით შევძახე:

– *В атаку, за мной!.. Вперед!.. В штыки!.. Урра-а!..*

ხიშტების მომეტებული ჟღარუნი... ყვირილი... წივილი... კივილი... გერმანელები აქედანაც ამოცვივდნენ და გაიქცნენ. გუნდმა ახლა უჩემოდ გაუხსნა მათ ზურგი

– *Ко мне!.. Ложись!.. Держать огонь!..*

ჩემი ამოცანა უკვე შესრულებული იყო... ჩემს ორგვლივ ხელდახელ 'მოგროვდა გუნდიც და გამწკრივდა მითითებულ მიმართულებით. „მაქსიმკები“ ცალ-ცალკე დავაყენე.

– *Прекратить огонь!.. Окопаться!.. Быстро!..*

ჩემს ახლო მყოფ ბიჭებს გამოაკლა ერთი ოსი. სხვები ჩემთან იყვნენ (კუმისელი თათარაშვილი, ტაბახმელელი იაშაგაშვილი, ასპინძელი მაღრაძე და კიდევ ორი რუსი, რომელთა გვარი არ მახსოვს). ის ოსი (არც იმის გვარი მახსოვს) – ძლიერ კარგი ვაჟკაცი – ჩემს თვალწინ მოჰკლეს. ყველა გამალებულად თხრიდა მიწას და თანდათან შიგ მივძვრებოდით. ჩემი ბიჭები ჩემთვისაც თხრიდნენ.

ამ დროს მარცხენა მხრიდან გუგუნი შემომესმა და თითქოს ჩქარტალღიანი მიწისძვრა ვიგრძენი... ჩვენი არტილერია გერმანელების ზურგში, მათ რეზერვებს და უკან დახეულებს უშენდა... გუგუნის გაგონებაზე წამოვვარდი და დავინახე: გერმანელებს მოუგორებიათ მსუბუქი ბატარეია სულ ახლოს ჩემგან და პოლკის განლაგებას სცემენ მარცხენა ფრთიდან. ფლანგის ცეცხლი ხომ საშინელებაა!..

– *Цепь, встать!.. Влево, на батарею противника!* – დავიყვირე მე და ჩემი გუნდის მთლიანი შემადგენლობა ახლო მოგორებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელების ქვემეხებს და მის „პრისლუგას“ შემოეწია. ბატარეიის ირგვლივ დატრიალდა ნამდვილი ჯოჯოხეთი... დავინახე ვიღაცა მიწაზე ათრევდა ხიშტზე წამოგებულ გერმანელს, რადგანაც მენჯში ჩაჭედილი ხიშტი ძვლებიდან ვერ დაეძვრინა... ქვემეხებმა ცეცხლი შეწყვიტეს. მე შეჯახებულების შუაგულში გადავეშვი და ჩემი, უკვე გამხეცებული ჯარისკაცები ძალით შევაჩერე. ორი ჩემი ტოლა ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი და რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი გადავარჩინე. მტრის ორი ქვემეხი პირით მტრისკენ მივაბრუნებიე და სროლა ვუბრძანე გერმანელებსვე...

მათივე ქვემეხებით იმათ მხარეს სროლაზე „გაიპატიჟეს“, მაგრამ იმავე წამს ბევრ მათგანს „ვინტოვკის“ კონდახები მოერგო კეფაში და რამოდენიმე ემსხვერპლა კიდეც იმავე „ვინტოვკის“ საშინელ ხიშტს – უკვე ჩემი განკარგულების გარეშე. იქვე დაყრილი გერმანელების ყუმბარები გაქცეულ გერმანელებსავე წამოეწია ზურგში...

გერმანელი ტყვეები

დივიზიის ბრძანებაში, რომელიც ეხება ამ ბრძოლას, მოხსენებულია ჩემს მიერ დატყვევებული ერთი გერმანელი ოფიცერი და ათი ჯარისკაცი, მაგრამ სინამდვილეში იყო ორი ოფიცერი და თხუთმეტი გერმანელი ჯარისკაცი. ვის რად სჭირდებოდა ამ რიცხვის შემცირება, არ ვიცი...

როგორც შემდეგ გავიგე, ამ ბრძოლის სურათს, მოსინათლების შემდეგ, სათვალთვალო პუნქტიდან, ბინოკლებით ხედავდა იქ მდგომი ყველა სარდალი.

ყუმბარები რომ გათავდა, ვუბრძანე ქვემეხებიდან „ზამოკების“ გამოღება და სტოხოდში გადაყრა. გუნდი ისევ ბურცობზე ავიყვანე და დაწყებული თხრილების გაგრძელება დავავალე. ტყვეებს მცველები მივუჩინე.

სირბილის დროს რამდენჯერმე მარცხენა ფეხზე ჩავიჩოქე და ამ ფეხის უჩვეულო მოდუნება ვიგრძენი, მაგრამ ფეხისთვის ვის ეცალა! ახლა, ოფლში გაღვრილი, მაგრამ ოდნავ სულმოთქმული თხრილში ვიჯექი. იქვე ეს ორი ახალი „სტუმარი“ (გერმანელი ოფიცერი) მეჯდა. ერთმანეთის არაფერი გვესმოდა; შიშისაგან დიდი მოწიწებით იყვნენ ჩემთან. გულზე დაკიდულ პლანშეტიდან შოკოლადის პლიტკა ამოვიღე, სამად გავტეხე, ორი მათ მივაწოდე და ერთი მე ჩავიდე პირში. იმათ თითო კოლოფი გერმანული სიგარეტი მომაწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა შეწყდა. ირგვლივ ისეთი უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ეტყობოდა კარგის მომასწავებელი არ იყო!..

მარცხენა ფეხი ძალზე მიბჟუოდა და მაწუხებდა. უნებლიედ ხელი ბარძაყზე მოვისვი ჩექმის ზემოთ... ხელს დავხედე და... ხელის გული მთლიანად სისხლში დამსველებია! ამასობაში თათარაშვილმაც იყვირა:

– ბატონო! ფეხზე სისხლი გაქვთ!

მეცნენ ჩექმაში, გახდა დამიპირეს, მაგრამ ტკივილისაგან ვიყვირე. ჩექმა გავჭერით და წინდაც ყვირილში გამხადეს. ტერფში დაჭრილი აღმოვჩნდი. ტყვია თითებში მომხვედრია და ტერფი გამოუტანია. ფერშალი სმირნოვი მოვარდა, სახელდახელოდ ჭრილობა შემიხვია. მანამდე ის სანიტრებით ბრძოლის ველზე დარბოდა და დაჭრილებს ეხმარებოდა. დაჭრილები თითქმის ყველა გაზიდეს სტოხოდის გაღმა უკანვე.

ამ დროს გაგზავნილები დაბრუნდნენ და მომახსენეს, რომ ჩვენი მესამე ათასეულის გუნდებში -- XI, X და IX (მე ვიყავი XII-ში) არც ერთი ოფიცერი აღარ არის. თავართქილაძე მოუკლავთ. სხვებიც ზოგი მკვდარია და ზოგიც დაჭრილი – უკვე გაუყვანიათ სტოხოდის გაღმა. ათასეულის უფროსი ვამოლკინიც არსად ჩანს. ის არც დაუნახავს ვინმეს წუხელ ხიდებთან ან მათზე გადმოსული. დარჩენილი ვარ მე და ისიც დაჭრილი.

სარდლები,თურმე, ყოველივე ამას ხედავდნენ. ამოცანა ითვალისწინებდა ამის შემდეგ ჩვენი რეზერვის გადაყვანას სტოხოდზე და ჩვენს მიერ მიღწეულ წარმატების განვითარებას.

მაგრამ ჩვენმა სარდლობამ ეს ძვირფასი და ხელსაყრელი მომენტი გაუშვა... გერმანელთა არტილერიამ მკვდარისებული სიჩუმე ერთბაშად საშინელი გრიალით დაარღვია. იმათ ცეცხლის კედელი აღმართეს სტოხოდის გასწვრივ და ჩვენს გამზადებულ რეზერვებს საშუალება არ მისცეს გადასულიყვნენ. სტოხოდი თავისი ხიდებით ჩაადუღეს...

საოცარი იყო ეს მოვლენა! „მეტი მანევრის თავი თუ არ გააჩნდა ჩვენს სარდლობას, ჩვენ რაღად შეგვაკლა ამ გარღვევა-მეთქი“ – ვფიქრობდი, მაგრამ აზრის დასრულების საშუალება არ მქონდა.

შუადღემ მოაღწია საშინელი სიცხით... ფეხის ტკივილისაგან გული მიმდიოდა... უნდა როგორმე თავისთვის მეშველა.

რომ ბევრი არ გავაგრძელო, დიდი წვალებით, გადამწვარი სოფლის კიდურზე გადებული გარუჯული დიდი ხის ხიდად გადებულ ძელის საშუალებით ისევ ჩვენს მხარეზე გადმომიყვანეს მეც და ჩემი ტყვეებიც. წინადღინდელ ბლინდაჟში შემიყვანეს და შიგ შეყრილ თივაზე დამსვეს. წართმეული ქვემეხი ბლინდაჟის წინ თხრილში ჩამოაყუდეს თათარაშვილის ხელმძღვანელობით. მეორე, „ზამოკ“ ამოღებული ქვემეხი ისევ სტოხოდის მარჯვენა მხარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა. როგორც ზემოთ მაქვს ნათქვამი, ეს თათარა[illegible] ეს კუმისელი. გასაბჭოების შემდეგ ის თბილისში მაწონს ეზიდებოდა ვირით და ხშირად მოდიოდა ჩემთან...

ათასეულის უფროსის, მიტია ვამიოლკინის შესახებ უკვე გავიგე ყველაფერი. თურმე, წუხელ, ჩვენ რომ სტოხოდის მეორე მხარეს გადავედით, ის უკან გაპარულა, ორი თავისი ერთგული ჯარისკაცით, სათვალთვალო პუნქტს გასცილებია, ტყეში ორმო მოუთხრევინებია და იქ მჯდარა მთელი ბრძოლის განმავლობაში. ეს ჯარისკაცებმა საიდუმლოდ მომახსენეს. მათ ასეთები არ გამოეპარებოდათ. ყველაფერი იცოდნენ – რომელი ოფიცერი რას წარმოადგენდა. იცოდნენ, ვინ იმსახურებდა პატივისცემას და ვინ სიძულვილს.

ბლინდაჟში, სადაც მე ვიჯექი, ძლიერ შეწუხებული ტკივილისაგან, გალეშილი ვამიოლკინი შემოვარდა და დაჭრილ ფეხზე წამაჯდა. ტკივილისაგან გამწარებულმა, მე პატარა „სალდათის ბარს“ ხელი ვსტაცე და რაც ძალა მქონდა, ბრტყლად თავში ჩავსცხე ვამიოლკინს. ის ყვირილით გარეთ გამოვარდა. იქ გაიგო, რომ ბლინდაჟში მე ვარ დაჭრილი. ის ისევ შემობრუნდა(შიგნით სანახევროდ ბნელოდა და მე ამით ვისარგებლე).

– *Мой дорогой, мой лучший офицер!* – ლუღლუღებდა ის სპირტით გალეშილი.

– *А-а, это вы, господин подполковник? Подойдите ближе,* – *და ჩურჩულით ვუთხარი,* – *Если командование узнает то, что знаю я, вас расстреляют!*

მან ელამი თვალები გადმოკარკლა.

ამ დროს გამოძახებული სანიტრებიც მოვიდნენ, საკაცეზე დამდეს და თხრილებით, ბრეზანტული ყუმბარების ხეთქების ქვეშ, დიდი წვალებით პირველ შესახვევ პუნქტზე მომიყვანეს. ფრონტი, სტოხოდი თავის „მშვენიერებით“ სამი კილომეტრით უკან დარჩა.

ექიმი ივანოვი

– *Ты где, батенька, застрял столько времени?* – მითხრა პუნქტის გამგემ, ექიმმა ივანოვმა.

ტკივილისაგან სული მხდებოდა. სახე დაღმეჭილი მქონდა. მან ჭრილობა გახსნა, დაათვალიერა, მობანა და თქვა:

– სასწრაფოდ დივიზიის ლაზარეტში.

ივანოვის თეთრი ხალათი სისხლით იყო გათხუპნული. ივანოვი იყო რუსი ებრაელი.

სანიტრებმა ხელი დამტაცეს, „დვუკოლკაში“ შემიტანეს და დივიზიის ლაზარეთისაკენ გამაქანეს. ეს გზა აუწერელი წამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო... როგორც იქნა, გვიან ღამე მიმიყვანეს. მაშინათვე საოპერაციო მაგიდაზე დამდეს, ხელ-ფეხი გამიქაჩეს და ვაი, ისე მტერს – როგორც მე იქ დღე დამაყენეს.

ჭრილობის მილში წვრილთავა დიდი მარლა გაათრიეს რაღაცაში დასველებული. შემდეგ კიდევ... მესამედ უფრო პატარა, მაგრამ ის შიგ დატოვეს.

დივიზიის ლაზარეთი იყო დასახლება როჟიშჩეში.

მეორე დღეს, დილით, საბარგო ვაგონში საკაცით გამომკიდეს. მთელი მატარებელი დაჭრილებით იყო სავსე.

კიევში ჭრილობა ხელახლად შემიხვიეს და როსტოვში გამომგზავნეს, იქედან – თბილისში. მომათავსეს 38-ე ლაზარეთში. ჭრილობა გახსნეს... ისევ გაწმენდა და ჩემი ყვირილი... შემდეგ შეხორცება სწრაფად წავიდა.

აქ საინტერესო იყო ის, რომ ბატალიონის უფროს – ვამიოლკინიდან მივიღე ბარათი. ჩემი მისამართი გაზეთიდან გაეგო. მაშინ დაჭრილი ოფიცრების გვარებს ათავსებდნენ გაზეთებში და ჟურნალ „ოგონიოკში", იმისათვის, რომ ჭირისუფალს გაადვილებოდა დაჭრილების ადგილმდებარეობის მოძებნა. ვამიოლკინი დიდი ამბით მოკითხვას მწერდა, თითქოს ჩემი ხელიდან „სალდათის ლაფათქა" არ მოხვედროდეს თავში და მთხოვდა ხელი მომეწერა და გამეგზავნა წერილთან დართული „რელაცია". ამაში კი ეწერა, თითქოს ის სტოხოდზე ბრძოლის დროს. წინ მიუძღოდა თავის ათასეულს; სასრაფოს და გონივრულ განკარგულებებს იძლეოდა, რითაც სასტიკად დაამარცხა გერმანელები, ხელთ იგდო მათი ბატარეია და ტყვეები თავის ოფიცრებით...

ეს წერილი_ უყურადღებოდ დავტოვე, მაგრამ ორი კვირის შემდეგ კიდევ მივიღე ზუსტად ასეთივე შინაარსის წერილი. ველარ მოვითმინე და მივწერე: *"Ваше нахальство не имеет границ! Я выздоравливаю. Вернусь. Поговорим при свидетелях."*

პოლკში რომ დავბრუნდი, ის გადაყვანილი დამხვდა სხვა ნაწილში. ერთხელ სადღაც შემხვდა, მაგრამ არ დამელაპარაკა.

ლაზარეთში

ლაზარეთში 1916 წლის სექტემბრის შუამდე ვიწექი. ჭრილობა შეხორცდა და ყავარჯნებით დავდიოდი. იქ წოლისას ჩემიანებმა მნახეს.

ლაზარეთში საექიმო კომისიაზე გამატარეს ჯანმრთელად მცნეს და საავადმყოფოდან გამომწერეს. რამდენიმე დღით სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავედი. სოფლიდან – ბათუმში. შემდეგ ისევ ბიბლიოთეკაზე გავემგზავრე.

პოლკში მივედი. ყველა სიხარულით შემხვდა, თითქოს საკუთარ ოჯახში ვიყავი მისული. ამხანაგებმა, რომლებიც ჩემს მისვლამდე დაბრუნებულიყვნენ, ამბავი დამახვედრეს – „შენზე ბევრი ლაპარაკი იყო და ამ ბრძოლებში მონაწილე ოფიცრები დიდ ჯილდოებზე წარადგინესო“.

მე ისევ 12-ე გუნდში ვიყავი, მაგრამ ძველები ცოტანი დარჩნენ. გუნდი ისეთ ადგილზე დამხვდა, სადაც ჩვენსა და გერმანელების სანგრებს შორის მანძილი იყო რვა ნაბიჯი. ერთი შეხედვით ეს უბანი იყო ყველაზე წყნარი უბანი, რადგანაც ვერც მტრის და ვერც ჩვენი არტილერია სროლას ვერ ბედავდა, თავისიანების დაზიანების შიშით. „აკოპების“ პირზე მაღალი რკინის ბადეები იყო აღმართული ორივე მხარეს და ბომბების სროლაც შეუძლებელი იყო, რადგანაც ბადე მას ზამბარასავით უკანვე დააბრუნებდა და გახეთქავდა.

ივანენკოს ვერაგობა

ამ უბანზე, ფრონტით 300 მეტრამდე, ჩვენი და მტრის ჯარისკაცები, მიუხედავად აკრძალვისა, ერთმანეთს თავისუფლად ელაპარაკებოდნენ. მუსაიფი, ენის უცოდინარების გამო, სანახევროდ მუნჯურად მიმდინარეობდა. ისინი ჩვენებს ყველას „ვანიას“ ეძახდნენ და ჩვენები მათ „ფრიცებს“. ისინი გამოიძახებდნენ ერთმანეთს „ტრავერსის“ რომელიმე კუნჭულში და საათობით მუნჯურობდნენ ერთმანეთში. მე ამ „გართობას“ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ერთმა ოფიცერმა – ივანენკომ მათ მუნჯურს ბოლო მოუღო...

ივანენკომ სალაპარაკოდ გამონახა ვიღაც „ფრიცი“. ის მოადგა ტრავერსის კიდეს, მაგრამ ივანენკომ ესროლა და მოჰკლა. ამ ამბავმა გუნდში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჯარისკაცები გულჩათხრობილი გახდნენ... თითქოს დაემდურენ თავის ოფიცრებს, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ, როცა აშკარა გახდა, რომ ივანენკოს გვამი მოკლული „ფრიცის“ მოპირდაპირე ტრავერსის კედელში შეკუჭული ნახეს – ჯარისკაცებმა ისევ წარბები გაშალეს. ივანენკოს ირგვლივ ძიებამ შედეგი არ გამოიღო და მას თავი მიანებეს.

ძნელი წარმოსადგენია, რა მძიმე იყო ზურგიდან დაბრუნებულის, ბათუმის მშვენიერი ბუნების, იქაური უდარდელი ხალხის ნახვის შემდეგ ამ სოროებში შეძრომა და დღე-ღამ იმის ლოდინი, რომ ან შენ მოგკლავს ვინმე, ან შენ უნდა მოჰკლა ვინმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტომ?.. რისთვის?.. მაგრამ ომი, ომია! საკუთარი აზრების განვითარებას ვინ დაგანებებს!..

საპები

ჩვენმა მესანგრეებმა ამ უბანზე დაიწყეს „საპების“ თხრა, ე.ი. მტრის მხარეს რამდენიმე ჩუმი გვირაბი მიჰყავდათ, რომლებიც უნდა აეფეთქებიათ. სპეციალური ხელსაწყოთი გაიგეს, რომ ასევე ჩვენკენ იწევენ გერმანელებიც. გერმანელების და ჩვენი ორივე გუნდი ვულკანზე იჯდა. საკითხი იყო, ვინ მოასწრებდა სანგრების აფეთქებას: ჩვენ თუ მტერი. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე ვიქნებოდით თვითეული ჩვენგანი, ზეცაში აფრენის მოლოდინში ყოველ წამს!

საბედნიეროდ ბრძანება მივიღე, რომ ჩვენი პოლკი რეზერვში უნდა გავიდეს. მე რომელიღაც ნაწილმა შემცვალა. ჩვენ ღრმა ზურგში გაგვიძახეს. შემდეგ გავიგეთ, რომ ეს ადგილი მტერმა ააფეთქა და ორასამდე კაცი ჰაერში ააფრინა, ჩვენი შემცვლელი პოლკის ნაწილიდან.

რეზერვში დგომა. 10/X-16წ.

ერთი კვირაა, რაც ვისვენებთ. მახლობელი ქალაქებიდან ოფიცრების ცოლები გამოიწვიენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ყველა ოფიცერმა წესრიგში მოიყვანა თავისი ტანსაცმელი.

ჯარისკაცებისათვის აბანოები და სამრეცხაოები გავმართეთ. ტანსაცმელ-ფეხსაცმელ შემკეთებელი სახელოსნოები ავამუშავეთ და „ობოზების“ საწყობებიდან სუფთა საცვლელი დავარიგეთ.

ბესარაბია

ბესარაბიაში ვიყავით, ფრონტიდან საკმაოდ შორს. ვირიცხებოდი მეორე ტყვიამფრქვევის გუნდში. ჩემს განკარგულებაში იყო მეორე „ვზვოდი“, ანუ ექვსი „მაქსიმკა“. გუნდის უფროსი იყო „პრაპორშჩიკი“ შარდტი – წარმოშობით, მგონი, შვედი. ახლაც არ მესმის, რა დამსახურებისათვის მიანიჭა მას პოლკის უფროსმა უპირატესობა და დააყენა ისეთი საპასუხისმგებლო ორგანიზაციის სათავეში, როგორიც იყო ტყვიამფრქვევის გუნდი. შარდტი არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ოფიცრებისაგან.

ამ გუნდში ითვლებოდა 16 „მაქსიმკა“. პოლკში ასეთი ორი გუნდი იყო – პირველი და მეორე ტყვიამფრქვევის გუნდი. ყველა ეს 32 „მაქსიმკა“ ბრძოლის ველზე რომ აკაკანდებოდა, იქ ცოცხალი არსება ვერ უნდა გადარჩენილიყო.

შარდტი რატომღაც მეჯავრებოდა. მისთვის ცუდი არაფერი შემიმჩნევია, მაგრამ პოლკის უფროსის მასთან დამოკიდებულება არ მომწონდა. ხშირად ისინი ერთმანეთს გაიხმობდნენ და საათობით საიდუმლოდ რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. ყველა ჩვენგანს ეგონა – ჩვენზე ხომ არაფერს თხზავენო. ამას იმიტომ ვფიქრობდით, რომ ვხედავდით პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. მთავრობისადმი სიძულვილი უკვე აშკარად იგრძნობოდა. ჯარისკაცები ამრეზილად უცქერდნენ უშუალო ხელმძღვანელებს და გულჩათხრობილნი ხდებოდნენ. ფრონტებზე ყველგან მარცხი იყო. აუარებელი სხვადასხვა მიმართულების აზროვნება წამოჭრილიყო. დიდ მეთაურებს ამის ეშინოდათ და ოფიცრებს სათითაოდ გვსწავლობდნენ. ამიტომ გვეჯავრებოდა მათი იდუმალი ჩურჩული.

სოფელი მიხაილოვკა

ისევ დიდი თოვლი იდო, როდესაც სამოცკილომეტრიანი მარში დავასრულეთ ბესარაბიაში და დიდ სოფელ მიხაილოვკაში დავბანაკდით 1917 წლის თებერვალში. მოსახლეობა დიდი სიხარულით შემოგვეგება. ჩემი „ვზვოდი“ მითითებულ ადგილზე მოვათავსე ხალხიც, ცხენებიც და საჭურველიც. მღვდლისას მივედით. კიბით მეორე სართულზე ავედით. დერეფნის ბოლოში ახალგაზრდა ქალი დავინახე. ის გაფაციცებით ჩვენკენ იცქირებოდა. ალბათ, აინტერესებდა რანაირი იქნებოდა მათი მდგმური!

დაწოლისთანავე ბურუსში წავედი და გონებაში მასპინძელს ვლოცავდი... ღრმა ძილში ვიყავი, რომ სიბნელეში რაღაცა მაჯლაჯუნასავით კისერზე შემომეხვია და სახეზეც დამედო... გველნაკბენივით წამოვვარდი და ბალიშის ქვეშ რევოლვერს ხელი ვტაცე, მაგრამ იმავე წამს პერანგის ამარა ქალის ტანი ვიგრძენი!

– *Тсс... рядом, за стеной спит папа!* – ვიღაცამ წამჩურჩულა ყურში...

ლერმონტოვის „დემონი“ ორიოდე დღის წინ ათჯერ გადავიკითხე... რაღაც იქედან ამობეჭდილ სურათს დაემსგავსა ეს შემთხვევა... თენდებოდა, როცა „მოჩვენებამ“ ოთახი დასტოვა. დილით მასპინძლებმა ჩაიზე მიმიწვიეს. ნატაშამ (ახლა გავიგე მისი სახელი) გამოვიდა და ერთად ვიჩაიეთ, ვაკვირდებოდი. სიმპატიური სახის და ტანადობის ქალიშვილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის შემდეგ ცოტა ხანს მარტონი დავრჩით.

– *Кто ты? Откуда?* – მკითხა მან.

– *"Я тот, которому внимала ты в ночной тиши"...* – ვუპასუხე ლერმონტოვის „დემონის" სიტყვებით.

უცნაური ყოფილა ადამიანი! ჩემი არსება და გრძნობა ხომ ნინათი იყო აღვსილი, მაგრამ ნატაშას მიმართაც აღძვრილიყო ჩემში მისწრაფება და სურვილი! აღწერილ მომენტში და ჩემს მდგომარეობაში მყოფი ვინ ეტყოდა მას უარს...

1917 წლის თებერვალი

მიხაილოვკაში ერთი კვირის მოსული იყო ჩვენი პოლკი. ეს დიდი სოფელია და კარგად, გაშლილად დავბანაკდით. ერთ დიდ სახლში ოფიცერთა საკრებულო გამართეს თავის სამზარეულოთი და აქ ხშირად ვიყრიდით თავს ოფიცრები. პოლკში დაახლოებით სამასზე მეტი ოფიცერი ირიცხებოდა.

ამ ხანში შუბერსკის გენერალ-მაიორობა მიანიჭეს და სადღაც სხვა ნაწილში გადაიყვანეს. მის მაგიერ ისევ პოლკოვნიკი რიაბინინი დარჩა. მეტყვიამვრქვევეთა გუნდი, შარდტის გამო შემძაგდა და ამიტომ რიაბინინს ვთხოვე ცხენოსან რაზმში გადავეყვანე. იქ უფროსად ჩემი კარგი ამხანაგი, პორუჩიკი ანტონოვი იყო. ნებართვა მივიღე და ადიუტანტმა ბრძანების ამონაწერი გადმომცა.

რაღაც ყრუ ხმები დაირხა, მთავრობაში ცვლილების შესახებ. რასპუტინი მოჰკლეს. მკვლელობის ინიციატორი პურიშკევიჩი და იუსუპოვი იყვნენ. ამ უკანასკნელს შანდალი ჩაურტყამს თავში, რაკი რევოლვერის რამდენიმე ტყვიას არ დაჰყოლიაო – ამბობდნენ. დედოფალს მინის კუბო ჩამოუსხმევინებია და ისე დაუსაფლავებიაო – ასეთი ხმები იყო გავრცელებული არმიაში და ჩვენს პოლკშიც.

ერთ დღეს გვიბრძანეს მიხაილოვკის შუა მოედანზე გამოგვეყვანა პოლკის ნაწილები და დაგვეწყო „პარადისათვის". პოლკი ბატალიონების კოლონებით, ოთხკუთხად მოეწყო. პოლკის ყველა რაზმი, როგორც ჩვენი ცხენოსანი, აგრეთვე ტყვიამფრქვევის, გრენადიორების, მინომეტების – საომარ აკაზმულობაში ვიყავით.

ყინავდა. ცოტა ლოდინის შემდეგ მწყობრის შუა რიაბინინმა (პოლკის უფროსმა) ცხენი შემოაჭენა. მას ვიღაცეები ახლდნენ.

– *Полк, смирно! Господа офицеры!* – გაისმა მოადგილის, ბუსლაევის ხმა, რიაბინინის მისასალმებლად.

პოლკი, ხუთი ათასი კაცი, გაციმცამდა და გეგონებოდათ ყველამ სუნთქვა შეწყვიტაო. რიაბინინმა გულის ჯიბიდან მოკეცილი ქაღალდი ამოიღო და ცხენის როკვასთან შეგუებით კითხვა დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიკოლოზ მეორემ უარი თქვა მეფობაზე; მეფობა მიუძღვნა რომანოვს გადაულოცა; მიხეილმაც უარი განაცხადა; ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელშია; დგება მუშათა და სალდათთა საბჭო“...

მთელი პოლკი პირდაღებული ისმენდა! თითოეული სიტყვა რკინის ურო სავით გვირახუნებდა თავში მოულოდნელობის გამო!

„მდგომარეობა რთულია“ – განაგრძობდა პოლკის უფროსი, – მოვლენები ერთი მეორეს უსწრებენ; ვითარება გაურკვეველია; დამშვიდებით ველოდოთ შედეგს; ყველა თავიანთ ადგილზე დაბრუნდით და ვიცადოთ“. რიაბინინმა ცხენი მოაბრუნა და მხლებლებითურთ წავიდა... პოლკი „სმენაზე“ – იდგა.

ოფიცრები ბევრი გახარებული და ბევრი ძლიერ დაღვრემილი იყო. უხაროდათ უმეტესად ახალგაზრდებს. ეს იყო რუსეთის დიდი რევოლუციის პირველი დღე! 1917 წლის თებერვალი.

მოსახლეობასაც უკვე მიეღო ცნობები და მთელ სოფელში დაიწყო მანიფესტაციები. მათ სათავეში ჩვენი ორკესტრი ჩაუდგა, ჩვენი ნაწილები შეუერთდა და გვიან ღამემდე აღმა-დაღმა სოფლის ქუჩებში დავდიოდით.

ეს დემონსტრაციები მეორე დღესაც გაგრძელდა. მესამე დღეს, იმავე მოედანზე თავი მოგვიყარეს მწყობრში ჩამდგარებს და ფიცი მიგვალებინეს დროებითი მთავრობისადმი.

მზადება ახალი ბრძოლებისათვის

დროებითმა მთავრობამ ომის გაგრძელება გადაწყვიტა. საშიშროება დადგა იმის, რომ გერმანელებს შეუძლიათ ფინეთის ყურიდან დესანტი გადმოსხან; გახსნან ჩრდილოეთის ფრონტი და დაემუქრონ პეტროგრადს. ამიტომ სარდლობამ გადაწყვიტა ჩვენი პირველი კორპუსი, I არმიაში შემავალი, გადაიყვანოს ესტონეთში და დააბანაკოს ფინეთის ყურის გასწვრივ.

ამ პერიოდში ანტონოვი უკვე გადაყვანილი იყო სხვა ნაწილში და ცხენოსან მზვერავთა რაზმს მე განვაგებდი.

როგორც იქნა მიხაილოვკიდან გავედით. ბესარაბიაში თუ ესტონეთში დიდხანს ვიბორიალეთ. შემდეგ რომელიღაც სადგურზე ეშელონებად დაყოფილი, მატარებელში ჩაგვსვეს და ნარვაში ამოვყავით თავი აქ ვიდექით რამდენიმე დღე. მე მოვასწარი პეტროგრადში ყოფნა და მიმოვლა – რამდენიმე ღირშესანიშნაობის დათვალიერება.

ნარვიდან დასავლეთით წავედით. მე წინა ეშელონში ვიყავი ჩემი რაზმით, რადგანაც საჭირო ადგილებში გზები უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემესწავლა და დაბინავების პუნქტები მეჩვენებინა უკან მომავალ პოლკისათვის.

საბოლოო პუნქტი ,ფონალი" მქონდა მოცემული. სადგურ „ვეზენბერგში" რაზმი გადმოვტვირთე და ფონალისაკენ გავემართე; *"Мыза Фональ"* აღმოჩნდა გერმანელი ფერმერის, რეინბურგის სასახლე, მშვენიერი სკვერებით და საგუბრებით შემკული. ზოგ საგუბარში თევზები იყო მოშენებული, ზოგში-კი საოცარი სილამაზის გედები დაცურავდნენ. ირგვლივ – ძველისძველი ხეივნები. სასახლის ირგვლივ აუარებელი სათავსოები იყო. ეს ადგილი განვაკუთვნე პოლკის შტაბისათვის. სხვა ნაწილებს მივუჩინე ირგვლივ პატარ-პატარა სოფლები. ჩემი რაზმი დავაყენე შტაბიდან სამი კილომეტრის მოშორებით ერთ-ერთ ფერმაში. ფონალის პატრონი რეინბერგი გავიცანი. ის რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელი იყო. გათენებისას პოლკმაც მოაღწია. ნაწილებს მიმაგრებული ჩემი რაზმები შეხვდნენ და მითითებულ ადგილზე წაუძღვენ დასაბანაკებლად.

ფონალი

პოლკი დაბანაკდა.. ამ დროს ახალი პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლაევი, უკვე მოსული იყო და ნაწილებს გზადაგზა ეცნობოდა. მშვიდი და წყნარი ადამიანი იყო. მე ხშირად მიხდებოდა შტაბში სიარული. დავდიოდი ცხენით და „ორდინარეცის" თანხლებით.

ერთხელ, ის იყო შტაბში მივედი და ბულატოვთან (ადიუტანტთან) შევედი. მან მითხრა:

– *Молодой человек! Тобой интересуется одна особа, мне поручено познакомить тебя с ней.*

– *Оставь, пожалуйста!*

რამდენიმე დღის წინ ნატაშას ძლივს დავაღწიე თავი მიხაილოვკაში და ახლა კიდევ... ეს იცოდა ბულატოვმა

– *А все же, кто такая?* – შევეკითხე მე.

– *Дочка хозяина, понимешь?* – ფანჯარაში გაიხედა,– *Вот она, идет слева.*

მეც გავიხედე და დავინახე ხეივანში ორი ქალიშვილის ზურგი. ერთი დაბალი, ჩაფსქვნილი; მეორე – მაღალი, ხმელ-ხმელი.

– *Идем в сад!* – ბულატოვმა ხელი ჩამავლო.

კიბე შპორების რაწკა-რუწკით ჩავირბინეთ და ავედით, სადაც ქალიშვილები უკვე ისხდნენ კოხტა „ბესედკაში".

– *Хозяюшка!* – მიმართა ბულატოვმა უფრო დაბალს, – *Вот ваш рыцарь, кавказский человек. Выполняю ваше поручение и*

ეროვნული ბიბლიოთეკა

представляю его, но предупреждаю: чтобы он не утащил куда-нибудь!

მე მივუახლოვდი და ხელი ჩამოვართვი.

– *Хельми!* – მორცხვად და ფართო ღიმილით მითხრა მან, – *Это моя компаньонка, знакомьтесь,* – მიმითითა მეორეზე.

რუსულად ცოტა გერმანული აქცენტით ლაპარაკობდნენ.

ბულატოვმა საქმე მოიმიზეზა და წავიდა. მუსაიფი დავიწყეთ.

კავკასიაზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს ველურების ქვეყანა ყოფილიყოს. საქართველოს ხსენება არასოდეს სმენიათ. ბევრს მეკითხებოდნენ და მეც სიამოვნებით ვპასუხობდი. ვატყობდი, ხელმი ჩემით აღტაცებული იყო. სახელი მკითხა.

– *Габриел Рамишвили,* – ვუპასუხე მე.

სიცილისაგან ორივე ერთმანეთს მიეჯახნენ. აღმოჩნდა, რომ კომპანიონკასაც *"Габриель"* რქმევია *(Габриэль Фердинандовна).*

ხელმიმ დაიწყო ჩემი სახელის ბრუნება. აბრუნა, და მანაც ნატაშასავით *"Гаврик"* მიიღო. შემდეგ ქართული სიტყვებით დაინტერესდა. რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა მკითხა და სულ მალე თქვა:

– მე შენ გოგო; შენ მე ბიჩი, – მშვენიერი იყო მისი პირიდან ამ ქართული სიტყვების გაგონება. კარგა ხანს ვილაპარაკეთ. დღეს კმაროდა. წამოსასვლელად მოვემზადე. მან ვედრებით მითხრა:

– *Гаврик! Прошу тебя, зайдем к нам домой. Познакомим мама и папа,* – „შენობით" მომმართა მან მისებური რუსულით.

სახლში შევედით. ოთახების განლაგება გამაცნო. მისი პატარა ოთახი მაჩვენა. მას ერთი ფანჯარა ჰქონდა და ბაღში გადიოდა... მისი მორთულობა, საძინებელი, მყუდროება – სამოთხის გალიას მოგაგონებდა. მშობლებიც გამაცნო. მამას უკვე ვიცნობდი. დედა საშინელი მკაცრი შეხედულობის იყო. ჩაით და კონიაკით გამიმასპინძლნენ. მისი ქცევა და მოპყრობა ისეთ გატაცებას გამოხატავდა, რომ ძალაუნებურად პირველი დღიდანვე ჩამითრია და განა დიდი ამბავი დასჭირდებოდა ჩემს მაშინდელ – აფორიაქებულ გრძნობებს? წამოსვლისას მითხრა:

– *Гаврик! Прошу тебя, зайдем к нам домой,* – ხელზე ხელი მომიჭირა და დიდხანს გააჩერა, სანამ მეც თითქმის ტკივილამდე არ მოვუჭირე...

მეორე დღე... მესამე... მეოთხეს – გვიან საღამოს, ძლიერ მახლობლები ერთმანეთს დავშორდით. ფონალში ყოფნის პერიოდის სურათები ბევრია ჩემს ალბომში. შემონახულია აგრეთვე ორი მისი ბარათი 6 და 26 აგვისტოს 1917 თარიღით. სხვა წერილები დროს შთანთქა.

დივიზიის გენშტაბის განკარგულების საფუძველზე ჩემი რაზმით მიმავლინეს ფინეთის ყურის ნაპირის დასაზვერავად. ამ ოპერაციაში სხვა დივიზიის მზვერავებიც მონაწილეობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილი დანაწილებული ჰქონდა გენერალს. მე უნდა გამეგო, რა შესაძლებლობა ჰქონდა მტერს აქედან დესანტის გადმოსასხმელად. გამგზავრებისას, დასაზვერავი ზოლის საწყისი და ბოლო პუნქტები დამინიშნეს; ორვერსიანი მასშტაბის რუკა ჩამაბარეს, სადაც ადგილმდებარეობის ყოველივე დეტალი დატანილი იყო.

მივლინებას მოუნდა 15 დღე. 70 კილომეტრის მანძილზე ზღვისპირას განლაგებული ყველა დაწესებულებანი და სოფლები მიმოვიხილე. ყოველი ათი კილომეტრის გავლის შემდეგ, ღამის გასათევად ვჩერდებოდით თვალწარმტაც და კოხტა სოფლებში.

ჩემთვის საჭირო ცნობები შევკრიბე და უკან ისევ სვენებ-სვენებით მოვბრუნდი, დიდ შთაბეჭდილებით აღსავსე! მოხსენება შევადგინე, პოლკის უფროსმა ნიკოლაევმა გასინჯა და დივიზიის გენშტაბში, სკლადოვსკისთან გამატანა.

დვინსკი

დროებითი მთავრობა მომაგრდა. პოლიტიკური პარტიებიდან ამოტივტივდნენ სოციალ-დემოკრატები (ესდეკები) და სოციალ-რევოლუციონერები (ესერები). სხვა პარტიებიც მძლავრობდნენ და ყველა თავიანთ „პლატფორმას“ იცავდა. რევოლუცია მოხდა! ცხოვრება განახლების გზაზე იდგა.

მთავრობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ესერთა პარტიის ლიდერი კერენსკი. მან ომის გაგრძელება სცნო საჭიროდ. ამასობაში გაჩნდნენ ომის საწინააღმდეგოდ მქადაგებელნი, რომელთაც „ბოლშევიკებს“ უწოდებდნენ. ეს „მოციქულნი“ ხშირად ახსენებდნენ ჩემთვის იმჟამად პირველად გაგონილ გვარს - „ლენინს“.

ომით მოღლილ და მოქანცულ ჯარში, ომის საწინააღმდეგო აგიტაცია, რა თქმა უნდა, მრავალ თანამგრძნობლებს პოულობდა. არმია თანდათან მოიშალა, მოდუნდა და თითქმის ბრბოდ გადაიქცა. ყოველი საბრძოლო საკითხი საკრებო და სამიტინგო გახდა. მიტინგები იმართებოდა დაუსრულებლად. ბოლშევიკური მოციქულები გააქტივდნენ. ამ აქტივობამ წარმოშვა მეორე უკიდურესობა – რეაქცია, მეთაურებით: დენიკინი, ალექსეევი, ვრანგელი, კოლჩაკი და მრავალი სხვანი.

დროებითი მთავრობა შეუდგა დამფუძნებელი კრების არჩევნებს. ამ არჩევნებს ბოლშევიკები ხელს უშლიდნენ. შეიქმნა დიდი არევ-დარევა...

ამასობაში ჩვენი კორპუსი ესტონეთიდან სამხეთისაკენ დასძრეს. მე ბრძანება მივიღე, ჩემი რაზმით მოვხსნილიყავ და სადგურ ვეზენბერგში ეშელონის დატვირთვისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხელმძღვანელა. შემდეგ ამ პირველსავე ეშელონს გავყოლოდით და დვინსკის მახლობლად, პოლკისთვის გამოყოფილ პლაცდარმზე სადგომები აღმენიშნა. ერთ საღამოს გადაჭრილად ვუთხარი:

– *Дорогая Хельми! Нам предстоит разлука!*

– *Милый, милый мой! Я ведь знаю об этом. Какой ты благородный, что пришел сообщить,* – ცრემლების ღაპა-ღუპით ღვრით მეუბნებოდა ის.

– *Что бы ни случилось, я никогда не забуду мою милую, хорошенькую, любимую немочку Хельми! Прощай, дорогая! Будем переписываться...*

კიდევ სხვა სცენები და საბოლოოდ წამოვედი. შემდეგში მისგან მომდიოდა წერილები და მეც ვპასუხობდი.

ვეზენბერგში რომ მოვედი, ჩემი ნაწილი კოხტად დაწყობილი, დასვენებულ და ნაპატიებ ცხენებზე ამხედრებული, ქუჩაში შემოვიყვანე და რკინისგზის სადგურისაკენ გავემართე. ქუჩაში მატროსების ჯგუფს წავაწყდი ოცდახუთამდე კაცს. სპირტის „გადაკრულობა“ ეტყობოდათ.

– *Это кто еще шествует верхом как господин?* – წამოიძახა ერთმა და ჩემს ცხენს აღვირში ხელი სტაცა.

ცხენმა თავი გაიქნია და აღვირი წაართვა. ამასობაში ჩემმა ვახმისტრმა ცარიოვმა კოლონის ბოლოდან ცხენი მიაგდო და მატროსებს მრისხანედ უთხრა:

– *Проходите мимо, друзья! Не будем трогать друг друга!*– შესძახა მან მატროსებს.

ჩვენ გზა მშვიდად განვაგრძეთ. მატროსებმაც ერთხანს გვიცქირეს და შემდეგ სადღაც მიიჩქმალენ...

ხმები თანდათან ვრცელდებოდა მატროსების მიერ ჩადენილ „სამოსუდებზე“. ამბობდნენ, რომ რიგის მახლობლად, ერთ-ერთ გემზე, მატროსებმა დააპატიმრეს თერთმეტი კაცი საზღვაო ოფიცერი, ფეხები გაუკრეს, ფეხებს შუა მძიმე რელსი გაუყარეს, ამწეს საშუალებით აიღეს და ცოცხლები ზღვაში გადაუშვესო. მსგავსი ვერაგობა ხშირად გაისმოდა.

ამბობდნენ ამასაც: მატროსებმა თავიანთი სამი ოფიცერი გემის საკვამლე მილში ცოცხლები ჩაჰყარესო...

პოლკი დვინსკის ფრონტზე მოგროვდა. მე მაშინათვე ადგილების დაზვერვაზე გამგზავნეს. ფრონტი ახლოს იყო. ჩვენ უნდა გამოგვეცვალა მითითებული რომელიღაც ნაწილი. ყველა გზები, მისადგომები, მისასვლელები რუკაზე აღვნიშნე და პოლკის უფროსთან დავბრუნდი მოხსენებით. მანაც სათანადო გადაწყვეტილება მიიღო და ნაწილები დასძრეს წინა ხაზისაკენ. ეს ხდებოდა დაღამებისას. მტერმა ჩვენი მოძრაობა გაიგო და ყუმბარები დაგვიშინა. სადღაც შორს ტანკიც აფუსფუსდა, მაგრამ მე ის არ დამინახავს. ტანკები ის-ის იყო შემოდიოდნენ ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტზე. საარტილერიო სროლა გაჩაღდა, მაგრამ ნაწილებმა მაინც თავისი ადგილები დაიკავეს. გამოცვლილი პოლკი წავიდა. ჩემი რაზმი სამ კილომეტრიან ზურგში იდგა 120 მხედრით.

ქალთა ათასეული

ესტონეთში დგომისას გაგონილი მქონდა, რომ ჩვენს არმიაში მოქმედებს ქალთა ათასეული, მაგრამ მე ეს არ მჯეროდა. „სად ბრძოლების ულმობლობა და სად ქალები. ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთი არსებობს, ალბათ, ზურგის სამსახურისათვის, საწყობების დასაცავად და სხვა ასეთებისათვის-მეთქი“...

დვინსკის ახლოს, ტყისპირას, გზასთან ახლოს ვიყავი დაბანაკებული. გათენებისას ჩემს ბარაკში (კარავში) ვახმისტრი ცარიოვი შემოვიდა და მითხრა:

– *Господин поручик! Смотрите, бабы идут!*

გავიხედე და ჩემი თვალებით დავინახე სქელთეძოებიანი, პირტიტველი, ფარაჯებ-„სკატებად“ შეხვეული და ირიბად გადადებული, მთელი სამხედრო „ამუნიციით“ მარშით მომავალი ბოჩკარიოვას ბატალიონი, რომელზეც უკვე გავარდნილი იყო ხმა ჩვენს კორპუსში.

მხრებზე დაპრიალებული ხიშტებიანი შაშხანები გაედოთ, პაწაწინა ფეხებზე დიდი ჩექმები ეცვათ. შარვლები თეძოებზე უჭერდათ და ამაყი გამოხედვით, მარჯვენა ხელებს წინ და უკან აქანავებდნენ სვლის დროს.

გაიარეს. როგორც შემდეგ გავიგე, ბოჩკარიოვას ჩვენი დივიზიის მარცხნივ დაუკავებია საბრძოლო უბანი.

მისივე თხოვნით ბრძოლაში ჩაბმულა; წინ წამოწეულ გერმანელებს ისინი ტყვედ ჩაუგდიათ და ზურგში გაურეკიათ...

ერთ დღეს, გვიან ღამით, წინა ხაზზე ვიღაცას წამოეძახა ხმამაღლა: „გაზიო!“ პანიკა მაშინვე სხვებსაც მოსდებია და უკან გამოქცევა დაუწყიათ, ნიღბებგაკეთებულთ. პოლკის შტაბიდან დამირეკეს, რომ პანიკიორები შემეჩერებინა.

მაშინვე რაზმით გზები ჩავკეტე. მალე გამოქცეულებიც მომაწყდნენ, მაგრამ წინ წასვლის საშუალება არ მივეცი. გათენდა. ისინი დარწმუნდნენ თავის შეცდომაში და სასწრაფოდ უკან გაბრუნდნენ. ნიღბებიდან ამოსული ნახშირით გათხუპნულები იყვნენ და ეშმაკებს ჰგავდნენ. ერთმანეთის შეხედვით სიცილით იხოცებოდნენ.

გერმანელებიც მოდუნდნენ. მათ შეეძლოთ მთელ ფრონტზე იერიშით წამოსვლა. მათი შემჩერებელი აღარავინ იყო, მაგრამ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჩაიდინეს იმის შიშით, რომ მათი ნაწილები რევოლუციაში მოწამლულიყვნენ...

1917 წლის ზაფხული. კერენსკი ფრონტზე

ხმა გავრცელდა, რომ სწორედ 22-ე დივიზიის ტერიტორიაზე უნდა მოვიდეს კერენსკი, რომელიც იმჟამად ფრონტზე მოგზაურობდა. დივიზიის ფრონტიდან თავისუფალი ნაწილები დვინსკის ახლოს, ერთ დიდ მინდორზე შეჰყარეს. მე ნაბრძანები მქონდა ჩემი ცხენოსანი რაზმით მონაწილეობა მიმეღო საპატიო ყარაულში, კერენსკის შესახვედრად, პატარა სადგურზე დვინსკის მახლობლად.

რამდენიმე ხნის ცდის შემდეგ, მატარებელი გაჩერდა და გადმოვიდნენ: კერენსკი, სკობელევი და ლებედევი, მათი მხლებლებით. ლებედევი იყო საზღვაო მინისტრი დროებით მთავრობაში, სკობელევი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი. მოსულნი და შემხვედრი გენერლები მანქანებით წავიდნენ. საპატიო ყარაულის შეხვედრის ცერემონიალი არ ჩატარებულა.

როცა მე თავშეყრის ადგილას მივედი, მოედანი გაჭედილი იყო ჯარისკაცებით და ოფიცრებით, არა მწყობრში მდგომნი, არამედ ისე, როგორც თავისუფალი მოქალაქენი. შუა ალაგას საბარგო მანქანა, თუ სახელდახელოდ გამართული ტრიბუნა იდგა და ზედ მდგომი კერენსკი სიტყვას ამბობდა.

მახსოვს, როგორი სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა ის და რა ოვაციით შეხვდა მას ზღვა ხალხი. ის მოუწოდებდა შეტევაზე გადასვლისაკენ, მოკავშირეების (საფრანგეთის და ინგლისის) მხარდაჭერაზე და გერმანიაზე საბოლოოდ გამარჯვებისაკენ. ხალხი აანთო და ააყვირა:

– წავალთ, ყველა წავალთ, გაგვიძღვნენ წინ, ყველაფერს მტვრად ვაქცევთ...

მთავრობა წავიდა სხვა ნაწილში. მიტინგი გრძელდებოდა. ახლა სხვა ორატორი ავიდა ტრიბუნაზე, ალბათ, ბოლშევიკთაგანი და დაიწყო სრულიად შებრუნებულად, ვიდრე კერენსკი ლაპარაკობდა:

– ჩვენ ვახდენთ პროლეტალურ რევოლუციას; ომი არის სასარგებლო მხოლოდ ბურჟუაზიისათვის; ჩვენ ომი რად გვინდა? ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი გველოდება, ცოლ-შვილი... ძირს ომი!..

– ძირს, ძირს, არ წავალთ, ფეხსაც არ მოვიცვლით, გვეყოფა, რაც ვიომეთ... -აყვირდა ისევ ზღვა ხალხი...

„მოდი და გაერკვიე ასეთ ვითარებაში!“ – ვეკითხებოდი თავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების საქციელი არ მომწონდა. ისინი, [illegible] უმცირესობა, სარგებლობდა რა მოქანცული არმიის ფსიქოლოგიური მდგომარეობით, თავის შეხედულებას და ზრახვებს თავზე ახვევდა დიდ უმრავლესობას.

„ამოდენა მსხვერპლია გაღებული, – ვფიქრობდი მე, – კიდევ ცოტაც და გერმანია კისერს მოიტეხს. ეს აწყვეტილი მხეცი საბოლოოდ დაიბმება ჯაჭვით და ჩვენი ხალხი თავის თავს მიხედავს-მეთქი... ამჟამად ისეა გაგებული, შესისხლხორცებული ზოგიერთების მიერ, თითქოს არავითარი ხსნა არ არსებობს, გარდა ბოლშევიზმისა. მხოლოდ ამ ხალხს ჰქონდა შენარჩუნებული საღი აზროვნების და მოქმედების უნარი. კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი-კი არარას წარმოადგენდა. მე ვფიქრობ, რომ ეს არის აბსოლუტურად არასწორი მოსაზრება.

კერენსკის მოწოდების საფუძველზე ატეხილი ბრძოლები

კერენსკის მოწოდების საფუძველზე ბრძანება გაიცა შეტევაზე გადასასვლელად. დვინსკის ფრონტი ახმაურდა. შეიქმნა ქვემეხების გრიალი, ნაწილების გადაყვან-გადმოყვანა და იერიშები. პირველი შეტაკების დროს გერმანელების ფრონტი გაირღვა და რამდენიმე კილომეტრზე იქაურობა მიილეწა. ისევ დახოცილები, დაჭრილები, ტყვეები. შემდეგ, რა გაიგეს, რომ ეს ოპერაცია ვიწრო ფრონტზე ხდება და სხვაგან სიწყნარეა, გერმანელებმა მოხსნეს რეზერვები „წყნარი“ ადგილებიდან და მოგვაყარეს ჩვენ. ჩვენ უკან მოვბრუნდით. გამოვიქეცით. ვირბინეთ და ძველ ადგილებს გამოვცდით. მტერმა ძველი მდგომარეობა აღადგინა და გაჩერდა. ამან გაგვაჩერა ჩვენც...

პოლკი რეზერვში

ჩვენს, 85-ე ვიბორგის პოლკს უბრძანეს რეზერვში გამოსვლა და დვინსკის მახლობლად დასასვენებლად დადგომა. ჩვენ შეგვცვალა სხვა ნაწილმა. დასვენება რომ ხანგძლივი იქნებოდა მივხვდი იმით, რომ უფროსმა ოფიცერმა ცოლები მოიხმეს, ამას უმცროსებმაც მიბაძეს და ორიოდ დღეში მხიარული ჟრიამული გაჩაღდა პოლკის ტერიტორიაზე, სტუმარი მანდილოსნების მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რანაირ დამამშვიდებელ, ამამაღლებულ, მაკეთილშობილებელ და მალამაზებელ ნექტარად მოქმედებს ქალი თავისი სინაზით გაქვავებულ, გრძნობა მიყუჩებულ, მაგრამ აწყვეტილი ვნების ადამიანზე, როგორიც ვიყავით ჩვენ, ხანგძლივად მიჯაჭვულნი საომარ მდგომარეობას.

აქამდე თუ ერთმანეთს ვეკინკლავებოდით აუარებელ წვრილმანებზე, ახლა ყველა ერთმანეთის მოყვარული შევიქენით. ასეთი ყოფილა ქალის გავლენა მამაკაცზე.

პოლკი ერთ ოჯახს წარმოადგენდა. დიდი ხნით ყოფნა, ჭირისა და ვარამის გაზიარება ძლიერ ააxლოებს პოლკისა თუ სxვა ნაწილის წევრებს. აქედან გამომდინარე, პოლკში ტრადიციად იყო მიღებული, რომ ოფიცრის მეუღლე ითვლებოდა „პოლკის მანდილოსნად“ (*Полковой дамой)* და მასთან „ცუდი“ განზრახვით დამოკიდებულება აკრძალული იყო. თუ სადმე ეს ტრადიცია დაირღვევოდა, დამნაშავე დაუყოვნებლივ გასამართლებული იქნებოდა *“суд чести”*-თ და გაძევებული იქნებოდა პოლკის ოჯახიდან სადმე სxვა ნაწილში გადაყვანით.

ამრიგად, ჩვენს ძმებს ცოლები ესტუმრათ. ჩვენ, უცოლონი, შორიდან ნერწყვის ყლაპვით ვკმაყოფილდებოდით. მიუxედავად ყოველგვარი ტრადიციის და პირობისა, მე რომ მათ ალაგას ვყოფილიყავი და ცოლი მყოლოდა, არავითარ შემთxვევაში იქ არ მივიყვანდი...

ჯილდო

რეზერვში დგომისას, პოლკის უფროსს დეპეშა მიულია პეტროგრადიდან, გიორგის ორდენით ჩემი დაჯილდოების შესახებ, სტოxოდზე ბრძოლისათვის.

მე ვიცოდი, რომ გასულ წელს წარდგენილი ვიყავი მაღალ ჯილდოზე – გიორგის ორდენზე, ვიცოდი, რომ სტოxოდის ბრძოლის შემდეგ დანიშნული ყოფილა სპეციალური გამოძიება, რომ გამოყოფილ კომისიას შეუკრებია ბრძოლის ველზე ჩემი მოქმედების დეტალური ცნობები. ეს ცნობილი იყო პოლკისათვის და ბულატოვის საშუალებით – ჩემთვისაც. კანტი-კუნტად ამის შესახებ მეც მსმენია. მაგალითად, პოლკოვნიკმა სოლოდუxინმა უთxრა პოლკოვნიკ ბუსლაევს: „Этот грузин, наверное, получит “Георгия”.

ეს ძალზედ დიდი ჯილდო იყო ოფიცრისათვის ძველ არმიაში, მისი მინიჭება უნდა დაედგინა სპეციალურ სათათბიროს *“Георгиевской думой”*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წარდგენა არ უპასუხებდა ყველა სტატუსს, შესაძლებელი იყო ის რომელიმე ინსტანციიდან უარით დაბრუნებულიყო, მაგრამ ჩემმა წარდგენამ უმაღლეს სათათბიროს მიაღწია. ეს ჩემთვის ცნობილი იყო.

სათათბირო-კი შესდგებოდა ხანდაზმული გენერლებისაგან და ადვილად ამ ჯილდოს არ გაიმეტებდნენ. სხვა ჯილდოებს (ვლადიმერს, ანას, ანდრიას, სტანისლავს და სხვას) ასეთი პროცედურა არ სჭირდებოდა.

გიორგის ორდენი დაარსებულა სუვოროვის დროს, ეკატერინე მეორის მიერ 1769 წელს და ენიჭებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლაში განსაკუთრებული მამაცობისათვის. ის იყო ოთხი ხარისხის ანუ კლასის.

პირველი კლასისას მიიღებდა მთავარსარდალი, რომელმაც დაამარცხა მტერი, მოსპო მისი არმიები და აიღო მტრის სატახტო ქალაქი; მაგალითად, როგორიც იყვნენ სუვოროვი და კუტუზოვი.

მეორე კლასისას მიიღებდა არმიის სარდალი, რომელმაც მოსპო მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა არა ნაკლები არმიისა; მაგალითად, როგორიც იყო პ.ი. ბაგრატიონი.

მესამე კლასისას მიიღებდა კორპუსის სარდალი – გენერალი, რომელმაც დაამარცხა მტერი და გააუქმა მტრის ძალა, არა ნაკლები კორპუსისა, მისი სამხედრო ტექნიკით; მაგალითად, სკობელევი – იაპონიის ჯარი.

მეოთხე კლასისას მიიღებდა ოფიცერი, რომელმაც ხელჩართულ ბრძოლაში გამოიჩინა განსაკუთრებული გამბედაობა და სიმამაცე, მტერს მიაყენა გამანადგურებელი ზარალი, წაართვა მომქმედი საცეცხლო იარაღი და იხსნა ნაწილები განადგურებისაგან. არსებობდა აგრეთვე ამავე სახელობის ჯილდოები ჯარისკაცებისათვის. ეს ჯილდოებიც ოთხი ხარისხის იყო. პირველი ორი – ოქროს ჯვრები, ხოლო დანარჩენი – ვერცხლის. ჯარისკაცს შეეძლო მიეღო მამაცობის გამოჩენის შემთხვევაში თანდათანობით ყველა ოთხივე ორდენი და ასეთ ჯარისკაცებს ეწოდებოდა „სრული გიორგის კავალერი“. ასეთები ბევრი იყო არმიაში.ამრიგად, გიორგის კავალერები იყვნენ როგორც ოფიცრები, ისე ჯარისკაცებიც, მაგრამ ოფიცრისათვის ამ წოდების მიღება ძლიერ ძნელი და რთული იყო, ვიდრე ჯარისკაცისათვის.

შესახედავადაც სხვადასხვა იყო ჯარისკაცისა და ოფიცრის ჯილდოები. თუ ჯარისკაცის იყო ოქროს ან ვერცხლის ჯვარი, ოფიცრისა – თეთრი მინანქარი, ჩასმული ოქროს სალტეებში სისქით 6-8 მილიმეტრამდე. შუაში ოქროს ბეჭდებში ჩასმული იყო ყალყზე შემდგარ მერანზე ამხედრებული ბიბლიური წმ. გიორგი, რომელსაც განგმირული ჰყავდა გრძელი შუბით გველეშაპი.

„გიორგის კავალერის“ მქონე ყველა ოფიცრის გვარი და ინიციალები ამოიკვეთებოდა მოსკოვის კრემლის „გიორგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში“ მარმარილოს მთლიან ფილებზე. ჯილდოს მფლობელს ენიჭებოდა მრავალი პრივილეგია.

„რამიშვილის ქვემეხი“

1916 წლის 16 ივლისს, სტოხოდზე ბრძოლაში, ჩემს მიერ გერმანელებისაგან წართმეული ქვემეხი, რომელიც ხელწერილის ქვეშ ჩაიბარა კაპიტანმა რიკოვმა ტყვეებთან ერთად, ჩემი ევაკუაციის მომენტში დავტოვე პოლკის ტერიტორიაზე, სტოხოდის გამოლმა მხარეს.

მაშინ მე სრულებით არ მცხელოდა არც ქვემეხის და არც ხელწერილისათვის, ისეთ დღეში ვიყავი ჭრილობის ტკივილისაგან. არ მიმიქცევია ყურადღება სად დავკარგე ის – არც მახსოვდა. მეორე ქვემეხი დავტოვე სტოხოდის გაღმა. წართმეული იყო: ორი ქვემეხი, დატყვევებულ იქნა ორი ოფიცერი და 15 გერმანელი ჯარისკაცი. მაგრამ ბრძანებაში აღნიშნული იყო: 1 ქვემეხი, 1 ოფიცერი და 10 ჯარისკაცი.

პოლკში მანამდეც არსებობდა ე.წ. „გრენადიორთა გუნდი“, რომელშიც გაერთიანებული იყო „მინამიოტებიბის“ ჯგუფი. ეს ჩემი ქვემეხიც აქ გადაუციათ სახელწოდებით *“пушка Рамишвили”*. მისთვის შეუქმნიათ საკუთარი პარკი, მისი კალიბრის ყუმბარებით და ქვემეხი ჩვენს პოლკში მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული.

დაჭრის შემდეგ პოლკში დაბრუნებამდე ამ ქვემეხის შესახებ არაფერი ვიცოდი და არც მახსოვდა მისი არსებობის შესახებ.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ერთხელ ჩემს „აკოპში“ მჯდომმა, ზურგიდან ახალდაბრუნებულმა, ჩემ საველე ელსმენში მოვისმინე გრენადერებს შორის ლაპარაკი:

– *Пушка Рамишвили защищает сектор...”*

– *Пушку Рамишвили переведите...”* და სხვა ამგვარი. მე ძლიერ მესიამოვნა ამის გაგონება. წავედი და სპეციალურად მოვინახულე ჩემი ქვემეხი, რომლის წართმევამ მომიტანა „გიორგი“ ორდენი და მომავალში მრავალი წარჩინებული მდგომარეობა საზოგადოებაში. გრენადიორებიც ნასიამოვნები დარჩნენ გაცნობით.

ზეიმი და ჯილდოს მიღება

1917 წლის აგვისტოს პირველი ნახევრის კვირა დღე იყო. მშვენიერი, მზიანი დარი იდგა. ერთ-ერთ სოფელში, დვინსკის მახლობლად, ვიღაც გლეხის უზარმაზარი საბძელი გამოასუფთავეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოფიცერთა საკრებულოდ აქციეს. დიდი ეზოც დაასუფთავეს, მისასვლელი ფართო გზა გაასწორეს და აგურის ხრეში მოაყარეს. ორივე მხარეს, მოჭრილი ნაძვები მიწაში ჩაასვეს და ლამაზი ხეივანი შექმნეს.

ხსენებულ კვირას დღის ორ საათზე დანიშნული იყო საერთო ზეიმი. მოწვეულნი იყვნენ: დივიზიის უფროსი – გენერალი უსოვი, დივიზიის შტაბის უფროსი – პოლკოვნიკი სკლადოვსკი, არტილერიის დივიზიონის უფროსი – კაპიტანი გეგელაშვილი მეულლით, რამდენიმე ოფიცერი დივიზიიდან და ჩვენი ოფიცრები თავიანთი მეულლეებით. ზეიმის დიასახლისი იყო პოლკოვნიკ ნიკოლაევის მეულლე.

მე ვიცოდი, რომ იმართებოდა დიდი ზეიმი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, თუ მე ამ ზეიმში რაიმე განსაკუთრებულ როლს ვითამაშებდი. ჯილდოს კი მოველოდი ოდესმე, მაგრამ ამოდენა ზეიმს – არა.

ზეიმის ადგილიდან ჩემი ნაწილით ახლოს ვიყავი დაბანაკებული.

ორი საათი სრულდებოდა, საკრებულოს რომ მივუახლოვდით. მთელი ეზო სავსე იყო ხალხით, ჯარისკაცებით და ოფიცრებით. გზის ბოლოში, საკრებულოს წინ, გენერალი უსოვი და პოლკოვნიკი ნიკოლაევი დავინახე. მათ შორის ნიკოლაევის მეულლე – ძლიერ პატარა ტანის ქალი. გზის ორივე მხარეც ხალხით იყო გაჭედილი.

მხლებლები – უსტინოვი და კორენევი – მომყვებოდნენ. ერთბაშად ორკესტრმა იგრიალა და ჩემი შეკრთომის დროს ესენიც სადღაც გაძრვრნენ, ზღვა ხალხს შეერივნენ.

მე დავიბენი. ერთ მომენტში არ ვიცოდი რა მექნა და მეც გზიდან გადასვლა დავაპირე. უეცრად ჩვენს დიასახლისს მოვკარი თვალი. მან თეთრი ჯვარი (ჯილდო) დამანახა და მანიშნა – აქეთ, პირდაპირ წამოდიო.

სწრაფად გონს მოვედი და მივხვდი საქმე რაშიც იყო. გავსწორდი, შუა გზაზე დავდექი, მარშის ტაქტი ავიღე და მწყობრი ნაბიჯით წავედი.

გენერალმა უსოვმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წარმოსდგა. მე მის წინ დავერჭვე, როგორც ამას მოითხოვდა წესი, სიმარჯვე და სიკოხტავე.

– *Поручик Рамишвили! Поздравляю тебя с заслуженной высокой наградой – орденом Георгия! Носи его во славу нашего оружия!*

ამ სიტყვებს ხელ-აღებული ვისმენდი. უსოვმა ხელი ჩამომართვა და უკუდგა. წინ ჩვენი დიასახლისი წამოიწია, გულზე ორდენი დამაბნია და გადამკოცნა. ნიკოლაევმა მამაშვილურად სამჯერ გადამკოცნა. სხვებმაც მომილოცეს. ეზო გაყრუებული იყო ტაშის ცემით და ორკესტრის გრიალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრებულოში უზარმაზარი სიგრძის მაგიდები იდგა, ერთმანეთ სანოვაგით. საპატიო ადგილზე დამსვეს. მკერდზე თითქოს ფუთის ოდენა სიმძიმე მეკიდა. ჩემი სადღეგრძელო პირველად შეისვა. დაჯილდოების ბრძანება წაიკითხეს.

ეს დღე, მეორე შესანიშნავი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, ბათუმის სასწავლებელში პუშკინის თხზულების სრული, ლამაზად გამოცემული კრებულის საჩუქრად მიღების შემდეგ.

როგორც ჩემმა ქვისლმა – დომენტი მეტრეველმა მიამბო, რომელიც ორ-სამჯერ არის ნამყოფი მოსკოვის კრემლის ხსენებულ „გიორგის დარბაზში“ – მას ჩემი გვარიც და ინიციალებიც ამოუკითხავს მარმარილოს ფილებზე გიორგის კავალერთა შორის.

რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ძველი არმიის ყველა ჯილდოები გაუქმებულია, გარდა „გიორგის“ ორდენისა. მისი ტარების უფლება ახლაც ნებადართულია და იქნება მუდამ, როგორც ოფიცრისთვის, ისე ჯარისკაცისთვის.

დაჯილდოების მეორე დღეს, 1917 წლის 6 აგვისტოს, 85-ე ვიბორგის პოლკის შტაბთან არსებულ ფოტოგრაფთა გუნდში გადააღებინეს ჩემი სურათი „გიორგის“ ორდენით და მომცენ პირადობის მოწმობა. ამის შემდეგ ეს ორდენი აღარ მომიცილებია და ვატარებდი ყველგან, სადაც ვიმყოფებოდი. ძლიერ ბომბწონდა, მიყვარდა ის და ვამაყობდი იმით. დავკარგე 1921 წლის 10 იანვარს, გასაბჭოების წელს, სოფელ ახპატში.

რიგის ფრონტის გარღვევა გერმანელების მიერ 1917 წელს

ლოზუნგი „ძირს ომი!“ ძლიერ ხელსაყრელი იყო მოქანცული ჯარისათვის. ჩვენი და მოწინააღმდეგის მებრძოლები თითქოს ბოდიშს უხდიდნენ ერთმანეთს ჩადენილ დანაშაულზე და „ძმობილდებობდნენ“.

დროებითი მთავრობა ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ომის ბოლომდე მიყვანისაკენ მოუწოდებდა არმიას. ლენინი-კი სამოქალაქო ომისთვის რაზმავდა ხალხს. ძირს ომი! ძირს დამფუძნებელი კრება! ძირს ყველა პოლიტიკური პარტიები! სცემეთ ბურჟუებს! სცემეთ ყველას, ვინც ეწინააღმდეგება ბოლშევიკურ პარტიას! – ასეთი ლოზუნგებით აივსო არმია და მოსახლეობა.

„სცემეთ!“ – ნიშნავდა „მოჰკალით!“. ძლიერ ველურად გამოიყურებოდა ყოველივე ეს. მრავალი პატიოსანი სიცოცხლე იმსხვერპლა ამ პირსისხლიანმა მოწოდებამ. ხალხი განუკითხავად იულიტებოდა და ნადგურდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური კოცონი ყველაფერს ნთქავდა! ბოლშევიკური პროპაგანდა ყოველივეს ამართლებდა: „როცა ტყეს კაფავ, ნაფოტები სცვივაო“. და სცვიოდა ნაფოტები...

ლენინი ამ პერიოდში მთავრობას ემალებოდა და „სადღაც თივის ძნებში აფარებს თავსო“ – ამბობდნენ არმიაში. ბევრი აღმერთებდა მას, ბევრი დედ-მამის სულს უგინებდა.

ასეთ მომენტში ხმა გაისმა, რომ რიგის ფრონტზე გერმანელებმა წინა ხაზი გადმოლახეს და პეტროგრადისკენ მოიწევენო. ჩვენი პირველი არმიის კორპუსმა ბრძანება მიიღო წინ აღდგომოდა მომავალ მტერს. სახელდახელოდ ვაგონებში დავიტვირთედ და ჩრდილოეთისაკენ გავსწიეთ.

აღმოჩნდა, რომ ჩვენს ძმებს ფრონტი დიდ მანძილზე მიუტოვებიათ და წამოსულან ვინ სად – არავინ იცის. გერმანელების წინ აღმოჩენილა ვაკუუმი და ისინიც ამ სიცარიელეში გამოეშურნენ.

ჩვენი პოლკი, რამდენიმე ეშელონად დატვირთული სხვადასხვა გზით მიდიოდა, რომ სასწრაფოდ დანიშნულ ადგილზე მისულიყო.

რომელიღაც სადგურზე მისვლის უმალ, დივიზიის შტაბში გამომიძახეს და შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა სკლადოვსკიმ დავალება მომცა: „ივლი შენი რაზმით მანამ, სანამ მტერს არ შეხვდები. შეხვედრის ადგილი, მტრის სიძლიერე, მოძრაობის ფრონტის სიგანე დაუყოვნებლივ მაცნობე და შენც უკან მობრუნდიო“.

რთული ამოცანის წინ აღმოვჩნდი. ჩვენამდე ამ ადგილებში მდგარი ნაწილები გამდნარი და აორთქლებული იყო, აღარ არსებობდა. მტერი მოიწევდა, მაგრამ ამჟამად სად იმყოფებოდა, არავინ იცოდა... როცა ჩემი რაზმის ბიჭებს ამოცანა გავაცანი, თქვეს: *“Ищи ветра в поле”*. მაგრამ ბრძანება – ბრძანებაა და მას შესრულების მეტი არაფერი უშველის.

სკლადოვსკიდან გამოსვლისთანავე განკარგულების შესრულებას შევუდექი.

დაზვერვა

გვიანი საღამო იყო, როცა მოძრაობა დავიწყე. რაზმი, ასიოდე კაცი, სანიმუშოდ დავაწყვე და მთელი სიფრთხილით მიმყავდა.

იმ ღამეს 30 კილომეტრი გავიარე. დასახელებულ პუნქტებზე ვტოვებდი პიკეტებს ცნობების გადასაცემად. პირველი ცნობა დილით ადრე გავაგზავნე და ვწერდი: „ვიმყოფები აქა და აქ. არც ჩვენი და არც მტრის ნაწილები ჯერ არ მოჩანან“. ეს იმას ნაშნავდა, რომ დივიზიის ნაწილებს შეეძლოთ წინ სვლა ჯერ კიდევ კოლონებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავედი კიდევ წინ და გავიარე 10 კილომეტრი. ერთ სოფელში ჩვენი ჰუსარების პოლკის შტაბს წავაწყდი. უფროსი -გენერალი იყო. რამდენიმე ოფიცერი და ასამდე ჯარისკაცი.

მე სამგზავროდ ვიყავი ჩაცმული: მოკლე ფარაჯა, ქამარზე რევოლვერი და ვერცხლით მოჭედილი ჩემი კავკასიური ხმალი. გენერალთან შევედი. ის მედიდურად შემხვდა, მაგრამ „გიორგი"-ს თვალი ველარ გაუსწორა და ზანტად წამოდგა. მე მოვახსენე:

– Имею честь представиться – поручик 85-го Выборгского полка Рамишвили, господин генерал! Произвожу разведку. Прошу сообщить, что Вам известно о противнике."

ეს გენერალი აღმოჩნდა უდარდელი და უსაქმური ადამიანი. მას წარმოდგენა არ ჰქონდა არაფერზე, არც მტრის ადგილმდებარეობაზე და არც ჩვენი აორთქლებული ნაწილების შესახებ. გაბრუჟული იყო სპირტით. მე ვფიქრობ – ის ელოდებოდა გერმანელების მოსვლას, რომ თან წაჰყოლოდა მათ! ვინანე აქ შემოსვლა, მაგრამ ახლა რაღა დროს იყო!

– Поручик Ромашов или как вас там! – მთვრალი თვალების ბრეცვით მითხრა მან, *– Поезжайте дальше и, если узнаете что-нибудь интересное, доложите мне".*

„დედის შენისამ", სწორედ შენ მოგახსენებ" ვიფიქრე. ხმის ამოუღებლად მოვტრიალდი და გამოვედი.

სკლადოვსკის მივწერე: „აქა და აქ დგას ჩვენი ჰუსარების ნაწილი ასიოდე კაცით". ეს ცნობები, პიკეტიდან პიკეტზე გადაცემული, სწრაფად აღწევდა თავის ადგილს.

წავედი კიდევ წინ, დაახლოებით 20 კილომეტრი. ფართო გზის ორივე მხარეს ხშირი ტყე იწყებოდა. ტყის დასაწყისთან ორი მიტოვებული საბძელი იდგა ველზე. მე გადავწყვიტე აქ შესვენება და ღამის გათევა. რაზმის მეტი ნაწილი აქ დავტოვე და ცხენებისათვის საკვების მომზადება დავავალე. ათიოდე რაზმელის თანხლებით წინ წავედი. ჩემს წინ ჩემი „იადრო" მოძრაობდა, იმათ წინ კიდევ „დოზორი". ტყეში რომ შევედით, ჩამობნელდა.

უეცრად ჩემთან „დოზორის" რაზმელი მოიჭრა და მომახსენა: „წინ, ჩვენსკენ მომავალი ცხენების ფეხის ხმა მოისმის, დაახლოებით ესკადრონის ოდენაო".

მე მაშინვე ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: უკან დატოვებულ ჯგუფს, რომელსაც უნტერ-ოფიცერი კაპუსტინი მეთაურობდა, შევუთვალე: „თუ მტერი გამოჩნდეს, სროლა აუტეხეთ და არამც და არამც წინ არ გაუშვათ". „დოზორი" და „იადრო" მოვხსენი, შემოვიერთე და ვახმისტრ ცარიოვის მეთაურობით გზის გადაღმა, მარჯვნივ, ცხენიან-კაციანად გადასვლა და მოშორებით ტყეში გაჩერება ვუბრძანე. მე გზის ახლოს ჩავიმალე და რუკას დავაკვირდი. სიბნელეში ძლივს ვამჩნევდი რუკის მონაცემებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს თქარათქური მეც მომესმა და მალე ტანკის „დოზორმაც“ ჩაიარა ჩემს წინ. შემდეგ „იადრო“. კიდევ შემდეგ – ცხენოსანი რაზმი (40-50 კაცის რაოდენობით).

ცხენების მოშორებით დაყენების შემდეგ ჩემთან ცარიოვი მოცოცდა და გვერდით ჩაკუზულმა ჩამჩურჩულა:

– *Господин поручик! Мы ведь теперь отрезаны, в плену.*

– *Подожди, Царев! Не накаркай беду.*

ამასობაში ჩემს მიერ დატოვებულ რაზმის მხრიდან მედგარი ბათქი შემომესმა. ერთი, ორი, სამი და წავიდა სროლა. ექო გრიალებდა ტყეში. ცარიოვს ვუბრძანე:

– *Ступай и быстро приведи людей, оставив там конводов!*

ძლიერ სწრაფად 5-6 კაცი ჩამწკრივდა ჩემთან გზის გასწვრივ და მაშინათვე გაისმა შემობრუნებული მტრის რაზმის (ესკადრონის) დგარა-დგური... გაგვისწორდა თუ არა – *“Огонь!”* – დავსჭყივლე მე. რამდენიმე თოფი ერთად გავარდა. რამდენიმე გერმანელის ცხენი ყალყზე შედგა ჩვენი ბათქის ხმაზე. ესკადრონი გულგახეთქილი გადაიკარგა იმ მხარეს, საიდანაც პირველად გამოჩნდა.

ჩვენი მთავარ გზაზე გამოსვლა და ჩვენებისკენ წამოსვლა აღარ შეიძლებოდა. ჩვენებს ისევ შემობრუნებული მტერი ვეგონებოდით და ჩემივე ბრძანების საფუძველზე ჩვენც დაგვიშენდნენ.

წელან, რუკის დათვალიერების დროს, თვალი მოვკარი, რომ სადაც ახლა ჩვენი ცხენები იდგა, იმის მიღმა, მთავარი გზის პარალელურად, ამ უღრან ტყეში მიემართებოდა ჭრილი სასწრაფოდ, სანამ სულ დაბნელდებოდა, ხალხი იქ გავიყვანე, ავამხედრე და სწორედ ამ დროს, თვალი მოვკარით ორ ცხენოსან გერმანელს, რომლებიც დაფეთებულნი ადგილს მოსწყდნენ. ისინი, ალბათ გვერდის „დოზორები“ იქნებოდნენ მათი რაზმის (ესკადრონის) ჩვენსკენ მოძრაობის დროს.

თვალი მოვკარით თუ არა, გამოვუდექით. მათ სხვა გზა არ ჰქონდათ და ჩვენს მხარეს მოაქანებდნენ ცხენებს. მე ხმალამოღებული ვიყავი, ცხენებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა ტყეში. გერმანელების ცხენები სულ ახლოს მირბოდნენ ჩვენს წინ. ხმლის წვერით თითქმის ვწვდებოდი მათ.

უცებ ცარიოვმა ჩამომიქროლა უკნიდან და ერთ-ერთ მათგანის ცხენს აღვირში ხელი სტაცა.

– *Стой!...твою мать!* – შეჰყვირა მან. ამასობაში „პროსეკა“ ერთბაშად გათავდა და ყველა იმ ველზე გამოვცვივდით, სადაც რაზმი მყავდა დატოვებული, მხოლოდ ცოტა მოშორებით, ტყის სიღრმეში.

ტყვეებს იარაღი ავყარეთ, ხელები შევუკარით, დატოვებული რაზმი შემოვიერთე და სასწრაფოდ უკან გამოვსწიეთ. რაზმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელის მცოდნე არავინ იყო. გერმანელების ლუღლუღისას მხოლოდ თავის გადასარჩენი ვედრება ისმოდა.

ხელდახელ სკლადოვსკისთან ცნობა ვაფრინე:

"Неприятель находится за Шельвовским лесом, у реки Зеер. Вступил с ним в соприкосновение. Веду пленных. Подробности устно.

Пор. Рамишвили".

ჩემი ამოცანა შესრულებული იყო. გათენებისას ჰუსარების შტაბს ჩამოვუარე. გზაზე ჩვენი დივიზიის ავანგარდი შემომხვდა. შუადღისას შტაბის უფროსიც ვნახე და ყველაფერი მოვახსენე. ის დიდად კმაყოფილი იყო ჩემით. ტყვე გერმანელები ჩავაბარე. დივიზიამ ფრონტი დაიკავა და რიგის გარღვევას საცობი გაუკეთა.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის რაღაც თვალსაჩინო ჯილდოზე (მგონი, ვლადიმერზე) კიდეც წარმადგინეს, მაგრამ ამასობაში რუსეთი უკვე დაინგრა და ჩემთვის არავის ეცალა.

ჩვენი პოლკი დივიზიის რეზერვში

1917 წლის ზაფხულზე, ჩვენი 85-ე ვიბორგის პოლკი წარმოადგენდა დივიზიის რეზერვს და იდგა ფრონტის მახლობლად ერთ დაცარიელებულ სოფელში.

ოფიცრების საკრებულო შუა სოფელში იყო გამართული, აქაც დიდ საბძელში. ოფიცრები ხშირად თავს ვიყრიდით. ხან სერიოზულ სჯა-ბაასში ვიყავით და ხანაც ვმასხრობდით და ვლაზღანდარობდით.

ერთ დილას, საკრებულოს კარებზე, ლურსმანით მიმაგრებული ქაღალდი დაგვხვდა. ქაღალდზე ასეთი ლექსი ეწერა:

"Наш поручик Рамишвили

Крест Георгия надел.

*Захотел он в плен взять Вилли.**

Но лишь пушкой овладел"... და ა.შ.

ვერ იტყვის კაცი, რომ ნიჭიერი ლექსი იყო, მაგრამ პოლკში ამან დიდი სიცილი და მხიარულობა გამოიწვია.

ახალმა პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა ბოროვიკოვმა, მოსვლის უმალ ლობეს ტბის ირგვლივ ტერიტორიის დასაზვერავად გამგზავნა. ეს ტბა ჩვენსა და მტრის განლაგების შუა მდებარეობდა. ათიოდე რაზმელი წავიყვანე. ახლოს მისვლამ მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლი გამოიწვია და ძლივს-ძლივობით გამოვძვერით იქედან უმარცხოდ.

---

* იმპერატორი ვილჰელმ II

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტბას ერთი მხრიდან რკინისგზა უვლიდა. თუმცა ის უმოქმედო იყო, მაგრამ ნაბრძანები მქონდა მისი რამდენიმე ალაგას გადახსნა. გამოსვლისას ისევ ყუმბარები დაგვაყარეს, მაგრამ როგორც იქნა გამოვძვერით და პოლკისკენ გამოვსწიეთ.

ბინაზე მოსვლისას, ცარიოვმა ბრძანება დამახვედრა, რომლითაც რამდენიმე ოფიცერს შვებულებას აძლევდნენ და მათ შორის მეც. ამ ბრძანებამ ძლიერ გამახარა. სიხარულისაგან ცარიოვს წელზე მოვხვიე და ოთახი ცეკვით შემოვატარე.

მე და ცარიოვი მაშინათვე ბარგის ჩალაგებას შევუდექით. მასაც შვებულება ეძლეოდა, როგორც ჩემს „დენშჩიკს“...

პოლკის ამხანაგებთან დამშვიდობების, რაზმთან გამოთხოვების და ჩემი გამოცილების შემდეგ მე და მათე ცარიეოვი წამოვედით. ჩემთან ერთად ექვსმა ოფიცერმა მიიღო შვებულება. მოსკოვამდე ერთად მოვდიოდით ყველა თავიანთი „დენშჩიკებით“.

როგორც კი ჩვენი პოლკი დავტოვეთ, მაშინვე ვიგრძენით კარისკაცების მტრული განწყობილება. დიდ სადგურებში კაზაკების ჯგუფები იდგნენ და ისინი ამყარებდნენ წესრიგს.

მატარებელს ისე არ გაუშვებდნენ, თუ პირველსა და მეორე კლასის ვაგონებს არ გაანთავისუფლებდნენ ჯარისკაცებისაგან, რომლებიც განგებ ეტენებოდნენ ამ ვაგონებში. ბევრი მათგანი დეზერტირები იყვნენ, ბევრი პროვოკაციას ეწეოდა და ბრბოს ოფიცრების წინააღმდეგ ამხედრებდა. რისთვის იყო ეს საჭირო, ამის გამკითხავი არავინ იყო...

პოლკში ოფიცრები და ჯარისკაცები შეთვისებულნი ვიყავით ერთმანეთთან. ვინც ნამდვილად კონტრრევოლუციონერები იყვნენ და მეფის დამხობას მისტიროდნენ, ისინი დიდი ხანია მოსცილდნენ ნაწილებს და სადღაც გადაიკარგნენ. დარჩენილებს შორის საღი განწყობილება არსებობდა.

ველიკაია-ლუკი, რჟევი გავიარეთ და მოსკოვში მივედით. თბილისში მომავალ მატარებელზე დიდი ვაი-ვაგლახით დავჯექი და იმავე ღამეს წამოვედი.

მოსკოვში ისეთი სიტუაცია იგრძნობოდა, რომ იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ოფიცრებს მგლებივით უყურებდნენ ჯარისკაცები და თითქოს ფიქრობდნენ: „ეს ხალხია ყველაფერში დამნაშავენი და მათი სისხლი უნდა დაილიოსო“. რატომ? რისთვის? რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა ოფიცრებმა? — ეს არ იყო საინტერესო! მხოლოდ ოფიცრის სისხლი!... მე ჯერ კიდევ „პაგონებში“ ვიყავი და გულზე „გიორგი“ მეკიდა. მორწმუნე და ფანატიკოსი რომ ვიყო, ვირწმუნებდი, რომ ნამდვილად „წმ. გიორგიმ“ მიხსნა, რადგან გულიდან არ მომიშორებია მე ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამოსუდი“

მოსკოვიდან გამოვედით. მატარებელი მგზავრებით იყო გაჭედილი. ხალხი აუარებელ საშინელებაზე ლაპარაკობდა, რაც სხვადასხვა ადგილას ენახათ ან მოუსმენიათ.

ერთ-ერთ სადგურზე, მგონი კოზლოვი იყო, ჩვენი ვაგონის ფანჯრიდან ასეთი სურათის მოწმე გავხდი: ჯარისკაცების ჯგუფმა საიდანღაც მოათრია მაგრად ნაცემი ვიღაც ჯარისკაცი. ის ფეხზე ველარ დგებოდა. ნაცემი თრევით მოიტანეს და ვაგონის წინ ბაქანზე დააგდეს. წამებულს ხალხი ირგვლივ ჰყავდა შემოხვეული, მაგრამ არავისში არავითარ სიბრალულს და შეცოდებას არ იწვევდა. ყველა აღგზნებული იყო და ნერვების გასაღიზიანებელ სანახაობას მოელოდა.

ბრბოდან ვიღაცამ დაიძახა: *“Кипятком его!”* – ყველა სადგურებზე ჯერ კიდევ მდუღარე წყალი იშოვებოდა მგზავრებისათვის. დაძახების უმალ ორი ვედრო მდუღარე მიარბენინეს, მომტანს საპატიოდ გზა მისცეს, ისინი ამაყად წრეში შევიდნენ და მომაკვდავის სხეულზე ეს მდუღარე გააყოლ-გამოაყოლეს. საცოდავი საშინლად დაიკლაკნა, მაგრამ ეს არ აკმარეს. თავში და ფეხებში ხელები დასტაცეს და მაღლა აისროლეს. მომაკვდავი ასფალტს დაეხეთქა. ეს ორჯერ გაიმეორეს. შემდეგ, ალბათ შეატყვეს, რომ წამებული უკვე მკვდარია და ბრბომ დამშვიდება იწყო. მატარებელი თითქოს განგებ იდგა.

მე გარინდებული, ვაგონის ფანჯარაზე ვიყავი მიკრული შუბლით და გაშტერებული თვალდანახულით... ხელი ჯიბეში მედო და ცერით რევოლვერის ღილაკს ვაწვალებდი... რევოლვერში შვიდპატრონიანი „ობოიმი“ იდო მარაგად...

„ეს ხალხია? – ვფიქრობდი მე, – ესენი ხომ მხეცებია! ნადირებია!.. ესენი რომ ერთი მეორეზე მიუშვა – ერთმანეთს ძვლებიანად დახრავენ!..“

ვიღაცამ უკანიდან მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ალბათ შემატყო, როგორ განვიცდიდი დანახულს:

– ნუ ფიქრობთ ამაზე... სჯობს დამშვიდდეთ...

მე სწრაფად მოვტრიალდი უცნობისაკენ, მაგრამ მან თავი გაზეთში ჩაჰყო და გაურკვეველი „მდა“... „მდა“...-ს მეტი სიტყვაც არ წამოცდენია.

დიდი ვაი-ვაგლახით გამოვიარე ხარკოვი, როსტოვი, ბაქო და ჩემს სანუკვარ თბილისში მოვედი.

აქ აღტაცება, სიახლე, ცვლილება იგრძნობოდა – შედარებაც შეუძლებელი იყო ამ ორი ქვეყნის!.. გამოვლილის და დახვედრილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი საქართველო

ერეკლე მეორესა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს შორის დადებული ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ ეს ორი ქრისტიანი სახელმწიფო მუდამ ერთმანეთის დამხმარე იქნება და საქართველო ამავე დროს შეინარჩუნებს საკუთარ სახეს, მმართველობას, ენას, სასამართლოს და მრავალ სხვა სახელმწიფო უფლებებს – დროთა განმავლობაში ქაღალდის ნაგლეჯად იქცა. რუსეთის თვითმპყრობელობამ მოისურვა საქართველოს გარუსება.

ზემოთ ნათქვამი მაქვს, რომ სოფლის სკოლაშიც კი მეორე განყოფილებიდან იწყებოდა ყველა საგნების რუსულად სწავლება. ყველაფერი ქართული: ზნე-ჩვეულება, სიტყვის სიმტკიცე, ვაჟკაცობა, გამბედაობა, მოძმისთვის თავგანწირვა, ერთმანეთთან პურის გატეხის სიწმინდე და სასოება, რაც ქართველს ამშვენებს, ზნეობრივად ამაღლებს – რუსეთის მოუქნელი დათვის ტურტლიანი ტორით ითელებოდა.

მეფის სატრაპებმა საქართველო რუსეთის კოლონიად აქციეს და ყველაფერ ქართულს წმინდათა-წმინდას ულმობლად სდევნიდნენ. ეს იგრძნობოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. წინ მუდამ რუსი იდგა თავისი დამპყრობლური ჟინით და სურვილებით; უკან მუდამ ქართველი იდგა ისარივით მახვილი აზრითა და გონებით. ეს დამოკიდებულება შესანიშნავად აქვს აღწერილი ალექსანდრე ყაზბეგს და სხვა ქართველ მწერლებს.

რეაქციამ საწინააღმდეგო ძალები წარმოშვა. საქართველოში, ამიერკავკასიაში მრავალი რევოლუციონერი აღიზარდა. იყვნენ ისეთები, რომლებიც რუსეთის დიდ რევოლუციონერებთან ერთად მოღვაწეობდნენ, თანამშრომლობდნენ და იბრძოდნენ.

რევოლუციის პირველი დღიდან და უფრო ადრეც მათ, ყველას პირზე ეკერა ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიას სახელები, იმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების, რომელთა გაბედული სიტყვები ჰქუხდნენ მეფის სათათბიროში – „დუმაში“. მათთან ერთად კიდევ: კაკი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, ბენია ჩხიკვიშვილის და მრავალი სხვის. ამათგან ბევრის სახელი იხსენებოდა იმ ადამიანთა გვერდით, როგორიც იყო პლეხანოვი და სხვა დიდი რანგის მესვეურნი. ამ ხალხის მიერ მომზადდა და მოხდა რუსეთის რევოლუცია, რასაც თვითმპყრობელობის დამხობა მოჰყვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ერების თვითგამორკვევის საკითხი წამოჭრა, ეს საქართველოსაც ისე ეხებოდა, როგორც სხვა ერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას ბოლო მოელო – და საქართველოსათვის ახალი, ნათელი ერა დადგა. ერა თავისუალი სუნთქვის და არსებობის. ისე, როგორც ყველა სხვა ერებისათვის.

ეს პერიოდი იყო, რომ მე თბილისს მივაღწიე. სრული სიწყნარე და სიმშვიდე ვიგრძენი, რადგანაც გამოვლილი გზა რომ მოვიგონე, პოლკიდან დაწყებული თბილისამდე, ის წააგავდა ცეცხლით აგუზგუზებულ გვირაბში გამოვლას... ალალბედზე გადარჩენას!

თბილისში რომ ჩამოვედი, საერთო მდგომარეობა ძლიერ აწეწილი დამხვდა. რუსეთიდან შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. პოლკიდან თვენახევრის შვებულება მქონდა და ამ ვადის გასვლის შემდეგ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

კანტიკუნტად რუსეთიდან ჩამოღწეულებს ვხვდებოდი. ისინი საშინელებას გადმოსცემდნენ: „ქალაქებში, სოფლებში, ქუჩებში, გზებში, ყოველგან სისხლის ღვრა და მოქალაქეთა ჟლეტა მიმდინარეობსო“.

თბილისის საკომენდანტოში აუარებელი რუსი ოფიცრობა დაგროვდა. მათი გამკითხავი არავინ იყო. გავიგე, რომ იქმნებოდა ქართული ლეგიონები, რომლებიც გაერთიანდებიან ქართულ მსროლელ კორპუსში, რომლის გენშტაბი, სოსო გედევანიშვილის მეთაურობით, ჩამოყალიბებულია და იმყოფება ყოფილ სამხედრო სასწავლებლის შენობაში. მასთან მივედი. ის პატარა ტანის, გამხდარი კაცი იყო. მაგიდაზე გაშლილ სამხედრო რუკას ჩაჰკირკიტებდა.

– ბატონო კაპიტანო! ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ! – ვთხოვე მე.

მან თავი რუკიდან აიღო და ფრენჩზე მტოკავი „გიორგი“ შემნიშნა.

– ბრძანეთ, პორუჩიკო! – და ხელის ჩამორთმევით მომესალმა.

– მე გახლავართ 85-ე ვიბორგის პოლკის ოფიცერი რამიშვილი. ჩამოსული ვარ შვებულებით. რუსეთის მდგომარეობა მოგეხსენებათ. გთხოვთ რჩევას, როგორ მოვიქცე შვებულების გავლის შემდეგ, რომ „დეზერტირის“ სახელი არ შემერქვას.

– თქვენი გვარი? – განმეორებით მკითხა მან.

– რამიშვილი, ბატონო კაპიტანო!

– თქვე კაი კაცო! ბედს გაუღიმია და ჯანმრთელი ჩამოსულხართ. ახლა კიდევ იქაურობაზე ფიქრობთ? მერე თქვენი ჯილდოს პატრონი? ცოტა მოითმინეთ... ჩვენს ქვეყანას თქვენისთანა ვაჟკაცები სჭირდება. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მობრძანდით.

მე წამოვედი. გადავწყვიტე პოლკში დაბრუნებაზე აღარ მეფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გათავდა ჩემსა და პოლკში დატოვებულ ამხანაგებს შორის ყოველგვარი ურთიერთობა. ამ მომენტიდან მათ შესახებ არაფერი მსმენია.

ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში 1917 წელს

თბილისის გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ ცნობებს მოსკოვსა და პეტროგრადში შექმნილ მდგომარეობაზე. საშინელი ამბები იყო აწერილი. თბილისში გამოდიოდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი. ისინი ბეჭდავდნენ: „ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით ძალაუფლება ხელთ იგდეს; დამფუძნებელი კრება, რომელიც თავის პირველ სხდომაზე იკრიბებოდა – გარეკეს; მთავრობის თავმჯდომარე კერენსკი გაიქცა; ქუჩებში სისხლის მღვრელი ბრძოლებია და ხალხი მასიურად იჟლიტება; გაჩაღებულია სამოქალაქო ომი და ერთმანეთს ანადგურებენ ბოლშევიკები, მენშევიკები, კადეტები, ესერები და სხვა პარტიები“.

ამას ერქვა ოქტომბრის რევოლუცია.

ამრიგად 1917 წელს რუსეთში მოხდა ორი რევოლუცია: პირველი – მრავალმილიონი ხალხის უმრავლესობისათვის სასურველი – თებერვლის და მეორე, ცხრა თვის შემდეგ, ხალხის უმცირესობის სურვილით და ლენინის მეთაურობით – ოქტომბრის.

ამ ორმა რევოლუციამ ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დიდი ხანია მოიშალა და გაორდა: ბოლშევიკები (უმრავლესობა) და მენშევიკები (უმცირესობა) დაერქვათ ამ გაორებულ პარტიებს. უმრავლესობას სათავეში ჩაუდგა ლენინი. მან გამოიყენა მეფის მოძულე და ომისაგან მოქანცული იარაღი, რომელთაც ფრონტები მიტოვებული ჰქონდათ, მაგრამ იარაღი ჯერ კიდევ ხელში ეჭირათ. მათ სისხლის ნიაღვარი დააყენეს მთელ ქვეყანაში.

წაილეკა და გაჰქრა ყველა პოლიტიკური პარტია გარდა ბოლშევიკური პარტიისა რუსეთის ტერიტორიაზე. ლენინი გაიძახოდა: „სცემეთ ბურჟუებს, სცემეთ ყველას, ვინც ეწინააღმდეგება ბოლშევიკურ პარტიას,ძირს ყველა სხვა პარტია!“

აშკარა გახდა, რომ გახეთქილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთში მტრებად გადაჰკიდიან ერთმანეთს და მათი შეერთება აღარ შეიძლებოდა.

დამფუძნებელ კრებისთვის არჩეულმა, ბოლშევიკების მიერ გარეკილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დეპუტატებმა, თავი მოიყარეს თბილისში და დაადგინეს: „შექმნილი მდგომარეობის გამო, დაარსდეს ამიერკავკასიის სეიმი, რომელშიც შევლენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის. ეს მოხდა იმავე 1917 წლის შემოდგომაზე.

ეს დადგენილება იმ პერიოდში გონივრული იყო იმიტომ, რომ რუსეთში არსებული სამოქალაქო ომი და ხალხთა ჟლეტა ამიერკავკასიასაც რომ არ მოსდებოდა.

გარდა ამისა, ოსმალეთი მომიზნებული იყო და ელოდა წყლის ამღვრევას, რომ თავისი თათი დაედო ამიერკავკასიაზე.

შემდეგ სეიმიც დანაწილდა სამ რესპუბლიკად და თავისთვის გავიდნენ: აზერბაიჯანი – ბაქოთი, სომხეთი – ერევნით და საქართველო – თბილისით.

დაახლოებით იმავე პერიოდში რუსეთს ჩამოშორდა ფინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთი (ესტონეთი, ლატვია და ლიტვა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა კი დამოუკიდებლად იარსებეს მანამ, სანამ ბოლშევიკურმა რუსეთმა არ მოახდინა მათი თანმიმდევრობით დაპყრობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა

საქართველოში 1917 წელს, ჩატარებული არჩევნების მიხედვით, შედგა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მის კაბინეტში შედიოდნენ:

ნოე რამიშვილი	-	შინაგან საქმეთა მინისტრი;
გიორგაძე	-	სამხედრო მინისტრი;
არსენიძე	-	იუსტიციის მინისტრი;
გეგეჭკორი	-	საგარეო საქმეთა მინისტრი;
კანდელაკი	-	განათლების მინისტრი;
ერაძე	-	მიწათმოქმედების მინისტრი და სხვ.

ისიდორე რამიშვილი მთავრობის შემადგენლობაში არ შედიოდა და ადმინისტრაციულ პოსტს არ იკავებდა. ის ითვლებოდა თავისუფალ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერად.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში და მის სხდომებში მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკაში არსებული ცამეტი პოლიტიკური პარტია.

გამოიცა მთავრობის კანონი მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში. სასწრაფოდ შეიარაღებული ძალის შესაქმნელად მობილიზაციით გაიწვიეს სხვადასხვა გამოცდილი დარგის მუშაკები, რომლებსაც დაერქვათ „სახალხო გვარდია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს ხდებოდა რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება ცალკეულ ლეგიონებად, რუსეთის არმიაში ნამსახური ოფიცრებით, ჯარისკაცებით და იმათ გარდა, ახალი წვევამდელებით.

რეგულარული ჯარის გაერთიანება ხდებოდა მსროლელ ქართულ კორპუსში; კორპუსის შტაბი, ჯერ გენერალ ოდიშელიძის და შემდეგ გენერალ გაბაშვილის მეთაურობით მოთავსებული იყო ყოფილ იუნკერთა სასწავლებელში – პლეხანოვის გამზირზე.

სახალხო გვარდიის ნაწილები-კი ერთიანდებოდნენ ვალიკო ჯუღელის, ალექსანდრე დგებუაძის და გიორგი მაისურაძის მეთაურობის ქვეშ.

ამრიგად რესპუბლიკაში დაარსდა ორი პარალელურად მოქმედი სამხედრო ძალა, რაც ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ ბევრს აუცილებლად მიაჩნდა ეს, განსაკუთრებით, რესპუბლიკის დაარსების პერიოდში.

საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ არმიაში ჩემი სამსახური

ქართული ნაწილების ორგანიზაციის პერიოდში გამოვეწერე ლაზარეთიდან. კორპუსის გენშტაბის უფროსად გედევანიშვილის ნაცვლად ახლა იყო პოდპოლკოვნიკი ზაქარიაძე. მორიგე გენერლის თანამდებობას კორპუსის შტაბში ასრულებდა პოლკოვნიკი კაკაბაძე. მსროლელი კორპუსის უფროსი იყო გენერალი გაბაშვილი – ოსმალეთის ფრონტზე საკმარისად სახელგანთქმული გენერალი.

მდგომარეობის დაჩქარებით გარკვევის მიზნით მივმართე ნოე რამიშვილის პროტექციას. ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, მაგრამ იმ პერიოდში ითავსებდა სამხედრო მინისტრის პორთფელსაც.

ნოე ჩვენი სოფლელი იყო. ბავშვობისას მინახავს ის ჩვენს სკოლაში, როდესაც რომელიღაც მასწავლებელს რამდენიმე დღით სცვლიდა. შემდეგ ის აღარ მინახავს, მაგრამ ხშირად მსმენია მისი სახელი, როგორც საზოგადო მოღვაწის.

მასთან მოვედი, წარვუდექი და სამხედრო სალამი მივეცი...

– ვინა ხარ? – მკითხა მან მისებური მოჭრილი, სხარტი კილოთი.

– გაბრიელ გიგილოსძე რამიშვილი!

– ოოო! გაბრიელ, გაბრიელ! შენა ხარ, კაცო, ის გაბრიელი, რომელმაც ბრძოლის ველზე დიდი ჯილდო მიიღოო, რომ ამბობენ?

– დიახ, მე გახლავარ, ბატონო ნოე!

სწრაფად წამოდგა და მომესალმა. მეორე ოთახიდან მისი მეუღლე, მაშო გამოვიდა. მას არ ვიცნობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– როდის ესტუმრე საქართველოს? – მკითხა ნოემ.

აგვისტოს ბოლოს ჩამოვედი შვებულებით. სანამ ჩემი შვებულება გათავდებოდა, რუსეთი დაინგრა! ახლა არც სამსახური მაქვს და არც ბინა – ვუპასუხე მე.

მან მაშინვე ყურმილი აიღო და სადღაც დარეკა.

– შენ ესდეკი ხარ თუ ესერი? – მკითხა მან, მაგრამ ჩემს პასუხამდე ყურმილში უპასუხეს.

– აი რა! – თქვა მან ყურმილში, – გიგზავნით რუსეთიდან დაბრუნებულს ბრწყინვალე ოფიცერს. მოათავსეთ მისთვის შესაფერ ადგილზე! – ყურმილი დაკიდა, – კორპუსში მიხვალ. გამოეცხადე კაკაბაძეს. შედეგი მაცნობე. ხშირად მოდი. ნახვამდის! – თქვა მან.

კორპუსის შტაბში მივედი. პოლკოვნიკ კაკაბაძეს წარვუდექი. ის ფეხზე ადგომით მომესალმა. დავჯექით. ვინაობა გამომკითხა. ჯილდოს მიღების ამბავი მომაყოლა. შემდეგ მითხრა:

ყმაწვილო! ჩაგრიცხავთ მხლებელთა ასეულში. იქ უფროსად არის როტმისტრი სულხანიშვილი. ხვალ მიიღებთ ბრძანებას.

გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო! – ვუთხარი მე და წამოვედი.

ამიერკავკასიის ფრონტის მოხსნა 1918 წელს

რუსეთის ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინის მიერ ბოლშევიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე მოლაპარაკება გაიმართა ჯარებით გარშემორტყმულ ანტანტის სახელმწიფოებთან. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში და ბოლშევიკების მხრიდან მას აწარმოებდა ტროცკი. რუსეთის მთავრობაში ტროცკი იყო მეორე პიროვნება და იდგა სამხედრო ძალების სათავეში.

მოლაპარაკების შედეგად, რუსეთს ჩამოსცილდა: ფინეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. სამხრეთით, ოსმალეთს აჩუქეს ბათუმი, არდაგანი, ყარსი. სამხრეთის სანაპიროებზე კავკასიის ფრონტის არმიის ნაწილები ჯერ კიდევ იდგნენ თავის ადგილზე შავი ზღვის ნაპირებიდან, ვიდრე ყარსამდე და სომხეთის საზღვრებამდე, მაგრამ მოსკოვის „სული“ უკვე ჯარშიც ტრიალებდა.

ბოლშევიკური მთავრობა, ამ პერიოდში (1918წ.) გადმოვიდა პეტროგრადიდან მოსკოვში. ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში მოსკოვის „სულს“ დაერთო ადგილობრივი ბოლშევიკების მოღვაწეთა ანტიპროპაგანდა, მენშევიკური მთავრობის მიმართ.

ჩვენში აღმოჩნდნენ ძალაუფლების მოყვარულთა ისეთი პირნი, რომლებიც ემუდარებოდნენ ამ სამხრეთით მდგარ აბობოქრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიას, რომ ის დაძრულიყო საქართველოსაკენ, წაელეკა სომხეთი, შემდეგ დაემხო ჟორდანიას „ბურჟუაზიული“ მთავრობა, ამის მქადაგებელნი დაესკუპებიათ საქართველოს ბოლშევიკური რესპუბლიკის სათავეში და ისინი, ძარცვით ხელდამშვენებულნი, შავი ზღვით წასულიყვნენ თავის დიად სამშობლოში, სადაც იმჟამად მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და ჟლეტა...

ამის მქადაგებელნი იყვნენ: სერგო ორჯონიკიძე – იმჟამად მოსკოვში მყოფი, ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე და სხვები.

სახლში მიმავალს, პროვოკაციული აგიტაციით გაბოროტებულ რუსულ არმიას, დიდი მუდარა არ დასჭირდებოდა საქართველოს რესპუბლიკის გაცამტვერებისათვის. ოღონდ ის ნადავლით კმაყოფილი და პოლიტიკური შენამატით წასულიყო თავის დიად სამშობლოში. ასეთ უდიერ რბევას უმზადებდნენ „ჩვენი მოძმენი“ თავის ხალხს.

თავიდანვე ამ არმიაში მრავალი ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მეომარი იყო. როგორც ჯარისკაცნი, ისე ოფიცრები, მაგრამ ისინი დროზე დაუბრუნდნენ თავიანთ რესპუბლიკებს და თავისი ადგილები დაიკავეს იქ, სადაც საჭირონი იყვნენ. რუსი ოფიცრებიც ადრევე გამოიქცნენ არმიიდან, განადგურების შიშით. დარჩენილი არმია შედგებოდა მარტო ჯარისკაცებისაგან. ოფიცრებმა თავს უშველეს.

წასასვლელად აყრილი სამხრეთის არმიის ხელმძღვანელობა, არჩეული იმავე ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. არჩეულები მზად იყვნენ მიელოთ „მქადაგებელთა“ პროვოკაციული წინადადება. ნაწილებმა თავის მოყრა იწყეს რკინისგზის ვაგონებში.

ეს არმია მოგაგონებდა საშინელ ზღაპრულ ვეშაპს, რომელსაც თავის მოძრაობის გზაზე უნდა შთაენთქა სომხეთი, საქართველო და შემდეგ აზერბაიჯანსაც მიჰყოფდა ხელს. წარმოიდგინეთ რა მახინჯი სახე ექნებოდა იმ რბევას და რა აურაცხელი ზომის იქნებოდა ის მსხვერპლი, რასაც „მოჭირნახულენი“ უმზადებდნენ თავის ქვეყანას. საშინელების მოლოდინში რესპუბლიკა ფეხზე დადგა...

რესპუბლიკის ხელისუფლების, ჟორდანიას მთავრობის წინ დადგა დილემა: გადავარჩინოთ საქართველო უსაშინელესი აოხრებისაგან, ეს ატაცებული ლოზუნგი გადაიქცა იმ პერიოდში ყოველი ჭეშმარიტი ქართველის საფიქრალ საქმედ.

მთავრობამ გამოჰყო რამდენიმე კაცი და მოსალაპარაკებლად შეაგება მომავალ რუსთა ეშელონებს „მესამასე ვერსტზე“. ეს ისტორიული პუნქტი წარმოადგენდა ერთ-ერთ სადგურს თბილისი-ერევნის რკინისგზაზე, სადაც შეგროვილნი იყვნენ მომავალი ეშელონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლაპარაკების წინ, ზემოთ დასახელებული ბოლშევიკის მქადაგებელნი, მთავრობამ პატიმრობაში აიყვანა და მეტეხის ციხეში მოათავსა.

მოლაპარაკების ადგილის *"Трехсотая верста"*-ს გეოგრაფიულ მდებარეობას აზუსტებს თვით სახელწოდება. მოლაპარაკება გაიმართა და ის გაგრძელდა ხუთი-ექვსი დღე. კარგად მახსოვს, რომ იმჟამად თბილისის გაზეთებში ხშირად ახსენებდნენ „მესამასე ვერსტას" და იქ მიმდინარე საქმიანობას.

ამ მოლაპარაკების დროს, საიდუმლოდ, ნავთლულის მიდამოებში, განუწყვეტელი მუშაობით, არსებული მოსახვევი, რომელიც აერთებს სომხეთის რკინიგზას ბაქოს რკინიგზასთან, რეკონსტრუირებულ იქნა.

გზის ეს მონაკვეთი დიდ მანძილზე გაამაგრეს ყოველგვარი საშუალებებით და დამცველი რაზმები ჩაასაფრეს. მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და ეშელონებიც, შეიარაღებული ჯარისკაცებით დატვირთულნი, დაიძრენ შეგუბებულ ნიაღვარივით.

თავდასაცავად ყოველი ზომა გათვალისწინებული იყო. მომავალი ჯარის ნაწილები დარწმუნებული იყვნენ. რომ თბილისში შემოდიოდნენ, მაგრამ ნავთლულის ხსენებული მოსახვევით ჩაუქროლეს საქართველოს ტერიტორიას ფოილოს ხიდს გასცდნენ და თავი აზერბაიჯანის მიდამოებში ამოჰყვეს.

ეშელონები ერთი მეორის მიყოლებით მიჰქროდნენ, გათენებისას მიხვდნენ, რომ მათთვის „სანატრელი" თბილისი უკანაა დარჩენილი და ესენი იმყოფებიან სხვა მიწა-წყალზე. შეჩერდნენ. დააპირეს უკან მობრუნება, მაგრამ წინ სასტიკი ძალა გადაეღობათ. არჩიეს ისევ გზის გაგრძელება აღმოსავლეთით... სვლის დროს არც ერთი სადგური და დასახლება, დაუზიანებელი და დაუნგრეველი არ დატოვეს დიდ მანძილზე.

თბილისი, საქართველო, რკინისგზის გასწვრივ, ვიდრე ბათუმის და ფოთის ნავსადგურამდე გადარჩა მოსალოდნელ საშინელ აოხრებას. „კეთილის მოსურნე მქადაგებელნი" მთავრობას პატიმრობაში ჰყავდა აყვანილი და ციხეებში მოთავსებულნი გარდა სერგო ორჯონიკიძისა, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა და იქედან ხელმძღვანელობდა.

ქართული მსროლელი კორპუსის შტაბი

ცხენოსანთა რაზმში ჩემი დანიშვნისას, ჩვენი კორპუსის შტაბი უკვე ჩამოყალიბებული იყო. დგებოდა ცალკეული ლეგიონები საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში – ბათუმში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში, თბილისში, თელავში, ცხინვალში და სხვაგან.

ჩვენს რაზმს, რომლის უფროსი როტმისტრი სულხანიშვილი იყო, ეჭირა სამხედრო სასწავლებლის ქუჩისპირა მესამე სართული. რაზმის შემადგენლობაში იყო ახალგაზრდობა, საშუალო განათლებით. ასეთ შემადგენლობასთან მალე გამოვნახე საერთო ენა და ბევრთან კიდეც დავმეგობრდი.

კორპუსის უფროსი ამჟამად იყო გენერალი გაბაშვილი, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული ოსმალეთის ფრონტზე, იმპერიალისტური ომის დროს.

მისვლის მეორე დღესვე კორპუსის შტაბში დამნიშნეს მორიგე ოფიცრად.

პატაკის მიცემის პროცედურა მუდამ შეჯიბრს იწვევდა ახალგაზრდა ოფიცრებში და ჩატარებული პატაკის შესახებ სწრაფად ვრცელდებოდა ხმები ამა თუ იმ ოფიცრის სიმკვირცხლის შესახებ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე კორპუსის შტაბში

იმჟამად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად ითვლებოდა გიორგაძე. გარდა იმისა, რომ მე მას პირადად ვიცნობდი, მის ნიჭზე, გამჭრიახობაზე და სხვა თვისებებზე არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგანაც არაფერი ღირშესანიშნავი მისთვის არ შემინიშნავს. პატარა ტანის კაცი იყო. განათლებით იურისტი, მშვიდი და უწყინარი. თუ სადმე დაწესებულებაში ოფიციალურად მისვლას მოისურვებდა, აუცილებლად ტელეფონით მე გამომიძახებდა და „მიახლებდა". ერთხელ ამრიგად გამოძახებული ვახლდი ხალხმრავალ შემთხვევაზე „ჭავჭავაძის" კლუბში, სადაც თავმოყრილი იყო თითქმის მთელი თბილისის რჩეული საზოგადოება, შესანიშნავად მორთული მანდილოსნებით. კლუბში მიმდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის შერჩევის პროცედურა. მთელი საღამო ბრწყინვალე საზოგადოებაში თან ვახლდი სამხედრო მინისტრს.

ერთხელ, კორპუსის შტაბში გამომიძახა მორიგე გენერალმა კაკაბაძემ და მიბრძანა:

– საათნახევარში მოვა სამხედრო მინისტრი, რომელსაც სურს დაათვალიეროს თქვენი ასეული. ამისათვის ასეული ეზოში დააწყვეთ და მზად იყავით!

ასეულის უფროსი, სულხანიშვილი სადღაც იყო წასული. ადგილზე იმყოფებოდა სულ 10-15 რაზმელი, სხვები წასული იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც საყიალოდ, როტმისტრის ნებართვით. ბევრი ლოდინის დრო არ იყო. ბრძანებას შესრულების მეტი არაფერი ეშველებოდა. ვხედავდი, რომ ჯოხი ჩემს ზურგზე უნდა გადატეხილიყო...

ერთბაშად მოვისაზრე: ჩემი 10-15 კაცი სასწრაფოდ გარეთ გამოვიყვანე და ეზოში გავაჩერე. იქვე სარდაფში ცხოვრობდნენ სამეურნეო საქმეზე მომუშავე ხალხი, რომლებიც სამხედრო წვირიან ტანსაცმელს ატარებდნენ. უფროსს, რომელსაც შიო ერქვა, სასწრაფოდ ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე მისი მუშები ერთი საათით ჩემთვის გადმოეცა. შიომ ასამდე მუშა მაღლა ამოიყვანა, ჩემი ხალხის გვერდით ეს ხალხი მე დავაწყვე, გავასწორე და მწყობრის ელფერი მივეცი.

ამასობაში ეზოში, პლაცზე მინისტრი გიორგაძე გამოვიდა კაკაბაძის და სხვა ოფიცრების თანხლებით. გენერალი გაბაშვილი იმჟამად იქ არ იყო.

– ასეულო, სმენა! სწორება მარცხნივ! – გავეცი ბრძანება და პატაკით მოსულისაკენ გავემართე.

– ბატონო მინისტრო! ასეულში ირიცხება ას სამოცი რაზმეული. ორმოცი საგუშაგოზე იმყოფება, ორმოცი საგუშაგოდან გამოცვლილი და მომავალი გზაში იმყოფება. ხუთი საავადმყოფოში წევს. სხვა სახეზე გახლავთ!

გიორგაძე სამხედრო კაცი არ იყო. ის მიესალმა რაზმს:

– გამარჯობათ, ახლგაზრდებო!

– გაუმარჯოს! – წამოიძახეს ჩემმა რაზმეულებმა და ეს საერთო პასუხად იქნა მიღებული. შემდეგ მინისტრმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა მწყობრს. საქართველოს დამოუკიდებლობა ახსენა, მოსალოდნელ სიძნელეებს შეეხო, მამაცობა, გამძლეობა უსურვა და წავიდა.

ძალიან მოხარული ვიყავი, რომ საქმე ადვილად გათავდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ხალხი თავის ბინაზე ავგზავნე და შიომაც თავის მუშები თავიანთ ადგილზე წაიყვანა.

მეორე დღეს, რაღაც საქმეზე შტაბის უფროს, ზაქარიაძესთან შევედი. მორიგე გენერალი კაკაბაძეც იქ დამხვდა. ჩემს დანახვაზე ორივემ სიცილი ასტეხა. შიოს, თურმე კაკაბაძისათვის მოუხსენებია ჩემი ოინის შესახებ. კაკაბაძეს კიდევ, შეხვედრისას – ზაქარიაძისათვის და ყველაფერი აშკარა გამხდარა.

– ყმაწვილო! მობრძანდით, მობრძანდით! – მითხრა კაკაბაძემ, – როგორ?! თქვენ სამნეო ნაწილის მუშები მხლებელ ასეულად წარუდგინეთ მინისტრს?

მივხვდი, რომ მახეში ვარ გაბმული, მაგრამ მათი მხიარული სიცილით ისიც ვიგრძენი, რომ ისინი არ გამწირავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელთა არმია თბილისში 1918 წელს

1914 წელში ატეხილი პირველი მსოფლიო ომი, რომელსაც ეწოდა „იმპერიალისტური ომი“ შეწყდა. შეწყდა თავისთავად, ყოველივე წინასწარ მოლაპარაკებისა და მომზადების გარეშე. ომის შეწყვეტის მთავარი მიზეზი იყო რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლუცია 1917 წელს.

პირველი რევოლუცია (თებერვლის) იმავე წელს მოხდა, იმ პერიოდში კერენსკი ხელმძღვანელობდა რუსეთს და იბრძოდა საფრანგეთსა და ინგლისთან ერთად. ამ ქვეყნებს ეწოდებოდა „ანტანტა“ ანუ სამთა კავშირი. ანტანტის საწინააღმდეგოდ დარაზმულ სახელმწიფოებში შედიოდნენ: გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი.

ოსმალეთი აშკარად ომში ჩაბმას ვერ ბედავდა, მაგრამ მთლიანად გერმანიის მხარეზე იყო და გერმანიის ყურმოჭრილ მონად ითვლებოდა. რევოლუციის შემდეგ, ბრესტის მოლაპარაკების დროს, რომელსაც მოსკოვის დავალებით ტროცკი აწარმოებდა,ოსმალეთს გადაეცა ბათუმი, არდაგანი, სარაკამიში და სხვა. ამ დასაჩუქრების საფუძველზე ოსმალეთმა მოუყარა რა თავი თავის სამხედრო ძალებს, წამოვიდა საქართველოზე და სომხეთზე.

ამავე დროს გერმანიის ერთ-ერთი არმია იდგა ჩრდილოეთ კავკასიაში და გაფაციცებით უთვალთვალებდა ბაქოს ნავთს. ბათუმში შემოჭრილი ოსმალეთი, გათამამებული იყო იმით, რომ ფიქრობდა გერმანიის არმია მას დაუჭერდა მხარს, როგორც მოკავშირეს. ამიტომ თამამად მოიქცნენ ბათუმის აღებისას, აიღეს და გადაწვეს ოზურგეთი, ნატანები, ახალციხე, აწყური და მოიწევდნენ საქართველოს გულის – თბილისისაკენ. ბაქოს მახლობლად განლაგებულ გერმანელთა არმიას მოელოდნენ თბილისში. საქართველოს რესპუბლიკა ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა ყოველმხრივ.

სწორედ აქ გამოჩნდა ქართული გამჭრიახი დიპლომატია.

რესპუბლიკის მესვეურებმა იყნოსეს, რომ გერმანიის არმია გაფაციცებით დაეძებდა ფერად ლითონს და სხვა ამგვარ მასალას. ამ ნიადაგზე გაიმართა მოლაპარაკება. უკვე საქართველოში გადმობარგებულ და თბილისში დაბანაკებულ გერმანიის არმიის სარდლობასთან. არმიის სარდალმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აღუთქვა, რომ თუ მოთხოვილი მასალა არმიას დაეთმობა, ისინი პირობას დებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თვითნებურად შემოჭრილი ოსმალეთის სამხედრო ნაწილები დაუყოვნებლივ უკუქცეულნი იქნებიან საქართველოდან. ხელშეკრულება დაიდო და ის სისრულეში იქნა მოყვანილი. გერმანელთა კარნახით ოსმალები უკუიქცნენ და გასცდნენ საქართველოს საზღვრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელთა არმია საქართველოში იდგა რამდენიმე თვე. ამ სარდალმა ნოე ჟორდანიასაგან ნება გამოითხოვა და თავის ნაწილებში შემოიერთა ომის დროს ტყვედ წამოყვანილი გერმანელები – დაახლოებით ერთი ბატალიონი.

ამ დროს, შუა ზაფხულში გერმანიაშიც აიმღვრა წყალი, დაიწყო მღელვარება და მოსალოდნელი გახდა რევოლუციის გაჩაღება. ამიტომ გერმანელთა არმია საქართველოდან გაიწვეს 1918 წლის იანვარში.

ოსმალების კვლავ შემოჭრა საქართველოში 1918 წელს

გერმანიის არმია საქართველოდან გავიდა თუ არა, ოსმალები ისევ მობრუნდნენ და ჩვენი რესპუბლიკისაკენ დაიძრნენ. ახალციხე დაიკავეს და აწყურისაკენ მიწევდნენ. ასევე მოხდა აჭარასა და გურიაშიც. ბათუმი დაიკავეს. დაიკავეს ოზურგეთიც და კვლავ წინ მოიწევდნენ.

ჩვენი ახლადფეხადგმული არმია ბათუმის ფორტებზევე მიეგება მტერს და სასტიკი შარცხი მიაყენა მას. ნატანებში მომხდარი სისხლის მღვრელი ბრძოლა არ ჩამოუვარდება ისტორიულად ცნობილ სხვა დიდ ბრძოლებს. მსგავსი ამბავი მოხდა აწყურშიც და მახლობელ ადგილებშიც. აწყურის ჯგუფს ხელმძღვანელობდა გენერალი არჯევანიძე.

ოსმალთა ურდოები ხელმეორედ მოიწევდნენ თბილისისაკენ.

ვინც ამ ჩემს სიტყვებს წაიკითხავს, მინდა იცოდეს ისიც, რომ იმ სავალალო დღეებსა და პერიოდში მეც, რუსეთის არმიიდან დაბრუნებული, დიდი თავგამოდებით ვიბრძოდი ჩვენი ახლად აღმდგარი საქართველოს ოსმალთა კლანჭებიდან გამოსაგლეჯად. ჩემთან ერთად იყვნენ: ძმები -კოწია და აკაკი ქარცივაძეები, წულეისკირი, ირაკლი ვაჩნაძე, გამყრელიძე, ბოგი გაბაშვილი, ბათუმელი ჩჩაიძე, სენაკელი გაბუნია და სხვები. ბედაურებზე ამხედრებულნი, თავიანთი მხლებლებით მიმოვქროდით და საომარი ბრძანებები მიმოგვქონდა ოზურგეთსა, ბათუმსა და ნატანების ცეცხლში; ხანაც აწყურსა და ახალციხეში, ვარძიასა და ასპინძაში. ხშირი იყო შემთხვევა მტრისაგან დაკავებული გზების ხმალდახმალ გაკაფვისა და საბრძოლო ბრძანების დროულად ჩაბარებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის არმია საქართველოში. ოსმალებთან დაზავება

იდგა 1918 წლის იანვარ-თებერვალი, მძიმე ზამთარი-თოვლჭყაპი. ჩვენი კორპუსის შტაბი სამტრედიაში იდგა. ოსმალთა ჯარის წინსვლით ყველა აღშფოთებული იყო. ჩვენი ნაწილების მოქმედება გმირობას აღწევდა, მაგრამ რას გახდებოდა ერთი მუჭა ხალხი უთვალავ მტერთან! ვიგონებდით 300 არაგველების ისტორიას. მთავრობის ზოგიერთი მდაბიო მესვეური, თავისი წინადადებით სარდლობის საქმეში ერეოდა. ეს კი ხელის შეშლა გამოდიოდა. იყო ასეთი წინადადებაც სარდლობისადმი:

– *Пустите вперед артиллерию, а потом пехоту!*

რა თქმა უნდა, ყველას სურდა, რომ საქმე კარგად წასულიყო, მაგრამ ასეთი წინადადება და რჩევა, რომელ სარდალს არ გამოიყვანდა მოთმინებიდან.

მახსოვს, მთავრობის ორ-სამ წევრსა და გენერალ გაბაშვილს შორის კონფლიქტი მოხდა. გაბაშვილი ცრემლმორეული გვესაუბრებოდა კორპუსის შტაბში და მათ „მალჩიშკებს“ უწოდებდა. მან კორპუსი დატოვა და მისი ადგილი გენერალმა კვინიტაძემ დაიკავა.

ამ დროს ჰორიზონტზე გამოჩნდა სამხრეთიდან შემოვლილი ინგლისის არმია, რომელსაც გეზი აღებული ჰქონდა ჩვენკენ.

ამ არმიაში მარტო ინგლისელები არ იყვნენ. მასში ერია შოტლანდიელები, ამერიკელები, არაბები, ფრანგები.

თბილისში მოვიდნენ და აქ მოიკალათეს მასპინლებივით. მათი მოსვლა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მაქსიმალურად გამოიყენა, რაც გამოიხატა იმაში, რომ დაუყონებლივ მოლაპარაკება გაიმართა ოსმალეთთან დაზავების შესახებ. ინგლისელების მოსვლით, ოსმალეთი შეშინებული და დამფრთხალი იყო. ეს კი მთავარი კვანძი აღმოჩნდა საქართველოს დიპლომატებისთვის და ოსმალები იძულებულნი გახდნენ, ჩვენთან მოლაპარაკებაში ჩაბმულიყვნენ. ინგლისელები საქმის კურსში იყვნენ.

ჩვენი მხრიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმავე 1918 წელს ქალაქ ბათუმში.

მოლაპარაკების შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთის ჯარმა ხელმეორედ იბრუნა პირი საქართველოდან და სამუდამოდ დატოვა ოზურგეთი, ბათუმი და მთელი აჭარა, აწყური, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი და მივიდა ძველ საზღვრამდე. ეს დაზევება საქართველოს რესპუბლიკისათვის იყო ბრწყინვალე გამარჯვება და მან თავისუფლად ამოისუნთქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკისადმი მოსკოვის ბრალდება

როგორც დავინახეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში, დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე, ანუ 1917 წლიდან, ვიდრე მას ისევ რუსეთი დაიპყრობდა 1921 წელში, რამდენიმეჯერ იხსნა თავისი ქვეყანა აშკარა განადგურებისაგან.

გაწითლებულმა მოსკოვმა კი გერმანიის და ინგლისის ამ ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი და მოქიშპე არმიების გამოყენება საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ დანაშაულად ჩაუთვალა რესპუბლიკის მთავრობას და ასე განაცხადა საქვეყნოდ: „საქართველო ინტერვენტებს თავისთან ეპიტიჟებოდა და მათ მასპინძლობას უწევდაო“.

გერმანიისა და ინგლისის არმიები, რომლებზეც აქ არის ლაპარაკი, არც საქართველოს მთავრობას და არც „მოსკოვს“ არ შეკითხვიან და მოსვლაზე ნებართვა არ მოუთხოვიათ მოვიდნენ! შედეგი კი საქართველოსთვის სასარგებლო გამოდგა... რა არის აქ ბრალდასადები?!.. გაწითლებულ მოსკოვს განა შეეძლო მათი უკან გაბრუნება?..

1918 წლის გაზაფხულზე კორპუსის შტაბი თბილისში დაბრუნდა. თბილისის ქუჩები ავსებული იყო რუსეთიდან გადმოხვეწილებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო კავკასიიდან მომავალი ყველა გზა შეკრული იყო და იქედან აქეთ არავინ უნდა გადმოეტარებიათ, ლტოლვილები დღითი-დღე მატულობდნენ.

დამოუკიდებელი საქართველო

„საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ – რიხიანად გაისმოდა საქართველოშიც და საქართველოს საზღვრებს გარეთაც... მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა მსოფლიოს წინაშე და მათ შორის რუსეთის მთავრობასთანაც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობის შესახებ. ეს მისია დაევალა საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს.

ის ამ დავალებით საზღვარგარეთ გაემგზავრა და კარგა ხანი დაჰყო საფრანგეთსა და ინგლისში. იმჟამად ეს ორი სახელმწიფო ითვლებოდა მსოფლიოს ბედის გადამწყვეტ სახელმწიფოებად.

მოსკოვის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, ყველა ქვეყნებს დაასწრო და პირველმა აღიარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ საფრანგეთმაც და ინგლისმაც მიიღეს მსგავსი გადაწყვეტილება და საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობა ცნობილი იქნა ჯერ „დე-ფაქტოდ“ და შემდეგ „დე-იურედ“.

საქართველოს მოსახლეობამ, ეს მისთვის დიდი ისტორიული მოვლენა განსაკუთრებულად იზეიმა. 26 მაისი გამოცხადდა „საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულად“.

1918 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე მოეწყო დიდი აღლუმი. თბილისის მთლიანი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. ჯარების ჩავლის შემდეგ უზარმაზარი პროცესია გაემართა ვაკისაკენ. იმ ადგილას, სადაც ახლა სტადიონია აშენებული, მთელი მოედანი დაფარული იყო ხალხით, სანოვაგით, სასმელით და საჭმელით. იმ დღეს ყველაფერი უფასო იყო. ისმოდა გამუდმებული სიმღერები, ცეკვა, თამაში...

აქვე იდგა თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები როგორც არმიის, ისე გვარდიის. მე ვმეთაურობდი რეგულარული არმიის ერთ-ერთ ათასეულს. იდეალური წესრიგი არსებობდა. ქუჩები კაშკაშა ელნათურებით იყო განათებული. რადიოგადამცემები გადმოსცემდნენ აღფრთოვანებულ მისალმებებს.

ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

მთავრობამ ყველა ქვეყანაში წარმომადგენლები დანიშნა და მათ შორის მოსკოვში. ასეთივე წარმომადგენლები იქნა დანიშნული ევროპის ყველა ქვეყნებიდან საქართველოში, რომლებიც თბილისში ბინადრობდნენ.

მთავრობამ გამოუშვა აგრეთვე საკუთარი ფულის ნიშნები, რომლებზეც ყველა ერის ენაზე და მათ შორის რუსულადაც ეწერა: *"Обеспечивается достоянием республики"*. საქართველოს ფულის კურსი მრავალჯერ მეტი იყო, ვიდრე რუსული ბონების კურსი.

პირველად ასმანეთიანები იქნა გამოშვებული. სანამ ამ ასმანეთიანების დასახურდავებლად წვრილ ფულს გამოუშვებდნენ, ხალხში ასეთი ფუნაგორია შეიქმნა:

Гегечкори, Гегечкори, вай!
Возьми свои сто рублей и сам разменяй!

სომხეთის ომი. 1918 წელი

1918 წელში ამიერკავკასიაში ინგლისელების შემოსვლამ და თვითნებობამ, მრავალი უსიამოვნება გამოიწვია. მათი შიშით, მართალია ოსმაღლეთი უკუდგა საქართველოდან, მაგრამ აზერბაიჯანში ქვეყნის პატრონად გრძნობდნენ თავს და რაც სურდათ იმას აკეთებდნენ.

სომხეთი წამოაგეს პროვოკაციის მახვილზე და საომრად საქართველოს მოუსიეს. ბაქოში ბოლშევიკების მეთაურები შეიპყრეს და 26 კომისარი ერთად დახვრიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის შემოდგომაზე სომხების ბანდებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და ლამობდნენ თბილისის წართმევას. მათ მეთაურობდა გენერალი დრასტუმატ მარტიროსის ძე კანოიანი – სომხეთის დაშნაკ-ცუტუნის პარტიის ლიდერი.

როგორც კი თბილისში ცნობილი გახდა სომხეთის მიერ ჩვენი საზღვრების დარღვევა და მათი ჩვენკენ წამოსვლა, თბილისის გარნიზონი ამხედრდა გენერალ ახმეტელის მეთაურობით და საწინააღმდეგოდ დაიძრა.

ბოლნისში მივუსწარით სომხების ბანდებს და აქედანვე დაიწყო მათი დაფრენა. უკან მოხედვის საშუალება არ მივეცით. კაპიტან ცაგურიას ბატარეია ზუსტად იღებდა მიზანში სირბილით უკუქცეულ მტერს. ჩვენი დადევნება სასტიკი იყო. სომხები ვერსად ვეღარ შეჩერდნენ. გასცდნენ თავიანთ საზღვრებს და იქ მდგარ ინგლისელების ნაწილებს შეაფარეს თავი.

სარდალი ახმეტელი ამ დროს გენერალმა მაზნიაშვილმა შესცვალა. მან სომხებიან-ინგლისელებიანად ყველანი გაგვარეკინა და ღრმად შევიჭერით სომხების ტერიტორიაზე.

პოლიტიკური მოსაზრებით ინგლისელებმა იარაღი ვერ იხმარეს ჩვენს წანააღმდეგ და გარბოდნენ სომხებთან ერთად.

ამ დროს მოვიდა მთავრობის განკარგულება ცეცხლის შეწყვეტაზე და დაზავებაზე. მოლაპარაკებაში ინგლისელებიც მონაწილეობდნენ და აშკარად სომხების მხარეზე იყვნენ.

დაზავება მოხდა. ჩვენსა და სომხეთს შუა შეიქმნა ე.წ. „ნეიტრალური ზონა“, რომელსაც თავისი გამგებელი და მილიცია დაუნიშნეს. ეს ინგლისელების გამონაგონი იყო.

სომხებ-ინგლისელების პროვოკაციას, გარდა მ'შვიდად მცხოვრებ მოსახლეობის განადგურებისა, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია არც სომხებისათვის და არც ჩვენთვის.

სომხეთის ომში სხვა მრავალთან ერთად დაიღუპა ფილიპე რამიშვილი. აქვე იქნა მოკლული გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი მაისურაძე. სომხებმა აუარებელი ზარალი ნახეს დახოცილების სახითაც.

ესკადრონის ლიკვიდაციის შემდეგ მე გადამიყვანეს სანაპირო რაზმში, რომელსაც განაგებდა პოლკოვნიკი საგინაშვილი.

მან დამნიშნა შულავერის სანაპირო განყოფილებაში, რომლის უფროსი იყო ვინმე იმნაძე, კოჭლი. იაპონიის ომში ნამყოფი. მან გამგზავნა სოფელ ჭანდარის პორტზე. ყოვლად მიყრუებულ ალაგას.

ერთი თვე ძლივს დავყავი ჭანდარში და გავხდი ავად. სასწრაფოდ თბილისში ჩამოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისპანკა“ და მუცლის ტიფი

თბილისში მაშინ ავადმყოფობა „ისპანკა“ იყო გავრცელებული. ეს ინფექციური დაავადება უწყალოდ ცელავდა ხალხს. მოსვლის მეორე დღეს ცუდად შევიქენი. ნინამ, ჩემმა მეუღლემ, სიცხე გამიზომა და აღმომაჩნდა 38^0. საღამოს უფრო მეტი. ღამით ძლიერ ცუდად გავხდი. სიცხისაგან ვბოდავდი. ნინა დატრიალდა. ძლიერ მოხერხებულად დამიწყო მოვლა. მოიყვანა ექიმი, შალვა მიქელაძე, რომელმაც „ისპანკის“ დამატებით მუცლის ტიფის დიაგნოზი დასვა. თანდათან ხელიდან მივდიოდი. ხშირად გრძნობადაკარგული ვიყავი. სიცხის ბურუსში მყოფი, ნინას ხშირად მტირალს ვხედავდი, ფანჯარასთან მიმდგარს. მან ჩემი საავადმყოფოში წაყვანა არავის დაანება.

მკურნალობას მიწევდა ცნობილი ექიმი შალვა მიქელაძე, რომელიც შემდეგ პროფესორი გახდა. ნემსების გასაკეთებლად გამოცდილი ექთანი, ტრიფონ რამიშვილი მოდიოდა თიოქმის ყოველდღე.

ნინა, ტანგაუხდელი, თავგანწირვით ებრძოდა ჩემს ავადმყოფობას. და აი, ოვენახევრის შემდეგ გავიგონე ექიმის და მისი საუბარი:

– კრიზისი გადაიტანა. აწი, საშიშროება აღარ არის. ეხლა დიეტა, დიეტა უნდა იქნეს სასტიკად დაცული!..

მე ღრმად მწამს, რომ სიცოცხლე შემინარჩუნა ნინას თავგანწირვამ, პროფესორ შალვა მიქელაძის დიდმა ცოდნამ და გამოცდილებამ, ტრიფონის ნემსებმა და მისმა გულითადმა, ადამიანურმა მიდგომამ.

შალვა მიქელაძე, ეს დიდი ბუნების და ცოდნის ადამიანი, საქართველოს გასაბჭოებიდან დიდი ხნის შემდეგ (1937წ.) დაიჭირეს, და როგორც სხვა მრავალი, გააუჩინარეს. ტრიფონიც, გასაბჭოების შემდეგ, გარდაიცვალა და ვერის ძველ სასაფლაოზეა დაკრძალული.

მახსოვს, მის დაკრძალვაზე აპოლონ წულაძემ სიტყვა წარმოთქვა და მისი ღვაწლმოსილობა აღნიშნა.

დემობილიზაცია. საღარაჯო ათასეული

ნინას წყალობით ძალღონე თანდათან მიბრუნდებოდა. უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ეკონომიურ სივიწროვეს მწვავედ განვიცდიდით. რაც გვქონდა, ავადმყოფობამ წაიღო და კიდევ მოზრდილი ვალი დაგვიტოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა მივიღე, რომ წარდგენის თანახმად მე მინიჭებული ვარ შტაბს-კაპიტნის წოდება, თანაც ხმა გავრცელდა, რომ იწყება ჯარისკაცებისა და ოფიცრების დემობილიზაცია.

ჩემი მეზობლის რჩევით შევედი სადარაჯო ათასეულში და დამნიშნეს მეორე გუნდის უფროსად. ათასეულის უფროსი იყო ღრმა მოხუცი, პოლკოვნიკი სოღორაშვილი; მისი მოადგილე – პოლკოვნიკი კვინიხიძე. ათასეული შესდგებოდა ოთხი გუნდისაგან, თითოში ორას-ორასი კაცი. საექიმო პუნქტს განაგებდა ცნობილი ექიმი გრიშა რეკვავა. ოფიცერთა საკრებულოს – მიშა ანანიაშვილი და ა.შ.

ჩემს გუნდში ირიცხებოდნენ ოფიცრები: იასონ სიხარულიძე, ხარებავა, ივანე ჟღენტი, ნოე ცინცაძე და სხვები.

მისვლიდან მცირე ხანში, ჩემს გუნდს ჩემი ხელი დაეტყო და ათასეული საჩვენებელი გახდა დისციპლინით და წესიერებით. ჩემი ჯილდოც ფასს მმატებდა ჯარისკაცებშიც და უფროსებშიც.

ათასეულში რეორგანიზაცია მოახდინეს. კვინიხიძე სამნეო ნაწილში გადაიყვანეს და მე დამნიშნეს ათასეულის უფროსის თანამემწედ მწყობრ ნაწილში. ამ ცვლილებით ათასეულის მსახურნი ყველა კმაყოფილი იყო.

ჩემი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ისეთ სივიწროვეს აღარ განვიცდიდით, როგორც აქამდე.

ოსეთის აჯანყება

სადარაჯო ათასეული მოთავსებული იყო იმ შენობაში, რომელშიც მე დავამთავრე სამხედრო სკოლა 1915 წელს. ათასეულს, ზოგი ნაწილი გაგზავნილი იყო ცხინვალში ოსეთის აჯანყებასთან დაკავშირებით და იქ იმყოფებოდა კაპიტან უშვერიძის მეთაურობის ქვეშ. აჯანყება უკვე ლიკვიდირებული იყო. ეს ნაწილები უქმად იდგნენ ცხინვალში. მათი უსაქციელობის ხმებიც მოდიოდა ათასეულში.

ათასეულის უფროსმა, სოღორაშვილმა დავალება მომცა წავსულიყავი ცხინვალში, ეს ნაწილები მომეხსნა და თბილისში ჩამომეყვანა. იქაური ხარჯების და დავალიანებების დასაფარავად გამატანა ორმოციათასი მანეთი ქართული ფული. ორი ჯარისკაცი წავიყოლე. ცხინვალში მივედი. ფული მოლარეს შემოსავალში შევატანინე და ნაწილების გადმოყვანის თადარიგს შევუდექი.

ოსეთის აჯანყება, სომხეთის ომის არ იყოს, პროვოკაციის შედეგი იყო, მაგრამ აქ ინგლისელების ხელი არ ერია, არამედ უფრო ახლობლების. ზოგიერთი საქართველოს ღვიძლნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დაქუცმაცებაში ეძებდნენ გამოსავალს... ოსებს ათქმევინეს:

– სენი წირიმე, გორი ოსებისა ხარ! – და მოუმზადებელ გორის გარნიზონს შემოესიენ, მაგრამ შემდეგ ინანეს...

გორის დასაცავად გვარდია დაიძრა კ. ჯუღელის მეთაურობით და დიდი ზარალი მიაყენა ოსებს მათი პროვოკაციული მოქმედებისათვის. გვარდიის უკან დაბრუნების შემდეგ მთავრობას ათასეულის ნაწილები ჩაუყენებია ცხინვალში აჯანყების შემდეგ წესრიგის დასაცავად. ეს ნაწილები მოვხსენი და ჩამოვიყვანე თბილისში.

ჩვენი ბინა სოლოლაკში

ცხინვალიდან რომ დავბრუნდი, ნინამ ამბავი დამახვედრა, რომ მეაბრეშუმეობის სადგურის უფროსი ივანოვი, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, მოითხოვს ბინის დაცლას და ჩვენს აქედან გადაბარგებასო. ეს ივანოვი წესიერი მოხუცი იყო და დიდხანს განაგებდა ამ სადგურს.

შემდეგ ნინა მივიდა ჩვენს ნათესავ, ქალაქის უფროსს, ბენია ჩხიკვიშვილთან ბინის სათხოვნელად. ამ ლაპარაკს შემთხვევით დასწრებია ნინას კარგი ნაცნობი, რომელიღაც „დიდი კაცი“ და ბენიასთვის უთქვამს:

– შენ კაი კაცო! ასეთი ნათესავი ქალი გყოლია და როგორ მოგივიდა, რომ ის ამდენხანს უბინაოდ არის.

ჩხიკვიშვილს იქვე ტელეფონით განკარგულება გაუცია ქალაქის მილიციის უფროსისათვის, რომ სასწრაფოდ გამოენახათ ბინა ნინასათვის და შესრულება დღესვე მოეხსენებიათ ძისთვის.

1919 წლის ივლისის ბოლოს, მილიციის თანამშრომელმა გვაჩვენა ეს ბინა, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ. მაშინ ამ ქუჩას ერქვა ჟუკოვსკის ქუჩა, შემდეგ ელიავას, შემდეგ ვაჟა ფშაველას და ამ ბოლოს – გერგეტის სახელწოდება შერჩა.

ეს ბინა იმჟამად რეკვიზირებული იყო და ირიცხებოდა ქალაქის ფონდში. მას შემდეგ აგერ 49 წელია (1969 წლამდე) აქ ვცხოვრობთ.

მე ათასეულში ვმუშაობდი და მატერიალურად არა გვიშავდა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა წააგავდა წყალდიდობის დროს ცარიელ კუნძულზე გამორიყულ ადამიანების მდგომარეობას.

არავითარი ოჯახური ბაზა ჩვენ არ გაგვაჩნდა. არავითარი დანაზოგი, მამისეული, დედისეული არ მოგვეპოვებოდა არც მე, არც ნინას.

ჩვენს ქონებას წარმოადგენდა თითო ხელი ეროვნული ბიბლიოთეკა ერთმანეთის დიდი სიყვარული, ერთმანეთის იმედი და შრომისადმი დაუშრეტელი მონდომება და ენერგია.

ორივე აღზრდილი ვიყავით სამსახურეობრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულების იდეებზე და რაც ჩვენი საკუთარი შრომით მოპოვებული არ იყო ჩვენს ოჯახში არ შემოდიოდა; მალე მე და ნინას ულამაზესი ბიჭი შეგვეძინა, რომელსაც სახელად გოგა დავარქვით.

იმ დროს არსებობდა შალვა ნუცუბიძის საშუალო განათლების კურსები, სადაც სწავლას ამთავრებდა ომით ხელშეშლილი ახალგაზრდობა და მეც აქ დავიწყე მეცადინეობა, ათასეულში მუშაობის პარალელურად. მეცადინეობა საღამოობით მიმდინარეობდა.

ბანკეტი საღარაჯო ათასეულში

ათასეულის ხანდაზმული ხელმძღვანელები სოღორაშვილი და კვინიხიძე შესცვალეს და მეთაურად დანიშნეს დავით ჭიჭინაძე. ეს კაცი არც წყალი იყო და არც ღვინო. ყველაფერს გარდა, ცალი თვალი გადათეთრებული ჰქონდა და ცუდად ხედავდა. ათასეული ისევ ჩემი გავლენის ქვეშ იყო (ის დაინიშნა სამხედრო მინისტრის, ვ. ჭიჭინაძის პროტექციით).

დავით ჭიჭინაძემ დაითანხმა მინისტრი არსენიძე ათასეულში გამართულიყო დიდი ბანკეტი.

სტუმართაგან მოწვეულნი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი მოხელეები 5-6 კაცი (მინისტრი არ ესწრებოდა); იუსტიციის სამინისტროს მთავარი მოხელეები 5-6 კაცი, მინისტრის ჩათვლით; ცნობილი მსახიობები ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, სახალხო მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე და ათასეულის ოფიცრები თავიანთი მეუღლეებით. იყო, რასაკვირველია, ჩემი ნინაც. იყვნენ აგრეთვე ათასეულის თანამშრომლები.

ნინას კოსმეტიკის არაფერი სწამდა. მის სახეზე მე პუდრი არ დამინახავს. მისი მშვენიერი კანი სრულებით არ საჭიროებდა არავითარ ნელსაცხებს, როგორც სხვა ქალი, მაგრამ ხანდახან მაინც ვთხოვდი: „მოირთე ისე, როგორც ირთვებიან სხვები-მეთქი". წაისვამდა პუდრს, ტუჩებზე საღებავს და სრულებით დაკარგავდა თავის ბუნებრივ სინაზეს და სილამაზეს. ისევ შევევედრებოდი: „მოიცილე ყველაფერი და იყავი ისეთი, როგორიც ხარ სინამდვილეში-მეთქი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საღამოს, მიუხედავად სადად ჩაცმულობისა, ნინა თავის სიმშვენიერით განირჩეოდა სხვა ქალებისაგან. ის იჯდა ჯგუფში, სადაც ისხდნენ ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, არსენიძე და სხვა პატივსაცემი სტუმრები.

მეტეხი

საქართველოს უძველესი და უძვირფასესი ძეგლი, მეტეხის ტაძარი (აგებულია XIII ს.) რუს დამპყრობლებს საპყრობილად გადაუქცევიათ. მისთვის მიუშენებიათ ყველა მხრიდან კორპუსები, რომლებსაც სატუსაღოდ იყენებდნენ. ვინ მოთვლის, რამდენი ტანჯვა და წამება უნახავს მეტეხის კედლებს სხვადასხვა დროს და აქ მყოფ ადამიანებს.

საქართველოს მთავრობასაც მეტეხი სატუსაღოდ ჰქონდა გამოყენებული და მისი დაცვა ევალებოდა სადარაჯო ათასეულს

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ყველა ევროპულ სახელმწიფოზე ადრე მოსკოვის მთავრობამ ცნო და სათანადო ელჩები მოსკოვსა და თბილისს უკვე გაცვლილი ჰყავდათ (მოსკოვში – გერასიმე მახარაძე და თბილისში – კიროვი) ბოლშევიკური თავდასხმის საშიშროება მაინც იყო.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული „ცნობისა", ელჩების გაცვლისა და მოლაპარაკებისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დასაპყრობად რუსეთიდან გამოგზავნილი იქნა XI არმია პანკრატოვის მეთაურობით. ამ არმიას წინ მოუძღოდნენ საქართველოდან გაძევებული ს. ორჯონიკიძე და სხვა რამდენიმე პირნი.

მეთერთმეტე არმიამ თანმიმდევრობით უკვე დაიპყრო აზერბაიჯანი და სომხეთი. ჯერი საქართველოზე მიდგა.

საქართველოს რესპუბლიკა, აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით, გაცილებით უფრო მაგრად გრძნობდა თავს თავის მეომრებით, სამხედრო ძალით, სარდლობის გამოცდილებით და შეიარაღებით. მთავრობას სჯეროდა, რომ ის მოახერხებდა გამკლავებოდა ამ ვერაგულ თავდასხმას. მან იცოდა, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელმაც რევოლუციის შედეგად თავი დააღწია რუსეთის თვითმპყრობელობის აუტანელ რეჟიმს, ადვილად არ დათმობდა თავის დამოუკიდებლობას და რითაც შეეძლო, თავის დასაცავ ღონისძიებას მიიღებდა.

მთავრობამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ პატიმრობაში აიყვანა ყველა ისეთი პირი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდა და მოსკოვის ყურმოჭრილ მონობას ქადაგებდა.

ყოველი საგარეო ღონისძიება სწორედ ამ საქმეებთან იყო დაკავშირებული. პატიმრობაში აყვანილნი და მეტეხში მოთავსებულნი იყვნენ: კ. ცინცაძე, პ. დვალი, ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, ფ. მახარაძე.

რესპუბლიკის პერიფერიებშიც იყო ასეთი რეპრესიები.

მეტეხში, გარდა პოლიტიკური პატიმრებისა, იყვნენ აგრეთვე სისხლის სამართლის და სამხედრო დამნაშავენიც. ციხის სამოქალაქო ნაწილის უფროსი იყო ეპიფანე მეგრელიშვილი, სამხედროსი – მაიორი შამშურინი. ათასეულიდან გამოყოფილ დაცვას თან მიჰყვებოდნენ მორიგე ოფიცრები გუნდების მიხედვით.

ერთხელ, მეტეხში, პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის რაღაც აურზაური მომხდარა. იმ ღამით ციხეს იცავდნენ ოფიცრები ვანო ჟღენტი და იასონ სიხარულიძე. ციხის უფროსმა, ე. მეგრელიშვილმა, მათი დახმარებით აურზაური მშვიდობიანად ჩააცხრო, მაგრამ მეორე დღეს ორივე ეს ოფიცერი, შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის განკარგულებით დააპატიმრეს და საკომენდანტოში ჩასვეს. მინისტრი უკმაყოფილო იყო მათი ლმობიერებით. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი თხოვნით ისინი გაანთავისუფლეს პატიმრობიდან.

გასაბჭოების შემდეგ, ვანო ჟღენტმა ამ მომენტით ისარგებლა, პარტმანდატი და დიდი თანამდებობა მიიღო, მაგრამ კიდევ ორიოდე წლის შემდეგ რაღაცაზე დააპატიმრეს, გადაასახლეს შორეულ ციმბირში და იქ დაიღუპა.

ჩვენი ოჯახი სოლოლაკში

1919 წლის აგვისტოში ჩვენი ოჯახი სოლოლაკში, ჩაიკოვსკის ქ. №20-ში გადავიდა საცხოვრებლად. ახალ ბინაზე ჩვენი გადმოსვლის პერიოდში ჩაიკოვსკის და ჟუკოვსკის ქუჩები ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენდა. საერთო სახელით ჟუკოვსკის ქუჩა, ეგიაზაროვის სახლი, სადაც გადმოვედით, იყო 20 ნომერში. როცა გაირკვა, რომ ქვემოთ, კუთხის სახლში დიდ კომპოზიტორ ჩაიკოვსკის უცხოვრია, ჟუკოვსკის ქუჩა გაწყვიტეს და ქვედა ნაწილს დაარქვეს ჩაიკოვსკის სახელი, ზედა ნაწილი დარჩა ისევ ჟუკოვსკის სახელწოდებით, მხოლოდ სახლების ნუმერაცია შეიცვალა. ეგიაზაროვის სახლი გახდა №8.

ეს დიდი ხნის შემდეგ მოხდა, უკვე გასაბჭოებულ თბილისში.

როდესაც მილიციის თანამშრომლებმა ჩვენთვის განკუთვნილ ბინაზე მოგვიყვანეს, ბინა დაკეტილი დაგვხვდა მეზობლის მიერ. გარედან შეხედვით ნინაც და მეც კმაყოფილი დავრჩით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციელმა მეზობელი, მარგო გამალეისა ვააფრთხილა, რომ როცა მისი მეუღლე, გამალეი, სახლში დაბრუნდება, გასაღები ჩვენთვის გადმოეცა. ჩვენ ამ თქმით დავკმაყოფილდით და წავედით.

მეორე დღეს, ათასეულის ფურგონებზე დატვირთული ჩვენი ბარგი ბინას მივაყენეთ, მაგრამ გასაღები კვლავ არ იყო. მივხვდი, რომ მომავალი მეზობელი თაღლითობდა – გაფართოვების მიზნით.

ქუჩის ფანჯარა შევამტვრიე და ბარგი, ჯარისკაცების დახმარებით წინა ოთახში შევყარე. გამალეიმ ბევრი ითაღლითა, მაგრამ არაფერი გაუვიდა და ორივე ოთახში დავმკვიდრდით.

ამრიგად, სოლოლაკში გაჩნდა რამიშვილების ბინა 1919 წლის აგვისტოში.

საქართველო გასაბჭოების წინ

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა მძიმე პირობებში აღმოჩნდა. მისი დამოუკიდებლობის ცნობა ცნობად დარჩა და გასაჭირის დროს მისთვის არავის ეცალა. მის ირგვლივ ყველაფერი დუღდა და იწვოდა. რუსეთში ალიაქოთი მძვინვარებდა; ევროპის შუაგულში, გერმანიაში ხანძარი აინთო; ბაქო-ერევანს რუსეთის ცეცხლი მოედო; ოსმალეთი კატასავით თვალს ნაბავდა და კლანჭებს ილესავდა; მოსკოვის წარმომადგენელი, პარკრატოვი ბაქოში იდგა საქართველოს ჩასაყლაპად პირდაღებული იმ დროს, როდესაც საქართველო საჭიროებდა ძმურად ხელის გამოწვდას და დახმარებას. მეფემ კოლონიად აქცია... მოშალა მისი მრავალი საუკუნეების მანძილზე შექმნილი ნაცადი ჩვეულები, ტრადიციები, სახელმწიფო აპარატი...

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში სწოვა სისხლი საქართველოს პირშავი მეფის მთავრობამ, რომელიც ერთ დროს განსაკუთრებული მშვიდობიანი ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული საქართველოს, მაგრამ შემდეგ სიმძლავრით ისარგებლა და ყველაფერი ფიქტიური გახადა. ყოველივე ეს მოიმოქმედა პირშავი მეფის რუსეთმა, რომელსაც სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. მისი მტარვალური ბუნება სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

საქართველოსა და რუსეთის რევოლუციური ძალების მრავალ ათეულ წლების მანძილზე შეეროებული ბრძოლების შედეგად, მეფის რუსეთი დაინგრა. მის ნანგრევებზე ახალი რუსეთი უნდა აღმოცენებულიყო. მან ხელში აიღო დროშა წარწერით: „ერთა თვითგამორკვევა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ და სხვა მრავალი ძვირფასი დებულებანი; ეს დროშა ხელში ეჭირა ბაქოში მდგომს, საქართველოს დასაპყრობად წარმოგზავნილ XI არმიას, მაგრამ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში ის იყო მშიერი, მწყურვალი, ტან-ფეხ შემოკვეთილი, შიმშილისაგან თვალებდანისლული და დროშაზე წარწერილ ლოზუნგს ვერ ხედავდა.

თანაც „მრჩევლები“ ყურებში უზუზუნებდნენ:„წამოდი საქართველოზე... წამოდი... წამოდი...“ და წამოვიდა. „გამარჯვებულს არ სჯიან“.

მაგრამ თუ ერის თვითგამორკვევასა და მის თავისუფლებაზე ქადაგებ, მაშინ რისთვის გინდა XI არმია და მისი ურდოები გამარჯვების მოსაპოვებლად? რისთვის გჭირდება იმ რესპუბლიკის „დამარცხება“, რომლის დამოუკიდებლობა ერთხელ აღიარე?

ცალმხრივად შედგენილს და დაწერილს სახელმძღვანელოებში ახალგაზრდობას ასწავლიან, რომ თითქოს საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი, ქართველი ხალხი, მუხლებზე დაჩოქილი, ემუდარებოდა მოსკოვის მთავრობას: „გვიხსენი ჩვენი მთავრობისაგან, მოგვივლინე XI არმია და მისი ურდოები, დაგვიხსენი ჟორდანიას მენშევიკური მთავრობისაგანო“ – მეტი სიყალბე და ცინიზმი შეუძლებელია!

მთქმელი და გადმომცემი იმისა, რომ „საქართველოს მოსახლეობამ მოახდინა არჩევნები, აირჩია დამფუძნებელი კრება, მოწინავე ქვეყნების არჩევნების პრინციპის და დებულების საფუძველზე და ამრიგად საქართველოში ყველაფერი რიგზეა და მდგომარეობა არავითარ შეცვლას არ საჭიროებს; საქართველოს რესპუბლიკასთან შეიძლება მხოლოდ კავშირი და მეგობრობაო“ – ყველგან ცეცხლითა და მახვილით იქნა მოსპობილი და აღგვილი.

მოისპო საქართველო-რუსეთს შორის თანამშრომლობის საშუალება, რომელიც უნდა განვითარებულიყო მომხდარი რევოლუციის შედეგად დამსხვრეული იმპერიის ნანგრევებზე. ჟლეტისა და არნახულ სისასტიკის შედეგად საბოლოოდ მილიონებზე გაბატონდა ერთი მუჭა ხალხი, ერთი პარტიის წარმომადგენლები და არავინ აღარ იწამეს, გარდა ბოლშევიკური პარტიისა.

ევროპის რევოლუციური მოძრაობის მესვეურნი საქართველოში

რუსეთის რევოლუცია ძლიერ ველურ ფორმებში მიმდინარეობდა. უბრალო, ხეპრე ნაძირალას შეეძლო განუკითხავად მოესპო ათობით, ასობით მოქალაქე. სისხლი... სისხლი... სისხლი... ბევრი სხვების სისხლით ჰფარავდა საკუთარ ბოროტებას... ცხადია, უსისხლოდ რევოლუცია შეუძლებელია, მაგრამ აქ სისხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყალოდ, განუკითხავად იღვრებოდა მრუდისა თუ მართლის. *"Рубят – щепки летят"* – ასე იმართლებდნენ თავს ლიდერები.

საქართველოს მოავრობის მიერ შექმნილმა წყობამ ევროპის ყურადღება მიიპყრო და თბილისს ეწვია ევროპის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი: კაუცკი – გერმანიიდან, ვანდერველდე – ბელგიიდან, მაკდონალდი, სნოუდენი – ინგლისიდან და სხვა ცნობილი სოციალ-დემოკრატი ლიდერები.

ამ ხალხის საქართველოში მოსვლამ და აქაური წყობის შესწავლამ მოსკოვი გააცოფა და დააჩქარა ჩვენს დამოუკიდებლობაზე ხელის აღმართვაც. საქმე იმაშია, რომ მოსული სტუმრები აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილ წეს-წყობის შესახებ. ეს-კი ჩრდილს აყენებდა მოსკოვს, სადაც იმჟამად ქაოსი, ალიაქოთი მძვინვარებდა. პირველ ყოვლისა, მოსკოვი შეუდგა საქართველოში მოსულ მოღვაწეთა ლანძღვას, მათი ღირსების დაცემას, მათი მოღვაწეობის გაარარავებას. მოსკოვმა ისინი მონათლა რენეგატებად და ყოველგვარ ლაფს ასხამდა მათ.

მდგომარეობა ძლიერ დაიძაბა და დამოკლეს ხმალი დაეკიდა საქართველოს კისერზე. სავალალო ის იყო, რომ ერთ დროს ერთ ბანაკში მებრძოლნი, ახლა ჩვენზე ილესავდნენ კბილებს მაშინ, როდესაც მეფის თვითმპყრობელობა ლიკვიდირებული იყო. ჩრდილო კავკასიაში დაგროვილი კონტრევოლუციური ოფიცრები დენიკინის, ვრანგელის და სხვების ფრთების ქვეშ დარაზმულნი – საქართველოსთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ და საქართველოს რესპუბლიკას შეეძლო დამდგარიყო თავის საკუთარ ფეხებზე.

ჩემი გაწვევა მეხუთე ლეგიონში

1920 წელი მიიწურა. გაზეთები სავსე იყო რუსეთის შესახებ საოცარი ამბებით. აუარებელ ხიფათს დიდი ვაი-ვაგლახით თავდაღწეულნი, თბილისში მოგროვდნენ: კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი და საქართველოს სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები. ისინი დაბრუნდნენ ბოლშევიკური რუსეთიდან. ხშირად იმართებოდა საჯარო მოხსენებები და ლექციები. ისიდორე და ნოე რამიშვილები თავიდანვე აქ იყვნენ.

ეს ხალხი ჩვეულებრივად ხალხში ტრიალებდნენ და ხალხის პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდნენ.

ნოე ჟორდანია როცა ქუჩაში გაივლიდა, ხალხი რუსთაველის პროსპექტის ტროტუარს ორივე მხარეს მიადგებოდა და მას მხურვალე ტაშით აცილებდა. ასეთი სურათი მე მრავალჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინახავს. ხალხის ასეთი ოვაციები ქუჩაში მახსოვს, ალბათ, წერეთლის მიმართ.

ერთხელ, ოპერის თეატრში, პლეხანოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დიდი მიტინგი ტარდებოდა. ნოე ჟორდანიამ ცრემლებით დაამთავრა რუსეთის დიდი მოღვაწის გარდაცვალების შესახებ მოხსენება და თქვა: „ასეთი ადამიანი შიმშილით მოჰკლეს ამ ვერაგებმაო“. ყველა შეძრწუნებული იყო.

საქართველო საწვავი მასალის განსაკუთრებულ კრიზისს განიცდიდა. მთავრობამ ბაქოს გასაბჭოებულ ხელისუფლებასთან (სადაც იგივე პანკრატოვი და საქართველოს „მრჩევლები“ საქმიანობდნენ) ხელშეკრულება დადო, რომ სურსათ-სანოვაგის სანაცვლოდ, ბაქო გასცემდა ნავთის დიდ რაოდენობას. ამისათვის საქართველოდან 12 ეშელონის რაოდენობის ცარიელი ცისტერნა, სურსათ-სანოვაგესთან ერთად გაგზავნეს ბაქოში, ნავთის ჩასასხმელად და წამოსაღებად.

როცა ეს ეშელონები და სურსათ-სანოვაგე ბაქოში ჩავიდა, ბაქოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება გადააქცია ქაღალდის ნაგლეჯად. პირი შეშალა.

რაც საქართველოს მოელოდა, აშკარა იყო. მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა და ამ მობილიზაციაში მოვყევი მეც.

მიწერილი ვიყავი მეხუთე ლეგიონზე, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი ფურცელაძე. ათასეულში ჩემი თანამდებობის მიხედვით უკვე მაიორის წოდება მქონდა 25 წლის ასაკში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ როგორც შემდეგში გავერკვიე და დავრწმუნდი, ჩვენი არმიის გენშტაბს არ გააჩნდა არავითარი დაზვერვა, ზუსტი ცნობები მტრის შესახებ და ყველაფერი კეთდებოდა ზეპირად გადმოცემული ცნობების მიხედვით.

საქართველოს გასაბჭოება 1921 წელში

ამ აფორიაქებულ დროს გამოვცხადდი მეხუთე ლეგიონის უფროსთან პოლკოვნიკ ფურცელაძესთან.

– ოოო! თქვენ დიდ ჩინში ყოფილხართ! – მითხრა მან, – შესაფერი თანამდებობა რომ არ მაქვს?

აი აქ დავუშვი მე დიდი შეცდომა. შემეძლო უკან გამოვბრუნებულიყავი და სრულებით ავცდენოდი იმ ვაი-ვაგლახს, რასაც შემდეგ შევეყარე, მაგრამ სამშობლოს თავზე დაგროვილმა შავმა ღრუბლებმა და ჩემმა სინდისმა ეს არ დამანება. ფურცელაძეს ვუპასუხე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე გამომაგზავნეს თქვენთან და სადაც სიჭირო ვიყო, იქ გამომიყენეთ.

– სოფელ ახპატში, – თქვა მან ძლიერ მშრალად და უგულოდ.

იმავე დღეს ახპატში წავედი. ფურცელაძის მიერ ჩემი მიღება ძლიერ უფერული იყო. თვითონ ფურცელაძე საცოდავი მეჩვენა. არ ჰგავდა ლეგიონის უფროსს. ამ შეხვედრის გარდა მე ის არ მინახავს არც მანამდე და არც შემდეგ.

სოფელი ახპატი სომხებითაა დასახლებული და მდებარეობს მდ. დებალაჩაის მარცხენა ნაპირზე ალავერდის აღმოსავლეთით. ბინად ვინმე ევოიანცების სახლში მოვეწყვე.

ერთი გორელი ოფიცერი კიდევ დამხვდა იქ. საცოდავი კაცი იყო. ლეგიონის უფროს ფურცელაძესავით არც წყალი და არც ღვინო. ჯარისკაცებიდან ბევრი ჩემთან ნამსახური ბიჭები დამხვდნენ და ჩემი მისვლა ძლიერ გაეხარდათ.

სამხედრო მინისტრი მაშინ პარმენ ჭიჭინაძე იყო – მგონი ექიმი პროფესიით. ვერც მის შესახებ ვიტყვი რამე დადებითს, რომ მას სასიკეთო რამე გაეკეთებინოს ჯარის ნაწილებისათვის. ჩემი აზრით, ის სამხედრო მოღვაწე არ იყო. მან მთავრობას შთააგონა, რომ სიტუაცია უკანასკნელ პერიოდში დამამშვიდებელია. „მოსკოვში ჩვენი წარმომადგენლობა დარწმუნებულია, რომ ბაქოდან საქართველოს არავითარი საშიშროება არ მოელის; პრესის განცხადებითაც, საქართველოს ირგვლივ ყველა მეზობლებთან განწყობილება დამაკმაყოფილებელია და საგანგაშო არაფერია“ რაკი საქმე ასე კეთილად არის, მთავრობამ დემობილიზაცია დაიწყო და ორი წლის წვევამდელები, ჩემს მისვლამდე სახლებში გაეშვათ. დარჩენილებიც დღითი-დღე დემობილიზაციას მოელოდნენ. ვხედავდი, რომ მე ტყვილად ვიყავი გაჩხერილი ნაწილში და ჩემი გაწვევის საჭიროებაც არ იყო.

სწორედ ამ დღეებში ხმა გამოვიდა, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე დეპუტატმა ბ. ჩხიკვიშვილმა დეპუტატ შ. ნუცუბიძეს სილა გააწნა და კინაღამ თვალი წამოთხარაო. ეს იყო სხდომაზე კამათის დროს მათ შორის კინკლაობის შედეგი. ინციდენტი სხდომათა შორის შესვენებისას მომხდარიყო კულუარებში.

რაკი საბოლოო დემობილიზაციის შესახებ ბრძანების მოლოდინში ვიყავით, მეც ნაწილში შევჩერდი იმ მოსაზრებით, რომ ყველა ერთად მოვიხსნებით ფრონტიდან და თბილისში ერთად დავბრუნდებით-მეთქი. მე მსიამოვნებდა თბილისში ლეგიონთან ერთად დაბრუნება. ასეთი მდგომარეობა იყო ჩემი ნაწილში მისვლისას.

მაგრამ.. იმ დროს, როდესაც მთავრობის და ხელმძღვანელობის ყურადღება დამშვიდებული და ძიძინებული იყო, მაგრად ეძინა ფურცელაძესაც – უეცრად მოხდა დარჩენილი ჯარის ნაწილებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდასხმა ყველა სანაპირო სოფლებში ერთსა და იმავე დროს ეს მოხდა ღამე, ჩემი მისვლიდან ათი დღის შემდეგ.

ეჭვს გარეშეა, რომ XI არმია და მისი მოსკოველი ხელმძღვანელები, აგრეთვე ქართველი „მრჩევლები", ბაქოში მსხდარნი, დიდხანს სწონიდნენ და ამზადებდნენ ამ საკითხს. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ამ სანაპირო სოფლების მცხოვრებნი ბევრად შევსებულნი იყვნენ გადაცმული მოხალისე წითელარმიელებით, რომ გამარჯვება უზრუნველყოფილიყო და იმის თქმის საშუალება ჰქონოდათ, რომ „გაიმარჯვა აჯანყებულმა გლეხობამ". ვითომ გლეხობა აუჯანყდა ჟორდანიას?!.

ჩემი მასპინძლები, გვარად ევოიანცები, ოთხი ძმები იყვნენ და ცხოვრობდნენ თავიანთი ცოლ-შვილით ყველა ერთად. იქვე, სახლთან სამჭედლო ჰქონდათ და შიგ მუშაობდა ერთ-ერთი მათგანი – გალუსტა. აღმოჩნდა, რომ ის ჩემი დროის ჯარისკაცი ყოფილა მეფის ჯარში. ერთმანეთს შევეთვისეთ და დაუახლოვდით. ხშირად მასთან მივდიოდი სამჭედლოში და ვეხმარებოდი (ურუს ვურტყამდი გახურებულ რკინაზე). არავითარი კავშირი ნაწილებს შორის (სატელეფონო ხაზი) არ არსებობდა.

თავდასხმამდე სამი დღის წინ, ეს გალუსტა სადღაც გაჰქრა. ძმებმა მითხრეს – თბილისშიაო. როგორც შემდეგ გაირკვა, ის თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილა და ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ მე დამზიგა და გადამარჩინა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, რომ მაღლა, პირველ საგუშაგოზე, იქ, სადაც ძველი ახპატის მონასტრის ნანგრევებია, სროლა ატყდა. ჩემთან ოთახში მცველ ჯარისკაცს ეძინა. მე ის-ის იყო „ომისა და მშვიდობის" კითხვა შევწყვიტე, სინათლე ჩავაქრე და უნდა დამეძინა. სროლის ხმაზე ჯარისკაცი სწრაფად წამოხტა. მეც სასწრაფოდ წამოვდექი, სინათლე ავანთე, ჩავიცვი და ორივე ბანაკისაკენ გავიქეცით.

მონათოვი, გადაწმენდილი ღამე იყო. ყინავდა. ჯარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი სოფლის მარცხენა მხარეზე ბინადრობდა, იმ გორელი ოფიცრის მეთაურობით, რომელიც ზემოთ ვახსენე. მეორე – სოფლის მარჯვნივ და სწორედ მეც იქეთ გავიქეცი.

სახლებს რომ წინ გავურბინე, იქიდან სროლა ასტეხეს. ნაწილში მივიჭერი, ის უკვე იარაღში დამხვდა. პირველ საგუშაგოზე ასვლა დავაპირე, მაგრამ აქედან ზალპის ცეცხლმა სახეში მომანათა. მოვბრუნდი, ნაწილი წამოვიყვანე და ისევ ჩემს ბინასთან მოვედი. ყველა სახლიდან სროლა ისმოდა. მიზანში არავინ ვიყავით ამოღებული, თორემ ბევრის განადგურება შეეძლოთ. ეტყობოდა, სოფელი უკვე დაკავებული ჰქონდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვინ იყო ეს მოწინააღმდეგი – არ ვიცოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით კი ვხედავდი ვილაც უცხო პირებს, სოფელში მომავალთ, რომლებსაც მხარზე გადებული შეკრული შეშის კონები მოჰქონდათ (ალბათ, შიგ თოფიც ჰქონდათ ჩაკრული), ზოგს ჩალა ან ტომრით თივა, მაგრამ მათთვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც არავითარ ხიფათს არ მოველოდი არც მე, არც ლეგიონის ხელმძღვანელობა, არც სარდლობა და არც თვით მთავრობა. დაზვერვის და სიფხიზლის საქმე სრულებით მიძინებული იყო საერთოდ. არავითარი სატელეფონო კავშირგაბმულობა სოფლებსა და ნაწილებს შორის არ არსებობდა.

ერთი პირი აზრში გამიელვა: „იცოდნენ რა, რომ ჩვენ ბემობილიზაციით წასასვლელად ვართ გამზადებულნი, ალბათ, მთებიდან ყაჩაღები ჩამოვიდნენ (მათზე მრავალი ხმები დადიოდა), რომ ჩვენი იარაღი ხელთ იგდონ-მეთქი". ამიტომ ვცდილობდი, რომ სოფელს მოვქცევოდი ზემოდან და მათთვის მთისკენ გასაქცევი გზა გადამეჭრა.

ჯარით ეზოში მოსულს, ერთბაშად გამახსენდა, რომ წუხელ, დაწოლის წინ ორი უფროსი ძმა ევოიანცები ჩემთან ოთახში შემოვიდნენ, კომბოსტოს მწნილი და ნახევარი ლიტრი არაყი შემომიტანეს და დიდხანს მეპატიჟნენ, რომ დამელია, მაგრამ მე არამც და არამც სიახლოვეს არ გავიკარე, არ დავლიე, არ ვინდომე. გამახსენდა რა ეს, გადავწყვიტე, რომ ისინი წუხელ მოგზავნილები იყვნენ. ორივეს მუქარით მივმართე:

– ახლავე მითხარით, რა ხდება სოფელში? კომბოსტო და არაყი, ალბათ, მოწამლული იქნებოდა.

– არაფერი ვიცით, ბატონო ოფიცერო, - შიშისაგან კანკალით მიპასუხეს მათ და თან პირჯვარს იწერდნენ.

ამ დროს ვილაცამ სახლის უკანიდან დაიძახა:

– რამიშვილო! ვიცით, რომ ცუდი ახალგაზრდა არ ხარ. თავს ნუ გაიფუჭებ! ჩაგვბარდი! აგერ, ის გორელი ოფიცერი ჩაგვბარდა თავის ჯარიკაცებით და ეხლა არხეინად ზის სითბოში.

ეს ტირადა მოვისმინე და ვიფიქრე: „როგორ? მე, გიორგის კავალერმა, მოწინააღმდეგეს ჩავბარდე?!. მერე, ვის?!.

– ვინა ხართ თქვენ? – შევძახე მე, – საიდანაც მოსულხართ, იქით წადით! – და რაზმის წინასწარ გაფრთხილების თანახმად, რომ ზალპი ჰაერში ყოფილიყო დამიზნებული, ვუბრძანე, – ბათქი!

ბათქმა ჰაერი შეანძრია. ქოხებიდან შეშინებული ქალების წივილი გაისმა.

– რამიშვილო! ჩვენ ვართ ბოლშევიკები. ჩაგვბარდი შენი ნაწილიანად და გარწმუნებთ, რომ შენს თავზე თმა არ შეირხევა! – ლაპარაკი სუფთა ქართულ ენაზე იყო.

– გიმეორებთ, წადით საიდანაც მოსულხართ. უბრალოდ ერთმანეთს ნუ გავაფუჭებთ. მე სიტყვა და ფიცი მაქვს დადებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს დაცვის შესახებ. ჩემგან ამ პირობის გატეხა არ შეიძლება!

ბნელოდა. არც მოლაპარაკე და არც სხვა ვინმე არ მოჩანდა. იქაური ქვის სახლები ზედიზედ მიჭეჭყილია ერთმანეთზე. კიდევ ხმა:

– რამიშვილო! შენი და ჩვენი სამშობლო ერთია. საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლება დამყარდება. შენს ძალადობას შინაარსი არ აქვს! თუ არ გჯერა, გაიხედე სხვა სოფლებისაკენ!

ახპატი სხვა სოფლებს მაღლიდან დაჰყურებს. მე გავიხედე და დავინახე, რომ ირგვლივ იგივე სროლა და ხმაურია, რაც ჩვენთან, ახპატში.

გადავწყვიტე დახევა გზის ხიდთან მახლობელ გვირაბამდე იმ იმედით, რომ სადაცაა გათენდება, ჩვენი ჯავშნოსნები ამოგრიალდებიან და ამათ დედა ეტირებათ-მეთქი. საამისო განკარგულებაც გავეცი. ჭიათურელ მარჯვე ბიჭს თხუთმეტი კაცი მივეცი და ვუბრძანე:

– ა, იმ გაღმა სიბნელეში რომ თოვლიანი გორაკი მოჩანს, იმაზე ახვალ, ჩასაფრდები. როცა ჩვენ მინდვრის ბოლო ნაპრალზე დავეშვებით, სროლას ასტეხ და ნაპრალის თავზე ამათ არ მოუშვებ, რომ თავზე არ წამოგვადგნენ. როცა ჩვენ დავეშვებით და გზაზე გავალთ, ნიშანს მოგცემთ ორჯერ გასროლით. თქვენც დაეშვებით და შემოგვიერთდებით.

ყველაფერი ზუსტად შეასრულა. ჩვენ დავეშვით და გზაზე გამოვედით. ის ჯგუფიც შემოგვიერთდა, მაგრამ ამასობაში გათენდა. თავდამსხმელნი მაღლიდან წამოგვადგნენ, სროლა აგვიტეხეს და ხიდისაკენ წასვლის საშუალება არ მოგვეცა, რომ გვირაბში შევსულიყავით.

მათი სროლა ჩვენთვის უვნებელი იყო, რადგანაც მაღლიდან ირიბად ისროდნენ. კლდეზე ამოფარებულთ ვერ გვხედავდნენ და მიზანში ვერ ამოგვიღებდნენ. ეს იყო, რომ გვირაბისკენ წასვლის საშუალება არ მოგვეცა. გვირაბს-კი, რთულ ადგილზე მოჩიხულნი, ნახევარ კილომეტრზე ვხედავდით მის პორტალს.

ჯარისკაცებს ვახნევებდი:

– ბიჭებო! ამ მდინარის გაღმა ხომ რკინისგზაა? ამ გზაზე სადაცაა ჯავშნოსანი ამოვა და ყველაფერი გათავდება.

სრულიად სველები ვიყავით. ვიჯექით ტყვიების ქვეშ თავდახრილნი და ველოდებოდით ჯავშნოსანს. საშიში იყო ზემოდან ბომბის გადმოტყორცნა.

უეცრად ჩვენსა და ხიდს შუა, შეიარაღებული ხალხის დიდი რაოდენობა ჩამოლაგდა მაღლიდან გზატკეცილზე. პირი ჩვენსკენ ქნა და დაიძრა. რიცხვით ისინი ჩვენზე ორ-სამჯერ მეტი იყვნენ. ყველას ერთნაირი შავი ახალი იაფფასიანი პალტოები ეცვათ. თავზეც ერთნაირი, გაშლილი, ცხვრის ტყავისაგან შეკერილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ მატყლიანი ბოხოხები ეხურათ. გადაცმულობა აშკარად თვალსაჩინო იყო. შებრძოლებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. გავეცი კიდეც განკარგულება იარაღის დაყრის შესახებ. ჩემი კარაბინი ქვის ლოდზე დავახეთქე და იქვე დავაგდე. ისე შებოჭილები ვიყავით, გზაჯვარედინზე რომ საბრძოლველად გაშლა შეუძლებელი იყო.

ჩვენკენ სირბილით მომავალ თოფმოღერებულ ხალხს, ვიღაცა წინ გადაუდგა და ხელების გაშლით და ნაგანის ქნევით აჩერებდა მათ. მე ორჯერ გავიგონე ჩემი გვარი ამ ხალხში წამოძახებული. გზაზე ვიდექი ჩემი რაზმის თავში, გვერდის ჯიბეში „ბრაუნინგი“ მედო.

ამ „ვიღაცამ“ ეს ხალხი გააჩერა და ბრძანების კილოთი, ხმამაღლა რაღაც სომხურად უბრძანა. ეტყობოდა, რომ ის თაოსნობდა იმ ხალხს. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა, თითქმის ზედვე მოსული და ისევ ხელებგაშლილი ჩამეხვია...

მე თავი უკან გადავწიე, რომ კარგად დამენახა და მეცნო, ვინ მეხვეოდა ასეთ დროს და ასეთ ალაგას! დავაკვირდი და... ეს კაცი ჩემი მასპინძელი გალუსტა-მჭედელი აღმოჩნდა...

გალუსტამ განკარგულება გასცა ისევ მაღლა, სოფელში ავეყვანე, ტანზე მშრალის ჩაცმის საშუალება მიეცათ და ვესაუზმებინე. ჯიბიდან ბრაუნინგი ამოვიღე, რომელიც აწი აღარ მჭირდებოდა და გალუსტას ვუსაჩუქრე. ახპატში ავედით, ტანზე მშრალი ჩავიცვი, მაგრამ ის ლეკური შალის თეთრი ბლუზა, შავი ღრიკილოს შესაბნევით, რომელზეც „გიორგი“ მქონდა მიბმული, არსად აღარ აღმოჩნდა. შემდეგ ერთ-ერთი ძმა ევოიანცი მომიახლოვდა და მუნჯურად მანიშნა: „ის შენი ჯვარი ჩემთან არისო“. შემდეგ მე ის არასოდეს აღარ მინახავს. რვა თვის შემდეგ რომ მოსკოვიდან დავბრუნდი, დავაპირე ახპატში ასვლა, მაგრამ რაღაცამ ხელი შემიშალა და ჩემი განზრახვა დარჩა განუხორციელებელი. მას შემდეგ გასულია 50 წელი (1921-1971).

ასე დამთავრდა ახპატის ბრძოლა, და არც შემდგომ ლეგიონის მეთაურს, ფურცელაძეს და არც სხვა ვინმე ხელმძღვანელს, რამედ ღირებული დახმარება, განკარგულება, მითითება არ მოუცია. ძალების არავითარ კოორდინაციას ადგილი არ ჰქონია.

მეხუთე ლეგიონზე თავდასხმა ერთსა და იმავე საათში მოხდა. ახპატის გარნიზონის გარდა, პირველსავე მომენტში ყველა სოფლებში მდგომი ლეგიონის ნაწილები იარაღაყრილი და დატყვევებული იქნა; რაც ფურცელაძის უმოქმედობის შედეგი იყო. მეკი ბრალად დამედო სისტიკი წინააღმდეგობის გაწევა და მოსკოვი, ბუტირკა მომატარეს, რასაც ქვემოთ ვნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკის უფროსი ფურცელაძე

ფურცელაძე, თავის შტაბით, თავდასხმის პირველსავე მომენტში გამოქცეულა და შიშით გულგახეთქილს ტყე-ღრესთვის მიუცია თავი. არ მჯერა, რომ ის თავდამსხმელთ უთანაგრძნობდა და ამიტომ გამოიჩინა სირბილე. ის ლაჩარი იყო.

შემდეგში, როდესაც ჩემი კვალის ნიშანწყალი დაიკარგა და ნინა გაშმაგებული აქეთ-იქით ეხეტებოდა და რომ ჩემს შესახებ რამე გაეგო, ფურცელაძესთან მისულა და ცნობა მოუკითხავს. მას უთქვამს.

– კარგი რომ დაიკარგა, თორემ პასუხისგებაში წავიდოდა ტყვედ ჩავარდნისათვის.

ვითომ აი, მე რა ვაჟკაცი ვარ, გამოვიქეცი. ვისგან უნდა წავსულიყავი პასუხისგებაში?! არ მესმის!..

ნინა ისეთი ქალი არ იყო, რომ შეურაცყოფა გადაეყლაპა ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო ის და უპასუხა:

– ბატონო ფურცელაძევ! ჯარისკაცების გადმოცემით მე გაცილებით მეტი ვიცი ქმრის მიერ გაწეული ბრძოლის შესახებ, ვიდრე თქვენ, მისმა მეთაურმა უნდა იცოდეთ. თქვენ რომელი ბრძოლით შეგიძლიათ იამაყოთ? შიშისაგან თავზარდაცემულმა, შულავერის ტყეში მიმალულმა, მტერთან შეტაკების ნაცვლად კურდღელივით რომ გამოიპარეთ ბრძოლის ველიდან?

ეს ნინამ მიამბო ჩემი დაბრუნების შემდეგ. ამ თქმით, ფურცელაძეს სახე გვერდზე მოღრეცია და მიცვალებულის ფერი მიუღია...

ტყვეობა

გალუსტას განკარგულებით, ჩემი ჯარისკაცებიანად ისევ ახპატში ამიყვანეს. წამხდარ საქმეზე მე კმაყოფილებას ვგრძნობდი იმით, რომ არავინ არ დამარცხებულა არც ჩემს და არც იმათ მხარეს. შუადღეს გადაცილებული იყო, როდესაც სოფელში ამოვედი. სხვა სოფლებიდან მეხუთე ლეგიონის ნაწილები ჩემს ასვლამდე, ღამითვე აქ ამოეყვანათ და მოეთავსებიათ ოფიცერი ცალკე და ჯარისკაცი ცალკე.

ჩემი ბინის გვერდზე იდგა პატარა ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული სახელდახელოდ შექმნილმა „რევკომმა“ დაიკავა. ზედა სართულში ამიყვანეს მე. იქ დამხვდა „ნეიტრალური ზონის“ ადმინისტრაცია: გერმანე (გვარი არ მახსოვს) და ერთი ახალგაზრდა მილიციელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ „ადმინისტრაციის“ მიმართ, წინა დღეებში დიდი საყვედური მსმენია მოსახლეობისაგან, მათი უსაქციელობის გამო. მე არც ერთ იმათგანს არ ვიცნობდი, მაგრამ თანდათან ვიგრძენი, რომ საქმე სერიოზულია.

როცა გავიგე, რომ ყველანი ახპატში მოუყვანიათ, ჩემი გამოცალკევება არ მომეწონა და ფანჯრიდან გადავძახე გალუსტას (ამასობაში ის ახპატში დაბრუნდა თავის რაზმით):

– მე რატომ სხვა ოფიცრებთან არ ვარ?

– ცოტა ხანს მაქ იყავი, – მიპასუხა მან.

ის ქართულად კარგად ლაპარაკობდა.

ჩემთან მყოფი „სამეული“ ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდა. შარვლების უბიდან (და არა ჯიბიდან) ბლომად ფულები ამოიღეს და გადაალაგ-გადმოალაგეს. ამ მოქმედებამ მომაგონა, რომ მე კაპიკი არ გამაჩნია, რადგანაც სოფელში დაბრუნებისას ჩემი ბარგი და ფულიც დატაცებული დამხვდა.

იმ ღამეს ევოიანცის მეზობელმა ვახშამი ამომიტანა. იმანაც მაგრძნობინა, რომ „სამის“ საქმე კარგად არ იყო. ის ღამე თითქმის უძილოდ გავატარე. დილას ქვედა სართულში რაღაც ჩურჩული და ჩოჩქოლი ატყდა. დიდ ხანს იხმაურეს. შემდეგ ვიღაც ამოვიდა და რამიშვილი გომოიძახა.

– თქვენ გადახვალთ სხვა ოფიცრებთან, – მითხრა მან.

გადავედი. ამ ოფიცრებიდან ბევრს ვიცნობდი და ბევრი უცნობი იყო ჩემთვის. სულ ოცდაათამდე ვიყავით.

ნაშუადღევს გამოგვიყვანეს, დაგვაწყვეს ცალ-ცალკე ოფიცრები და ჯარისკაცები, გამოგვიძღვენ და წამოვედით. ახპატს რომ ცოტა გამოვცდით, უკან რამდენიმე ბათქის ხმა შემოგვესმა. როგორც გზაშივე გავიგეთ, ნეიტრალური ზონის სამი მოხელე დაეხვრიტათ.

ათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ვიღაც ცხონოსანი სამხედრო პირი შემოგვხვდა (ჩეკისტი).

– *Кто здесь Рамишвили?* – იკითხა მან.

– *Я!* – ვუპასუხე მე.

ამხედ-დამხედა. უბის ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა და გაგვშორდა. იმ ღამეს რომელიღაც სოფელში მიგვიყვანეს და პაწაწინა ოთახში შეგვყარეს ერთად ყველა ოფიცერი. ფეხებდასველებულნი, სასტიკად დაღლილნი და მშიერნი ვიყავით.

ვიღაც იქაური მცხოვრები შემოვიდა. ჭრაქის სინათლეზე შეგვათვალიერა და ჩემზე მცველების უფროსს უთხრა რუსულად:

– ამას სახლში წავიყვან და დილით ისევ ჩაგაბარებ.

მცველი დაეთანხმა. წამიყვანა. მე ახლაც არ ვიცი ვინ იყო ეს მადლიანი ადამიანი. სახლში აგუზგუზებული ბუხრის წინ დამსვა, სველი ჩექმები და ბუშლატი გამხადეს და გააშრეს, ფეხები დამითბილეს, მავახშმეს და მომასვენეს. დაწოლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსაცმელი და ტანსაცმელი წაიღეს და მეორე ოთახში შეინახეს, სიფრთხილის დაცვის მიზნით, რომ არ გავპარულიყავი.

მეორე დილით ყაზარმაში მიმიყვანეს. ივრძნობოდა, რომ საომარი მოქმედება უკვე დაწყებული იყო. ჩვენი, ანუ თბილისის მხრიდან ზარბაზნების განუწყვეტელი გრიალი მოისმოდა. თბილისზე მიმავალი XI არმიის „ობორვანცები“ ბრბოს წარმოადგენდა, თავის გარეგნობით და ჩაცმულობით: დახეულ-დაფლეთილ-ჭუჭყიან ტანსაცმელში, ფეხშიშველნი, ზოგს ცალფეხზე რაღაცა ეცვა და მეორე „ობმოტკებით“ ჰქონდა შეხვეული ტერფიანად, უმეტესობა თავშიშველნი, გაუკრეჭავნი, გრძელი, ჭუჭყიანი ჯაგრით, სახეზე მური, წელზე თოკი ქამრის მაგიერ, შაშხანებიც თოკით გადაკიდული...

არავითარი სამხედრო წყობა, გაუგონარი სიმყრალის სიტყვები და ლაპარაკი...

მოდიოდნენ გზატკეცილებით, რკინისგზით, საბარგო ვაგონებში დატვირთულნი. ვინ უფროსი – ვინ უმცროსი, ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. გეგონებოდათ, რომ მთელ ამ მასას რაღაც მყრალი სუნი ასდისო...

აზერბაიჯანის დასავლეთი ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს საზღვრებამდე ჯერ მიღწეული არ იყვნენ, გარდა იმ გადაცმულებისა, რომლებმაც წუხელ ჩვენ დაგვესხნენ თავს...

ხან მოეჩვენებოდათ, რომ ქართველები წინ მოიწევენ თავის ქვემეხებით და „მაქსიმკებით“... მაშინ მოწინავენი შიშით რეტდასხმულნი მობრუნდებოდნენ, უკანნანთ წალეკავდნენ და ყველა ერთად გარბოდა უკან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. ასე ხდებოდა რკინისგზაზეც. იყო ლაწა-ლუწი, ორთქმავლების საშინელი ღრიალი და ხმაური... ვაგონებიდან გამოცვენილი ხალხი ისევ დარეტიანებული გარბოდა უკან...

შემდეგ, შორს, რაღაცა ძალა ისევ შეაჩერებდა მათ, დაწყნარდებოდნენ და ისევ იმავე წესით წამოვიდოდნენ საქართველოს მხარეს. არავითარი დისციპლინა მათ რიგებში არ იყო. თითოეულ მათგანს, კალიას ჯოგივით მოერეკებოდა შეპირებული ნადავლის მოლოდინი... როგორმე მშიერი კუჭის გამოვსების ოცნება...

ვხედავდი ამ საშინელებას, მაგრამ მე უღონო ვიყავი რამე გამეკეთებია. ლეგიონის ოფიცრებზე და ჯარისკაცებზე ჩამოშორებული, ეკონომიურ მდგომარეობის გარდა, მორალურად ვიტანჯებოდი... საქართველო! ჩემი ოჯახი! ნინა! ჩემი პატარა ბიჭი!.. საქართველოვ! რამდენჯერ მტრის კლანჭებიდან გამოგლეჯილო! რა მოგელის!.. ნუთუ ეს ამღვრეული გუბე დაიგუბებს შენს წმინდათა წმინდა მიდამოებზე!.. ასეთი გაწამებული აზრებით ვიყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეპყრობილი იმ დღეებში... ირგვლივ მყოფთა სახეზე მსჯელი ამომეკითხა, თუ რა ხდებოდა...

XI არმიის სარდლობა ჩანდა, არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს მიზნის მისაღწევად. ჯერ ბაქოში არ ვიყავი ჩაყვანილი, რომ ყური მოვკარი ასეთ ცნობას: „ქართველებმა „ესენი" ათი ათასამდე გაჟლიტეს გუშინ შულავერთან, მაგრამ ვერ აუთავდნენ ხოცვას და ისევ უკან დაიხიესო".

მეორე დღეს ერთი ჩვენი მცველი ხმადაბლა ეჩურჩულებოდა მეორეს: „წითელ ხიდთან და სადახლოსთან დიდი მარცხია; რამდენიმე ათეული ათასი „ესენი" დახოცილია, მაგრამ „ესენი" მაინც წინ მიდიანო" (მცველები ქართველები იყვნენ).

ბაქოში XI არმიის საგანგებო განყოფილებაში რომ მიმიყვანეს, ერთი ქართველი ჩეკისტი ეუბნებოდა მეორეს: „კოჯორთან იცი რა მომხდარა? ქართველ ჯარს, იუნკერებით სათავეში, დღე-ღამის განმავლობაში უჟლეტია ჩვენები და კინაღამ უკან გამოუქცევიათ, მაგრამ ჩვენებიც ტალღა-ტალღაზე დაუსრულებლად გადადიოდნენ და ქართველების ტყვიებით მიწაზე სამუდამოდ წვებოდნენ".

იქვე XI არმიის საგანგებო ნაწილში გავიგე, რომ ქართველები ვერ აუთავდა „ამათ" ჟლეტას კოჯორთან და თბილისზე დაიხიესო...

აი როგორ „ევედრებოდა" საქართველოს მოსახლეობა მოსკოვს XI არმიის მოვლინებას და ჟორდანიას მთავრობისაგან დახსნას!..

XI არმიის „ლეგენდარული" სარდალი პანკრატოვი (ასე მოიხსენიებს მას თანამედროვე ბოლშევიკების პრესა) წითელარმიელთა გვამების ზურგებზე მოაბიჯებდა დიდი სიფრთხილით საქართველოსაკენ...

მაგრამ ჩემი მოსკოვში „მიჯანჯღალების" და სახლში დაბრუნების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი განცდები და შიში არ ყოფილა მთლიანად საფუძვლიანი. კარგად დამხვდა ჩემი ნინაც, ჩემი ბიჭიც და ყველა ახლობლებიც, მხოლოდ ჩემს საქართველოს და მის დამოუკიდებლობას დიდი სიმძიმის უღელი დადგმია კისერზე... *"Над Тифлисом реет красное знамя коммунизма"* – ასეთი მაღალფარდოვანი გონორით აუწყებდა ს. ორჯონიკიძე მოსკოვს საქართველოს დამოუკიდებლობის გაცამტვერებას 1921 წლის გაზაფხულზე...

***

ყაზახში 14 იანვარს მოვედით მეხუთე ლეგიონის მეომრები ყველა ერთად. იმ ღამეს და მეორე დღესაც ყაზახში ვიყავით განცალკევებულად ოფიცრები და ჯარისკაცები.

მე ვიღაც მოხელემ (ჩეკისტმა) გამომიძახა და საკმაოდ უხეშად მკითხა:

– რა არის ეს? – და მაგიდაზე დახვავებულ ა[illegible] ქაღალდების გროვაზე მიმითითა.

– მე საიდან უნდა ვიცოდე, თქვენ რა გიყრიათ მაგიდაზე? – კითხვაზე ვუპასუხე.

– რას აკეთებდით ლეგიონში?

– რა უნდა გააკეთოს ოფიცერმა ლეგიონში?

– ჰმ... მინისტრ რამიშვილს იცნობთ?

– ვიცნობ.

– რა არის თქვენი?

– ჩემი მეგვარეა. რამიშვილი ბევრნი ვართ.

– კიდევ ვის იცნობთ?

– ათასზე მეტი იქნება ყველა ჩემი ნაცნობი რამიშვილი.

– კედიას იცნობ?

– ვიცნობ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო განყოფილების უფროსია.

– რას აკეთებს?

– ეს არ ვიცი.

– ამას იცნობთ?

მოვიხედე და კუთხეში უზარმაზარი ტანის ახმახი აზერბაიჯანელი კაცი იდგა.

– ჩემს დღეში არ მინახავს ეს კაცი.

– თქვენ რამიშვილი ხართ ხომ?

– დიახ, – ვთქვი მე.

იქვე მდგომ არმიელს მიუბრუნდა:

– წაიყვანეთ ორივე და „იქ" დაამწყვდიეთ.

მეც და ეს აზერბაიჯანელი წაგვიყვანეს და რომელიღაც ბოსელში შეგვყარეს. ბოსელში ბნელოდა, ციოდა, ყარდა. აღმოჩნდა, რომ თათარს არ ესმოდა არც ქართული, არც რუსული. ის ღამე იმ ბნელ, ნესტიან ბოსელში გავათენე, ძლიერ შეწუხებულმა სიცივისაგან.

როგორც იქნა გათენდა. ტყვეები, ოფიცრები და ჯარისკაცებიც ქუჩაში იდგნენ სამხედრო წყობით ოთხმწკრივად დაწყობილნი. ჩვენც გამოგვიყვანეს ბოსლიდან. ტყვეებს ერთი იარაღიანი არმიელი წინ მიუძღოდა, ერთი უკან. ჩვენ ორსაც (მე და თათარს) ორი მცველი მოგვიყენეს. აზერბაიჯანელს ხელები უკან გაუკრეს და გზას გავუდექით. დიდხანს ვიარეთ და დაღლილ-დაქანცულნი და მშივრები ყაზახიდან აკსტაფის რკინისგზის სადგურში მოვედით 16 იანვარს.

ვისაც ფული ჰქონდა, გზაში რაღაცას ყიდულობდა და იოლად გადიოდა. მე გროში არ გამაჩნდა. სხვა ოფიცრებსაც მოცილებული ვიყავი, რომ ვინმესგან ფული მესესხა.

აკსტაფის სადგურზე დაგვაბანაკეს. ჩვენ ორი ცალკე ვიყავით. დიდი ფიქრის შემდეგ, მცველს მივმართე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ბუფეტში უნდა შევიდე და მომყევი.

წამყვა. ბუფეტში ალალ-ბედზე შევედი. ერთ მომუშავეს, „ბუფეტჩიკს“ მივმართე:

– მგონი ქართველი ხართ. მე ქართველი ტყვე ოფიცერი ვარ. სად მივყევარ, არ ვიცი. გროში არ გამაჩნია. თუ ვაჟკაცი ხარ, ცოტა ფული უნდა მომცე. თუ ცოცხალი დავრჩი, ვეცდები გადაგიხადო. რამიშვილი ვარ. თბილისში აქა და აქ ვცხოვრობ.

მებუფეტე დამაკვირდა. უბის ჯიბიდან ფული ამოიღო და მომცა. დაუთვლელად ჯიბეში ჩავიდე.

– გშიათ?

– კი.

ბუტერბროდები მოგვცა მეც და მცველსაც. წამოვედი, აკსტაფაში „ტეპლუშკაში“ ჩაგვსვეს და ბაქოსკენ გაგვაგზავნეს. ის აზერბაიჯანელი შემდეგ არსად აღარ მინახავს. არც სხვა ტყვეები მინახავს, მაგრამ გავიგე, რომ ბაქოდან ისინი გაანთავისუფლეს და თბილისში დაბრუნების ნება მისცეს.

მე, მარტოდმარტოს, XI არმიის „საგანგებო განყოფილებაში“ ამომაყოფინეს თავი.

ეტაპით როსტოვამდე

ბაქოს საგანგებო განყოფილებაში დიდხანს არ დავრჩენილვარ. დამკითხეს, „საქმე“ შეადგინეს და მოსკოვის „ვეჩეკაზე“ მიმაწერეს. XI არმიის საგანგებო განყოფილებაში აუარებელი ხალხი იჯდა. უმეტესობა სომხეთის ოფიცრები იყვნენ. ჩემი მიყვანის უმალ, ჩემთან ორი სომეხი გენერალი მოვიდა და საქართველოს მდგომარეობაზე მეკითხებოდა. მე მოკლედ ვუამბე, რაც ვიცოდი. იმათ ხელები ჩაიქნიეს და წავიდნენ.

როგორც აქ მიამბეს, დამპყრობლებს, სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ასეთი „საქმე“ გაუკეთებიათ: ყველა სომეხი ოფიცრისთვის გამოუცხადებიათ, რომ ვითომ აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, ისინი უნდა შეკრებილიყვნენ ერთ დანიშნულ პუნქტზე ერთსა და იმავე დროს. ვადა მიუციათ სამი დღე. შეგროვილან. შემდეგ ალყა შემოურტყამთ, დაუპატიმრებიათ და ყველა ბაქოში ჩამოურეკიათ. ამიტომ იყო ბაქოს საგანგებო განყოფილება გადატვირთული სომეხი ოფიცრებით.

ამის შემდეგ, 20-25 იანვარს ეტაპი შეადგინეს და ოციოდე კაცი ბაქოს რკინისგზის სადგურისაკენ წაგვიყვანეს. ამ ხალხში ხუთი სომეხი ოფიცერი იყო, სომხეთის ჯგუფიდან. ჩემი ხნისანი იყვნენ. საბარგო ვაგონში შეგვყარეს და კარებზე მცველი დააყენეს. ბაქოდან სწრაფად დაგვძრეს და ბალაჯარაში დიდხანს გავვაჩერეს.

ეტყობოდა, რომ საქართველოსთან საქმე კარგად
მიუდიოდათ და წინ ძნელად მიიწევდნენ. ძლიერ დაღვრემილ და
მოდუნებულ ხასიათზე ვიყავი. ამასობაში ვიღაცამ საბარგო ვაგონის
კარებში თავი შემოჰყო და ჩემი გვარი იკითხა. „ნეტავი ვინ ოხერია,
ან რა უნდა ჩემგან?“ – ვიფიქრე მე. და ხმა არ გავეცი. მან ჩემი
გვარი კიდევ გაიმეორა. მცველს რაღაც ჩურჩული დაუწყო (მცველი
ქართველი იყო). მან ჩემკენ გამოიხედა და მკითხა:

– კაცო, რამიშვილი თქვენ არა ხართ?

– ვარ, ვარ! მერე, რა გინდათ ჩემგან?

– აქეთ მოიწით, პატივცემულო, – თქვა მოსულმა.

კართან მივედი.

– გამარჯობა თქვენი, – მითხრა მან.

– გაგიმარჯოთ! რა გნებავთ?

– თქვენს შესახებ მე ყველაფერი ვიცი. მე ქუთაისელი
გრიგოლია ვარ და სანახევროდ მოსკოვში ვცხოვრობ. თქვენც
მოსკოვში გაგზავნიან. ნურაფერზე წუხართ. იქ მე თვითონ
მოგძებნით. ჯერჯერობით ეს მიიღეთ და შემდეგ ვნახოთ.

ვაგონში ერთი დიდი კალათი შემოდგა სანოვაგით სავსე და
ერთი დასტა საბჭოთა ფული, სამ-სამმანეთიანები (ასი ცალი)
გადმომცა.

ზღაპრულ მოვლენას ჰგავდა ყოველივე ეს. საჩუქრები დიდი
მადლობის თქმით მივიღე.

– ეცადეთ მოსკოვში მოხვდეთ! – მითხრა მან გამოთხოვებისას.

ორთქლმავალმა ჩვენი საბარგო ვაგონი ჩრდილოეთისაკენ
დასძრა. ამ მომენტის განცდა ძნელი იყო... უკან მრჩებოდა ალში
გახვეული საქართველო და ღვთის ანაბარად მიტოვებული ცოლ-
შვილი. ჩვენი ვაგონი სხვა გრძელ ეშელონს მიუბეს.

თევზივით, დინებას მივენდე და გრიგოლიას სიტყვებით
გამხნევებულს, მწამდა, რომ სადმე გამოვირიყები, ოღონდ
ძალღონემ არ მიღალატოს-მეთქი, – ვფიქრობდი.

სომეხ ოფიცრებთან მეგობრობა გაიბა. გრიგოლიას მიერ
ჩემთვის მოძღვნილ სანოვაგით თანაბრად ვსარგებლობდით. ერთ
მათგანს ჰამო ერქვა, მეორის გვარი ჟახიანი იყო, დანარჩენი სამის
-არ მახსოვს. მგონი, ერთ-ერთი მარტიროსოვი იყო.

აუწერელი იყო ჩვენი მგზავრობა. სიბინძურე, უხეშობა,
შიმშილი, სიცივე, გაჩერების ადგილებზე საშინელი სინესტე.
პირდაპირ ტალახიან სარდაფებში ვეყარეთ. ჩვენი საჭმელი იყო
აყროლებული სელიოდკა. ბალაჯარიდან როსტოვამდე მგზავრობას
მოვუნდით თხუთმეტი დღე. სამ ალაგას წუმპიან სარდაფებში
ვიყავით შეყრილი. იგულისხმებოდა, რომ ჩვენ ადამიანები აღარ
ვიყავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტოვში

როგორც იქნა, როსტოვს მივაღწიეთ. თოვდა. მესამედი მარტი გასული იყო, მაგრამ მაინც მაგრად ყინავდა. რომელიღაც ეკლიან მავთულით შემორაგვულ ეზოში პირუტყვებივით შეგვრეკეს. ეზოს შუა ერთი პატარა ბარაკი იდგა და ყველა აქ აფარებდა თავს. ამ ერთსართულიან სახლში შევიჭედე მეც, მაგრამ შემდეგ გასაქანი ვეღარ ვიპოვნე. ფეხზე მდგარი ხალხის გროვა ერთ მთლიან მასას წარმოადგენდა. ნარებზე, ნარების ქვეშ, ნარებს შორის სულ ხალხი იყო. აუტანელი სიმყრალის სუნი იდგა. რომელიმე ჯგუფი, რომელიმე კუთხეში დიძვროდა და მთელი ეს მასა მოძრაობაში მოდიოდა და მისდა უნებურად ქანაობდა.

ნარების ქვეშიდან ყოველ დილით რამდენიმე მკვდარს გამოათრევდნენ და დიდი გაჭირვებით გარედ გაჰქონდათ, თავების ზევით ხელიდან ხელზე გადაცემით. გამკითხავი არსად ჩანდა.

საპირფარეშოს ორმო გარეთ, ეზოში იყო. იქ გასვლა და შემდეგ შემოსვლა უბედურებად მიიჩნეოდა.

ბალაჯარაში მადლიანი გრიგოლიას მიერ გადმოცემული სანოვაგე „ნახლებნიკების“ წყალობით, დიდი ხანია გათავდა და ჩემი საქმე ძლიერ ცუდად მიდიოდა. აქ, ამ შეპყრობილების კვებაზე არავინ ფიქრობდა და ხალხი შიმშილით იხოცებოდა.

ერთ დღეს ამ „სასიკვდილო ბარაკიდან“ ორასი კაცი სადღაც გაგზავნეს ეშელონით და ჩვენთან ოდნავი შეღავათი გაჩნდა. ნარზე დასაწოლი ადგილი ვიშოვნე. ახლოს მოიკალათეს სომეხმა თანამგზავრებმაც, მაგრამ იმათ საქციელმა ძლიერ განმაცვიფრა და ბოლმა ამიშალა. საქმე ასე იყო: ორასამდე კაცის გაყვანის დღეს, ერთმა ამ სომეხთაგანმა მიიღო „პერედაჩა“ როსტოვის მცხოვრებისაგან. როგორც თვალი მოვკარი, სანოვაგე საგრძნობლად ბლომად იყო. ისინი მაშინვე ცალკე მიიკუჭნენ და ჩემსკენ აღარ იხედებოდნენ.

შიმშილი თურმე ადამიანს ართმევს სირცხვილს, სინდისს, ნამუსს, ადამიანობას და პირუტყვად აქცევს მას. თუ არა ეს, თანამგზავრ სომეხ ოფიცრებს არ უნდა დავიწყებოდათ ჩემგან მიღებული დახმარება...

ერთ დღეს საპირფარეშოს ორმოზე ვიყავი გასული. უეცრად ძახილი შემომესმა. ვიღაცა ჩემს გვარს იძახდა ეკლიანი მავთულის ხლართის გარედან. მივიხედე, მაგრამ ვინც მეძახდა ვერ ვიცანი. მისვლა და მიახლოვება არ შეიძლებოდა, რადგანაც მცველს შეეძლო ესროლა.

– რამიშვილი, გამაგრდი, არ შეშინდე! ამ დღეებში აქედან გაგიყვანთ. ეს სანოვაგე მიიღე და მხნედ იყავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშაგმა ამ „მოვლენილს“ კალათი გამოართვა და გადმოიღო. კალათში „ბუხანკა“ პური, მოხარშული ხორცი და „მახორკა“ იყო. დღესაც არ ვიცი, ვინ იყო ეს კაცი, ან საიდან იცოდა მან ჩემი არსებობის შესახებ. დიდი ხნის შემდეგ, მოსკოვში, გრიგოლიას რომ შევეკითხე, არც მან იცოდა არაფერი. ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო ახპატის ჯგუფის ოფიცერი, ბაქოში განთავისუფლებული.

ნადავლით დავბრუნდი და სწორედ ამ ნადავლმა შემინარჩუნა სიცოცხლე.

გზა მოსკოვამდე

მარტი ილეოდა. თოვლჭყაპიანი დღეები და სიცივე იდგა. ტანზე მსუბუქად მეცვა. ზემოდან ჩასაცმელი ქართული ქეჩის „ბუშლატი“ შემრჩა ახპატიდანვე. მკბენარებით გავსილი ვიყავი. თმა, წვერი და ულვაშები ისე გამეზარდა, რომ ვინმე ჩემიანი შემხვედროდა, ვეღარ მიცნობდა.

ვორონეჟის ციხეში რამდენიმე დღე გაგვაჩერეს და შემდეგ მოსკოვში ჩავედით. ზუსტად ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბაქოდან წამოვედით.

მოსკოვში სადგურზე რომ გადმოგვტვირთეს, სრულიად შემთხვევით გრიგოლიაც იქ ყოფილა და მიცნო (ეს მან შემდეგ მიამბო). კვალდაკვალ გამოგვყოლია; ჩვენ ჯერ რომელიღაც ციხეში (მგონი ტაგანის) გაგვატარეს, უმეტესობა იქ დატოვეს, მაგრამ ზოგი და მათ შორის მეც ისევ მოგვაბრუნეს და „ვეჩეკაში“ მიგვიყვანეს, მაშინდელ ლუბიანკის მოედანზე. გრიგოლიაც აქ მოგვყოლია, მაგრამ მე ის არსად არ შემიმჩნევია.

"ВЧК" ანუ *"Всероссийская чрезвычайная комиссия"*-ში გადაგვარჩიეს და სამი-ოთხი კაცი ბუტირკის ციხეში გაგვაგზავნეს. რის მიხედვით ხდებოდა ეს გადარჩევა ასე სწრაფად, ამაზე წარმოდგენა არ მაქვს.

უკვე დაღამებული იყო, როცა ბუტირკაში მივედით. თოვდა. გრიგოლია დარწმუნებულა, რომ ამას იქით არსად წამიყვანდნენ და სახლში წასულა.

გრიგოლია ჩემს ილბალზე ყოფილა ქვეყანაზე გაჩენილი. ისაა, რომ სამაგიერო პატივისცემა მე მას ვერსად ვერ გადავუხადე. მისი გზაკვალი დავკარგე, რაც ძლიერ საწყენად მიმაჩნია..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუტირკა

ეს ციხე, ანუ საპყრობილე, პატარა ქალაქს წარმოადგენდა. იქ იყო მამაკაცთა განყოფილება, ცალკე და დედაკაცთა კიდევ ცალკე. გარკვეულ საათზე, რანაირი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, გარეთ ვეებერთელა ეზოში ერთად სეირნობდნენ მამაკაც-დედაკაცები ერთ საათს, რა თქმა უნდა, „ნადზირატელების“ მეთვალყურეობის ქვეშ.

ახლაც კარგად მახსოვს, თოვლიან დილას ეზოში – მოსეირნე პატიმრები, რომელთაც მე მეორე სართულის ფანჯრიდან ვუცქერდი. „კარანტინში“ ვიყავი და ასე უნდა გამეტარებია თოთხმეტი დღე. არც მაინტერესებდა სეირნობა. სეირნობის ხასიათზე არ ვიყავი.

გვიანი იყო, როცა კამერაში შემიყვანეს. იქ 4-5 კაცი დამხვდა. საკანი-კი 25 კაცს იტევდა, მაგრამ მეორე დღეს ეს საკანი შეივსო. ჩემი მისვლის წინ ცარიელ საკანში, ალბათ, მორეცხვის მიზნით, იატაკზე წყალი დაესხათ და ეს წყალი გაყინული იყო. საწოლები – რკინაზე გადაჭიმული ბრეზენტი იყო, რომელიც კედელზე იკეცებოდა. არავითარი ქვეშაგები. საშინლად დაღლილი ვიყავი, საწოლი გადმოვკეცე და ბრეზენტზე წავწექი. ჩემი ბუშლატი წავიხურე და მშიერმა მკვდარივით დავიძინე დატილულ ბუშლატის ქვეშ.

შიმშილი და მკბენარები ძლიერ მაწუხებდნენ. შველას არსაიდან მოველოდი. გადავწყვიტე, რომ ჩემი დღეები დათვლილია. ჯერ მაინც ცოცხალი ვიყავი და უნდა მეღონა რამე...

ჩვენთან ვიღაც მოსკოველი ეგოროვი იჯდა. მას თითქმის ყოველდღე სახლიდან სანოვაგე მოსდიოდა და თავს კარგად გრძნობდა. გათამამებულმა იმით, რომ ისიც ოდესღაც ოფიცერი ყოფილა, ვთხოვე:

– კოლეგა! თქვენ ჩემს მდგომარეობას ხედავთ. შიმშილით სიკვდილი უნდა ამაშოროთ, ცოტაოდენი სანოვაგე გამომიყავით...

მან სხვადასხვა მიზეზები მოიყვანა და უარი თქვა. ეს ჩემთვის სულ გამანდგურებელი იყო. ჯერ თქმაზე რა განვიცადე და ახლა უარი!.. სხვებიც ჩაერიენ ამ საქმეში და სცადეს ეგოროვის მოლბობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მკბენარებთან ბრძოლაშიც ბევრი მეხმარებოდა, მაგრამ არც ამით გამოდიოდა რამე.

მაგრამ... მოხდა ისე, რომ ეს ეგოროვი ჩემი „თხოვნის“ ორი დღის შემდეგ გაათავისუფლეს. მან იმავე დღეს შემომიგზავნა ორ კილომდე მოხარშული ხორცი და ერთი „ბუხანკა“ პური. ეს, ალბათ, სინდისის ქეჯნის შედეგი იყო.

მივადექი და ერთ ჯერზე ნახევარი გავათავე. საღამოს სიცხე მომცა. ციხეში იმჟამად ტიფი იყო გავრცელებული და ამის შიშით საკაცით ციხის საავადმყოფოში წამიღეს. აქ ტანზე ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხადეს და გაგზავნეს დეზინფექტორში, მერე რაღაც ბინძურ აბაზანაში მაბანავეს, კუჭი გამიწმინდეს, თმა გამკრიჭეს, წვერი გამპარსეს და ორ-სამ დღეს ლოგინში მამყოფეს. სიცხე დავარდა. მკბენარებიდან გავთავისუფლდი და თავისუფლად ამოვისუნთქე. რამდენიმე დღის შემდეგ სანიტარულ კორპუსში გადამიყვანეს, სადაც ნაავადმყოფები ტუსაღები იყვნენ თავმოყრილნი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს სახელზე შემოიტანეს უზარმაზარი „პერედაჩა". ოთხი დიდი ოვალური კალათი სავსე იყო ყოველგვარი ნივთებით. აქ იყო სანოვაგეც, საცვლებიც, თამბაქო, სიგარები, სიგარეტები და ბევრი სხვა რამე. ორმოცი ცალი ქართული თონის პური, ოთხი მოხარშული დედალი, ოთხი კილო დაპრესილ ქაღალდში შეხვეული კარაქი, შაქარი და სხვა.

აგზავნიდა სრულიად უცნობი, ვინმე ნიჟარაძე. როგორც შემდეგ გავიგე, ესეც გრიგოლიას ნამოქმედარი იყო. მოსკოვში შემთხვევით ჩემი შეხვედრის და „დაზვერვის" შემდეგ, მას ქართველები ჩამოუვლია, ჩემი ამბავი მათთვის უთქვამს, თანხა შეუგროვებია, ყველაფერი უყიდია და ნიჟარაძის ხელით ჩემთვის შემოუგზავნია ციხეში. ციხის მისაღებ კამერიდან ეს სანოვაგე ორმა ქალმა ძლივს ამოიტანა მესამე სართულზე სანიტარულ კორპუსში, თითომ ორ-ორი კალათი, სახელურებით გადაბმული და მხრებზე გადაკიდული.

უცნობი ნიჟარაძე, სანოვაგესთან ერთად მიგზავნიდა ნივთების სიას, რომელიც კარგა გრძელი იყო. ბოლოზე მიწერილი იყო: *"Поклон от Грузии"*. მე იმდენად მოშლილი აღმომაჩნდა ნერვები, რომ ცრემლებმა თვალები გადამინისლა მინაწერის წაკითხვაზე.

ციხეში მყოფმა ზემოთ დასახელებულმა ქართველებმა მოითათბირეს. ყველამ იცოდა ჩემი ამბავი. სანოვაგე მთლიანად ქოიავას ჩააბარეს და დაავალეს, რომ მას ეს სანოვაგე ჩემთვის გამოეზოგებია და მოეწოდებია გარკვეულ დოზებად. მოკლედ, აღმომიჩინეს ნამდვილი მზრუნველობა. ჩემი თხოვნის მიუხედავად, მათ ერთი ნამცეცისათვის არ მოუკიდიათ ხელი.

ერთი თვის განმავლობაში მოვიკეთე და ფიზიკური მდგომარეობა აღვიდგინე.

ჩემმა „პერედაჩებმა" სისტემატური ხასიათი მიიღო. ახლა ვიცოდი, რომ მოსკოვში მზრუნველები გაჩნდნენ და იმედით განვიმსჭვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუტირკაში შიმშილობის გამოცხადება ტუსაღების მიერ

აღწერილ პერიოდში, ანუ იმ დროს, როდესაც მე ციხის საავადმყოფოდან გამოწერილი სანიტარულ კორპუსში ვიმყოფებოდი და ნელ-ნელა ვსულიერდებოდი. ტუსაღებით გადატვირთულ ბუტირკის ციხეში მოხდა დიდი მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი შემთხვევა, რომელმაც მსოფლიო აღაშფოთა და ალაპარაკა, ამ სატუსაღოში მოხდა ტუსაღების გრანდიოზული გაფიცვა და აჯანყება. ბუტირკის ციხემ გამოაცხადა შიმშილობა.

ციხე, როგრც იტყვიან, ყელამდე სავსე იყო პატიმრებით. აქ ისხდნენ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიების მოღვაწენი: ესდეკები, ესერები, კადეტები, სამხედრო დარგის წარმომადგენელნი, სისხლის სამართლის დამნაშავენი და აუარებელი სხვა.

საკნებში ხმა გავრცელდა, რომ პატიმრები ემზადებიან გამოაცხადონ საერთო შიმშილი რაღაც პროტესტის მიზნით. მე ელდა მეცა იმის შიშით, რომ ძლივს მადლიანი ხალხის მეშვეობით საზრდო ვიშოვე და თუ ეს ხელიდან გამომეცალა, აუცილებელი დალუპვა მომელის-მეთქი. მაგრამ გავრცელებულ ხმებს ისიც მოჰყვა, რომ ჩვენი სანიტარული კორპუსი ამ ღონისძიებიდან გათავისუფლებულია, ვინაიდან აქ იმყოფება ავადმყოფობით დასუსტებული ხალხი, რომელიც შიმშილთან ბრძოლას ვერ გაუძლებსო.

ციხის ადმინისტრაციას აცნობეს, რომ ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე მთელი ციხე შეწყვეტს საჭმლის მიღებას და აცხადებს შიმშილს მანამდე, სანამ პატიმრების მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდებაო. ჩამოთვლილი იყო მრავალი საჭირბოროტო მოთხოვნილებანი – პოლიტიკური, ეკონომიური და იურიდიული ხასიათის.

უეცრად არაჩვეულებრივი სიჩუმე და სიწყნარე გამეფდა ირგვლივ. ჩვენი სანკორპუსიდან (III სართ.) დავინახეთ, რომ ციხეს შეიარაღებული ჯარის ალყა შემოერტყა, უმეტესად ცხენოსნების.

დანიშნულ საათზე ყველა საკანში რაც სანოვაგე გააჩნდა პატიმრებს, საკნების მამასახლისის კარნახით, ყველაფერი საკნების შუა ალაგას, მაგიდებზე იქნა თავმოყრილი. თვითონ პატიმრებმა, ფანჯრებთან მიმდგრებმა, საშინელი ღრიალი და მგლებივით ღმუილი ასტეხეს. მთელი ბუტირკის ციხე, რამდენიმე ათასი პატიმარი, სამი დღე-ღამის განმავლობაში გულშემზარავად ღმუოდა. საჭმელს არავინ ეკარებოდა და არც „პერედაჩებს“ იღებდა ციხის სამზარეულოს მუშაობა შეაწყვეტინეს, იქ მომუშავენი საკნებში გარეკეს. განსაკუთრებულ აქტივობას „ესერთა“ ჯგუფი იჩენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხის ადმინისტრაციამ ვიღაც მომუშავენი გამონახა დაბრუნებულა სამზარეულოს ამოქმედებას, მაგრამ „ესერები“ თავს დაესხნენ ამ შტრეიკბრეხერებს და სამზარეულოდან გარეკეს. ერთი მათგანი მოჰკლეს კიდეც. მას რკინის მილის გადანაჭერი მიპარვით ჩასცხეს თავში...

ამ გაუთავებელი ველური ხმაურითა და ღრიალით ხალხი სიგიჟემდე იყო მისული. რა სტადიაში იყო პატიმართა დელეგაციის მოლაპარაკება ციხის ადმინისტრაციასთან – მე არ ვიცი, მაგრამ მესამე დღე-ღამის შემდეგ ციხეზე შემორტყმული ალყა ამოძრავდა, აქეთ-იქით გადავიდ-გადმოვიდა და ზოგმა ნაწილებმა ადგილები შეიცვალა. მე ამას მესამე სართულიდან ვხედავდი.

საღამოს ცხრა საათზე ციხეში ჩეკისტების დიდი რაოდენობა შემოიჭრა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო პატიმრების არნახული და არგაგონილი დარბევა-აწიოკება. მთელი ღამის განმავლობაში გაისმოდა პატიმრების გამხეცებული ყვირილი, ღრიალი, ბღავილი, ქალების გულშემზარავი წივილი, კივილი... რა იძულებით იყო გამოწვეული ეს ამაწიოკებული ხმები, რას უშვებოდენ ამ ხალხს საამისოს, ამას ვერ ვხედავდი, მაგრამ გვესმოდა, რომ ეს საშინელი ხმები წყდებოდა ციხის კედლების გარეთ. ეტყობოდა, პატიმრებს გარეთ ეზიდებოდნენ, მანქანაში ყრიდნენ და სადღაც მიჰყავდათ.

ჩვენს სანკორპუსს ეს ეგზეკუცია ძირითადად არ შეხებია, მაგრამ რამდენიმე სპირტით გალეშილი პირი ჩვენთანაც შემოიჭრა. ერთმა მათგანმა მეც მომმართა:

– შენ ვინ ხარ?

– კაცი!

– რა კაცი, შენი...

– სამხედრო ტყვე ვარ!

უეცრად სხვისკენ მიიხედა და მე თავი მიმანება. ათიოდე კაცი ჩვენგანაც კინწისკვრით წინ გაიგდეს და დანარჩენებს თავი გაანებეს. მთელი ღამე თვალი არავის მოუხუჭავს.

წაყვანილნი აღმოჩნდნენ ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი ქალიან-კაციანად. დატოვეს მხოლოდ ხელოსნები და შიგნით მომუშავენი.

საზარელი, ამაწიოკებელი, შემამრწუნებული ღამე იყო ეს ღამე. დილას ციხე თითქმის დაცარიელებული იყო. საშინელი ხმები გავრცელდა იმ ღამით გაყვანილ პატიმრებზე... ამბობდნენ, თითქოს ისინი მანქანებიდან გადმოეყარათ პინსკის ჩამსრუტავ ხავსოვან ზედაპირზე, მაგრამ ეს ხმები არ იყო შემოწმებული. ფაქტი ისაა, რომ შემდეგ ეს ხალხი არავის უნახავს. ასეთი აზრი არსებობდა ციხეში ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სახლში დავბრუნდი, თბილისში გავიგე, რომ ეს შემთხვევა საზღვარგარეთის პრესას დიდი აღშფოთებით გამოუქვეყნებია...

ჩემი გამწესება სახელოსნოში

ბუტირკის ციხეში არსებობდა ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნო, სადაც რამდენიმე ათეული ხელოსანი მუშაობდა. აქვე მუშაობდა კარგი ხელოსანი რუბენ ასათიანი, კეთილი და გულისხმიერი ადამიანი. მასთანვე იყო მისი უმცროსი ძმა (მისი სახელი არ მახსოვს). ის რაღაცა წინათ ჩადენილ დანაშაულისათვის სწორედ იმ დღეებში გაიყვანეს და დახვრიტეს.

ჩემმა კეთილის მსურველებმა მოითათბირეს და დაადგინეს, რომ მე მომაწყობენ ფეხსაცმლის სამკერვალოში რუბენ ასათიანთან. სახელოსნოში მომუშავენი ცოტაოდენი შეღავათით სარგებლობდნენ ციხის სასტიკ რეჟიმში და ამით იყო გამოწვეული ჩემი იქ გადაყვანა. ხელოსნობის მე არაფერი არ ვიცოდი, მაგრამ ასათიანმა მის გვერდით დამსვა. ის რომ საქმეს აკეთებდა, მე ვუცქერდი და მეც ისე ვაკეთებდი, როგორც ის.

პირველად ვიღაცის ბავშვის ფეხსაცმელი მოვჯღანე დიდი წვალებით. მეორე უკეთესი გამოვიდა და ასე შემდეგ.

იქვე მუშაობდა ხელოსანი ქუთაისელი პეტრე რობაქიძე, მოსკოვში მცხოვრები.

აქვე დამლაგებლად მუშაობდა ციმბირელი რუსი, ყოფილი ოფიცერი ვასილიევი იმ რაიონიდან, სადაც ნიკოლოზ II და მისი ოჯახი დახვრიტეს. ვასილიევმა დაწვრილებით მიამბო ამ დასჯის პროცედურა, როგორც ჰქონდა მოსმენილი.

ვასილიევი მაღალი, წითური კაცი იყო – ტიპიური რუსი. ძლიერ გულკეთილი და მხიარული. თმები მოშვებული ჰქონდა და გრძელ წვერს ატარებდა.

ერთხელ საუბრის დროს მან მომიყვა: „მეფის ოჯახის მთლიანი შემადგენლობა, ე.ი. თვით ნიკოლოზი, მისი მეუღლე, ოთხივე ქალიშვილი და მცირეწლოვანი მემკვიდრე, ჩვენი რაიონის ერთ-ერთ შენობის სარდაფში მოათავსეს. ეს იცოდა მთელმა რაიონმა. სახლი და სარდაფი ძლიერი დაცვის ქვეშ იყო. ეს მდგომარეობა კარგა ხანს გრძელდებოდა.

ხმა გავრცელდა, თითქოს მეფის ყოფილი რომელიღაც გენერალი პატიმრებთან შესულიყოს და მოეხსენებიოს, რომ მიღებულია ზომები და მათ ახლო მომავალში პატიმრობიდან გაანთავისუფლებენ. დედოფალს დიდი საყვედურით უთქვამს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რატომღაც ძლიერ აჭიანურებთ ჩვენს გამოხსნას! ალბათ, ეს მხედველობაში, რომ ამ დაგვიანებისათვის ბევრი აგებთ პასუხს...

რამდენიმე დღის შემდეგ პეტროგრადიდან სპეციალურად მოვლინებული რამდენიმე პირი გამოცხადებულა და სარდაფს წვევია. მათ პატიმრებისთვის მიუმართავთ:

– *Романовы! Постановлением революционного правительства вы приговорены к смерти! Ваша жизнь окончена!*

ამ დროს მემკვიდრეს მამისთვის უკითხავს: *"Папа, я буду царем?"*, მაგრამ ის დაცემულა ტყვიით განგმირული. მერე მეფისთვის უსვრიათ და შემდეგ თანმიყოლებით ყველა მისი ოჯახის წევრები დაუხვრეტიათ".

ასე გადმომცა ვასილიევმა. ვასილიევი და მისი ჯგუფი რა ბრალდებით იყვნენ მოვლენილნი ბუტირკის ციხეში – არ ვიცი.

მაქსიმ გორკის მეუღლე - ქალბატონი პეშკოვა

ადამიანური გრძნობით და გულკეთილობით აღსავსე გრიგოლ გრიგოლიას ჩემდამი დახმარება მარტო „პერედაჩებით" არ შემოფარგლულა. როგორც შემდეგში მანვე მიამბო, მას სხვა მოსკოველი ქართველი ნაცნობები დაურაზმავს და ჩემი მდგომარეობით დაინტერესებულნი ქალბატონ პეშკოვასთან მისულან დახმარების სათხოვნელად.

ადმინისტრაცია ჩემს ამბავს სრულებით არ კითხულობდა.

ეკატერინა პავლოვნა პეშკოვა ყოფილა „წითელი ჯვრის" თავმჯდომარე. ამ შუამდგომლობის შედეგი იყო ის, რომ ჩემი საქმე დაიძრა მკვდარი წერტილიდან და ერთ დღეს „ნახვაზე" გამომიძახეს.

ციხის მისალებ ოთახში უცნობი მანდილოსანი დამხვდა.

– თქენ ქართველი ოფიცერი ხართ? – მკითხა მან.

– დიახ!

– რა გვარი ხართ?

– რამიშვილი, ქალბატონო! გაბრიელ გიორგის ძე.

– მე თქვენი თანამემამულეთაგან დავალებული მაქვს შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა. გამაცანით თქვენი ვინაობა და თუ დიდი დანაშაული არ მიგიძღვით, შევეცდები ვიშუამდგომლო თქვენს სასარგებლოდ.

– ქალბატონო! მე არ ვიცი, ვინ ბრძანდებით ან ვისი დავალებით მოქმედებთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, კეთილი საქმე გაქვთ განზრახული. მე გახლავართ საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერი, იმ რესპუბლიკის, რომელიც ყველაზე ადრე სცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის მთავრობამ. ჯარის ნაწილით საზღვარზე ვიდექი. დაიდგა მოწინააღმდეგე, რომელსაც უომრად ჩემს იარაღს საჩუქრად ვერ მივართმევდი. მე არ ვიცოდი, თავს ვინ დამესხა, მაგრამ თუნდაც მცოდნოდა, მაინც ასე მოვიქცევოდი. ამას სამხედრო ფიცი მავალებდა.მოწინააღმდეგე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. უკან დავიხიე და ისეთ ადგილას მოვიჩიხე, რომ წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. ბრძოლა შევწყვიტე და იარაღი დავყარე. როცა ჩემზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ჩემს ჯარსაც. წამომიყვანეს. ჩემთან სხვებიც იყვნენ. ისინი ბაქოში გაათავისუფლეს. მე კი ეტაპით აქ მომიყვანეს. აი სულ ჩემი დანაშაული!

ის გულდასმით მისმენდა. შემდეგ თქვა:

– კარგი, რამიშვილო! მე ვიმოქმედებ თქვენს სასარგებლოდ. თქვენ მხნედ იყავით. ჯერჯერობით ეს მიიღეთ წითელი ჯვრიდან დახმარების სახით – და გადმომცა შეხვეული სანოვაგე და საცვლები. – ერთი კვირის შემდეგ კიდევ მოვალ. ნახვამდის.

– ნახვამდის, ქალბატონო! მადლობა დახმარებისათვის! მოუთმენლად დაგელოდებით. გთხოვთ მომიკითხოთ თანამემამულენი, რომელთაც მე არ ვიცნობ, მაგრამ თურმე ისინი ჩემზე ზრუნავენ.

პეშკოვას (პატიმრებმა გამაგებინეს, რომ ეს ქალი მაქსიმ გორკის ცოლი ყოფილა) მოლოდინში ის კვირა ნერვიულობაში გავატარე. პატიმრები იმედს მიქარწყლებდნენ.

– რა შეუძლია პეშკოვას! ის ასე ატყუილებს ყველას!

მე მისი იმედით უკვე განვიმსჭვალე და ესენი ამ იმედს აბათილებდნენ. ძლიერ ვბრაზობდი მათზე.

დადგა ბედნიერი დღე და ისევ „ნახვაზე" გამომიძახეს. მივედი.

– გამარჯობა, რამიშვილო! – მომესალმა პეშკოვა.

– გაგიმარჯოთ! რომ იცოდეთ, როგორ მოუთმენლად მოგელოდით!

– ნუ აღელდებით, რამიშვილო, სიმშვიდე სჯობს!

– რით გამახარებთ?

– სიხარული ჯერ ადრეა, მაგრამ საქმე ადგილიდან დაიძრა. ამ დღეებში დაკითხვაზე გამოგიძახებენ, ფორმალურ მხარეს შეასრულებენ და შემდეგ ვნახოთ! ეს კიდევ თქვენ (შეხვეული გადმომცა). – მე კიდევ გნახავთ.

– როდის გელოდოთ?

– რომ არ იღელვოთ, დროს არ გინიშნავთ. ნახვამდის.

– ნახვამდის, ქალბატონო!

საკანში დაბრუნებულს, პატიმრები შემომესიენ:

– რა გითხრა? რა გაუკეთებია? იმედი მოგცა? – მე სინამდვილე არ ვთქვი. მეორე დღეს ისევ გამოძახება. *"Рамишвили на допрос!"* – სახელოსნოში შემოიძახა დამლაგებელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციმბირელმა ოფიცერმა ვასილიევმა. წავედი. მიხალებში გამომძიებელი დამხვდა.

– გამარჯობათ, მოქალაქე რამიშვილო! – მომესალმა ის.

– გაგიმარჯოთ. – მან პაპიროსი მომაწოდა. ავიღე. მომიკიდა. შორიდან დამიწყო. გამოირკვა, რომ ისიც ოფიცერი ყოფილა და ორივეს ერთ კორპუსში გვიმსახურია გენერალ გავრილოვთან. კარგა ხანს ვიბაასეთ. ნაბრძოლი ადგილები მოვიგონეთ. შემდეგ „საქმე“ გაშალა, წაიკითხა და საკმაოდ მეგობრული ტონით მითხრა:

– რას გერჩიან? სამი ბრალდება გაქვთ წამოყენებული:

„სასტიკი წინააღმდეგობა გაგიწევიათ“,

„ალავერდის ხიდის აფეთქება მოგინდომებიათ“,

„შპიონი ყოფილხართ!“.

– ჰმ! ჩავიცინე მე. – მაშ თქვენ, ჩემს ადგილას, თავდამსხმელთ იარაღს ხელდახელ მიართმევდით?.. თქვენ რომ ალავერდის ხიდის მდებარეობა იცოდეთ, გეცოდინებოდათ ისიც, რომ მის აფეთქებას არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ ექნებოდა. არც მომსვლია ეს აზრად. არც ფეთქებადი მასალა არ მქონია და, არც აფეთქების საქმე არ ვიცი და აფეთქებას ვერ შევასრულებდი, რაც შეეხება შპიონობას... ჯაშუშობას... რანაირი ჯაშუში უნდა ვყოფილიყავი, მე, ოფიცერი, იარაღით ხელში, მტრის პირისპირ მდგარი?!. თქვენ ალბად ხედავთ, რომ ყველაფერი – მოჩმახულია!

– გეთანხმებით! – თქვა გამომძიებელმა. – ყველა ამ ბრალდებათა ფასი არის გროში. არც ვაქცევ მათ ყურადღებას... რას იტყოდით თქვენ, რომ სამხედრო უწყებაში სამსახური შემოგთავაზონ მოსკოვის გარნიზონში?

დავფიქრდი... შემდეგ ვთქვი:

– უარს არ ვიტყოდი, მაგრამ მუხლის მოდრეკით ვითხოვდი, რომ ეს სამსახური იყოს საქართველოში და ისიც ცოლ-შვილის ნახვის შემდეგ... – ამ თქმამ ყველაფერი გადასწყვიტა.

– ასე იყოს! – მტკიცედ თქვა გამომძიებელმა და წერას შეუდგა. სულ სამი სტრიქონი დაწერა, ჩემს საქმეს მიამაგრა და ადგა.

– ჯანმრთელად იყავით, რამიშვილო! იცოდეთ, მოხარული ვარ გაცნობით და მუსაიფით – მითხრა მან და წავიდა.

საკანში წამოვედი, ძლიერ განცვიფრებული საქმის ასე შებრუნებით. ჩემს გონებას ალბათ დაეჭვება დაავადებდა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ პეშკოვამ ისევ გამომიძახა „ნახვაზე“. მე თავპირის მტვრევით კიბე ჩავირბინე და მისაღებში გამოვცხადდი...

– რამიშვილო! მინდა მოგილოცოთ თქვენი საქმის შემსუბუქება. თქვენ ან აქვე გაგიშვებენ, ან ეტაპით საქართველოში გაგაგზავნიან. თუ ეს უკანასკნელი მოხდა, თქვენს სახელზე საპატიმროს სალაროში წითელი ჯვრისაგან შეტანილია ოცდაათი ათასი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ თანხით ისარგებლეთ გზაში; შვების შემდეგ გთხოვთ ჩემს ბინაზე მოხვიდეთ.

– ქალბატონო! დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი გარჯისათვის, თუ მართლა ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ იწინასწარმეტყველეთ...

ის წავიდა. საკანში დავბრუნდი, მაგრამ იქ ყველაფერი არ ვთქვი, რაც გავიგე. მეშინოდა პატიმრებს არ გაებათილებიათ ჩემი იმედები, ვინაიდან ჯერ რეალური არაფერი გამაჩნდა ხელთ.

მეორე დღე რაღაც საეკლესიო უქმე იყო. ვფიქრობდი, ზეგამდე რა გამაძლებინებს ასეთ გაურკვეველობაში-მეთქი...

ერთბაშად კარებს დამლაგებელი ვასილიევი მოადგა და ძლიერი ხმით შემოიყვირა:

– *Рамишвили, на свободу!* – რაღაცამ მაღლა ამწია და ისევ სკამზე დამაგდო... მთელი სახელოსნო აყვირდა, ახმაურდა და ჩემკენ გამოექანა... ვასილიევს ვეცი და მაგრად ვაკოცე... მას თვალებში სიხარულის ცრემლები დავუნახე...

ძლიერ გულის ამაჩუყებული იყო პატიმრებთან გამოთხოვება და წამოსვლა..

მოსკოვში

ზაფხულის საღამო იყო, როდესაც ბუტირკის ციხის უკანასკნელი კარი გაიღო და ქუჩაში აღმოვჩნდი. საოცარმა გრძნობამ შემიპყრო. „ვაი, თუ შეცდომით გამომიშვეს და ახლა ისევ დამეძებენ, რომ უკან მიმაბრუნონ“... და... ხალხმრავალ ქუჩაში გავიქეცი. გადავირბინე ერთი ქუჩა, მეორე, მესამე... შემდეგ დამშვიდებით ვიარე და რომელიღაც ქუჩაზე გამოვედი, მივიხედ-მოვიხედე და ვიცანი ტვერის ქუჩა. აქ ოდესღაც (1916 წ.) ვყოფილვარ, ფრონტიდან მივლინების დროს!..

– ახლა სად წახვალ, ჩემო გაბრიელ? – ვეკითხებოდი ჩემ თავს, – ჯიბეში რომ გროში არ გაგაჩნია, სად შეაფარებ თავს?

მოსკოვში აუარებელი კეთილის მსურველები მყავდნენ, მაგრამ ვინ იცის, ისინი სად ცროვრობენ?.. პეშკოვას მისამართი მოვიგონე, მაგრამ ამ სახით მასთან როგორ მივიდე? არამც და არამც!.. „მაშ, რა ვქნათ?“ ამასობაში ქუჩები სრულებით დაცარიელდნენ. კაცის ჭაჭანება არსად ჩანდა. ციხიდან გამოსვლიდან საათზე მეტი დრო გავიდა და ვამჩნევდი, რომ ქუჩები თანდათან ცარიელდება. ეს გახლდათ ის წელი, როდესაც ცხრა საათის შემდეგ ქუჩებში სიცოცხლე წყდებოდა. „თეთრი ღამეების“ გამო სინათლე იდგა.

ბედზე მეეტლე დავინახე, რომელიც ცოცხალ-მკვდარი ცხენებით ეტლს მოარახრახებდა. გავაჩერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ძმობილო! ფული არ მაქვს, მაგრამ მაქვს ხალათი (ჩაიცვამს ნაჩუქარი). ვინმე ქართველის ოჯახში მიმიყვანე და ეს ხალათი შენი იყოს... (ხალათი ნაცრისფერი ზოლებიანი იყო).

– ქართველი... ქართველი... – თავის ქექვით ამბობდა ის და თან ხალათს ათვალიერებდა, – ერთ დროს, ერთ ალაგას, ერთ ქართველს, მახსოვს, სამწვადე ჰქონდა, მაგრამ ახლა აქვს თუ არა, არ ვიცი. წავიდეთ, ვნახოთ.

დავჯექი და ჯაჯღანით წავედით. ზოგი სახლები ვიცანი, მათ ქვეშ მყოფ მაღაზიების გახსენებით. ერთ ალაგას „ვივესკა“ დავინახე, რომელზეც ეხატა ფეხსაცმელი და ჰქონდა წარწერა *"Кавказская мастерская обуви"*. სიტყვა „კავკაზსკაიამ“ დამაინტერესა. მეეტლე გავაჩერე. გადმოვედი და ტროტუარიდან დარაბას მივადექი. შიგნით ქალი და კაცი დავინახე. ლაპარაკობდნენ და ყურადღება არ მომაქციეს. კაცი წავიდა. ქალი ჩემკენ მოვახედე. დარაბას შიგნიდან მოადგა და რუსულად მითხრა:

– ვინ ხარ? რა გინდა?

– მითხარით, ეს სახელოსნო ვისია? რუსის თუ სხვა ვინმესი?

– რად გინდათ ამის გაგება?

– მე ვარ ქართველი. ამ ერთი საათის წინ ციხიდან გამომიშვეს. ბინა არ მაქვს. ვისაც ვიცნობ, მათი მისამართი არ ვიცი. ვეძებ ვინმე ქართველს, რომ ღამე გამათევინოს, – მივაყარე ერთბაშად.

– რომელ ციხიდან გამოგიშვეს?

– ბუტირკიდან.

– იქ ვინმე რობაქიძეს ხომ არ იცნობდი?

– პეტრეს? – მას ახლახან დავემშვიდობე და წამოვედი.

– ეს სახელოსნო იმისია, – მითხრა ქალმა და დარაბა ცოტა შეაღო. ამათვალიერა. – შემოდით, ღამეს გაგათევინებთ.

ხალათი ამოვიღე და მეეტლეს გავუწოდე.

– რას აკეთებთ? – მკითხა ქალმა.

– ფული არ მაქვს და ხალათს ვაძლევ. ასე ვართ მორიგებული.

– ხალათი შეინახეთ, – მან ჯიბიდან ფული ამოიღო და მეეტლეს მისცა.

მეეტლე უკმაყოფილო ბურტყუნით წავიდა. ფულს ხალათი ერჩია.

ქალმა სახლში შემიყვანა. პეტრე რობაქიძის შესახებ დაწვრილებით გამომკითხა. დარწმუნდა, რომ მართალს ვეუბნები. ჩემი ვინაობა იკითხა. გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი პეტრეს ცოლი ყოფილა. მე სრულებით შემთხვევით მოვსულვარ მისას!

ეს დამთხვევა ჩემთვის ძლიერ საოცარი იყო!

ლუბამ (ასე ერქვა ქალს), ხელპირი დამაბანინა, რაც გააჩნდა, იმით გამიმასპინძლდა, დიდხანს ვისაუბრეთ, შემდეგ შირმის მიღმა ლოგინი გაშალა, ქმრის ერთი წყვილი სუფთა საცვალი მითავაზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე მომასვენა. ახპატის შემდეგ პირველად მეძინა სუფთა ლოგინში.

დილით ჩემმა მასპინძელმა მითხრა:

– მე ბევრ ქართველს ვიცნობ. ისინიც კარგად იცნობენ ჩემს ქმარს.

– მაინც, ვის იცნობთ? – ვკითხე მე.

– ქოიავას, ჩიტაიშვილს, ნიჟარაძეს...

– ქოიავას იცნობთ? (ის ჩემზე წინ გამოუშვეს ერთი კვირით ადრე).

– ძალიან კარგად.

– სად ცხოვრობს, იცით?

– ვიცი. ახლოსაა აქედან.

– მასთან წამყვებით?

– სიამოვნებით.

წავედით. ქოიავასთან მისვლის შემდეგ ეს გულკეთილი ქალი აღარ მინახავს. ქოიავა – გამხდარი, მაღალი ტანის, სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცი, არაჩვეულებრივი გულკეთილი ადამიანი – სახლში დამხვდა.

მაგიდასთან ცოტაოდენი შექცევის შემდეგ წავედით და მან შემომატარა ბევრი კარგი ხალხი, რომლების გვარი მსმენია, მაგრამ ვერ ვიცნობდი გრიგოლიას მეტს. ვნახე თვითონ გრიგოლია, ჩიტაიშვილი, ნიჟარაძე და ბოლოს, ზემოსურებელი პანტელეიმონ ბარამიძე.

ვინც ვინახულე, ყველას სიხარული აღებეჭდა სახეზე. ყველა ცდილობდა რითიმე ვესიამოვნებინე. ფულად დახმარებასაც არ იშურებდნენ, რაც ძლიერ საჭირო იყო ჩემთვის.

გრიგოლიასთან დიდხანს ვისაუბრეთ. მაშინ გავიგე, როგორ ჩასაფრებულ კვერნასავით მომყვებოდა ის თურმე დილიდან დაღამებამდე რკინისგზის სადგურიდან ბუტირკამდე ჩემი მოსკოვში ეტაპით ჩაყვანის დღეს.

– ბაქოდან მომავალს ბალაჯარაში რომ დახმარება აღმომიჩინეთ, მაშინ საიდან იცოდით ჩემი არსებობის შესახებ? – ვკითხე მე გრიგოლიას.

– მე მაშინ საქართველოდან ბაქოში ახალი ჩასული ვიყავი. საქართველოზე თავდასხმას ჩავასწარი. ბაქოში ვიყავი. მოსკოვში მომქონდა ჩუმად შეფუთული და მიმალული სპირტი. ბაქოში ქართველი ოფიცრები ვნახე და იმათგან გავიგე თქვენს შესახებ. ისინი ძლიერ შეშინებული იყვნენ თქვენი მდგომარეობით და ფიქრობდნენ, რომ ცუდ რამეს გიპირებდნენ. იცოდნენ ისიც, რომ დატყვევებისას ყველაფერი წაგართვეს და უფულოდ იყავით. იმის შემდეგ მე სამი გზა გავაკეთე მოსკოვსა და საქართველოს შორის.

– თქვენი მე განუსაზღვრელი მადლობელი ვარ. სიცოცხლე თქვენ შემინარჩუნეთ. ამას არასოდეს დავივიწყებ.

– „ძმა ძმისთვინა, შავი დღისთვინა“... თქვენ არაფერი [illegible] საბოდიშო და გადასახდელი... თქვენ რომ სისხლს ღვრიდით სამშობლოსათვის, ჩვენ ჯიბეებს ვისქელებდით... ვალში ჩვენ ვართ თქვენთან... საქართველო ისეა თქვენი, როგორც ჩვენი და ჩვენ რა გავუკეთეთ მას?..

გრიგოლია პირდაპირი, ნაღდი, პირუთვნელი ვაჟკაცი იყო. მან მიამბო, რამდენიმეჯერ ენერგიულად როგორ მიმართეს წითელი ჯვრის თვმჯდომარეს, პეშკოვას ჩემს შესახებ და სთხოვეს ენერგიულად ემოქმედნა ჩემს დასახმარებლად.

საბოლოოდ პანტელეიმონ ბარამიძემ ჩამიგდო ხელში და მითხრა სრულიად გულწრფელად:

– ჩემო ძმაო! ბევრჯერ გავიგონე შენი სახელი, მაგრამ ვინ იყავი, არ ვიცოდი. ჩვენ ხომ სურებლები ვართ! გთხოვ, ჩემს იქით ნუ წახვალ. მე ვკისრულობ შენზე საჭირო დახმარების აღმოჩენას.

– გმადლობ, ჩემო კარგო! როგორმე გიამბობ, ვინ ვარ და რა გადამხდა.

საქმე იმაშია, რომ მოსკოვში იმჟამად ბევრი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ გართულნი. საქართველოს ტრაგედიას განიცდიდნენ და სწუხდნენ, რომ მათ არავითარი წვლილი არ მიუძღოდათ მის დაცვაში. ამ დაცვის ერთ-ერთ მონაწილედ მე მთვლიდნენ, ჩემზე დატეხილ განცდებს თანაუგრძნობდნენ და პატივსაც ამიტომ მცემდნენ.

თვეზე მეტ დროს ამ ხალხში ვტრიალებდი და დიდად პატივცემული ვიყავი მათგან. პანტელეიმონმა თავის ბინაზე წამიყვანა. ის ცოლშვილიანი იყო. ერთმანეთს ძმურად დავუახლოვდით. მან ბევრჯერ მთხოვა: „აჰ, ბიჭო, დარჩი მოსკოვში რამდენიმე ხანი! ცოტა ფული მოგიგროვდება რამე საქმიანობით და მერე წადი“.

მე განმსჭვალული ვიყავი საქართველოში წასვლის ოცნებით და იქ დაყოვნებაზე ვერავინ დამითანხმებდა. ჩემს არსებაში მხოლოდ ოჯახზე ფიქრი იყო.

წამოსვლაც ადვილი საქმე არ იყო. წინანდელი მგზავრობის წესები და მარშრუტები აღარ არსებობდა. სხვადასხვა პუნქტები და რაიონები ვიღაც ვიგინდარების ხელში იყო. მახნო, პეტლიურა, მარუსია, თეთრები, შავები... გამოღწევა შეუძლებელი, ან სათუო, ან ძლიერ ძნელი იყო. ის აუარებელ რისკს მოითხოვდა. ამისათვის გრიგოლიას მოქნილობა იყო საჭირო!.. და აუარებელი ფული! მე ამის კაცი არ ვიყავი.

გადავწყვიტე სტუმრად ვწვეოდი ქალბატონ პეშკოვას. ოთახში რომ შევედი, მასთან ვიღაც კაცი იჯდა. ლაპარაკობდნენ. მეორე ოთახში გასასვლელი კარები ღია იყო. იმ ოთახში, საწერ მაგიდასთან, მარჯვენა მხარეს პროფილით მაქსიმ გორკი იჯდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდა. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის მეუღლესა და მოსაუბრეს და არც ჩემი მისვლისთვის მიუქცევია ყურადღება.

ძლიერ უჟმური შეხედულობის კაცი იყო. სწორედ ისეთი, როგორც სურათებზეა გამოსახული.

ოთახში შესვლის უმალ პეშკოვამ მიცნო. წამოდგა და მომეგება:

– ააა! რამიშვილი! მობრძანდით, ეს მოსაუბრე პოლონეთის ელჩი გახლავთ, – მითხრა მან.

მე თავი დავუკარი. პეშკოვას მივუახლოვდი და ხელზე ვაკოცე.

– ეს ქართველი ოფიცერი რამიშვილია, – მოკლედ უთხრა პოლონეთის ელჩს. – აბა, მითხარით, როგორ არის თქვენი გამგზავრების საქმე?

– მე გეახელით, უღრმესი მადლობა მინდა მოგახსენოთ ჩემზე ზრუნვისათვის. დიდად გმადლობთ, ქალბატონო. წასვლით როგორმე წავალ ამ დღეებში.

– იცით რა, – თქვა პეშკოვამ, – მოკითხვა გადაეცით საქართველოს ყოფილ ელჩებს გერასიმე მახარაძეს და გაბრიელ ხუნდაძეს.

– დიახ, დიახ, ჩემგანაც, თუ შეიძლება, – თქვა პოლონეთის ელჩმა.

– დიდი სიამოვნებით, პატივცემულნო! – ვთქვი მე, მაგრამ არამც თუ არ ვიცნობდი საქართველოს ყოფილ ელჩებს, არც ვიცოდი, ისინი ელჩებად იყვნენ მოსკოვში თუ არა.

ერთი მაქსიმის მხარეს კიდევ მოვიხედე. ის ისევ თავჩარგული იყო წერაში. ავდექი, ორივეს გამოვემშვიდობე და წამოვედი.

ბარამიძეს ვუამბე ამ ვიზიტის შესახებ და თან ვაცნობე:

– კაცო! ამ ქალმა წითელი ჯვრიდან ციხის სალაროში შეიტანა ჩემს სახელზე ოცდაათი ათასი მანეთი. რა ვქნა, მივაკითხო მისაღებად თუ არა? რას მირჩევ?

– ბიჭო! ხომ არ გასულელდი? მიაფურთხე იმ ფულს! მაგას ჩვენ აგინაზღაურებთ!

არ გამიშვა. ის ფული დარჩა ციხის სალაროში.

საქართველოს წარმომადგენლობა მოსკოვში

მოსკოვში ხმა გავრცელდა, რომ ლენინგრადიდან გამოდის საევაკუაციო მატარებელი №155, რომელიც გამოივლის მოსკოვში და ყველას, საქართველოში ან იმიერ-კავკასიაში წასვლის მსურველს წაიყვანსო. მატარებლის საბოლოო პუნქტი არის ბათუმი. ბარამიძემ მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რაკი წასვლას არ იშლი და დარჩენა არ გინდა, ცხაკაიასთან და აღრიცხვაზე აგიყვანს, როგორც ამ მატარებლის მგზავრს.

გასაბჭოებული საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი მაშინ მიხა ცხაკაია იყო და მისი მოადგილე – ბუხრაშვილი. ძლიერ გამიჭირდა ამ წარმომადგენლობაში მისვლა. ვიფიქრე: „რაში ეპიტნავება ცხაკაიას მენშევიკური საქართველოს არმიის ოფიცრის და ისიც „რამიშვილის" ნახვა და მისი დახმარებამეთქი" და ორჯერ საელჩოსთან მისული, უკან გამოვბრუნდი. მოვბრუნდი, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ წამოსვლის სხვა საშუალება არ იყო. მესამედ მივადექი საელჩოს შენობას. შევიდე – არ შევიდე?.. შევიდე – არ შევიდე?.. და შევედი.

– თქვენ ვინ გნებავთ? – მკითხა კომენდანტმა.

– მე... მე მიხეილ ცხაკაიას ნახვა მინდა!

– თქვენ ვინ ხართ?

– საქართველოს მოქალაქე. ქართველი. საქმე მაქვს მასთან.

– ვილაცას დაურეკა და ჩემი მიღების საკითხი შეუთანხმა.

– მიბრძანდით, – მითხრა მან, საშვის გამოწერის შემდეგ.

მე მაშინვე მომაგონდა საქართველოს მინისტრების კაბინეტების წინა დერეფნები, შემსვლელ-გამოსვლელთა ფეხებით ატალახებული, ყოველგვარი კომენდანტისა და „საშვების" გარეშე.

მეორე სართულზე ავედი. უზარმაზარი დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ერთ კუთხეში ორი მემანქანე ქალი რაღაცას ბეჭდავდნენ.

– ვინ გნებავთ? – მკითხეს.

– საქართველოს წარმომადგენელი – ცხაკაია, – ვუპასუხე.

– ის არ არის. არის მისი მოადგილე, ამხანაგი ბუხრაშვილი.

ამასობაში ერთ-ერთი კარი გაიღო და დარბაზში გამოვიდა საწუალო ტანის ჩაფსკვნილი კაცი.

– ვინ გნებავთ? – მკითხა ქართულად.

– საქართველოს წარმომადგენელი მინდა.

– რა გვარი ხართ?

– მე... მე რამიშვილი გახლავართ.

– რაო? რამიშვილი? რომელი რამიშვილი?

„რა ჯანდაბამ მომიყვანა აქ? – გავიფიქრე მე. – „ამათგან რომ სიკეთე არ იქნებოდა, ხომ ვიცოდი!"

– გაბრიელი მქვია. საქართველოდან წამოყვანილი ტყვე ვარ. ოფიცერი.

„რაც იქნება– იქნეს!" – ვიფიქრე და მივაყარე:

– ციხეში ჩამსვეს. ახლა გამომიშვეს. სამშობლოში უნდა წავიდე. დახმარებას ვითხოვ...

მოსაუბრე მხრებში მწვდა. შემაჯანჯღარა და თვალებში ცქერით მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ბიჭო! შენ ის რამიშვილი ხარ, ოფიცერი, რომელიც ბუტირკის ციხეში იჯდა?

– დიახ. ის გახლავართ, – სასოწარკვეთილებით ვუპასუხე, დარწმუნებულმა, რომ ჩემი საქმე წასულია ხელიდან.

მან კიდევ შემანჯღრია. შემდეგ მკლავში ხელი გამომდო და კედელთან მდგარ გრძელ მერხზე ჩამოვჯექით ორივე. მის საქციელში საშიში არაფერი ჩანდა. მე გავმაგრდი. „რას მიზამს?“ – ვიფიქრე, – „რა დამიშავებია ვინმესთვის?“

– კაცო! შენმა ძებნამ ჩვენ გადაგვიყოლია. შენ ცოლი გყავს?

– დიახ.

– სახელი რა ჰქვია?

– ნინა.

– მამას?

– გიგილო, გიორგი, გიგო – სულ ერთია.

– მათი განცხადებები ყველა აქაა გადმოგზავნილი. ლენინის სახელზეც არის შენი მეუღლის განცხადება! (ნინა მამაჩემის სახელითაც გზავნიდა, თურმე, განცხადებებს.

– ჩვენ ძებნა გამოვაცხადეთ. გავიგეთ, რომ ბუტირკაში იჯექი და კარგად იყავი. მე ამის შესახებ მამაშენს მივწერე გურიაში, რადგანაც შენი მეუღლე თბილისის ბინიდან წასული აღმოჩნდა. როგორ ხარ? გეტყობა, ციხე არც ისე ცუდი ყოფილა, ა?

– ციხე გამჩენმა ნუ გამოგაცდიოთ! თქვენ კარგი ცნობები მითხარით. მაშ, იმათ იციან, რომ მე ცოცხალი ვარ?

– ორი კვირის წინ მე მივწერე მამათქვენს ამის შესახებ გურიაში, – გაიმეორა მან.

– დიდი მადლობელი ვარ. წეღან, შეხვედრის დასაწყისში მეგონა დაპატიმრებას მიპირებდით. თქვენც, თურმე, ჩემზე ზრუნავდით!

გაეცინა.

– რატომ; რისთვის იფიქრე ეს? – მკითხა შემდეგ.

– რა ვიცი! ყველაფერი ყირაზე დგება. „შეშინებული ძაღლი სამ დღეს ჯირკს უყეფდაო“, ნათქვამია.

– შენი სახელი? – მკითხა მეორედ.

– გაბრიელ.

– გაბრიელ! შენ ოხუნჯობაც გცოდნია, მაგრამ თუ კაცი ხარ, მომიყევი შენი ამბავი. როგორ დაგიჭირეს და ბუტირკაში რანაირად მოხვდი. ნურაფერს დამიმალავ. მე გამომძიებელი არ ვარ. ჩემგან დახმარების მეტს ნურაფერს მოელი.

ის დიდი ინტერესით და გულისყურით მისმენდა თითქმის ორ საათზე მეტ ხანს.

– საინტერესო პიროვნება ყოფილხარ, ჩემო ძმაო! ეხლა რა გაწუხებს? რა გსურს?

– გავიგე, რომ უნდა მოვიდეს საევაკუაციო მატარებელი.

– კი, მოვა. წასვლა გინდა? პირველი ადგილი შენი იქნება ამ მატარებელზე. მანამდე ვისთან ხარ? ხომ არაფერი გიჭირს?

– ბარამიძისას ვარ. არაფერი მიჭირს. გთხოვთ მხოლოდ გამგზავრებაში დახმარებას.

– აი, ჩემი ხელი და პატიოსანი სიტყვა! ნუ აჩქარდები; მატარებელს ცოტა შეიძლება შეაგვინდეს. ბარამიძეს მე ვიცნობ. მატარებლის წასვლამდე ხშირად შემოიარე. კინოს, თეატრის, სხვა გასართობის ბილეთებს ნუ იყიდით. მე მოგცემთ რამდენსაც ისურვებთ.

დიდად კმაყოფილი და დამშვიდებული წამოვედი.

შეცარი პატიმრობა ერთი ღამით

მატარებელი №155-ის მოლოდინში მოსკოვში დავსეირნობდი და ჩემს კეთილისმსურველებს ვნახულობდი. მატარებლის მოსვლის დროც ახლოვდებოდა. მე გულის ფანცქალით მოველოდი მას. ყველა წვრილმან დავალებებს მაძლევდა და ნათესავებზე გადასაცემ ბარგის გამოტანებას მთხოვდა.

ბოლოს სანატრელი დღეც დადგა. მატარებელი რიაზანის სადგურზე ჩამოდგა.

მე საჭიროდ მივიჩნიე ნაცნობების ჩამოვლა და დამშვიდობება. ბოლოს ჩიტაიშვილთან მივედი. მას სასადილო ჰქონდა რომელიღაც ქუჩაზე და თურმე მუშტრებს ჩუმ-ჩუმად არაყს ასმევდა. ამით ის ეკონომიურად კარგად გრძნობდა თავს. მეც პატივი მცა. ქართული საცივი და ღომი მომართვა. ბარამიძისას მას უნდა მიეტანა ერთი კალათა წიგნები კლასიკოსების ნაწარმოებები, რომელიც მე უნდა წამომეღო ვინმე სადრაძეზე გადასაცემად.

წამოსვლის დროც მოვიდა. მე გარეთ ტროტუარზე ვიდექი და ეს-ესაა უნდა ხელი ჩამომერთმია და წამოვსულიყავ, რომ ვიღაცამ უკანიდან ხელი მკრა და ისევ სასადილოში შემაგდო. კარები მოკეტეს, დაიწყო ორომტრიალი.

გამოირკვა, რომ ჩიტაიშვილი ყოფილა დაბეზღებული სპირტით ვაჭრობისათვის და „ობეხე“ დასხმია თავს. ჩხრეკის დროს სარდაფიდან ბალონებით სპირტი ამოათრიეს. იქ მყოფნი დაგვაპატიმრეს და სადღაც წაგვიყვანეს.

დიდ საგონებელში ჩავვარდი. წარმოვიდგინე ისევ ციხე... ძიება... მატარებელი მე ხომ არ დამიცდიდა!.. მაგრამ პანტელეიმონ ბარამიძემ მიშველა. მას გაუგია ჩიტაიშვილთან მომხდარი ამბავი; მიმხვდარა, რომ მე იქ ვიქნებოდი, მთელი ღამე ვუძებნივარ და დილას მოუნახივარ. დაპატიმრებულნი თხუთმეტამდე ვიყავით. ბარამიძის წყალობით მე პირველი გამომიძახეს დაკითხვაზე. ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიკვირდა, რომ იქ პანტელეიმონი დამხვდა! გამომძიებელი მისი ნაცნობი ყოფილა და... გამანთავისუფლა.

– ერთი ლიტრი არაყი დამიჯდა შენი გამოხსნა, – გზაში მითხრა ბარამიძემ.

№155 საშვაკუაციო მატარებელი

როგორც იქნა, დადგა ჩემთვის ნანატრი დღეც! ბარგი ეტლში ჩავტვირთე და სადგურზე გავედი. მოსკოვში რომ დახმარება შემიგროვეს, ის გაანგარიშებული იყო მგზავრობის ათ დღეზე, მაგრამ ჩვენ ერთი თვე მოვუნდით მგზავრობას ბაქომდე. მგზავრების უმეტესობა, რომელთაც დიდი ხანი უცხოვრია ლენინგრადსა და მოსკოვში, სქელი ჯიბეებით იყვნენ და მგზავრობის ხანგრძლივობას არაფრად აგდებდნენ, მაგრამ თხელჯიბიანები, რომელთაც მარაგი გამოელიათ (მათ შორის მე), სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ...

მე ფული დიდი ხანია გამითავდა და იძულებული გავხდი პანტელეიმონ ბარამიძის გამოტანებულ თანხისათვის მეხლო ხელი. ბაქოში რომ მივედით, სამასი ათასი ვალი მედო კისერზე. ეს დაახლოვებით მაშინდელი „ჩერვონცების“ კურსით იქნებოდა სამასი მანეთი.

რაც თბილისიდან წავედი, არაფერი არ ვიცოდი ჩემი ოჯახის შესახებ, გასაბჭოების შემდეგ როგორ იყვნენ, რით საზრდოობდნენ და სხვა. ერთადერთი ჩემი იმედი ნინა იყო. მწამდა, რომ ის თავს არავის დააჩაგვრინებდა და ბავშვსაც არაფერს გაუჭირვებდა, მაგრამ ვალით სახლში მისვლა მიჭირდა.

ბაქოში მისვლისას, ვიღაცის რჩევით ასე განვსაჯე: „ვალით არ მივალ სახლში. ბარამიძის ფულს ცოტას კიდევ მოვაკლებ. ერთს ან ორ ფუთ ბრინჯს ვიყიდი ბაქოში. თბილისში გავყიდი, ბარამიძის თანხას შევავსებ და ასე მოვევლინები ოჯახს. ბრინჯი თბილისს ხომ აღმოსავლეთიდან შეაქვს!“

ასეც მოვიქეცი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თბილისში ბრინჯი გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე მე ვიყიდე ბაქოში. ამრიგად, ვალს ვალი დაემატა. მაშინ ვთქვი: „არა, შეჯდა მწყერი ხესა, არა, იყო გვარი მისი. სადაური კომერსანტი მე ვიყავი-მეთქი“.

მოსკოვიდან თბილისამდე სვლას მატარებელი მოუნდა თვე და ხუთი დღე.

მოსკოვში სადგურში რომ მივდიოდი, პანტელემონმა ასე მითხრა:

– მე გატან ამ მილიონს. თუ ჩაგყვეს, გადაეცი შინაურებს. თუ არა, მოიხმარე როგორც დაგჭირდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფრო ამიტომ გავბედე პანტელეიმონ ბარამიძის ფულზე ხელის ხლება. ფულის კურსი ისე დაეცა იმ პერიოდში, რომ ერთ კოლოფ ასანთში ვაძლევდით მილიონს.

თბილისი. მეგობრები

ამდენი ტანჯვა-წამების მერე, ჩვენი მატარებელი დილით ადრე თბილისის სადგურში შევიდა. უდროობის მიუხედავად, სადგური სავსე იყო შემხვედრი ხალხით.

წუხელ მე არ მძინებია. ძლიერ შორიდან ფუნიკულიორის ძაფს ვხედავდი და მთელი ვაგონი აკლებული მქონდა აღტაცებით, რომ თბილისი ახლოსაა.

მოსკოვის მეგობრებიდან გამოტანებული ბარგი ვაგონში დავტოვე, სახლს მოვაშურე და ლერმონტოვის კიბეებს მოვადექი.

დილის 5 საათი იყო. მშვენიერი დილა თენდებოდა. მაღლა ავიხედე. ჩემი ბინის წინ, კიბეზე ჩამომჯდარი ექიმი, გრიშა რეკვავა, მიშა ანანიაშვილი და ხარებავა დავინახე (სადარაჯო ათასეულის თანამშრომლები).

– ჩემო ძვირფასებო! რა ამბავია ჩემსას? ამ გათენებამდე აქ რამ მოგიყვანათ? – მივაძახე მე.

– დამშვიდდი, გაბო! – მომაგება მიშა ანანიაშვილმა. – ყველაფერი რიგზეა. შენიანები ყველანი კარგად არიან!

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

– ხუთი დღეა, რაც ბაქოდან გამოდით. აქამდე სად ხართ? – მკითხა გრიშა რეკვავამ (ის ცნობილი ექიმი იყო თბილისში).

– ამას ისტორია აქვს, ჩემო გრიშა! ავიდეთ სახლში!

– სახლში არავინ შეგხვდება. შენი ცოლ-შვილი სოფელშია, გურიაში.

მეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი!

ეზოში და ოთახში შევედით, კარი მეზობელმა გამიღო. ოთახებს თვალი მიმოვავლე. ყველაფერი რიგზეა. საკიდზე ჩემი ფარაჯა „პოგონებით“, იქვე ჩემი ხმალი, შუა ოთახში – გოგის საწოლი, პატარა ოთახში, საწოლის თავზე – ნინას კაბა. იქვე მისი ტუფლები, კუთხეში – ძიძას ხატი, ყველაფერი ხელუხლები.

ამ ორომტრიალში რვა საათმა მოატანა. ანანიაშვილი გავიდა, ნახევარ საათში ისევ დაბრუნდა სანოვაგით და სასმელებით დატვირთული. დაუსრულებელი იყო ჩვენი ბაასი და ერთმანეთისადმი განცდების მოყოლა. გვიან საღამომდე მოვუნდით ამას. შემდეგ ბარგი გამოვიტანეთ სადგურიდან. მე სოფელში ნინას დეპეშა გავუგზავნე, რომ თბილისში ვარ და მალე წამოვალ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებმა ერთი კვირა გამაჩერეს თბილისში და სოფელში არ გამიშვეს.

– რა გინდა, სოფელში რომ მიდიხარ? ხვალ თუ ზეგ ჟორდანიას მთავრობა აქ მოვა. ბარემ შენც აქ იყავი! – მეუბნებოდნენ ისინი.

მე მსიამოვნებდა, რომ ამას ამბობდნენ. მაგრამ ძლიერ მიკვირდა, რა საფუძველით ამბობდნენ ამას?! აქ იყვნენ და გაიქცნენ. ხვალ-ზეგ მათ აქ ვინ მოუშვებს-მეთქი. მაგრამ რახან წინააღმდეგობით და კამათით ამხანაგების წყენა არ მინდოდა – გავჩერდი ერთი კვირა. ეს გაჩერება ჩემთვის წამება იყო და ნინასაც ვტანჯავდი ლოდინით.

ერთ დღეს სერგო ორჯონიკიძესთან გამოვცხადდი, როგორც მქონდა დავალება ბუტირკიდან გამოსვლისას. მისი რეზიდენცია იყო ახლანდელ პიონერთა სასახლეში. აქაც უკვე შემოეღოთ კომენდანტი, საშვი და ცერემონიები მაღლა ასასვლელად. ორჯონიკიძე ძლიერ ლმობიერად შემხვდა. მე მოვახსენე ჩემი ვინაობა და წარუდგინე ქაღალდი, რომელიც ციხიდან გამოსვლისას მომცეს. მასში ეწერა, რომ მე მასთან გამოვცხადებულიყავი.

– სამსახური გინდა? – მკითხა მან.

– როგორ არა, პატივცემულო სერგო, მაგრამ ახლახან ჩამოვედი, ოჯახი გურიაში დამხვდა წასული. გთხოვთ ნება მომცეთ სამსახურისთვის შეგაწუხოთ გურიაში წასვლის შემდეგ.

– კარგი. წადი, – მითხრა ორჯონიკიძემ, – დაისვენე და შემდეგ მოდი.

გამოვედი და იმავე ღამეს სოფელში გავეშურე, იმავე საევაკუაციო მატარებლით.

ამხანაგებს ჩემი სოფელში წასვლა არ გაუგიათ.

იმ პერიოდის ჩვენი სოფლის მესვეურნი

გერასიმე რამიშვილი თუ მოწინავე, შეგნებული მშრომელი და პატიოსანი ადამიანის სახელით სარგებლობდა მუდამ, მისი უფროსი ვაჟი ლადიკო, უპრინციპო, ვერაგი პროვოკატორი იყო. ის ორ სკამზე იჯდა. ოფიციალურად „მენშევიკობდა“, მაგრამ იმავე დროს, ჩვენი სოფლის საუკეთესო ხალხის, იმათი, ვისაც ნამდვილად გული შესტკივოდა ჩვენი სოფლის ავ-კარგიანობაზე – დარბევა-დაპატიმრებაში, სხვებთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღოდა. შვილის ასეთი წუმპეში ყოფნის შესახებ მამამ არაფერი არ იცოდა!..

ლადიკომ ჯერ თავი შეუყარა „ვითომ კრებაზე“ ისეთ ხალხს, რომელთაც არაფერი ესმოდათ არალეგალური მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ აღმასკომს აცნობა „კრების“ ადგილი და ეს ხალხი

ხალხი დაიჭირეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს უმსგავსო მოქმედება წინასწარ შეთითხნილი და მომზადებული იყო სოფლის მაშინდელი ახლად მოვლენილი მესვეურების მიერ. ასეთი პროვოკაციით ისინი ავტორიტეტს იმაღლებდნენ.

ჩემი მოსკოვიდან დაბრუნებისას ბუტირკის ციხის მერე სოფლის სათავეში „რევკომი“ იჯდა, ზუსტად რუსეთის ყაიდაზე მომართული, ერთად მოვლენილი თავკაცებით.

როგორ ამოტივტივდა ეს ხალხი სოფლის საზოგადოებიდან, მე არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ისინი არ შეიძლება ყოფილიყვნენ ხალხის მიერ არც დასახელებულნი და არც არჩეულნი.

ასეა თუ ისე, იმჟამად ეს ხალხი იდგა სოფლის სათავეში, რა თქმა უნდა, ზემოდან დანიშვნით და არა ხალხის მიერ არჩევით და ითვლებოდნენ ზევიდან ნაკარნახევის შემსრულებლად ამა თუ იმ პირის დარბევა-დაპატიმრება-გაუჩინარებაში.

შთაგონებულნი იმ გაგებით, რომ სოციალ-დემოკრატები ანუ მენშევიკები რევოლუციის მოსისხლე მტრებია, რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში სოფლის მოწინავე საზოგადოება სოფლიდან აღგვილი აღმოჩნდა.

რაკი ჩვენმა სოფელმა წარმოშვა და აღზარდა ისიდორე და ნოე რამიშვილები – ბოლშევიკურმა მთავრობამ შეიძულა ჩვენი სოფელი და ზემოთჩამოთვლილ ვაჟბატონების ხელით გაანადგურა ის.

სხვა რამის გაკეთება ამ ვაჟბატონებს არც შეეძლოთ. მათ არ ჰქონდათ არც ცოდნა, არც განათლება, არც მსოფლმხედველობა და არც კეთილი საქმის კეთების მოთხოვნილება და სურვილი. მათ დროს ერთი სასარგებლო სოფლის საქმე არც წამოჭრილა და არც გაკეთებულა. მათი გონება მხოლოდ იმით იყო გამსჭვალული, რომ ზემოდან ნაბრძანები შეესრულებიათ, რაც შეიძლება მეტი სიმკაცრით და დაუნდობლობით.

მათ სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ დარბეულთა შორის ისეთი ხალხი ურევია, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ არავითარ პოლიტიკაზე და თავიანთ სიცოცხლეში თოხის და ცულის გარდა არაფერი უნახავთ. მათ ერთი სიტყვაც არ ესმოდათ რუსულად და ვინ იცის, როგორ პირუტყვებივით გაწამებულნი ჩაიხოცნენ ვინ სად და ვინ სად რუსეთის შორეულ ლაგერებში.

რას წარმოადგენდნენ ეს ახლად მოვლენილი მესვეურები, რანაირი იყო მათი მოღვაწეობა და საქმიანობა ჩვენი სოფლის ხალხმრავალ საზოგადოებისთვის?

გასაბჭოების პირველი წლიდანვე განადგურებულ იქნა ჩვენი სოფლის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომლის დაარსებაზე, შეწირულობაზე და შევსებაზე დიდი შრომა დახარჯა წინა თაობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძვირფასესი კაპიტალური გამოცემის წიგნების ფურცლებში ნოქარი ხორცს ახვევდა და მყიდველებს ატანდა საყასბოდან (მაშინ ჯერ კიდევ არსებებდა ხორცით ვაჭრობა ჩვენს სოფელში).

სოფლის ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ, უპატრონო გოგოს გაუპატიურება დანაშაულად არ ითვლებოდა.

სოფელი შიმშილს განიცდიდა. მთავრობამ ორი ტომარა პურის ფქვილი გამოჰყო სოფლისათვის. ეს ორივე ტომარა მთავარმა მესვეურმა რომანოზამ ღამით სახლში წაიღო. მეორე დღეს მისი მოხუცი მამა, ოჯახის უფროსი, მეზობლებს ეუბნებოდა:

– გაძღა, ძმაო ქვეყანაო! – მას ეგონა, რომ ორ-ორი ტომარა ფქვილი მიიღო სოფლის ყველა მცხოვრებმა.

ერთ-ერთი მესვეური, ქმარშვილიან მეზობლის მეუღლეს შეუჩნდა და პატივი აჰყარა. შემდეგ ერთ ობოლ გოგოსთან მიძვრა და გააუპატიურა, რასაც ბუში და •ტრაგედია მოჰყვა. ამავე მესვეურმა სოფლის ერთ-ერთი შენობის ყავარი მიითვისა და სახლში წაიღო. ეს ის კომუნისტი გახლდათ, რომელიც ახლაც დიდ პენსიას იღებს „დამსახურებისათვის“.

გამოგონილი ბრალდებით და ხელისუფლების წინაშე ამით თავის გამოჩენა, მეზობლების დაბეზღება – მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

უსახელო წერილების წერა და რაიონის ორგანიზაციების ავსება ასეთი წერილებით – ხელობად იქცა.

ხალხის მიერ სასოებით აგებული სკოლის ორი შენობა, რომლის ბადალი აღმოსავლეთ გურიაში ბევრი არ იყო, 1946 წელში ხანძარს მოასპობინეს და სხვა მრავალი!..

აი მათი საერთო საქმიანობა, რისთვისაც ისინი მოსახლეობას სძულდა.

დროგამოშვებით, ხალხის უკიდურესად დასჯის მიზნით, მოვლინებულ მილიციასაც მოიშველიებდნენ ეს მესვეურები.

მაგალითად, ერთხელ მოვლინებული იყო ვიღაც ბაყაყის მსგავსი მილიციის უფროსი,რამდენიმე მილიციელით. ფოსტის შენობაში ბინადრობდნენ. კვირა დღე იყო. დუქნებთან მოგროვილიყვნენ სოფლის მცხოვრებნი ნავთის, მარილის, პურის, ხორცის და სხვა პროდუქტების საყიდლად. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ამ პროდუქტებით ვაჭრობა.

მილიციის უფროსმა, ვითომ სიფხიზლისათვის ყველა გზა მილიციელებით ჩაჰკეტა და ხალხის ჩხრეკა დაიწყო. ხალხი აღშფოთდა. ეს ამბავი მაშინვე ჩოხატაურის მილიციის უფროსს აცნობა ერთმა გაჩხრეკილთაგანმა ტელეფონით. იმ ვიგინდარას ჩხრეკა შეაწყვეტინეს, იმავე დღეს რაიონში დაიბარეს და შემდეგ ის სურების ხაზზე არავის უნახავს.

ხსენებულ მესვეურებში კოზმანა რამიშვილი ხალხის განსაკუთრებულ სიძულვილს იმსახურებდა მუდამ. საოცარია, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დამსახურებისათვის მოევლინა ის გასაბჭოებულ ჩვენს სოფელს ერთ-ერთ ხელმძღვანელად. ალბათ ამ საკითხში მას დაეხმარა დიდი გავლენის მქონე ახლო მეზობელი, რომელსაც, კოზმანასავით სძულდა ჩვენი სოფლის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება...

კოზმანა ჩვენი სკოლიდან მახსოვს. მე რომ პირველ განყოფილებაში ვიყავი (1901წ.) ის მესამეში იყო. მიყვარდა, რადგანაც ჩემი კისერში ჩასმა იცოდა და სკოლის ეზოში მატარებდა.

როცა სწავლა განახლდა, მე მოუთმენლად მოველოდი მის სკოლაში მოსვლას, მაგრამ ის აღარ დაბრუნდა. მესამე კლასიდან მან სწავლა მიატოვა. ამის შემდეგ ის აღარ მინახავს გასაბჭოებამდე, მაგრამ აუარებელი მისი ბნელი საქმიანობა მსმენია. მის გამო ჩვენი სოფელი აწიოკებული იყო. მას ყაჩაღის, მძარცველის სახელი ერქვა.

მისი მამის, ელიზბარის ოჯახი ერთ-ერთი პატიოსანი, მშრომელი ოჯახი იყო ჩვენს სოფელში; კოზმანას ძმები – სერგო, ესე, ვასილი – საუკეთესო ახალგაზრდები იყვნენ და არავის ჩამორჩებოდნენ კეთილ საქმიანობაში. კოზმანამ-კი ეს ოჯახი ააწიოკა.

იმ დროს მას მეფის ჯარში გაწვევა შეეხო და სხვა ახალგაზრდებთან ერთად გაუწვევიათ კიდეც. ჯარი არ მოსწონებია და გამოპარულა. დეზერტირობა მაშინაც მკაცრად იდევნებოდა.

მათი თავი მთავრობამ სოფელს მოთხოვა. წარუდგენლობის შემთხვევაში მთავრობა ისევ ეგზეკუციით იმუქრებოდა. ეგზეკუცია ერთხელ ხომ იგემა სოფელმა?!. სოფელი დიდ საგონებელში ჩავარდნილა. ეს 1910-11 რეაქციის მძვინვარების წლებში ყოფილა.

გურიის სოფლებს იმ დროს მეფის მთავრობისადმი ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული და დამნაშავეებს თვითონ ასამართლებდნენ. მთავრობას ხელში არ უგდებდნენ. რევოლუციური მოძრაობა ამ პერიოდში ძლიერი იყო. მე მკაფიოდ მახსოვს შემდეგი შემთხვევა: ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ღრმა მოხუცი ნინიკა რამიშვილი. მას ზედსიძედ ჰყავდა ზურაბ შათირიშვილი. ზურაბს სამი თუ ოთხი შვილი ჰყავდა და მათ შორის ერთი აკვნის ბავშვი. ნინიკას სახელი ჰქონდა გავარდნილი, რომ თითქოს მას ბლომად ფულები აქვს და ერთ ღამეს თავს დაესხნენ წასართმევად. ბევრი იწვალეს თავდამსხმელებმა, მაგრამ კარები ვერ შეამტვრიეს. ბოლოს ერთმა მათგანმა კარიდან სახლში ისროლა. ტყვია ბუხართან მდგარ აკვანში მწოლ ბავშვს მოხვდა და მოჰკლა. თავდამსხმელნი მიიმალნენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ეჭვებით კვალს მიაგნეს. ხალხის ძიებამ თავდამსხმელები აღმოაჩინა, ხალხმა გაასამართლა ისინი და მიუსაჯა სამ-სამი წლის ბოიკოტი. ეს ძლიერ მძიმე სასჯელი იყო. ამ ხნის განმავლობაში მისჯილს ვერავინ ვერ დაელაპარაკებოდა და ვერავითარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთობას ვერ იქონიებდა მასთან. ისინი გარიყული ცხოვრობდნენ ხალხისგან.

ასეთი იყო ხალხის რისხვა და სამართალი. ასეთი მიდგომა ყოფილა დეზერტირების – კოზმანსა და ოლიფანტეს მიმართაც. სოფელი, თავის თავკაცების საშუალებით, ბევრჯერ ცდილა შთაეგონებია მათთვის, რომ სხვა ახალგაზრდებსავით მოეხადოთ სამხედრო ბეგარა და ამით მოესვენებიათ სოფელი.

ისინი არად აგდებდნენ ხალხის მუდარას; შემოიერთეს სამი საჭამიასერელი ვიგინდარა და შექმნეს 5 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც უკვე არაფერს აღარ ერიდებოდა. ძარცვა, ქურდობა, ავაზაკობა, ქალების გაუპატიურება – გადაიქცა მათ ჩვეულებრივ საქმიანობად. სოფელი პარალიზებული გახდა. ახალგაზრდა ქალები გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ. მესადილეებს ყანის მუშებთან ვეღარ აგზავნიდნენ. საქონლის მოსაძებნად ნაყანევში გოგოებს ვეღარ გზავნიდნენ. დუქნებზე ნავთის, მარილის, ასანთის და სხვა რამისათვის ბავშვებს ვეღარ გზავნიდნენ...

ჯარიდან შვებულებით მოსულმა მეზობელმა, ნიკო რამიშვილმა, რომელმაც გაიგო, რომ კოზმანამ მისი მეუღლე გააუპატიურა, კოზმანას შეხვდა, სამჯერ რევოლვერი დაახალა, მისი ჭკუით ის მოჰკლა და ისევ ჯარში გაბრუნდა. კოზმანა, შინაურების დახმარებით მომჯობინდა.

სოფელი მოქცეულა ორ ცეცხლს შუა. ზევიდან რეაქციული მთავრობის მუქარა; ქვევიდან ამ ქურდ-ბაცაცა ბრბოს პარპაში.

გასაბჭოების შემდეგ ახლობლის დახმარებით ის ბოლშევიკად მოევლინა საზოგადოებას და რევკომში მოიკალათა. მას დამსახურებად ჩაეთვალა ჯარიდან გამოპარვა, დეზერტირობა, სოფლის აწიოკება და გარყვნილი ცხოვრება. ქურდ-ბაცაცობისათვის სოფლიდან გარიყვა მას რევოლუციურ სტაჟად ჩაეთვალა.

მისმა „გულშემატკივარმა“ – ხელისუფლებას შავი თეთრად მოაჩვენა და სოფლის ყოფილი ამაწიოკებელი ისევ სოფელს დაასკუპა კისერზე შხამიან კოღოდ.

რევკომის (აღმასკომის) თავმჯდომარის – რომანოზ რამიშვილის მოღვაწეობაც ცნობილი გახდა მიხეილ კალინინისათვის მოსკოვში და მან ერთ-ერთ სიტყვაში ის მოიხსენია, როგორც სოფლად მუშაობის სიმახინჯის ნიმუში: ეს მაშინდელ ცენტრალურ გაზეთში იყო გამოქვეყნებული.

აი როგორ ყოფილა საქმე: რამანოზას ოჯახს რამდენიმე ქათამი დაკარგვია. უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. მას მთელი კუთხისათვის თავი მოუყრია კრებაზე და თავმოყრილი ეს ხალხი დაპატიმრებულად გამოუცხადებია. „სანამ ჩემს ქათმებს არ აღმოაჩენთ, აქედან ფეხს ვერ მოიცვლითო“. დიდი ხნის თავის მტვრევის შემდეგ აღმოჩენილა, რომ ქათმები მის ცოლს ჩუმად მიუყიდია რძლისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ არაადამიანობის მაგალითს აუარებელს მოისმენთ სოფლელებისაგან. თითქოს საგანგებოდ სათავეში მოქცეულან ისეთები, რომელთაც ხახლში ავტორიტეტი არ გააჩნდათ. ხალხს ისინი სძულდა ბნელი საქმეებისათვის.

ასეთი იყვნენ მაშინდელი ჩვენი სოფლის ახალი მესვეურნი 1921-24 წლებში.

როგორც აღვნიშნე, სოფელში ვცხოვრობდი საქართველოს გასაბჭოების პირველი წლიდან. ამ ხნის განმავლობაში გავიგე, რომ ხალხი ძლიერ უკმაყოფილოა. ზოგი-ვინმე ჩუმად დადიოდა და მოსახლეობას საწინააღმდეგოდ რაზმავდა. მიმოჰქონდათ პროკლამაციები და სხვა.

ჩემთანაც ჰქონდათ ლაპარაკი ამის შესახებ. გულახდილად ვამბობ, რომ მათი აზრი ძლიერ მაკვირვებდა და ასე ვუპასუხე:

– საქართველოს რესპუბლიკა საკმაოდ მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა შეიარაღებით და მეომრებით, მაგრამ ხომ დაინახეთ რუსეთის ურდოებმა რა უყვეს მას? ახლა რის იმედი გაქვთ, ვინც ფიქრობთ, რომ ამ ურდოებს დაამარცხებთ და საქართველოს ისევ დამოუკიდებლობას დაუბრუნებთ? ჩემს თვალწინ ბევრმა რამემ გაიარა, რაც არც თქვენ და არც სხვებს არ გინახავთ. რასაც თქვენ ფიქრობთ, ის არ მოხდება. ის მე არც მჯერა და არც მწამს.

– შეშინებულხარ! გული გაგტეხია! – მეუბნებოდნენ ისინი. – აი, მაგალითად, ჩვენი სოფელი. განა დიდი საქმეა, რამდენიმე ნაძირალას ალაგმვა? ასეთი ათიოდე ნაძირალას ხელშია თითოეული სოფელი და თუ ერთსა და იმავე დროს დავიწყებთ, მათი ალაგმვა ძნელი არ იქნება.

– თქვენ განა დაგავიწყდათ, ვისით არიან წელმაგარნი ეს ნაძირალები? აი როგორ სტყუვდებით! – ვეუბნებოდი მე.

– კაცო! ჩვენი მთავრობა საზღვარგარეთ ტყუილად კი არ იმყოფება!.. მას სამხედრო ძალების საქმე მოგვარებული აქვს...

– ვინ გითხრათ ეს? ეს ტყუილია! ევროპას ახლა ჩვენთვის სცალია?.. – და სხვა მრავალი ასეთები...

ერთხელ არალეგალურად კრებაზე მომიწვიეს. ამ კრებაზე გამოცხადდა ლადიკოც. მე უკვე ეჭვი მქონდა მიტანილი მის „მოღვაწეობაზე“ და მისი მოსვლა არ მესიამოვნა. მას პროვოკატორის სახელი უკვე დამტკიცებული ჰქონდა. ზემოთ თქმული გავიმეორე, კრება დავტოვე და სახლში წამოვედი.

მეორე დღეს ვანო შენგელიამ მითხრა (ვანო თავისებურად კომუნისტობდა):

– გაბრიელ! შენ კარგად მოქცეულხარ, რომ წუხელ კრებიდან წასულხარ. მაგათ ნუ აყვები, თორემ დაგღუპავენ!..

ეს იმას ნიშნავდა, რომ კრების ამბავი უკვე ყველასათვის ცნობილი იყო. ყოფილ თავკაცებს კატეგორიულად განვუცხადე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გთხოვთ თქვენი წინადადებით ჩემთან ნუღარ მოხვალთ, ეს მე თავი დამანებეთ. თუ თქვენი ოცნება გამართლდა და ხორცი შეისხა, ამას დავინახავ და ჩემს სამოქმედო ასპარეზს მე თვითონ ავირჩევ.

მასწავლებლებზე თავდასხმა

ერთხელ ჩვენი სოფლის მასწავლებლები ერთ ოჯახში სადილზე ვიყავით მიწვეულნი. მასწავლებლებში პარტიულებიც იყვნენ. მოულოდნელად სახლს ალყა შემოარტყეს და ეზოში შეიარაღებული ხალხი აირია. აქ იყვნენ რომანოზა, კოზმანა და სხვები. მათ დანახვაზე მაგიდიდან წამოვიშალეთ და ეზოში გავედით.

– რაშია საქმე? – ჰკითხა ანდრომ რომანოზას.

– თქვენ არალეგალური კრება გაქვთ! – უპასუხა მან.

– კრება კი არა, სადილზე ვზივართ. ამის უფლება წართმეული ხომ არ არის? აგერ პარტიის წევრი მასწავლებლები და ჰკითხეთ მათ!

დაინახეს, რომ ძლიერ უხეშად მოუვიდათ თავდასხმა და შერცხვენილნი გადაიკარგნენ. ჩვენ შევეცადეთ დაწყებული ლხინის გაგრძელებას, მაგრამ ხალისი უკვე გაფუჭებული იყო და მალე ჩვენც დავიშალეთ.

ასეთი აღვირახსნილობა ყოველ ნაბიჯზე იყო. ასეთი სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში 1924 წლის აგვისტოსათვის.

1924 წელი საქართველოში

მდგომარეობა იმდენად აუტანელი გახდა ხალხის დაუსრულებელი დარბევა-დაპატიმრებით, პიროვნების არაფრად ჩაგდებით, მასობრივი აწიოკებით, რომ ვიღაცა „ჭკვიანს“, არალეგალურ მოძრაობის სათავეში მდგომს, გადაუწყვეტია საერთო შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა, ყველგან ერთდროულად, მთელ საქართველოში.

ამ ღონისძიებას სამართლიანად „ავანტიურას“ უწოდებდნენ. მართლაც, ამაზე მეტ უბედურებას იშვიათად დამართებს ვინმე თავის ერს. ისედაც განადგურებულ საქართველოს, ახალი საშინელება თავს დაატყდა. მასობრივი ჟლეტა მოჰყვა ამ ამბავს თითქმის მთელ საქართველოში.

განსაკუთრებული სიმკაცრის ჯალათობა ჩაიდინა ცალფეხა საშა გეგეჭკორმა, რომელმაც ვაგონებში გამომწყვდეულ ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარედან ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნა და ვაგონებიდან დაცხრილა მოქალაქენი. ასეთივე უბედურება იყო მოსალოდნელი გურიაშიც.

1924 წლის 14 აგვისტო იყო. იმ დღეს მე ცულით ტყეში ვიყავი წასული და ვეძებდი ჩემი სახლის ჭერისათვის ცაცხვის მასალას. მაღლა, სერის ახლოს ერთი დიდი ცაცხვი ვნახე. მომეწონა. მოვჭერი, ზომაზე გამოვმორე და დაბლა გადმოვაგდე. წვიმა წამოვიდა. მოსველებულზე მორი გრიალით დაცურდა და სადღაც ქვევით გაჩერდა. მას ყეფით ძაღლი „ბასხაუტა“ დაედევნა. მისი ყეფა ქვემოთ შორიდან მოისმოდა.

სახლში დასველებული დავბრუნდი. საღამო ხანს მითხრეს, გალმა, შარაზე ვიღაცა გიხმობსო. გავედი. აღმოჩნდა მირონ ცინცაძე... ეს ცინცაძე პატარაობისას მინახავს ფარცხმას; მაგრამ შემდეგ არსად არ შემხვედრია. გაგებული მქონდა, რომ ის ეწეოდა არალეგალურ მუშაობას და ხალხს საწინააღმდეგოდ რაზმავდა. მოსალმების შემდეგ მან მითხრა:

– ბატონო გაბრიელ! ხვალ დილით მთელ საქართველოში საყოველთაო გამოსვლები იწყება. გურიის კომიტეტმა თქვენ დაგავალათ ხელმძღვანელობა აღმოსავლეთ გურიაში... უარის თქმა ნიშნავს უნდობლობის დამსახურებას. ეს-კი თქვენს მიმართ გამოიწვევს ტერორისტულ აქტს. ამას ოფიციალურად გიცხადებთ...

მე ცივმა ოფლმა დამასხა.

– კი, მაგრამ ჩემი თანხმობა საჭირო არ იყო? ვინ არის გურიის კომიტეტი, ან სად იმყოფება ის?

– ჩვენ საკმარისად გიცნობთ და უკეთესი არავინ გამოიძებნა... თანდათანობით ყველაფერს გაიგებთ...

თქვა ეს და ზემოსურებისაკენ გასწია. ადგილზე გაქვავებული ვუცქერდი მას...

მას, თურმე ყველა თავისი უჯრედი გაეფრთხილებია და შუაღამისას ჩემთან იწყეს სვლა ჯერ ჩვენი სოფლის ბიჭებმა, შემდეგ შუასურებიდან, შემდეგ ზემოსურებიდან. გათენებამდე მიმოსვლა და ძაღლების ყეფა იყო. ყველა კონკრეტულ მითითებას მოითხოვდა. საჭირო გახდა ამ ხალხის აღგზნების შენელება, რათა რაიმე ექსცესი არ მოეხდინათ. მსურდა ეს თუ არ მსურდა, მე ჩაბმული აღმოვჩნდი... უმალ ბრძანება გავეცი.

„ყველა არასასურველი პირი დააკავეთ. მათთან უხეშობა და მათი დასჯა არავინ გაბედოს. თავიანთ სოფლებში ერთ ალაგას თავი მოუყარეთ და მცველები დააყენეთ. ხვალ, თერთმეტ საათზე, ვისაც იარაღი აქვს, ჩვენს დუქნებზე გამოცხადდეს რაზმეულად, არჩეული მეთაურით. აქვე ვიქნები მეც. შესრულებას დაუყონებლივ შეუდექით“.

ყველა შეპყრობილი ეკლესიაში შერეკეს და მცველი მიუყენეს. ამას უკვე არსებული პარტიული უჯრედი ხელმძღვანელობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მომხდარა აღმოსავლეთ გურიის ყველა სოფლებშიც. ჩვენს სოფელში ორი საათის განმავლობაში ყველაფერი მოთავდა. დანიშნულ დროზე ქვემო, შუა და ზემო სურების რაზმელებმა თავის მოყრა იწყეს. შუადღისას ასიოდე ვეფხვივით ვაჟკაცი ჩოხატაურისაკენ დავძარი.

***

ბუკისციხეში აუარებელი ხალხი დაგვხდა. ამ დღეს „მარიამობის" დღესასწაული დაემთხვა. ყველა აღფრთოვანებული იყო. საყვავისტყეს შარა დავტოვე და რაზმი მოკლე გზით ჩოხატაურის ყოფილი ფოსტის შენობასთან ავიყვანე. აქაც დიდი სიხარულით შეგვხვდნენ.

– სურებლები! სურებლები ჩამოვიდნენ! შეხედეთ, რა ვაჟკაცებია! – გაიძახოდნენ ზღვა ხალხში. აქ ზოგი მეთაურთაგანი შემხვდა. გამოირკვა, რომ ყველა სოფელში, უმარცხოდ, ყველა ბოლშევიკი შეპყრობილი და ეკლესიებშია დამწყვდეული. აღმოსავლეთი გურია ითვლებოდა ნოგომრის აქეთ საჯავახოს სადგურამდე.

ჩოხატაურში აუარებელი ხალხი მოგროვდა სხვადასხვა სოფლებიდან. უმეტესობა შეიარაღებული იყო. ეს ხალხი რაზმებად ჩამოვაყალიბე და ყველას კონკრეტული დავალება მივეცი. უმთავრესად გზების დაცვაზე. სოფლებთან კავშირგაბმულობა აღვადგინე და ცოცხალი კავშირიც დავაწესე.

ცოტად თუ ბევრად სიტუაციაში გავერკვიე, მაგრამ საიმედო და სანუგეშო არაფერი იყო. როგორც თავიდანვე ვფიქრობდი, მდგომარეობა სწორედ ისეთი აღმოჩნდა. სამტრედია, საჯავახო, ლანჩხუთი, ბათუმი – რუსი წითელარმიელებით აივსო, სამთო არტილერიით და სამხედრო საჭურველით.

ოზურგეთი პირველსავე დღეს უნდა დაეკავებიათ აჯანყებულებს, მაგრამ არა თუ ეს ვერ შესძლებს, სულ მიატოვეს დასავლეთი მისასვლელები, იმავე წითელარმიელების შემოსვლის გამო და ნასაკირალისაკენ დაიხიეს. იმერეთიდან და მთელი დასავლეთის სხვა ადგილებიდან გულისშემზარავი ამბები მოდიოდა ხალხის მასოვბრივი ჟლეტის შესახებ.

ტელეფონით მაცნობეს, რომ ხევში მოგროვილია ნაბელლავ-ხევი-ბუქსიეთის შეიარაღებული ხალხი ორას კაცამდე და განკარგულებას ელოდებიანო. მე გადავეცი, რომ ისინი ონჭიქეთის ქედით გადასულიყვნენ დიდვანში და იქ დამლოდებოდნენ.

დიდვანში წასვლის წინ ფარცხმიდან ძიძა და გოგა გამოვიძახე. გოგა ცხენზე შევისვი და გავსწიე. ძიძას დავუბარე სახლში ასულიყო.

სახლში გოგა ნინას ჩავაბარე და მე სკოლისაკენ წავედი. ხალხ-რაზმი გამოვაწყვე, საჯავახოდან მომავალი გზების დასაცავად დავალება მივეცი, ჩვენებური მეგზურები მივუჩინე და გავუშვი. მე ისევ ჩოხატაურში დავბრუნდი.

ამ ორომტრიალში ორი დღე გავიდა. სურებლების რაზმი დანაწილებული მყავდა ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო პუნქტებში. მე უკვე ვხედავდი, რომ საქმე ნამდვილ ავანტიურასთან გვქონდა და ვცდილობდი იმერეთის ამბები აქაც არ გამეორებულიყო. საამისო გეგმა უკვე გამომუშავებული მქონდა გონებაში.

მესამე დღეს ნასაკირალიდან, სადაც ამ ავანტიურის მეთაურნი იმყოფებოდნენ, ცნობა მივიღე, რომ მეც იქ მივსულიყავი.

პანია, ჩემი უფროსი ძმა, ხუთი კაცით ჩემს დაცვას ახორციელებდა და ჩემთან იყვნენ. ვიღაცეების ცხენებს თავი მოუყარეს და ნასაკირალზე წავედით. ღამდებოდა, როცა სრულებით უცნობ ხალხთან შევედი ერთ-ერთი სახლის ოთახში.

ლაპარაკის დროს გავარკვიე, რომ იქ იყვნენ საზღვარგარეთიდან ჩამოსულნი – წითლიძე, მგონი, მგელაძე და ერთი კიდევ, რომლის გვარი არ ვიცი. ადგილობრივი: მათითეშვილი, შარაბიძე და მგონი, ღლონტი. ყველანი ყურებჩამოყრილი და სასოწარკვეთილნი ისხდნენ. ვერც ერთს მანამდე მე ვერ ვიცნობდი. მგელაძე კი მინახავს მოწაფეობისას ბაქოში. შემეკითხეს აღმოსავლეთ გურიაში მდგომარეობის შესახებ. მე ვთქვი, როგორც იყო საქმე.

– აქეთ? აქეთ რა ამბავია? – ვიკითხე მე.

– ვერ არის, ძმაო, კარგად აქაური საქმე, – თქვა შარაბიძემ. – ოზურგეთში ახალი ჯარი შემოვიდა არტილერიით. ექადია მათ ხელშია. ჩვენი ძალები მთლიანად აქ, ნასაკირალზე იმყოფება, ვაკიჯვრის და ბახვის მიმართულებით ბოლშევიკების რაზმი მოძრაობს ჩოხატაურისაკენ...

– საქმე თუ ასეა, აქ რაღას დამჯდარხართ? ელოდებით, სანამ გზას გადაჭრიან და აქვე აგწკაპნიან ყველას? – ბრაზის მორევით ვთქვი მე.

– მოქალაქე რამიშვილო! თქვენ ნუ ცხარობთ. აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ... – დაიწყო წითლიძემ, მაგრამ დამთავრება არ დავაცალე, ერთბაშად ავფეთქდი, – პატივცემულო! არავითარი კრება და მიტინგი! ეხლავე აქედან სასწრაფოდ წასვლა ჩოხატაურის გზით, სანამ გვიანი არ არის!

– მერმეთ? – მკითხა შარაბიძემ.

– მერმეთ ის, რომ ეს ხალხი გადავარჩინოთ ფიზიკური განადგურებისაგან, გესმით? – წამოვიყვირე მე.

– მართალია! სხვა რაღა დაგვრჩენია! – წამოიძახა ვიღაცამ.

– მე მივდივარ! გირჩევთ იაროთ ჩოხატაურის მიმართულებით. ჩოხატაურიდან – სურების ხევით მთისაკენ! – ვთქვი და სასწრაფოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ გამოვედი. მინდოდა ჩქარა გავცლოდი ამ ხალხს, რომელთაგან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

– პანია! – დავიძახე სიბნელეში.

– აქ ვარ! – გამომეძახა ის.

ხმაზე წავედი, თორემ სინათლიდან გამოსული, ვერაფერს ვხედავდი. მთელი ნასაკირალი სავსე იყო ხალხით. გზა დიდ მანძილზე სულ ხალხით იყო გაჭედილი.

დიდი ვაი-ვაგლახით ეს ბრბო გამოვარღვიეთ და ნაგომრისაკენ წამოვედით ცხენებზე ამხედრებულნი მე და ჩემი მხლელებნი.

– ვინ არიან? სად მიდიან? – ისმოდა შეძახილები სიბნელეში.

– ალბათ, მეთაურებია! – უპასუხებდნენ სხვები.

ნაგომარში რაზმი მყავდა დატოვებული, პავლე ნანეიშვილის მეთაურობით, რომელიც აკეთის მიმართულებას იცავდა. გამოვლისას მათ დავუბარე, რომ ნასაკირალიდან მოსულ ხალხს გამოჰყოლოდნენ უკან. იგივე ვაცნობე სხვებსაც და ხიდისთავში წამოვედით.

ხიდისთავი გამოვიარეთ. უკვე გათენებული იყო. ვისაუზმეთ და ცოტა წავიძინეთ. იქედან ჩოხატაურში ამოვედით. აქ ჩემს მაგივრად ფილიპე მყავდა დატოვებული. მას მდგომარეობა ავუხსენი თუ არა, სახლისაკენ მოკურცხლა...

სურებლები გამოვიძახე. მოვიდნენ. ზოგი რამ დავალება მივეცი და სურებისაკენ წინ-წინ გამოვუშვი. საღამო ხანს მხლებლებით მეც წამოვედი. ბუკისციხეში ძლივს დავაღწიე თავი ზღვა შეკითხვებს. რა უნდა მეთქვა?.. მივედევ-მოვედევი...

მთელი ღამის განმავლობაში სურების გზაზე შეუნელებელი სვლა იყო ქვემოდან ზევით. მთელი გურია ზემოსურების და თავსურების ტყე-ღრეში იყო თავმიცემული.

ნასაკირალში დატოვებული მეთაურები აღარსად მინახავს და გავურბოდი კიდეც მათთან შეხვედრას. ისინი ერთი კვირა იყვნენ თავსურებში. ორჯერ კაცი გამომიგზავნეს, რომ მეც მათ გავყოლოდი, მაგრამ არ გავყევი. შემდეგ გავიგე, რომ ისინი საზღვარს გასცილებიან და წასულან.

მთაში თავშეფარებული გურიაც თანდათან, კანტიკუნტად დაბრუნდა სოფლებში და სახლებში. ასე დამთავრდა 1924 წლის გამოსვლები გურიაში.

***

როდესაც ეს შავბნელი დღეები მომაგონდება და დავფიქრდები, ჩემს თავს ვეკითხები: „რა მოხდებოდა, რომ მე ამ უბედურებაში მონაწილეობა არ მიმეღო და ჩოხატაურის რაიონი თავისუფალი არ ყოფილიყო მთელი გურიის ხალხის მოძრაობისათვის; რკინისგზის

ხაზიდან სამხრეთისაკენ მომავალი გზა-ბილიკები, ასევე ... შარაგზის გასწვრივ, დაცული არ ყოფილიყო და უკან დახეულ ხალხს საშუალება არ ჰქონოდა სურების ხეობაში თავისუფლად მოძრაობისათვის; ნასაკირალზე არ მივსულიყავი და არ შთამეგონებია იქ მომწყვდეულ „ხელმძღვანელთათვის“ სურების ხევით სასწრაფოდ დახევა; რომ ეს დახევა დროზე არ განხორციელებულიყო და ჯალათ გეგეჭკორს მოესწრო მოტყუებული ხალხის საჟლეტად?“

რაღაც შინაგანი, სიმართლის ხმა მპასუხობს: „მაშინ გურიაშიც იგივე მოხდებოდა, რაც მოხდა კახეთში, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში... ზღვა სისხლი დაიღვრებოდა და მრავალი ალალ-მართალი სიცოცხლე შეწყვეტდა არსებობას, უკეთესი იქნებოდა, თუ სულ არ მოხდებოდა ეს ავჯანყება...“

***

1924 წლის ავანტიურას არავითარი ლოგიკური გამართლება არ შეიძლება მიანიჭოს კაცმა. ის ნამდვილად შემცდარი გონების შედეგი იყო. მრავალი წლების განმავლობაში ტვინს მიხვრეტავდა ის კითხვა, თუ ვის აზრში შეიძლებოდა დამუშავებულიყო მსგავსი ბოროტი საქმე. იჭვი მიმქონდა საფრანგეთში გახიზნულ საქართველოს მთავრობაზე და ძლიერ მიკვირდა, რომ ამ ხალხმა ასე გაიმეტა თავის ქვეყანა და ის კვლავ ხელში მისცა რუსეთს დასარბევად და საჟლეტად.

დიდი ხნის შემდეგ, 1935 თუ 1936 წელს, ჩემი ოჯახით სოფელში ყოფნისას, შევხვდი ჩვენ თანასოფლელ, ისიდორე რამიშვილს – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, საკმაოდ სახელგანთქმულ პიროვნებას და ვკითხე:

– ბატონო ისიდორე, თქვენ, დიდი პოლიტიკური და ჰუმანური პარტიის მესვეურებმა, როგორ დაუშვით საქართველოში 1924 წლის ავჯანყება? ხომ უნდა გცოდნოდათ, რომ ის წინდაწინვე დასამარცხებლად იყო განწირული?! რამდენი უდანაშაულო, ალალ-მართალი მსხვერპლი შეიწირა ამ საქმემ?!

– გაბრიელ! – მიპასუხა ისიდორემ. – ეს გამოსვლები და ყველაფერი ის, რაც 1924 წლის ზაფხულზე მოხდა საქართველოში, მართლაც სამარცხვინო ლაქად იქნება დადებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სინდისზე. ვინმემ არ იფიქროს, რომ მე ამ საქმეში რამე წილი მედოს. მეც დიდ აღშფოთებას განვიცდი მომხდარის გამო. პირველად მეც მეგონა, რომ მას კავშირი ჰქონდა საფრანგეთში მყოფ ჩვენს მთავრობასთან, მაგრამ ჩემი აზრი მცდარი აღმოჩნდა. მე საშუალება მომეცა წერილობით დავკავშირებოდი ორივე ნოეს, ჟორდანიას და რამიშვილს. მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევეკითხე ამ გამოსვლების შესახებ და ვწერდი – რის მიღწევა სურდათ მათ ამ ღონისძიებით? მიპასუხეს, რომ არავითარი სანქცია მათგან ამ საქმეზე არ ყოფილა. ყოველივე მომხდარი ზოგი საზღვარგარეთელი მოღვაწის დაუკვირვებლობას და ზოგიც საქართველოში სტიქიურ მოვლენებს უნდა მიეწეროსო.

მე დიდად განმაცვიფრა ისიდორეს ასეთმა პასუხმა, მაგრამ ის დიდი ავტორიტეტის ადამიანად მიმაჩნდა და მის მიერ თქმული დავიჯერე.

შავი დღეების დროს

ჩოხატაურში ყოფნისას, ხიდისთავიდან დამირეკეს, რომ დაპატიმრებულნი არიან ბახმაროდან მომავალნი ოზურგეთის აღმასკომის თავმჯდომარე ანდრო დოლიძე და გედეონ მჟავანაძე და ითხოვენ ჩემს ნახვას. მე ორივეს ვიცნობდი. გედეონ მჟავანაძე იყო ფილიპეს თანაკურსელი კიევის სამედიცინო ინსტიტუტიდან.

ისინი ჩემთან მოიყვანეს. კარგა ხანს ვილაპარაკეთ. გამოირკვა, რომ ბახმაროდან აჩქარებით წამოსვლისას, დოლიძეს იქ დაუტოვებია ცოლ-შვილი და ბარგი. მან მთხოვა დახმარება, მათი ხადისთავში ჩამოყვანისათვის. მე ნაბეღლავს დავურეკე და დავავალე, რომ სასწრაფოდ გაეგზავნათ ორი კურტნიანი ცხენი და დოლიძის ოჯახი ჩამოეყვანათ ხიდისთავში. მან მადლობა მითხრა.

– გაბრიელ-ჩემო! რა ჰქვია ამ მოვლენას, რაც ეხლა ხდება? – მკითხა მჟავანაძემ.

– რა გითხრა, ჩემო გედეონ! – ვუპასუხე მე. – პოლიტიკოსებმა და ე.წ. პარტიულებმა ხალხი ძმათა სისხლის ღვრაზე მიიყვანეთ. ამის ბოლო რა იქნება, მე არ ვიცი. ძლიერ მიმძიმს ამაზე ლაპარაკი. არ იფიქროთ, რომ მე მომწონდეს ეს... ასეა თუ ისე, თქვენ რამდენიმე ხანი მოგიწევთ პატიმრობა...

ისინი წაიყვანეს, მგონი, ხიდისთავში, როგორც მახსოვს.

ჩემმა ძმამ, პანიამ მითხრა:

– ჩვენი სოფლელები, სერაპიონ რამიშვილი და ვასილ ხუნდაძე ჩოხატაურში დაუჭირავთ და ციხეში სხედან. მე ისინი გამოვაშვებინე და მაკარიას ჩვენს სოფელში გამოვატანე, იქ ჩასაბარებლად, სადაც სხვები ჩვენებურები ისხდნენ. თანაც მათ ერთი დიდი პური გამოვატანე ნინაზე გადასაცემად. ამით ისინი ძლიერ კმაყოფილები და მადლიერები იყვნენ...

ნასაკირალში წასვლის წინ ჩემთან მეზობლის ქალი, ნადია მოვიდა და მითხრა:

– სპეციალურად მოვედი, რომ სახლში წაგიყვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე არ წავყევი საგანგებოდ, არავისთან არ მივსულვარ. იმ დღეებში – „ვინ იცის, საქმე როგორ მობრუნდება და ჩემი გულისთვის და მასპინძლობისთვის მათ პასუხი არ აგებინონ-მეთქი“. ყარამანმაც ბევრი მთხოვა, მაგრამ ვერც მას ვერ წავყევი.

გამოსვლების შემდეგი უახლოესი პერიოდი

ღამდებოდა, როცა ჩოხატაურიდან დიდვანში ამოვედი. ჩემი მხლებლებისგან ჩემთან დავიტოვე პანია, ზებედე და გრიგოლ დევაძე. სხვები სახლებში გავუშვი. მოვილაპარაკე, რომ დილით, გათენებისას დანიშნულ ადგილას შევხვდებით ერთმანეთს და ჩვენც სახლებში წავედით. ნინას გარდა, ყველა დაწოლილი დამხვდა. ბავშვებს თვალი გადავავლე. ტკბილად ეძინათ...

ნინა, როგორც ყოველთვის, ყოჩაღად იყო. საჭმელი მომიტანა, მავახშმა და დავწექით, მაგრამ მიუხედავად რამდენიმე ღამის უძილობისა, მაინც არ დამეძინა.

– ნინა, შენი ჭირიმე! რას იზამ შენ უჩემოდ?

– ნუ გეშინია. ჩვენ არაფერი გვიჭირს. არც ისე წვიმს, როგორც ქუხს, – მითხრა მან.

– ამაღამ მთელი გურია ამ გზით სურების მთისაკენ აივლის. უკვე დაწყებულია სვლა...

– შენ? შენ რას იზამ? წახვალ? – შეშინებული ხმით მკითხა მან.

– არა. მე არ წავალ. რაც მომივა აქ, თქვენთან მომივიდეს. ჯერჯერობით, გრიგოლ დევაძემ გვითხრა, საწაბლიაში ისეთ ალაგას ვიქნებით, რომ ვერავინ მოგვაგნებს. შემდეგ ვნახოთ... ამას ნურავის ეტყვი. პანია და ზებედე ჩემთან იქნებიან. საჭიროების დროს დაგიკავშირდები...

გზის გასწვრივ, ჩვენს კუთხეში, ძაღლების გამუდმებული ყეფა და ხალხის ფეხის ხმა ისმოდა. აქა-იქ ცხენის ჭიხვინიც. უმთვარო, ბნელი ღამე იყო. გვიან, ნაშუალამევს ხმაური შეწყდა. ალიონმა მოატანა.

– ნინა, გძინავს? – ყურში ჩავჩურჩულე მე.

– არა.

– ახლა უნდა წავიდე და, აბა, შენ იცი! – მომეკრა და დიდხანს არ გამიშვა... არ ტიროდა.

– გაბრიელ! ისე მოიქეცი, რომ თავს არაფერი მოსწიო. იცოდე, უშენობას მე ვერ ავიტან... ბავშვების დარდი ნუ გექნება... მე მათ არაფერს გავუჭირვებ...

ავდექი. ჩავიცვი. იაშა ჟორდანიას მოკლე კარაბინი თავის ფალასკით მე მქონდა. ის ავიღე და წავედი. დანიშნულ ალაგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანია და ზებედე დამხვდნენ. გათენებისას დევაძისას მივედით. გრიგოლმა ვერაფერი საიმედო ადგილი გვაჩვენა, თუ არ გვაჩვენა. წუხელს აქეთ აზრის ცვალებადობა შევნიშნე... ის დავტოვეთ, ყვითელაურზე გადმოვიარეთ, ვანისწყალს დავუყევით, შარა გადავკვეთეთ, ხიდით სუფსის გაღმა გავედით და აღმა, ტყით და ყანებით კარბათაზე ავედით. გაწვიმდა. დავსველდით. თხმელურაში გავედით. ლევანტის ნალიაში ღამე გავათიეთ. დილით გამოვედით. ისევ წვიმდა. ყორნალი გადავიარეთ და ნაჯოგვარზე, ჩემს ნალიაში ავედით სერზე.

მოგვშივდა. დევაძის იმედით წამოვედით და საგზალი არ წამოგვიღია. ნაშუადღევს პანია სახლში გამოვაგზავნე და დავაბარე:

– ჩუმად ჩაიპარები. ნინას უთხარი, სადაც ვართ. სოფლის მდგომარეობა გაიგე, საჭმელი წამოიღე და ჩქარა ამოდი.

წამოვიდა, მაგრამ აღარ დაბრუნდა...

ის ღამე ზებედამ და მე დიდ ნერვიულობაში გავატარეთ. დილას ზებედე გამოვაგზავნე იმავე დავალებით, რაც პანია. წამოვიდა, შუადღეს გადასცდა, მაგრამ არც ის დაბრუნდა...

გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო ოჯახის მდგომარეობა და ყოველივე ის, რაც სოფელში ხდებოდა. ნაშუადღევს სერს ქვემოთ დავუყევი. ნელა სვლით, ნაშენის თავზე ჩამოვედი. ეს დღე 1924 წლის 21 აგვისტო იყო. ნაშენის და წიფლარიდან კარგად მოსჩანდა ჩვენი სახლი, ეზო, ხიდი და შარა კარგა დიდ მანძილზე. ყანაშავას ბოსტანში ძიძა, გოგა და მიშა (პანიეს) დავინახე. ხეს ამოვეფარე, რომ მათ არ შევემჩნიე.

შარაზე, არხეინად სახლისაკენ მომავალი ნინა და მამაჩემი დავინახე. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ხეს მოვშორდი და მაშინათვე გოგამ დამინახა.

– პაპა! პაპა! პაპა! – დაიწყო ყვირილი (რუსი ძიძას გამო ჩემი ბავშვები „პაპას“ მეძახდნენ).

რამდენიმე ნახტომით მათთან გავჩნდი. გოგა ჩავიხუტე და გავაჩუმე. ძიძა ნინასთან გავაგზავნე და დავაბარე, რომ ახლავე აქ მოსულიყო.

ნინა მოვიდა. დიდი ხნის უნახავსავით ჩამეხვია.

– პანია სად არის? – ვკითხე.

– სახლშია.

– ზებედე არ მოსულა?

– მოვიდა და სახლში წავიდა.

– გასულელდნენ თუ რაშია საქმე? რატომ არ დაბრუნდნენ?

– მე არ გამოვუშვი. ვიცოდი, შენც ჩამოხვიდოდი.

– რა ამბავია სოფელში?

– ყველაფერი კარგადაა. წამოდი სახლში. იქ გიამბობ ყველაფერს.

– რას მეუბნები? როგორ წამოვიდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– როგორ და კარგად. ყველანი სახლში არიან. გაბრიელ რამიშვილი ამოვიდა. აღმასკომში ყოფნისას შენ გიკითხა, „ჩემთან მოვიდესო“ – მითხრა მეც და მამაშენსაც. ხო, ხო, მართალს გეუბნები! წამოდი, ტანზე გამოიცვალე. საჭმელი მზად მაქვს, – ხელი ჩამავლო და გამწია.

– კარგი! შენ თუ არ გენაღვლები – წამოვალ!

წამოვედით. გოგა და მიშა ხტუნვა-ხტუნვით მორბოდნენ ჩვენს წინ.

მოსვლის უმალ ნინამ ხელ-პირი დამაბანინა, სუფთა ტანსაცმელი მომცა. ძიძას მაგიდის გაწყობა დაავალა, მამამ დოქით ღვინო ამოიღო და მაგიდას შემოვუსხედით. რა გემრიელი იყო ამოლესილი ლობიო პრასით, მწვანილით და ცხელი მჭადით! ამასობაში ვანო შენგელია შემოვიდა. ნინასაგან უკვე ვიცოდი, რომ ის უნდა მოსულიყო იარაღის შესახებ.

– გაბრიელ რამიშვილო! არ გრცხვენია, ბიჭო, რომ ტყეს შეაფარე თავი და ჩემსას არ მოდი? მე ვერ შეგინახავდი? – მითხრა მან.

– არ შეგაწუხე, ჩემო ვანო. მობრძანდი, სადილზე დაგვეწვიე.

სადილზე დაწვევა არ ისურვა.

– იაშას მისი თოფის წაღება დაუვალებია შენთვის. აგერაა, აყუდებული თავის ფალასკით და გადაეცი, თუ კაცი ხარ. არსად არ დამჭირვებია. ტყუილად ვათრიე ამდენი ხანი.

ვანომ თოფი წაიღო და წავიდა.

***

ზემო სურებიდან განთავისუფლებული ტუსაღები დაბრუნებულიყვნენ და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შედგომოდნენ. აღმასკომის თავმჯდომარე, რომანოზ, ინდაურივით გაფუყულიყო და არავის ღირსად აღარ თვლიდა, რომ თავი გაეყადრებინა.

კოზმანა, თვალებმოჭუტული, მაღლა, თავს ზემოთ უყურებდა მოლაპარაკეს, გეგონებოდათ ცაში იცქირებაო. ორივე ხელი ზურგის უკან ჰქონდა დაწყობილი თითქოს იმის შიშით, რომ ხელები მზისაგან არ გაშავებოდა. ახლა ის თავგამოდებით იფერებდა „მთავრობის“ წევრის როლს.

ზემო სურებში პანღურ ნაკრავს და ქვევითკენ გამოგდებულ ლადიკო-პროვოკატორს, გზაში ვილაცის ცხენი დაეჭირა, უბელოზე შემჯდარიყო, ძერასავით მხრების ქნევით, ჩვენს დუქნებთან მოვარდნილიყო ყვირილით:

– ბოლშევიკი ვარ! ბოლშევიკი ვარ! გაიგეთ, რომ ბოლშევიკი ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მერე რა მოხდა? რა გაყვირებს? მარტო შენ ბოლშევიკი? – უთქვამს მის ბიძაშვილს ბიქტორს.

აკვანაზე ხიდს აშენებდნენ და ჩვენი კუთხის მამაკაცები ყველა იქ იყვნენ. იქ იყო მამაჩემიც. მეც იქ გადავედი. ისე, ხალხის მუშაობაზე საცქერად. მუშაობის ხალისი აღარ მქონდა. ხალხში ლადიკოც ერია. ჩემს დანახვაზე შეცბა და ფერი ეცვალა. ცალკე გავიხმე და ვუთხარი:

– შენ ბოლშევიკი კი არა, შენ პირწავარდნილი პროვოკატორი ხარ და ნაძირალა! ენას კბილები დაადგი და შენი ნაბჟუკურევი არსად დამხვდეს, თორემ ოცდაოთხ საათში კვამლივით აორთქლდები, იცოდე. შენი პირშავობა ყველამ იცის, ბოლშევიკებმაც და არა ბოლშევიკებმაც...

ამის შემდეგ ის არსად აღარ შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე. მისი მამა, გერასიმე, ეს ერთ-ერთი ნიჭიერი, პატიოსანი, საქმიანი გლეხი, იმსხვერპლა ამ არაკაცმა. მამა დარწმუნდა შვილის უმსგავსობაში, ვერ აიტანა მისი ვერაგობა, სასტიკად იდარდა და ორიოდე თვეში გარდაიცვალა.

***

ბიძაშვილ ანდროს მე არაფერს არ ვუმალავდი. გამოსვლების პირველ დღეს, ადრე დილით, მე მასთან გავედი და ვუთხარი, რომ დღეს ასე და ასე მოხდება-მეთქი. მან გაკვირვებით მკითხა:

– საიდან იცი?

– წუხელ სპეციალურად გამოგზავნილი კაცი იყო ჩემთან. ამ ოჯახქორებს ჩემზე მოუხვევიათ ყველაფერი და ცეცხლში ვარ მიცემული.

– უკეთესს ვის ნახავდნენ ცოდნით, გამოცდილებით და წინდახედულებით! ახლა გმართებს ჭკუა და სიფრთხილე, – მითხრა მან.

– ანდრო! შენ იცი, ყურადღებით იყავი ნინას და ბავშვების მიმართ!

– მაგის თქმა რაღად გინდა! აბა, რას ვიზამ!

იმ დღეს, როდესაც მე რაზმით ჩოხატაურში წამოვედი, ანდრო დუქნებთან დავტოვე. ის ხალხში იჯდა და ლაპარაკობდა. მესამე დღეს, როცა ცხენით ამოვედი და გოგაც თან ამოვიყვანე, ხიდთან მისი ვაჟი, პავლუშა შემეფეთა დუქნებიდან მომავალი. გავჩერდი და ისიც გავაჩერე.

– სად იყავი, ბიჭო? – ვკითხე.

– სკოლაში.

– გადაღმიდან ჯარი ხომ არ გადმოსულა, თუ იცი?

– სკოლის ეზო სავსეა ჯარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ნინა სად არის, ხომ არ იცი?
– ნინა-მასწავლებელი სახლშია.
– ანდრო სახლშია თუ სკოლაში?
– მამა დაიჭირეს და ეკლესიაშია დამწყვდეული.
– როდის, ბიჭო? ვინ დაიჭირა?
– არ ვიცი, ვინ დაიჭირა. გუშინწინ წაიყვანეს.

გავშტერდი. ძლიერ გამიკვირდა ანდროს დაჭერა, მეწყინა და თანაც გავიფიქრე: „ახლავე გამოვაშვებინებ, მაგრამ ვინ იცის, როგორ მობრუნდება საქმე? იქნებ, ამ პატიმრობამ აჯობოს... არა უშავს, იყოს ცოტა ხანს ეკლესიაში“ – ვთქვი გულში. „მისთვის ეკლესიის კედლები უცხო არ იქნება!..“

– პავლე! გოგა ნინა-მასწავლებელს გაუყვანე და უთხარი, აქეთ გამოიხედოს.

გოგა ცხენიდან ჩამოვსვი და პავლეს გადავეცი. მან ხიდზე გაიყვანა და სალხში აიყვანა. მაშინათვე ნინამ დერეფნიდან გადმოიხედა და ხელი დამიქნია, გამოდიო. მე სკოლისაკენ მივუთითე და ვანიშნე, იქ მივდივარ-მეთქი. ცხენი მივუშვი და ხუთიოდე წუთში სკოლაში ავედი. ეზოში ზემოთხსენებული რაზმელები სადილობდნენ...

ახლაც, აკვანადან მობრუნებული, ანდროსას ავედი. ანდრო ჩვეულებრივად მომეგება.

– ვაი, თუ შენს დაჭერას ფროლენცია მე მაბრალებს!.. – ვუთხარი ანდროს.

– რას ამბობ! შენ რა შუაში ხარ? აგი, შენი წასვლის შემდეგ მოჩმახეს აქაურებმა და ჩემს გარდა, ისეთები დაიჭირეს, რომ... გოგი-მწერალი, ალექსანდრე ხუნდაძე... და მრავალი უდანაშაულო სხვა.

***

როგორც ნინამ მითხრა, გიორგი რამიშვილი ამოსულიყო დიდვანში. მას მოესურვებია ხალხთან პირისპირ ლაპარაკი. ჩემი დაბრუნების მეორე თუ მესამე დღეს სკოლაში შედგა დიდი მიტინგი.

გიორგი იმჟამად ოზურგეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე იყო. ის მე მახსოვდა ბათუმიდან. მე მოწაფე ვიყავი, ის – ჩერტკოვის უზარმაზარი მაღაზიის ნოქარი. მე ხშირად მივდიოდი მასთან და სასწავლო ნივთებს ვყიდულობდი. ის მუდამ ყურადღებით მექცეოდა. მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. მე არ ვიყავი დარწმუნებული, თუ მას აქამდე ვახსოვდი. მისი უმცროსი ძმა ანანია და მე სოფელში ერთად ვსწავლობდით და განუყრელი მეგობრები ვიყავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთხსენებულ მიტინგზე ხალხი სკოლის ეზოში იდგა. სკოლის აივანზე კი გადმომდგარი იყვნენ: გიორგი, არტიმონ ბარამიძე, ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელები და სოფლის ნატუსაღარი მესვეურნი. ხალხი დაღვრემილი, უსიტყვოდ იდგა. მე ვცდილობდი გიორგის არ შევემჩნიე და ვიღაცის ზურგს ვეფარებოდი.

ეს მიტინგი საინტერესოა ამბროსის გამოსვლით. ის იმ დღეს ამოსულიყო სოფელში და მიტინგს ესწრებოდა. დიდი მოღვაწის პოზა ჰქონდა მიღებული და თავი მაღლა ეჭირა. გონებაში ჩამებეჭდა მისი განცხადება: „იმერეთში აჯანყებულებს წინ მღვდლები მიუძღოდნენ, ჯვრებით ხელში; იქ მონარქისტებმა მოინდომეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება; აქ მღვდლებიც და მონარქისტებიც გაამენშევიკეს; გახურებული შანთით უნდა ამოიბუგოს ეს მენშევიკების ბუდე!“ – გაიძახოდა ის მისებური ღიმილით და პირიდან დორბლის ყრით.

ისიდორეს ძმამ, მოხუცმა ონისიმემ, ველარ აიტანა ეს აღვირახსნილობა, ცინიზმი და სადღაც ხალხის შუაგულიდან წამოიყვირა:

– რას ბოდიალობ, ბიძია, შენ? როდის იყვნენ ჩვენში მონარქისტები? იმერეთში ჯვრებიანმა მღვდლებმა მოაწყვეს გამოსვლები?

ხალხში ჩოჩქოლი და ხმაური შეიქნა... დავინახე, რომ ამბროსის გამოსვლით უკმაყოფილო დარჩნენ დამსწრე პირნიც. ნატუსაღარი ადგილობრივი მესვეურნი-კი გახარებულნი იყვნენ. მათ უხაროდათ, რომ ამ ტრაგიკულ მომენტში ამბროსი ღიმილით ღაღადებდა ცეცხლზე ნავთის დასხმას.

***

მიტინგის მეორე დღეს, ნინა და მამაჩემი ამიტყდნენ:

– გიორგისთან წადი, წადიო!

– რა პირით და სინდისით მივიდე გიორგისთან? რა ვუთხრა?

– არაფრის თქმა არ გინდა, თვითონ მან თქვა მოვიდესო...

არ მომასვენეს. როგორც ერთხელ მოსკოვში, საქართველოს საელჩოში შესვლისას, ფეხები უკან მრჩებოდა, ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი ახლაც. თითქმის ძალით გამაგდეს სახლიდან და წავედი.

გიორგის მამა ერასტო, ამდგარი იყო და პირველი ის შემხვდა ეზოში.

– მობრძანდი, მობრძანდი. შენ ჩემი ანანიეს ამხანაგი ხარ, გაბრიელ, გიგილოს შვილი. მე გიცნობ შენ. – მითხრა ერასტიმ.

ანანია იმჟამად რუსეთში მსახურობდა თანამდებობაზე. ის იყო პირველი ინჟინერი ჩვენი გვარიდან.

– ალბათ, გიორგისთან გაქვს საქმე. ის ეხლავე ადგება.

ამასობაში გიორგიმ კიბეზე ჩამოირბინა.

მომესალმა. ძალით მაღლა ამიყვანა. საუზმე მოგვართვეს. მე რამდენჯერმე დავაპირე ჩემს საქმეზე რამის თქმა, მაგრამ მან არ მომისმინა. არაფერი მათქმევინა. საუბრის შემდეგ ორივე სოფლის აღმასკომისაკენ წამოვედით და მთელი გზა მუსაიფში გამოვიარეთ.

– შენ ნუ ფიქრობ მომხდარზე, – მითხრა მან და ამით ამოსწურა ჩემს ირგვლივ ლაპარაკი. სულ სხვა რამეზე ვბაასობდით, ისე მივადექით აღმასკომის შენობას.

კიბესთან რომ მივედით, სახლიდან ჩამოსულ ნადეჟდას შევეხეჩეთ. მას მკლავზე კალათი ჰქონდა წამოკიდებული.

– გამარჯობა, ნადეჟდა! – მიესალმა გიორგი.

– გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! – უპასუხა მან.

– სად მიხვალ ამ კალათით? – შეეკითხა გიორგი.

– აგერ, მთავრობასთან სადილი მიმაქვს, – გესლით უპასუხა მან.

– რომელ მთავრობასთან? რა სადილი?

– მე ერთი კვირაა ვეზიდები სადილს რომანოზასთან და კოზმანასთან.

– რატომ?

– ასე მაქვს მათგან ნაბრძანები.

გიორგიმ ნადეჟდას ბრაზით უთხრა:

– ახლავე ამ სადილიანად სახლში გაბრუნდი! მათ მე ვაჩვენებ სადილს, – თქვა გიორგიმ და კიბე აირბინა. ოთახში შევარდა.

– თქვე ყაჩაღებო, ქურდებო, ჯიბგირებო! – მოისმოდა გიორგის ყვირილი და ლანძღვა.

მივხვდი, რომ რომანოზა და კოზმანას საქმე წასულია ხელიდან. ამ ხმაურზე ვილაცეები შეგროვდნენ. მე უხერხულად მივიჩნიე იქ დარჩენა და სახლისკენ გამოვსწიე. მივდიოდი და თან ვფიქრობდი: „რა ვუთხრა ახლა ნინას? რა გავაკეთე მე გიორგის ნახვით!“ მაგრამ როცა ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, მან მითხრა:

– ჩემო გაბრიელ, რა გააკეთე კი არა, ბევრი რამ გაკეთებულა! – ის ყველაფერს ჩაწვდა...

არც ავი და არც კარგი გიორგის ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ საფრთხე გავლილი იყო და ნინაც და მეც დავშშვიდდით.

მე საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ მომხდარის მსგავს უშინაარსო მდგომარეობაში თავს აღარ ჩავიგდები მომავალში და ჩემი საზრუნავი იქნებოდა საკუთარი ოჯახის და საზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილდღეობა... მომავალში, ეს სიტყვა-ფიცი მე არასოდეს გამიტეხია.

1924 წლის შემდეგი ჩვენს სოფელში

საქართველოში მომხდარმა აჯანყებამ და გამოსვლებმა საბჭოთა კავშირი შეაშფოთა. დაუყონებლივ გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია იმის შესასწავლად, თუ რამ აიძულა მოსახლეობა გადაედგა ასეთი ნაბიჯი.

კომისია ჩვენს სოფელსაც ეწვია. მასში შედიოდნენ: თენგიზ ჟღენტი, გიორგი რამიშვილი, ჩოხატაურის რაიკომის მდივანი ბერაძე და სხვა.

ჩვენს სკოლაში მოწვეული იყო მთელი სოფლის მოსახლეობა. უკლებლად ესწრებოდნენ აგრეთვე სოფლის იმჟამინდელი მესვეურნიც. იყვნენ სოფლის მოწინავენიც. კომისიის თავმჯდომარე ჟღენტმა ჰკითხა მათ:

– ამხანაგებო, გვითხარით, რამ გაიძულათ თქვენ იარაღით ხელში გამოსულიყავით ხელისუფლების წინააღმდეგ?

ამათ ერთიანი აზრით უპასუხეს:

– თქვენ იცით, თუ რისთვის ვიბრძოდით ჩვენ და თქვენც, რა იყო ჩვენი მიზანი. განა იმისთვის ვიტანჯეთ ციმბირის გადასახლებაში და ციხე-ჯურღმულებში, რომ საბოლოოდ ჩვენს კისერზე დასკუპულიყვენ ქურდები, ყაჩაღები, ავაზაკები და აი, ეს ნაძირალები, რომლებიც ახლა მეთაურობენ?.. – ხელით მიუთითა რომანოზ-კოზმანას ჯგუფზე, რომლებიც ერთად ისხდნენ. – ამათი წარსული ხომ ცნობილია თქვენთვის!.. რა უნდათ ამათ სოფლის სათავეში?!

ყველაფერი ითქვა. კალინინის განცხადებაც მოიხსენიეს და ყველაფერი აშკარად ამჟღავნეს. ამჟღავნეს გასაბჭოების პირველ წელს ჩვენში მომზადებული პროვოკაცია, რასაც ამათი ანგარიშით მსხვერპლი და სოფლის სასტიკი დარბევა უნდა მოჰყოლოდა...

მეორე დღეს რომანოზა და კოზმანა დააპატიმრეს და ჩოხატაურში გაგზავნეს, იქედან – ოზურგეთში, შემდეგ ქუთაისში. ერთი წლის შემდეგ ისინი გამოუშვეს და სოფელში მოვიდნენ, მაგრამ კაცად აღარ ღირდნენ. რომანოზა ჭლექით გარდაიცვალა. კოზმანა, მისი მეორე „ცოლის“ ბიძაშვილებმა მოჰკლეს გარყვნილებისათვის.

გადატანილი განცდების შემდეგ მეც და ნინაც დავმშვიდდით, დავწყნარდით და ჩვენს საქმიანობას შევუდექით. სახლი მზად იყო, გარდა ჭერისა, ბუხრისა და ფანჯრებში მინების ჩასმისა. დავტრიალდი, ყანები ავიღე. სამ ალაგას ახალი სასიმინდეების

აგება დამჭირდა: ნაჯოგვარზე, ესესქედში, ჩაყელულში. ნინა თუ სადილს ამომიტანდა ასეთი მუშაობის დროს – სიხარულით ცას ვეწეოდი...

სოფელში საბჭოს არჩევნები ჩაატარა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა. დეპუტატად მეც ამირჩიეს. არჩეულმა საბჭომ მდივნობა მე შემომთავაზა. უარი არ ვთქვი და მთელი ენერგიით მუშაობას შევუდექი.

ნინა იმ პერიოდში (გასაბჭ. გამოსვლები) ცოტა გამხდარი იყო, ახლა დაისვენა, დამშვიდდა და ისევ ისეთი გახდა, რომ თვალს ვერ ვაშორებდი. ვამაყობდი იმ შეგრძნებით, რომ ეს კეთილშობილი სახე, ღიმილი, ბავშვური სიცელქის მქონე გამოხედვა, მის არსებასთან ერთად, ჩემს საკუთრებას შეადგენდა მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე...

ნინა მასწავლებლად მუშაობდა, მე – აღმასკომში. ირგვლივ კარგი საზოგადოება გვყავდა. მალე ბავშვების ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდით თბილისში გადასვლაზე გვეფიქრა. გეგმა უკვე შევადგინეთ. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გეგმა ასეთი იყო: ის, ძიძა და ბავშვები ახლავე გადავლენ თბილისში (ბინად, ჟუკოვსკის №20); მე, რაკი აღმასკომის ერთბაშად მიტოვება არ შეიძლება, ჯერ უნდა დავრჩე. მომავალში მეც თბილისში გადავალ. ასეც მოვიქეცით...

დასრულდა ჩვენი სოფელში ცხოვრება. გავლილი წლები სავსე იყო სიხარულით, სიყვარულით, დაძაბულობით, გაჭირვებით, განცდებით.

ჩვენი დაბრუნება თბილისში

ოჯახის თბილისში გადასვლის შემდეგ ჩემი სოფელში ყოფნა ნაძალადევი იყო. ყველაფერს წაერთვა ლაზათი და შინაარსი, მაგრამ მდივანი და დეპუტატი ვიყავი და აღმასკომის მიტოვება უხერხულად მიმაჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ნინამ მომწერა:

„ჩვენი ბანიდან ჩვენ შეგვრჩენია მარტო დიდი ოთახი, ჩვენი პატარა და გოგონების ორი ოთახი გამალეებს ხელიდან გამოუცლიათ და ახლა ამ სამივე ოთახებში ცხოვრობს ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხის ოჯახი – ტერ-კაზაროვი. ალბათ, გამალეიმ კარგად მოითბო ხელი...

...გაღმა, ჩვენს პირდაპირ, არსენალში აფეთქება მომხდარა და ბაღის მხარეს ჩვენს ფანჯრებში არც ერთი მინა აღარ არის. ჩალეწილია აფეთქების გამო...

...მე, გოგას და თამარას იატაკზე გვძინავს...

...ფეხზე გაჩერებული ვჭამთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ბავშვებს ძლიერ ენატრები, თამარა სულ შენს ხსენებაშია. „სტუმრობიანას“ თამაშის დროს, ვითომ შენ ხარ მათი სტუმარი. კარს გიღებენ და რაღაცას გებუტბუტებიან. გოგა ძალიან გაეშმაკდა. მე და ძიძას არაფრად გვაგდებს.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში დავიწყე მუშაობა მდივნის თანამდებობაზე...

შენი ნინა“.

ასე ამთავრებდა ის თავის წერილს. მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს უკანასკნელი ორი სიტყვა ჩემზე მიმზიდველ თილისმად იმოქმედებდა.

ამის შემდეგ, ნაქირავები ცხენი სანოვაგით დავტვირთე და თბილისში გავემგზავრე. ბინაზე რომ გავედი, ნინა ტაშტზე რაღაცას რეცხავდა. თამარა ზედმეტი სიხარულისაგან ოთახში გაიქც-გამოიქცა. ერთი პირი ძიძას საწოლის ქვეშ შეძრომა დააპირა, მერე მომვარდა და მითხრა:

მასვინ არ მოდი და მასვინ ქე მოდი?“ – კისკისებდა ის.

ეს ნიშნავდა: „ამდენი ხანი რომ გელოდები, სად ხარო?“ ის და გოგაც მოვისიყვარულე. თინას ეძინა. საგანგებოდ გაკეთებულ ლამაზ თოჯინას ჰგავდა. ჯერ ის რამდენიმე თვის იყო.

ნინას ვკითხე:

– რაშია საქმე? რამ ჩაყლაპა ჩვენი ნივთები? ამდენი ხანია იატაკზე წვებით?

– ჩვენ ნივთებს მეზობლები დაპატრონებია. ზოგი განათხოვრებულია და ჩვენ ასე ვართ.

– შენ როდის იყავი ასეთი უმწეო, რომ საკუთრების მოთხოვა ვერ გაგიბედია?

გაცეცხლებულმა გამალეის კარებს ფეხი ვკარი და ოთახში შევედი. ჩვენი რკინის საწოლიდან მათი ქვეშაგები გადმოვყარე, ჩვენი სკამები და სხვა ნივთები, რომლებიც ჩვენს საკუთრებას შეადგენდნენ: სამოვარი და სხვა და სხვა, ჭურჭლეულობა საწოლზე დავყარე. განათხოვრებულ საწოლებს და ნივთებსაც თავი მოვუყარე. საღამოს ყველა ნივთი თავის ადგილას იდგა.

ნინა ექვს საათზე სამსახურში წავიდა. ბავშვებმა და მე დიდხანს ვითამაშეთ. შემდეგ მათ ძილი მოეკიდათ და ძიძამ ყველა თავიანთ ადგილას დააწვინა.

საღამოს ნინამ სუფრა გაშალა, სკამზე დაჯდა და თქვა:

– მადლობა ღმერთს, სკამზე ვზივარ და საწოლზე დავიძინებ.

მე გვერდზე მივუჯექი და გემრიელად ვივახშმეთ.

– გული როგორ გაქვს, ნინა ჩემო? – ვკითხე.

– წარმოიდგინე, ჩოხატაურში ექიმთან ყოფნის შემდეგ, გულის აჩქარება არ მიგვრძვნია, – მითხრა მან.

დავწექით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

სოფელში დავბრუნდი, მაგრამ ოჯახის გარეშე ჩემი იქ ყოფნა აღარ ღირდა. დავიწყე მზადება წამოსასვლელად. მამა ნატაშას მივაპირე მოსასვლელად და ჩემი იარაღებით და ბარგით წამოვედი. „ჯვარიდან“ მოვდიოდი ფეხით. საჭამიასერს გამოვცდი და რომელიღაც სოფელში შევედი. შიმშილი ვიგრძენი. მუხლები მომეკვეთა. იმ იმედით, რომ საჯავახოში ჩავალ და ვჭამ-მეთქი, საგზალი არ წამომიღია. არც დილით მისაუზმია ხეირიანად.

საღამო მოახლოვებული იყო. გზა ვიღაცის სახლის ზემოთ გადადიოდა. გადავწყვიტე მჭადის თხოვა.

– მასპინძელო! – დავიძახე ზემოდან.

ეზოდან ქალი გამომეძახა.

– მობრძანდი!

– ქალბატონო, სურებიდან საჯავახოს სადგურში მივდივარ. უსაუზმოდ წამოვედი და არც საგზალი წამოვიღე. მჭადი გექნებათ და მომყიდეთ.

– ჩამობრძანდით, ბატონო, სახლში.

– არა, ღამდება და გზა კიდევ ბლომად არის სავლელი..

რამდენიმე წუთის შემდეგ, ღადარის ქვეშ კეციდან ჩამოჭრილი ცხელი მჭადი და ორი ნაჭერი შამფურიდან წამოძრობილი შემწვარი შაშხი ამომიტანა. ვახშამი, ალბათ, გამზადებული ჰქონდა. მის ამოსვლამდე მე ფული მოვამზადე. მჭადი გამოვართვი და ფული გავუწოდე. შავგრემანი, პირმრგვალი, სიმპატიური სახის ქალი იყო.

– ბატონო, როგორ გეკადრებათ! მაშინ ცეცხლი შევიდეს ჩემს ოჯახში. რომ მოშიებული მგზავრისაგან აღებული ფული სახლში შევიტანო!

პატიჟის დრო არ მქონდა.

– გმადლობთ, ქალბატონო! თქვენ ოჯახში მხოლოდ ბედნიერება შევიდეს თქვენი გულკეთილობისათვის, – ვუთხარი და წამოვედი.

ამრიგად ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ კვლავ მთელი ოჯახი თბილისში ვიყავით.

ბინაში ახლა ჩიტადან ჩამოსული, თელაველი შაქრო მარქაროვი ცხოვრობდა ცოლით და სამი ახალგაზრდა ქალიშვილით. მარქაროვს ჩიტაში დიდი ხნით უცხოვრია სავაჭრო საქმიანობაში და საქართველოში წელმაგრად დაბრუნდა. ათეულ წლების მანძილზე კარგი მეზობლობა გვქონდა.

სოფლიდან ჩამობარგების შემდეგ დაიწყო ჩემი უმუშევრობა. ნინას ხელფასი ექვსი სულისაგან შემდგარ ოჯახს რას აუვიდოდა და სწორედ აქ გამომადგა ჩემს მიერ შეძენილი ხელობა – დურგლობა.

ნელ-ნელა სახელი გამივარდა და შემკვეთნიც ბლომად გაჩნდნენ, უმთავრესად საბავშვო ბაღები. ერთი წლის განმავლობაში ვდურგლობდი და ასეთი შრომით ოჯახს ვინახავდი. განათლების მინისტრის, მარიამ ორახელაშვილის მეოხებით, რამდენიმე საბავშვო კერა იყო საბავშვო ავეჯის შემკვეთი.

ამის შემდეგ ქვისლ სეონ თოხაძის დახმარებით, რომელიც იმჟამად განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების კომიტეტის უფროსი იყო, სამხატვრო აკადემიაში დავიწყე მუშაობა მოანგარიშედ და აქ დავყავი რამდენიმე წელი ანუ 1940 წლამდე.

ამ პერიოდში დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და მოვიპოვე ინჟინრის წოდება. აკადემიამ ბევრი კარგი გამიკეთა ჩემი ერთგული მუშაობის სანაცვლოდ.

აკადემიის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენდნენ: დირექტორი – შ. დუდუჩავა, სასწავლო ნაწილის გამგე – მხატვარი დ. კაკაბაძე, საქ. მმართველი – სამსონ წუწუნავა, საქმის მწარმოებელი – შ. წერეთელი-ხუხუნისა. პარტორგი – ერემია მელიქაძე. ამ ხალხთან თავიდანვე გულწრფელი, ამხანაგური ურთიერთობა მქონდა დამყარებული.

უხერხულობას განვიცდიდი იმით, რომ მე ასავალ-დასავალი არ მესმოდა ბუღალტერიის. ვისაც ჩემამდე უმუშავია, ეტყობოდა, არც ის ყოფილა ბედაური.

რამდენიმე თვე ვიჯახირე ისე, რომ არავის შევამჩნევინე ჩემი ბუღალტერიის უცოდინარობა. იმჟამად კომიტეტის ცენტრალურ ბუღალტერიას განაგებდნენ კოტე მაჩაბელი და პალადი ჩხიკვაძე, ორივე სეონის დიდი პატივისმცემელნი. იმათ იცოდნენ სეონი და მე რა ვიყავით ერთმანეთის და ყველაფერში მეხმარებოდნენ მითითებით და შესწორებით. ორიოდე თვის შემდეგ სპეციალურ კურსებზე მიმავლინეს. კურსების დამთავრების შემდეგ მე გავხდი ნამდვილი „ბუხი“ (საბიუჯეტო დარგის).

ახლა ჩემთან მოდიოდნენ მითითებებისათვის კონსერვატორიის, ხელოვნების კავშირის, ოპერის თეატრის, რუსთაველის თეატრის და აუარებელი სხვა დაწესებულების „ბუხები“. კოტე მაჩაბელი ხშირად მიმავლინებდა დაწესებულებებში აბნეული ანგარიშიანობის გამოსასწორებლად, რასაც სათანადო გასამრჯელო მოჰყვებოდა. ასეთები ბევრი იყო. ეკონომიურად მოვმაგრდი.

აკადემიაში არსებობდა ფაკულტეტები: ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, კერამიკის, არქიტექტურის. გარდა ამისა, იკითხებოდა ხელოვნების ისტორიის კურსი. თბილისსა თუ საქართველოში რაც საუკეთესო ძალები მოიპოვებოდა იმჟამად ყველა აქ იყო თავმოყრილი. მაგალითად, ფერწერის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდნენ: ევგენი ევგენის ძე ლანსერე, გიგო გაბაშვილი, სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, ბ. შუბუევი (ნინას ყოფილი მასწავლებელი ეპარქიალურში);

ქანდაკების ფაკულტეტზე: იაკობ ნიკოლაძე, სილოვან კაკაბაძე, ნიკო კანდელაკი;

გრაფიკის: იოსებ ადოლფის ძე შარლემანი, გრინევსკი, ჩერნიშკოვი;

კერამიკის: ალექსანდრე ფიცხელაური, მიხეილ ხანანაშვილი;

არქიტექტურის: მიხეილ მაჭავარიანი, ზაქ. ქურდიანი, კალგინი, ნიკ. სევეროვი, ყირქესალი;

ხელოვნ. ისტორიის: გიორგი ჩუბინიშვილი, შალვა ამირანაშვილი;

ანატომიის კურსი: ალ. ნათიშვილი, არტაშეს მალაევი.

ამ ხალხში ვტრიალებდი და ვსაქმიანობდი დაახლოებით ცამეტი წელი და უმეტესობას მეგობრულად შევეთვისე. ნინას ყველა მათგანი იცნობდა და პატივს სცემდა.

ევგენი ლანსერე ჩვენს ქვევით, ლერმონტოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ზაფხულობით ჩვენი ეზოდან მიდამოების დათვალიერება უყვარდა და საათობით იჯდა ჩვენ ეზო-ბაღში.

აკადემიაში ჩემი მუშაობის მანძილზე დირექტორად იყვნენ: შ. დუდუჩავა, გ. ბუხნიკაშვილი, პაპავა, სილ. კაკაბაძე. მე ყველა მათგანის ნდობით ვსარგებლობდი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩემგან სიყალბე არ შეიძლებოდა. ყველა საკითხს დაწესებულების მეურნეობის და ფულადი სახსრების მიღება-გაცემაში მითანხმებდნენ.

სამხატვრო აკადემია დიდი ხნის დაარსებული არ იყო და პირველ ნაკადში მოხვედრილი იყვნენ ნამდვილად ნიჭიერი და ხელოვნებისათვის მოწოდებული ახალგაზრდები. მაგალითად, მრავალ სხვა სტუდუნტებთან ერთად სწავლობდნენ: ფერწერაზე – უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, კ. კაკაბაძე, თ. აბაკელია, დ. წერეთელი, ქრ. გიორგაძე, ნ. ზაალიშვილი, შ. ბერიტაშვილი;

ქანდაკებაზე – ს. კაკაბაძე, ვ. თოფურიძე, კ. მერაბიშვილი, შ. მიქატაძე, რ. თავაძე;

კერამიკაზე – გურგენიძე, ცხვირავაშვილი, ელისაბედაშვილი;

არქიტექტურაზე – ლეჟავა, ჩხიკვაძე, შ. თავაძე, ჩხაიძე;

ხელოვნ. ისტრიაზე – შ. წერეთელი, ვ. ბერიძე, მ. დუდუჩავა.

ამ ახალგაზრდების ნიჭს ეკუთვნის მრავალი თვალსაჩინო ტილოები, ქანდაკებები, არქიტექტურული ნაგებობანი და გამოკვლევები, მაგალითად: კოტე მერაბიშვილს – რუსთაველის ძეგლი; სილ. კაკაბაძეს – სტალინის ძეგლი (ამჟამად აღგვილი დედამიწიდან); ვ. თოფურიძეს – ლენინის ძეგლი; ვ. თოფურიძეს და შ. მიქატაძეს – ილიას და აკაკის ძეგლი; ლეჟავას – მთავრობის სასახლე; ჩხიკვაძეს – საქნავთის შენობა; ს. ქობულაძეს – „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია (რუსული თარგმანი); ვ. თოიძეს – „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია (ქართული ტექსტის); თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაკულიას, შ. ბერიტაშვილს და სხვებს – ქართული ნაწარმოებების ილუსტრაციები...

ერთ პერიოდში სამხატვრო აკადემია გააუქმეს, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია და გახადეს უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების“ ფაკულტეტად. ჩვენც უნივერსიტეტში გადავედით. მე – მთ. ბუღალტრის, გ. კოკელაძის მოადგილე გავხდი.

უნივერსიტეტში მრავალი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები მოღვაწეობდნენ იმ პერიოდში: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი და ალექსანდრე ჯავახიშვილები, კორნელი კეკელიძე, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ანდრია ბენაშვილი, აკაკი შანიძე, კოტე ბაქრაძე, ილია ყიფშიძე, ვასო ჯავახიშვილი, გიორგი ბაქრაძე და სხვანი. უნივერსიტეტის დამაარსებელს, პ. მელიქიშვილისათვის მე არ მიმისწრია. ის გარდაცვლილი იყო.

ეს ხალხი, უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებად გამოიყურებოდნენ. ჩვენთან, ბუღალტერიაში რომ შემოვიდოდნენ (იქ შემოსვლა ყველას უყვარდა), იქაურობას მასხრობით და ოხუნჯობით აავსებდნენ...

შალვა ნუცუბიძემ მსუქანი ანეკდოტები და ოხუნჯობა იცოდა. გალაქტიონ კოკელაძე ჰყავდა ამოჩემებული და ამასხარავებდა. ერთხელ მითხრა:

– შენ მაგას (გალაქტიონს) ორივე ფეხის გულზე პლაკატი დააწებე და მისი სახელი და გვარი დააწერე, თორემ ერთხელაც იქნება დაგეკარგება და ვერ გაიგებ, ცამ ჩაჰყლაპა თუ მიწამ.

– რატომ, ბატონო შალვა? რა ღმერთი გაუწყრება, – ვკითხე მე.

– რატომ და, გუშინ იმოდენა მანდილოსანს მიაცილებდა, რომ თუ იმაში გადავარდა, პლაკატით თუ მიაგნებ, თორემ ისე ვერ მოძებნი.

ამ პერიოდში ნინამ ბიბლიოთეკარების კურსები დაამთავრა. ამ კურსების ხელმძღვანელი იყო უნივერსიტეტის უზარმაზარი ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი ბაქრაძე. ის და მე კარგი მეგობრები ვიყავით. კურსები ნინამ წარჩინებით დაამთავრა. გიორგი აღტაცებული იყო მისი ნიჭით და უნარით. ერთხელ გიორგიმ მითხრა:

– ქალბატონი ნინო დიდ ნიჭს იჩენს საბიბლიოთეკო საქმეში. თუ შენ მას ნებას მისცემ, ჩვენ ახლო მომავალში ბიბლიოთეკებისათვის ქართულ სახელმძღვანელოს გამოვუშვებთ.

– თუ ეს განხორციელდება, მე მას ხელს შევუწყობ, – ვთქვი მე.

– მუშაობა დაიწყეს, მაგრამ გიორგი უეცრად გარდაიცვალა და ეს საქმეც შეჩერდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინამ ხელოვნების კავშირის ბიბლიოთეკარობაც შეითავსა. კავშირი მას გზავნიდა მივლინებით სხვადასხვა ალაგას საბიბლიოთეკო საქმის მოსაგვარებლად და კონსულტაციისათვის.

1929 წელს მამაჩემს დამბლა მოუვიდა და ლოგინად ჩავარდა. გავიგე თუ არა, წავედი... ექიმებმა ვერაფერი სანუგეშო ვერ მითხრეს. თბილისში წამოყვანაზე ფიქრი ზედმეტი იყო... სხვა გამოსავალი არ იყო და რძალი ნატაშა დათანხმდა მამაჩემის მასთან მოთავსებას... მე თბილისში დავბრუნდი...

***

უნივერსიტეტის მეორე სართულზე ყოფილი ეკლესიის ფართობი დატიხრული იყო და აქ თავსდებოდა კანცელარია; ბუღალტერიაც ამ სართულზე იყო მოთავსებული.

ბუღალტერიაში თავის მოყრა ყველას ეხალისებოდა. ზოოლოგი გიორგი ჯავახიშვილი, თავის ჩემოდანისოდენა პორტფელით და ხის ქოშებით შემობრახუნდებოდა, მაგიდის კიდეზე ჩამოჯდებოდა და შეგვეკითხებოდა:

– რაო? ვითომ ვინ რა გადმოგცათ, მითხარით.

მას ძლიერ უყვარდა ამბების თქმაც და მოსმენაც.

ამ პერიოდში უნივერსიტეტს ეწვია ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი. სააქტო დარბაზი, სადაც ის მოხსენებას აკეთებდა, გაჭედილი იყო ხალხით – პროფესორ-მასწავლებლებით და სტუდენტებით. მოხსენება ეხებოდა ენათმეცნიერებას. კამაოში ბევრი გამოვიდა და მათ შორის გიორგი ახვლედიანი. მახსოვს, ბარმა გიორგი დატუქსა. სიმართლე გიორგის მხარეზე იყო, მაგრამ მარმა, თავისი დიდი ავტორიტეტით, მაინც თავისი გაიტანა. ეს წააგავდა იმ შემთხვევას, რომ არმიის სარდალმა ცამდე მართალი პოლკის უფროსი დატუქსოს. მაგრამ დისციპლინის გამო ეს უკანასკნელი მას ღამორჩილდეს.

***

1929 წელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. მისმა სამმართველომ გამოაცხადა ბუღალტრების მობილიზაცია, რაიონების ცენტრებში კურსების დასაარსებლად და კოლმეურნეთა მოანგარიშეების მოსამზადებლად. მობილიზაცია ბეც ძომიწია. გამაგზავნეს ჩხოროწყუში. შეპირებული იყვნენ ლექციებისათვის საათში სამი მანეთი, მაგრამ საბუშაოს დამთავრებისას უარი თქვეს და მარტო მივლინების ხარჯები აგვინაზღაურეს. ეს გამოვიდა უსინდისო მოტყუილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხოროწყუში კურსები ჩამოვაყალიბე და მოცემულ ვადაში, ე.ი. ერთ თვეში 30 მოანგარიშე მოვამზადე. რაიონის ხელმძღვანელობის დასწრებით გამოცდები ჩამაბარეს და წამოვედი.

ჩხოროწყუდან რომ დავბრუნდი, ნინა სატყეო ინსტიტუტის უზარმაზარ ბიბლიოთეკაში დამხვდა გადასული, მთავარი ბიბლიოთეკარის, თამარ დუმბაძის მოადგილედ. ორივე დიდი დაფასებით სარგებლობდნენ თავიანთი ცოდნით და სტუდენტებისადმი ადამიანური მიდგომით.

ჩემი ინსტიტუტში შესვლა ნინას მუდმივი ჩიჩინის შედეგი იყო. მან იცოდა, რომ თუ საქმის საწყისთან მიმდენიდა და საქმეზე ხელს მომაკიდებინებდა, მერე ბევრიც რომ დაეშალა, ვეღარ ჩამომაცილებდა დაწყებულ საქმეს, ამიტომ დამიწყო გამუდმებული ჩიჩინი:

– გაბრიელ! სატყეო ინსტიტუტში დგება დასწრებული სწავლების ორი ახალი ჯგუფი, ქართული და რუსული სექტორების. შენი ხნის ხალხი უკვე ჩაწერილნი არიან. მოდი, შენც ჩაეწერე და დაიწყე მეცადინეობა. წიგნებით, სახელმძღვანელოებით მე მოგაშარაგებ. დირექტორს და დეკანს მე მოველაპარაკები. შენ მხოლოდ მოინდომე, დანარჩენს ყველაფერს მე გაგიკეთებ. საშუალო განათლების ატესტატი და სხვა საჭირო საბუთები შენ ხომ ყველაფერი გაქვს!

მე შორს დავდექი...

– რას მეუბნები? რა დროს ჩემი უმაღლესში სწავლაა? აწი, აგერ ოცდათხუთმეტი წლის გავხდები!..

– არა უშავს... ჩაწერილებთან შედარებით შენ ბავშვად გამოიყურები, – შემიჩნდა.

აღარ მომასვენა – ჭამის დროს, ჭამის შემდეგ, ძილში, ღვიძილში. მუდამ ამას მეჩიჩინებოდა. მეტყოდა:

– ინჟინერი ქმარი მეყოლები... მე რით ვარ სხვაზე ნაკლები? შენ ხომ ბავშვობიდანვე ამ სპეციალობაზე ოცნებობდი... თუ მე გიყვარვარ, არ გამაწბილებ...

და მრავალი სხვა ასეთები...

დიდხანს მაწვალა, ჩანგალზე ამაგო და ბოლოს „კი“ მათქმევინა. ერთი ბიძგი კიდევ გამიკეთა: განცხადებით დირექტორ ალნიაშვილთან მიმიყვანა, რომელმაც მაშინათვე დაადო რეზოლუცია განცხადებას ჩარიცხვის შესახებ. ჩარიცხვა მოწმობების კონკურსით ხდებოდა. შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგე, ორლოვი და დეკანი, ბიძინა გულისაშვილი გამაცნო და უკუდგა.

– აწი, მე ვიცი, შენ თვითონ აღარ მოშორდები!

– შენ, კუდიანო! ეს რა მიყავი? როგორ უნდა დავსძლიო აკადემიაში მუშაობა და ეს საქმეც?

– შენი ენერგიის ამბავი მე ვიცი. ნუ გეშინია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

უნივერსიტეტის ბულალტერიაში ჩვენთან მოლარედ მუშაობდა ვინმე მამია ჩაჩავა. მუდამ კვნესოდა „ავად ვარო", მაგრამ ლოყები ვარდივით უყვავოდა.

ის ერთხელ გავგზავნეთ შემნახველ სალაროში გამოსყიდული ობლიგაციების მისაღებად. ობლიგაციები დიდი თანხის იყო. სამი დღე იარა სალაროში და ბოლოს ცარიელი დაბრუნდა.

მე გავბრაზდი. წინ გავიგდე და ისევ სალაროში მივედით. გამოირკვა, რომ მას მოუნდომებია შეკრული დასტების დახსნა და ობლიგაციების დათვლა. ობლიგაციები შეკრული იყო ღირებულების მიხედვით ათას-ათასი მანეთის რაოდენობით და ასე დათვლა ადვილი იყო. მით უმეტეს, რომ პასუხისმგებლის ხელწერა და შტამპი ყველა დასტაზე იყო აღნიშნული. სხვა ხერხით ობლიგაციების გაცემა მოლარემ არ იკისრა.

ბოლოს ჩაჩავა სალაროდან გავისტუმრე და მე თვითონ მივითვალე დასტებად შეკრული ობლიგაციები. ერთ საათში ყველაფერს მოვრჩი. სამ ტომარაში ჩავტვიროე და, რაკი უკვე გვიანი იყო, დილამდე ისევ სალაროში დავტოვე. დილით ეტლი მივიყვანე, ტომრები შიგ ჩავაწყვე და წამოვედი. ობლიგაციები ჩაჩავას სალაროში მივაბარე და ვუთხარი:

– მიადექი და თვალე ახლა, რამდენიც გინდა.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი აღშფოთება, როცა გამოირკვა, რომ აკლია სამი დასტა ობლიგაციები! დიდ უხერხულობაში ჩავვარდი. შემნახველ სალაროში მივედი, მაგრამ იქ არავინ არაფერი იცოდა. ძნელაძის ქუჩაზე მილიციას გასვუცხადე მომხდარის შესახებ. მთელი დღე გარინდებული დავდიოდი და არ ვიცოდი, რა მექნა. საღამოს დაღლილი და ანერვიულებული სახლში მოვედი. ნინამ მაშინვე სამი დასტა ობლიგაცია დამანახა! გაოცებული ვეტაკე

– საიდან? სად იყო?

– მთელი დღე დაგეძებ ტელეფონით, მაგრამ ვერსად დაგიჭირე. შუა დღისას ტრამვაის ვატმანი მოვიდა და ეს ობლიგაციები მოიტანა. შენ ეტლიდან დაგვარდნია და მას, შენს უკან ტრამვაით მომავალს, უნახავს. მილიციაში მიუტანია და იქ შენი მისამართი მიუციათ. ვატმანი შენ გიცნობს, კიდევ მოვა.

ასე განმიმარტა ნინამ. ტრამვაი მაშინ რუსთაველზე დადიოდა.

ამასობაში კარზე დააკაკუნეს და შემოვიდა ჩემი ყოფილი ჯარისკაცი, ამჟამად ვატმანი. რა თქმა უნდა, გავუმასპინძლდი და დავასაჩუქრე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

1929 წლის შემოდგომაზე უფროსი ძმის ესესაგან დეპეშა მივიღე, რომ მამა გარდაიცვალაო. დაკრძალვის დღე დავუნიშნე და ნათესავებზე წერილების დაგზავნა დავაპირე. ნინამ და მე სოფელში წასასვლელად მზადება დავიწყეთ. ეს ისეთი წელი იყო, როდესაც სოფელში სანოვაგის მხრივ ვერაფერს იშოვიდით. პური სულ არ იშოვებოდა. ყველაფრის თბილისიდან წაღება მოგვიხდა. მეორე უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ სამი დღის წინ ჩემი მეორე უფროსი ძმა, ნოე ასტრახანიდან მომაკვდავი ჩამოიყვანა მისმა ცოლმა, მარომ. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მამის გარდაცვალების მისთვის თქმა ირ შეიძლებოდა. მე და ნინა გურიაში წავედით.

ჩოხატაურში კურტნიანი ცხენი ვიქირავე. ჩატანილი სანოვაგე ავკიდე, ნინაც ზედ დავსვი და წვიმიან დღეს გზას გავუდექით. მე ფეხით მივყვებოდი ცხენს, საშინელ ლაფიან გზაზე.

ხიდთან, სიცივისაგან გათოშილი ნინა ცხენიდან ჩამოვსვი და სახლში გავედით. მამა პანიასას ესვენა. არაფრის თადარიგი არ ჰქონდათ. ყველაფერზე მე მელოდებოდნენ. „კუბო ვერ ვიშოვეთ“ – მითხრეს. დავტრიალდი. სიმონმა დრო მიშოვნა და თხმელას საფიცრე ქორთუხებში, რომელიც ჩემგანვე ჰქონდა წაღებული, სამი ჩერვონეცი გადამიხდევინა. ქორთუხი დავხერხეთ და კუბო ჩემი ხელით გავაკეთე ზურაბა შათირიშვილის ხელსაწყოთი.

გარეთ გულმოდგინედ თოვდა. საღამომდე მუხლისოდენა თოვლი დასდო. ნინა და სხვა ქალები საქელეხო საქმეებს განაგებდნენ. შაბათ ღამეს მამა ჩემს სახლში გადავასვენეთ. წელამდე თოვლში მამა სასაფლაოზე მივაცილეთ და დავასაფლავეთ.

1930-1939 წლები

1930 წელს სამხატვრო აკადემია ისევ გამოეყო უნივერსიტეტს და დაიწყო დამოუკიდებელი არსებობა. მეც ჩემი ადგილი დავიკავე და მთავარი ბუღალტერი ვიყავი.

გარდა ამისა, სამხატვრო აკადემიასთან დაარსდა სამხატვრო სკოლა. ამ სკოლის ანგარიშწარმოებაც მე შემითავსა კოტე მაჩაბელმა და ორივე ადგილიდან 1200 მანეთს ვიღებდი. მაშინ „ჩერვონეცი“ იყო.

რუსული ენის სწავლება ამ სკოლაში ნინამ აიღო. ნინაც ორივე ადგილიდან 1000 მანეთს იღებდა. ამრიგად, ხელფასებით წელგამართული ვიყავით, მაგრამ ბავშვები წამოიზარდნენ და მაინც ნაკლებობას განვიცდიდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო გაბაშვილი – ცნობილი დიდი მხატვარი – ბატონებთან შენობაშივე ცხოვრობდა, გრიბოედოვის 22-ში. უცოლშვილი იყო. ჰყავდა ერთი მოხუცი გერმანელი „ეკონომკა“, რომელიც შეჩედულობით ჯოჯოხეთის მაშხალას ჰგავდა და კიდევ ექვსი ძაღლი. ძაღლები ყველა ჯიშიანები იყვნენ. გიგოს უძილობა სჭირდა. ზოგჯერ, საღამოს სამუშაოდან მისულს, ხელში ჩამიგდებდა და ღამის ორ საათამდე ლაპარაკით გამასავათებდა. რა არ უნახავს მას ცხოვრებაში! სად არ ყოფილა! აზიაში, ტაშკენტის მხარეს, ევროპის ყველა სახელმწიფოში, ამერიკაში... სახელის და დიდების უმაღლეს მწვერვალზე...

– ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოლშვილი, ოჯახი რატომ არ შეგიქმნიათ, ბატონო გიგო? – ვეკითხებოდი მე.

– ეეე... ჩემო გაბრიელ! მგორავი ქვა ხავსს მოიკიდებს? ან რად მინდოდა ოჯახი?

– რად და ახლა, მოხუცებულობის დროს, მოგივლიდნენ.

– მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მოვლილიც ვარ.

– არ ნანობთ ოჯახის გარეშე დარჩენას?

– სრულებით არა. მყავს ერთი მოხუცი მოსამსახურე, რომელიც დიდი ხანია ჩემთან არის და მყავს ძაღლები, მეტი არა მინდა რა.

– ვისთვის, ან რისთვის შრომობდით?

– იხოლოდ სახელისათვის... ნაშოვარი, როგორც ადვილად მოდიოდა, ისე ადვილად მიდიოდა. არაფერს არ ვიკლებდი... ჩემი სახელი მუდამ დიდ სიმაღლეზე იდგა... ყველა ქვეყნის დიდგვარეულთა სალონები ჩემთვის ღია იყო... გიგო გაბაშვილი ყველა ქვეყანაში ცნობილია თავის ტილოებით და შემოქმედებით, – მეტყოდა ის.

ზოგჯერ საღამოს სამუშაოდან წამოსულს, გიგო რუსთაველის პროსპექტზე დამიჭერდა და თითქმის გათენებამდე მატარებდა აქეთ-იქეთ. მიტოვება უხერხულად მიმაჩნდა და დავყვებოდი. მარტო მე არ ვიყავი ასეთ დღეში. აუარებელი მისი ნაცნობებიც ამავე დღეში იყვნენ და ერთმანეთს ვეცვლებოდით...

გიგო გაბაშვილი გარდაიცვალა ციხისძირის დასასვენებელ სახლში 1936 წელს 28 ოქტომბერს. ოავისი შრომები მან უანდერძა ქართველ ხალხს.

***

იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე – ქანდაკების ფაკულტეტის დეკანი იყო სამხატვრო აკადემიაში. ძლიერ ოხუნჯი და გონებამახვილი ადამიანი. მისი შემოქმედება საყოველთაოდ ცნობილია და ამ მხრივ მასზე არაფერს ვწერ. საკმარისია ნახოთ მისი „ილია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდაზე, „აკაკის“ ბიუსტი ოპერის თეატრის ეზოში, „ეგნატე ნინოშვილი“, „რუსთაველის“ ბარელიეფი, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გაიგოთ, როგორი ნიჭის ყოფილა იაკობი, როგორც მოქანდაკე.

ის და მე ძლიერ შეთვისებული ვიყავით. მისი მოშვებული, მოგრძო, ჭაღარანარევი წვერი, მამაჩემისას მომაგონებდა და ამიტომ უფრო მიყვარდა ის.

წარამარა ავანსად ფულის თხოვა იცოდა.

– პატივცემულო იაკობ! რას უშვებით ამდენ ფულს? – ვეტყოდი მე.

– რა ფულს? რას მაძლევ ამდენს? – მიპასუხებდა ის.

– როგორ რას გაძლევ? ორნახევარ ათასს ხომ იღებ? ამას გარდა სამუშაოების შესრულებაში ორ ამდენს ხომ იღებ? სად მიგაქვს ამდენი ფული?

– მოდი, დაჯექი, იანგარიშე და გაიგებ, სად მიმაქვს. მოდი! დღეში სამი ბოთლი ღვინო ხომ მინდა? ერთი ინდაური და მისი ატრიბუტები ხომ მინდა? ნამცხვარი, ტკბილეული, ხილი და მისთანები ხომ მინდა? ოჯახი, მოსამსახურე, ბავშვები, სტუმარი...

– აგაშენა ღმერთმა! – ვეტყოდი მე – ინდაურს ყოველდღე კი არა, მარტო საახალწლოდ ძლივს ვყიდულობ.

ნინას იაკობი კარგად იცნობდა. ძალიან უყვარდა. იმდენს ეცდებოდა, სანამ ავანსს არ დამტყუებდა. მეორე დღეს ისევ მომადგებოდა...

თავის ოჯახში იაკობი დიდი პურ-ღვინის კაცი იყო. რამდენჯერმე ვიყავი მასთან მიწვეული და კარგად ვიცი მისი პურ-მარილიანობა. დღეს რომ ავანსს დამტყუებდა, დამიბარებდა: „ხვალ ბევრი არ მალაპარაკოო“.

საფრანგეთში მისი მასწავლებელი როდენი იყო და ამიტომაც როდენს დიდი პატივისცემით იხსენიებდა. ერთხელ მისი ფეხსაცმლის ყიდვის ამბავი მომიყვა და მაცინა.

– როცა პარიზში წასვლას ვაპირებდი, მიყვებოდა ის. – ფეხსაცმელი უნდა მეყიდა, მაგრამ ვიფიქრე: „ბარემ პარიზში ჩავალ და იქ ვიყიდი-მეთქი“. ასეც მოვიქეცი. ჩავედი თუ არა, მაღაზიაში შევედი, ფეხსაცმელი ვიყიდე და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ნოქარმა შემაჩერა, ძველი ფეხსაცმელი შემიხვია და გამომატანა. წამოვედი. რომელიღაც ბაღში შევედი. მერხზე დავჯექი. როცა ავდექი, ეს შეხვეული იქ დავტოვე. მინდოდა ის ჯღანები თავიდან მომეცილებია. ის იყო უნდა ბაღიდან გამოვსულიყავი, რომ ვილაცა მოქალაქე დამეწია და ჩემი „შეხვეული“ მომიტანა: „ეს თქვენ მერხზე დაგრჩათო“ – მითხრა. გამოვართვი, ცოტა გავიარე, მივიხედ-მოვიხედე და ბაღის ცოცხალი ღობის ძირას დავდე. წამოვედი, მაგრამ ქუჩაში პრეფექტი (ძილიციელი) დამეწია, შეხვეული მომაროკა და მითხრა: „ინებეთ, ეს თქვენი ნივთიაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიარე და რომელიღაც ხიდზე გავედი, რომელიც მშრალი-მშრალ გადიოდა. კიდევ მივიხედ-მოვიხედე და ჩუმად ეს შეხვეული დაბლა გადავისროლე. ხიდის ქვეშ გოგო და ბიჭი ყოფილან. გამომიდგნენ და ეს ჩემი ფუთა დიდი ამბით მომართვეს: „ეს თქვენ დაგივარდათო!“ ბინად ერთი მოხუცი ქალისას ვიდექი. ეზოში შევედი, ნაგვის ყუთს თავი ავხადე და ფუთა შიგ გავუძახე. მეგონა გავთავისუფლდი, მაგრამ დილით მენაგვეს ამოეღო და დიასახლისისთვის გადაეცა: „ალბათ, ეს თქვენი სტუმრის იქნებაო“.

დიასახლისს ფუთა გაეხსნა და ჩემი ჯღანები საწოლის წინ დაეწყო. როცა გავიღვიძე და ისინი დავინახე, კინაღამ გული შემიღონდა... ასე, რომ ძველი ჯღანები ვერას გზით ვერ მოვიშორე.“

ამას ისე მიყვებოდა, რომ სიცილისგან კინაღამ ქუჩაში წავიქეცი.

ერთი პატარა წიგნი ჰქონდა სიმწრით დაწერილი, სათაურით „ერთი წელი როდენთან“. ამ წიგნის ერთი ცალი მან, სათანადო წარწერით, მე მიძღვნა. მისი მოძღვნილია აგრეთვე მისივე შესრულებული რუსთაველის ბარელიეფი, რომელიც დღესაც ჩემი ოთახის კედელზე ჰკიდია. მას უკანა მხარეს იაკობის ხელით გაკეთებული წარწერა აქვს: „გაბრიელ რამიშვილს, აკადემიის ძველ მეგობარს. სახ. მოქ. ი. ნიკოლაძე. 19/3 37.“

დაახლოებული ვიყავი აგრეთვე ლადო გუდიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან. ლადომ იცოდა ბაღდადურის ცეკვა. პიკნიკებზე ზოგჯერ ვაცეკვებდით. ცეკვის დროს თეძოს ისე არხევდა, რომ ყველას მუცელზე ხელები გვქონდა მოჭერილი სიცილისაგან. იცოდა: „ბატონ გაბრიელს, თავის რამიშვილით გაუმარჯოს“ ან „ბატონ რამიშვილს, თავის გაბრიელით გაუმარჯოსო“.

ლადო, ეს დიდი მხატვარი, ერთ დროს მიჩქმალეს და, მგონი, აკადემიიდანაც დაითხოვეს. ადამიანების უყურადღებოდ ხატვისა და კიდევ სხვა რამეებისათვის. ოქრო ლაფშიაც აბრწყინდება და ახლა უკვე მსოფლიომ კარგად იცის, ვინ არის ლადო გუდიაშვილი, თავის ორიგინალური და მშვენიერი შემოქმედებით.

დავით კაკაბაძე, გარდა იმისა, რომ დიდი მხატვარი და ხელოვანი იყო, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში ენციკლოპედიურ ცოდნას ფლობდა. უყვარდა კიდეც ამ ცოდნის გაზიარება მოსაუბრისათვის. მე ძლიერ მაინტერესებდა მასთან მუსაიფი და ხშირად ვიყავით ერთად. მაშინ ის უცოლო იყო.

იაკობ ადოლფის ძე შარლემანი, ცნობილი მხატვარი, მაგრამ საცოდავი კაცი იყო. ძეუღლე ქართველი ჰყავდა. პაპანაქება სიცხეში კალოშებით და ქოლგით მოვიდოდა. „რად გინდათ ქოლგა და კალოშები ამ სიცხეში?“ – ვეტყოდი

– Без них жена не выпускает из дома. Говорит, а вдруг польет дождь?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ხელფასის მიღებაზე ის იწერდა ცალკე ქაღალდზე ძირითად ხელფასს, დაქვითვებს და ხელზე მისაღებ თანხას, რომ ცოლისთვის მოხსენების გაკეთება შესძლებოდა.

მისი სურათებიდან მე ორს ვიცნობ და ორივე დიდებული სურათია... ერთი -- ბოროდინოს ველზე დაჭრილი ბაგრატიონი და მეორე – ტყის ხანძრიდან შეძრწუნებული ცხოველები რომ კლდეზე მოცვივიან. ორივე ეს სურათი დაცულია სახელმწიფო მუზეუმში.

სილოვან კაკაბაძემ ადრე დაამთავრა ქანდაკების ფაკულტეტი აკადემიაშივე, ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. ბოლოს აკადემიის დირექტორად დანიშნეს. მე და ის მუდამ კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით. მან სახელი გაითქვა „ახალგაზრდა სტალინის" გამოქანდაკებით, რომელიც მარქს-ენგელსის ინსტიტუტში არის დაცული. სილოვან კაკაბაძე კეთილი ბუნების ადამიანია.

სტუდენტებში ბევრი ხელმოკლეობას განიცდიდა. ხშირად მომმართავდნენ დახმარებისათვის და მე მუდამ მზად ვიყავი საამისოდ. დირექტორი, სილოვან კაკაბაძე დავითანხმე და აკადემიაში შევქმენით „ერთდროული დახმარების ფონდი". ეს მხოლოდ უსასხრო სტუდენტებისათვის იყო დაარსებული.

მახსოვს, ამ ფონდით ვეხმარებოდით იმდროინდელ სტუდენტს, მომავალში ცნობილ მხატვარს, სერგო ქობულაძეს.

სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი

ინსტიტუტში ლექციები ღამის 11-12 საათამდე გრძელდებოდა. სახლში მოქანცული და მშიერი ვბრუნდებოდი. იმ წლებში მოსახლეობა შიმშილს განიცდიდა... ეს იყო კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდგომი წლები...

ასეთ ყოფაში გავატარეთ პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კურსები, ე.ი. 1930-1935 ჩათვლით.

მეოთხე კურსის დასაწყისიდან მამასახლისობიდან გამომცვალემ ინსტიტუტის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ მე მთავარი ბუღალტერი ვიყავი სამხატვრო აკადემიაში და დირექტორმა ორლოვმა ინსტიტუტში მთავარი ბუღალტრის განთავისუფლებული ადგილი შემომთავაზა.

მოელაპარაკა აკადემიის დირექტორს გ. ბუხნიკაშვილს და შეთანხმდნენ ისე, რომ მე ნახევარ დღეს ვიმუშავებდი აკადემიაში და ნახევარს – ინსტიტუტში. ხელფასის განაკვეთს ორივე დაწესებულება მთლიანს მიტოვებდა. ეს კანონის დარღვევა იყო, მაგრამ იმჟამად ამ დარღვევას დიდი სიმკაცრით არ დევნიდნენ.

ამრიგად, ორლოვმა ჩამითრია ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერის თანამდებობაზე... მოვალეობის შესრულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევუდექი... აღმოჩნდა, რომ დიდი დავალიანება ირიცხება ანგარიშვალდებულ პირებზე და აგრეთვე სადებიტორო დავალიანებაც უზარმაზარი იყო. რამდენიმე მილიონს აღწევდა ორივე ეს დავალიანებანი, რასაც ზემდგომი ორგანო, საკავშირო სატყეო კომისარიატი, არ აპატიებდა ინსტიტუტს. სწორედ ამისათვის გაენთავისუფლებიათ ჩემს წინ მომუშავე მთავარი ბუღალტერი.

შტატში ათამდე თანამშრომელი მყავდა. ხსენებული დავალიანებანი და ანგარიშვალდებულნი ამოვაკრებინე და დირექტორ ორლოვთან შეთანხმებით, შევუდექი ბრძოლას...

თითოეულ პროფესორზე, დოცენტზე თუ სამეურნეო დარგის თანამშრომელზე ირიცხებოდა გატანილი ათასი მანეთი და არავინ იცოდა, რა გაკეთდა ამ თანხებით...

ყველა ანგარიშვალდებული პირი გამოვიძახე და კატეგორიულად მოვთხოვე გატანილი თანხების დახარჯვის საბუთები, ან თანხის უკან დაბრუნება. ეს უდრიდა ინსტიტუტში ბომბის აფეთქებას...

ბორჯომის რაიონის სანერგე მეურნეობის უფროსზე, პროფესორ სოლნცევზე ირიცხებოდა 200 ათასი მანეთი. ის ძლიერ შეშფოთებული მომვარდა და მტკიცება დამიწყო, რომ ეს თანხა არის „ბრუნვაში“ და ანგარიშების წარმოდგენა არ შეიძლება. დიდი დავის შემდეგ ვუპასუხე:

– დაუყონებლივ ჩამაბარეთ ანგარიშები, რაში დახარჯეთ ეს თანხა. თუ არ დაგიხარჯავთ, დააბრუნეთ სალაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაეცემით სასამართლოს, როგორც სახელმწიფო თანხების გაფლანგველი.

სოლნცევმა მიჩივლა მოსკოვში სატყეო საკავშირო მეურნეობის მინისტრ ლობოვთან. იქედან დირექტორმა ორლოვმა დეპეშით მიიღო ასეთი პასუხი: *"Поощряйте мероприятия главбуха Рамишвили в борьбе против подотчетных лиц".*

სოლნცევის მდგომარეობაში ბევრი ჩავარდა, მაგრამ არაფერმა არ უშველა და ეს ჩანაგვიანებული „ანგარიშვალდებულთა ანგარიში“ გასუფთავდა.

მოაწია წლის ბოლო. ბალანსი შევადგინე. ის მე უნდა წამეღო მოსკოვში და დამეცვა სატყეო კომისარიატში, მაგრამ იმ დროს გაქანებული სესიები გვქონდა. ორლოვმა მიხათრა, წასვლისგან გამანთავისუფლა და ბალანსი თითონ წაიღო ჩასაბარებლად.

ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა და სიცილით მითხრა:

– *Товарищ Рамишвили, наш баланс забракован.*

მე ეს გამეხარდა, რადგანაც მართლაც უდიერ შრომაში ვიყავი. აკადემიის ბალანსის ჩაბარებაში-კი თვენახევრის ხელფასი მივიღე ჯილდოდ.

ორლოვს ვთხოვე გავენთავისუფლებინე და გამანთავისუფლა ისე, რომ აქედანაც მოზრდილი თანხა მერგო. ნინა ძლიერ კმაყოფილი იყო.

ამასობაში დავამთავრე მეხუთე კურსიც და დაგვრჩა სადიპლომო პრაქტიკა.

„ზაკლესტრესტიდან“ (მაჩაბლის ქ. №3) რამდენიმე სტუდენტმა მივიღეთ შეკვეთა, ჩაგვეტარებია ძიება და შეგვედგინა რეალური პროექტი თელავის რკ.გზის გასაგრძელებლად ახმეტამდე.

დავტრიალდით. ხელმძღვანელად ავირჩიეთ ჩვენი დოცენტი ვლადიმერ გურგენიძე, რომელიც „რკინისგზის“ კურსს გვიკითხავდა ინსტიტუტში.

პროექტის ხარისხიანად შესრულებისათვის „ზაკლესტრესტი“ გვპირდებოდა 40.000 მანეთს, რაზედაც დადებული იყო ხელშეკრულება.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი ბარგით და გეოდეზიური იარაღებით გავემგზავრეთ თელავში. ნინამ სადგურში მიგვაცილა.

სადგურ თელავში რკინისგზის ლიანდაგთან მივედით, რეპერის სიმაღლე გავიგეთ, მიმართულება ავიღეთ და გავსწიეთ წინ, შეიარაღებულნი – ზოგი „ვეშკებით“, ზოგი ლენტით და რკინის ჩხირებით, პალოებით და ცულით, ზოგი ლარტყებით და ზოგი ნიველირით და თეოდოლიტით.

მე დანიშნული ვიყავი სამუშაოს მწარმოებლად და თან მიმქონდა „პიკეტაჟის“ ჟურნალი. ყველა მონაცემები ძიების ირგვლივ ჩემთან იყრიდა თავს.

შეკვეთილი გვქონდა თელავის სადგურიდან სოფელ კურდღელაურის ბოლომდე, აგურის ქარხნამდე – ფართო ლიანდაგიანი რკინისგზის დაგეგმარება, აქედან ახმეტამდე – ვიწრო ლიანდაგიანი გზაა.

თვენახევარი მოვუნდით საველე სამუშაოებს. ძიება დავამთავრეთ და თბილისში დავბრუნდით. შევუდექით კამერალურ სამუშაოებს. ვლ. გურგენიძის ხელმძღვანელობით პროექტი დავამთავრეთ, ყველა დანართი ნახაზებით და გაანგარიშებით, და წარვადგინეთ დაცვაზე „ზაკლესტრესტში“.

განხილვის შემდეგ ის მიიღეს. ამის შესახებ პრესაშიც იყო აღნიშნული, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებმა პირნათლად შეასრულა ესა და ეს რთული ტექნიკური დავალებაო. წერილს ჩვენი სურათებიც ჰქონდა დართული.

ხელშეკრულების თანახმად მივიღეთ 40 ათასი მანეთი. ველზე გაწეული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ მე მერგო სამი ათასი მანეთი, რაც მთლიანად ნინას გადავეცი. ამ თანხით მან პიანინო იყიდა ბავშვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ძიება ჩვენ გამოვიყენეთ სადიპლომო სამუშაოდ. ავიღე მონაკვეთი თელავის სადგურიდან სოფელ ხორხელამდე და ხიდის დაგეგმარება მდინარე თურდოზე.

1936 წლის ზაფხულზე სადიპლომო შრომა დავამთავრე და დიპლომი საჯაროდ დავიცავი. თავისუფლად ამოვისუნთქე...

დიპლომის მომზადებასა და დაცვაზე იმდენად დიდი ნერვიულობა და ღელვა გადავიტანეთ სტუდენტებმა, რომ მე ახლაც დროგამოშვებით მესიზმრება დიპლომის დაცვის წინა პერიპეტიები. როცა გამეღვიძება, ვრწმუნდები, რომ ეს ამბავი დიდი ხანია გავლილია და სასიამოვნო შვებას ვგრძნობ...

მუშაობას ისევ აკადემიაში განვაგრძობდი, ჩვენი ბავშვები წამოიზარდნენ და მერვე შრომის სკოლაში, სხვადასხვა კლასებში სწავლობდნენ.

ყოველ ზაფხულს სოფელში მივდიოდით.

1937 შავბნელი წელი

დადგა 1937 წელი, რომელმაც იმსხვერპლა მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოშიც. გაჩაღდა მასობრივი დაპატიმრება და პატიმრების გაუჩინარება.

რა დანაშაულისათვის იჭერდნენ და სპობდნენ მოქალაქეებს – გაურკვეველი იყო, დღეს რომ დაწესებულებაში ხელმძღვანელს ხედავდით და ელაპარაკებოდით, ხვალ ის აღარ არსებობდა. ეს საყოველთაო მოვლენად შეიქნა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. იმჟამად სამხატვრო აკადემიაში ვმუშაობდი. ერთ დღეს არ დაგვხვდა რექტორი, შურა დუდუნავა, მეორე დღეს – პროფესორი გრინევსკი, შემდეგ დუდუჩავას შემცვლელი – პაპავა; თანამშრომლების, ზოგის ქმარი, ზოგის მამა, ძმა, ნათესავი და ასე შემდეგ. აწიოკდა და აფორიაქდა მოსახლეობა.

1924 წლის ავანტიურის შემდეგ მე ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ იმის მსგავს მდგომარეობაში თავს აღარ ჩავიგდებდი და ამ სიტყვას მტკიცედ ვიცავდი, მაგრამ მაინც გავიფიქრებდი. „იქნებ, ვინმემ მაინც შარი მომდოს-მეთქი“. ასევე დაფეთებული იყო ყველა მოქალაქე.

რომ მასობრივად ხალხის დარბევა-გაუჩინარებისათვის რამე იურიდიული გამართლება მიეცათ, გაზეთში ათავსებდნენ ამა თუ იმ თვალსაჩინო პატიმრის პროცესს, რომელსაც არც არავინ დასწრებია და არც შემდგარა სინამდვილეში. პროკურორი ვითომ ეკითხება „ბრალდებულს“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თქვენ ბრალად გედებათ ესა და ეს დანაშაული, – ჩამოითვლებოდა მრავალი საშინელი, სტანდარტულად ასახული ბრალდებანი: სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა, გამცემლობა, სხვა სახელმწიფოსთან იდუმალი თანამშრომლობა და სხვა...

ბრალდებული ვითომ მამინათვე ყველაფერში თავს დამნაშავად აღიარებდა და თავის მხრივ, წაყენებულ ბრალდებებს კიდევ უმატებდა მრავალ სხვა მომაკვდინებელ დანაშაულს: ვინმე ხელმძღვანელის მიმართ ტერორისტულ აქტს, ქურდობას, გაფლანგვას და სხვა ასეთებს. „რასაც თქვენ მაბრალებთ, გარდა მაგისა, კიდევ ესა და ეს ჩავიდინეო", – ამბობდა ვითომ „ბრალდებული" თითქოს ცდილობდა „გეგმის" გადაჭარბებას.

ეს „მოწყობილი" გასამართლება ხდებოდა მასობრივად და, ცოტად თუ ბევრად ღირსეული, ნიჭიერი, უნარიანი მოქალაქეებისაგან დაცარიელდა ქალაქები და სოფლები.

დაბეზღება, დარბევა, დაპატიმრებაში მრავალი ნაძირალა დახელოვნდა; მათი რიცხვი გადიდდა და მკბენარებივით მოედო მოქალაქეთა სხეულს... ხალხი გმინავდა...

ვისი ხელითაც დღეს მოქალაქენი ისპობოდნენ, ხვალ ამათაც სხვა ნაძირალა სპობდა, რომ გზაკვალი გადარეცხილიყო და ასე შემდეგ. შორეულ ციმბირის და ჩრდილოეთის ბანაკები მილიონებით აივსო. ეს ხალხი უკან აღარ ბრუნდებოდა.

როგორც კანტიკუნტად შემთხვევით გადარჩენილებს უამბნიათ, ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც „იქ" თურმე ერთმანეთს ხვდებოდნენ დაპატიმრებული და ის ნაძირალაც, რომლის მეშვეობითაც ეს პირველი მოხვდა ამ მდგომარეობაში და ერთმანეთს მალულად ანგარიშს უსწორებდნენ

ამ ეგზეკუციას მრავალი მილიონი ადამიანი ემსხვერპლა საბჭოთა კავშირში. საქართველოდან კი – ექვსასიათასამდე რჩეული მოქალაქე. ასეთი მარცხი საქართველოსთვის არ მიუყენებია მტრის ყველაზე სისხლიან დარბევასაც კი საშუალო საუკუნეებში.

საოცარია! რისთვის, ან ვისთვის იყო ყოველივე ეს საჭირო?

ასეთი იყო 1937 წელი, რომელმაც ფიზიკურად გაანადგურა და მორალურად გარყვნა მოსახლეობა.

***

1938 წელი იდგა. ზაფხული ჩემმა ოჯახმა სოფელში, დიდ ვანში გაატარა და სტუმრად სადოვსკების გოგონებიც თან ახლდა. შვებულებით ერთი თვე ვესტუმრე ნინას. ნინამ და მე სახლის გაყიდვა გადავწყვიტეთ და გავყიდეთ კიდეც. თერთმეტი ათასი ავიღეთ ჩერვონცების კურსით. სახლი ვიღაც მახარაძელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქემ იყიდა. მთელი ბარგი-ბარხანა სამზარეულო ბინაში გადავიტანე და იქ მოვათავსე.

ნინა და ბავშვები წინ გამოვუშვი ურემზე დატვირთული ბარგით. მე თავი უკან ჩამოვირჩინე. სახლი უკანასკნელად ცრემლების ღვრით დავტოვე, რითაც სამუდამოდ გამოვეთხოვე ჩემი საკუთარი შრომით შექმნილ საგანს, კარები მოვხურე და წამოვედი.

ჩემი მშენებლობაზე გადასვლა. 1940 წელი

უკვე ოთხი წელი შესრულდა, რაც ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ ისევ აკადემიაში ვმუშაობ. მატერიალურად არა მიშავს, მაგრამ რაღაც დაუკმაყოფილებლობას ვგრძნობ. რისთვის ვიწვალე? რისთვის გავსწიე ამდენი შრომა? რამდენი ღამე გავათენე მეცადინეობაში, ხაზვაში! რისთვის ვაწვალე ნინა, ოჯახი თუ ისევ ბულალტერიას შევრჩებოდი?

ასეთი ფიქრები მოსვენებას არ მაძლევდნენ. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ნინამ და მე მივიღეთ გადაწყვეტილება ჩემი მშენებლობაზე გადასვლის შესახებ.

გორში არსებობდა სამშენებლო ორგანიზაცია „№ 66 ხიდმშენი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟინერი ცქიტიშვილი. მუშაობა დავიწყე გორი-სტალინირის რკინისგზის ქვეშ მდ. მტკვარზე ხიდის მშენებლობაზე.

ცვლის ინჟინრის თანამდებობიდან დავიწყე მუშაობა. ხელფასი გამინახევრდა. პირობები საგრძნობლად გამიუარესდა, მაგრამ მაინც კმაყოფილებას ვგრძნოდი, რადგანაც მუშაობაში ჩავები სპეციალობის მიხედვით.

გორის ქვემოთ, ორი კილომეტრის დაშორებით, სახელდახელოდ აშენებულ ფიცრულ ბარაკებში ვცხოვრობდი სხვა მშენებლებთან ერთად და პაწაწინა ოროთახიანი ბინა მეჭირა.

სხვადასხვა მექანიზმები, ტექნიკური საკითხები, მათი გადაწყვეტა, მუშაობის პროცესი – ყველაფერი ეს საინტერესო იყო ჩემთვის.

შენდებოდა რკინა-ბეტონის ხიდი 100 თუ 130 მეტრის სიგრძის. გორის მხრიდან, მისასვლელ კონუსში საჭირო იყო ანკერების დაყენება თორმეტმეტრიან რელსებიდან და მათი გადაკვეთის შედუღება. ანკერები უნდა დაყენებულიყო მარჯვენა ბურჯის ორივე მხარეს. კონუსები კი ხრეშის ყრილისაგან შესდგებოდა.

დაკვირვებული მიდგომით და მუშაობაში სიახლის შეტანით, ორ თვეში ეს სამუშაოები შევასრულე. ეს მძლავრი ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქვემდებარებული იყო საკავშირო გზათა მიმოსვლის სამინისტროზე. მინისტრი – კაგანოვიჩი იყო.

მუშაობა დავიწყე სამუშაოს მწარმოებლად მეორე უბნის მეოთხე პუნქტზე და რეზიდენცია ძქონდა სოფელ დვირში.

პუნქტზე დიდი ქაოსი დამხვდა. 2-3 ინჟინერი, ხაშურელი მუშა – კიკნაძე, კომენდანტი პეტრე (ისიც ხაშურელი) ერთად ცხოვრობდნენ ნიკალა კურტანიძისას. სახლის ქვედა სართულში მუშათა მომარაგების პუნქტი იყო გახსნილი და დიდძალი საქონელი და სანოვაგე იყო მოზიდული მუშებისათვის, მაგრამ ყველაფერს სხვები დაპატრონებოდნენ და მუშებს არაფერი ხვდებოდა; იქვე, მეორე სახლში, მუშებისათვის სასადილო გაეხსნათ, მაგრამ იქ სრული ანტისანიტარია სუფევდა, ხოლო სადილისათვის განკუთვნილი ცხიმი და პროდუქტი, ქვაბის მაგიერ ჯიბეებში მიდიოდა; იქვე ახლოს პურის წერტიც გაეხსნა მუშათა მომარაგებას და გამყიდველი ყოველნაირად იპარავდა – ფასშიც და წონაშიც. მუშები-კი 1500 კაცზე მეტი იყო, ბრიგადებად დაყოფილი, რაიონებიდან ცოლშვილიანად მორეკილი კოლმეურნეები.

უბნის უფროსი – დავით ინასარიძე და ტექნიკური ნაწილის უფროსი – იასონ მჭედლიძე იყვნენ. უბნის სამმართველო აწყურში იყო.

მე რომ ჩემ პუნქტს ავხედ-დავხედე და მისი მძარცველების ბუნება შევიცანი, აწყურში ავედი და მდგომარეობა ინასარიძეს გავაცანი. კატეგორიულად მოვითხოვე პუნქტის გასუფთავება და ჩემს ჭკუაზე ჩამოყალიბება. ინასარიძემ მითხრა:

– გაბო! შენი იმედი მაქვს. დასცხე და არ დაინდო არც ერთი ყალთაბანდი. ყველაფერში მხარს დაგიჭერ.

კომენდანტს, ხაშურელ პეტრეს, დავალება მივეცი: ჩემთვის. დანარჩენი ინჟინრებისათვის დღესვე საღამომდე ცალ-ცალკე ბინები გამოეძებნა და ბინის პატრონებთან ხელშეკრულება გაეფორმებინა ქირის გადახდაზე. ქირას მშენებლობა ანაზღაურებდა.

ყველა ინჟინერს კატეგორიულად მოვთხოვე საღამოს წარმოედგინათ ცნობები შესრულებულ სამუშაოების რაოდენობაზე.

ნორმადარს დავავალე ამოეწერა ცნობა უბნის ჟურნალიდან შესრულებულ და შესასრულებელ მიწის სამუშაოებზე.

ექიმ ელენეს – შეემოწმებია სადილის ხარისხი, ჩაეწერა და ჩემთვის ეცნობებია, რამდენ სულზე კეთდებოდა სადილი და რა რაოდენობის პროდუქტები ჩაუშვეს ქვაბში.

ექთანი გოგონები ტრასაზე გავგზავნე მედიკამენტებით, შესახვევი მასალებით და ჩამოვანაწილე ბრიგადების მიხედვით

მეტაბელე ქალს ვუბრძანე საღამოს მოეცა ზუსტი ცნობა, რამდენი მუშა-მოსამსახურე ირიცხებოდა დღეს პუნქტზე, რამდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა დღეს სამუშაოდ და ვინ არ გამოვიდა, ბრიგადების მიხედვით.

მაღაზიის ნოქარს დავავალე პროდუქტების სია და ნიხრი გამოეკრა თვალსაჩინო ადგილზე. ვაჭრობა ავუკრძალე.

სასადილოს გამგეს დავავალე დღევანდელი „მენიუს“ და ნიხრის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილზე.

„ტაბელშიცას„ – ზარის დარეკა პუნქტის კანტორასთან, რითაც აცნობებდა მომუშავეებს სამუშაოს დაწყებას, სადილის დროს და მუშაობის დამთავრებას (ის დარეკდა კანტორასთან და სხვები სხვაგან გაიმეორებდნენ ზარს).

მთელი პუნქტი საათივით ამოძრავდა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. მე დავდიოდი და ვამოწმებდი ჩემი დავალების შესრულებას. ვაი მას, ვინც უყურადღებოდ დასტოვებდა ჩემს განკარგულებას, ის უბანთან შეთანხმებით, მოიხსნებოდა სამუშაოდან.

საღამოს „საპრარაბო“ პუნქტის კანტორაში ყველა ხელმძღვანელი დავიბარე და ანგარიში მოვთხოვე. ასევე მეორე დღეს და მუდამ შემდეგ.

ამ მუქთახორების წესრიგისაკენ მოწოდებამ, რომლებიც გალაზღანდარებული იყვნენ და არ გრძნობდნენ არავითარ პასუხისმგებლობას, ჩემს წინააღმდეგ გამოიწვია შეთქმულება. შეთქმულებას მეთაურობდნენ ინჟინერი ვასო ლავრელაშვიოლი, ათისთავი ახალქალაქელი ანდრანიკა, პარტორგი კიკნაძე, რომელიც მუშად იყო გაფორმებული და მე მუშაობა მოვთხოვე, კომენდანტი პეტრე და უბნის პარტორგი, ისიც ხაშურელი (მისი გვარი არ მახსოვს).

შეთქმულებს მიზნად დაუსახავთ ჩემი თავიდან მოშორება, რომ თავისუფლად ეპარპაშათ და გაეყვლიფათ მუშები. სამუშაოების დროულად შესრულებას და რკინისგზის გაყვანისათვის ბრძოლას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოღონდ თავისი ბნელი ზრახვები შეესრულებიათ – გაეყვლიფათ და მიეთვისებიათ ყველაფერი, რის მითვისებასაც შესძლებდნენ.

ჩემი თავიდან მოშორების შემდეგ, გადაუწყვეტიათ ჩემს ადგილზე ლავრელაშვილის დაყენება. მოეთათბირებიათ და ერთ ცივს, ქარბუქიანს და თოვლჭყაპიან საღამოს უბანში, აწყურში გაპარულან, უბნის უფროსის ინასარიძის დასაყოლიებლად. მე ვიცოდი, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ რაღაცეებს ჩმახავდნენ. ინასარიძეს უკითხავს: „გაბომ თუ იცის, რომ თქვენ უბანში წამოდითო?“ თავის „შეწუხების“ მიზეზიც უკითხავს და დარწმუნებულა, რომ ჩემს წინააღმდეგ არიან დარაზმულნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათაც გულახდილად მოუხსენებიათ თავის სურვილი უთხოვიათ სანქცია ჩემი ლავრელაშვილით შეცვლაზე.

მე პუნქტის კანტორაში ვიყავი, რომ ინასარიძემ ტელეფონით ხმადაბლა მითხრა:

– ახლავე მანქანაზე დაჯექი და აწყურში ამოდი.

ოც წუთში უბანში ვიყავი. ჩემი მისვლით შეთქმულებს თავზარი დაეცათ. ინასარიძემ თქვა:

– გაბო, დაჯექი. ლავრელაშვილო, გაიმეორე ის, რაც წელან თქვი.

მას ნაცრისფერი დაედო და ენა დაება.

– აბა, შენ „ბრძანე", ანდრონიკ ათისთავო! ან შენ, დიდო პარტიის მუშაკო, კიკნაძევ! აბა, შენ, პეტრე-კომენდანტო!

ვერავინ ხმა ვერ ამოიღო და თავს საბრალდებო სკამზე გრძნობდნენ. ამასობაში, სადღაციდან გვიან დაბრუნებული იასონ მჭედლიძე, უბნის ტექნიკური განყოფილების უფროსი შემოვიდა და დაჯდა. შეთქმულებმა იცოდნენ, რომ იასონი და მე ახლო მეგობრები ვიყავით. მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად მოუბრუნდათ. ინასარიძემ განაგრძო:

– თქვენ ვიგინდარებო! გაბო რამიშვილი თავის საკუთრებისთვის ხომ არაფერს გთხოვთ! მუშაობას, ნამუშევრის აღრიცხვას და წესრიგს მოითხოვს. თქვენ რა გაქვთ ამის საწინააღმდეგო? ეხლავე აქედან დაიკარგეთ და ხვალ გაიგებთ, ვის რა მოგელით!

– შენ კი, – უბნის პარტორგს მიმართა, – ეხლავე აქაურობას მოწყდი და დილიდანვე უბანში აღარ დაგინახო.

– გაბო! არავის არაფერი დაუთმო. ყველას მოუჭირე მუხრუჭები და ჩვენც შენთან ვართ...

გამოვედი. საშინელი ქარბუქი იყო. ისინი სიბნელეში ბორიალობდნენ და დვირში წამოსასვლელად ჩემს მანქანას უტრიალებდნენ. მე ისინი მივატოვე. მანქანაში ჩავჯექი და წამოვედი. მეორე დღეს ისინი დაუვყონებლივ გავათავისუფლე.

მუშებმა დაინახეს, რომ მათ საკეთილდღეოდ კიბრძოდი და დიდი თავგამოდებით იბრძოდნენ გეგმების შესრულებისათვის. თვის ბოლოს, შესრულების შეჯამებისას გამოირკვა, რომ ჩემი პუნქტი იყო მოწინავე.

აწყურში მშენებლობის საერთო კრება მოიწვიეს, რომელსაც მშენებლობის უფროსი პოსტოუტენკოც ესწრებოდა. შეჯამების შედეგი გამოაცხადეს და გარდამავალი დროშა და 4000 მანეთი ჯილდო გადმომცეს. ამ ჯილდოდან 1000 მანეთი მოწინავე ბრიგადებს დავურიგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ, ცივ ზამთარში, ნინა ბორჯომიდან მესტუმრა დვირში. მიღებული პრემია 3000 კალთაში ჩავუდე, რითაც ის ძლიერ კმაყოფილი იყო...

მშენებლობა № 153-ზე დავყავი 1946 წლის ზაფხულამდე. ექვსი წლის დაძაბულმა მუშაობამ დიდი ენერგია მოითხოვა ჩემგან. რკინისგზის მშენებლობა დაიწყო 1940 წელში. გეგმის თანახმად ის უნდა დამთავრებულიყო 2-3 წელიწადში. მაგრამ მშენებლობას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა.

ტრასა ბორჯომ-პარკიდან იწყებოდა და თავდებოდა ვალეში. მისი საერთო სიგრძე 63 კილომეტრი იყო, ურთულეს კლდოვან რელიეფის გავლით. მტკვარს და ფოცხოვს ის ორ ალაგას ჰკვეთს დიდი ხიდებით; სამ ალაგას დაგეგმილი იყო გვირაბების მშენებლობა, მაგრამ ერთი მათგანი, გორაკი, სოფელ მოქცევთან ავაფეთქეთ და ღია ჭრილით გავიარეთ; აუარებელი ხელოვნური ნაგებობანი: ხიდები, ბეტონის მილები, ღარები, საყრდენი კედლები, ჯებირები, დეზები, წყალამრიდები და სხვა; ლიანდაგის ვაკისები, ყრილები ალაგ-ალაგ 18-20 მეტრ სიმაღლეს აღწევდა თავის ესტაკადებით..

ცალმხრივ კლდოვან ჭრილებს ზოგან 70-100 მეტრის სიმაღლე ჰქონდათ, სადაც აფეთქების შემდეგ, თოკებით დაკიდული მუშები ასუფთავებდნენ მორღვეულ კლდეებს.

ჩემს უბანზე ხშირად 1000-1500 კაცი მუშაობდა. ადვილი წარმოსადგენია, რა დაძაბულობა იყო საჭირო ამ ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სამუშაოზე განაწილებით, იარაღებით მომარაგებით, ბინებით, კვებით, გათბობით, განათებით, აბანოებით, დროული ხელფასით და სხვა მრავალით.

კვალიფიციურ მუშებთან მუშაობა ადვილი იყო, მაგრამ 1941 წელში ატეხილმა ომმა ეს მუშები მოგვაშორა და ისინი შეიცვალა კოლმეურნეებით. ესენი-კი უსუსურნი აღმოჩნდნენ მიწის სათხრელი იარაღების ხმარებაში. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მოქნეულ წერაქვს თვითონვე იხვედრებდნენ ხან ფეხში, და ხან თავში, ხანაც ახლო მდგომ ამხანაგს ახვედრებდნენ.

ბორჯომ-ახალციხე-ვალის რკინისგზის პროექტის ავტორი იყო ინჟინერი ჯალალოვი, რომელსაც დიდი შრომა ჰქონდა გაწეული ტრასის ძიება-დაგეგმარებაზე. მშენებლებს აქა-იქ ზოგიერთი შესწორებანი შეჰქონდათ პროექტში. მაგალითად, ძირითადი პროექტი, დასახლება აწყურს სჭრიდა შუაზე, აუარებელ მოსახლეს ჰყრიდა თავის ადგილიდან. ინჟინერმა ი. მჭედლიძემ წინადადება წარმოადგინა, რომ პროექტის ეს ადგილი შეიცვალოს და ტრასა დაგეგმარდეს მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ საყრდენი კედლის და ჯებირების აშენებით. წინადადება მიღებული იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟინერმა ვანო რცხილაძემ ტრასის ეს ნაკვეთი გადაგეგმა და ეს განვახორციელე მისი მშენებლობა.

სამივენი ინსტიტუტის თანაჯგუფელები ვიყავით.

დვირის მისასვლელთან, რასაც ჩვენ „რღვევის ხაზს" ვეძახდით, ძლიერ რთული ადგილი აღმოჩნდა. ტრასის ნაწილი მტკვრის მარჯვენა ნაპირს მისდევდა, მტკვრის რამდენიმე მეტრის შევიწროებით და წყლის გამოდევნით. ტრასის მეორე მხარეზე-კი უწესრიგოდ ელაგა უზარმაზარი ლოდები პირდაპირ ნიადაგის ზედაპირზე. პროექტის დამცველები მოითხოვდნენ დიდ სიფრთხილეს ამ ადგილზე და გვავალებდნენ ლოდების ცალკეულად დაბეტონებას მათი დაუძვრელობის თვალსაზრისით. ეს აუარებელ დამატებით სამუშაოებს და დროს მოითხოვდა. გეოლოგებიც ამ აზრისანი იყვნენ, მაგრამ სანამ სჯა-ბაასი მიმდინარეობდა, ჩვენ ყველა ეს ლოდები ერთბაშად ავაფეთქეთ. და მტკვარი საჭირო მანძილზე განიდევნა და გაკეთდა კლდოვანი ვაკისი. აქა-იქ შეცდომებსაც ვპოულობდით ძირითად პროექტში, რასაც სპეციალური ნებართვის შემდეგ ვასწორებდით.

ხსენებულ „რღვევის ხაზს" ქვემოთ, ჭობისხევის მხარეს, „რღვევის ხაზიდან" ერთი კილომეტრის დაშორებით მე შევნიშნე, რომ გრძივ პროფილზე წითელი ხაზი დაგეგმილია ერთი მეტრის ვერტიკალურად ვარდნით. მე განგაში ავტეხე და დამპროექტებლები ვაიძულეთ გაესწორებიათ შეცდომა.

მშენებლობის მთელ პერიოდში, მიუხედავად ხანდახან შეხლა-შემოხლისა რაიმე სადავო საკითხზე, კარგი სახელით ვსარგებლობდი, როგორც ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე ხელქვეითებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან.

ვითვლებოდი უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. შემდეგ უბნის საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსად. ორივე შემთხვევაში ხელფასს 1300 მანეთს ვიღებდი. გარდა ამისა, თითქმის ყოველ თვეში ვიღებდი პრემიას გეგმების გადაჭარბებისათვის 1500-1800 მანეთს.

დავიმსახურე და მივიღე ჯილდოები: „საუკეთესო მშენებლის", „საპატიო რკინისგზელის" და სამამულო ომში „კავკასიის დაცვისათვის". აგრეთვე რამდენიმე ქების სიგელი.

1941 წელში ატეხილმა სამამულო ომმა ყველაფერი ყირამალა დააყენა.

საარსებო მინიმუმი თანდათან გასაჭირი გახდა. ჩვენი შემოსავალი სანახევროდაც აღარ ჰყოფნიდა ჩვენს ოჯახს.

გოგა ჯარში წაიყვანეს. თამარა და თინა სწავლობდნენ სანახევროდ მშიერნი, მწყურვალნი, სითბოს და სინათლეს მოკლებულნი... ამ პერიოდის მოგონება მუდამ გულს მიჩუყებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გამოსავალი არ არსებობდა. მოსახლეობის უმეტესობა ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ნინა გაშმაგებული აწყდებოდა აქეთ-იქეთ და ცდილობდა მათთვის საზრდო არ მიეკლო. მშენებლობის მახლობელ სოფლებში ჩამოჰქონდა ჩვენი ძველმანები და ცვლიდა პროდუქტებზე. მე ხომ მიჯაჭვული ვიყავი სამუშაოზე.

ისევ მშენებლობა იყო ჩვენი დასაყრდენი წერტილი, სადაც მუშათა მომარაგება სჯობნიდა საერთო მომარაგებას და ისევ აქედან გაგვქონდა თავი.

მშენებლობაზე ბევრი ახერხებდა სიყალბის ჩადენას, მაგრამ მე ამ ნაბიჯს არ ვდგამდი.

მასობრივი გასახლება მესხეთ-ჯავახეთიდან

ასე თუ ისე, ომის პერიოდის საშინელი წლები გადიოდა და მივაღწიეთ 1944 წლის შემოდგომას. ამ დროისათვის რკინისგზის ლიანდაგი, თავის სადგურებით და ასაქცევებით მზად იყო ბორჯომიდან ახალციხამდე. მახსოვს, უკანასკნელი წყვილი რელსი, ჩემს უბანზე, წნისში ჩავსვით და ლიანდაგი შევაერთედ 1944 წლის 14 ნოემბერს, გვიან, წვიმიან საღამოს, ოც მეტრიანი სიმაღლის ყრილის მახლობლად.

ეს შეერთება განხორციელდა თუ არა, იმავე საათში წნისშივე ჩამოდგა დრეზინა. მძღოლმა გადმომცა მშენებლობის უფროსის, ბორის ჩაჩავას ბრძანება, რომ ბორჯომში გამოვცხადებულიყავი.

წვიმისაგან სველი, მოქანცული, მშიერი, მანქანაზე დავჯექი და საათნახევარში ბორჯომში გამოვცხადდი. აღმოჩნდა, რომ იქ მოსულა სამხედრო ეშელონი, სამხედრო მასალებით და აღჭურვილობით დატვირთული. ტანკები, ტანკეტები, ქვემეხები, მანქანები, ყუმბარების ყუთები, ჯარისკაცები, ცხენები და სხვა საჭურველი შეადგენდა ეშელონის ტვირთს.

ეს ეშელონი პირველი მერცხალი იყო ჩვენს ახალ რკინისგზაზე. ასეთი ეშელონები ბევრი იყო წინად მოსულნი, მაგრამ ისინი ბორჯომშივე გადმოიტვირთებოდნენ და იქვე გაუჩინარდებოდნენ ისე, რომ კერძო პირთათვის სრულებით შეუმჩნეველნი იყვნენ. ეს კი ახალციხეში უნდა ასულიყო განსატვირთავად.

მე არ ვიცი, ჩემს „ხლებას“ რა მიზანი ჰქონდა, მაგრამ ორთქლმავალზე დამსვეს, ეშელონი მაშინათვე დაიძრა და გათენებისას ისევ ახალციხეში ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბარგო სადგურზე ეშელონი საოცარი სისწრაფით ლა-
უხმაუროდ განიტვირთა და სიბნელეში გაუჩინარდა, ამ ამბავს არ
დასჭირვებია სულ ათი წუთი. სად გაჰქრა ამოდენა მექანიზმები,
საჭურველი, ბარგი, ცხენები და ხალხი, მე არ გამიგია. დილის ექვს
საათზე გამანთავისუფლეს და ძლიერ მოქანცული სახლში მივედი.

ამ ეშელონს სხვა ეშელონებიც მოჰყვა, მაგრამ მათ
„მხლებლები" არ დასჭირვებია.

ამის შემდეგ მოყარეს ცარიელვაგონებიანი შემადგენლობანი,
შემდგარი თითოეული 60 საბარგო ვაგონისაგან. სადგურ
ახალციხიდან მოყოლებული, წნისის და აწყურის ჩათვლით, სოფელ
ქვაბისხევამდე ჩვენი ახალი რკინისგზა აივსო ცარიელი
ეშელონებით.

მშენებლები განცვიფრებულნი ვიყავით ამ მოვლენით. ვერ
აგვეხსნა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაგრამ ჩქარა ყველაფერი
ნათელი გახდა.

ეშელონების ჩამოყენებასთან ერთად ახალციხეს მოაწყდა
აუარებელი რაოდენობა სტუდებეკერებისა (ამერიკული
გადახურული დიდი საბარგო მანქანებით), რომელიც მაშინათვე
გაუჩინარდა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ადიგენის,
ახალციხის და ბორჯომის რაიონების ყველა სოფლებში.

ეს ვეებერთელა მანქანები მეორე დღეს მობრუნდნენ ხალხით
დატვირთულნი. თითოეულ მანქანას თან ახლდა 2-3 ჩეკისტი,
რომლებმაც იცოდნენ მათი მანქანა რომელი ეშელონის რომელ
ვაგონთან უნდა გაჩერებულიყო.

მანქანებში მსხდარნი აღმოჩნდნენ ჩამოთვლილი რაიონების
სოფლებში მცხოვრებნი ოსმალები, ქურთები, ქართველი
მაჰმადიანები, რომელთა გასახლება გადაეწყვიტა სარდლობას.

ოსმალეთის ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრების შემთხვევაში,
ეს მოსახლეობა ნდობას არ იმსახურებდა და ეს ღონისძიებაც
ამიტომ ტარდებოდა. ოსმალეთი-კი დროს ელოდებოდა. თუ ეს
მისთვის ხელსაყრელი მომენტი დადგებოდა, საამისოდ
გამზადებულს ოსმალეთის არმიას უნდა წაელეკა ამიერკავკასია და
გვერდში ამოდგომოდა მოკავშირე ფაშისტურ გერმანიას. ეს
მდგომარეობა ძალაში იყო 1944 წელშიც.

გასახლებულ ხალხში, მამაკაცების გარდა იყვნენ ბავშვები,
მოხუცები. სამი დღე-ღამის განმავლობაში ეზიდებოდნენ
გასახლებულ ხალხს, რომელთაც ვაგონებში ათავსებდნენ. ჩვენს
თვალწინ ხდებოდა დიდი საცოდაობა. ზამთარი იწყებოდა. ყინავდა.
ამ ხალხში ერია სრულებით ტიტველი ბავშვებიც...

ბოლოს ყველა ეშელონი დაიტვირთა. სოფლები დაცარიელდა.
წნისელებსაც, სადაც ვცხოვრობდი, ეს ბედი ეწვია. ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობელს, რძალსა და დედამთილს ორი პატარა ბავშვები ჰყავდა. ნინა მათ დასტრიალებდა, საჭმელ-სასმელს და თბილ ჩასაცმელს უმზადებდა. მათი წაყვანისას, ნინა ცხარე ცრემლებით ტიროდა.

ერთი კვირის დგომის შემდეგ, ეშელონები დაიძრენ და 90000 სული საქართველოდან (მესხეთ-ჯავახეთიდან) კასპიის იქეთა მხარეს გაასახლეს.

გუშინ რომ წნისელები ქალიან-კაციანად ჩემთან მუშაობდნენ და გეგმის შესრულებისათვის იბრძოდნენ, დღეს ისინი ვაგონებში იყვნენ გამომწყვდეულნი. წასვლისას, ზოგი მემშვიდობებოდა და ზოგი მლანძღავდა, თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს რაიმე.

მიმავალ ოჯახს ნება მისცეს წაეღოთ 1,5 ტონა ტვირთი, უმთავრესად სანოვაგე. სხვა ყოველივე ქონება. ავეჯი, პირუტყვი, მოწეული სარჩო-საბადებელი ადგილზე დარჩა. დარჩენილ ქონებას დაეპატრონა რაიკომების მიერ წინასწარ შერჩეული კომისიები. სინამდვილეში ეს უზარმაზარი ქონება განიავდა...

ერთ-ერთ კომისიის წევრს ნინასთან ორიოდე ფუთი ფქვილი მოეტანა „საჩუქრად“, მაგრამ ნინას არ მიეღო და უკანვე გაეტანებია. ბევრმა-კი ხელი კარგად მოითბო.

მიტოვებულ პირუტყვს – ძროხებს, ხბოებს, ხარებს, ცხენებს თავი მოუყარეს და თბილისის სასაკლაოსაკენ გამორეკეს. ეს სურათიც მძიმე იყო და ნინას ამის გახსენებაზე ცრემლები ერეოდა. ახალციხემდე მოძრაობა გაიხსნა. მე დამაწინაურეს და უბნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად ანუ მთავარ ინჟინრად დამნიშნეს. ჩვენი მესამე უბანი ვალემდე გზის გაყვანისათვის იბრძოდა. ამ მონაკვეთზე იყო კიდევ ათი კილომეტრი რკინისგზა, ერთი დიდი ხიდი მტკვარზე და მრავალი ხელოვნური ნაგებობანი.

ამ დროს მშენებლობის უფროსად დანიშნული იყო გრიგოლ ვაშაკიძე – შემდეგში მშენებლობის მინისტრი – საკმაოდ თავისებური და თვითნება ადამიანი. მისი მშენებლებისადმი დამოკიდებულება იყო მხოლოდ ჟანდარმული. როგორც ინჟინერი, ის არაფერს არ წარმოადგენდა. ლანძღვა, გინება, შეურაცყოფის მიყენება, მისი აზრით, ეს იყო უფროსის უაღრესი ღირსება.

მშენებლობის მთელი სიმძიმე დასაწყისიდანვე ჩემთან ერთად რამდენიმე ინჟინრის ზურგზე გადადიოდა. ასეთები იყვნენ: მჭედლიძე, მაქასარაშვილი, დარახველიძე, კოვზირიძე, ტერელაძე...

ვაშაკიძემ ჩვენი ღვაწლი და თავდადება სრულებით არაფრად მიიჩნია. ერთადერთი, რაც მას ესმოდა, ეს იყო: „საღამოს ცხრა საათზე, სელექტორულ თათბირზე!“.. თუ გეგმა შესრულებაზე მეტი იყო, იწყებდა მისებურ ლანძღვა-გინებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანდაგის დალაგებას ხელმძღვანელობდა მოხუცი დავითი, ხვადაგიანი, დიდი ხნის რკინისგზელი და დამსახურებული ინჟინერი. ერთი დღის გეგმა ვერ შეასრულა იმიტომ, რომ საჭირო რაოდენობის რელსები და განძელები ვერ მიაწოდეს. ვაშაკიძემ დედა შეაგინა იმ ხნის კაცს ტელეფონში, რასაც მშენებლების მთელი ქსელი ისმენდა...

მშენებლობაზე მოსულს ჯერ ვაშაკიძე არ მენახა, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ დიდი ყბედი და ტუტუცი მოლაპარაკე არისო. მე ჩვეული ვიყავი ყველასაგან ზრდილობიანს და ადამიანურ მოპყრობას.

ერთ დღეს, მექანიკოსს ექსკავატორს ვაყენებინებდი სამუშაო ადგილზე და ამით ვიყავი გართული. გზატკეცილზე მანქანა გაჩერდა და გადმოვიდა ვილაც გამჭკნარი, უწარბო, ბეჭებში მოკუზული, ჩემზე დაბალი კაცი და ჩვენსკენ წამოვიდა.

„ეს არის ვაშაკიძე“ – მითხრა მექანიკოსმა. იმ დროს რკინისგზაზე შემოღებული იყო სამხედრო წესები და უმცროსი უფროსს უნდა შეხვედროდა პატაკით. მე მოსულს პატაკით შევხვდი. არც მომესალმა, არც ვინაობის გამოკითხვა პირველ შეხვედრაზე.

– *Долго ты будешь мудохаться на этом месте?* – მითხრა მან ათიოდე მუშის დასწრებით.

მე გავშრი. შემოვბრუნდი, ზურგი შევაქციე და განვაგრძე ჩემი საქმე. ის ერთხანს ადგილზე იდგა. შემდეგ დავინახე, რომ თავის მანქანისაკენ წავიდა...

როგორც იქნა, გზა ბოლომდე მივიყვანეთ 1946 წლის ბოლოს და ორთქლმავალი ვალეში დავაყვირეთ. მესამე უბანი თანდათან იკვეცებოდა. ვაშაკიძემ მე უბნის ლიკვიდაცია დამავალა.

– ეს დაამთავრე და შემდეგ თბილისის ობიექტზე გაგიშვებ სამუშაოთა მწარმოებლად, – მითხრა მან.

საამისო ბრძანებაც-კი ჩამაბარეს. თბილისში მაშინ ჩვენი კოლექტივი აშენებდა რკინისგზელის თეატრს პლეხანოვის პროსპექტზე და „ტბიშტის“ მარცხენა ახალ კორპუსს.

უბნის უფროსი ი. მჭედლიძე იყო, მაგრამ ის გუდაუთის სანატორიუმში ისვენებდა. ვაშაკიძესთან შეხვედრას ყველა ინჟინერი გაურბოდა, რადგანაც მისგან შეურაცყოფის მეტს ვერაფერს მოისმენდა. ზოგმა ავადმყოფობა მოიგონა და საავდმყოფოს მიაშურა, ზოგი სულ წავიდა მშენებლობიდან სხვადასხვა მიზეზით.

ერთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ მეც ბორჯომში გადმოვედი სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში უფროს ინჟინრად. თბილისში გადასვლის ბრძანება ვაშაკიძემ შემიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხეში დარჩა ვალიკო მაკასარაშვილი, რომელიც ასთავრებდა ხელოვნურ ნაგებობებს.

ბორჯომში ჩემი ბარგით გადმოვედი, მაგრამ სამმართველოს კომენდანტმა, ვილაც ლოთმა რუსმა, რომელიც ვაშაკიძის დიდი ყურადღებით სარგებლობდა, ბინა არ მომცა და შეკედლებული ვიყავი ბუღალტერ სნიტმანის პატარა ბინაში ნუცუბიძესა და ნიკოლაევთან ერთად. იატაკზე ვწვებოდით. კომენდანტი უსინდისო, გათახსირებული ტიპი იყო და მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ, სამმართველოში მუშაობის დროს, ახალციხიდან ტელეფონით გამომიძახა ვალიკო მაკასარაშვილმა და მითხრა:

– გაბო! როგორ ხარ, როგორ მოეწყვე, როდის მიდიხარ თბილისის ობიექტებზე? და სხვა ასეთები...

მე ხმამაღლა ვუპასუხე:

– როგორ ვიქნები, ჩემო ვალიკო! მშენებლობაზე ამოდენა ტანჯვის გამოვლის შემდეგ, ჩვენ გერებად გადავიქეცით, ხოლო ნაძირალები უფრო დაფასებულნი არიან. ისეთები, როგორიც კომენდანტი ვასილიევია. ამდენი ხანია ბორჯომში ვარ და სნიტმანის პაწაწინა ოთახში იატაკზე ვწვები ორ ინჟინერთან ერთად. აი, ასეთ „ბარდაკში“ ვარ! ამას მოველოდით მშენებლობის დასასრულს?..

ეს ლაპარაკი, როგორც მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ბოკუჩავამ გადმომცა, ვაშაკიძეს სიტყვა-სიტყვით მოუსმენია სელექტორში. ბოკუჩავასთვის უკითხავს: „ეს მართალიაო?“ მას დაუდასტურებია. კომენდანტი გამუძახია, შავი დღე დაუყენებია და სამუშაოდან მოხსნის დამუქრებით, ბრძანება მიუცია ორ-სამ საათში ბინა გამოეძებნა.

მართლაც, ამავე დღეს, გოგიას გორაზე, ევას სახლში ჩავესახლე და მშენებლობა ევას ქმარს უხდიდა თვეში 400 მანეთს.

მშენებლობაზე ტრადიციულად შემოღებული იყო, რომ ყოველდღე, საღამოს 9 საათზე იწყებოდა „პლანიორკა“. ეს ნიშნავდა იმას, რომ მშენებლობის უფროსი აჯამებდა დღის მუშაობას მთელ ხაზზე; ყველა სამშენებლო თუ სამეურნეო ორგანიზაციებიდან მოისმენდა მოკლე მოხსენებებს, მათ მოთხოვნილებას საჭირო მასალებზე ან მექანიზმების გადაადგილებაზე და სხვას. ეს ღონისძიება თავისთავად ხშირი იყო, რომელიც ბევრად აჩქარებდა ოპერატიულობას.

ვაშაკიძემ ეს ღონისძიება სატანჯველად გახადა. საღამოს ცხრა საათიდან თორმეტ საათამდე და უფრო ხშირად პირველ ან ორ საათამდე ყველა მიჯაჭვული ვიყავით ელსმენებზე და ვისმენდით ამა თუ იმ ხელმძღვანელის მიმართ ლანძღვასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინებას... ქსელში რაიონებიც იყვნენ ჩართულნი, თავიანთი რაიკომებით და აღმასკომებით...

ერთ ასეთ „პლანიორკის“ დროს, ვაშაკიძემ ახალციხეში მყოფი მაკასარაშვილი გამოიძახა და მოსთხოვა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი. ვალიკომ გულახდილად უთხრა, რომ გეგმა ვერ შეასრულა ამა და ამ მიზეზების გამო. ვაშაკიძემ ის მიწასთან გაასწორა ლანძღვითა და გინებით. უკვე ღამის 12 საათი იყო; სამმართველოს მომუშავენი, 30 კაცამდე იქ ვიჯექით. მომიბრუნდა და მიბრძანა:

– დაჯექი ჩემს მანქანაზე, ადი ახალციხეში, მაკასარაშვილი მოჰკალი და რაც გინდა, ის უყავი, მხოლოდ ხვალ გეგმა შემისრულე.

წამოვედი. ღამის სამ საათზე ვალიკოსთან ავედი სოფელ სუფლისში.

– დავალებული მაქვს უნდა მოგკლა, ვუთხარი ვალიკოს.

– გაბო, შენი ჭირიმე, შენ თუ მაგას შეასრულებ, ეხლავე ხელწერილს დავწერ, რომ ვინმემ პასუხი არ მოგთხოვოს. მომბეზრდა სიცოცხლე! ასე მუშაობა შეიძლება?!

– მართალი ხარ, ჩემო ვალიკო, მაგრამ ცოტა-ღა დაგვრჩა. სადაცაა სულ მოვრჩებით და წავალთ აქედან.

– წასვლამდე ხელში შეგვიკლავს.

გათენებისას შოფრებს დავერიეთ, რომლების მიზეზითაც გუშინდელი გეგმა არ შესრულდა. იმოდენა ქვა და საშენი მასალა მოვაზიდვინეთ და იმდენი ბეტონი ჩაასხეს ოსტატებმა, რომ დღის სამ საათზე სამი დღის გეგმა უკვე შესრულებული იყო.მუშაობა წყდებოდა 7 საათზე. 5-ზე ვაშაკიძე ამოვიდა და შორიდანვე მომაძახა:

– მე მაგის მოკვლა რომ დაგავალე, რატომ არ შეასრულე?

– ამხანაგია. დიდი შრომა მიგვიძღვის ორივეს ამ გზაზე. ვერ გავიმეტე.

მან გაიღრიჯა.

– დღევანდელი საქმე როგორაა?

– გუშინდელიც და დღევანდელი გეგმა დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული, – ვუპასუხე მე.

– აბა, ეხლა მანქანაზე დაჯექი და პირველ უბანს უშველე. იქ ცუცქირიძეა მოსაკლავი. აბა, ჩქარა!

პირველი უბანი ბორჯომში იყო. ვალიკოს დავემშვიდობე. მანქანაზე დავჯექი და ბორჯომისკენ წამოვედი. ვიცოდი, რომ ჩემს ჩასვლამდე სამუშაო დღე გათავდებოდა. პირველ უბანში რომ მოვედი, უკვე რვის ნახევარი იყო.

ცხრა საათზე „პლანიორკა“ დაიწყო. მე პირველი უბნიდან ვისმენდი. ვაშაკიძემ პირველი მე გამომიძახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მე რა დაგავალე პირველი უბნის შესახებ? – მკითხა ბან.

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! თქვენ ნათქვამს უკვირდებით თუ არა? – შევეკითხე მე. – დღეს ახალციხეში თქვენ დაგტოვეთ ექვსის ნახევარზე. აქ ჩამოვედი რვის ნახევარზე. მუშები უკვე წასულნი იყვნენ ბინებზე. მერე, რა სამუშაო უნდა შესრულებულიყო?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქსელში ჩართული იყო ყველა რაიონი, სელექტორში ლაპარაკი ყველას ესმოდა და ელოდნენ სეირს. ვაშაკიძემ ჩემი პასუხის შემდეგ ერთბაშად წამოიყვირა:

– Снять Рамишвили с работы за невыполнение приказа!

წარმოვიდგგინე, როგორ ბომბივით გასკდებოდა ეს წამოყვირება ყველას გონებაში, ვინც კი ისმენდა მას. ჩემი სახელი, როგორც კარგი მუშაკის კარგა ხანია ცნობილი იყო, როგორც მშენებლობაზე, აგრეთვე მახლობელ რაიონებშიც.

მე ავენთე. ოთახში ორი ტელეფონი იდგა. ერთის ყურმილი ცუცქირიძეს ეჭირა, მეორესი – მე. იქვე ისხდნენ უბნის თანამშრომლებიც. ვაშაკიძის წამოყვირებაზე წამოვვარდი, ყურმილი აპარატს დავახეთქე, ორივე იატაკზე დამსხვრეული დაცვინდა. ყველა შეშფოთებულნი წამოცვინდნენ. მე ქუდი ავიღე და გარეთ გამოვვარდი. მოვდიოდი ბრაზით აღსავსე, ბოღმამორეული და ვფიქრობდი: „როგორ წყალში ჩამაყრევინა ამდენი ხნის ჩემი ნაშრომი და ნაამაგარი! როგორ გაანიავა მშენებლობის გამოცდილი, გამობრძმედილი, შეკავშირებული კოლექტივი! ვის შევჩივლო? ვინ მოისმენს? ვინ გაიგებს?.. „ერთპიროვნული ხელმძღვანელობა“ – გასაგებია, მაგრამ „ერთპიროვნულ თავქარიანს“ იმის უფლება უნდა ჰქონდეს, რასაც ის ჩადის?.. როგორ უნდა აილაგმოს ეს „ჩინოვნიკ-ბიუროკრატი“, ეს ჟანდარმი, ეს მხოლოდ საფრთხობელა, რომ მისგან დაცულნი იქნან პატიოსანი მუშაკები? ვინ ჩაწვდება ჩემს ახლანდელ განცდას და სულისკვეთებას?!...“

დილას ავდექი და 9 საათზე სამმართველოში წავედი, რომ საბოლოო ანგარიში გამესწორებინა.

გზაზე ცუცქირიძე შემხვდა:

– გაბო! წუხელ, შენი წასვლის შემდეგ, ვაშაკიძემ ისევ გამოგიძახა სელექტორზე. ვუთხარი, გაბომ ყურმილი და ელსმენი იატაკზე დაანარცხა და სახლში წავიდა-მეთქი. მიბრძანა, მაშინვე კაცი გამომეგზავნა და ისევ მომეყვანე. მესმის-მეთქი, მაგრამ არავინ გამომიგზავნია, – ასე გადმომცა ცუცქირიძემ.

ხიდზე გადავედით. ის ბორჯომში წავიდა, მე – სამმართველოში. შესასვლელთან ერთდროულად მივედით მე და ვაშაკიძე. მე ალესილი და აღგზნებული ვიყავი საწინააღმდეგოდ.

მან მკლავში ხელი გამომდო და კიბე ისე ავიარეთ. კაბინეტში მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შენ რა ნერვიული და ფიცხი ყოფილხარ!

– თქვენ ვის არ გამოიყვანთ მოთმინებისგან! – მკვახად ვუპასუხე მე.

– დასვენება გჭირდება. ხომ გინდა დაისვენო?

– როგორ არ მინდა? მინდა!

– აბა, დამიცადე...

უნდა გულახდილად ვთქვა, რომ ვაშაკიძე, მიუხედავად მისი ახირებული ხასიათის, ენამწარობისა, გულკეთილიც იყო. ყველას სიკვდილით, გაქრობით და ციხით ემუქრებოდა, მაგრამ მის მიერ დასჯილი და დაზარალებული თანამშრომელი მე არ მახსოვს. ენაკი სასტიკად მწარე ჰქონდა.

ბევრი შეგუებული იყო და არაფრად არ აგდებდა მის უხეშობას, მაგრამ ჩემზე ეს სასტიკად მოქმედებდა. მე ვერ ვურიგდებოდი მის მუქარას სხვების მიმართ და ხშირად ვფიქრობდი: „რა მეშველება, რომ მან მეც ასე მომმართოს-მეთქი". ჩემს მიერ რკინისგზის სამსახურის მიტოვებას, მე ვაშაკიძის უხეშობას ვაწერ. თუ არა ეს, მე ახლაც რკინისგზის სამუშაოებზე ვიქნებოდი...

კაბინეტიდან ვაშაკიძემ მთავარი ექიმი ლეკვეიშვილი გამოიძახა და უბრძანა:

– გაბო რამიშვილის სახელზე შევსებული ერთთვიანი „პუტიოვკა" მომიტანე.

მთავარ ბუღალტერ ჩერტოლიასს უბრძანა ჩემთვის ხელფასი, კიდევ ერთი თვის წინასწარ და 1500 მანეთი პრემია გამოეწერა და მასთან მიეტანა. ჩემი გაღიზიანება ნელ-ნელა დაცხრა.

ოც-ოცდაათ წუთში 3500 მანეთი და გუდაუთის სანატორიუმის ერთთვიანი საგზური ხელში მეჭირა.

– ეხლა წადი, დაისვენე და როცა დაბრუნდები, თბილისის ობიექტებზე იმუშავებ, – მითხრა ვაშაკიძემ, მაგრამ მე გუშინვე გადავწყვიტე, რომ აწი რკინისგზაზე აღარ ვიმუშავებდი და არც სხვა ობიექტებზე, ვაშაკიძის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ვაშაკიძეს მშრალად თავი დავუკარი და წამოვედი. ნინას ვაცნობე ყველაფერი ის და მე მეორე დღე უკვე ბორჯომში ვიყავით.

რკინისგზაზე ჩემი მოღვაწეობა 1946წ. დასრულდა.

ზოგი რამ მშენებლობაზე ყოფნის დროს

1940 წელში, ჩემი მუშებით და მოსამსახურეებით დაბანაკებული ვიყავი სოფელ დვირში და მის მოხლობელ სოფლებში მტკვარის გაღმა-გამოღმა. დვირი – ბორჯომის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზრდილი და ლამაზი სოფელია. მუშების რაოდენობა ათას კაცამდე იყო. მათი უმეტესობა ბოგდანოვკა-ახალქალაქის სომხები იყვნენ. ბევრი ცოლშვილიანად იყო მოსული. დვირის მახლობლად, ტაძრისის მიმართულებით, ბუნებრივი თბილი, გოგირდოვანი წყალი აღმოჩნდა. მისი ტემპერატურა 18^0 უდრიდა. გადავწყვიტე აქ აბანოს აგება და ავაგე კიდეც ხის კედლებიანი აბანო უბნის უფროსის, ინასარიძის ნებართვით.

გაფანტულ წყაროებს, ბეტონის ჯებირებით ერთად მოვუყარე თავი და მივიღე საშუალო სიდიდის ღელე. ეს ღელე ღარებით გავანაწილე ისე, რომ ერთდროულად ბანაობდა 14 კაცი. იმავე შენობაში საერთო საბანაოდან იზოლირებულად მოვაწყვე ორი თვალი საბანაო, სამრეცხაო და სხვა. სანიტარულ ექიმს, ბურბას მახლობლად „დეზკამერა“ დავადგმევინე და აქ ხდებოდა მუშების სანდამუშავება.

დვირის აღმასკომი, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა დიდად მადლიერნი იყვნენ აბანოს მოწყობით.

ერთ დღეს, გვიან შემოდგომით, მივიღე მშენებლობის უფროსის ბრძანება, რომ ჩემი მუშებით გადავსულიყავი პირველ უბანში, დავბანაკებულიყავი გომნა-ლიკანში და დამეკავებია სამუშაო უბანი ბორჯომპარკიდან ჭობისხევამდე პეტრესციხის და გომანის გავლით.

ეს გადაადგილება მე ჩავატარე იდეალურად, ნამდვილი სამხედრო წესის დაცვით. ხალხის გადაყვანა ღამით მოხდა ისე, რომ მეორე სამუშაო დღე არ გამცდარა.

დილით, გათენებამდე ჩემთან გამოცხადდნენ სამმართველოს პარტორგი მურადიანი და საქმეთა მმართველი (გვარი არ მახსოვს). დამიწყეს კინკლაობა „რატომ ეს ასე არ გაკეთდა, რატომ ის ისე“ და სხვა.

მოთმინებიდან გამოსულმა, ისინი მივატოვე და ჩემი საქმიანობა განვაგრძე. მათ ვუთხარი:

– თქვენი ჩხირკედელაობისათვის მე არ მცალია. ხელს ნუ მიშლით. ერთი კვირა რომ აქ იტრიალოთ, ჩემს ირგვლივ დანაშაულს, რომელიც თქვენ გჭირდებათ მომავალ კრებაზე საჯიჯგნელად – ვერ იპოვით. ის სადმე სხვაგან ეძებეთ.

ორივე დამუნჯებულნი გამშორდნენ.

1942 წლის ზამთარი ძლიერ სასტიკი იყო. საქართველოში ყინვა მძვინვარებდა. ბორჯომის ხეობაში ის $22\text{-}25^0$ -ს აღწევდა. თან მუდმივად ცივი ქარი ქროდა.

რაიონებიდან მორეკილ კოლმეურნეებს და ბორჯომის სადგურიდან მანქანებით მოზიდულ დახერხილ ხე-ტყის მასალას ერთდროულად ვღებულობდი გაყინული მტკვრის მარცხენა ნაპირის გზატკეცილზე. ახლად მოსულ კოლმეურნეებს ამ მასალას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენა ნაპირზე ვაზიდვინებდი; მეტრის სიმაღლე თოვლისაგან ვასუფთავებინებდი ბარაკებისათვის განკუთვნილ ტერიტორიას; სახელდახელოდ ბარაკებს ვაშენებდით, ვათბუნებდით და შიგ კოლმეურნეებს ვასახლებდით.

კოლმეურნეების უმეტესობა ცოლ-შვილით იყვნენ მოსულნი. ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში ვიქნებოდი ჩემი შტატით, რომ ეს ზღვა ხალხი დამეკმაყოფილებია ბინით, გათბობა-განათებით, საჭმელ-სასმელით, სამუშაოზე განაწილებით და სხვა.

დღე და ღამ მოსვენება არ მქონდა და არც თანამშრომლებს ვასვენებდი. მშენებლობის იერიში მაშინ ჩემს უბანზე – ჭობისხევი-დვირი-ლარები – ქვაბისხევზე იყო მიტანილი. დიდი ვაი-ვაგლახით გამოვიზამთრეთ.

შემდეგი, 1943 წლის შემოდგომა იდგა. სოფელ ფაფაში პირველი უბნის ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება იყო მოწვეული, რომელსაც ესწრებოდნენ მშენებლობის მთავარი ინჟინერი იაკობ ვასილკინი და პროფკავშირის თავმჯდომარე ინწკირველი.

კრებამ ჩვეულებრივი მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები განიხილა. მოვითხოვე დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი: „მომავალი ზამთრისთვის მომზადება“.

როცა რიგი მოვიდა, მოხსენება მომთხოვეს. მე განვაცხადე:

– ვინც გასული ზამთარი მშენებლობაზე გაატარა, ეცოდინება, როგორ მოუმზადებელი შევხვდით და რამდენი ტანჯვა გავიარეთ. ეს რომ არ განმეორდეს, საჭიროა ახლავე მივიღოთ ზომები და შევაკეთოთ მუშების საერთო საცხოვრებლები, ავაშენოთ ახალი ბარაკები საჭირო რაოდენობით, მოვამარაგოთ ისინი საწოლებით, შეშით, ელგაყვანილობით, წყალსადენით, კანალიზაციით და სხვა ასეთებით. აი ესაა სულ ჩემი მოხსენება, – ვთქვი მე.

– გაბო მართალია. სწორედ დროულია მისი წინადადების განხორციელება, – თქვა ვალიკო მაკასარაშვილმა და სხვებიც დაეთანხმნენ.

წამოდგა მშენებლობის მთავარი ინჟინერი ვავალკინი.

– რაო? შენ კიდევ დაზამთრებას აპირებ და არ ფიქრობ მშენებლობის დამთავრებას?

ადგა ინწკირველი, პროფკავშირის თავმჯდომარე, რომელიც სულ ერთი კვირის მოსული იყო მშენებლობაზე.

– ამხანაგებო! – დიდი პათოსით დაიწყო მან. – ჩვენს ძლევამოსილ არმიას სჭირდება, რომ ეს ობიექტი დამთავრდეს, რაც შეიძლება დაჩქარებით. ამიტომ ვართ ყველა ჩვენ აქ მოწვეულნი. რამიშვილი და სხა ფიქრობენ მშენებლობის გაჭიანურებას და აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზამთრებას. ასეთ პირებს და განსაკუთრებით რამიშვილს ჩვენ კბილები უნდა გავუსინჯოთ.

ყველა სახტად დარჩა. მე ავენთე:

– კარგი და პატიოსანი, – განვაცხადე მე, – ამ ლაი-ლაის კაცს (მივუთითე ინწკირველზე), კავშირების თბილ კაბინეტებში განებივრებულს, არ უნდა და ვერც გაიგებს მშენებლობის სუსხს, თუმცა საკითხი მას უნდა დაეყენებია დღევანდელ კრებაზე. მაგრამ მე მიკვირს მშენებლობის მთავარი ინჟინრის გამოსვლა! ზამთრამდე დარჩენილია ორი თვე. იაკობ პეტროვიჩ! ნუთუ თქვენ ფიქრობთ ჩვენი მშენებლობის ზამთრამდე დამთავრებას? ჯერ ხომ პირველი უბნის მეოთხედი სამუშაოები არ შეგვისრულებია! მეორე და მესამე უბნები ახლა იწყებენ ორგანიზებას! რას ნიშნავს თქვენი ასეთი გამოსვლა? ნუთუ აქ მოიპოვება ვინმე ისეთი, რომ ჩემზე მეტად ეჩქარებოდეს მშენებლობის ადრე დამთავრება? ინწკირველის ენას ძვალი, როგორც ჩანს, არ აქვს. მას რა გაეგება მშენებლობის?! – ბრაზის მორევით ვთქვი მე.

კრებაზე ჩოჩქოლი ატყდა.

– სწორია! გაბო მართალს ამბობს! – ისმოდა აქეთ-იქიდან.

კრება დაიხურა. წამოვედით. მეორე დღეს გავიგე, რომ ბორჯომის რაიკომის მდივანს, რაზმაძეს დაუბარებია მშენებლობის უფროსი, მთავარი ინჟინერი ვავალკინი, ინწკირველი და უკითხავს:

– რატომ თქვენ, ხელმძღვანელებმა, აბუჩად აიგდეთ რამიშვილის მიერ სწორი და დროულად დასმული საკითხი?

ამ თათბირის შემდეგ ვავალკინისთვის მიუციათ გაფრთხილება და დაუვალებიათ ჩემი წინადადების დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარება. ინწკირველი სულ გაუგდიათ მშენებლობიდან.

ამის შემდეგ კიდევ ხუთი წელი და ხუთი ზამთარი ვიჯახირეთ, სანამ ბორჯომ-ახალციხე-ვალეს რკინისგზის მშენებლობას დავამთავრებდით. აუარებელი ბარაკების, საერთო საცხოვრებლების და აბანოების აშენება დაგვჭირდა მუშებისათვის და მათი კეთილმოწყობა.

მშრალიანი, კოხტიევი და ტილი

1943 წელი იდგა. სამამულო ომი მძვინვარებდა. მე პირველი უბნის შემადგენლობაში შევდიოდი და ვამუშავებდი ტრასას ბორჯომპარკიდან სოფელ დვირის ზემოთ, მტკვრის გადაკვეთამდე., სადაც დიდი ხიდი შენდებოდა. მთელი 20 კილომეტრის მანძილზე განაწილებულნი იყვნენ კოლმეურნეობებიდან მორეკილი გლეხები. მათი უმრავლესობა ახალქალაქ-ასპინძა-ბოგდანოვკის სომხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ. ჰიგიენის მხრივ დიდი სუსუფთავით არ გამოირჩეოდნენ. ამიტომ იყო, რომ მათთვის ვაშენებდი აბანოებს, დეზინფექტორებს და სხვას. ექიმები და სანიტრები ყოველ კვირაში ატარებდნენ მორიგეობას და მათ სანდამუშავებას.

მურადიანი – მშენებლობის პარტორგი იყო, კოხტიევი – პირველი უბნის უფროსი.

ერთხელ მშენებლობას ეწვია ფრონტელი სამხედრო სანიტარული ექიმი – რუსი გენერალი. მას მოუსურვებია მუშების საცხოვრებლების დათვალიერება. მურადიანს და კოხტიევს ის მოუყვანიათ ჭობისხევის მახლობელ ბარაკში, 110-ე პიკეტზე. გენერალს დაუთვალიერებია ერთ-ერთი მუშის საწოლი და უნახავს ტილი.

– ვინ არის აქ უფროსი? – უკითხავს გენერალს.

– რამიშვილია, – უპასუხნია კოხტიევს.

– გამოიძახეთ, აქ მოვიდეს, – უთქვამს გენერალს.

მე ტრასაზე ვიყავი და არ ვიცოდი, რა ხდებოდა ბარაკში. გენერალის გამოძახებამ ბრიგადიდან ბრიგადამდე გადმოცემით მოაღწია ჩემამდე და სასწრაფოდ ვეახლე ექიმ-გენერალს. მისასვლელთან კოხტიევი დამხვდა და „მომახარა“:

– ეგერ, ბარაკში ტილი გინახეს და აწი შენ იცი და გენერალმა.

– რას მიბრძანებთ, ამხანაგო გენერალო? – შევეკითხე რუსულად.

– თქვენ იცით, რა არის ტილი? – მითხრა მან.

მე გადავხედე კოხტიევს და მურადიანს, რომლებიც იქვე გაფითრებულნი იდგნენ.

– როგორ არა, ამხანაგო გენერალო, ტილის მეტი რა მინახავს!

– მიიღეთ ზომები, რომ მუშებს ტილი არ გაუჩნდეს, – თქვა გენერალმა და მანქანაში ჩაჯდა.

მურადიანმა და კოხტიევმა, თავის დაზღვევის მიზნით, წინადადება მომცეს, რომ საღამოს გამოვცხადებულიყავი სამმართველოში და წარმედგინა ახსნა-განმარტება მომხდარის შესახებ.

მე განკარგულება შევასრულე. მუშაობის დამთავრების შემდეგ სამმართველოში გამოვცხადდი და მშენებლობის უფროსის სახელზე წარვადგინე ასეთი „ახსნა-განმარტება“:

„მოგახსენებთ, რომ დღეს, მივლინებით მოსულმა სანიტარულმა გენერალმა მუშების ბარაკების დათვალიერებისას, ჭობისხევის უბანზე აღმოაჩინა ერთი ტილი. საბედნიეროდ, სხვა საწოლი და ტრასაზე მომუშავე ახალქალაქელი მუშები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუთვალიერებია, თორემ თითოეულის საყელოში ნახავდა ასეთი ტილს, რწყილს და ბაღლინჯოს.

თქვენ იცით, რომ მე ყოველ ღონეს ვხმარობ ჰიგიენის დასაცავად. უბნის უფროსისათვის და პირადად ამხანაგ მურადიანისათვის არა ერთხელ წარმიდგენია მოთხოვნა, თუ რა იყო საჭირო მუშებისათვის, რომ მსგავს სიტუაციაში არ აღმოვჩენილიყავით.

მაგრამ ხსენებულ ხელმძღვანელებს არავითარი ზომები არ მიუღიათ. დასასრულს გთხოვთ გამარკვიოთ: მე სამუშაოს ტექნიკურ მხარეს ვადევნო თვალყური თუ 1000 მუშის ტილები ვხილო? სანიტარული ექიმები, სანიტრები, მედიცინის მუშაკები რაღას გააკეთებენ მშენებლობაზე?"

ახსნა-განმარტებას ხელი მოვაწერე და სამმართველოში დავტოვე.

მეც და ყველა ჩვენგანმა მშენებლობაზე ვიცოდით, რომ ყოველივე მომხდარი ტილის ირგვლივ იყო „პამპულობა".

პირველ უბანში, გარდა კოლმეურნეებისა, ტუსაღებსაც ვამუშავებდით. მათთვის ორ ადგილას იყო გახსნილი ბანაკი – ლარებში და ჭობისხევში. მშენებლებს ტუსაღებთან საერთო არაფერი გვქონდა. მათ თავისი ადმინისტრაცია ჰყავდათ. ჩვენ მათ ნამუშევარს აღვრიცხავდით, დავუხურავდით „ნარიადებს" და ამის მიხედვით, მათი ხელმძღვანელობა მშენებლობიდან იღებდა თანხებს, რითაც ინახავდა ტუსაღებსაც და თავის თავსაც. უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ შიმშილით დასუსტებული ტუსაღები ნორმებს ვერ ასრულებდნენ და ამ ნიადაგზე მუდამ შეჯახება იყო ჩვენსა და მათ ადმინისტრაციას შორის. ისინი მოითხოვდნენ შესრულების გადიდებას, რომ მეტი თანხები მიელოთ. ჩვენ ამის საშუალება არ გვქონდა, რადგანაც ყოველგვარი სამუშაო გამოთვლილი იყო ხარჯთაღრიცხვებით.

გრძივი და განივი პროფილების საშუალებით ჩვენთვის ცნობილი იყო, რომელ პიკეტზე რა რაოდენობის სამუშაო იყო. ამას „ზაკაზჩიკი" ყოველთვიურად ამოწმებდა: შესასრულებელ სამუშაოდან გამოაკლებდა შესრულებულს, ჩვენი უწყისების თანახმად და ნაშთი უნდა შედროდა სინამდვილეში დარჩენილ სამუშაოს.

ეს ტუსაღების ადმინისტრაციას არ ესმოდა და მუდამ წუწუნებდნენ შესრულების გაზრდისათვის.

ერთხელ, ჭობისხევის მახლობლად, 110-ე პუნქტზე ჩემს კანტორაში ვმუშაობდი. შემოიჭრა ამ ტუსაღების ტექნიკური ნაწილის გამგე, უკრაინელი (გვარი არ მახსოვს). „გადაკრული",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუსაღი იყო, მაგრამ რატომღაც თავისუფალი სიარულის ნება ჰქონდა.

– *Почему вы занизили наше выполнение?* – მითხრა მან.

– *Не занизил, а наоборот, стараюсь выискать что-нибудь, чтобы помочь заключенным.* – ვუპასუხე მე.

მივყევ-მოვყევით და გადავედით ლანძღვაზე.

– *Не забывайте, что я украинец,* – მუქარით წამოიძახა მან. ამ წამოძახებამ ამაფეთქა.

– *Если ты украинец, то я – грузин!* – ვუყვირე და წამოვვარდი სკამიდან. ის მიხვდა, რომ საქმე ცუდათ წაუვიდოდა, სასწრაფოდ გარეთ გამოვარდა და გაიქცა...

საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ტუსაღები. მათი ბრიგადები რომ სამუშაოზე გამოვიდოდნენ თავიანთი მცველებით, თან საკაცეებით რამდენიმე ათეული ტუსაღი მოჰქონდათ ისე დაუძლურებული, რომ თავის ფეხით სიარული არ შეეძლოთ. ბარაკებში მაინც არ ტოვებდა მათ ადმინისტრაცია, რომ აღენიშნათ „100% გამოსვლა“. ეს თვალთმაქცობა სჭირდებოდათ მათ უფროსთან.

მათ ბარაკებში ხშირად მინახავს კედელზე შეშებივით მიყრილი 20-30 გაყინული გვამი. მათ ყოველღამ სასაფლაოზე ეზიდებოდა საამისოდ მიმაგრებული მუშა ცხენის ურმით. ძლიერ უდიერი მოპყრობა ჰქონდათ საცოდავებს. მარტო ერთ ზამთარში 1942/43 წლებში 450 კაცი ამოწყდა ლარებ-ჭობისხევის ბარაკებში. მათ ადგილს ახლად მოსულნი იკავებდნენ.

პირველი უბნის სამუშაოები ძირითადათ დასრულდა და მე, ჩემი მუშებით ახლა მესამე უბანში გადამიყვანეს. ამ უბნის სამმართველო ახალციხეში იყო. უბნის უფროსი ჩემი თანაკურსელი, მეგობარი, იასონ მჭედლიძე იყო. ჩემი ბარგის გადასატანად მან ბორჯომიდან მომავალი, , ცემენტით დატვირთული მანქანა გამომიგზავან. მე დაბრუნება მინდოდა, მაგრამ მუშები გაგზავნილი დამირჩა და დაბრუნება აღარ მოხერხდა. ახალციხეში რომ ავედი, იასონმა კომენდანტს უთხრა:

– როგორც წუხელ დავგეგმეთ, გაბოს ბარგი იმ ოთახში შეიტანეთ.

მე მეგონა, რომ ჩემთვის იასონი შესაფერ ბინას მოაძებნინებდა-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ეს ბინა აღმოჩნდა ახალციხეში მისასვლელ ქოხმახში, დუქნად ნამყოფი ოთახი. ფანჯრები სრულებით არ ჰქონდა. კარები უშუალოდ ქუჩაში გამოდიოდა. იატაკი მიწის, კედლები ოდესღაც კირით შელესილი, ნალურსმნებით იყო დაცრეცილი. ნესტიანი და ბნელი. ჯერ იასონთან ვივახშმეთ მე და აგიევსკიმ, შემდეგ წამოვედი „ბინაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანი იყო. ქონის სანთელი ავანთე. დანგრეულ-ნაკბილ საწოლზე, ცემენტში ამოსვრილი ლოგინი გავშალე და დავწექი, მაგრამ სრულებით არ მიძინია. ბაღლინჯოების არმია თავს დამესხა და გათენებამდე ვიგერიებდი.

ძლიერ მიკვირდა იასონის ჩემდამი ასეთი მოპყრობა! ჯერ ცემენტიანი მანქანა და ახლა ასეთი ბინა! „რას ნიშნავს ეს?“ – ვფიქრობდი მე...

საბედნიეროდ იმავე ღამეს მშენებლობის უფროსის ბრძანება მოსულიყო, რომ მე, ჩემი მუშებით აწყურში დავბრუნებულიყავი და გათენებისას წამოვედი კიდეც. აქ მე თვითონ შევარჩიე ბინა. იმავე დღეს ნინა მესტუმრა. მთელი დღე მოუნდა ის ჩემი საწოლის გასუფთავებას ცემენტისა და ბაღლინჯოებისაგან. თან მას ორი დამლაგებელი შველოდა.

– სად ამოისვარე ამ ცემენტში და სად შეიძინე ამდენი ბაღლინჯო? – მკითხა ნინამ.

ჩვენმა იასონმა მიერთგულა და მან დამაჯილდოვა ცემენტითაც და ბაღლინჯოებითაც, – ვუპასუხე ნინას.

აწყურიდან ახალციხის მიმართულებით ჩემი ბრიგადები გავშალე და რამდენიმე თვეში „წნისის პრიჟიმს“ მივადექით. ახალციხის რაიკომის მდივანი, გიორგი კირვალიძე ხშირად ჩვენთან იყო და ყველაფერში ხელს გვიწყობდა.

1943 და შემდგომი ომის წლები შიმშილიანი წლები იყო. უბანს ნაკვეთები ჰქონდა გამოყოფილი და მშენებლებისათვის მოჰყავდათ სიმინდი, კარტოფილი, კომბოსტო, პამიდორი. ეს დიდი შეღავათი იყო იმ წლებში.

გიორგი კირვალიძე დაგვპირდა: „წყურში რომ ორთქლმავალი დაიყვირებს, მესამე უბანს ისეთ პურ-მარილს გავუმართავ, რომ ყველასათვის სამახსოვრო იქნებაო; ახალციხეში რომ ორთქლმავალი ამოვა, იგივე განმეორდება და გარდა ამისა, ყველა ინჟინერს შესაფერი ძვირფასი კოსტუმებით შევმოსავო“.

დავაყვირეთ ორთქლმავალი აწყურში. კირვალიძემ სიტყვა გაამართლა და მილიონერ კოლმეურნეების თავმჯდომარეებს ძვირფასი სადილი გაამართვინა 400-500 მშენებლისათვის იმ დამშეულ პერიოდში.

ამ ზეიმზე იასონი ჩვენთან არ იჯდა. მან კირვალიძე და ათიოდე სხვა ახალციხელი „ბობოლა“ შეარჩია და ცალკე, დახურულ ოთახში იზეიმა! ჩვენ მიგვატოვა!

აწყურიდან ისევ ახალციხეში გადავედი ბინად, მაგრამ ამჟამად მშვენიერ ვეებერთელა სუფთა ოთახში მიასნიკოვის ქუჩაზე.

„წნისის პრიჟიმი“, როგორც ჩვენ ვუწოდებდით მას, ურთულესი კვანძი იყო მშენებლობაზე. აქ სამუშაოებს აწარმოებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟინერი შალვა კიკნაძე. იასონი და ის კარგი მეგობრები იყვნენ. იასონმა მეორე ბინა წნისში გაიჩინა და ხშირად იქ იყო ოჯახით. თითქოს აგარაკზე ახალციხიდან.

ერთხელ სოფელ კლდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ერთი ფუთი ჭანჭური გამოუგზავნია თავის მომუშავის ხელით და უთქვამს: „ეს მშენებლობის უფროსს მიართვიო“. ამ კაცს მშენებლობის უფროსად კიკნაძე მიუჩნევია, რაკი მას უფრო იცნობდა და ძღვენიც მისთვის მიურთმევია. ეს გაუგია მჭედლიძის ოჯახს და კიკნაძისა და მჭედლიძის ოჯახებს შორის ატეხილა აურზაური – ჭანჭური არა ჩემია და არა ჩემიაო. ამ ნიადაგზე, ეს ორი მეგობარი ერთმანეთს დამდურებიან და დიდი უსიამოვნება ჩამოვარდნილა მათ შორის.

საქმე ისე გაზვიადდა, რომ ამ ამბავში ჩაერია რაიკომის მდივანი კირვალიძე. ეს მოხდა 1944 წლის ზაფხულზე.

კირვალიძემ ახალციხის რაიკომში მოიწვია მესამე უბნის ინჟინერთა საერთო კრება. კრებას მშენებლობის უფროსი, ჩოჩუა და მთავარი ინჟინერი, მაღრაძე ესწრებოდნენ. რაიკომის დარბაზი სავსე იყო მესამე უბნის ინჟინრებით.

საკითხი ეხებოდა მჭედლიძე-კიკნაძის დამოკიდებულებას. დიდხანს ილაყბეს. ბევრმა დამსწრეთაგანმა თავისი აზრი გამოთქვა, ზოგმა ერთის, ზოგმა მეორის სასარგებლოდ. უკვე ღამის ორი საათი შეიქნა. არავითარი დასკვნა არ გამოუტანიათ. ან რა დასკვნამდე უნდა მისულიყვნენ?! თავისთავად შეცდომა იყო ამ საკითხის ამ მასშტაბით დასმა! მე ვსდუმდი. კირვალიძემ თვალი შემავლო და განაცხადა:

– გაბო რამიშვილი ჩვენს კამათში მონაწილეობას არ იღებს. საინტერესოა მისი აზრი. მოდით ერთი, მასაც მოვუსმინოთ.

მე შევიშმუშნე. სრულებით არ ვაპირებდი რამის თქმას, მაგრამ იძულებული გავხდი და ავდექი.

– რა უნდა ვთქვა, ამხანაგო გიორგი? ამდენი ხანია გისმენთ და მაკვირვებს კრების საქციელი. რაზე ვკარგავთ დროს? ჩემი აზრი და გონება ამ წუთში მიჯაჭვულია სოფელ ივლიტას ბოლოზე ორი ხიდის ზედნაშენის ბეტონირებაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს და მიტოვებულია უხელმძღვანელოდ, რადგანაც ორივე ინჟინერი, ტერელაძე და პეცი აქ არიან თქვენი ბრძანების თანახმად. იმ დროს, როდესაც ჩვენი არმია სასწაულებს ახდენს ფრონტებზე და სადაცაა ბერლინს დაამსხვრევს, ჩვენ ვზივართ და ვარჩევთ ერთი ფუთი ჭანჭურის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მოდავე ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან, მე ვაცხადებ: ჭირმა წაიღოს ერთიც და მეორეც, თუ ერთ ფუთ ჭანჭურს გვანაცვალებენ ჩვენც და თავის თავსაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაშმა იგრიალა. კირვალიძემ მაშინვე კრება დაამთავრა და განაცხადა:

– დარჩებიან ამხანაგები: ჩოჩუა, მაღრაძე და მჭედლიძე. სხვები თავისუფლები ხართ.

ოთახში ჯდომით გაოფლილნი, გარეთ გამოვცვივდით.

– შენ გენაცვალე, გაბო, რომ გადაგვარჩინე ფუჭად ჯდომას, – იძახდნენ აქეთ-იქედან.

მეორე დღეს მივიღე ასეთი ბრძანება: „ინჟინერი კიკნაძე განთავისუფლდეს თავის მოვალეობიდან. წნისის უბანი შეუერთდეს ახალციხისას და ხელმძღვანელად დაინიშნოს ინჟინერი გ. რამიშვილი“...

კიკნაძე გაძევებული იქნა რკინისგზიდან. მან წნისის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში მოტოციკლეტი შეიძინა. ერთხელ, ახალციხეში მიმავალი, ის საბარგო მანქანას შეასკდა და დაიღუპა. დატოვა მეუღლე და სამი შვილი. ეს მოხდა ერთი ფუთი ჭანჭურის გამო.

„წნისის პრიჟიმი“

როგორც ზემოთ ნათქვამი მაქვს, „წნისის პრიჟიმი“ ძლიერ რთული უბანი იყო. საჭირო იყო კლდის ნაწილ-ნაწილ აფეთქება.

აფეთქებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ინჟინერი ნიკოლოზ გვათუა, რომელზეც შერჩეული მუშები მყავდა მიმაგრებული. ეს მუშები კატებივით დაცოცავდნენ კლდეზე და კომპრესორის საშუალებით ბურღავდნენ და ამზადებდნენ ასაფეთქებლად.

1944 წლის ზაფხული იყო. კლდეში 200 „შპური“ იყო გაბურღული და დატენილი ასაფეთქებლად. ადრე დილით, ამ ადგილზე თავი მოვიყარეთ მე, კოლია გვათუამ და ორმა ამფეთქებელმა. ყველაფერი მზად იყო. გზის ორივე მხარეს მოძრაობის შეწყვეტაზე განკარგულება უკვე გაცემული მქონდა და „დაიწყეთ!“-მეთქი უნდა მეთქვა, რომ ჩემთან ვიღაცა მაიორი მოვარდა ბორჯომის მხრიდან და აჩქარებით მითხრა:

– ახლავე განკარგულება გაეცით, რომ მსუბუქი მანქანა გამოუშვან.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – შევეკითხე მე თავაზიანად.

– ეს თქვენი საქმე არ არის! გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით, – უხეშად მითხრა მან.

– ამხანაგო! არც თქვენი საქმე არ არის ჩემს საქმეში ჩარევა. ეს კლდე დატენილია ასაფეთქებლად და გირჩევთ სასწრაფოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან წასვლას. ხელს ნუ გვიშლით. გაჭიანურებას საქმეს ...
ითმენს.

– იცით, თქვენ ვისი მანქანა გააჩერეთ?

– ვისიც არ უნდა იყოს, სულ ერთია. ჩქარა წადით აქედან!

უფრო ახლოს მოვიდა და ხმადაბლა მითხრა ქედმოხრით:

-იმ მანქანაში ზის ამხანაგი ჩარკვიანი, ცეკას მდივანი!

– მით უმეტეს, მის აქ გამოვლაზე, ასაფეთქებელ კლდის გასწვრივ, მე განკარგულებას ვერ გავცემ. ჩქარა აქედან! – ამფეთქებლებს მივუბრუნდი და „დაიწყეთ! – გავეცი ბრძანება.

წამკიდებლებმა მაშინვე წაკიდება იწყეს. მე და გვათუა წნისის მხარეს გავიქეცით. მაიორმა ბორჯომის მხარეს მოუსვა.

დაძაბული წუთის შემდეგ კლდე აგრიალდა. უზარმაზარი ლოდები ადგილს მოწყდა, გორვით წამოვიდა, გზატკეცილს დაენარცხა, იქედან გადაგორდა და დაბლა, მტკვარში ადგაფუნდა. გზა ორასი მეტრის მანძილზე ლოდებით დაიფარა და გაუვალი გახდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. წესის თანახმად, აფეთქების შემდეგ 20-წუთიანი პაუზა გავაკეთეთ. ამფეთქებლებმა ნიშანი მომცეს, რომ აფეთქება დამთავრებულიაო და მეც ნიშანი მივეცი ორივე მხრიდან მუშების გამოშვებაზე.

ისინი მედგრად დაეტაკნენ სამუშაოს. მე, ცოტა არ იყოს, შემცბარი ვიყავი და ვფიქრობდი: „ვაი თუ ჩარკვიანისაგან წყრომა მივიღო, მისი გაჩერებისთვის-მეთქი“.

ამ დროს ისიც დავინახე ქვიდან-ქვაზე ხტუნვით მომავალი, იმ მაიორის თანხლებით.

მე სხვა გზა არ მქონდა, მისკენ გავეშურე და მოვახსენე:

– წნისის მისადგომზე მომხდარია აფეთქება. გზის აღდგენაზე მუშაობს ხუთი ბრიგადა 150 კაცის რაოდენობით. მოგახსენებს ინჟინერი რამიშვილი! – ჩამოსართმევად ხელი გამომიწოდა და მუშებს გადახედა.

მუშებს უკვე გაეგოთ, რომ მელაპარაკებოდა ჩარკვიანი. ქვის ნაფლეთებს ჭიანჭველებივით ესეოდნენ და, გადაღმა, მტკვარში ჰყრიდნენ.

– რამდენი დრო დასჭირდება გზის აღდგენას? – მკითხა ჩარკვიანმა.

– ორ საათში მზად იქნება, ამხანაგო კანდინ ნესტორის ძევ!

– მე წნისში დავიცდი. როცა მოძრაობა აღდგება, მანქანა იქ მოვიდეს, – დაუბარა მაიორს, რომელიც დაბღვერილი მიცქერდა.

მართლაც, ორ საათში გზა გასუფთავდა და მოძრაობა აღსდგა.

რამდენიმე დღის შემდეგ, სწორედ ამ ადგილზე დაიღუპა გიორგიწმინდელი ორი მუშა. ისინი, მიუხედავად აკრძალვისა, გაჩერებულან აფეთქებული კლდის ძირში და თურმე თუთუნს

ეწეოდნენ. უცბათ მაღლიდან მოწყვეტილა ათიოდე კუბური მეტრი კ-
კლდე, ამ მუშებს დასცემია და ორივე გაუსრესია.

მე რომ ეს ამბავი გავიგე, ტრასის სხვა ალაგას ვიმყოფებოდი, წნისის ზევით, ახალციხის მხარეს. გამოვიქეცი და შემთხვევის ადგილას მოვედი. აქვე შეგროვილიყო ახლო-მახლო ობიექტებიდან მოსული აუარებელი მუშა, გიორგიწმინდის სოფლელები და არნახული წივილ-კივილი დამხვდა. იცოდნენ, რომ აქ უფროსი მე ვიყავი. ყველა ჩემს სახელს და გვარს გაიძახოდა და მუქარის სიტყვებს ისროდა, თითქოს ჩემი ბრალი იყო ეს უბედურება. ინჟინერმა დაუშვილმა წამოიძახა: „იქნებ ეს საცოდავები ცოცხალნი არიანო!“

ათი კუბური მეტრი კლდის დაცემის შემდეგ, ისიც 6-7 მეტრის სიმაღლიდან, რას უნდა გადაერჩინა ისინი ცოცხალი, მან ვერ გაითვალისწინა! ამ პროვოკაციულ წამოძახებაზე მთელი სოფელი საშინელი ყვირილით დაიძრა, მუშების გროვა გაარღვია, ჩამოვარდნილ კლდეს ეცა, გადმოაბრუნა და გამოათრია საშინლად დასახიჩრებული დამარცხებულნი. შემდეგ სასტიკი მუქარით მთელი სოფელი ჩემკენ წამოვიდა და, ალბათ თვითგასამართლებას მიპირებდა, მაგრამ ამ დროს ახალციხიდან სასწრაფოდ მოსულმა პროკურორმა და ათიოდე მილიციელმა ალყა შემომარტყეს, ბრბოსაგან დამიცვეს და წესრიგის აღდგენას შეუდგნენ.

აღმოჩნდა, რომ ეს მუშები იყვნენ ჩემს მიერ, მათი სურვილის თანახმად ამფეთქებლებზე მიმაგრებულნი და მე არ უნდა მეგო მათზე პასუხი.

ამფეთქებლების ხელმძღვანელმა, კოლია გვათუამ ვაჟკაცურად განაცხადა, რომ ეს მუშები იმისია და მათზე ის არის პასუხისმგებელი, რომ გაბო რამიშვილი არაფერ შუაშიაო.

ბრბო ნელ-ნელა უკუდგა, დაწყნარდა და სინამდვილეში გაერკვია. თავისი გულის წყრომა ჩემგან გვათუაზე აღარ გადაიტანა იმიტომ, რომ პირველი აღგზნება უკვე გავლილი იყო.

დაღუპულთა დაკრძალვა მუსლიმანური წესით, იმავე დღეს მოხდა. გიორგი წმინდის სოფლელები ბოდიშს მიხდიდნენ, ჩემი უმიზეზოდ აღელვებისათვის, მაგრამ ბოდიში რას მიშველიდა!

ომის დამთავრებასთან დაკავშირებული ზეიმი

ჩვენმა არმიამ ფაშისტური გერმანიის ბუდე, ბერლინი დაამსხვრია. ომი გათავდა. ჩოჩუამ ბრძანება გასცა, რომ მშენებლობის ყველა მუშა-მოსამსახურეს მონაწილეობა მიეღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ზეიმში, რომელიც ახალციხეში ტარდებოდა 1945 წლის მაისს.

მშენებლობის შემადგენლობის სამხედრო წესით პარადზე მიყვანისთვის, ხელმძღვანელად მე ვიყავი გამოყოფილი. მასში მონაწილეობდა მშენებელთა მთელი შემადგენლობა. 9 მაისს, მესამე უბნის ხალხს თავი მოვუყარე ახალციხის საბარგო სადგურზე. აქ მატარებლით უნდა მოსულიყვნენ: მშენებლობის სამმართველო, პირველი და მეორე უბნები. დანიშნულ დროზე მოვიდნენ. სამივე უბანი დავაწყვე. კოლონის თავში სამმართველოს და სხვა უფროსები მოვაქციე. ბრძანება „სმენა!" გავეცი და კოლონა დანიშნულ მოედნისაკენ დავძარი.

ფეხით გასასვლელი სამი კილომეტრი გვქონდა და ეს მანძილი მხიარულად გავიარეთ სამხედრო მარშით. ახალციხის მოედანზე, რაიკომის წინ, კოლონები ჩავატარე. აღლუმი დამთავრდა. შემდეგ ბაღებში, მწვანეზე ვიქეიფეთ ღვინით, ხორციანი სადილით და ჭარბად პურით. ქეიფში ჩვენი მუშებიც იყვნენ...

***

მშენებლობიდან 1946 წლის გაზაფხულზე წამოვედი და უკან აღარ დავბრუნებულვარ. მას შემდეგ მართალია სხვადასხვა ადგილას ვმუშაობდი, იქნებოდა ეს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში სწავლულ მდივნად თუ სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ მშენებლობაში გატარებულ პერიოდს ვერაფერი შეედრებოდა. გავიდნენ წლები. 1956 წლიდან პენსიაზე გამოვედი და ნინას, რითაც შემეძლო, მდგომარეობას ვუმსუბუქებდი. ჩემი ცხოვრების საშინელი დასასრული ახლოვდებოდა. 1967 წლის 1 ივნისს, კუკიის მიწას მივაბარე ნინა, ჩემი ცხოვრების ყველაზე საყვარელი და ერთგული თანამგზავრი. ამით სრულდება ჩემი ცხოვრების წიგნიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი: გია სარჩიმელიძე
კორექტორი: დალი გიორგაძე
პასუხისმგებელი გამოცემაზე: ნაულის ფირცხალავა

ვ. რამიშვილი შეკვეთის №1139
ტირაჟი 350
სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“
ვრიგოლ რობაქიძის ვაშზირი №7

ეროვნული
ბიბლიოთეკა